ვლადიმერ ბასარია ჩევაზ ბასარია

ეკონომიკის პრინციპები

სახელმძღვანელო ეკონომიკურ თეორიაში ორ ნაწილად: მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა

/უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და გამოცდილი სპეციალისტებისათვის/

ვ. ბასარია, რ. ბასარია

ეკონომიკის პრინციპები

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკური თეორიის შესასწავლად, თუმცა, ავტორების აზრით, ეკონომიკის ძირეულად დაუფლების მოსურნე ადამიანებისათვის ძირითად გზამკვლევად კვლავინდებურად ეკონომიკური მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენლების (კლასიკოსების) იდეური მემკვიდრეობა, ასევე პოლ სამუელსონის „ეკონომიკის" ორტომეული, გრეგორი მენქიუს „ეკონომიკის პრინციპები" და ზოგიერთი სხვა სახელმძღვანელო რჩება.

წინამდებარე წიგნი კი სწორედ მათზე დაყრდნობით და საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში გამოყენებული პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად არის დაწერილი. მისი შინაარსის გადმოცემისას ავტორები ხშირად მიმართავენ საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრობლემებს (ზოგჯერ მათი მოგვარების წინადადებებსაც სთავაზობენ), განიხილავენ საკამათო საკითხებს და იწვევენ მკითხველებს ამაში მონაწილეობის მისაღებად, ფართოდ იყენებენ სასწავლო დავალებებს და სავარჯიშო ტესტებს (ზოგიერთ თემას დართული აქვს დამატებითი კითხვის მასალა). ისინი იმედოვნებენ, რომ სახელმძღვანელოს ასეთი ხასიათი დაეხმარება ამ დისციპლინის დაუფლების მოსურნე სტუდენტ ახალგაზრდობას, ასევე იმათ, ვინც ამ „ამაღელვებელი სამყაროს" (პ. სამუელსონი) შესახებ ცოდნის გაღრმავებას ესწრაფვის.

სახელმძღვანელო შედგება ორი ნაწილისაგან: მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა.

რედაქტორები:

იაკობ (იაშა) მესხია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი

რევაზ ხარებავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი

დავით კბილაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი.

რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მიერ (სხდომის ოქმი №1, 20.01.2017 წ.).

Copyright © 2017. ვ. ბასარია, რ. ბასარია

ISBN 978-9941-9530-0-2

გამოიცა ავტორთა ხარჯით

„საქართველოს აკადემიური გამომცემლობა"
აღმაშენებლის გამზ. №181,
თბილისი, 0112, საქართველო
ტელ.: (+995.32) 234.04.30
E-mail: pressacademic@gmail.com
https://goo.gl/rh1sq8

დაიბეჭდა შპს-ში „ბეჭდვის სამყარო"
ელ-ფოსტა: info@wop.ge

ეკონომიკის პრინციპები

ნაწილი I.

მიკროეკონომიკა

ნაწილი II.

მაკროეკონომიკა

წინათქმა

საქართველოში გრძელდება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება-განმტკიცება-განვითარების რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესი. ეს კი მოითხოვს ეკონომიკურ მეცნიერებაში და პრაქტიკაში მსოფლიო მიღწევების ათვისებას და გონივრულ გამოყენებას.

პრობლემა თავისთავადაც ძალზე რთულია, მაგრამ მას ისიც ართულებს, რომ, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ქართულ ენაზე დღემდე არ მოიპოვება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე გასაგები ენით დაწერილი ორიგინალური სახელმძღვანელო ეკონომიკური თეორიის საკითხებზე; უცხოური და ხშირად ცუდად ნათარგმნი ლიტერატურა ძნელად ხელმისაწვდომი და გაუგებარია ზოგჯერ თავად პროფესიონალებისთვისაც. ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობის გარეშე კი საგანს ფაქტობრივად ვერ დაეუფლები. ამიტომ აუცილებელი იყო შეგვექმნა გასაგები და შედარებით ადვილად ასათვისებელი სახელმძღვანელო, რომელიც დაეხმარებოდა ეკონომიკური ცოდნის შეძენის მსურველებს იმ რთული, მაგრამ ძალზე საინტერესო დისციპლინის ათვისებაში, რომელსაც **„ეკონომიკური თეორია“ („ეკონომიკის პრინციპები“, „ეკონომიკა“, „პოლიტიკური ეკონომია“)** ჰქვია; ვიმედოვნებთ, ის იმ განსწავლულებსაც გამოადგებათ გარკვეულწილად, ვინც ეკონომიკური განათლების გაღრმავებას ესწრაფვის.

წიგნი შეეცადეთ მოგვემზადებინა ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა სკოლების (პირველ რიგში ნეოკლასიკური) გამოჩენილი წარმომადგენლების შრომებზე დაყრდნობით. მასში განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი ეკონომიკური თეორიის (ეკონომიკის) დღეისათვის მიღებული ის ამოსავალი დებულებები, რომლებსაც ეფუძნება საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ანალიზი-მართვა. ამასთან ეკონომიკურ პრობლემებს ჩვენ შეძლებისდაგვარად განვიხილავთ დღევანდელი საქართველოს წინაშე მდგარ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან კავშირში. რიგი თეორიული საკითხებისა და სასემინარო სავარჯიშოებისა ასევე საქართველოს კონკრეტულ მაგალითებზეა აგებული.

ნაშრომის შესავალში გვინდა გავიმეოროთ სტუდენტებისადმი მიმართვა, რომელიც მოცემულია ეკონომიკური თეორიის პირველ ქართულენოვან სახელმძღვანელოში:

> *„ბატონებო! ახალგაზრდებო! არა გვგონია, რომ თქვენს შორის იყოს ისეთი ვინმე, რომელსაც, თუნდაც რომ არ ეყიქრა ადრე უმაღლესი განათლების ეკონომიკის განხრით მიღებაზე, უკვე სკოლის ასაკში არ ჰქონოდა კავშირი ეკონომიკასთან და არ დამდგარიყო ისეთი პრობლემების წინაშე, რომლებიც სწორედ ეკონომიკური თეორიის საგანს, მის ძირითად შინაარსს წარმოადგენს. ყველა თქვენთაგანი განუწყვეტლივ, პერმანენტულად ექცევა ისეთ სიტუაციაში, რომელსაც საჭიროა არჩევანის გაკეთება. ეს კი ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა.*
>
> *ავიღოთ თქვენი უკანასკნელი გადაწყვეტილება: სწავლის გაგრძელება და უმაღლესი განათლების მიღება.*
>
> *ჩვენ საკითხს ასე დავსვამდით: შეიძლება ადამიანმა ისე იცხოვროს, რომ არა მარტო უმაღლესი განათლება არ ჰქონდეს, არამედ წერა- კითხვასაც კი არ იყოს დაუფლებული?*

შეიძლება პრინციპში, მაგრამ ეს დღევანდელ საზოგადოებაში დამამცირებელია, ზოგჯერ ცხოვრებისთვის საშიშიც კი. განათლების არმიღება და შესაბამისი დროის სხვანაირად გამოყენება შეიძლება ზოგჯერ მატერიალურად უფრო მეტი სარგებლიანობის მომტანი იყოს, მაგრამ საზოგადოების დიდი უმეტესობა მაინც განათლებულობას ამჯობინებს და ეს სწორია უეჭველად. გაუნათლებელი ადამიანი ძალზე ბევრ სირთულეს აწყდება, ბოლო-ბოლო, მისი პრესტიჟიც შედარებით დაბალია, მას გაცილებით მეტი წინააღმდეგობის გადალახვა უწევს, თანაც უფრო მტკივნეულად, ვიდრე განათლებულს. ასევე ითქმის ეკონომიკურ განათლებაზეც. შეიძლება სცადო იცხოვრო ყოველგვარი ეკონომიკური ცოდნის გარეშე, ისე, რომ წარმოდგენაც არ გქონდეს ეკონომიკის კანონებსა და მექანიზმებზე. ამგვარ „გაუნათლებლობას“ მომაკვდინებელს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ასეთ ადამიანს ცხოვრება ერთგვარად გაუჭირდება.

საქმე ისაა, რომ დღევანდელ საზოგადოებაში არ არის ცხოვრების არც ერთი სფერო, არც ერთი საქმიანობა, სადაც ადამიანი აბსოლუტურად დამოუკიდებელი იქნება ეკონომიკური სამყაროსაგან, სადაც შესაძლებელია მისი მექანიზმების, კანონების, წესების მთლიანად უგულებელყოფა. ასე რომ ადამიანები, უნდათ თუ არ უნდათ (შეგნებულად თუ შეუცნობლად), იძულებული არიან ეკონომიკური მექანიზმების მოთხოვნების გათვალისწინებით იმოქმედონ, ამ მოთხოვნებს შეუხამონ თავიანთი საქმიანობა.

ჩვენ დაბადებიდანვე პირდაპირი მნიშვნელობით ვექცევით ეკონომიკის სამყაროში – ახალშობილის გაჩენა იმისდა შესაბამისად ხდება ამ ქვეყნად, თუ როგორ არის მოწყობილი ეკონომიკურად ეს სამყარო: მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით, ყოველგვარი ხელსაწყოებით და საშუალებებით უზრუნველყოფილ კომფორტულ საავადმყოფოში (სადაც ბავშვის და დედის სიკვდილიანობა თითქმის აბსოლუტურად გამორიცხულია) ან ბებიაქალის მეშვეობით.

რა თქმა უნდა, ყველა ჩვენთაგანი თავისებურად მონაწილეობს ეკონომიკის ამ სამყაროში: ზოგი ბიზნესმენია, ბანკირია ან სხვა პროფესიულ საქმიანობას ეწევა, ზოგი დაქირავებული მუშაკია, ზოგიც კიდევ ისეთ თავისუფალ პროფესიას არჩევს, რომ ეკონომიკა მხოლოდ ხელფასის აღების (შემოსაყალის მიღების) და ხარჯვის დროს ახსენდება. მაგრამ გარკვეული ეკონომიკური ცოდნა ყველას უნდა ჰქონდეს.

ყველა თქვენთაგანმა, თქვენმა მშობლებმა სერიოზული ეკონომიკური გაანგარიშება და ანალიზი გააკეთეთ, სანამ გადაწყვეტდით სწავლის გაგრძელებას, თუმცა შეიძლება ეს ქალალდზე არ მომხდარა და არც საკმარისი ინფორმაციული მასალა ჩაგირთავთ ამ გადაწყვეტილების მიღების პროცედურაში - ეს უკვე სხვა საკითხია. ე.ი. თქვენ არჩევანი გააკეთეთ, სხვანაირი საქმიანობის და ხარჯების, დროისა და სხვა რესურსების სხვანაირად გამოყენების სარგებლიანობაზე უარი თქვით.

აქვე მოგახსენებთ, რომ უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის ფარგლებში ეკონომიკური თეორიის აბსოლუტურად სრულყოფი-

ლად შესწავლის მცდელობა საერთოდ აბსურდია; ეს სერიოზული სპეციალისტის მთელი სიცოცხლის საქმეა. ამიტომ პედაგოგ-მასწავლებლის ამოცანას იმაში ვხედავთ, რომ შეძლებისდაგვარად დაგეხმაროთ (და განგაწყოთ) ეკონომიკური აზროვნების ხასიათის ათვისებაში, სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების წვევების დაუფლებაში, ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისადმი მეცნიერულ - პროფესიული მიდგომის ჩამოყალიბებაში. გამოდის, რომ ჩვენი, პროფესორ-მასწავლებლების, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეგიწყოთ ეკონომიკური თეორიის საფუძვლების (პრინციპების) დაუფლებაში და მაქსიმალურად დაგიკმაყოფილოთ ეკონომიკური სპეციალობის მიღების სურვილი. ეს კი საწინდარი იქნება იმისა, რომ უმაღლესი განათლება თქვენ შემდგომში იმაზე მეტ სარგებლიანობას მოგიტანთ, რაზედაც უარი თქვით ამ არჩევანის გაკეთებისას.

დიდი იმედებით შემოგყურებთ თქვენ, ეკონომიკური პროფილის სტუდენტ ახალგაზრდობას, დედასამშობლო. სწორედ თქვენში ხედავს ის ხვალინდელ ბიზნესმენებს, ფინანსისტებს, სახელმწიფო მოხელეებს, ბანკირებს, მენეჯერებს, აუდიტორებს თუ ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის სხვა სპეციალისტებს, რომლებმაც უნდა იტვირთონ და მაღალპროფესიული რუდუნებით მიაღწიონ ქვეყნის ეკონომიკის დინამიკური ზრდის უზრუნველყოფისაკენ წარმართვას, მისი მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებას. სიტყვა „სტუდენტიც“ ხომ უცხო ენიდან შემოსული ტერმინია, ლათინური „Studens"-ის მნიშვნელობა კი პირველ რიგში გულმოდგინედ მომუშავე და მეცადინეა“.

დაბოლოს, უღრმეს მადლობას ვუხდით ნაშრომის რედაქტორებს ბატონ რევაზ ხარებავას და ბატონ დავით კბილაძეს უანგარო, გულთბილი თანადგომისათვის; უდიდესი პატივისცემა და სიყვარულით გახსენება აწ განსვენებული იაკობ მესხიასი, რომელიც ვერ მოესწრო ჩვენი წიგნის გამოცემას და რომლის ხელი პრაქტიკულად სახელმძღვანელოს ყველა გვერდს ატყვია.

ავტორები

ნაწილი I.

მიკროეკონომიკა

სარჩევი

შესავალი

ნაწილი I. მიკროეკონომიკა

თემა 1. ეკონომიკური თეორიის (ეკონომიკის პრინციპების) საგანი

თავი 1. ეკონომიკის არსი, ეკონომიკური თეორიის საგანი 12

რა არის ეკონომიკა და რისთვისაა ის საჭირო? რამდენად მნიშვნელოვანია ეკონომიკური თეორიის შესწავლა და რა შედეგი შეიძლება მოგვცეს ამან? როგორ დავეუფლოთ ეკონომიკურ თეორიას? ეკონომიკა როგორც თეორია და ადამიანების სამეურნეო საქმიანობა; კეთილდღეობის დონე; ეკონომიკური ადამიანი; ეკონომიკური რესურსები და მათი შეზღუდულობა; ეკონომიკური მექანიზმები; შრომის დანაწილება; ადამიანების ქცევის შესწავლა და აზროვნების ეკონომიკური ხასიათის გათავისება, როგორც ეკონომიკური თეორიის საგანი; მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა; პოზიტიური ეკონომიკა და ნორმატიული ეკონომიკა.

თავი 2. ეკონომიკის 10 პრინციპი: საერთო დახასიათება 16

თავი 3. ეკონომიკური თეორიის ფუნქციები და მეთოდები 20

ეკონომიკური თეორიის ფუნქციები; თეორია და დაკვირვებები; შემეცნების დიალექტიკური მეთოდი; ეკონომიკური თეორიის მეთოდები; ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია; ეკონომიკური მოდელი; "Ceteris paribus"-ის პრინციპი; ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა; ეკონომიკური დებულებების სისწორის შეფასების კრიტერიუმი.

კითხვები და სასწავლო დავალებები 26

სავარჯიშო ტესტები 28

თემა 2. წარმოების ფაქტორები, მათი შეზღუდულობა და გამოყენება

თავი 1. წარმოების ფაქტორები (ეკონომიკური რესურსები) როგორც ღირებულების შექმნის სუბსტანცია 30

შრომის დანაწილება, გაცვლისადმი მიდრეკილება და ადამიანების ურთიერთობების აუცილებლობა; წარმოების ფაქტორები (შრომა, კაპიტალი, მიწა, მეწარმეობრივი უნარი) და მათი შეზღუდულობა, იშვიათობის კანონი; ეკონომიკა როგორც არჩევანი; ადამიანების მოთხოვნილებების განუსაზღვრელობა და ცვლილება, მათი გაჯერება; რაციონალური არჩევანი; საქონლის ღირებულება (ფასეულობა); სარგებლიანობა როგორც რაოდენობის ფუნქცია.

შრომა 31

კაპიტალი 32

მიწა 32

მეწარმეობრივი უნარი (ნიჭი) 32

თავი 2. საწარმოო შესაძლებლობების მრუდი. ალტერნატიული ხარჯები 33

საწაროო შესაძლებლობათა მრუდი; ალტერნატიული დანახარჯები; ზრდადი დანახარჯები; კლებადი ეფექტიანობა; კლებადი მწარმოებლურობა.

თავი 3. ორი მიდგომა ადამიანების ეკონომიკურ ქცევაზე: მარგინალური ანალიზი და ინსტიტუციონალიზმი 36

რით ხელმძღვანელობენ ადამიანები თავიანთ არჩევანში და როგორ უნდა განაწილდეს შეზღუდული რესურსები მაქსიმალური უკუგების მისაღებად? რაციონალური ქცევის ეჭვის ქვეშ დაყენება; მარგინალური ანალიზი და ინსტიტუციონალიზმი.

თავი 4. ზღვრული (მარგინალური) სიდიდეები ეკონომიკურ საქმიანობაში 40

ზღვრული (დამატებითი, ბოლო) გადაწყვეტილების მნიშვნელობა რაციონალურ ქმედობაში; ზღვრული სარგებლიანობა; ზღვრული შემოსავალი; ზღვრული პროდუქტი; ზღვრული მწარმოებლურობა; ზღვრული დანახარჯების ზრდის ტენდენცია; კლებადი მწარმოებლურობა; ზღვრული სარგებლიანობის შემცირება მოხმარების ზრდის კვალობაზე; რაციონალური არჩევანის (მაქსიმალური სარგებლიანობის) მიღების წესი.

თავი 5. გადაწყვეტილების ეფექტიანობის
საერთო-ეკონომიკური გაანგარიშება 43
დამატებითი კითხვის მასალა 46
*ზღვრული მწარმოებლურობა და წარმოების ფაქტორები,
როგორც ღირებულების შექმნის სუბსტანცია* 46
საქონელ-მომსახურების ღირებულების სუბიექტური ხასიათი 48
კითხვები და სასწავლო დავალებები 52
სავარჯიშო ტესტები 55

თემა 3. მოთხოვნა და მიწოდება. ელასტიკურობა და საბაზრო წონასწორობა
შესავალი 57
თავი 1. მარაგები და ნაკადები ეკონომიკაში. ფასების როლი 57
მარაგები და ნაკადები; რესურსების, პროდუქტების და შემოსავლის მაკროეკონომიკური წრებრუნვა; მოგება როგორც კომერციული საქმიანობის მოტივაცია; ფასების მიმმართველი, მანონასწორებელი როლი.
თავი 2. მოთხოვნა და მიწოდება საქონლის და
მომსახურების ბაზარზე 59
მოთხოვნის და მიწოდების მოდელი როგორც ბაზრის კონიუნქტურის ანალიზის შეუცვლელი საშუალება; მამაკაცის პერანგის ბაზრის ანალიზი.
თავი 3. მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობა 62
წონასწორობის გრაფიკი; წონასწორობის ფასი; წონასწორობის ფასისაგან გადახვევა და საბაზრო მექანიზმების მოქმედება.
თავი 4. ელასტიკურობა და ბაზრის ადაპტაციის პროცესი 65
ელასტიკურობა და მისი ხარისხი 65
მოთხოვნის ელასტიკურობა 65
ელასტიკურობა და მისი ხარისხი; მოთხოვნის და მიწოდების ელასტიკურობა; საქონელთა ურთიერთშენაცვლება და მისი ზემოქმედება ელასტიკურობაზე; შემოსავლის ზემოქმედება ელასტიკურობაზე; ელასტიკურობა მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში.
საქონელთა ურთიერთშენაცვლება და
მისი ზემოქმედება ელასტიკურობაზე 67
მიწოდების ელასტიკურობა 67
მოკლევადიანი და გრძელვადიანი ელასტიკურობა 67
თავი 5. არაფასობრივი პარამეტრების ცვლილება და ბაზრის
წონასწორობა 68
ახალი ტექნოლოგიების და მანქანების გამოყენება და მიწოდების ცვლილება (მრუდის გადაადგილება); მომხმარებელთა შემოსავლის ზრდა და მოთხოვნის მატება (მრუდის გადაადგილება).
თავი 6. ბაზრის რეგულირება 70
ბინის ქირის რეგულირება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (ხორბალზე) ფასის რეგულირება; რეგულირების ალტერნატივა.
რეგულირების ალტერნატივა 73
დამატებითი კითხვის მასალა 74
ლეონ ვალრასი და ალფრედ მარშალი 74
გიფენის ფენომენი 74
ჰოლანდიური ტიტომანია 75
კითხვები და სასწავლო დავალებები 76
სავარჯიშო ტესტები 77

თემა 4. ფირმა და მეწარმეობა. ეროვნული შემოსავლის განაწილება
თავი 1. წარმოების ისტორიული ფორმები 79
საოჯახო მეურნეობა: ამქრული მეურნეობა, მანუფაქტურა, ფაბრიკა.
საოჯახო მეურნეობა 79
ამქრული წარმოება 79
მანუფაქტურა 80
ფაბრიკა 80

თავი 2. ფირმა. ფირმის თეორია 80
ფირმა, ფირმის თეორია; ფირმის მიერ რესურსების კოორდინაცია (ალოკაცია); ტრანსაქციური დანახარჯები; აქციონერები - მესაკუთრეები და მენეჯერები.

ფირმა 80

როგორ იქმნება ფირმა? 81

თავი 3. მეწარმეობა (ბიზნესი) 83
მეწარმეობის არსი; მეწარმის (ბიზნესმენის) თვისებები; დამატებული ღირებულება როგორც ფირმის საქმიანობის შედეგი; ეკონომიკური და ბუღალტრული მოგება; ინვესტიციები; ინოვაციები.

თავი 4. საწარმოო ფუნქცია და ეროვნული შემოსავლის განაწილება 85
საწარმოო ფუნქცია; ფირმის მოთხოვნა წარმოების ფაქტორებზე, მათი ზღვრული პროდუქტის კლებადი ხასიათი; ეროვნული შემოსავლის განაწილება წარმოების ფაქტორებზე და მისი სამართლიანობა.

საწარმოო ფუნქცია 85

ეროვნული შემოსავლის განაწილება საბაზრო ეკონომიკაში 88

შექმნილი დოვლათის (ეროვნული შემოსავლის) განაწილების სამართლიანობა 88

თავი 5. ფირმის (საწარმოო) ხარჯები და მისი ეფექტიანი მასშტაბის განსაზღვრა 90
ფირმის დანახარჯების კლასიფიკაცია; მასშტაბიდან უკუგების ეფექტი; ფირმის ეფექტიანი მასშტაბი.

დამატებითი კითხვის მასალა 97

კარლ მარქსი და მისი მიდგომა ეროვნული შემოსავლის განაწილებისადმი ... 97

კითხვები და სასწავლო დავალებები 98

სავარჯიშო ტესტები 99

თემა 5. კონკურენციის სრულყოფილება და არასრულყოფილება

თავი 1. სრულყოფილი (თავისუფალი) კონკურენციის ბაზრის ფუნქციონირება 101
კონკურენციული (სრულყოფილი) ბაზარი; რძის მწარმოებელი ფირმის ქმედობის ანალიზი; სრულყოფილი ბაზრის მექანიზმები; ზღვრული დანახარჯების და ფასის ტოლობა როგორც მოგების მაქსიმიზაციის პირობა; ზღვრული ხარჯები როგორც კონკურენციული ფირმის მიწოდების მრუდი; ალოკაციური (ეკონომიკური) ეფექტიანობა და ტექნიკური ეფექტიანობა; ფირმის გადაწყვეტილება ბაზარზე შესვლაზე და ბაზრიდან გასვლაზე; მომხმარებელთა ნამეტი და მწარმოებელთა ნამეტი.

ბაზრის ეფექტიანობა. მომხმარებელთა და მწარმოებელთა ნამეტი 105

თავი 2. კონკურენციის არასრულყოფილება — მონოპოლიზმი 106
მონოპოლია; მონოპოლიის შექმნის მიზეზები; მონოპოლიის და კონკურენციული ფირმის მოთხოვნის მრუდები; ფასის ეფექტი, მონოპოლიის ზღვრული შემოსავალი და მისი პროდუქციის ფასი; საქონლის ფასი კონკურენციულ და მონოპოლიზებულ ბაზრებზე; მონოპოლიური მოგება და მისი მაქსიმიზაცია; მონოპოლიზმი და წარმოების მოცულობა; დაუბრუნებელი დანაკარგი; მონოპოლიური ბაზრის რეგულირება.

თავი 3. კონკურენციის არასრულყოფილება — მონოპოლისტური კონკურენცია 111
საქონლის დიფერენციაცია, ოლიგოპოლია და მონოპოლისტური კონკურენცია; მონოპოლისტურ ბაზარზე სრულყოფილი კონკურენციისაკენ და მონოპოლიზმისაკენ მისწრაფების ტენდენციები. მონოპოლისტური (არასრულყოფილი) კონკურენცია და წარმოების მოცულობა.

კითხვები და სასწავლო დავალებები 116

სავარჯიშო ტესტები 117

თემა 6. წარმოების ფაქტორების ბაზარი

თავი 1. წარმოების ფაქტორების ბაზრის საერთო დახასიათება 119
წარმოების ფაქტორების როგორც საქონელთა სპეციფიკურობა; მათი შენაცვლება.

თავი 2. შრომის ბაზრის ანალიზი 124
შრომის „ადგილობრივი“ („გარე“) და „შინა“ ბაზარი; შრომის ბაზრის სუბიექტები; შრომაზე მოთხოვნა და შრომის მიწოდება; შრომის მიწოდების პარამეტრები; შენაცვლების (ჩანაცვლების) და შემოსავლის ეფექტების ზემოქმედება შრომის მიწოდებაზე; ხელფასის მატებით გამოწვეული შრომის მიწოდების მაქსიმუმი; შრომის ინდივიდუალური მიწოდების მოლუნვადი (მოხრადი) მრუდი; მთლიანი დასაქმება და შრომის ბაზარზე წონასწორობის დარღვევა-აღდგენა; ხელფასის სხვაობის მიზეზები; „გამაწონასწორებელი განსხვავებები“.

თავი 3. კაპიტალის ბაზრის ანალიზი 129
კაპიტალი როგორც თავშეკავებასთან დაკავშირებული შემოსავლის მომტანი ღირებულება, მისი სუფთა მწარმოებლურობა; კაპიტალზე მოთხოვნა და კაპიტალის მიწოდება; წონასწორობა კაპიტალის ბაზარზე; პროცენტი როგორც წონასწორობის ფასი; დისკონტირება; ნომინალური და რეალური საპროცენტო განაკვეთი.

კაპიტალი როგორც წარმოების ფაქტორი. მისი სუფთა მწარმოებლურობა 129

თავი 4. მიწის ბაზრის ანალიზი 136
მიწაზე მოთხოვნა და მიწის მიწოდება; მიწის როგორც წარმოების ფაქტორის შეზღუდულობა და უძრაობა, ამის ზემოქმედება მიწის ფასზე; მიწის ეკონომიკური (აბსოლუტური) რენტა, დიფერენციული რენტა და მათი არსებობის მიზეზები; მიწის ფასი როგორც დისკონტირებული ღირებულება. მიწა როგორც წარმოების ფაქტორი და როგორც სპეციფიკური საქონელი 136

რენტული შემოსავალი მიწის ბაზარზე 137

მიწის ფასი 140

კითხვები და სასწავლო დავალებები 142

სავარჯიშო ტესტები 143

თემა 7. ეკონომიკის ორგანიზაციის ალტერნატიულობა: საბაზრო ეკონომიკა და გეგმიანი ეკონომიკა

თავი 1. ეკონომიკის ორგანიზაციის პრობლემები 147
ეკონომიკის სამი ძირითადი საკითხი: რა, როგორ და რისთვის? ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციის საშუალებები.

თავი 2. ბაზარი როგორც კაცობრიობის კოლექტიური ეკონომიკური გონება 148
ბაზარი; „უხილავი ხელი“ საბაზრო ეკონომიკაში; თავისუფალი კონკურენცია და თავისუფალი ფასები ბაზარზე; "Laissez faire"-ს ადამ სმითისეული პრინციპი; ბაზრის კონტრაჰენტების (საოჯახო მეურნეობების, ფირმების და სახელმწიფოს) ურთიერთკავშირი საერთო-ეკონომიკურ წრებრუნვაში; ეგოისტური მისწრაფებები ბაზარზე და ბაზარი როგორც „კოლექტიური გონება“.

თავი 3. ბაზრის ნაკლოვანებები და მათი გადალახვის საჭიროება 152
სრულყოფილი კონკურენციის პირობები და მათი ერთობლივად არსებობის პრობლემურობა; კოლექტიური სარგებლობის საქონლის წარმოება - ანაზღაურების პრობლემა; ეკონომიკაში შექმნილი დოვლათ-სიკეთის საზოგადოების წევრებს შორის განაწილებაში ერთგვარი უსამართლობა.


თავი 4. გეგმიანი ეკონომიკა და დაგეგმვის იდეა 154
დირექტიული დაგეგმვა და დაძალებითი მართვა; დირექტიული დაგეგმვის „სიმარტივე“, ფსევდორაციონალურობა და ამის მიზეზები; დირექტიული გეგმის ფორმირების პროცესი ყოფილ სსრ კავშირში; დაგეგმვის იდეის გონივრულობა; ინდიკატიური დაგეგმვა; კაცობრიობის წინაშე მდგარი დილემა: მეტის წარმოება და შექმნილის შედარებით უსამართლოდ განაწილება ან ნაკლების წარმოება და განაწილებაში მეტი სამართლიანობა.

თავი 5. შერეული ეკონომიკა როგორც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის რეალობა 161

კითხვები და სასწავლო დავალებები 162

სავარჯიშო ტესტები 164

თემა I ეკონომიკური თეორიის (ეკონომიკის პრინციპების) საგანი



თავი 1. ეკონომიკის არსი, ეკონომიკური თეორიის საგანი

დასაწყისისთვის გავერკვეთ, თუ რა არის **ეკონომიკა**.

მთელი თავისი არსებობის ისტორიაში ადამიანები სხვადასხვა სამეურნეო (ეკონომიკური) საქმიანობის საშუალებით ცდილობდნენ და უზრუნველყოფდნენ თავიანთი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, თავისი კეთილდღეობის ზრდას.

ეს ფრაზა ჩამოვაყალიბეთ და აქ უნდა შევჩერდეთ კიდეც: ეკონომიკა როგორ განვმარტოთ, თუ არ ვიცით, რა არის ადამიანის კეთილდღეობა.

საერთოდ კი უნდა მოგახსენოთ, რომ ეკონომიკურ თეორიაში ხშირად მოგვიწევს სხვადასხვა კატეგორიების და ტერმინების გაცნობა-განმარტება, ვინაიდან ეკონომიკის პრინციპები შეიძლება წარმოვიდგინოთ გარკვეულწილად როგორც ეკონომიკური კატეგორიებისა და ცნებების კომპლექსი (ერთობლიობა).

ამიტომ მოდით დავიწყოთ ადამიანის კეთილდღეობის განმარტებით. თითქოსდა ეს ყველასათვის გასაგები უნდა იყოს: კეთილდღეობა შეიძლება ძალიან უბრალოდ განვმარტოთ, როგორც „კარგი ცხოვრება", და სწორი ვიქნებით. მაგრამ ეს განსაზღვრება არც ისე ზუსტია.

ქუჩაში შეხვედრისას კითხვაზე „როგორ ბრძანდებით?" დიდი უმეტესობა პასუხობს: „კარგად". ჰოდა, დავუშვათ, რომ ნორმალურად ვცხოვრობთ და ვპასუხობთ: „კარგად ვართ". მაგრამ ყველა ადამიანის პასუხში ეს „კარგად ვარ" ხომ ინდივიდუალურია: ზოგი ამაში პირველ რიგში ჯანმრთელობას გულისხმობს, ზოგი მაღალ შემოსავალს, ზოგი ხშირ პურმარილს, ზოგი კიდევ შემოქმედებით საქმიანობას, მის დადებით შედეგებს და ა.შ. ზოგი კიდევ ყველაფერს ერთად.

„კარგად ვართ", პასუხობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, ინდოეთში და საქართველოში. მაგრამ ამ ცნებაში განა აბსოლუტურად ერთნაირი შინაარსია ყველა ქვეყანაში?

ამიტომ სწორი იქნება, თუ კეთილდღეობის ცნებას დავაკონკრეტებთ (შემოვფარგლავთ) და მის განმარტებაში შევიტანთ საქონლის (სიკეთეთა) მოხმარებას, სხვადასხვა მომსახურებას და არსებობის სხვა პირობებს, რომლებიც სჭირდება ადამიანს ნორმალური ცხოვრებისათვის. ამ შემთხვევაში შეიძლება კეთილდღეობის დონე შემდეგნაირად განვმარტოთ:

კეთილდღეობის დონე არის მოსახლეობის უზრუნველყოფა საქონლით, მომსახურებით და არსებობის იმ პირობებით, რაც აუცილებელია კომფორტული (კეთილმოწყობილი) და უსაფრთხო ცხოვრებისათვის.

თითქოსდა კეთილდღეობის ცნება ცოტა უფრო გასაგები გახდა, მაგრამ არც ისე, ვინაიდან ამ განმარტების ქვეშ იმდენი პარამეტრი შეიძლება იგულისხმო (იმდენი სახის საქონელი, მომსახურება და სხვა რამე მოიაზრო), რომ საერთოდ დაიბნევი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტების აზრით, ამა თუ იმ ქვეყანაში კეთილდღეობის დონეს ყველაზე ზუსტად წარმოაჩენს (განსაზღვრავს) **„ადამიანის განვითარების ინდექსი"**[1], რომელიც მოიცავს შემდეგ პარამეტრებს:

[1] **ინდექსი** (ლათ. Index მაჩვენებელი, სია) — ესაა ციფრობრივი მაჩვენებელი, ხშირად პროცენტებში, რომელიც გამოხატავს ეკონომიკური მოვლენის (ფასის, წარმოების მოცულობის და სხვ.) თანმიმდევრულ ცვლილებებს

- სიცოცხლის ხანგრძლივობას;
- განათლების დონეს;
- შემოსავალს მოსახლეობის ერთ სულზე.

ეს მაჩვენებლები განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების ხარისხს, გვაძლევს იმ პირობების მეტ-ნაკლებად სრულ, კომპლექსურ დახასიათებას, რომლებშიც ცხოვრობს ადამიანი, მატერიალური სიკეთისა და მომსახურების მოხმარების, განათლების და კულტურის ხელმისაწვდომობის, სამედიცინო მომსახურების სფეროს განვითარების და ეკოლოგიური გარემოს მდგომარეობის ჩათვლით.

ე.ი. (შეგახსენებთ) ჩვენ ამოცანა დავისახეთ, გავერკვეთ, თუ რა არის ეკონომიკა, ამისათვის კი გავეცანით ადამიანთა კეთილდღეობის კატეგორიას. სწორედ ამ კეთილდღეობის განმტკიცება-გაუმჯობესებისაკენ იყო მიმართული ადამიანის ყოველგვარი და უპირატესად ეკონომიკური (სამეურნეო) საქმიანობა მთელი მისი არსებობის ისტორიაში. მაშასადამე, **ეკონომიკა არის ადამიანის საქმიანობის ის სახეები, რომლებიც უზრუნველყოფს დედამიწაზე მისი არსებობის მატერიალურ და სხვა პირობებს, ე.ი. განსაზღვრავს მის კეთილდღეობას.**

ეკონომიკის შექმნით, გააზრებულ სამეურნეო საქმიანობაზე გადასვლით ადამიანმა თვისებრივი ნახტომი გააკეთა თავის განვითარებაში. ამის წყალობით ის ერთადერთი არსებაა, რომელიც იმაზე მეტს მოიხმარს, რაც დედამიწაზე მზამზარეულად ხვდება. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს მეცნიერების და ტექნიკის განვითრების წყალობით ხდება, და სწორი ვიქნებით: ადამიანი განუწყვეტლივ ეძებს სიახლეს, გამუდმებით ცდილობს შეიმსუბუქოს შრომა და მისი ნაკლები დანახარჯებით მეტი შედეგი მიიღოს[1]. მაგრამ ეს ნახევარი სიმართლეა, ალბათ. სწორია უდავოდ მოსაზრება: ადამიანებს თავიანთი საქმიანობის, ერთმანეთთან ურთიერთობის ეკონომიკური მექანიზმები რომ არ შეექმნათ, შეიძლება ისინი დღემდე გამოქვაბულიდან ვერ გამოსულიყვნენო.


რა ეკონომიკურ მექანიზმებზეა საუბარი? ჩვენ მათ შემდგომში უფრო დაწვრილებით შევეხებით. აქ კი შეიძლება საერთო, განზოგადებული განმარტება ჩამოვაყალიბოთ: **ეკონომიკური მექანიზმები არის ადამიანების მიერ თავიანთი კეთილდღეობის ამოცანების გადაწყვეტის დროს მათი სამეურნეო (თუ სხვა) საქმიანობაში ძალისხმევის გაერთიანების საშუალებები და ფორმები.**

ეკონომიკა ცივილიზაციის თავისებური კარკასია (ჩონჩხია), მისი ის მდგრადი საფუძველია, რომელსაც ემყარება საზოგადოების არსებობის, მისი ფუნქციონირების თითქმის ყველა დანარჩენი პარამეტრი. მისი წყალობით ხდება პირველ რიგში ადამიანის ძირითადი მატერიალური (ფიზიოლოგიური) მოთხოვნილებების დაკმაყოფილება — საჭმელზე, წყალზე, ტანსაცმელზე, საცხოვრებელზე, ავადობის აცილებაზე, გვარეულობის კვლავწარმოებაზე; ეს არის აგრეთვე მისი სხვა (კულტურული და ა.შ.) მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საფუძველი.

ადამიანების მოთხოვნილებები, მათი სურვილი მრავალფეროვანია. ცნობილმა ამერიკელმა სოციოლოგმა **აბრაჰამ მასლოუმ** სპეციალური პირამიდა შემოგვთავაზა, რომელიც აღწერს ადამიანთა მოთხოვნილებების და სურვილების მრავალფეროვნებას და აკეთებს მათ თავისებურ რანჟირება-დაწყობას (**ნახ. 1.1.**).

ეკონომიკური თეორია სწავლობს საზოგადოების წევრების ერთობლივად ეკონომიკური ფუნქციონირების მექანიზმებსა და კანონზომიერებებს, რაციონალური ეკონომიკური საქმიანობის წესებს. საქმიანობის ასეთი ხასიათის აუცილებლობა კი იმით არის განპირობებული, რომ საზოგადოებაში მისი წევრების მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო **რესურსები ყოველთვის შეზღუდულია, მათ მწარმოებლურობას კი ზღვრული და კლებადი ხასიათი აქვს.** ამიტომ ადამიანი იძულებულია იმოქმედოს ყოველთვის გააზრებულად და წინდახედულად, ეცადოს გონივრულად (ეკონომიურად, რაციონალურად) გამოიყენოს არსებული რესურსები. ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **ეკონომიკური თეორია რესურსებს კი არ შეისწავლის, როგორც ასეთს, არამედ ადამიანების ეკონომიკურ ქცევას ამ რესურსების გა-**

[1] შემთხვევითი კი არ არის სახუმარო ანდაზური თქმა, რომ „ქონება შრომით კი არ არის შექმნილი, არამედ სიზარმაცითო".



ნახ. 1.1. ადამიანთა მოთხოვნილებების პირამიდა

მოყენება-სარგებლობაში. ამასთან მათი ეს რაციონალური ეკონომიკური ქცევა (ე.ი. დანახარჯების მინიმიზაცია და მაქსიმალური შედეგის მიღება) ისეთი უნივერსალური პრინციპია, რომ მეცნიერები ხშირად იყენებენ მას ადამიანის არაეკონომიკურ სფეროებში ქცევის მოტივაციის ასახსნელადაც. ნობელის პრემიის ლაურეატმა ამერიკელმა ეკონომისტმა **ჯერი ბეკერმა** მეტად ორიგინალურად დაასაბუთა, რომ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორიცაა სასურველი ოდენობის ბავშვის ყოლა ოჯახში, დანაშაულის ჩადენა, განათლების გაგრძელების გადაწყვეტილების მიღება და სხვა, ადამიანი სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობს. მაშასადამე, **ეკონომიკური რაციონალურობა არის გადაწყვეტილებების შერჩევის საშუალება (ხერხი), რომელიც საჭირო (და შეზღუდული) რესურსების შესაძლებლად მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეკონომიკური შედეგების მიღების მისწრაფებას ეყრდნობა.**

მაქსიმალურ ეკონომიკურ რაციონალურობას კი პირველ რიგში ადამიანების ერთობლივად საქმიანობა განაპირობებს. საქმე ისაა, რომ ცოცხალ არსებათა სხვადასხვა ინდივიდებს შორის ფუნქციების ბუნებრივ დანაწილებაში კაცობრიობამ თვისებრივი ცვლილებები შეიტანა: მან ამ დანაწილებას ადამიანებს შორის შრომის დანაწილება დაუმატა. თემის, ოჯახის და საზოგადოების სხვადასხვა წევრებმა სხვადასხვა საქმეს მოჰკიდეს ხელი; ამას კი ერთობლივი საქმიანობის უკეთესი საბოლოო შედეგების მიღება განაპირობებდა. უფრო მეტიც, შრომის დანაწილების პირობებში ადამიანების ერთად (ერთობლივად) საქმიანობა უკვე გარდუვალი გახდა (ერთს ერთი აუცილებელი საქმე შეუძლია, მეორეს — მეორე).

შრომის დანაწილება არის ადამიანთა ეკონომიკური თანამშრომლობის მექანიზმი, რომელიც გულისხმობს, რომ მათი ერთი ჯგუფი (ან ერთი ადამიანი) ერთ გარკვეულ საქმეს აკეთებს, ერთ საქმიანობაზე სპეციალიზდება, რომელშიც მას (ადამიანს), როგორც წესი, შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია.

რაკი ასეა და ადამიანები ცალკეულ, განსხვავებულ საქმიანობაზე არიან სპეციალიზებული, მათ ერთმანეთში კავშირი უნდა დაამყარონ, უპირველესად თავიანთი საქმიანობის შედეგები გაუცვალონ ერთიმეორეს. და ეს საქმიანობა (ნუ დაგვავიწყდება!) რესურსების შეზღუდულობის პირობებში ხდება სისტემატურად. ამასთან ეს კავშირები მარტო გაცვლით არ ამოიწურება, ისინი ამავდროულად მოიცავენ წარმოებას, განაწილებას და მოხმარებას. ეს კი (ადამიანების ურთიერთკავშირი წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების, ანუ კვლავწარმოების პროცესში) ეკონომიკური კავშირები, ეკონომიკური ურთიერთობებია. ამ ურთიერთობების დროს ადამიანების ქცევა-საქმიანობას, მათ მიერ სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღებას გარკვეული კანონზომიერებები განსაზღვრავს. განზოგადებულად სწორედ ეს პრობლემებია **ეკონომიკური თეორიის საგანი.** ე.ი. ადამიანების ეკონომიკური ურთიერთობები მათ გადაწყვეტილებებში და ქცევა-საქმიანობაში გამოიხატება. მაშასადამე, **ეკონომიკური თეორია წარმოადგენს საზოგადოებრივ მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის შეზღუდული რესურსების გამოყენებისას ადამიანებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს და მათი ეკონომიკური ქცევის (სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღების) კანონზომიერებებს და საერთო პრინციპებს, ამ პროცესში მოქმედ ეკონომიკურ მექანიზმებს; მისი კვლევის დედაღერძია ის ეკონომიკური ურთიერთობები და ადამიანთა ქცევის კანონზომიერებები, რომლებიც მყარდება კვლავწარმოების პროცესში შეზღუდული რესურსების და მათი ზღვრული და კლებადი მწარმოებლურობის პირობებში.**

ზემოდასახელებული ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობა განაპირობებს იმას, რომ ეკონომიკური თეორია (და განსაკუთრებით კონკრეტული ეკონომიკური დისციპლინები) გვერდს ვერ აუვლის თვით ადამიანის (როგორც შეგნებული სუბიექტის) არსის ზოგიერთ მხარეს; იგი სწავლობს ადამიანის, ადამიანთა ჯგუფების შრომითი, მეწარმეობრივი თუ სხვა საქმიანობის (ქცევის) მოტივაციის საკითხებს.

წარმატებითი მეურნეობრიობის უზრუნველსაყოფად მეწარმემ უნდა იცოდეს, რა ასულდგმულებს ადამიანს, როდესაც ის არჩევანს აკეთებს და იძენს ამა თუ იმ საქონელს; ის უნდა გაერკვეს და გამოიყენოს ადამიანის (მუშაკის) მაღალმწარმოებლური შრომის მოტივაციები, ასევე ამა თუ იმ საქონლის (მომსახურების) შეძენის განწყობის განმაპირობებელი მოტივები. მაშასადამე **ეკონომიკური თეორია სწავლობს ეკონომიკურ ადამიანს** (Homo economics).

ეკონომიკური თეორია თავისი საგნის კვლევას მჭიდროდ უკავშირებს საზოგადოებრივ შეგნებას, საზოგადოების მენტალიტეტს, ჩვეულებსა და კულტურას, სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ინსტიტუტების საქმიანობას, ეროვნულ ტრადიციებს, რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე ქცევის ნორმებს. კვლავწარმოებითი (ეკონომიკური) ურთიერთობები არ არსებობს ორგანიზაციული, მორალური, სამართლებრივი და ა.შ. ინსტიტუტების გარეშე. სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციული ფორმები, საზოგადოებრივი შეგნება, ხალხის განწყობა (მენტალიტეტი) და ა.შ. აქტიურად ზემოქმედებს ეკონომიკურ განვითარებაზე, კვლავწარმოების ფორმებზე და ტემპებზე, აძლევს მათ ამა თუ იმ მიმართულებას. შეიძლება ეს დიდ (შორეულ) პერსპექტივაში გადამწყვეტი არ იყოს, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია მოცემული პერიოდისათვის, კონკრეტული სიტუაციისათვის, კონკრეტული საზოგადოებისათვის.

დაბოლოს, განზოგადებულად: **ეკონომიკური თეორიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აღმოაჩინოს კანონები, რომლებიც მართავს ეკონომიკას — წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას (ე.ი. მთლიანად კვლავწარმოებას), და ხელი შეუწყოს ადამიანების მიერ მათ შეგნებულ გამოყენებას.** ამის აუცილებლობა იმით არის განპირობებული, რომ ეკონომიკური კანონები სამეურნეო საქმიანობის აუცილებელ, ობიექტურ, განმეორებად მიზეზობრივ-შედეგობრივ კავშირებს გამოხატავს.

თავი 2. ეკონომიკის 10 პრინციპი: საერთო დახასიათება

ამ თავში „პრინციპების" მხოლოდ უბრალო ჩამოთვლით და საერთო დახასიათებით შემოვიფარგლებით, ვინაიდან მთლიანად ეკონომიკური თეორიის საგნის გადმოცემა მნიშვნელოვანწილად სწორედ მათი გაცნობა — გათავისებაა.

ცნობილია, რომ **ეკონომიკური მეცნიერების თეორიები (დებულებები, კონცეფციები) ცვალებადია, ხანმოკლე ხასიათისაა, სხვადასხვანაირია. ე.ი. აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არის.** ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით მეცნიერებაში ერთგვარი შეთანხმება არსებობს იმაზე, რომ განზოგადებულად ეკონომიკის 10 პრინციპზეა (ამოსავალ, ძირითად დებულებაზეა) საუბარი მართლზომიერი.

ესენია:

1. **ადამიანი ირჩევს.** ნებისმიერი სუბიექტისთვის (და საერთოდ საზოგადოებისათვის) რესურსები ყოველთვის შეზღუდულია. მაშასადამე, რამე რომ გააკეთო (განახორციელო), აუცილებელია მათი ისეთი კომბინაციის შერჩევა, რომელიც მაქსიმალურ უკუგებას მოგვცემს, მაქსიმალურად შედეგიანი იქნება, შედარებით ნაკლები დანახარჯებით მეტ შედეგს მიგვაღებინებს.

   ავიღოთ მაგალითი (№1). *ვთქვათ, სტუდენტს სადილისათვის (შიმშილის დასაკმაყოფილებლად) გადადებული აქვს 3 ლარი (ეს მისი შეზღუდვაა). აქედან გამომდინარე, სასადილოში შემოთავაზებული ფართო მენიუდან ის შეუკვეთავს (შეარჩევს) კატლეტს კარტოფილით, რომელიც ღირს 2 ლარი და 80 თეთრი, და არა მწვადს, რომლის საფასურად უნდა გაიღოს (პირობითად) 5 ლარი.*

   მაგალითი №2. *ვთქვათ, გერმანულმა ფირმა „მერსედესმა" უნდა გამოუშვას მოთხოვნის მქონე ახალი მსუბუქი ავტომანქანა. ამერიკულმა და იაპონურმა ფირმებმა მას შესთავაზეს მანქანაზე დასაყენებელი ძრავის პრაქტიკულად ერთნაირი მახასიათებლების მქონე 2 ნიმუში, ღირებული, შესაბამისად, $3000 და $4000. გასაგებია, რომ მანქანის გამომშვები ფირმა ამერიკელთა შემოთავაზებას მისცემს უპირატესობას.*

   დაბოლოს, მე-3, უფრო განზოგადებული მაგალითი. *დავუშვათ, რომ ქვეყანაში შესაძლებელია წლის განმავლობაში Q მოცულობის დოვლათ-სიკეთის წარმოება — რეალიზაცია. ეს არის იმ შემოსავლის შეზღუდვა, რომელიც შეიძლება განაწილდეს ქვეყნის მოსახლეობაში. ვთქვათ, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ საკითხი, თუ როგორ განაწილდეს ეს ერთობლივი შემოსავალი მოსახლეობაში: თანაბრად („სამართლიანად") თუ ისე, როგორც აქამდე იყო, ანუ წარმოების პროცესში მონაწილე სუბიექტთა (მხარეთა) ურთიერთშეთანხმების შედეგად. ამ შემთხვევაში უპრიანი იქნება დავტოვოთ (შევარჩიოთ) განაწილების მეორე პრინციპი, ვინაიდან, თუ პირველ პრინციპს ავირჩევთ (გათანაბრება), შემდგომში გასანაწილებელი შემოსავალი (Q) უფრო ნაკლები იქნება, რადგან შემოსავლის განაწილების ჩვენს მიერ მწარმოებლებისათვის თავს მოხვეული პრინციპი მათი საქმიანობის მოტივაციას დააქვეითებს (შეამცირებს).*

   ე.ი. პრინციპი „ადამიანი ირჩევს" ნიშნავს იმას, რომ რაღაც ამოცანის მისაღწევად (მოთხოვნის დაკმაყოფილებაა ეს, მოთხოვნის მქონე პროდუქციის გამოშვება თუ სივრცეში გადაადგილება) ადამიანი შეაჯერებს ერთმანეთს ამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯებს და შეარჩევს უმცირესს; ხარჯების გაღება კი აუცილებელია ნებისმიერი სასურველი შედეგის მისაღებად. ტყუილად კი არ ამბობენ ხატოვნად, რომ „უფასო სადილი არ არსებობსო".

   ამასთან არჩევანის სიცხადე (სიაშკარავე) არ ნიშნავს ყოველთვის გარდუვალობას. იგივე განაწილებაში, გამოთანაბრებითი პრინციპის მიუღებლობის მიუხედავად, პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში ხდება პირველადი განაწილების შედეგების (წარ-

მოების ფაქტორების მწარმოებლურობის შესაბამისად — ამ წესს ჩვენ მოგვიანებით გავეცნობით) — შემდგომში ერთგვარი კორექტირება.

2. **რაღაცის ღირებულება (ფასეულობა) არის ის, რაზედაც უარი ვთქვით სამეურნეო თუ სხვა გადაწყვეტილების მიღებისას.** ეს არის დაკარგული (ხელიდან გაშვებული) შესაძლებლობების დანახარჯები, **ალტერნატიული დანახარჯები** (Opportunity cost), იგივე **დაკისრებული დანახარჯები**.
არჩევანის გაკეთებისას ადამიანმა უნდა შეუპირისპიროს ერთმანეთს მიღებული (ან შესაძლო მისაღები) სიკეთე იმ სიკეთე-სარგებლიანობას, რისი მიღებაც შეიძლებოდა იმავე დანახარჯებით სხვანაირი გადაწყვეტილების მიღება-გატარებისას.
განვიხილოთ მაგალითი, როდესაც სტუდენტი იღებს კოლეჯში ჩაბარების გადაწყვეტილებას. ამ გადაწყვეტილების გატარების შედეგად მის მიერ მისაღები სიკეთეა ინტელექტი და პერსპექტიული სამუშაო, დანახარჯები კი: 1) წიგნები, საცხოვრებლის ქირა და სხვ.; 2) სტუდენტის დრო (უფრო სწორად, დროსთან დაკავშირებული დანახარჯები — თუკი სტუდენტი სწავლობს, ის კარგავს საშუალებას იმუშაოს და მიიღოს შემოსავალი); 3) სტუდენტის ალტერნატიული არჩევანი (ხომ შეეძლო სტუდენტს უარი ეთქვა სწავლაზე და, ვთქვათ, ფეხბურთელის ნიჭით დაჯილდოებული ლიონელ მესივით (Lionel Messi) წარმატებული თუ არა, ცნობილი, მაღალანაზღაურებადი სპორტსმენი გამხდარიყო).
როგორც ვხედავთ, ეს პირდაპირი (ცხადი) დანახარჯები არ არის, მაგრამ მათი გააზრება-გაანგარიშება აუცილებელია, ვინაიდან სწორედ ამ დაკარგულ, არმიღებულ, ალტერნატიულ სიკეთეთა შორის ყველაზე დიდი სიკეთის სარგებლიანობა — ფასეულობაა ჩვენი გადაწყვეტილების ნამდვილი ღირებულება.

3. **რაციონალური ადამიანები ზღვრული ცვლილებებით აზროვნებენ (ცვლილებების ზღვარზე რეაგირებენ).** ცხოვრებაში რაღაც გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის ნიშნავს უკვე არსებულ გეგმაში გარკვეული ცვლილების შეტანას; ამ ცვლილებებს ეკონომისტები **ზღვრულ ცვლილებებს** უწოდებენ.
ადამიანები გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, ზღვარზე ღებულობენ. მაგალითად, თუ თქვენ სადილის შემდეგ ხენდროს მიირთმევთ, ხოლო მისი მარაგი საკმარისზე მეტი გაქვთ, საკითხს, როდის უნდა შეწყვიტოთ ეს პროცესი (ჭამა), წყვეტთ იქიდან გამომდინარე, თუ რა სიამოვნება მოგიტანათ უკანასკნელმა (ზღვრულმა) პროდუქტმა (ხენდრომ).
ზღვრული ცვლილებების (ტერმინების) ანალიზი ხელს უწყობს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას:
მაგალითად, უშუალოდ თვითმფრინავის გაფრენის წინ დარჩენილი ავიაბილეთების გაყიდვა სასარგებლოა მგზავრთა გადაყვანის საშუალო დანახარჯზე დაბალ ფასადაც კი, მაგრამ არა იმაზე იაფად, ვიდრე დაჯდება ამ დამატებითი (ზღვრული) მგზავრის გადაყვანა. თუ თვითმფრინავის ბილეთი, ვთქვათ, 120 დოლარია, ხოლო ერთი მგზავრის გადაყვანასთან დაკავშირებული ხარჯები $100 (პირობითად საწვავი და მფრინავთა ხელფასი — $90 და მგზავრის კვება $10), ავიაკომპანიას შეუძლია თვითმფრინავის გაფრენის წინ თავისუფალი ადგილების არსებობის პირობებში გაყიდოს ბილეთი 11 დოლარადაც კი, რადგან თვითმფრინავი უნდა გაფრინდეს ნებისმიერ შემთხვევაში და საწვავი და მფრინავთა ხელფასი მაინც ასანაზღაურებელია. ამიტომ ის $1, მართალია, უმნიშვნელო, მაგრამ შემოსავალია კომპანიისათვის. აი, $10-ად და ნაკლებად კი უკვე აღარ ღირს ბილეთის გაყიდვა, რადგან კომპანია ამით კიდევ უფრო იზარალებს.

4. **ადამიანები რეაგირებენ სტიმულებზე.** სწორედ სტიმულს უჭირავს ცენტრალური ადგილი ადამიანების ქცევაში, ამ ქცევის ცვლილებებში.
მაგალითად, როდესაც იზრდება ფასები ვაშლზე, ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებას იყიდონ მსხალი ან ქლიავი. მათ ხილზე ნაკლები ხარჯების გაღების სურვილი ამოძრავებს. როცა ვაშლი ძვირდება, მისი პლანტაციის მეპატრონეები ცდილობენ მეტი ადამიანები დაასაქმონ (დაიქირავონ): მათ მეტი მოგების მიღების სურვილი უბიძგებს ამისაკენ.

ზემოჩამოთვლილი ოთხი პრინციპი (1-4) გვიჩვენებს ინდივიდების რეაგირებას სტიმულებზე, მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს.
ქვემოთ მოყვანილი სამი პრინციპი (5-7) კი ეხება საზოგადოების წევრების ურთიერთობებს:

5. **ვაჭრობა სიკეთეა ყველა ამ პროცესში მონაწილესათვის.** შრომის დანაწილება, მ. შ. **შრომის საერთაშორისო დანაწილება,** განაპირობებს მეტი დოვლათის (საქონლის) წარმოებას და წარმოებულის ხარისხის გაუმჯობესებას. ე.ი. ადამიანებმა (ქვეყნებმაც) ერთმანეთს უნდა გაუცვალონ შექმნილი სიკეთეები, რომ მეტი სარგებლობა მიიღონ.
ვაჭრობა სპორტი და კაზინო კი არ არის, სადაც ერთი იგებს და მეორე აგებს (ზარალდება). აქ ორივე მხარე მოგებული რჩება — ანუ ბაზრის კონკურენტები იმავდროულად პარტნიორები არიან.
აი, როგორ.
აშშ და იაპონია ვაჭრობის სფეროში ერთმანეთთან მუდმივად პაექრობენ („ფორდი" კონკურირებს „ტოიოტასთან", „კომპაქი" — „ტოშიბასთან" და ა.შ.). მაგრამ ეს ქვეყნები ხომ მაინც ვაჭრობენ ერთმანეთთან, თანაც სულ უფრო და უფრო აღრმავებენ ამ ურთიერთობებს.
საქმე ისაა, რომ ვაჭრობა ხელს უწყობს სპეციალიზაციის გაღრმავებას: იმისათვის, რომ მეტი გაყიდო, უფრო მეტად უნდა დაიხვეწო და დახელოვნდე; საქმის დახვეწა და მასში დახელოვნება კი კიდევ უფრო მეტი პროდუქციის გასაღების გარანტიაა.
ეს იმას ნიშნავს, რომ, რაც უფრო მეტია სავაჭრო ურთიერთობების მოცულობა ქვეყნებს შორის, მით მეტი და ხარისხიანი დოვლათის (საქონლის) წარმოებაა შესაძლებელი ამ ქვეყნებში და ამას შრომის დანაწილება (სპეციალიზაცია) და მისი გაღრმავება განაპირობებს.

6. **ბაზარი ჩვეულებრივად ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციის საუკეთესო საშუალებაა.** სსრ კავშირი ცენტრალიზებული (დაძალებით წარმართვადი) ეკონომიკის მქონე ქვეყანა იყო. აქ სახელმწიფო განაგებდა ეკონომიკას მთლიანად: ვის, რა და რა რაოდენობით უნდა ეწარმოებინა, რა ფასებში გაეყიდა — ამას სხვადასხვა უწყებები წყვეტდნენ.
ასეთი მიდგომა ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომლის მიხედვით მთავრობას ექსკლუზიურად ხელეწიფება ეკონომიკის მართვა და შეუძლია ქვეყნის მეურნეობრიობის გაძღოლა და აყვავება. მაგრამ პრაქტიკამ დაასაბუთა, რომ ასეთი მიდგომა არარეალისტური და უტოპიურია.
საბაზრო ეკონომიკაში კი იმას, თუ რა იქნეს წარმოებული, ვისთვის და რა ფასად გაიყიდოს,ფირმები და საოჯახო მეურნეობები თვითონ წყვეტენ. ერთი შეხედვით, პარადოქსულად ჩანს: როგორ არ იწვევს ქაოსს მილიონობით ინდივიდის მიერ დამოუკიდებელი და განსხვავებული მეურნეობრივი გადაწყვეტილებების მიღება? მაგრამ **საბაზრო ეკონომიკა თავისუფალი კონკურენციის, ხელშეუხებელი საკუთრებისა და თავისუფალი ფასების (ე.წ. „უხილავი ხელის") მექანიზმების გამოყენებით წარმატებით ახერხებს თვითრეგულირებას.**

7. მაგრამ...**ზოგჯერ ხელისუფლებას ძალუძს (და ვალდებულიც კია) დადებითად იმოქმედოს ბაზარზე.**
ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ არსებობს: ე.წ. **ექსტერნალიური და ინტერნალიური მოვლენები**; ეკოლოგია; საზოგადოებრივი მოხმარების საქონლის წარმოება; მონოპოლიური ძალაუფლების არდაშვების აუცილებლობა; ზოგჯერ მეტი ეფექტიანობის და განაწილებით ურთიერთობებში მეტი სამართლიანობის მიღწევის საჭიროება (ამ საკითხებზე შემდგომში ვრცელი საუბარი გვექნება, აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ასეთი საქმიანობა ბაზარს ხელარეწიფება).

ზემოგანხილული 7 პრინციპი ერთობლივად არის სწორედ „ეკონომიკა", უფრო სწორად, კონკრეტული სამეურნეო სუბიექტების გადაწყვეტილებები და ურთიერთობები (მიკროეკონომიკა). შემდეგი სამი პრინციპი ეხება ეკონომიკის მთლიანად ფუნქციონირებას.

8. **მოსახლეობის ცხოვრების დონე საბოლოო ჯამში განისაზღვრება ქვეყნის უნარიანობით აწარმოოს საქონელ-მომსახურება, ანუ მწარმოებლურობის დონით.** მაშასადამე, ყურადღება წარმოებას უნდა მიექცეს პირველ რიგში, და არა განაწილება-გადანაწილებას, რომელიც ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ხდება.
ამასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო მოვლენას შევეხებით. უნდა გავითავისოთ, რომ ბიუჯეტის დეფიციტის (ხარჯების შემოსავალზე მატება) დაფინანსება, როგორი მიზეზიც არ უნდა ჰქონდეს მას, ამცირებს ინვესტიციებს (დეფიციტის დასაფარავად ხელისუფლება იღებს სესხს, შესაბამისად, მცირდება ერთობლივი დანაზოგი, ნაკლები სახსრები წარიმართება სხვა მიმართულებებზე). მაშასადამე, მცირდება წარმოება და, როგორც შედეგი, კლებულობს მოსახლეობის ცხოვრების დონე. ცხოვრების მაღალი დონის ფუნდამენტი მწარმოებლურობაა; მაშასადამე, უპირველესი ამოცანა მუშაკთა განათლება-პროფესიონალიზმისადმი, მოწინავე ტექნოლოგიებისადმი და ადამიანების შრომის საშუალებებისადმი დაშვებაში (დასაქმებაში) უნდა ვეძებოთ.

9. **ფასები მაშინ იზრდება (ინფლაცია), როდესაც მიმოქცევაში იმაზე მეტი ფული აღმოჩნდება, ვიდრე საჭიროა** *(მნიშვნელობა არა აქვს იმას, ეს ფული უგუნურმა მთავრობამ გამოუშვა, თუ ეკონომიკაში მიმდინარე სხვა პროცესების შედეგია).*
მაღალი ინფლაცია ყოველთვის იწვევს უარყოფით სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს, სხვადასხვა საზოგადოებრივი დანახარჯების მატებას; მაშასადამე, ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა ყველა მთავრობისათვის აუცილებელია.

10. **მოკლევადიან პერსპექტივაში საზოგადოებამ არჩევანი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის უნდა გააკეთოს.**
მიჩნეულია, რომ ჩვეულებრივად უმუშევრობა და ინფლაცია ერთმანეთის საწინააღმდეგო მოვლენებია. მაგრამ ეს დებულება მართლზომიერია მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში, ვინაიდან ფასები ნელა რეაგირებს მიმოქცევაში ფულის მოცულობის ცვლილებებზე (განსაკუთრებით მათ შემცირებაზე). ამიტომ მთავრობის პოლიტიკის გრძელვადიანი ეფექტების მისაღწევად, მიმოქცევაში ფულის მოცულობაზე ტრადიციული ზემოქმედების ნაცვლად (ამაზეც გვექნება შემდგომში საუბარი), ხშირად სხვა, განსხვავებული ღონისძიებების გატარებაა საჭირო.

თავი 3. ეკონომიკური თეორიის ფუნქციები და მეთოდები

ეკონომიკური თეორიის ფუნქციებში გარკვევა ნიშნავს გავიგოთ ის, თუ რა ევალება ეკონომიკურ თეორიას, რაში მდგომარეობს მისი მნიშვნელობა, რაშია მისი დანიშნულება. ეს მეტად მრავალფეროვანი პრობლემა-ამოცანაა. მაგრამ განზოგადებულად, ძირითადის გამოყოფით და შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მომენტებიდან აბსტრაქციით შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ ეკონომიკური თეორიის ფუნქციები:

1. **შემეცნებითი (თეორიული) ფუნქცია;**
2. **მეთოდოლოგიური ფუნქცია;**
3. **პრაქტიკული, ანუ პრაგმატული, ფუნქცია;**
4. **კრიტიკული ფუნქცია;**
5. **საპროგნოზო ფუნქცია.**

1. **შემეცნებითი (თეორიული) ფუნქციის** მეშვეობით ეკონომიკური თეორია სწავლობს ეკონომიკურ ურთიერთობებსა და მათი განვითარების, ადამიანთა სამეურნეო ქცევის კანონებს, ამ კანონების ურთიერთდამოკიდებულებასა და მათ დამოკიდებულებას წარმოების ფაქტორებთან, საზოგადოების მენტალიტეტთან, ე.ი. იმას, თუ რა ხდება ამ სფეროში. მისი ამოცანაა ღრმად და ყოველმხრივ გამოიკვლიოს მატერიალური დოვლათისა და მომსახურების წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება საზოგადოებაში მისი განვითარების მთელ მანძილზე, ახსნას ეკონომიკური პროგრესის ან რეგრესის მიზეზები.

2. **ეკონომიკური თეორიის მეთოდოლოგიური ფუნქცია**[1] იმაში გამოიხატება, რომ ის ეკონომიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა დისციპლინების გარკვეულწილად თეორიულ ფუნდამენტს და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. ის ამუშავებს თავისთვის და სხვადასხვა ეკონომიკური დისციპლინებისათვის გამოსადეგ მეთოდებს, საშუალებებს და მეცნიერულ ინსტრუმენტებს (ინსტრუმენტარიუმს), რომელთა გამოყენებით შესაძლებელი ხდება მდგომარეობის ობიექტური ანალიზის გაკეთება და წინადადებების გამომუშავება.
ეკონომიკურ თეორიასთან ერთად, მის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას იყენებენ სხვადასხვა მეცნიერებათა შესაყარზე არსებული დარგებიც (ეკონომიკური გეოგრაფია, დემოგრაფია, ეკონომიკის ისტორია, მართვის თეორია და სხვა). ამასთან ეს იმას არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ ეკონომიკური თეორია, სხვებთან შედარებით, რაღაც ზემეცნიერებაა და სხვა დისციპლინები მასთან ერთგვარ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფება. არავითარ შემთხვევაში: ყველა მეცნიერებას (თუ ის მართლა მეცნიერებაა) თავისი საგანი და თავისი ფუნქცია გააჩნია. ეკონომიკური თეორია, თავის მხრივ, იყენებს ფილოსოფიის, მათემატიკის და სხვა მეცნიერებების მიერ დამუშავებულ მეთოდებსა და ხერხებს.

3. **პრაქტიკული (პრაგმატული) ფუნქცია.** ჭეშმარიტი მეცნიერული ეკონომიკური თეორია ემყარება ცხოვრებისეულ ფაქტებს და პრაქტიკულ გამოცდილებას, ახდენს მათ თეორიულ განზოგადებას და სთავაზობს საზოგადოებას, ხელისუფლებას ეკონომიკურ საქმიანობაში გამოსაყენებელ სასარგებლო რჩევა-წინადადებებს. ნებისმიერ ცოდნას, იმასაც კი, რომელიც ცხოვრების სიღრმისეულ საფუძვლებს ეხება და იცნობს, თვისთავად კი არა აქვს ნამდვილი ფასი, არამედ ძირითადად მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი წინადადებები გამოსადეგია საზოგადოებისათვის. ეკონომიკური თეორია სწორედ ის ფუნდამენტური მეცნიერებაა, რომელიც უნდა

[1] მეთოდოლოგია (*ბერძნ.* Methodos — მეთოდი და Logos — მოძღვრება) ესაა მოძღვრება მეცნიერული შემეცნების ორგანიზების, ფორმების და საშუალებების, ანუ მეთოდების, თაობაზე.

ჩაწვდეს ეკონომიკური ცხოვრების არსში და გამოიმუშაოს ეკონომიკის განვითრების ხელშემწყობი წინადადებები.
ეკონომიკური თეორიის დასკვნებსა და წინადადებებს ფართოდ გამოიყენებს არა მარტო სახელმწიფო, ხელისუფლება, არამედ თვით ბიზნესიც, როგორ საკუთრებრივ საწყისებზე არ უნდა იყოს ის დამყარებული. ეკონომიკური თეორიის დახასიათებისას ხაზს უსვამენ მის შემოქმედებით ხასიათს, ის ყოველთვის ახლის ძიებაშია. სწორედ თანამედროვე პირობებში იძენს სულ უფრო მეტ მნიშვნელობას ეკონომიკური თეორიის (განსაკუთრებით მაკროეკონომიკის) ეს პრაქტიკული (პრაგმატული) ფუნქცია. იგი გამოიხატება ნაციონალური მეურნეობრიობის ფუნქციონირების პრინციპების და მეთოდების შემუშავებაში, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერულ დასაბუთებაში, ეკონომიკური მეცნიერების მიღწევების ბიზნესის საქმიანობისას გამოყენებაში. მეცნიერები უშუალოდ მონაწილეობენ ეკონომიკური სტრატეგიის (საზოგადოების ხანგრძლივი სამეურნეო პოლიტიკის) ჩამოყალიბებაში. ეკონომიკური თეორიის პრაქტიკული ფუნქცია თავის განხორციელებას ეკონომიკური პოლიტიკის ყოველ ეტაპზე და ეკონომიკური საქმიანობის ყველა დონეზე პოულობს და თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის რეალურ დადასტურებას წარმოადგენს. ეკონომიკური თეორია მაშინაა მატერიალური ძალა, როდესაც იგი, ღრმად მეცნიერული და აბსოლუტურად ობიექტური, საზოგადოებრივი კვლავწარმოების ოპტიმალურ მართვაში გამოიყენება, ხელს უწყობს მეწარმეობრივი საქმიანობის სწორად წარმართვას. ეკონომიკური თეორია მჭიდრო კავშირშია სხვა მეცნიერებებთან და სახალხო მეურნეობის ყველა დარგთან, ის საზოგადოების განვითრების ამა თუ იმ ეტაპზე სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების (მათ შორის ეკონომიკის კარდინალური გარდაქმნის ოპტიმალური ვარიანტის ჩამოყალიბების) თეორიული საფუძველია.

4. **კრიტიკული ფუნქცია.** იმისათვის, რომ ეკონომიკურ თეორიას მაქსიმალურად მეცნიერული ხასიათი (დონე) ჰქონდეს, აბსოლუტურად აუცილებელია, რომ ის მოვლენებს იხილავდეს კრიტიკულად, გამომდინარე იქიდან, რომ ეს მოვლენები, ეს კანონები, როგორც წესი, ისტორიული, გარდამავალი და წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, მუდამ ცვლილებაში და მოძრაობაშია, რომ ისინი ხშირად სხვადასხვა პირობებში სულ სხვადასხვანაირად გამოიყურებიან (მოქმედებენ). მას არ უნდა ახასიათებდეს აპოლოგეტიკა[1], აკვიატებული მოსაზრებები. აბსოლუტური ჭეშმარიტებაა მოსაზრება, რომ „ეკონომიკურ თეორიას ლოზუნგები არ უყვარს". ეკონომიკური თეორია მუდამ უნდა ცდილობდეს იყოს ობიექტური და ამისათვის კრიტიკულ ქარცეცხლში უნდა ატარებდეს საკუთარ მოსაზრებებსა და დებულებებს, ადარებდეს მათ რეალურ ცხოვრებას, პრაქტიკას და აკორექტირებდეს საჭიროების შესაბამისად.

5. მეტად მნიშვნელოვანია **ეკონომიკური თეორიის საპროგნოზო ფუნქცია.** ხშირად ეკონომიკის წარმატებითი ფუნქციონირება ვერ მოხერხდება, თუ თეორიულად ვერ იქნა განჭვრეტილი მოვლენების განვითრების ტენდენციები. ამიტომ (და საერთოდ) თეორიულ საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა აქვს პროგნოზირებას, იმის დადგენას და წინასწარმეტყველებას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მოვლენების ასე თუ ისე განვითრებას, ხელისუფლების მიერ მიღებული ზომების გატარებას, ბიზნესში გამოყენებულ ღონისძიებებს.

სანამ ეკონომიკური თეორიის კონკრეტულ მეთოდებზე საუბარს შევუდგებოდეთ, სხვადასხვა მეცნიერებების საერთო (საყოველთაო) მეთოდზე მოგახსენებთ რამდენიმე სიტყვას.

ეკონომიკური თეორიის მიერ რეალური ცხოვრების შემეცნების მეცნიერულ და საყოველთაო საშუალებად ბევრი თეორეტიკოსი-მეცნიერი ე.წ. **დიალექტიკურ მეთოდს** აღიარებს. დიალექტიკური მეთოდის უმაღლესი პრინციპია რეალური ცხოვრებისადმი ერთგულება, ამ

[1] **აპოლოგეტიკა** (*ბერძნ.* Apologetikos — დაცვითი) ნიშნავს რისამე თავგამოდებით დაცვას, ნაცვლად ობიექტური მსჯელობისა.

ცხოვრების შინაგანი ობიექტური დიალექტიკის (განვითრების) წარმოსახვა. მეცნიერების დიალექტიკური მეთოდი მოითხოვს, რომ მოვლენები (და მათ შორის ეკონომიკური მოვლენები) შესწავლილ იქნეს საყოველთაო ურთიერთკავშირში და ურთიერთდამოკიდებულებაში, განუწყვეტლივ მოძრაობა-განვითარებაში, როდესაც რაოდენობრივი ცვლილებების დაგროვებას თან სდევს ხარისხობრივი მდგომარეობის ცვლილება. განვითარების წყაროდ, მის მიზეზად დიალექტიკა აღიარებს წინააღმდეგობათა ერთიანობასა და ბრძოლას, რომლებიც განუწყვეტლივ და ობიექტურად თან სდევს მოვლენებს.

დიალექტიკა ფილოსოფიური კატეგორიაა. ფილოსოფია კი, როგორც მოძღვრება საზოგადოების, ბუნებისა და აზროვნების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად ეკონომიკური თეორიის და სხვა მეცნიერებათა მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. ის ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენებს განიხილავს ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულებაში, მუდმივ მოძრაობასა და განვითრებაში. ვიწრო გაგებით, **დიალექტიკა არის წინააღმდეგობის შესწავლა თვით საგნის არსში.** წინააღმდეგობა კი, როგორც ერთიანობის გაორება და მის განცალკევებულ ელემენტებს (მოვლენებს) შორის ბრძოლა, დიალექტიკის არსი, მისი ბირთვი და, მაშასადამე, განვითრების საფუძველია. წინააღმდეგობის გარეშე განვითარება არ არსებობს — ამ ზოგად პრინციპს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ პრობლემათა კვლევისას. თეორიული ეკონომიკა (ეკონომიკური თეორია) შემოქმედებითად უნდა იყენებდეს დიალექტიკის პრინციპებს ეკონომიკური ურთიერთობების, ადამიანების სამეურნეო ქცევის წარმოების ფაქტორებთან და საზოგადოების სოციალურ-კულტურულ ცხოვრებასთან ურთიერთკავშირის კვლევის პროცესში. მისი მეთოდის სპეციფიკა ამა თუ იმ წყობილების (სოციალურ-ეკონომიკური წესრიგ-სისტემის) სამეურნეო ურთიერთობების ფუნქციონირების სპეციფიკაშია, რომელთაც მნიშვნელოვანწილად წარმოების ფაქტორებსა და ეკონომიკურ ურთიერთობებს შორის წინააღმდეგობების თავისებურებები განაპირობებს.

შემეცნების დიალექტიკური მეთოდი განზოგადებული, სხვადასხვა მეცნიერებაში გამოყენებადი მეთოდია. ის მოითხოვს თავად ეკონომიკური მოვლენის არსში წინააღმდეგობის არსებობის აღიარებას და ახსნას. ეს მეთოდი თითქოსდა საბჭოურ პოლიტეკონომიასაც აღიარებული ჰქონდა შემეცნების მთავარ მეთოდად, მაგრამ ამას ძირითდად ფორმალური ხასიათი ჰქონდა: კაპიტალისტურ წყობილებაში ის მხოლოდ წინააღმდეგობებს ხედავდა, თანაც უარყოფდა, რომ თვით ამ სისტემაში ერთდროულად არსებობს ან წარმოიშობა მათი გადაწყვეტის გზები, საბჭოურ სოციალიზმს კი, მისი მტკიცებით, სერიოზული წინააღმდეგობები საერთოდ არ ახასიათებდა.

შემეცნების საყოველთაო მეთოდთან ერთად (დიალექტიკურ მეთოდთან ერთად), **ეკონომიკური თეორია იყენებს მთელ რიგ კონკრეტულ მეთოდებსა და ხერხებს,** კერძოდ:

- **სტატისტიკურ დაკვირვებებს;**
- **ჰიპოთეზის[1] წამოყენებას და შემოწმებას;**
- **ანალიზსა და სინთეზს;**
- **ინდუქციას და დედუქციას;**
- **სისტემურ მიდგომას;**
- **პროცესების მოდელირებას;**
- **ექსპერიმენტების ჩატარებას და სხვა.**

შემეცნების ეს მეთოდები და ხერხები, შეიძლება ითქვას, უნივერსალურია (მათ იყენებს როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საზოგადოებრივი მეცნიერებები) და მათი უმეტესობა ფილოსოფიის შესწავლის საგანია.

ეკონომიკური მოვლენების და კავშირების აღქმა-გაგებაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს მათი გაუბრალოებული თეორიების — **მოდელების** სახით გადმოცემას, რომლებიც გრაფიკების და განტოლებების ფორმით წარმოჩინდება.

[1] **ჰიპოთეზა** (*ბერძნ.* Hypothesis — ვარაუდი) არის მეცნიერული ვარაუდი, რომელიც წამოყენებულია რაღაც მოვლენის ასახსნელად და შემდგომში დასასაბუთებლად.

ავიღოთ **გრაფიკი**[1] და განვიხილოთ მასზე შემოსავლისა და მოხმარების კავშირი. ეს კავშირი, როგორც წესი, პირდაპირია, ვთქვათ, ისეთი, როგორც ქვემოთ მოტანილ ცხრილშია:

შემოსავალი (კვირაში, ლარი)	მოხმარება (კვირაში, ლარი)	წერტილი
0	50	A
100	100	B
200	150	C
300	200	D
400	250	E
500	300	F
600	350	G

ცხრილში საუბარია ფაქტების მხოლოდ ორ ჯგუფზე. მაშასადამე, მათ საფუძველზე უბრალო ორგანზომილებიანი გრაფიკი აიგება.

ჩვენი მონაცემებიდან დეტერმინული (ე.ი. განმსაზღვრელი) მნიშვნელობა აქვს შემოსავალს. მაშასადამე, როგორც წესია, მისი მონაცემები აღვნიშნოთ (განვალაგოთ) აბსცისაზე, ე.ი. გრაფიკის ჰორიზონტალურ (თარაზულ) ღერძზე. მოხმარება კი არის შემოსავალზე დამოკიდებული ცვალებადი სიდიდე, მის მონაცემებს განვალაგებთ ორდინატაზე, ე.ი. ვერტიკალურ (შვეულ) ღერძზე.

დაგვრჩა მარტო მასშტაბის აღება. ვთქვათ, სიდიდეების 100 ლარით ზრდა უდრის ერთ სანტიმეტრს. მაშინ მივიღებთ შემოსავლის და მოხმარების ურთიერთკავშირის ქვემოთ მოტანილ გრაფიკულ გამოსახულებას (**ნახ. 1.2.**).

გრაფიკის B, C, D, E... წერტილებზე ადგილი აქვს „შემოსავალ-მოხმარების“ თავისებურ შეხამებას (შეწყობას, შეთავსებას). მასში აღმავალი ხაზი გვიჩვენებს, რომ მოვლენებს შორის პირდაპირი (დადებითი) კავშირი არსებობს, ე.ი. ორივე ცვლადი (სიდიდე) ერთი მიმართულებით იცვლება.

ჩვენი მაგალითისაგან განსხვავებით, შებრუნებულ კავშირს (უკუფარდობას) აქვს ადგილი, ვთქვათ, ფეხბურთის სტადიონზე ბილეთების ფასებსა და მაყურებელთა რაოდენობას შორის.


რეალური სინამდვილის ღრმა შემეცნების მეთოდია მეცნიერული **აბსტრაქცია**[2]. ამ მეთოდით მოვლენის შესწავლისას ჩვენ ვახდენთ შემთხვევითისაგან, გარდამავლისაგან, არამნიშვნელოვანისაგან, ერთეულისაგან აბსტრაჰირებას და ყურადღება გადაგვაქვს ტიპურზე, მნიშვნელოვანზე, მყარზე, მდგრადზე და მტკიცეზე.

სწორედ აბსტრაქციის მეთოდი იძლევა საშუალებას დავადგინოთ, შევამჩნიოთ და ვიპოვოთ მოვლენის არსი, გადავიდეთ ერთი დონის (ერთი რიგის, ერთი წყების ან ერთი ხასიათის) არსისაგან მეორე, უფრო მაღალ რაობამდე (არსამდე).

მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ფასების ცვლილებები (ინფლაციის პროცესი). ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი რამე მოქმედებს ამ პროცესზე, რანაირი მიზეზი არ განაპირობებს კონკრეტულ ცვლილებებს გარკვეულ პერიოდში (ვთქვათ, ჭორი). ეკონომიკური თეორია კი უნდა გაერკვეს ასეთი ცვლილებების საერთო არსში. სხვათა შორის, ამ არსის, ძირითადი

[1] **გრაფიკი** არის საშუალება ნახაზის სახით, რომლის მეშვეობით ეკონომისტები გამოხატავენ ხშირად თავიანთ თეორიებსა და მოდულებს.

[2] **აბსტრაქცია, აბსტრაჰირება** (ლათ. Abstractio — მოცილება, მოშორება) — 1) რაიმე არაარსებითი ნიშნების უგულებელყოფა და არსებითი ნიშნების გამოყენება აზროვნებაში; განყენება, განზოგადება; 2) ასეთი პროცესის შედეგად მიღებული განყენებული ცნება.



ნახ. 1.2. შემოსავლის და მოხმარების მოძრაობის გრაფიკი.

მიზეზების ცოდნა გაუადვილებს მას იმის გარკვევას, თუ რა მოხდა რეალურად კონკრეტულ შემთხვევაში.

ცნობილია, რომ ფასების ჩამოყალიბების საფუძველი არის **მოთხოვნის და მიწოდების კანონი**, რაც საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ ფასების კონკრეტული ცვლილებების შინაგან, კანონზომიერ ლოგიკაში, გავაკეთოთ სწორი, მართებული პროგნოზი.

აბსტრაჰირების საშუალებით სწორი დასკვნის გაკეთებისათვის, იმისათვის, რომ დავადგინოთ მოვლენების განვითარების კანონზომიერი, ტიპური ტენდენციები, საჭიროა შევისწავლოთ მიზეზთა მთელი ერთობლიობა (რა თქმა უნდა, ძირითად, მდგრად მოვლენათა), რომელიც ამ შესასწავლ მოვლენას (არეს, სფეროს) ეხება, და არა ცალკეული ფაქტები.

აბსტრაჰირების შედეგად ეკონომიკურ თეორიას გამოჰყავს (ის აყალიბებს) ეკონომიკური კატეგორია, ე.ი. მეცნიერული ტერმინი, რომელიც ახასიათებს ეკონომიკურ მოვლენათა მხარეებს (მაგალითად, **ფასი, ანაბარი**).

მეტად საჭიროა, რომ თითქმის ყოველგვარი კვლევის (ანალიზის) ერთი აუცილებელი პირობა დავიმახსოვროთ (გავითავისოთ). ეს არის

Ceteris paribus ("ცეტერის პარიბუს"),
ე.ი. „სხვა თანაბარ პირობებში".

ეს პირობა იმას გულისხმობს, რომ მოვლენა ჩვენი კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების შესაბამისად მხოლოდ იმ პირობებში წარიმართება, თუ, ჩვენ მიერ აღებული და ანალიზში ჩართული პარამეტრების გარდა, მასზე მოქმედი სხვა ფაქტორები არ იცვლება. ეს კი არც ისე ხშირად ხდება, უფრო პირიქით. სწორედ ამიტომ არის ძალზე გართულებული ეკონომიკური

კვლევა, ამიტომაა გაძნელებული ეკონომიკის განვითარების სწორი პროგნოზის გაკეთება, ამიტომ აქვთ აქ გამოტანილ დასკვნებს უფრო მეტი ცდომილება, ვიდრე, ვთქვათ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში.

აი, რას წერდა ბუნებისა და ეკონომიკის კანონებზე გენიალური მეცნიერი ფიზიკოსი (ასტრონომი) **ალბერტ აინშტაინი**: *„შეიძლება კაცს მოეჩვენოს, რომ არ არის არსებითი მეთოდოლოგიური განსხვავება ასტრონომიასა და ეკონომიკას შორის: ორივე სფეროს მეცნიერები ცდილობენ აღმოაჩინონ მოვლენათა გარკვეული ჯგუფებისადმი ზოგადგამოსაყენებელი კანონები, რათა ამ მოვლენათა ურთიერთკავშირი უფრო გასაგები გახადონ. მაგრამ სინამდვილეში ასეთი მეთოდოლოგიური განსხვავება არსებობს. ეკონომიკის დარგის ზოგადი კანონების აღმოჩენა გაძნელებულია იმ გარემოებით, რომ დაკვირვებისათვის არჩეულ ეკონომიკურ მოვლენებზე ხშირად ახდენს გავლენას მრავალი ფაქტორი, რომელთა ცალ-ცალკე შეფასება ერთობ ძნელია“.*

დაბოლოს, იმ მოსაზრებების გადმოცემა, თუ რას შეისწავლის და როგორ შეიცნობს ეკონომიკური თეორია, გვინდა დავამთავროთ შემდეგი შეკითხვით და მასზე პასუხის გაცემით: რა არის შემეცნების შედეგებისა და დასკვნების სისწორის კრიტერიუმი? როგორ გავიგოთ, ადეკვატურად ასახავს თუ არა ჩვენი მეცნიერება რეალურ სინამდვილეს, მის მოთხოვნებს?

ამის დადგენა-გარკვევის კრიტერიუმია საზოგადოებრივი პრაქტიკა, თვით ეკონომიკის განვითარება.

თემის დასრულებისას კი კიდევ ერთი თავისებური შეგონება.

ბატონებო! თქვენ გაეცანით (წაიკითხეთ) სახელმძღვანელოს პირველ თემას ეკონომიკურ თეორიაში. გვინდა ის დავამთავროთ **„ეკონომიკსის“** ავტორების **პოლ სამუელსონის** და **უილიამ ნორდჰაუზის** შემდეგი სიტყვებით:

„აქტიურად იკითხეთ! დასვით შეკითხვები საკუთარი თავის წინაშე: რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? რა არის ამ პოზიციის მაგალითი? იდავეთ და იკამათეთ თეორიებსა და მაგალითებზე. კარგი საკვების მსგავსად, ეკონომიკსი მით უფრო დაგასაჩუქრებთ, თუ გულმოდგინედ გადაღეჭავთ მის ყოველ ულუფას.

ღმერთმა დაგლოცოთ!

შემოგნატრით თქვენ, რომელნიც პირველად მიეშურებით ეკონომიკსის მღელვარე სამყაროს შესასწავლად.

ეს ამაღელვებელია და, აფსუს, რომ მისი განცდა მხოლოდ ერთხელ შეიძლება ცხოვრებაში.“

კითხვები და სასწავლო დავალებები

1. ადამიანი კეთილდღეობის ამაღლებისათვის (კომფორტისათვის) მიისწრაფვის, და ეს კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა.
   მაგრამ ერთადერთი?
   რა განაპირობებს კაცობრიობის პროგრესს?
2. შეგიძლიათ დაასახელოთ ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც თან სდევს კაცობრიობის მისწრაფებას იცხოვროს კომფორტულად?
3. კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობა კეთილდღეობისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ ზოგიერთი უგულებელყოფს (არაფრად აგდებს) მას, სძაგს კიდეცაც.
   რა არის ასეთი აზროვნების მიზეზი?
   შეიძლება ასეთი მოსაზრება მთლიანად კაცობრიობისათვის საზიანოდ (მავნედ) შეერაცხოთ?
4. შეგიძლიათ დაასახელოთ ერთი სახის ცოცხალ არსებებს შორის ადრე და ამჟამად არსებული ფუნქციების განაწილება?
5. რა არის კეთილდღეობა და მისი დონე?
6. მაქს პლანკმა (ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი) ერთხელ მორცხვად აღნიშნა, რომ მან თავისი საქმიანობა ეკონომისტობით დაიწყო, მაგრამ შემდეგ თავი დაანება ამ სპეციალობას, ვინაიდან ის ძალიან მძიმეა (რთულია).
   როდესაც ეს ამბავი მათემატიკური ლოგიკის პიონერს ბერტრან რასელს მოუყვეს, მან გაიკვირვა: „ეს უცნაურია. მე ეკონომიკურ თეორიას იმიტომ დავანებე თავი, რომ ის ძალზე უბრალოდ მეჩვენა".
   რა კომენტარს გაუკეთებდით თქვენ ამ ორ მოსაზრებას?
7. რაში ხედავთ თქვენ ეკონომიკური თეორიის განსხვავებას სხვა დისციპლინებისაგან?
8. რა არის მოხმარება და დაგროვება (დანაზოგი)?
9. რა არის ეკონომიკა და ეკონომიკური მექანიზმები?
10. რა არის ძირითადი მატერიალური მოთხოვნილებები და მოთხოვნილებების როგორი რანჟირება შეგიძლიათ თქვენ გააკეთოთ?
11. რა არის შრომის დანაწილება და რა შედეგები მოჰყვება მას?
12. რა არის შრომის მწარმოებლურობა?
13. როგორ გესმით თქვენ მოსაზრება, რომ „ეკონომიკური თეორია ლაბორატორიული მეცნიერება არ არის"?
    რა მნიშვნელობა აქვს ამ მოსაზრებას?
14. როგორ გესმით თქვენ ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მეცნიერი ეკონომისტის ჯონ მეინარდ კეინსის შემდეგი სიტყვები: „ეკონომიკური თეორია გამზადებული რეკომენდაციების ნაკრები კი არ არის, რომელიც უშუალოდ გამოიყენება სამეურნეო პოლიტიკაში. ეს მოძღვრებაზე უფრო მეთოდი, ინტელექტუალური ინსტრუმენტი და აზროვნების ტექნიკაა, რომელიც ეხმარება მას დაუფლებულს სწორი დასკვნების გამოტანაში"?
15. როგორ გესმით თქვენ ამერიკელი მეცნიერის ჯონ გელბრაითის შემდეგი სიტყვები: „ნამდვილი ეკონომისტი ვერ იქნება პოპულარული პიროვნება"?
16. ერთხელ ჯ. კეინსმა ეკონომისტების სადღეგრძელო დალია, რომლებიც, მისი თქმით, „შესაძლებელს ხდიან ცივილიზაციას".
    რა კომენტარს გაუკეთებდით თქვენ ამ მოსაზრებას?
17. მაკონელისა და ბრიუს „ეკონომიკს"-ში მოცემულია საზოგადოების წინაშე არსებული შემდეგი ამოცანები:
    - ეკონომიკური ზრდა — ე.ი. სასურველია მეტი და უკეთესი ხარისხის საქონლის და მომსახურების წარმოება, ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ცხოვრების უფრო მაღალი დონე;

- სრული დასაქმება — შესაფერისი სამუშაოთი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველა, ვისაც სურს და შეუძლია მუშაობა;
- ეკონომიკური ეფექტიანობა — ჩვენ გვინდა მივიღოთ მაქსიმალური უკუგება შეზღუდული საწარმოო რესურსების მინიმალური დანახარჯებით;
- ფასების სტაბილური დონე — თავიდან უნდა ავიცილოთ ფასების მნიშვნელოვანი მომატება და შემცირება, ე.ი. ინფლაცია და დეფლაცია;
- ეკონომიკური თავისუფლება — საწარმოების მმართველობას, მუშებს და მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ თავიანთ ეკონომიკურ საქმიანობაში თავისუფლების მაღალი დონე;
- შემოსავლის სამართლიანი განაწილება — მოსახლეობის არც ერთი ჯგუფი არ უნდა იყოს უკიდურესად ღარიბი, როდესაც სხვები ფუფუნებაში ცხოვრობენ;
- ეკონომიკური უზრუნველყოფა — უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ქრონიკულად დაავადებულების, არაშრომისუნარიანების, მხცოვანების და სხვა მისთ. არსებობა;
- საგარეო-სავაჭრო ბალანსი — უნდა ვესწრაფოდეთ, რომ საგარეო ვაჭრობაში და საერთაშორისო საფინანსო გარიგებებში გვქონდეს გონივრული ბალანსი.

თანახმა ხართ თუ არა თქვენ, რომ ეს არის საზოგადოების წინაშე მდგარი ძირითადი ეკონომიკური ამოცანები?

დაასაბუთეთ შეძლებისდაგვარად თქვენი მოსაზრებები.

18. ადრე ამტკიცებდნენ (ზოგს დღესაც ასე მიაჩნია), რომ საზოგადოების წინაშე უპირველესად შემდეგი ამოცანები დგას: 1) პროგრესი, 2) სტაბილურობა, 3) სამართლიანობა და 4) თავისუფლება.
განიხილეთ, ეთანხმება თუ არა ეს ამოცანები მე-17 საკითხის ამოცანებს.
შეიძლება დავასახელოთ სხვა ამოცანებიც: ა) გარემოს გაჭუჭყიანების დონის შემცირება; ბ) თავისუფალი დროის გაზრდა; გ) სამამულო მეწარმეების დაცვა უცხოური კონკურენციისაგან. როგორ ფიქრობთ, ამ ამოცანებიდან რომელია შეთავსებადი მე-17 საკითხის ამოცანებთან?

სავარჯიშო ტესტები

შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი

№1. ადამიანების კეთილდღეობისათვის ზრუნვა არის:

1) კაცობრიობის ცივილიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა;
2) ადამიანების თავკერძა (ეგოისტური) ინტერესების გაღვივების მიზეზი;
3) შრომის მწარმოებლურობის განუხრელი ზრდის მიზეზი.
4) მეწარმეთა (ბიზნესმენთა) ყოველდღიური ყურადღების საგანი.

№2. ეკონომიკური თეორია არის:

1) ძალიან რთული მეცნიერება;
2) ძალიან ადვილი მეცნიერება;
3) ზუსტი მეცნიერება.
4) ეკონომიკურ თეორიას მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ მეცნიერება.

№3. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება იწვევს:

1) ადამიანების გაუცხოებას;
2) სამუშაო პროცესის გართულებას;
3) შრომის მწარმოებლურობის ზრდას;
4) საქონლის ხარისხის გაუმჯობესებას.

№4. ეკონომიკური თეორია არის:

1) სამეურნეო საქმიანობაში გამოსაყენებელი სასარგებლო რეკომიენდაციების ერთობლიობა;
2) აზროვნების უნარი — ტექნიკა, რომელიც სწორი დასკვნის (გადაწყვეტილების) გაკეთებაში გვეხმარება;
3) სხვა ეკონომიკური დისციპლინების ფუნდამენტი.
4) ზუსტი მეცნიერება.

№5. ნამდვილი მეცნიერი ეკონომისტი:

1) არის პოპულარული პიროვნება საზოგადოებაში;
2) არ შეიძლება იყოს პოპულარული პიროვნება საზოგადოებაში;
3) არის მარტო ის, ვისაც მხოლოდ ექსპერიმენტების შედეგების სჯერა;
4) არის მიუკერძოებელი მკვლევარი.

№6. ეკონომისტი, რომელიც საზოგადოებას რაღაცის გაკეთებას სთავაზობს:

1) მისდევს ნორმატიული ეკონომიკის მოთხოვნებს;
2) არის პოლიტიკოსი;
3) როგორც წესი, აბნევს საზოგადოებას;
4) მხოლოდ საკუთარი თავკერძა ინტერესების დაკმაყოფილებისათვის ზრუნავს.

№7. როგორც წესი, სამეურნეო საქმიანობაში ეკონომიის ლოგიკას მისდევს:

1) მწარმოებელი;
2) მომხმარებელი;
3) სახელმწიფო.
4) ეკონომიის ლოგიკას საქმიანობაში არც ერთი სამეურნეო სუბიექტი არ იყენებს.

№8. ადამიანის მოთხოვნილებები:

1) განუსაზღვრელია;
2) შეზღუდული და უცვლელია;
3) ცვალებადი და ზრდადია.
4) ადამიანების მოთხოვნილებების გაზომვა და რანჟირება შეუძლებელია.

№9. ეკონომიკური თეორია (ეკონომიკის პრინციპები) არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს:

1) ეკონომიკურ რესურსებს, კაპიტალს, ფულს;
2) ადამიანის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის შეზღუდული რესურსების გამოყენების მექანიზმებს და საშუალებებს;
3) იმ ფაქტობრივ მოვლენებს, რომლებიც მოქმედებს ეკონომიკის მდგომარეობაზე;
4) საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია საქონლის წარმოება-გაცვლასთან.

№10. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან საბაზრო ეკონომიკისათვის არ არის დამახასიათებელი:

1) გაცვლით ურთიერთობებში ფულის გამოყენება;
2) მთავრობის მიერ ფასების ცენტრალიზებულად განსაზღვრა;
3) საგარეო ვაჭრობის თავისუფლება;
4) სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობა.

თემა II წარმოების ფაქტორები, მათი შეზღუდულობა და გამოყენება



თავი 1. წარმოების ფაქტორები (ეკონომიკური რესურსები) როგორც ღირებულების შექმნის სუბსტანცია

I თემაში ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის თაობაზე, რომ შრომის დანაწილების გამო ადამიანებს შორის ურთიერთობები აუცილებელია: მათ ერთმანეთს უნდა გაუცვალონ თავიანთი ნაწარმი, მომსახურება („მე შენ ავტომობილს შეგიკეთებ, შენ კი კაფელი დამიგე აბაზანაში"). ამ მოსაზრებას აქ იმასაც დავუმატებთ, რომ გაცვლის განწყობა — მიდრეკილება საერთოდ დამახასიათებელია ადამიანებისათვის, ეს მათი სხვა არსებებისაგან განსხვავებულობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშან — თვისებაა (როგორც **ადამ სმითი** ამბობდა, ჯერ არავის უნახავს, რომ ერთმა ძაღლმა მეორეს რაიმე გაუცვალოსო).

ამასთან საქონელზე (მომსახურებაზე) მოთხოვნა რომ იყოს და ის გაიყიდოს, აუცილებელია, რომ ის ადამიანის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს და რომ რომელიმე ადამიანმა ან ადამიანების ჯგუფმა მოისურვოს ეს ნაწარმი (მომსახურება) და ამის სანაცვლოდ რაღაცა გაიღოს. როგორც ადრე ითქვა, ადამიანი უპირველესად ძირითად (ფიზიოლოგიურ) მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს, მაგრამ, ამის გარდა, მას ინტელექტუალური სტიმულებიც ასულდგმულებს.

ფართო გაგებით შეიძლება ითქვას, რომ **ჩვენი მოთხოვნილებები განუსაზღვრელია, უთვალავია; ამავდროულად ისინი ცვალებადია.** თუ ჩვენ საკვები და ჩასაცმელი საკმარისი გვაქვს იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ შიმშილს და სიცივეს, სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილი გვიჩნდება; ისინი აქამდე მიძინებული, მიჩუმათებული იყო, ამჯერად კი წინ წამოიწევა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილი-განწყობაც იცვლება თვისებრივად და რაოდენობრივად. შეძლებული ცხოვრების პირობებში ტანსაცმელი, რა თქმა უნდა, მარტო სიცივისაგან თავის დაცვის საშუალება კი არ არის, არამედ ინდივიდუალობის გამოხატვის და ზოგი სხვა მიზნის მიღწევის ატრიბუტიცაა.

მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სიმწვავე განაპირობებს ამა თუ იმ სიკეთის ადამიანის მიერ შეფასებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაბამისად (კვალობაზე) იცვლება ადამიანის დამოკიდებულება ამა თუ იმ ნივთის (საქონლის, მომსახურების) სარგებლიანობაზე (ფასეულობაზე, ღირებულებაზე): ადამიანი, რომელსაც 10 000 დოლარი აქვს, 1 დოლარს გაცილებით უფრო ნაკლებად აფასებს, ვიდრე ის პიროვნება, ვისაც 10 დოლარი აბადია. გამოდის, რომ **საქონლის ფასეულობა (ღირებულება) არის ადამიანის (ინდივიდის) დამოკიდებულება ნივთთან, და არა ამ ნივთის შინაგანი (იმანენტური) თვისება. რაც უფრო სრულად არის დაკმაყოფილებული ადამიანის მოთხოვნილება ამა თუ იმ ნივთზე (სიკეთეზე), მით უფრო ნაკლებ ფასეულობას ანიჭებს მას პიროვნება — მაშასადამე, დოვლათის სარგებლიანობა (ფასეულობა) მისი რაოდენობის ფუნქციაა.** თუ ჩვენ რომელიმე მოთხოვნილებას განუსაზღვრელი მოცულობის ნივთი (დოვლათი) აკმაყოფილებს, ამ დოვლათში ადამიანი ფაქტობრივად საერთოდ ვერ ხედავს ღირებულებას (მას ფასეულობას არ ანიჭებს).

შეგახსენებთ ერთ ხუმრობას, რომელიც, ვფიქრობთ, დამაჯერებლად გვიჩვენებს მოთხოვნილების ამა თუ იმ ინტენსივობით დაკმაყოფილების კვალობაზე ამ სიკეთის სარგებლიანობის ცვლილებას.

ახლადდაქორწინებული წყვილის მშვენიერი ნახევარი სამზარეულო საქმიანობაში ნაკლებად დახელოვნებული იყო და სამუშაოდან დაბრუნებულ მეუღლეს ყოველ საღამოს მოხარშულ კარტოფილს, კარაქსა და მყავე კიტრს სთავაზობდა. თუ პირველ შემთხვევაში ამან ქმრის აღტაცება გამოიწვია („ეს განუმეორებელია!"), მეორე-მესამეჯერ კერძმა ნაკლებემოციური მოწონება მიიღო („ძალიან კარგია...", „გემრიელია..."), მაგრამ ერთ მშვენიერ საღამოს კარტოფილი... „პირუტყვის საკვებად" იქნა შერაცხული.

გამოდის, რომ **დოვლათის (საქონლის) ღირებულება (ფასეულობა) ობიექტური მოვლენა კი არ არის, როგორც ეს კლასიკოსებს და მარქსისტებს მიაჩნდათ, არამედ სუბიექტური ხასიათისაა.** ე.ი. მოთხოვნილებების ზრდის შესაძლებლობები ფაქტობრივად უსაზღვროა, ხოლო მათი მაქსიმალური დაკმაყოფილება, როგორც ფაქტი — (ე.ი. ისეთი რეალობა, და არა მისწრაფება, რომ ადამიანებს მეტი სურვილი არ ექნებათ) — განუხორციელებელი ზმანება.

ჯერ ერთი, დედამიწის მთელი რეგიონები დღესდღეობით შიმშილობენ, განვითარებულ ქვეყნებშიც კი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ბევრი რამე აკლია. მოთხოვნილებები იზრდება (ადრე მხცოვანი პიროვნება მხედველობის დაქვეითების დროს ლამაზი ხელჯოხით კმაყოფილდებოდა, დღეს კი ოპერაციის და მკურნალობის სხვადასხვა საშუალებებს მოითხოვს და ეძებს), ცხოვრების დონის თამასა მაღლა იწევს; ე.ი. მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის პერმანენტულად მზარდი რესურსებია საჭირო.

მეორე, რესურსები და წარმოების შესაძლებლობები კი, სამწუხაროდ, უსაზღვრო არ არის, შეზღუდულია. რა თქმა უნდა, მეცნიერებისა და ტენიკის განვითარების შედეგად წარმოებაში ახალ-ახალი რესურსები ერთვება, ძველების გამოყენება უმჯობესდება ისე, რომ ერთი და იგივე მოცულობის რესურსის საფუძველზე მეტი სარგებლიანობის მიღება ხდება. მიუხედავად ამისა, სრულიად გასაგებია, რომ შრომის, კაპიტალის და ბუნებრივი რესურსების დღევანდელი შესაძლო დანახარჯებით ეკონომიკას არ ძალუძს კაცობრიობის მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება, უფრო მეტიც, სიღატაკის ლიკვიდაციაც კი (ეს, სხვათა შორის, მათემატიკურადაც კია გაანგარიშებული).

ჩვენ აქ უკვე შევეხეთ ეკონომიკური თეორიის, ეკონომიკის (და საერთოდ ადამიანის არსებობის) ერთ-ერთ ფუნდამენტურ საკითხს — რესურსების პრობლემას. ცნობილია, რომ ნებისმიერი წარმოებისათვის, **ყოველგვარი მეწარმეობრივი საქმიანობისათვის საჭიროა შესაბამისი რესურსები, რომლებსაც ოთხ ნაირსახეობად ყოფენ და რომლებიც მეცნიერებაში ცნობილი იყო ადრე როგორც წარმოების ფაქტორები,** ხოლო დღეს აგრეთვე ხშირად **ეკონომიკურ რესურსებს** უწოდებენ. ეს არის **შრომა, კაპიტალი, მიწა და მეწარმეობრივი უნარი.** ადრე პრაქტიკულად ყველა და დღესაც ზოგიერთი მეცნიერი ეკონომიკური რესურსების მხოლოდ სამ ნაირსახეობად დაყოფას უჭერს მხარს და მეწარმეობრივი უნარი შრომის ფაქტორში შეჰყავს (ჩვენც თემის დანართში, რომელშიც უფრო დაწვრილებით იქნება განხილული ეს პრობლემა, სამ ფაქტორზე გვექნება საუბარი). დღეს წარმოების მე-5 ფაქტორად აღიარებენ აგრეთვე ხშირად სახელმწიფოს საქმიანობას — სახელმწიფო მომსახურებას. **სწორედ წარმოების ფაქტორებია ღირებულების შექმნის სუბსტანცია.**

განვიხილოთ ისინი.

შრომა

შრომა არის ფართო ტერმინი, რომლის ქვეშ იგულისხმება ადამიანთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები (უნარი), რომლებიც გამოიყენება საქონლის და მომსახურების წარმოების დროს. ეს არის მემანქანის, მხვნელ-მთესველის, მასწავლებლის, პროფესიონალი კალათბურთელის, ქვეყნის პრეზიდენტის და ა.შ. შრომა. მაგრამ აქ არ შედის წარმოების ორგანიზატორის (მეწარმის, ბიზნესმენის) საქმიანობა.

კაპიტალი

კაპიტალის (ანუ საინვესტიციო რესურსების) ქვეშ გულისხმობენ წარმოების ყველა საშუალებას (მანქანა-დანადგარებს, შენობა-ნაგებობებს, ყოველგვარ ხელსაწყოს, ნედლეულს, ენერგორესურსს, სატრანსპორტო და სხვა საშუალებებს), რომელიც გამოიყენება საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და საბოლოო მომხმარებლამდე მიტანისათვის და რომელიც მიღებულია წარმოების ადრინდელ პროცესში. ე.ი. ეს არ არის უშუალოდ მოსახმარად შექმნილი საქონელი, არამედ ის რესურსია, რომელიც შემდგომში მოსახმარი საქონლის წარმოებისათვის გამოიყენება.

კაპიტალს, მართალია, ზოგჯერ ბიზნესისათვის საჭირო მატერიალური რესურსების შესაძენად დაგროვილ (დაზოგილ) ფულსაც უწოდებენ[1], მაგრამ ამაში ერთგვარი პირობითობაა, ფაქტობრივად კაპიტალის მოცულობის გაორებაა, ვინაიდან **ფული, როგორც ასეთი, არაფერს ქმნის, ამიტომ პოლიტეკონომიური თვალსაზრისით ის კაპიტალი არ არის.**

მიწა

ამ ტერმინის ქვეშ, მიწასთან ერთად, იგულისხმება ყველა ბუნებრივი რესურსი, ბუნების მიერ მუქთად ბოძებული ყოველი სიკეთე, რომელიც საჭიროა და გამოიყენება წარმოების პროცესში (სახნავი მიწა, ტყეები, წყლის რესურსები, წიაღისეული მინერალები და სხვ.).

მეწარმეობრივი უნარი (ნიჭი)

მეწარმეობრივი უნარი არის ადამიანის განსაკუთრებული ფხიანობის უნარი (თვისება), რომელიც, როგორც მინიმუმი, მეწარმის ქვემოჩამოთვლილ შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ ფუნქციაში ვლინდება:

1) მეწარმე თავის თავზე იღებს სხვა დანარჩენი რესურსების გაერთიანებისა და საქონელ-მოსახურების წარმოების ორგანიზაციას. ამ საქმეში ის სანთლის ამნთებისა და თავისებური კატალიზატორის[2] როლს ასრულებს;
2) მეწარმე კისრულობს ბიზნესის (წარმოების) ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი გადაწყვეტილებების მიღების რთულ ამოცანას;
3) მეწარმე ახლის მაძიებელი და ნოვატორია, რომელიც კომერციულ საწყისებზე ითვისებს ახალ-ახალ საქონელს, მომსახურებას, ტექნოლოგიას;
4) მეწარმე არის პიროვნება, რომელიც რისკს ეწევა, თანაც მისი ამ რისკის შედეგი ხშირად გაურკვეველია: წამოწყებული საქმის შედეგად (განხორციელებით) მან შეიძლება არა მარტო მოგება არ მიიღოს, არამედ გაკოტრდეს კიდევაც.

მეწარმეობაზე მიღებული შემოსავალი მოგებაა, მიწაზე და კაპიტალზე — რენტული და პროცენტული შემოსავალი, ხოლო შრომაზე — ხელფასი.

საზოგადოებაში მთლიანად თუ მის ეკონომიკურ სტრუქტურებში წარმოებისათვის საჭირო ყველა რესურსი, როგორც ვიცით, შეზღუდულია, საჭიროზე (მოთოვნილებაზე), სასურველზე ნაკლებია, **რესურსების ნაკლებობა კი მათი საყოველთაო ეკონომიის აუცილებლობას იწვევს.** ეს იმას ნიშნავს, რომ მოქმედებს **რესურსების იშვიათობის კანონი**, ხოლო ეკონომიკას, ეკონომიკის სუბიექტს საქმე მუდმივად აქვთ არჩევანთან. ჩვენ ყველაფერი, რაც კი გვსურს, არ შეგვიძლია ერთდროულად გვქონდეს. საუბარია არა მარტო მიმდინარე (დღევანდელი) წარმოებისათვის საჭირო რესურსების არჩევაზე; დღესვე **აუცილებელია არჩევანი გაკეთდეს რესურსების ხარჯვა-გამოყენებასა და დაგროვებაზე (დაზოგვაზე), რომ ხვალ მეტის მოხმარება შევძლოთ.**


---

[1] ჩვენც ვხმარობთ ხანდახან კაპიტალის ტერმინს ასეთი მნიშვნელობით; მაგალითად, აქციების ფლობას კაპიტალის ფლობას ვუწოდებთ. ხმარობენ აგრეთვე კატეგორიას **„კაპიტალი და კაპიტალური აქტივები"**, რომელშიც იგულისხმება: შენობა-ნაგებობები, საწარმოო დანიშნულების ტექნიკა და მანქანა-დანადგარები, ინსტრუმენტები; მიწა; ნედლეული და მასალები; ენერგია და იდეები; კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა და ეკონომიკური შინაარსის სხვადასხვა ინფორმაცია. კაპიტალური აქტივია ფაქტობრივად საწარმოო დანიშნულების ყოველგვარი სიკეთე, რომელიც ბაზარზე ბრუნავს.

[2] **კატალიზატორი** (*ბერძნ.* Katalisis - დაშლა) — ნივთიერება, რომელიც აჩქარებს ქიმიურ რეაქციას

თავი 2. საწარმოო შესაძლებლობების მრუდი. ალტერნატიული ხარჯები

ქვემოთ მოყვანილ ნახაზზე (**ნახ. 2.1.**) მოცემულია ე.წ. „საწარმოო შესაძლებლობათა მრუდი". ის გვიჩვენებს სამომხმარებლო ღირებულებათა (ჩვენს შემთხვევაში კარაქი და ქვემეხები) წყვილის მაქსიმუმს, რომელიც შეიძლება გამოშვებულ იქნეს ეკონომიკაში არსებული რესურსების გამოყენებით (საუბარია იმაზე, როდესაც წარმოების მოცულობა მრუდზეა განლაგებული, ე.ი. მთლიანად გამოიყენება).



ნახ. 2.1. საწარმოო შესაძლებლობების მრუდი (ამ მრუდის აგებისას გაკეთებული გვაქვს დაშვება, რომ შეიძლება რესურსების შენაცვლება კარაქის და ქვემეხების წარმოებაში).

როგორც **2.1. ნახაზიდან** ჩანს, კარაქის წარმოების A წერტილიდან A_1 წერტილამდე უმნიშვნელო შემცირებამ მოგვცა ქვემეხების წარმოების ზრდა ნულიდან (O წერტილი) B1 წერტილამდე. შემდეგ კი კარაქის A_1 წერტილიდან A_2 წერტილამდე ზრდამ მოგვცა ქვემეხების B_1-დან B_2 წერტილამდე ზრდა (ე.ი. ქვემეხების ისეთივე ზრდას „შეეწირა" კარაქის მეტი წარმოება.

საწარმოო შესაძლებლობების მრუდის (იგივე ტრანსფორმაციის ფუნქციის) უარყოფითი კუთხე მიგვანიშნებს, რომ რესურსები შეზღუდულია: თუ ისინი მთლიანად გამოიყენება, ერთი საქონლის წარმოების ზრდას რომ მივაღწიოთ, აუცილებელია შევამციროთ მეორე საქონლის წარმოება. ამასთან, თუ მრუდს გავყვებით და კარგად დავაკვირდებით შემოფარგლული ფართის ცვლილებას (მრუდის უარაყოფითი კუთხე იზრდება), ერთ საინტერესო მოვლენას შევნიშნავთ: ყოველი შემდეგი ახალი ქვემეხის წარმოებისათვის აუცილებელია სულ უფრო მეტი რესურსის გაღება და სულ უფრო მზარდი მოცულობით კარაქის წარმოებაზე ხელის აღება (სულ უფრო მეტი კარაქის მსხვეპლად შეწირვა). ასევე იქნება, თუ ჩვენ გადავწყვეტთ კარაქის წარმოების გაზრდას ქვემეხების წარმოების ხარჯზე (სულ უფრ მეტი ქვემეხების „მსხვერპლი" დაგვჭირდება კარაქის ყოველ შემდგომ ზრდაზე). ნებისმიერი წარმოების ორგანიზაციის ამ კანონზომიერებას **„კლებადი ეფექტიანობის" მოვლენა** ეწოდება.

ზემომოყვანილი ნახაზიდან ჩანს, რომ, თუ რესურსები მთლიანად გამოიყენება, ჩვენ არ შეგვიძლია ერთდროულად ორივე საქონლის ზრდას მივაღწიოთ.


როგორც აღინიშნა, **ყოველგვარი სამეურნეო (მეწარმეობრივი) საქმიანობის ორგანიზაციისათვის აუცილებელია წარმოების ფაქტორები: შრომა, კაპიტალი და მიწა.** ეკონომისტები თვლიან, რომ **ერთ და იგივე პერიოდში პრაქტიკულად შეუძლებელია ყველა რესურსის გამოყენების ერთდროულად გაზრდა.** როგორც წესი, დროის მოკლე პერიოდში უცვლელი რჩება წარმოების ისეთი რესურსის გამოყენება, როგორიცაა კაპიტალი (საქარხნო და საფაბრიკო შენობა-ნაგებობები და მანქანები). ახალი სამუშაო ძალის მოზიდვა კი შედარებით ადვილია და უფრო ხშირად განიცდის ცვლილებებს წარმოების მოცულობის ცვლილებებთან დაკავშირებით.

როდესაც წარმოების ზრდაზეა საუბარი, თავიდან ეს პროცესი (დამატებითი სამუშაო ძალის მოზიდვით წარმოების ზრდის მიღწევა) სერიოზული უარყოფითი შედეგების გარეშე მიმდინარეობს, ვინაიდან სამუშაო ძალის ცვლების კოეფიციენტის მომატების, საზეგანაკვეთო სამუშაოების ზრდის საშუალება არსებობს. მაგრამ როგორც კი ეს პირობები ამოიწურება, კლებადი ეფექტიანობის მოვლენა მყისვე იჩენს თავს: წარმოების მატება, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ყოველი ახალი მუშაკის მიღებას (ე.ი. მისი შრომის ნაყოფიერება), თანდათანობით მცირდება, ის უკვე იმაზე ნაკლებია, რასაც მის მოსვლამდე ქარხანაში დასაქმებული თითოეული მუშაკი გამოიმუშავებდა.

ამ მსჯელობით ჩვენ მივადექით „კლებადი მწარმოებლურობის“ ფუნდამენტურ თვისებას (ეს, უფრო სწორად, კლებადი ეფექტიანობის თვისების გაგრძელებაა). **კლებადი მწარმოებლურობა ნიშნავს, რომ წარმოებაში ახალ-ახალი რესურსის (წარმოების რომელიმე ერთი ფაქტორის) ჩართვა სხვა ფაქტორების მოცულობის უცვლელობის პირობებში კი იწვევს წარმოების ზრდას, მაგრამ ამ მატების მოცულობა თანდათანობით კლებულობს.** საქმე ისაა (მიზეზი), რომ წარმოების ერთი ფაქტორის ზრდის დროს წარმოების სხვა ფაქტორები არასაკმარისი აღმოჩნდება.

დავუბრუნდეთ განხილულ დიაგრამას (საწარმოო შესაძლებლობების მრუდს) და გავიხსენოთ, რომ საწარმოო შესაძლებლობების მრუდის კუთხის ზრდა ნიშნავდა, რომ ერთი ნაწარმის წარმოების მატებისათვის ჩვენ იძულებული ვიყავით მეორე საქონლის სულ უფრო მეტი მოცულობით წარმოებაზე აგვეღო ხელი.

ეს ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკა იმყოფება თვით საწარმოო შესაძლებლობების მრუდზე, ე.ი. წარმოება მაქსიმალურად შესაძლებელ დონეზეა. მაგრამ ხომ შეიძლება (და სწორედ ასე ხდება ხშირად), რომ ეკონომიკა (წარმოების მოცულობა) იმყოფებოდეს მრუდის მიერ შემოფარგული სეგმენტის შიგნით, ვთქვათ K წერტილზე, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზეა (**ნახ. 2.2.**).



ნახ. 2.2. ალტერნატიული დანახარჯები. დიაგრამაზე წარმოების მოცულობა (K წერტილი) იმყოფება არა სანარმოო შესაძლებლობათა მრუდზე (AB), არამედ მის მიერ შემოფარგლული სეგმენტის (O) შიგნით.

როგორც წინა გრაფიკის განხილვიდან ვიცით, საწარმოო შესაძლებლობების მრუდი მიგვანიშნებს, რომ, როდესაც წარმოების მოცულობა ამ მრუდზე იმყოფება, ორი ალტერნატიული საქონლიდან რომელიმე ერთის წარმოების გაზრდისათვის უნდა შეგვემცირებინა მეორე საქონლის წარმოება (თუ კარაქის წარმოებას გავზრდიდით, ამაზე უნდა წაგვემართა ქვემეხების წარმოებაზე მიმართული რესურსები, ე.ი. „შეგვეწირა“ ქვემეხების წარმოება).

როცა წარმოების მოცულობა K წერტილზეა, აუცილებელი არ არის ერთი ნაწარმის მატება განპირობებული იყოს მეორე ნაწარმის გამოშვების შემცირებით. კარაქის წარმოება A_1 წერტილიდან A_2 წერტილამდე (ორდინატაზე A_1 წერტილიდან A2 წერტილამდე) ისე გაიზრდება, რომ ქვემეხების გამოშვება არ შემცირდება. ასევე შეიძლება ქვემეხების წარმოება გაიზარდოს B_1 წერტილიდან C_1 წერტილამდე (აბსცისაზე B_1 წერტილიდან C_1 წერტილამდე) კარაქის წარმოების შეცვლის გარეშე.

ეს იმას ნიშნავს, რომ K წერტილში რესურსები არაეფექტიანად გამოიყენება, ამ შემთხვევაში წარმოების მოცულობა უდრის: კარაქისა — ორდინატაზე მანძილს O წერტილიდან A_1 წერტილამდე; ქვემეხებისა — აბსცისაზე მანძილს O წერტილიდან B_1 წერტილამდე. გამოდის, რომ არსებობს რესურსების გამოყენების სხვა საშუალებები (ხერხები), რომლებიც შესაძლებელს ხდის ერთი საქონლის (მომსახურების) წარმოება ისე მოიმატოს, რომ აუცილებელი არ იქნება შემცირდეს მეორე საქონლის (მომსახურების) წარმოება.

2.2. გრაფიკზე დაკვირვება (სადაც თავიდან რესურსები მთლიანად არ არის გამოყენებული) თითქოსდა გვეუბნება, რომ შეგვიძლია კარაქის წარმოება ისე გავზარდოთ A_1 წერტილიდან A_2 წერტილამდე (K წერტილიდან E წერტილამდე მრუდზე), რომ არავითარი შეწირვის დანახარჯები არ გვექნება. მაგრამ ეს ასე არ არის: დანახარჯები მაშინაც საჭიროა, როდესაც რესურსები თავიდან მთლიანად არ იყო გამოყენებული, და ამას „ალტერნატიული დანახარჯები“ ეწოდება. ისინი იმ ეფექტს ასახავს, რომლის მიღება შეიძლებოდა რესურსების ალტერნატიული (სხვანაირი, სხვა საქონლის წარმოებაზე) გამოყენების შემთხვევაში. ჩვენ მაგალითში კარაქის წარმოების A_1 წერტილიდან A_2 წერტილამდე გაზრდის ალტერნატიული დანახარჯებია ქვემეხების წარმოების B_1 წერტილიდან C_1 წერტილამდე მატება, რომელზეც ჩვენ უარი ვთქვით (რომელიც ამ შემთხვევაში დაიკარგა).

წარმოების მაქსიმალური ეფექტიანობის განმარტება კი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

წარმოების მაქსიმალური ეფექტიანობა ნიშნავს, რომ მასში რესურსები ისე გამოიყენება *(ისეა „განთავსებული“ საწარმოო შესაძლებლობების მრუდზე)*, რომ შეუძლებელია ერთი რომელიმე საქონლის (მომსახურების) წარმოების გაზრდა სხვა საქონლის (მომსახურების) წარმოების შემცირების გარეშე. ე.ი. წარმოების მოცულობა საწარმოო მრუდზეა და არა სეგმენტის შიგნით.

ზემომოყვანილი **2.2. დიაგრამა** გვიჩვენებს, რომ თუ წარმოება K წერტილზე იმყოფება, ქვემეხების B_1 წერტილიდან C_1 წერტილამდე გაზრდას შეიძლება ისე მივაღწიოთ, რომ კარაქის წარმოება არ შემცირდება. თითქოსდა ამ შემთხვევაში არაფერი დაგვიკარგავს, არაფერზე უარი არ გვითქვამს; მაგრამ სინამდვილეში ჩვენ არჩევანი გავაკეთეთ და კარაქის A_1 წერტილიდან A_2 წერტილამდე ზრდა მაინც „შევწირეთ“ ქვემეხების B_2 წერტილიდან C_1 წერტილამდე ზრდას. ამ შემთხვევაში წარმოქმნილ ალტერნატივას, გავიმეორებთ, **წარმოების ალტერნატიულ (დაკისრებულ) ხარჯებს უწოდებენ**[1].

ალტერნატიული (დაკისრებული) დანახარჯები არის ის ეფექტი (სარგებლიანობის ან ფასეულობის ის მოცულობა), რომელსაც მივაღწევდით ჩვენ სხვა გადაწყვეტილების მიღება-გატარების შემთხვევაში ან რესურსების ალტერნატიული (სხვანაირი, სხვა საქონლის წარმოებაზე) გამოყენების პირობებში. ეს დაკარგული შესაძლებლობების დანახარჯებია.

რესურსების შეზღუდულობა იმას ნიშნავს, რომ ყველაფერს, რაც კეთდება, თავისი ფასი აქვს. როდესაც რესურსებს რაღაცაზე გამოვიყენებთ, ჩვენ ვკარგავთ იმ სარგებლიანობას, რისი მიღებაც შეიძლებოდა მათი სხვანაირი (ალტერნატიული) გამოყენების პირობებში. **სწორედ სარგებლიანობის ის მაქსიმუმი, რომელიც შეგვეძლო მიგვეღო სხვანაირი (ალტერნატიული) გა-**

[1] საქონელ-მომსახურების წარმოების პირდაპირ (ჩვეულებრივ) ხარჯებზე საუბარი მე-4 თემაში გვექნება.

დაწყვეტილების შედეგად და რომელიც ჩვენ „შევწირეთ" მოცემულ გადაწყვეტილებას, არის ამ გადაწყვეტილებისაგან მიღებული სარგებლიანობის შეფასების კრიტერიუმი. ალტერნატიული დანახარჯების (ხარჯების) სწორედ ასეთ შეთანაზომვას იყენებენ ხშირად თანამედროვე ეკონომიკურ ანალიზში (დაწვრილებითი მაგალითი იხილეთ თემის ბოლოს „კითხვებში და სასწავლო დავალებებში" — კითხვა 13).

თუ კარაქისა და ქვემეხების მაგივრად, ვთქვათ, კაპიტალურ საქონელს (საინვესტიციო საქონელს) და მოხმარების საგნებს ჩავრთავთ, იგივე სურათს მივიღებთ. ამასთან მრუდის ფორმის ამოზნექილი ხასიათი შემდეგი დასკვნის საშუალებას იძლევა: ერთი სახის რესურსები უფრო მწარმოებლურად გამოიყენება მოხმარების საგნების წარმოებისას, მეორე — ინვესტიციური საქონლისა. მაშასადამე, თუ მრუდს მარცხნივ ზევით გავყვებით (ე.ი. მოხმარების საგნების წარმოების ზრდის მიღწევას შევეცდებით), შევნიშნავთ, რომ წარმოებაში სულ უფრო ნაკლებეფექტიანი რესურსების ჩართვა მოგვიწევს (მათი უკუგება ეცემა).

მაშასადამე, საწარმოო შესაძლებლობების მრუდი შემდეგი ოთხი ძირითადი დებულების (იდეის) ილუსტრირებაა:

1. რესურსების შეზღუდულობა გულისხმობს, რომ შეუძლებელია განხორციელდეს პროდუქციის გამოშვების ნებისმიერი კომბინაცია, რომელიც საწარმოო შესაძლებლობების მრუდის გარეთ აღმოჩნდება;
2. არჩევანის პრობლემა იმაში ვლინდება, რომ საზოგადოებისათვის, ეკონომიკური აგენტისათვის (სუბიექტისათვის) აუცილებელია განსაზღვროს (შეარჩიოს) მაქსიმალურად მისაღწევი (შესაძლო) კომბინაცია (შეფარდება) იმ პროდუქტებისაგან, რომლებიც ამ მრუდზე (ან მის შიგნით) იმყოფება და რომლებზეც მოთხოვნა არსებობს;
3. მრუდის დახრილობა (დაღმავალი ხასიათი) დაკისრებული ხარჯების (ალტერნატიული დანახარჯების) ცნებას გულისხმობს, ე.ი. იმას, რომ ერთი საქონლის (პროდუქტის) ზრდას განუხრელად მოჰყვება მეორის წარმოების შემცირება;
4. მრუდის შეზნექილობა (ჩაზნექილობა) გვიჩვენებს დაკისრებული (ალტერნატიული) ხარჯების ზრდას და, როგორც შედეგი, შემოსავლიანობის (უკუგების) შემცირებას.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ დანახარჯების თანამედროვე გაგება-გააზრება გამომდინარეობს რესურსების იშვიათობის და მათი გამოყენების ალტერნატიულობის კონცეფციიდან. მაგალითად, ხისგან შეიძლება დამზადდეს ავეჯი, ქაღალდი და სხვა სიკეთე; ფირმა კი, როდესაც იღებს გადაწყვეტილებას აწარმოოს კონკურენტუნარიანი საქონელი, ამავდროულად უარს ამბობს სხვა ნაწარმის გამოშვებაზე, ე.ი. წყვეტს არჩევანის პრობლემას.

რატომ ხდება ეს? რატომ ვწირავთ რესურსების მთლიანად გამოყენების პირობებში ჩვენ ერთი ერთეული კარაქის წარმოების ზრდას სულ უფრო მეტ ქვემეხს?

საქმე ისაა, რომ ეკონომიკური რესურსები მთლიანად ვერ გამოიყენება ალტერნატიული პროდუქციის წარმოებისათვის. ე.ი. არ არსებობს **სრულყოფილი ელასტიკურობა და აბსოლუტური ურთიერთშენაცვლება.**

თავი 3. ორი მიდგომა ადამიანების ეკონომიკურ ქცევაზე: მარგინალური ანალიზი და ინსტიტუციონალიზმი

როგორც არაერთხელ გავუსვით ხაზი, ეკონომიკას მუდამ არჩევანთან აქვს საქმე, ხოლო ნებისმიერ არჩევანს თან სდევს დანახარჯები. მაშასადამე, **ეკონომიკის მუდმივი პრობლემაა ისეთი არჩევანის გაკეთება, რომელიც უმაღლეს ეფექტიანობას უზრუნველყოფს.**

ადრე ჩვენ აღვნიშნეთ, რომ წარმოება მაშინ არის ეფექტიანი (მაშინ არის ყველაზე ოპტიმალურად ორგანიზებული), როდესაც მასში ნებისმიერი საქონლის დამზადების ზრდის მიღწევა შეიძლება მხოლოდ სხვა რომელიმე საქონლის წარმოების შემცირების შემთხვევაში. ე.ი. (გავიხსენოთ) წარმოებაში უმაღლესი ეფექტიანობაა მიღწეული, როდესაც მისი მოცულობა ჩვენს

მიერ განხილული წარმოების შესაძლებლობების მრუდზე იმყოფება (და არა მის მიერ შემოხაზული სეგმენტის შიგნით).

მაგრამ ეს მიდგომა სუფთა ტექნიკურია, მოცულობითია, რომელიც უბრალოდ მიგვანიშნებს, რის და რამდენის გამოშვება შეიძლება თეორიულად არსებული რესურსებიდან გამომდინარე. ამასთან ეს შედარებით ნაკლებად საინტერესო და სასარგებლო ქცევა — მოქმედებაა საბაზრო ეკონომიკისათვის და საერთოდ საღი მოთხოვნებიდან გამომდინარე: აქ ჩვენ ვერ ვხედავთ, თუ რამდენად ესადაგება ბაზრის მოთხოვნებს ამა თუ იმ ნაწარმის (ჩვენს პირობებში კარაქისა და ქვემეხების) გამოშვება, არ ვიცით, არის თუ არა საერთოდ მათზე მოთხოვნა ან, თუ მოთხოვნა არსებობს, რომელზე და რამდენი.

მაშასადამე, ეფექტიანობის ცნებას მისაღები ეკონომიკური შინაარსი რომ ჰქონდეს, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ საზოგადოებაში არსებული მოთხოვნა *(ე.ი. მყიდველების არა მარტო სურვილით, არამედ შესაძლებლობებით — ფულით გამყარებული მოთხოვნილება).* გამოდის, რომ ეფექტიანობის თაობაზე ჩვენს მსჯელობა-გაანგარიშებაში უნდა ჩავრთოთ მოსახლეობის (საზოგადოების) მოთხოვნის მონაცემები კარაქზე და ქვემეხებზე. ამ შემთხვევაში შემდგომი პერსპექტივისათვის პროდუქციის წარმოების ეფექტიანი კომბინაცია (ე.ი. კარაქის და ქვემეხების შეხამება) საწარმოო შესაძლებლობების მრუდზე ის წერტილი იქნება, რომელიც ყველაზე კარგად პასუხობს მოსახლეობის (საზოგადოების) სურვილებსა და მოთხოვნას.

ადამიანებს სხვადასხვა რესურსები გააჩნიათ, რომლებითაც ისინი ბაზარზე გადიან ან როდესაც მეწარმეობას იწყებენ; მაშასადამე, სხვადასხვა შესაძლებლობები აქვთ, რომ გააკეთონ საქონლისა და მომსახურების არჩევანი, რომ აირჩიონ ბიზნესის მიმართულება. ე.ი. მათ სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტა უხდებათ. ამ რთულ პრობლემაში რომ გავერკვეთ და საერთო მიდგომა ჩამოვაყალიბოთ, საჭირო იქნება შემდეგ სამ კითხვაზე გავცეთ პასუხი:

1. რით ხელმძღვანელობენ ადამიანები თავიანთ არჩევანში?
2. როგორ უნდა განაწილდეს არსებული შეზღუდული შესაძლებლობები, რომ მათ ინდივიდებისა და საზოგადოებისათვის მაქსიმუმი უკუგება მოგვცენ?
3. როგორ უნდა მოეწყოს წარმოება, რომ მან მოხმარებაში მაქსიმალურად შესაძლებელი ეფექტიანობა უზრუნველყოს?

საერთო პასუხი თითქოს უბრალოა: **რაციონალური არჩევანის მოთხოვნა გულისხმობს, რომ რესურსების ყოველი ხარჯვა და ყოველი გაცვლა ისე უნდა იქნეს ორგანიზებული, რომ საქმიანობის შენაწირები (მსხვერპლად გაღებული ხარჯები) ზუსტად ემთხვეოდეს იმ მოთხოვნებს (მეტი არ უნდა იყოს მათზე), რომლებსაც ადამიანი იკმაყოფილებს მოქმედების შედეგად.** თუ შენაწირი (მსხვერპლი) მიღებულ სარგებლიანობაზე მეტია, ასეთი ქმედობისაგან ხელი უნდა ავიღოთ.

საერთო ჯამში ეს, ალბათ, ასეც ხდება, მაგრამ მართლაც საერთო ჯამში. სწორედ ამიტომ არის, რომ ეს პრობლემა ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური დებატების საგანია უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში.

საქმე ისაა, რომ ასეთი ეკონომიკური მიდგომა გულისხმობს, რომ **ადამიანების ქმედობას პერმანენტულად განაპირობებს რაციონალური ქცევა.** ე.ი. იგულისხმება, რომ ყოველი გარიგება, ოპერაცია, ხარჯვა-დაბანდება ბოლომდე გაანგარიშებულია ამაში მონაწილე ყველა სუბიექტის მიერ: რა უჯდება მას ეს (რის შეწირვაა აუცილებელი) და რა უკუგებას მოუტანს; თანაც ზუსტად გათვლილია და ამ გადაწყვეტილებაში გათვალისწინებულია იმ სარგებლიანობის მოცულობა, რომლის მიღება შეიძლებოდა ყველა სხვა შესაძლო ალტერნატიული გადაწყვეტილებებიდან (რომელიც დაკარგული იქნა ამ გადაწყვეტილების მიღება-გატარებისას). ამასთან ამ გადაწყვეტილების მიღებისას ისინი იქცევიან როგორც **Homo economics (ეკონომიკური ადამიანები).**

იგულისხმება აგრეთვე, რომ ადამიანებს ძალუძთ ისე ზუსტად განასხვაონ და შეაფასონ დანახარჯები და სარგებლიანობა, რომ თავიანთი რესურსებიდან მაქსიმალურად შესაძლებელი სარფი მიიღონ; ე.ი. მათ ნამდვილად გააჩნიათ უნარი გააკეთონ თავიანთი შემოსავლებისა და დანახარჯების შეთანაზომვა ზემოაღნიშნული წესის გამოყენებით.

დაბოლოს, ეს იმას ნიშნავს ასევე, რომ ინდივიდები კარგად იცნობენ (და ერკვევიან) სხვადასხვა ვარიანტებს, მათ გააჩნიათ ზუსტი და სრული ინფორმაცია და მასში გარკვევის უნარი.

ეს კი მეტად რთულია. ძალზე ძნელია, მაგალითად: რაოდენობრივ (ფულად) მახასიათებლებში გადაიყვანო: შრომის დამატებითი ხარჯვით გამოწვეული ფიზიკური და გონებრივი დაძაბულობა; ასევე მუშაკის ჯანმრთელობაზე მისი მოქმედება; თავისუფალი დროის შეწირვის შეფასება; გარემოს მდგომარეობის შენაჩუნებით (ან გაუმჯობესებით) და მაღალი კულტურით მიღებული სარგებლიანობის ზუსტი გაანგარიშება-გაზომვა.

გასაგები უნდა იყოს, ალბათ, ისიც, რომ ყველა ადამიანი არ არის იმდენად რაციონალური, ყაირათიანი და ინფორმირებული, რომ კარგად გააზრებული და სწორი დასკვნები გააკეთოს და შესაბამისად იმოქმედოს (ეს რომ ასე იყოს, დედამიწაზე სიგარეტის მწეველი და ნარკომანი არ იქნებოდა).

არსებობს აგრეთვე ადამიანების (ხალხების) ჩვევები, ტრადიციები, განსხვავებული გონება-განწყობა (მენტალიტეტი), რომლებიც ყოველთვის როდი უწყობს ხელს რაციონალური (ნორმალური) ეკონომიკური ქცევის გამოწვევა-დამკვიდრებას.

ამიტომ არის, რომ მეცნიერებაში ამ პრობლემისადმი ორი თითქმის დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოსაზრება არსებობს, ამასთან, ერთს (პირველს) რომ ვეყრდნობით, მეორეც ყურადსაღებია. ეს არის **„მარგინალური (ზღვრული) ანალიზის" პრინციპი და ინსტიტუციონალიზმი.**

გავეცნოთ მათ მოკლედ.

ინგლისელმა მეცნიერმა **უილიამ სტენლი ჯევონსმა (1835-1882 წ.წ.)** დაახლოებით ასოცდაათი წლის წინ დიდი წვლილი შეიტანა ეკონომიკური თეორიის იმ დებულების დამტკიცებაში, რომლის შესაბამისად **ადამიანი თავის საქმიანობაში ესწრაფვის მაქსიმალური სარგებლიანობის მიღებას და იყენებს ზღვრულ (მარგინალურ) ტერმინებს.**

ჯევონსმა ავსტრიელ **კარლ მენგერთან** და ფრანგ **ლეონ ვალრასთან** ერთად მეცნიერებაში დაამკვიდრა ე.წ. **მარგინალური**[1] (მარჟინალური) ანალიზის საფუძვლები. მათემატიკური მეთოდების გამოყენებით მან დაასაბუთა, თუ როგორ განსაზღვრავს ზღვრული სარგებლიანობის კანონი იმას, თუ რამდენს გადაიხდის ადამიანი საქონლისათვის და, საერთოდ, როგორ იღებს ის სამეურნეო (და სხვა) გადაწყვეტილებას.

რას ნიშნავს ეს?

იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები ესწრაფვიან მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი ერთობლივი „ტკბობა" — ერთობლივი სიამოვნება (ე.ი. ის, რასაც ჩვენ დღეს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვუწოდებთ). ადამიანი, ჯევონსის აზრით, ამას აკეთებს საქონლისა და მომსახურების საყიდლად გამიზნული სახსრების ისეთი განაწილებით (ისეთ პროპორციებში ხარჯვით), რომ ის ზღვრული სარგებლიანობა, რომელსაც ის მიიღებს ერთი სახის საქონელზე ერთი გირვანქა სტერლინგის დახარჯვით, უნდა უდრიდეს ყოველ სხვა საქონელზე დახარჯული ერთი გირვანქა სტერლინგით მიღებულ ზღვრულ სარგებლიანობას. ე.ი. ადამიანი ისე შეაგუებს თავის შენაძენს ერთმანეთს, რომ გარკვეული საქონლით მიღებული სარგებლიანობის შეფარდებითი მეტობა (ან ნაკლებობა) ტოლია ამ საქონლის შეძენის ხარჯების შეფარდებითი მეტობისა (ნაკლებობისა). ეს კი შეესაბამება იმ ზღვრულ „შენაწირს" (მსხვერპლს), რომელზედაც მიდის ადამიანი ამა თუ იმ საქონლის შეძენისას.

ჯევონსს მიაჩნდა, რომ რაოდენობრივად ზღვრული სარგებლიანობის განსაზღვრა რთულია (თუ შეუძლებელი არა), ამასთან ის ამტკიცებდა, რომ სწორედ მის მიერ შემოთავაზებული კოცეფცია (თეორია) ასახავს ადამიანის ქცევას.

ეს მოსაზრება თავის დროზე მასობრივად იქნა აღიარებული ეკონომიკურ თეორიაში (პოლიტეკონომიაში) და ფაქტორივად დღესაც ძალაშია. თვიდან ერთადერთი, ვინც საწინააღმდეგო დებულება გამოთქვა, იყო ამერიკელი მეცნიერი **ტორსტეინ ვებლენი (1857-1929 წ.წ.).** ის უარყოფდა დებულებას **„ეკონომიკურ ადამიანზე"** (ე.ი. ადამიანის როგორც სარგებლიანობის მაქსიმიზაციისათვის მზრუნველ სუბიექტად წარმოდგენას); ვებლენის სიტყვებით, არასწორია შეხედულება ადამიანზე როგორც *„სიამოვნებისა და უსიამოვნების ელვისებურ გამოანმგარი-*

[1] **მარგინალური** (*ლათ.* Margo, ფრანგ. Marginal — ნიშნავს საზღვარს, საზღვრითს.

შებელზე, ანუ პატარა ბურთულაზე, რომელიც იმ სტიმულების გავლენის ქვეშ დაბორიალებს, რომლებიც მას აქეთ — იქეთ მიაგდებს, ამავდროულად ის მაინც დამშვიდებულია".

მოხმარების მიზანი, ვებლენის აზრით, მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება კი არ არის მარტო: თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოება საშუალებას იძლევა, რომ დიდი სიძნელეების გარეშე უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრებისეული საჭიროება-მოთხოვნილებანი[1]. მოხმარება თანამედროვე საზოგადოებაში მნიშვნელოვანწილად გარემოს მიმართ სტატუსის ამაღლების საშუალება ხდება, რაც, კერძოდ (ისევ მისი აზრით), *„თვალში საცემი მოხმარებით"* მიიღწევა.

ვებლენის კონცეფციის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებელია ადამიანის ცხოვრების მთლიანად სტატისტიკური და მათემატიკური მოდელებით ფორმალიზება; ეკონომიკური პროცესი დინამიკურია, ევოლუციურია; მას წინ უბიძგებს ტექნიკის განვითარება და საზოგადოების სხვადასხვა ფენების, კლასების და ადამიანთა ჯგუფების ინტერესებს შორის კონფლიქტი — კოლიზიები; მას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სხვადასხვა ინსტიტუციური პარამეტრები. ამიტომ შეარქვეს მის კონცეფციას **ინსტიტუციონალიზმი**.

ასე რომ ვებლენი ფაქტობრივად **პოლიტიკური ეკონომიის** ძირითადი მიმართულების გარეთ (მიღმა) იდგა. ის ერთ-ერთი ფუძემდებელია ე.წ. **„ინსტიტუციური" სკოლისა**, რომელიც მიუთითებდა საყოველთაო მოდელების კონსტრუირების სირთულეებზე (შეუძლებლობაზე). ამ სკოლის მიმდევრები ცდილობდნენ (და ცდილობენ) რეალური, კონკრეტული საზოგადოებრივი პროცესების ისტორიული და სოციოლოგიური მეთოდების (მოდელების) დახმარებით შესწავლას.

მიუხედავად ზემომოყვანილი ვებლენისეული სერიოზული საწინააღმდეგო მოსაზრებისა, ჰიპოთეზა (შეხედულება) ადამიანზე, რომ ის რაციონალურად იქცევა და მიისწრაფვის მაქსიმალური სარგებლობისაკენ (სარფისაკენ, გამორჩენისაკენ, ხეირისაკენ), პოლიტეკონომიური ანალიზის საფუძვლად რჩება. საქმე ის კი არ არის, რომ ეკონომისტებს სჯერათ, თითქოს მართლაც შესაძლებელია ზუსტად აღიწეროს ცალკეული ინდივიდების და ჯგუფების ქცევა და შეუცდომლად ვიწინასწარმეტყველოთ, თუ რას გააკეთებენ ისინი. ამის მიზეზი ისაა, რომ, როგორც პირველ თემაშივე აღვნიშნეთ, **ეკონომიკაში (განსაკუთრებით მაკროეკონომიკაში) საკონტროლო ექსპერიმენტებს ვერ ჩაატარებ**. ამიტომ ეკონომიკური ანალიზის დროს იძულებული ვართ ვიხელმძღვანელოთ გაუბრალოებული ვარაუდებით. ამ მოსაზრების მართლზომიერების და ლოგიკურობის დასაბუთებისათვის კი ის ჭეშმარიტება გამოგვადგება, რომ ადამიანები საკუთარი სარგებლიანობის მაქსიმიზაციისათვის მიისწრაფვიან, როგორც წესი, როდესაც შეათანაზომავენ, რამდენი უნდა იმუშაონ და როგორ გამოიყენონ შემოსავალი. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში დანახარჯები არ უნდა აღემატებოდეს მიღებულ კმაყოფილებას (სიამოვნებას) — ეს ის ძირითადი პრინციპია, რომელიც საფუძვლად უძევს და ამისამართებს (მიმართავს) ადამიანის ქმედობას (ქცევას) როგორც ეკონომიკური მოდელებისა და თეორიების შექმნისას, ისე რეალურ ცხოვრებაში.

გავიხსენოთ, თუ როგორ ამასხარავებს ხალხური შემოქმედება იმ ადამიანებს, რომელთა ქცევა-ქმედობას არ ახასიათებს შედეგის სარგებლიანობის წინასწარი სწორი და გონივრული გაანგარიშება:

აბრამი თავის დიდი ხნის უნახავ ნაცნობს მორდეხაის შეხვდა; ჯანმრთელობა და ოჯახური მდგომარეობა გამოჰკითხა, შემდეგ მისი საქმიანობა მოიკითხა. მორდეხაიმ უთხრა, რომ საკუთარი საქმე (ბიზნესი) აქვს: უმ კვერცხს ყიდულობს, ხარშავს და ყიდის. აბრამი დაინტერესდა, თუ რა ფასებში ყიდულობს და ყიდის ის საქონელს. მორდეხაიმ უპასუხა, რომ 2 შეკელად შეიძენს და ასევე 2 შეკელად ასაღებს მოხარშულ ერთ ცალ კვერცხს. აბრამის გაოცებაზე: — „კი მაგრამ სარგებელი?" — მორდეხაიმ კმაყოფილებით უპასუხა: „ჯერ ერთი, ჩემო აბრამ, დასაქმებული ვარ, მეორე, კვერცხის ნახარში მრჩება".

[1] ჩვენ ადრე მივანიშნეთ, რომ ეს ფაქტობრივად ასე არ არის.

თავი 4. ზღვრული (მარგინალური) სიდიდეები ეკონომიკურ საქმიანობაში

როგორც აღვნიშნეთ, ეკონომისტების დიდი უმრავლესობა იმ ჰიპოთეზის მომხრეა, იმ ვარაუდს ემხრობა, რომ ადამიანები ჩვეულებრივად (ძირითადში) რაციონალურ არჩევანს აკეთებენ, შეაჯერებენ რა ერთმანეთს მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მოსალოდნელ დონეს (ხარისხს) და იმ „შენირვას“ (დანახარჯებს), რაც მათ ამისათვის უნდა გააკეთონ. ამ თეზიდან გამომდინარე, ლოგიკური იქნება ვარაუდი, რომ ასევე იქცევიან საწარმოებიც (ფირმებიც).

როგორ ხდება ეს? გაანგარიშების (შეთანაზომვის) რა ხერხებს მიმართავენ ისინი ამ შემთხვევაში?

ეს გაანგარიშება ეხება იმას, თუ რა სიკეთეს (სარგებლობას) მიიღებს ადამიანი და რას დაკარგავს ის ზღვრულ (დამატებით) შემთხვევაში ყოველი (ე.ი. ბოლო) გადაწყვეტილების შედეგად. მაშასადამე, იმას, რაც წარსულს ეხება (რა მოგვცა ძველმა დაბანდებებმა და რა შევწირეთ ამას) გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს; **რაციონალურ გაანგარიშებაში მთავარი ის არის, სარგებლობის (შენაძენის) და დანაკარგის (ხარჯების) თუ რა შეფარდება მოჰყვება იმ ქმედობას, რომელსაც ადამიანი ამჯერად განახორციელებს.** რა თქმა უნდა, ჩვენი ძველი დაბანდებები და მათი შედეგები გაანგარიშებაში მონაწილეობს, მაგრამ გადამწყვეტი არ არის (ისინი მხოლოდ ფონს ქმნიან): ჩვენ წინ ვიყურებით — ამჟამინდელი ქმედობისაგან მოსალოდნელი ზღვრული შემოსავლისაკენ და ვადარებთ მას სხვა (ალტერნატიული) ქმედობისაგან (დანახარჯებისაგან) მოსალოდნელ (შესაძლებელ) შემოსავალს (სარგებლიანობას).

ე.ი. გააკეთებს თუ არა საწარმო ახალ ინვესტიციებს, მიიღებს თუ არა სხვანაირ გადაწყვეტილებას, ამას ის კი არ განაპირობებს ძირითადად, თუ რა მოგება მოიტანა ადრინდელმა ინვესტიციებმა (ადრინდელმა გადაწყვეტილებამ), არამედ ის, თუ რა მოგების მიღებაა ნავარაუდევი ახალი ინვესტიციებისაგან (თუმცა ძველი შედეგები გამოიყენება როგორც გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ერთ-ერთი ინფორმაცია, მაგრამ მხოლოდ მომავალში იგივე პირობების განმეორების შემთხვევისათვის). ჩვენ უკვე გავეცანით (მრუდზე) კლებად ეფექტიანობას, რომლისგანაც იმის დასკვნა შეიძლება, რომ, მიიღებს თუ არა საწარმო კიდევ ერთ მუშაკს, ამას უკვე დასაქმებული მუშაკების შრომის ნაყოფიერება კი არ განაპირობებს, არამედ ის, თუ რა მწარმოებლურობა ექნება (რას მოიტანს) ამჯერად (ბოლოს) მიღებულს.

შევჭამთ თუ არა ჩვენ კიდევ ერთ ვაშლს, ამას ის კი არ განაპირობებს პირველ რიგში, თუ რას ვფიქრობთ უკვე შეჭმულ ვაშლებზე, არამედ ის, თუ რა სიამოვნებას მოგვიტანს ეს დამატებითი.

იმ სიკეთეს (სარგებლიანობას), რომელსაც ადამიანი (ინდივიდი) ღებულობს კიდევ ერთი (დამატებითი, ზღვრული) საქონლის (მომსახურების) მოხმარების შედეგად, ზღვრული სარგებლიანობა (მარგებლობა, გამოსადეგობა) ეწოდება.

საწარმოს მიერ საქონლის დამატებითი ერთეულის რეალიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავალს ზღვრული შემოსავალი ეწოდება.

რესურსის დამატებითი ხარჯვის შედეგად მიღებულ მწარმოებლურობას ზღვრული მწარმოებლურობა ჰქვია.

კიდევ ერთი დამატებითი მუშაკის მიერ შექმნილ პროდუქციას ზღვრულ პროდუქციას უწოდებენ.

ცნება „ზღვრული“ ყველა ამ შემთხვევაში დამატებითს ნიშნავს.

ეს დამატებითი სიკეთე, შემოსავალი და მწარმოებლურობა, რომლებიც ვახსენეთ, შეედრება ამისათვის საჭირო დამატებით დანახარჯებს ან სიკეთეს, რომლებზედაც უარი ვთქვით („დამატებით შეწირვებს“, „ალტერნატიულ ხარჯებს“).

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ტერმინ „ზღვრულის“ მაგივრად, ხანდახან „მარგინალურს“ ან „მარჟინალურს“ ხმარობენ („მარგინალური დანახარჯები“, „მარგინალური პროდუქტი“, „მარგინალური შემოსავალი“).

მიჩნეულია, რომ **ზღვრული დანახარჯები (დანახარჯები დამატებით საქონელზე და მომსახურებაზე) იზრდება.** ეს დაკავშირებულია ზემონახსენებ კლებად მწარმოებლურობასთან, რაც ნიშნავს, რომ დამატებითი საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის აუცილებე-

ლია შედარებით მეტი რესურსის გაღება. ყოველი შემდეგი სარგებლიანობის მიღება უარყოფითი მარგებლობის მატებას მოითხოვს.

აღიარებულია ასევე, რომ **ინდივიდისათვის სისტემატურად იზრდება დამატებითი შრომის სიმძიმე (უარყოფითი მარგებლობა)**. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შრომის ყოველი დამატებითი საათი წინაზე მეტ მსხვერპლს მოითხოვს.


ასევე ლოგიკური და გონივრულია **დასკვნა**, რომ *ნებისმიერი საქონლის (მომსახურების) ზღვრული სარგებლიანობა მცირდება (ეცემა) მისი მოხმარების მუდმივი ზრდის დროს* (ვთქვათ, პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე და ა.შ. ხენდრო). მესამე მაცივარიც არ მოგვიტანს იმდენ სარგებლიანობას, რამდენსაც მოგვცემს პირველი).

სუბიექტი, რომელიც ცდილობს გააკეთოს რაციონალური არჩევანი, ყოველთვის აწყდება მზარდი ზღვრული დანახარჯებისა და კლებადი ზღვრული შემოსავლის (კლებადი ზღვრული სარგებლიანობის) პრობლემას.

მაშ რა არის საჭირო, როგორი შეფარდებაა აუცილებელი ზღვრულ დანახარჯებსა და ზღვრულ შემოსავალს შორის, რომ მიღებულ იქნეს რაციონალური გადაწყვეტილება?

მეცნიერებაში და პრაქტიკაში რაციონალური არჩევნისათვის გადაწყვეტილების მიღების აუცილებელ წესად, ე.ი. **რაციონალური არჩევანის მიღების წესად, აღიარებულია ისეთი პირობა, რომ ყოველ ეკონომიკურ გაცვლაში (ქმედობაში) ზღვრული დანახარჯები უდრიდეს (ტოლი იყოს) ზღვრულ შემოსავალს.** ეს იმას ნიშნავს, რომ რესურსების წარმოებაში დამატებითი ჩართვა მანამდე უნდა გაგრძელდეს, სანამ უკანასკნელი რესურსის დაბანდების ეფექტი (უკუგება) არ გაუტოლდება გაღებულ მსხვერპლს (მიღებულ უარყოფით მარგებელს).

ზღვრული დანახარჯების და ზღვრული შემოსავლის შეთანაზომვა და რაციონალური არჩევანის მიღება შეიძლება გრაფიკზე განვიხილოთ (**ნახ. 2.3.**).



ნახ. 2.3. ზღვრული შემოსავალი და ზღვრული დანახარჯები. ეკონომიკური თვალსაზრისით საქმიანობას მაშინ აქვს აზრი, როდესაც ზღვრული შემოსავლის და ზღვრული ხარჯების შეთანაზომვა შეიძლება. ამასთან ასეთი საქმიანობა მანამდე შეიძლება გაგრძელდეს (უნდა გაფართოვდეს), სანამ ზღვრული დანახარჯები არ გაუტოლდება ზღვრულ შემოსავალს (A წერტილი გრაფიკზე). საქმიანობის სწორედ ასეთი მოცულობა იძლევა ყველაზე მეტ სარგებლიანობას, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმ პირობებში, როდესაც ანალიზში გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელოვანი დანახარჯი და შემოსავალი (სარგებლიანობა).

ზღვრული შემოსავლის და ზღვრული ხარჯების გრაფიკზე ჩვენ ვხედავთ ზრდადი დანახარჯების და კლებადი ზღვრული შემოსავლის მრუდებს. სანამ გარკვეული გარიგებიდან ან ხარჯიდან მიღებული ზღვრული შემოსავალი (სარგებლიანობა) აღემატება ზღვრულ დანახარჯებს, ანუ უარყოფით მარგებელს (K1, K2...A1 წერტილამდე), გაცვლის გაგრძელება ან მეტი რესურსის გაღება სასარგებლოა, რაციონალური ქმედობაა.

სანამ მიგვაჩნია, რომ დამატებითი ბანანის ჭამა მის ღირებულებაზე (გაღებულ ხარჯებზე) მეტ სარგებლიანობას (სიამოვნებას) მოგვიტანს, გავაგრძელებთ ბანანის ჭამას (ვინაიდან გრძელდება ბანანის მიერ მონიჭებული ერთობლივი სიამოვნების ზრდა).

სანამ ვთვლით, რომ საზეგანაკვეთო მუშაობის ანაზღაურება დამატებითი შრომის სიმძიმეზე და შეწირული თავისუფალი დროის ფასეულობაზე (ე.ი. უარყოფით მარგებელზე) მეტია, მანამდე იზრდება ჩვენი დამატებითი შრომიდან ერთობლივი სარგებლიანობა და მანამდე წავალთ დამატებით შრომაზე.

ზემომოყვანილი მოსაზრება მუშაკისათვის დამატებითი შრომის გაღების სარგებლიანობის თაობაზე შეიძლება შემდეგი მაგალითის (ცხრილის) სახით წარმოვადგინოთ (თეთრებში აღნიშნულია სარგებლიანობის შეფასება).

საზეგანაკვეთო დრო (წუთებში)	15	15(30)	15(45)	15(60)	15(75)	15(90)
დადებითი სარგებლიანობის მატება (დამატებითი საზეგანაკვეთო დროის — 15 წუთის სხვაობის — ანაზღაურება თეთრებში)	52	60	69	80	92	105
უარყოფითი სარგებლიანობის (შრომის სიმძიმის) ცვლილება (მატება თეთრებში) — ყოველ დამატებით 15 წუთში	-43	-52	-63	-76	-92	-109
შედეგი — სარგებლიანობა (დადებითი სარგებლიანობის გადამეტება უარყოფითზე) თეთრებში	+9	+8	+6	+4	0	-4

ცხრილი 1. საზეგანაკვეთო დროის რაციონალური შერჩევა

როგორც ცხრილიდან ჩანს, 75 წუთის შემდეგ საზეგანაკვეთო მუშაობა უკვე არარაციონალურია.

ასეთივე მიდგომა შეიძლება გავავრცელოთ ადამიანის პრაქტიკულად ყველა სხვა საქმიანობაზე. კონკრეტულად:

- **სანამ ინვესტიციების შედეგად მიღებული ზღვრული შემოსავალი აღემატება ინვესტირების დანახარჯებს, ინვესტიციური პროგრამა გაგრძელდება;**
- **სანამ ზღვრული პროდუქტის ღირებულება (რომელსაც დამატებით მიღებული მუშაკები გამოუშვებენ) დამატებით ხელფასზე გასაცემ დანახარჯებზე მეტია, საწარმო გააგრძელებს ახალი (დამატებითი) მუშაკების მიღებას.**

როდესაც პირიქით ხდება და გაღებული მსხვერპლი უკუგებაზე მეტია, სასარგებლო იქნება (აუცილებელია) რესურსების დაბანდების შემცირება და საქმიანობის შეკვეცა-შეწყვეტა (რესურსების სხვა საქმიანობაში გამოყენება).

კიდევ ერთხელ გავიმეოროთ დასკვნა: ***საქმიანობის საერთო უკუგება (სარგებლიანობა) მოგების ხაზით (რომლისკენაც მიმართულია რაციონალური ინდივიდების და ბიზნესის საქმიანობა) მაშინ აღწევს მაქსიმუმს, როდესაც რესურსის უკანასკნელი ერთეულის უკუგება იმ***

უარყოფითი სარგებლიანობის (გაღებული მსხვერპლის) ტოლია, რომელიც აუცილებელია ამ უკუგების მისაღებად.

ჩვენ დიაგრამაზე (**ნახ. 2.3.**) ეს არის მზარდი ზღვრული დანახარჯების და კლებადი ზღვრული შემოსავლის მრუდების გადაკეთის წერტილი A. ამ წერტილამდე ახალი რესურსების დაბანდება უნდა გაგრძელდეს (გაიზარდოს), შემდგომ კი შეწყდეს (ე.ი. ამ წერტილის შემდგომი დანახარჯები არარაციონალურია).

შეიძლება გვითხრან, რომ ეს მიდგომა ბევრს ვერაფერს იძლევა, ვინაიდან მომხმარებელი სახსრებს ერთ საქონელზე კი არ ხარჯავს, არამედ მრავალზე, ასევე მწარმოებელიც ჩვეულებრივად საქონელთა რამდენიმე ნაირსახეობას ამზადებს.

როგორია გადაწყვეტილების მიღების წესი ასეთ შემთხვევაში?

როგორ უნდა გააკეთოს მომხმარებელმა არჩევანი სხვადასხვა საქონლის შეძენის შემთხვევაში?

როგორ უნდა გააკეთოს ფირმამ არჩევანი სხვადასხვა ინვესტიციებს შორის, სხვადასხვა საქონლის გამოშვებისას?

მომხმარებლის (ფირმის) მიერ მიღებული სარგებლიანობა მაქსიმალურია ცალკეული საქონლისაგან (ხარჯისაგან) და მთლიანად, როდესაც ერთნაირია ზღვრული შემოსავალი (ზღვრული სარგებლიანობა) ყოველ (ყველა მიმართულებით) დახარჯულ დოლარზე, ყოველ გაღებულ ლარზე.

ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებლის (ინვესტორის) ყურადღება მიპყრობილი უნდა იყოს გაღებული ფულის (ინვესტიციის) ყოველი ერთეულის და ყოველი მიმართულებით უკუგებაზე.

მაშასადამე, მაქსიმალური სარგებლიანობის მიღწევის რეცეპტი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- **საქონელი ისე უნდა შევიძინოთ (ბაზარში ისე უნდა ვივაჭროთ), რომ სარგებლიანობის მოცულობა (მატება) ყოველი შეძენილი საქონლის ყოველ უკანასკნელ ერთეულზე ერთნაირი იყოს. ამ შემთხვევაში ვღებულობთ ჩვენ საქონელთა შეძენის შედეგად ერთობლივი სარგებლიანობის მაქსიმუმს;**
- **გადაწყვეტილების მიმღებთა (ინდივიდია ეს საქონლის შეძენისას თუ საწარმო ალტერნატიულ ინვესტიციებს შორის არჩევანის გაკეთებისას) უმაღლესი სარგებლიანობის მიღებისათვის იმაში მდგომარეობს, რათა ყურადღება მიაქციონ და მიაღწიონ, რომ მათი გადაწყვეტილების შედეგად გაღებული სახსრების ყოველ ერთეულზე (დოლარზე) და ყველა მიმართულებიდან შეძენილი საქონლისაგან, ყოველი საინვესტიციო პროექტისაგან მიღებული სარგებლიანობა ერთნაირი იყოს.**

თუ სახალხო მეურნეობაში ყველა სუბიექტი ამ წესს მისდევს, მაშინ წარმოების მოცულობა და ერთობლივი საზოგადოებრივი სარგებლიანობა მაქსიმალური იქნება.

წარმოების ფაქტორების ზღვრული მწარმოებლურობა უძევს საფუძვლად შექმნილი ეროვნული შემოსავლის განაწილებას, რაზედაც საუბარი გვექნება როგორც მიკროეკონომიკის, ისე მაკროეკონომიკის ნაწილში.

თავი 5. გადაწყვეტილების ეფექტიანობის საერთო-ეკონომიკური გაანგარიშება[1]

ჩვენ სისტემატურად ვიმეორებთ, რომ **მოთხოვნილებებსა და სურვილებთან შედარებით რესურსები ყოველთვის შეზღუდულია** და ეს ეხება როგორც ინდივიდებს, ფირმებს, ისე მთლიანად საზოგადოებას. მაშასადამე, ისინი ეკონომიურად უნდა განვკარგოთ, რაციონალური არჩევანი უნდა გავაკეთოთ მათი ყოველგვარი გამოყენების დროს.

რესურსების შეზღუდულობა, როგორც ვიცით, იმასაც ნიშნავს, რომ **ყველაფერს თავისი ფასი აქვს, ყოველთვის არსებობს ალტერნატიული დანახარჯები** — ჩვენ რესურსების სხვანაი-

[1] ეს პრობლემა მაკროეკონომიკური პოლიტიკის საგანია, მაგრამ მისი სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში განხილვა ჩავთვალეთ მიზანშეწონილად.

რად გამოყენება შეგვეძლო, რის შესაძლებლობაც უკვე (ამ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების, არჩევანის გაკეთების შემდეგ) დავკარგეთ. მაშასადამე, **არსებული რესურსებიდან შესაძლებელი მაქსიმუმი რომ მივიღოთ, აუცილებელია ზუსტად შევათანაზომოთ (შევადაროთ) სარგებლობა და ხარჯები.**

ეკონომიკური (სამეურნეო) გადაწყვეტილების მიღებისათვის, როგორც ადრე აღვნიშნეთ, დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციას. ამასთან სხვადასხვა რანგის სამეურნეო სუბიექტები არჩევანის გაკეთებისას სხვადასხვა მოცულობის და ხასიათის ინფორმაციით სარგებლობენ; მათ ერთნაირი მოცულობის ინფორმაცია არც კი სჭირდებათ, იმიტომ რომ სხვადსხვა ინტერესები ამოძრავებთ:

- ინდივიდი და საოჯახო მეურნეობა თავიანთ გაანგარიშებებში ნაკლებ მონაცემებს (ფაქტორებს) რთავენ. მათთვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს ფასებსა და მარგინალურ (ზღვრულ) გადასახდელებს;
- საწარმოზე (ფირმაზე) კი ზეგავლენის უფრო მეტი სპექტრი მოქმედებს, მან სოციალური შესატანიც უნდა გაიღოს და ზოგიერთი სხვა ხარჯიც გასწიოს. საწარმოში უპირველესად იმას ანგარიშობენ, სასარგებლოა თუ არა ინვესტიციები. ამასთან რაც საწარმოს ეკონომიკას არ ეხება, ის, როგორც წესი, აქაც არ აინტერესებთ;
- სახელმწიფო სტრუქტურები საფინანსო გაანგარიშებაში უპირველესად ხარჯების და შემოსავლის იმ მუხლებს აქცევენ ყურადღებას, რომლებსაც სახელმწიფო ბიუჯეტში დებენ და იქიდან ანაწილებენ (რომლებზედაც მათ მიუწვდებათ ხელი).

ეს არის მიზეზი იმისა, რომ საწარმოს თვალსაზრისით გაკეთებული შეფასებები ამა თუ იმ საქმიანობის ეფექტიანობაზე შეიძლება არ დაემთხვეს სახელმწიფო ფინანსების ან მთლიანად საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით იმავე საქმიანობაზე გამოტანილ საანგარიშო ეფექტს; ამავდროულად ორივე ეს გაანგარიშება შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტულ მოქალაქეთა მიერ გაკეთებული შეფასებისაგან, რომლებსაც ისინი აკეთებენ პრობლემის ინდივიდუალური გაგებიდან გამომდინარე. ეს იმას ნიშნავს, რომ სამივე სუბიექტს თავისი მიდგომა აქვს სარგებლიანობის შეფასებისას.

გამოდის, რომ ერთ დონეზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგი (სარგებლიანობის თუ მსხვერპლის მატება-შემცირება) შეიძლება არ დაემთხვეს მეორე დონეზე მიღებულ შედეგს; ეს იმას ნიშნავს ასევე, რომ საწარმოთა, სახელმწიფო სტრუქტურების და ინდივიდების მიერ გაკეთებული გადაწყვეტილებების დადებითი და უარყოფითი შედეგები მთლიანად ხშირად უფრო ფართოა, ვიდრე ამ სუბიექტების ცალკეულ გადაწყვეტილებებში ეტევა (ვიდრე ისინი, შესაბამისად, თავიანთი გადაწყვეტილებებიდან ელოდებიან და თვლიან). ამიტომ ეკონომიკის სპეციალისტებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების პრობლემის მთლიანად გააზრების შედეგად მიღებას. ამას **მაკროეკონომიკურ (საერთო-ეკონომიკურ) გაანგარიშებას** უწოდებენ, შესაბამისი ანალიზის დროს კი ანგარიშობენ და გაითვლიან გასატარებელი ღონისძიებების ერთობლივ ზღვრულ შედეგებს და ერთობლივ ზღვრულ დანახარჯებს, იმის მიუხედავად, თუ ვინ ეწევა ამ დანახარჯებს და რა შედეგებზეა საუბარი მისი პოზიციიდან. თუ გადაწყვეტილების გატარების შედეგად მიღებული სარგებლის (სარგებლობის) ერთობლივი მატება („შემოსავალი“) სჭარბობს ერთობლივ მსხვერპლს („დანახარჯებს“), მაშინ ამის გაკეთება საერთო თვალსაზრისითაც მართლზომიერი იქნება. ამ შემთხვევაში ამბობენ: „ეს სასარგებლოა მაკროეკონომიკური თვალსაზრისით“.

საერთო-ეკონომიკური გაანგარიშების ტიპური მაგალითია სხვადსხვა ღონისძიებების გარემოზე ზემოქმედების შეფასება. მაკროეკონომიკური გაანგარიშების ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ გაანალიზებულ იქნეს საწარმოს, ინდივიდის, სახელმწიფო სტრუქტურის ღონისძიებების გატარების ზემოქმედება (შედეგები) გარემოზე, შეჯერებულ იქნეს ისინი საწარმოს (ინდივიდის) მიერ გაკეთებულ გაანგარიშებებთან და გაირკვეს, როგორია საბოლოო შედეგი.

თუ აღმოჩნდა, რომ საწარმოს მიერ გათვალისწინებული ახალი ინვესტიციები ვნებს გარემოს, მაშინ საზოგადოებამ (სახელმწიფომ) თვალყური უნდა ადევნოს იმას, რომ საწარმოს მიერ

დამატებითი სახსრების გაღებით კომპენსირებულ იქნეს ინვესტიციების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზარალი; თუ ეს ვერ ხერხდება ან შესაბამისი სუბიექტი ნებაყოფლობით არ მიდის ამაზე, მაშინ ხელისუფლებამ ადმინისტრაციული წესით უნდა შეაჩეროს დაგეგმილი ინვესტიციები.

ასეთ პირობებში საწარმოს საინვესტიციო პროგრამის გაგრძელებას მანამდე აქვს აზრი (მანამდეა დასაშვები), სანამ მისი (საწარმოს) ზღვრული შემოსავალი არ გაუთანაბრდება ზღვრულ დანახარჯებს გარემოს დაცვის ახალი (დამატებითი) დანახარჯების ჩათვლით.

ასეთივე გაანგარიშებებია საჭირო, ვთქვათ, ლუდხანას სკოლის ახლოს გახსნის საკითხის გადაწყვეტისას და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში.

გასაგებია, თუ რა ძნელია ასეთი დანახარჯების და მათი შედეგების დათვლა-გაანგარიშება ფულად გამოხატულებაში, მაგრამ ეკონომისტები თამამად მიმართავენ ამას ხშირ შემთხვევაში. წარმოიდგინეთ, მაგალითად, ავტომაგისტრალის პარალელური გზის მშენებლობის სარგებლიანობა-ხარჯების გაანგარიშებაში ამ გზის გაყვანის შედეგად ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის „ფასეულობის" შედარება დანახარჯებთან. ასეთი მცდელობა მნიშვნელოვანწილად ცინიკურად წარმოჩინდება. მაგრამ... მაგრამ ეს ასე კეთდება და არც ისე იშვიათად. ეკონომიკური ანალიზის ასეთ ტიპს გულისხმობდა, ეტყობა, ინგლისელი მწერალი **ოსკარ უაილდი**, როდესაც ირონიულად ამბობდა: *„ეკონომისტი ისეთი ადამიანია, რომელმაც ყველაფრის ფასი იცის, მაგრამ არაფრის ფასეულობა არ უწყის"*.

მიუხედავად ამისა, ამგვარი ხასიათის გაანგარიშებები ხშირად აუცილებელია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში როგორც მაკროეკონომისტებმა, ისე საზოგადოებამ და ხელისუფლებამ უნდა იცოდნენ, რომ ამ პირობებში ცდომილება ჩვეულებრივ გაანგარიშებასთან შედარებით უფრო დიდი იქნება. ამასთან ისიც ცხადია, რომ თუ ეკონომისტებმა და პოლიტიკოსებმა იციან ამ „ხაფანგების" შესახებ, მაშინ ასეთი მაკროეკონომიკური შეფასებები უფრო ზუსტი გაანგარიშებების მეტად სასარგებლო წანამატი იქნება, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს სხვანაირად (ინტუიციურად, გაანგარიშებების გარეშე) მიღებული გადაწყვეტილებების სუბიექტურ შეცდომებს.

ეკონომისტები კი თავიანთი გადაწყვეტილებების გაანგარიშებებში ასეთი პარამეტრების ჩადებისას (როდესაც ფასეულობა-სარგებლიანობის ფულზე გადაყვანა შეიძლება ერთგვარად ამორალურად, მიუღებლად ჟღერდეს) თავს იმით იმართლებენ, რომ რეალურ ცხოვრებაში კაცობრიობა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს ეს, ასეთ მეთოდს ხშირად მიმართავს. თუ არადა მანქანების, მატარებლების მოძრაობა აიკრძალებოდა, სამედიცინო დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან არ იქნებოდა და ა.შ.

დამატებითი კითხვის მასალა

ზღვრული მწარმოებლურობა და წარმოების ფაქტორები, როგორც ღირებულების შექმნის სუბსტაცია.

როგორც თემის ძირითად ტექსტში აღინიშნა, ნებისმიერი წარმოების ორგანიზაციისათვის აუცილებელია წარმოების შემდეგი ფაქტორები: შრომა, კაპიტალი და მიწა (ბუნებრივი რესურსები). თანამედროვე ეკონომიკური თეორია (მარქსიზმისაგან და მნიშვნელოვანწილად კლასიკური პოლიტიკური ეკონომიისაგან განსხვავებით) სამივე ამ ფაქტორს (წარმოების სამივე აგენტს) ღირებულების (ფასეულობის) შექმნის წყაროდ აღიარებს. წარმოების ფაქტორების თეორიის ფუძემდებელია ფრანგი მეცნიერი ჟან ბატისტ სეი (1767-1832), „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატის" (1830 წ.) ავტორი. მისი აზრით, წარმოების სამივე ფაქტორს თავისი სპეციფიკური მწარმოებლურობა ახასიათებს. ამ ფაქტორების მფლობელები კი ითვისებენ (იღებენ) წარმოებული ფასეულობის იმ ნაწილს, რომლის შექმნასაც განაპირობებს მათ საკუთრებაში (ფლობაში) არსებული წარმოების ფაქტორი (სწორედ ეს ნაწილი შეიძლება მას მიეკუთვნოს): მუშა მისი შრომით შექმნილ ნაწილს ღებულობს ხელფასის სახით, კაპიტალისტი-მეწარმე კაპიტალის მიერ შექმილ ნაწილს — მოგების (პროცენტის) სახით, ხოლო მიწის მესაკუთრე — მიწის მიერ შექმნილ ნაწილს — რენტის სახით (ეს დებულება ასე ცხადად უფრო გვიან დასაბუთდა და ჩამოყალიბდა და მის ავტორებად მიჩნეული არიან ამერიკელი მეცნიერი ჯონ ბეითს კლარკი (1847-1938) და ავსტრიელი ფრიდრიხ ფონ ვიზერი (1851-1916)). ამასთან ისიც აღიარებულია დღევანდელი პოლიტეკონომიის (ეკონომიკური თეორიის) მიერ, რომ წარმოების სამივე ფაქტორის ღირებულების შექმნაში მონაწილეობა განისაზღვრება ყოველი მათგანის ზღვრული მწარმოებლურობით, ე.ი. მის მიერ შექმნილი ზღვრული პროდუქტის მოცულობით. ამ უკანასკნელში კი (ზღვრული პროდუქტის მოცულობაში) იგულისხმება პროდუქციის ის მატება, რომელიც მიიღება წარმოების ამა თუ იმ ფაქტორის ერთეულით გაზრდით დანარჩენი ფაქტორების უცვლელობის პირობებში.

ზღვრული პროდუქტის ცნება გულისხმობს, რომ თუ სტაბილური ტექნიკური პირობების დროს წარმოების რომელიმე ფაქტორი იზრდება ისე, რომ სხვა ფაქტორები უცვლელია, გარდუვალია (კანონზომიერებაა) წარმოების მატების შემცირება.

ეკონომიკურ თეორიაში ამ მდგომარეობას ხშირად თანამიმდევრული დანახარჯების მწარმოებლურობის კლებადობის კანონს უწოდებენ. ამ კანონის შესაბამისად ყოველი ფაქტორის გამოყენება დამოკიდებულია ზღვრული პროდუქტის ფასისა და იმ ფაქტორის ერთეულის ფასის შეფარდებაზე, რომელსაც მიეკუთვნება (მიეწერება) აღნიშნული ზღვრული პროდუქტი (ერთი მუშის, ერთი საწარმოო დანადგარის, მიწის ფართობის ერთეულის). ამა თუ იმ ფაქტორის წარმოებაში დამატებით ჩართვას მაშინ და მანამდე აქვს აზრი, სანამ ამის შედეგად მიღებული დამატებითი პროდუქტის ფასი (სხვა თანაბარ პირობებში) მისი გამომწვევი წარმოების ფაქტორის ერთეულის ფასზე მეტია. როგორც კი წონასწორობა დგება, მოცემული ფაქტორის დანახარჯების გაზრდა არარენტაბელური (არაეფექტიანი) ხდება, ე.ი. ამ ფაქტორის ზრდა არახელსაყრელია. ეკონომიკური რესურსების ჩანაცვლების საკითხი წყდება ურთიერთშენაცვლებადი და ურთიერთშეუსებადი წარმოების ფაქტორების და მათზე ფასების ანალიზის საფუძველზე. დამაკმაყოფილებლად (ყველაზე მისაღებად) შეიძლება ის ვარიანტი ჩაითვალოს, რომელშიც წარმოების ფაქტორების კომბინაცია და პროდუქციის გამოშვების ფირმისათვის მისაღები მოცულობა შეესატყვისება წარმოების უმცირესი დანახარჯების კრიტერიუმს. ყოველი სამეურნეო სუბიექტი ცდილობს მიაღწიოს წარმოების დანახარჯების მინიმიზაციას და ესწრაფვის დაიცვას შემდეგი წესი: ფულის ყოველი ერთეულის დახარჯვაზე (გამოყენებული წარმოების ფაქტორების დანახარჯებზე) მიიღოს ერთნაირი (თანაბარი) ზღვრული პროდუქტი.

აქედან გამომდინარე, სწორედ ზღვრული პროდუქტი განსაზღვრავს იმ შემოსავლის

სამართლიან, ბუნებრივ დონეს, რომელიც გაიცემა (ეკისრება, ეკუთვნის) ამა თუ იმ ფაქტორზე. ამასთან კლებადი მწარმოებლურობის კანონის ნორმალური ფუნქციონირება და წარმოების ფაქტორებზე შექმნილი პროდუქტის სწორი (ადეკვატური, სამართლიანი) განაწილება შესაძლებელია მხოლოდ სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, რომელიც გულისხმობს წარმოების ფაქტორების შეუფერხებელ, დაუბრკოლებელ გადაადგილებას და მათი მოგებიანი (მაღალი უკუგებით) გამოყენებისათვის საჭირო და საიმედო ინფორმაციის არსებობას.

ე.ი. თუ თავისუფალი კონკურენციისათვის დაბრკოლებები არ არსებობს და ფაქტორების შეფარდებითი ფასები იცვლება ზღვრული მწარმოებლურობის ცვლილებების შესაბამისად, მაშინ ხელფასი, პროცენტი (მოგება) და რენტა იქნება სწორედ წარმოების ფაქტორების ფასი, რომელიც შეესაბამება მათ ზღვრულ მწარმოებლურობას.

როგორც ვხედავთ (და ეს მეტად მნიშვნელოვანია), აქ წარმოებასა და განაწილებას ერთი საფუძველი აქვთ — ფაქტორების ზღვრული პროდუქტი.

მთელი პროდუქტის ღირებულება რომ მივიღოთ, საჭიროა წარმოების ყოველი ფაქტორი გავამრავლოთ მის ზღვრულ მწარმოებლურობაზე და ნამრავლები შევაჯამოთ; ჯამის შესაკრებები ფუნქციურად განსაზღვრავს ფაქტორების წილს ეროვნული პროდუქტის განაწილებაში. მათემატიკურ ფორმაში ამის წარმოდგენა შეიძლება საწარმოო ფუნქციის სახით:

Y = f (K,L,N)

სადაც

Y *— არის ერთობლივი ეროვნული პროდუქტი,*

K *— კაპიტალი,*

L *— შრომა,*

N *— მიწა.*


შრომის ფაქტორის მაგალითზე კლებადი და ზღვრული მწარმოებლურობა იმას ნიშნავს, რომ წარმოებაში ჩართულ მუშაკთა ყოველი დამატებითი ერთეულის შრომის ნაყოფიერება (უკუგება) ადრე ჩართულ მუშაკთა შრომის ნაყოფიერებაზე ნაკლებია, ხოლო „ზღვრული" სწორედ ყველაზე ბოლოს (უკანასკნელად) ჩართული მუშაკის შრომის მწარმოებლურობაა. ე.ი. მრეწველობის მთლიანი პროდუქტიდან შრომას მხოლოდ ის პროდუქტი უნდა დაეკისროს (მიეწეროს) და იქნეს აღიარებული „შრომის პროდუქტად", რომელსაც ქმნიან მთლიანად დაქირავებული მუშაკები ზღვრული მუშაკის მწარმოებლურობიდან გამომდინარე, პროდუქციის დანარჩენი ნაწილი კი (ე.ი. სხვაობა მთლიანად „მრეწველობის პროდუქტსა" და „შრომის პროდუქტს" შორის) არის „კაპიტალის პროდუქტი" და მას უნდა მიეკუთვნოს (ჯ.ბ. კლარკი მოგების არსებობას კაპიტალისტ — მეწარმის განსაკუთრებულ ფუნქციას უკავშირებდა, რომელიც წარმოების ფაქტორებს წარმოების პროცესში აერთიანებს).

ზემოჩამოყალიბებული დებულება შეიძლება შემდეგ ციფრობრივ ილუსტრაციაში წარმოვსახოთ.

დავუშვათ, რომ: 10 კაცისგან შემდგარი მუშაკთა ჯგუფი უშვებს პროდუქციის 100 ერთეულს; წარმოებაში დამატებითი 10 მუშაკის ჩართვა (წარმოების სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში) იძლევა პროდუქციის 90 ერთეულით ზრდას; კიდევ (ბოლო) 10 მუშაკის დასაქმება კი (ამის შემდეგ დამატებითი მუშების მოზიდვა წაგებიანია) უზრუნველყოფს გამოშვებული პროდუქციის 80 ერთეულით ზრდას. ე.ი. საწარმოში, სადაც 30 კაცი მუშაობს, შექმნილია პროდუქციის 270 ერთეული.

ამ შემთხვევაში შრომის ზღვრული მწარმოებლურობა იქნება 8 (80:10); ასეთივე იქნება (გამოდის, რომ ასეთი ყოფილა) ყოველი დანარჩენი 20 მუშაკის მწარმოებლურობა, შრომის მთლიანი პროდუქტი კი 240 (30x8); პროდუქციის საერთო მოცულობისა და შრომის პროდუქტს შორის სხვაობა — 30 ერთეული (270-240) უნდა დაეკისროს (უნდა მიეკუთვნოს) კაპიტალს. ეს იქნება „კაპიტალის პროდუქტი".

ამ დებულების დასამტკიცებლად ჯ.ბ. კლარკი იყენებდა გრაფიკულ მეთოდს და შემოთავაზებული აქვს შემდეგი დიაგრამა:



ნახ. 2.4. მრეწველობის პროდუქტის შრომის პროდუქტად და კაპიტალის პროდუქტად დანაწილება.

ამ დიაგრამაზე A, A', A''... — ეს შრომის ერთეულებია, რომლებიც თანდათანობით ემატება (ერთვება) ღირებულებით უცვლელი კაპიტალის ოდენობას; ფართობები კი ABB'A', A'R'-B''A'', A''R''B'''A''' ... არის იმ ფასეულობების (ქონების, სიკეთის) მოცულობა, რომელიც იქმნება (იწარმოება) შრომის შესაბამისი (დამატებითი) ერთეულების დასაქმების კვალობაზე. ადარებს რა ერთმანეთს პირველ და მეორე ფართობებს (პროდუქციას), ჯ.ბ. კლარკი ავლენს იმ შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც დაეკისრება როგორც შრომას, ისე კაპიტალს.

ზემომოყვანილ დიაგრამაში მუშაკთა მეორე ჯგუფის წარმოებაში ჩართვისას ორივე ჯგუფის შრომის პროდუქტი იქნება ფართობი ARB''A'', ხოლო ფართობი RBB'R' არის კაპიტალის პროდუქტი. მთლიანობაში კი (მთელ დიაგრამაზე, მთელ ეკონომიკაში) EB^X ხაზის ზევით არსებული ფართობი კაპიტალის პროდუქტია, მის ქვევით კი (AEB^XD ფართობი) — შრომის პროდუქტი.

საქონელ-მომსახურების ღირებულების სუბიექტური ხასიათი

წარმოების ფაქტორებზე საუბრისას ჩვენ ხაზი გავუსვით იმას, რომ საზოგადოებაში ღირებულების (ფასეულობის, სიკეთის) შექმნაში წარმოების სამივე ფაქტორი მონაწილეობს. ამასთან ჯერ კიდევ არ ვიცით: რა არის ეს ღირებულება (ფასეულობა) — ნივთთა (საქონლის, მომსახურების) შინაგანი (იმანენტური) თვისებაა, თუ ჩვენ თვითონ ვაკუთვნებთ მათ ამ თავისებურ ატრიბუტს; რატომ არის, რომ ბაზარზე საქონელთა ურთიერთგაცვლა ან მათი ფულზე გაყიდვა გარკვეულ მყარ პროპორციებში ხდება ან, როდესაც ეს შეფარდებები იცვლება, რა განაპირობებს გაცვლა-გაყიდვის ახალ პროპორციებს.

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის შესაბამისად (აგრეთვე უმეტესწილად კლასიკური პოლიტეკონომიის პოზიციებიდანაც), ღირებულება არის საქონელში განივთებული შრომა, ხოლო სხვადასხვა საქონლის წარმოებაზე დახარჯული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის მოცულობათა შეფარდება განაპირობებს საქონელთა ურთიერთგაცვლის პროპორციებს. ე.ი. ამ მოსაზრების შესაბამისად, საქონელ-მომსახურების ყიდვა-გაყიდვას და მათ ფასებს ობიექტურად მოქმედი ღირებულების კანონის მოთხოვნები განსაზღვრავს.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში ღირებულების ფორმირების საფუძვლად აღიარებულია სამეურნეო პროცესის მონაწილეთა ინდივიდუალური შეფასებები. ამ მოსაზ-

რებას და, აქედან გამომდინარე, ზღვრული სარგებლიანობის კონცეფციას საფუძველი ავსტრიის სკოლის წარმომადგენელმა მეცნიერებმა კარლ მენგერმა (1840-1921), ოიგენ ფონ ბემ-ბავერკმა (1851-1914) და ფ. ვიზერმა, ავრეთვე გერმანელმა მეცნიერმა ჰერმან ჰაინრიხ გოსენმა (1810-1898) ჩაუყარეს. კ. მენგერი ღირებულებას განმარტავდა, როგორც მეურნეთა მსჯელობას მათ განკარგულებაში მყოფ სიკეთეთა მნიშვნელობაზე; აქედან ის ასკვნიდა, რომ ღირებულება არ შეიძლება არსებობდეს მეურნე სუბიექტების შეგნების (ცნობიერების) გარეშე. ამ კონცეფციის ძირითადი კატეგორიაა „ზღვრული სარგებლიანობა"; ე.ი. სუბიექტური სარგებლიანობა სიკეთის ის „ზღვრული ეგზემპლარია", რომელიც აკმაყოფილებს ამ სახის დოვლათზე (სიკეთეზე) ყველაზე ნაკლებად მწვავე (ნაკლებად გარდუვალ) მოთხოვნილებას. მაგრამ ეს ყველაზე ნაკლებად მწვავე მოთხოვნილებაც (ე.ი. სიკეთის ზღვრული სარგებლიანობა) უცვლელი არ არის. ზღვრული სარგებლიანობა განისაზღვრება სიკეთეთა ღირებულებით, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ამ სიკეთეთა მარაგზე და მათზე მოთხოვნაზე, ანუ ამ სიკეთით მოთხოვნილების გაჯერებაზე.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ:

- ***მოცემულ მოთხოვნილებასთან შედარებით საქონლის (სიკეთის) მარაგის ზრდის პირობებში ეცემა (კლებულობს) ამ საქონლის ზღვრული სარგებლიანობა, მაშასადამე, სიკეთის ღირებულებაც;***
- ***თუ კი მარაგი მცირდება, საქონლის (სიკეთის) სარგებლიანობა და ღირებულება იზრდება.***

ე.ი. გამოდის, რომ სიკეთის (დოვლათის, საქონლის) ღირებულება დამოკიდებულია მოთხოვნილების გაჯერებაზე (უბრალოდ რომ ვთქვათ, თუ საუბარია, მაგალითად, საკვებზე — ადამიანის გაძღომაზე). ამ კონცეფციის შესაბამისად, მატერიალური დოვლათის (სიკეთის) ღირებულების მოცულობა განისაზღვრება იმ კონკრეტული მოთხოვნილების მნიშვნელობით, რომელსაც ბოლო ადგილი უჭირავს მოთხოვნილებების რიგში და რასაც აღნიშნული სახის მატერიალურ სიკეთეთა მარაგი აკმაყოფილებს. ე.ი. ზღვრული სარგებლიანობის კონცეფციის შესაბამისად, ღირებულების საბოლოო წყაროა (საზომია) სიკეთის სარგებლიანობა, რომელიც რეალური ფსიქოლოგიური კატეგორიაა; ეს კატეგორია კი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება გაცვლის მონაწილეთა მოთხოვნილებების იერარქიით, ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონით. ეს იმას ნიშნავს, რომ სარგებლიანობის ფუნქციას კლების (შემცირების) ტენდენცია ახასიათებს: რაც უფრო დაკმაყოფილებულია ესა თუ ის მოთხოვნილება, მით უფრო ნაკლებია შესაბამისი სიკეთის სარგებლიანობა — ფასეულობა. „სარგებლიანობის კლების კანონს" გარკვეულწილად უნივერსალური ხასიათი აქვს (ვიზერმა ეს დებულება ადამიანის ემოციების ყველა გამოვლენაზე გაავრცელა — „შიმშილიდან სიყვარულამდე[1]".

ზღვრული სარგებლიანობიდან გამოდის საქონლის (სიკეთის) „ობიექტური საცვლელი ღირებულება", ხოლო მისგან კი — საბაზრო ფასი, როგორც მყიდველებისა და გამყიდველების მიერ სიკეთეთა (დოვლათის) სუბიექტური შეფასების ტოლქმედი.

[1] აქ ყურადღებას მივაქცევდით იმ გასაოცარ მსგავსებას, რომელიც არსებობს ავსტრიული სკოლის ზღვრულისარგებლიანობისამდებულებასადაგამოყენებითიფსიქოლოგიისცნობილიწარმომადგენლის ვუნდტის ძირითად ფსიქოლოგიურ კანონს შორის. ვუნდტის აზრით, ეს ძირითადი კანონი მთლიანად ჩვენი შეგრძნების შეფასებას ემყარება. როცა ანთებულია 100 სანთელი, ერთი დამატებითი სანთლით გამოწვეული სინათლის ცვლილებას ჩვენ ვერ შევამჩნევეთ. ეს ას მეერთე სანთელი ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე უმნიშვნელო გავლენას ახდენს, რამდენადაც ჩვენი ყურადღება 100 სანთლის ძალითაა უკვე აღვსილი. როცა კი ანთებულია 10 სანთელი, ერთი სანთლის დამატებით გამოწვეული გაღიზიანების ძალა უფრო ინტენსიური ხდება. შემდგომში გამოირკვა, რომ ზღვრული სარგებლიანობის კანონი წარმოადგენდა საფუძველს ფსიქიკურ მოვლენათა ამ ძირითადი კანონის ასახსნელად.

თავის თეორიულ მოსაზრებებს ავსტიული სკოლის მამამთავარმა ბემ-ბავერკმა ილუსტრირება გაუკეთა იმ ახალი მოსახლის მაგალითზე, რომლის ქოხიც განმარტოებით დგას ულრან ტყეში. დავუშვათ, რომ ამ მოსახლეს აქვს ხუთი ტომარა ხორბალი. ამასთან:

1-ლი საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენი რობინზონი შიმშილით არ მოკვდეს;

მე-2 ემსახურება მისი კვების გაუმჯობესების ამოცანებს;

მე-3 საჭიროა საოჯახო ფრინველის საკვებად;

მე-4 არყის გამოსახდელად;

მე-5 გამოიყენება ბელურების საკვებად, რომლებიც ჩვენმა გმირმა მოიშინაურა თავის შესაქცევად.

გასაგებია, რომ ხორბლის მე-2 ტომარას ჩვენი გმირისათვის ნაკლები სარგებლიანობა აქვს, ვიდრე 1-ელს (მას გარე სამყაროსთან გაცვლითი ურთიერთობა არა აქვს), მე-3-ეს უფრო ნაკლები, ვიდრე, მე-2-ეს, და ა.შ. მათი სარგებლიანობა შეიძლება გამოიხატოს როგორც კლებადი ციფრების რიგი: 10,9,8,7 და 6. ხორბლის მე-5 ტომრის სარგებლიანობა, რომელიც „6" ციფრით გამოიხატება, არის ზღვრული სარგებლიანობა; სწორედ ის განსაზღვრავს პურის საცვლელ ღირებულებას.

ამ დებულების დასაბუთებას ემსახურება აგრეთვე ზღვრული სარგებლიანობის მთავარი მოდელი, ე.წ. **მენგერის სკალა**, *რომელიც ღირებულების (ფასიანობის) შექმნის მექანიზმში აერთიანებს სიკეთეთა გვაროვნულ და კონკრეტულ სარგებლიანობას (რომაული ციფრები გვაროვნული სარგებლიანობაა, არაბული კი — კონკრეტული).*

I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
10	9	8	7	6	5	4	3	2	1
9	8	7	6	5	4	3	2	1	-
8	7	6	5	4	3	2	1	-	-
7	6	5	4	3	2	1	-	-	-
6	5	4	3	2	1	-	-	-	-
5	4	3	2	1	-	-	-	-	-
4	3	2	1	-	-	-	-	-	-
3	2	1	-	-	-	-	-	-	-
2	1	-	-	-	-	-	-	-	-
1	-	-	-	-	-	-	-	-	-

ცხრილი 2. ზღვრული სარგებლიანობის მოდელი (მენგერის სკალა).

ეს სკალა აგებულია სარგებლიანობის კლების პრინციპზე, რომელსაც **გოსენის პირველ კანონს** *უწოდებენ. ამ პრინციპის (კანონის) შესაბამისად, მოცემული სახის სიკეთეზე მოთხოვნილება მცირდება მისი ყოველი დამატებითი (შემდეგი) ერთეულით დაკმაყოფილებისას, სანამ მთლიანი გაჯერების წერტილზე ნულს არ გაუტოლდება. მენგერის ზემომოყვანილი სკალა კი გვიხსნის, თუ რატომ შეუძლია ნაკლები გვაროვნული სარგებლიანობის სიკეთეს ჰქონდეს მეტი ღირებულება (მეტი ფასეულობა) — ამას სარგებლიანობის სკალაში ყველა ცალკეული სიკეთის და მასზე მოთხოვნის გაჯერების (დაკმაყოფილების) ხარისხი გვიჩვენებს.*

ეს სკალა გვაძლევს ამავდროულად საშუალებას გავაკეთოთ ოპტიმალური სამომხმარებლო არჩევანი მოთხოვნილებების მთლიანი გაჯერებისათვის სიკეთეთა მარაგის უკმარისობის პირობებში მათი ზღვრული სარგებლიანობის გათანაბრების პრინციპით. ეს არის **გოსენის მეორე კანონი**, *რომლის შესაბამისად იმ პირობებში, როდესაც სიკეთეთა მარაგი საკმარისი არ არის მოთხოვნილებათა მაქსიმალური გაჯერებისათვის, ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება (ე.ი. სიკეთეთა მოხმარება) იმ წერტილებზე უნდა*

შევაჩეროთ, სადაც მოხმარების სიამოვნების ინტენსივობა ერთნაირია (აქედან გამოდის **დასკვნა**, *რომ სუბიექტებისათვის სიკეთეს მაშინ აქვს ფასეულობა, როდესაც მისი ოდენობა საჭიროზე ნაკლებია).*

ვინაიდან იგულისხმება, რომ მენგერის სკალაში შეტანილ ყველა სიკეთეს ერთნაირი ფასი აქვს, მომხმარებელი, რომლის მყიდველობითი ფონდი შეზღუდულია, თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მაქსიმუმს მიიღებს შეძენილ სიკეთეთა ზღვრული სარგებლიანობის თანასწორობის (ტოლობის) შემთხვევაში; მაგალითად, 10 ტალერის პირობებში ის შეიძენს სიკეთეთა ნაკრებს, რომლის ზღვრული სარგებლიანობა იქნება „7", 15 ტალერის პირობებში — „6" ზღვრული სარგებლიანობის მქონე ნაკრებს და ა.შ.

ე.ი. ოპტიმალური არჩევნის კრიტერიუმად გვევლინება ზღვრულ სარგებლიანობათა ტოლობა, რომელიც ყოველი რაციონალური სამეურნეო ქმედობის წესად არის აღიარებული.

ბემ-ბავერკმა მოგვცა ფასწარმოქმნის მოდელი, რომელიც განისაზღვრება ორი „ზღვრული წყვილის" მიერ საქონლის სუბიექტური შეფასების სიმაღლით (მოდელში საქონლის შეფასება ხდება ფულად ერთეულში).

მყიდველთა შეფასებები	გამყიდველთა შეფასებები
A1 – 300	B1 – 100
A2 – 280	B2 – 110
A3 – 260	B3 – 150
A4 – 240	B4 – 170
A5 – 220	B5 – 200
A6 – 210	B6 – 215
A7 – 200	B7 – 250
A8 – 180	B8 – 260
A9 – 170	B9 – 280
A10 – 150	B10 – 300

ცხრილი 2. ბემ-ბავერკის ფასწარმოქმნის მოდელი.

როგორც ვხედავთ (ასეა ეს რეალურ ცხოვრებაშიც), ბაზარზე გამოტანილი ერთი და იგივე საქონლის მყიდველები და გამყიდვლები სხვადასხვანაირად აფასებენ ერთ და იმავე საქონელს. ვინაიდან საქონელი შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას მყიდველი გამყიდველზე მაღლა აფასებს. ფასის ფორმირებაში მონაწილეობს მყიდველთა და გამყიდველთა მხოლოდ პირველი 5 წყვილი; ამასთან ფასი არ შეიძლება პირველი გამორიცხული გამყიდვლის (B_6-ის) ფასზე (ე.ი. 215-ზე) მაღალი იყოს. ის ამავდროულად არ შეიძლება პირველი გამორიცხული მყიდველის (A_6-ის) ფასზე (ე.ი. 210-ზე) დაბალი იყოს. ე.ი. ეს ფასი ჩამოყალიბდება 210-სა და 215-ს შორის.

კითხვები და სასწავლო დავალებები

1. შეგიძლიათ თუ არა მოიყვანოთ იმის მაგალითები ყოველდღიური სიტუაციიდან, თუ როგორ აკეთებთ თქვენ თვითონ არჩევანს და როგორ ანგარიშობთ არჩევანის ფასს?
2. როგორ ფიქრობთ, რა აზრი აქვს ასეთ ამერიკულ ანდაზურ თქმას: „მე არც ისე მდიდარი ვარ, რომ იაფი საქონელი შევიძინო"?
3. კრიტიკულად გააანალიზეთ შემდეგი მოსაზრება: „არასწორია დებულება, თითქოს მოთხოვნილებების მაქსიმალური გაჯერება შეუძლებელია. მე იმდენ კარაქს ვჭამ, რამდენიც მსურს (რამდენიც მთლიანად მაკმაყოფილებს)".
4. ინგლისის ყოფილმა პრემიერ — მინისტრმა მ. ტეტჩერმა ხუმრობით განაცხადა ერთხელ, რომ „უფასოდ მარტო ყველს იძლევიან სათაგურშიო". კომენტარი გაუკეთეთ დღეს უკვე „ფრთოსან" ამ მოსაზრებას.
5. როგორ გესმით მოთხოვნილებების განუსაზღვრელობის და ცვალებადობის დებულება?
6. დავუშვათ, რომ ერთხელ თქვენ იმ 30-საათიანი კურსის ყველა ლექციაზე გეძინათ, რომლის მოსმენისათვის 300 დოლარი გადაიხადეთ. გაიანგარიშეთ, რა დაგიჯდათ ერთსაათიანი ძილი, და შეადარეთ დაკარგული ალტერნატივა იმ ტკბობას, რომელიც ძილმა მოგიტანათ.
7. როგორ განსაზღვრავდით კლებადი ეფექტიანობის (მწარმოებლურობის) კანონს?
8. რას ნიშნავს ალტერნატიული დანახარჯები და რა მნიშვნელობა აქვს მათ სამეურნეო (თუ სხვა) გადაწყვეტილების მიღების დროს?
9. როგორ გესმით მარგინალური (ზღვრული) ანალიზის (მოვლენების ზღვარზე ანალიზის) თეორია?
10. შეგიძლიათ დაასახელოთ რაციონალური არჩევანის მაგალითები?
11. როგორ მიგაჩნიათ, რა განსხვავებაა მაკროეკონომიკურ გაანგარიშებასა და ჩვეულებრივ (ფირმის, საოჯახო მეურნეობის, სახელმწიფო სტრუქტურის) სამეურნეო გაანგარიშებას შორის?
12. როგორ შეგიძლიათ დაასაბუთოთ, რომ ღირებულებას (ფასეულობას) წარმოების სამივე ფაქტორი ქმნის?
13. გაეცანით ეფექტიანობის და დაკარგული ალტერნატივის ღირებულების გაანგარიშების მაგალითს და უპასუხეთ კითხვებს.

დავუშვათ, რომ საზოგადოებაში სამად-სამი მწარმოებელია (პეტრე, პავლე, ივანე) და აქ დროის გარკვეულ პერიოდში შეიძლება წარმოებულ იქნეს მხოლოდ ორი სახის სიკეთე. ვთქვათ, ერთია მატერიალური სიკეთე (მს), მეორე კი — სულიერი სიკეთე (სს).

დავუშვათ ასევე, რომ:

პეტრეს შეუძლია აწარმოოს ამ პერიოდში (დღეში) 8 მს ან 4 სს;
პავლეს — 3 მს ან 3 სს;
ივანეს — 1 მს ან 2 სს.

დავსვათ კითხვები:

- *ვინ არის ამ ძალზე გაუბრალოებულ მაგალითში სულიერი სიკეთის (სს-ის) ყველაზე ეფექტიანი მწარმოებელი?*
- *ვინ არის მატერიალური სიკეთის (მს-ის) ყველაზე ეფექტიანი მწარმოებელი?*

ამ კითხვებზე პასუხის სწორად გაცემაში შემდეგი საკითხების განხილვა დაგეხმარებათ:

- ✓ *რა ალტერნატიული დანახარჯები აქვთ ერთი ერთეული სულიერი სიკეთის წარმოებაზე პეტრეს, პავლეს, ივანეს?*
  - *პასუხი: ერთი სს-ის წარმოებაზე პეტრე ხარჯავს 2 მს-ს; პავლე — 1 მს-ს; ივანე — ½ მს-ს*

- ✓ *რა დანახარჯები აქვთ ერთი ერთეული მატერიალური სიკეთის წარმოებაზე პეტრეს, პავლეს, ივანეს?*
  - *პასუხი: პეტრე ერთი მს-ის წარმოებაზე ხარჯავს ½ სს-ს; პავლე — 1 სს-ს; ივანე — 2 სს-ს.*

თქვენ რომ ამ საზოგადოების წარმართველი იყოთ, ვის მიანდობდით: სს-ის წარმოებას და მს-ის წარმოებას?

როგორც დავთქვით, ჩვენ მიერ მოგონილ საზოგადოებაში მხოლოდ ორი სიკეთის (საქონლის) წარმოება შეიძლება: მატერიალურის და სულიერის. მაშასადამე, სულიერი სიკეთის წარმოების დანახარჯების შეფასება შეგვიძლია მხოლოდ დაკარგული მატერიალლური სიკეთით და პირიქით.

ჩვენი მაგალითიდან კი ვხედავთ, რომ სულიერი სიკეთის ერთეულის წარმოებაზე ყველაზე ნაკლებ მატერიალურ სიკეთეს ივანე წირავს (1/2 მს-ს); პავლე ერთ სს-ზე ერთ მს-ს წირავს; პეტრე, რომელიც ჩვენს მაგალითში წარმოჩენილია, როგორც მატერიალური სიკეთის ყველაზე უხვი მწარმოებელი, ერთ სს-ზე ორ მს-ს წირავს (ხარჯავს).

დასკვნა გასაგები უნდა იყოს: სულიერი სიკეთის ყველაზე ეფექტიანი მწარმოებელია ივანე.

დავუშვათ ახლა, რომ ამ საზოგადოების არსებობისათვის დღეში საკმარისია ერთი მს-ის წარმოება, დანარჩენი შესაძლებლობები მიზანშეწონილია წარიმართოს სს-ის წარმოებაზე (მათზე მოთხოვნა პრაქტიკულად განუსაზღვრელია). თქვენ კი ამ საზოგადოებაში ეკონომიკური ორგანიზაციის განმსაზღვრელი ბრძანდებით. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ სამივე მწარმოებელი ისე უნდა დაასაქმოთ, რომ მიიღოთ აუცილებელი ერთი მატერიალური სიკეთე (მს) და მაქსიმალური ოდენობის სულიერი სიკეთე (სს).

- ***როგორ კომბინაციას აირჩევდით?***

აქ შეჩერდით და შეეცადეთ უპასუხოთ კითხვას, შემდეგ კი წაიკითხეთ პასუხი.

თუ თქვენ, ვთქვათ, ვერ გაერკვიეთ, რომ ივანე სს-ის ყველაზე ეფექტიანი მწარმოებელია, და მას დაავალეთ ამ საჭირო ერთი მს-ის წარმოება, შემდეგ შედეგს მიიღებთ:

პეტრე შექმნის 4 სს-ს;

პავლე შექმნის 3 სს-ს

სულ: 7 სულიერი სიკეთე და 1 მატერიალურ სიკეთე, რომელიც ივანემ შექმნა

თუ კი თქვენ გაიგეთ, რომ ყველაზე სასარგებლოა, თუ სს-ის წარმოებას ივანეს დაავალებთ (ის ამის ყველაზე მაღალი მწარმოებელია), ხოლო იმ საჭირო ერთი მატერიალური სიკეთის (მს) წარმოება პეტრეს დაავალეთ, მაშინ შედეგი ასეთი იქნება:

პეტრე შექმნის 3,5 სს-ს (პლუს 1 მს);

პავლე შექმნის 3 სს-ს;

ივანე შექმნის 2 სს-ს

სულ: 8,5 სულიერი სიკეთე და 1 მატერიალურ სიკეთე

როგორი იქნებოდა შედეგი, თქვენ რომ იმ ერთი მს-ის წარმოება პავლესთვის დაგევალებინათ?

პეტრე შექმნიდა 4 სს-ს;

პავლე შექმნიდა 2 სს-ს (პლუს 1 მს);

ივანე შექმნიდა 2 სს-ს

სულ: 8 სულიერი სიკეთე და 1 მატერიალურ სიკეთე

ე.ი. ამ შემთხვევაშიც ნაკლებ ეფექტს მიიღებთ.

ე.ი. ჯამში ყველაზე მეტი სიკეთე შეიქმნა მაშინ, როდესაც ერთი მს-ის წარმოება პეტრეს დაავალეთ, ხოლო დანარჩენი შესაძლებლობები სს-ის წარმოებაზე გამოიყენეთ.

რა ხდება აქ?

აბსოლუტურად არაფერი, ყველაფერი გასაგებია, თუ ჩვენ გათავისებული გვაქვს ალტერნატიული ღირებულების დებულება. საქმე ისაა, რომ თქვენ, როგორც საწარმოს ორგანიზატორს, მს-ის და სს-ის წარმოების დროს ყოველი მწარმოებელი გიჯდებათ ზუსტად იმდენი, რამდენსაც თქვენ მიიღებდით მისი სხვანაირად გამოყენების დროს (მაგრამ დაკარგეთ, „შეწირეთ").

ასეთივე მსჯელობის შედეგად შეგვიძლია მოვაწყოთ მაქსიმალური მს-ის წარმოება, თუ პირობაში გავითვალისწინებთ ერთი სს-ის წარმოებას, ხოლო დანარჩენ რესურსებს მივმართავთ რაც შეიძლება მეტი მს-ის წარმოებაზე. ამ შემთხვევაში კი მს-ის ყველაზე ეფექტიანი მწარმოებელი პეტრე იქნება (მის მიერ ერთი მს-ის წარმოებისას იკარგება მხოლოდ ½ სს).

14. ქუთაისელები წყალბურთს თამაშობდნენ. ერთ-ერთმა მათმა თავდამსხმელმა ბურთი ჩაიგდო ხელში და მოწინააღმდეგის კარისაკენ გაიჭრა; საცაა გოლი უნდა გაიტანოს. ამ დროს მაყურებლებმა ყვირილი მორთეს, ბურთი ჭიჭიკიას მიაწოდეო. წყალბურთელმა თამაში თავის თავზე აიღო და გოლი გაიტანა. მაყურებლებმა წყენით მიმართეს მას: „რატომ არ გადაეცი ბურთი ჭიჭიკიასო?". „რა გინდათ, ხალხო, გოლი ხომ გავიტანეო!". „გოლი კი გაიტანე, მაგრამ ჭიჭიკია რომ დაიხრჩოო?!", — იყო პასუხი. ესეც ხომ „არჩევანია"? გაუკეთეთ კომენტარი.
15. ზოგიერთი მეცნიერი ექიმი (ბიოლოგი) თვლის, რომ ადამიანის ერთიან ორგანიზმში ტვინი გარკვეულწილად ეგოისტურად იქცევა „რესურსების განაწილების" დროს: „ჯერ მეო". გაუკეთეთ კომენტარი ამ მოვლენას (დავუშვათ, რომ მას მართლა აქვს ადგილი).
16. დაახასიათეთ გრაფიკზე საწარმოო შესაძლებლობების მრუდი.
17. დაახასიათეთ რაციონალური არჩევანის მიღების წესი.
18. დაახასიათეთ ზღვრული დანახარჯები, ზღვრული მწარმოებლურობა და ზღვრული შემოსავალი.

სავარჯიშო ტესტები

შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი

1. **თუ ეკონომიკაში შრომის მწარმოებლურობა მთლიანობაში გაიზრდება, ხოლო პარიკმახერების კი არა, ამ უკანასკნელთა შრომის ანაზღაურება:**
   1) გაიზრდება;
   2) არ შეიცვლება;
   3) შემცირდება;
   4) შრომის მწარმოებლურობასა და ანაზღურებას შორის კავშირი არ არსებობს.

2. **ეკონომიკაში დოვლათ-სიკეთის (ფასეულობის) შემქმნელია:**
   1) შრომა;
   2) კაპიტალი;
   3) ფული;
   4) ბუნება.

3. **წარმოების ფაქტორები არის რესურსები:**
   1) რომელთა შეერთების შედეგად იქმნება ღირებულება (ფასეულობა);
   2) რომლებიც შექმნილია ადრინდელი წარმოების პროცესში;
   3) რომლებიც შეზღუდულია, რაც საზოგადოებას არჩევანის წინაშე აყენებს;
   4) რომლებიც ადრე არ მონაწილებდა წარმოებაში.

4. **კაპიტალი არის:**
   1) ღირებულება, რომელიც იძლევა შემოსავალს;
   2) წარმოების ფაქტორი, რომელიც ქმნის ღირებულებას (ფასეულობას);
   3) ღირებულება, რომელიც უცვლელად გადადის ახალ საქონელზე;
   4) სამივე წინა პასუხი მცდარია.

5. **კაპიტალი არის საწარმოო ფონდები, რომელთა მეწარმეობრივი გამოყენება:**
   1) უზრუნველყოფს ახალი ღირებულების წარმოებას;
   2) განაპირობებს მესაკუთრეებისა და მეწარმეების მიერ შემოსავლის მიღებას;
   3) განსაზღვრავს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას;
   4) იძლევა, როგორც წესი, დაქირავებულ მუშაკთა ექსპლუატაციის საშუალებას.

6. **ავტობუსით მგზავრობა:**
   1) უფრო ძვირია ღარიბებისათვის;
   2) უფრო ძვირია მდიდრებისათვის;
   3) ერთნაირია ორივესთვის — ეს არის მგზავრობის ფასი;
   4) ავტობუსით მგზავრობის სიძვირე-სიიაფეზე საუბარი არამართლზომიერია პრინციპში: ის იმდენია, რამდენზედაც შეთანხმდა გარიგების ორივე მხარე.

7. **კლებადი ეფექტიანობის (მწარმოებლურობის) კანონი:**
   1) უნივერსალურია;
   2) მოქმედებს ცალკეულ საქონელთა წარმოებისას.
   3) არის კანონი, რომლის შესაბამისად წარმოებაში რომელიმე ფაქტორის დამატებით ჩართვა, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში, განაპირობებს წარმოების ზრდას, მაგრამ ყოველი შემდეგი მატება წინაზე ნაკლები იქნება.
   4) ასეთი კანონი საერთოდ არ არსებობს.

8. ქვეყნის საერთო სამხედრო ხარჯები მეტია:

1) სავალდებულო სამხედრო სამსახურის პირობებში;
2) დაქირავებული არმიის პირობებში.
3) სამხედრო ხარჯების მოცულობას არაფერი აქვს საერთო სამხედრო სამსახურის ხასიათთან (სავალდებულობა — დაქირავებასთან): ის იმდენია, რამდენსაც გაიღებს ხელისუფლება.
4) დაქირავებული არმიის პირობებში — თეორიულად; პრაქტიკულად კი შეიძლება ამაზე მეტი იყოს სავალდებულო სამსახურის პირობებში.

9. სტუდენტების რიცხოვნობა, რომლებიც წყვეტენ სწავლას და იწყებენ მუშაობას, მეტია:

1) ეკონომიკური კრიზისის (დაცემის) პირობებში;
2) ეკონომიკის აღმავლობის პირობებში;
3) ეკონომიკური სტაგნაციის პირობებში;
4) არც ერთი ზემოჩამოთვლილი პირობა სტუდენტების სასწავლებლებში რიცხოვნობაზე არ მოქმედებს.

10. გადაწყვეტილების მიღებისას ალტერნატიულ დანახარჯებს ითვალისწინებს:

1) მოთხოვნის სუბიექტი (მყიდველი);
2) მხოლოდ მიწოდების სუბიექტი (გამყიდველი, მწარმოებელი);
3) როგორც მომხმარებელი, ისე მწარმოებელი.
4) მომხმარებელთა და მწარმოებელთა გადაწყვეტილებებზე მოქმედებს პირდაპირი (ხილული) დანახარჯები, და არა რაღაც ვირტუალური ალტერნატიული ხარჯები.

11. ეროვნული შემოსავლის განაწილება საბაზრო ეკონომიკაში:

1) დამოკიდებულია წარმოების ფაქტორების მწარმოებლლურობაზე;
2) გულისხმობს შრომის პერმანენტულ ექსპლუატაციას;
3) დამოკიდებულია დოვლათ-სიკეთის (მშპ-ის) წარმოების მოცულობაზე;
4) ეროვნული შემოსავლის განაწილების საკითხი ჯერჯერობით არ არის სათნადოდ გამოკვლეულ-ახსნილი ეკონომიკურ თეორიაში.

მოთხოვნა და მიწოდება. ელასტიკურობა და საბაზრო წონასწორობა

თემა III



შესავალი

თემის სათაურში გამოტანილი გვაქვს „მოთხოვნა და მიწოდება“. ეს თემა, ეს საკითხი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. მისი საჭირო დონეზე გათავისება-გაცნობიერება სერიოზული ნაბიჯი იქნება ეკონომიკური თეორიის შესწავლაში, ვინაიდან მოთხოვნა-მიწოდება თავისებურ წითელ ზოლად გასდევს ამ საგნის დანარჩენ თემებსაც. ტყუილად კი არ ხუმრობდა ერთი გამოჩენილი პიროვნება: *„შეასწავლეთ თუთიყუშს „მოთხოვნისა“ და „მიწოდების“ კატეგორიები და კვალიფიციურ ეკონომისტს მიიღებთო“.*

ამასთან სანამ ძირითადი პრობლემების გადმოცემას შევუდგებით, საჭიროა განვიხილოთ ზოგიერთი სხვა, მასთან დაკავშირებული საკითხი.


თავი 1. მარაგები და ნაკადები ეკონომიკაში. ფასების როლი

ნებისმიერი ეკონომიკის სუბიექტებია საოჯახო მეურნეობები, ფირმები და სახელმწიფო სტრუქტურები. მათ შორის მიმდინარე სამეურნეო ურთიერთობებია ფაქტობრივად ეკონომიკა.

სახალხო მეურნეობაში (ეკონომიკაში) რესურსების (წარმოების ფაქტორების), საქონელ-მომსახურების და მათი ანაზღაურების (ფულის) ნაკადების მოძრაობა შეიძლება ქვემოთ მოცემულ გაუბრალოებულ დიაგრამაზე (სახელმწიფო ამოვიღოთ წრებრუნვიდან) წარმოვსახოთ **(ნახ.3.1.).**

საოჯახო მეურნეობები რესურსების ბაზრის გავლით აწვდიან ფირმებს (საწარმოებს) სხვადასხვა წარმოების ფაქტორებს, რომლებიც მათ გააჩნიათ (შრომას — იგივე სამუშაო ძალას; მეწარმობრივ უნარს; ბუნებრივ რესურსებს — მიწას; კაპიტალს). სამაგიეროდ (საკომპენსაციოდ) იღებენ: **ხელფასს; რენტულ შემოსავალს (პროცენტს) და მოგებას.** საწარმოები სამუშაო ძალას (შრომას), კაპიტალს, მეწარმეობრივ უნარს და ბუნებრივ რესურსებს იმისათვის გამოიყენებენ, რომ აწარმოონ საქონელი და მომსახურება იგივე საოჯახო მეურნეობებისთვის სარეალიზაციოდ.

შრომაზე, მიწაზე და კაპიტალზე ფასები ყალიბდება რესურსების (წარმოების ფაქტორების) ბაზარზე. ამასთან, თუ პირველ სამ ფაქტორზე ფასები, ასე ვთქვათ, პირდაპირ ხელშესახებია, მოგება (მეწარმეობრივი უნარის ანაზღაურება) უფრო ირიბია, დაფარულია (რისკის შემცველია) — ის მეწარმეობრივ პროგრამაში ძევს. ამ ბაზარზე რესურსებზე მოთხოვნას წარადგენენ საწარმოები (ფირმები), მიმწოდებლებად კი საოჯახო მეურნეობები გამოდიან.



ნახ. 3.1. რესურსების, პროდუქტების და შემოსავლის საერთოეკონომიკური წრებრუნვა.

მზა პროდუქციაზე (საქონელზე) და მომსახურებაზე ფასები ყალიბდება საქონლის ბაზარზე. აქ კი მოთხოვნით საოჯახო მეურნეობები გამოდიან, მიმწოდებლებად კი — ფირმები.

3.1. ნახაზზე გარე ნაკადები ფულადი სახისაა, შინა ნაკადები კი სასაქონლო ხასიათის.

ე.ი წარმოების ფაქტორები გადაიქცევა საქონლად (მომსახურებად), რომელიც შემდგომში საქონლის ბაზრის გავლით მიეყიდება საოჯახო მეურნეობებს. ფულადი სახსრები კი პირიქით მოძრაობს: საწარმოები იძლევიან ხელფასებს, რენტულ გადასახდელს (პროცენტს) და **დივიდენდებს**[1] თავიანთი მოგებიდან (შემოსავლიდან), ხოლო საოჯახო მეურნეობები გამოიყენებენ ამ სახსრებს (შემოსავალს) საქონლისა და მომსახურების შესაძენად.

ყოველგვარ სამეურნეო გარიგებას (ასევე ზემომოყვანილ საერთო წრებრუნვას), მაშინ აქვს აზრი და ადგილი, როდესაც მასში მონაწილე სუბიექტებს კონტრაჰენტთა საქონელი (სიკეთე) აინტერესებთ, რომელსაც ისინი მათ საკუთრებაში არსებულ სიკეთეს ამჯობინებენ, მასზე მაღლა აფასებენ, რომელიც მათ ხელთ არსებულ სიკეთეზე უფრო სჭირდებათ; სასაქონლო მეურნეობაში ეს შეფასება (ე.ი საქონლის თუ მომსახურების ფასეულობის გამოხატვა) ფულში ხდება.

საბაზრო ეკონომიკაში წარმოების ორგანიზაცია და შედეგიანობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია სამეურნეო სუბიექტების ხელთ არსებული ეკონომიკური რესურსები (ე.ი. წარმოების ფაქტორების მოცულობა, ხარისხი და წარმოების ტექნოლოგია). ამ წარმოების შედეგების განაწილებას კი ის განაპირობებს, თუ, ერთი მხრივ, რამდენს გადაიხდიან ფირმები (საწარმოები) შრომაზე, კაპიტალზე და ბუნებრივ რესურსებზე (რომლებიც საჭიროა წარმოებისათვის და საოჯახო მეურნეობებს ეკუთვნით) და, მეორე მხრივ, რას მოითხოვენ საოჯახო მეურნეობები იმ ეკონომიკურ რესურსებზე, რომლებსაც ისინი გადასცემენ ფირმების განკარგულებაში.

[1] დივიდენდი (*ლათ.* Dividendus გასაყოფი) — არის სააქციო საზოგადოების მოგების ნაწილი, რომელსაც ყოველწლიურად იღებენ ნაღდი ფულისა და აქციების სახით აქციონერები გადასახადების, წარმოების გაფართოების ანარიცხების დაფარვის, რეზერვების შევსების, კრედიტებსა და ობლიგაციებზე პროცენტების ანაზღაურების, დირექტორებისათვის ხელფასის გაცემის შემდეგ.

ამასთან წარმოების ორგანიზაციას, მიმართულებას და ტექნოლოგიას ის განსაზღვრავს (ე.ი. რისი წარმოება იქნება ორგანიზებული და როგორ მოეწყობა ეს), თუ რა მოგების მიღებას შეძლებენ ფირმები (მეწარმეები) სხვადასხვა საქონლის და მომსახურების წარმოების და რეალიზაციის შედეგად; მეწარმეები იმ დარგებში მიისწრაფვიან და იმ საწარმოო მეთოდებს იყენებენ, რომლებიც მათ ყველაზე მეტ მოგებას მოუტანს.

მოგებას მეწარმეობრივი საქმიანობა განაპირობებს. ამიტომ ის, უპირველეს ყოვლისა, მეწარმეობრივი საქმიანობის უნარის, ფირმის მართვაში სიახლის ძიება-პოვნის და ნიჭიერების გამოვლინების, ბიზნესსაქმიანობის შედეგის გაურკვევლობის (ძნელად გარკვევის) რისკის ანაზღაურებაა; ზოგჯერ კი ის (მოგება) მწარმოებლის ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის (მ.შ. ბუნებრივი მონოპოლიის) შედეგია, ე.ი. **მონოპოლიური მოგებაა.**

წარმოების მიმართვისა და მოგების მიღების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა და მარეგულირებელი როლი აქვთ **ფასებს**. საბაზრო ეკონომიკა ძირითადად თვითრეგულირებადია (თვითმართვადია) და ეს „თვითმართვა" **ფასობრივ მექანიზმზეა** დამყარებული: **კერძო საკუთრებისა და თავისუფალი კონკურენციის პირობებში ფასები თავისუფლად იცვლება.** როდესაც ბაზარზე რაიმე მიზეზების გამო მომხმარებელი შეიცვლის თავის მოთხოვნას (ფულით გამაგრებულ მოთხოვნილებას), ე.ი. ადრინდელთან შედარებით ამა თუ იმ საქონელ-მომსახურების მოცულობის შეძენის სურვილს, ეს მყისვე დაეტყობა ამ საქონლის ფასს (**ფასი ფაქტობრივად მოთხოვნის მოცულობაა**); შესაბამისად მოთხოვნის ცვლილებისა, ფასი დაიწევს ან აიწევს. ფასობრივი სიგნალი ყოვლისმომცველია, ყველაზე მნიშვნელოვანია მწარმოებლისათვის: ბაზარზე ფასის ცვლილებიდან გამომდინარე, ის შეცვლის რესურსების გამოყენებასა და წარმოების მოცულობა — სტრუქტურას. **საბაზრო სისტემის უნარს მიაწოდოს (სიგნალი მისცეს) ფასების საშუალებით მწარმოებლებს (გამყიდველებს), ბაზარზე მოთხოვნის მატება-შემცირების სრული ინფორმაცია, გააცნობიეროს აგრეთვე ისეთი სპეციფიკური მოვლენების ცვლილებები, როგორიცაა, ვთქვათ, მომხმარებელთა გემოვნება (სურვილები) და სხვა მისთ., და გამოიწვიოს მათი (მწარმოებლების) შესაბამისი რეაქცია, ფასის მიმმართველი და მაწონასწორებელი (ანუ მაორიენტირებელი, წამქეზებელი) ფუნქცია ეწოდება.** ფასი ასეთივე მიმმართველ როლს თამაშობს მყიდველების ქცევაზეც.

განვიხილოთ შემდეგ თავში, თუ როგორ მოქმედებს ფასების ეს მექანიზმი საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე.

თავი 2. მოთხოვნა და მიწოდება საქონლის და მომსახურების ბაზარზე

საბაზრო ეკონომიკაში რესურსების განაწილების ანალიზისა და წონასწორობის დამყარების მიზეზების ასახსნელად გამოიყენებენ მოთხოვნისა და მიწოდების უბრალო მოდელს, რომელიც საშუალებას იძლევა შესაწავლილ იქნეს ბაზარზე მათ შორის ურთიერთკავშირი. ამას კი მომხმარებლისა და მწარმოებლის არჩევანი განსაზღვრავს. ეს მოდელი პოლიტიკური ეკონომიის (ეკონომიკური თეორიის) თავისებური ბირთვია, შუაგულია, მისი დედაარსის გადმომცემია.

მოდელი უბრალოდ და დამაჯერებლად იძლევა ნათელ, გარკვეულ, ცხად და ერთმნიშვნელოვან დასკვნებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია იმ ეკონომიკური პრობლემების ანალიზისთვის, რომლებიც პერმნენტულად იქმნება სახალხო მეურნეობაში:

- **რატომ იზრდება ან მცირდება ფასები სხვადასხვა საქონელზე?**
- **რა მოუვა ამა თუ იმ საქონელის წარმოებას, როდესაც ფასები აიწევს ან დაიწევს, ან ბაზრის გარკვეული რეგულირება ხდება?**
- **რა მოხდება, თუ წარმოებაში დანერგილ იქნა ახალი ტექნიკა (სრულყოფილი ტექნოლოგია)?**

და ა.შ.

ვთქვათ, გვინდა შევისწავლოთ მამაკაცის პერანგის ბაზარი. ბაზარზე, რა თქმა უნდა, წარმოდგენლია ორი მხარე: მყიდველები და გამყიდველები (მწარმოებლები).


ჯერ ვისაუბროთ მყიდველების ქცევის პარამეტრებზე. გასაგებია,რომ მათ მოთხოვნებს მთელი რიგი ფაქტორებისა განსაზღვრავს. ესენია:

- რა შემოსავალი აქვთ მყიდველებს (ეს განაპირობებს იმას, თუ რამდენი პერანგი გაიყიდება);
- რა შესაბამისი ტანსაცმელი გააჩნიათ მათ (მაგალითად, ჯემპრი, ჟილეტი და მისთ., რისი გამოყენებაც შეიძლება პერანგის მაგივრად);
- როგორია ამ „შესაბამის" საქონელთა ფასები (ე.ი. იაფია თუ ძვირია ისინი პერანგზე);
- როგორია მოდა და გემოვნება

და ა.შ.

ყველა ამ და სხვა ფაქტორების ანალიზი მხოლოდ დაგვაბნევდა. ამიტომ (როგორც ეს კეთდება ჩვეულებრივად მოვლენების კვლევა-ანალიზის დროს და რაზედაც საუბარი ჩვენ პირველივე თემაში გვქონდა), ჩავთვალოთ (დავუშვათ), რომ იმ პერიოდში, რომელსაც ჩვენ ვიკვლევთ, შემოსავალი, გემოვნება და სხვა ფაქტორები არ იცვლება და მოთხოვნის მოცულობაზე მხოლოდ ფასები მოქმედებს, ამასთან მოთხოვნა ფასების ცვლილებებზე კანონზომიერად რეაგირებს, ე.ი. **ელასტიკურია**[1].

ამ შემთხვევაში მართებული იქნება ვივარაუდოთ, რომ საქონლის ფასსა და მოთხოვნის მოცულობას შორის უკუკავშირი დამყარდება: მოცემული შემოსავლის და უცვლელი მოდის (გემოვნების) პირობებში მომხმარებელს პერანგებზე ნაკლები მოთხოვნა ექნება ფასების ზრდის შემთხვევაში და პირიქით. ასეთი კავშირი შეიძლება გამოვხატოთ გრაფიკულად, როგორც **„მოთხოვნის მრუდი"**:



ნახ. 3.2. მოთხოვნის მრუდი. შვეულ ღერძზე ფასი დავაფიქსიროთ, თარაზულზე კი — მოთხოვნა. მრუდის ყოველი წერტილი, თუ პერპენდიკულარს დავუშვებთ, გვიჩვენებს აბსცისაზე პერანგების იმ რაოდენობას (OA_1, OB_1, OC_1, OD_1), რომელსაც მომხმარებლები იყიდიან შესაბამისი ფასების პირობებში.

ე.ი. მოთხოვნის მრუდი, იგივე მოთხოვნა[2], არის მრუდი, რომელიც გვიჩვენებს, გარკვეული საქონლის (მომსახურების) თუ რა მოცულობას შეიძენენ (მზად არიან იყიდონ) მყიდველები სხვადასხვა ფასებში დროის მოცემულ პერიოდში.

როგორც ნახაზიდან ჩანს, მრუდი ძირს და მარჯვნივ მიემართება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ორ მოვლენას შორის უკუკავშირი არსებობს: ფასების შემცირებისას მოთხოვნა იზრდება.

ასევე შეგვიძლია გავაანალიზოთ, თუ რა ხდება ბაზარზე მიწოდების თვალსაზრისით.

---

[1] **ელასტიკურობა** (*ბერძნ.* Elastikos — დრეკადი, მოქნილი, ნარნარი, ამყოლი) არის ერთი ცვლადის ცვლილება, გამოწვეული მეორე ცვლადის ცვლილებით, პროცენტებში.

[2] ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ მოთხოვნა და მოთხოვნილება: მოთხოვნა არის ფულით გამაგრებული მოთხოვნილება, ე.ი. ადამიანის (მყიდველის) ამა თუ იმ სიკეთეზე (საქონელზე) საერთო მოთხოვნილების ის ნაწილი, რომლის შეძენის საშუალება და სურვილი აქვს მას. ე.ი. მოთხოვნა არის ისეთი მოთხოვნილება, რომელსაც მომხმარებელი ფულით აძლევს ხმას ბაზარზე.

მწარმოებლებზეც (მიმწოდებლებზე, გამყიდველებზე), მათ გადაწყვეტილებაზეც სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს. ესენია:


- **როგორია წარმოების დანახარჯები (რა დაჯდება საქონლის წარმოება), მ.შ. როგორია ეკონომიკური რესურსების ფასები;**
- **რა მანქანა-დანადგარები გააჩნია საწარმოს;**
- **რა მიზნები დგას ფირმის წინაშე (ახლავე მიღებულ იქნეს მაქსიმალური მოგება ან, ვთქვათ, ახალ ბაზარზე დასამკვიდრებლად ფირმა თანახმაა შედარებით დაბალ ფასად მოახდინოს პროდუქციის რეალიზაცია);**
- **რა სიახლეების შეტანა შეიძლება წარმოების ტექნოლოგიაში და ა.შ;**

ამ შემთხვევაშიც გაუბრალოებულ სქემას მიმართავენ, დასაშვებად მიიჩნევენ რა იმას, რომ, სარეალიზაციო ფასის გარდა, სხვა ფაქტორი გამოსაკვლევ პერიოდში უცვლელი რჩება; ეს იმისთვის არის საჭირო, რომ აქაც ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება მოხერხდეს.

დავუშვათ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, რომ დროის იმ მონაკვეთში, რომელსაც ვიკვლევთ, არ იცვლება წარმოების ტექნოლოგია, რომ ბაზარზე ფუნქციონირებს ბევრი საწარმო და მათ შორის არსებობს თავისუფალი (სრულყოფილი) კონკურენცია, რაც არავის არ აძლევს საშუალებას სუბიექტურად დააწესოს ზომაგადასული (გადაჭარბებული, არაზომიერი) ფასები, მ.შ. წარმოებისათვის საჭირო რესურსებზე.

დავუშვათ აგრეთვე, რომ ბაზარზე წარმოდგენილ საწარმოებს გააჩნიათ ერთგვარი (ანალოგიური) და შესადარი მანქანა-დანადგარების გარკვეული პარკი.

ასეთ შემთხვევაში, პერანგების წარმოება რომ გაიზარდოს, აუცილებელია ფასების გაზრდა. ჩვენ უკვე გავეცანით კლებადი ეფექტიანობის კონცეფციას. სწორედ ეს არ უწყობს ხელს წარმოების გაზრდას სტაბილური ფასების დროს (სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში). წარმოების მატებისათვის მეწარმემ დამატებითი მკერავები უნდა დაიქირავოს, მაგრამ თუ მანქანების პარკი არ გაიზარდა, დამატებით დაქირავებული მუშაკები გაიყოფენ (გაინაწილებენ) მანქანების უკვე არსებულ პარკს; ეს კი ნიშნავს, როგორც ვიცით, რომ ყოველ დამატებით მუშაკზე წარმოების მატება მცირდება და, შესაბამისად, იზრდება დანახარჯები ერთეულ ნაწარმზე. ასევეა კაპიტალზეც. გამოდის, რომ რაღაც ზღვარს იქით წარმოების ზრდისთვის აუცილებელია ფასების ზრდა, რომ საწარმოებმა მეტი პროდუქციის გამოშვება — რეალიზაციიდან დამატებითი შემოსავლის მიღება შეძლონ. ე.ი. მიწოდებაც ფასის მიმართ ელასტიკურია. ეს მოსაზრებები გვაძლევს საშუალებას ავაგოთ **„მიწოდების მრუდი"** იგივე წესის გამოყენებით, რომელსაც მოთხოვნის მრუდის შექმნისას მივმართეთ **(ნახ.3.3.)**.



ნახ. 3.3. მიწოდების მრუდი. ყოველი წერტილი მიწოდების მრუდზე გვიჩვენებს პერანგების რაოდენობას (OA1, OB1, OC1, OD1, OE1), რომლის გამოშვებაზეც (ბაზარზე გამოტანაზე) თანახმა არიან მწარმოებლები შესაბამისი ფასების პირობებში.


ე.ი. **მიწოდების მრუდი** (იგივე მიწოდება) არის მრუდი, რომელიც გვიჩვენებს საქონლისა და მომსახურების მოცულობას, რომელიც გამოაქვთ (მზად არიან გამოიტანონ) გამყიდველებს ბაზარზე სხვადასხვა ფასებში რეალიზაციისათვის გარკვეულ პერიოდში.

ამ მრუდის ზევით და მარჯვნივ მიმართება იმის მაჩვენებელია, რომ **ბიზნესის წარმოების ზრდაზე დაყოლიება** (მისი განწყობა, რომ გაზარდოს წარმოება) შესაძლებელია მხოლოდ ფასების მომატებით. **ფასსა და მიწოდების მოცულობას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს.**

ზემომოყვანილი გრაფიკები გვიჩვენებს ერთი საქონლის (პერანგის) ბაზრის უბრალო მოდელს: მოთხოვნის მრუდიდან ვგებულობთ, რომ მომხმარებლების პერანგებზე მოთხოვნა იზრდება ფასების შემცირების პირობებში, მიწოდების მრუდი კი გვიჩვენებს, რომ ფასების მატება სტიმულს აძლევს მწარმოებლებს გაზარდონ პერანგების წარმოება (გასაყიდად გამოტანა).

თავი 3. მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობა

შევათავსოთ ახლა ერთმანეთს ჩვენს მიერ შედგენილი მოთხოვნისა და მიწოდების გრაფიკები, რის შედეგადაც მივიღებთ **წონასწორობის გრაფიკს** (ნახ. 3.4.).



ნახ. 3.4. წონასწორობა. წონასწორობის გრაფიკი მიგვანიშნებს, რომ არსებობს წონასწორობის ფასი (OP), რომლის დროს მყიდველები ზუსტად იმდენ პერანგს მოითხოვენ (შეიძენენ — OK), რამდენსაც გამოუშვებენ (გამოიტენენ გასაყიდად) მწარმოებლები (OK). ეს იმას ნიშნავს, რომ ბაზარზე პერანგებზე მოთხოვნასა და მათ მოწოდებას შორის წონასწორობაა ჩამოყალიბებული.

გრაფიკზე ჩვენ ვხედავთ, რომ ორივე მრუდი ერთმანეთს გადაკვეთს წერტილზე (**A**), რომელსაც შეესაბამება პერანგების როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების (**OK**) ოდენობა და ფასი (**OP**).

პერანგების ეს ოდენობა (**OK**) და ეს ფასი (**OP**) იმით არის საინტერესო, რომ მხოლოდ მათი ასეთი შეფარდების პირობებში ხდება შესაძლებელი, რომ მომხმარებლებმა (მყიდველებმა) და მწარმოებლებმა (გამყიდვლებმა) ერთდროულად განახორციელონ ბაზარზე თავიანთი გეგმები. მხოლოდ ასეთი შეფარდების დროს სურთ გამყიდვლებსა და მყიდველებს გაყიდონ და იყიდონ პერანგების ერთნაირი ოდენობა ერთნაირ (თანაბარ) ფასში. ეს არის წონასწორობის ფასი. მაშასადამე, **წონასწორობის ფასი არის: მოთხოვნის და მიწოდების შეჯერების შედეგად ჩამოყალიბებული ფასი; ფასი კონკურენციულ ბაზარზე, რომლის დროსაც არსებობს მოთხოვნისა და მიწოდების მოცულობების ტოლობა; ფასი, რომლის დროსაც ბაზარზე საქონლის (მომსახურების) არც ნაკლებობაა და არც ზედმეტობა; ფასი, რომლის დროსაც მყიდველები თანახმა**

არიან იყიდონ, ხოლო გამყიდველები — გაყიდონ ბაზარზე გამოტანილი საქონელი მთლიანად. ამ ფასად კონკურენციულ ფირმას შეუძლია გაყიდოს იმდენი საქონელი, რამდენიც სურს; ის ე.წ. „ფასის ეფექტს" არ იცნობს.

მხოლოდ აქ, წონასწორობის ამ წერტილზე (**A**), ასრულებს ყველა მომხმარებელი და მწარმოებელი გადაწყვეტილების იმ წესს, რომელიც ჩვენ ადრე საუბრისას ჩამოვაყალიბეთ: რომ ზღვრული სარგებლიანობა (ეფექტი) უნდა უდრიდეს ზღვრულ დანახარჯებს (ზღვრულ დანაკარგებს).


მწარმოებლისათვის ზღვრული შემოსავალი (ანუ ამონაგების ჯამი, რომელიც შეიძლება მიიღოს საწარმომ დამატებითი პერანგების რეალიზაციის შედეგად) სწორედ **„OP"** ფასის დროს უდრის წარმოების ზღვრულ დანახარჯებს (ამაზე მეტ დანახარჯებზე ის არ წავა).

მომხმარებლის პოზიციიდან ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი პერანგის სარგებლიანობას ის აფასებს იმ მსხვერპლის ტოლად (ადეკვატურად), რაც მან პერანგის ასეთი ფასის გადახდით გაიღო (ამაზე მეტ მსხვერპლს ის არ გაიღებს).

ამიტომ ასეთ ფასს „წონასწორობის ფასი" ეწოდება.

თავისუფალი (სრულყოფილი) კონკურენციის ბაზარი იმით არის ღირსშესანიშნავი და ყურადსაღები, რომ გარკვეული მიწოდება-მოთხოვნის და ფასის პირობებში ის თვითონ მიისწრაფვის წონასწორობისაკენ.

დავადასტუროთ ეს მოსაზრება და ამისათვის ავიღოთ ასეთი მაგალითი. დავუშვათ, რომ რაღაც მიზეზების გამო პერანგების ფასი, ნაცვლად წონასწორობის ფასის OP_1 ოდენობისა, OP_2 დონეზე (P_2 წერტილზე) იმყოფება (**ნახ. 3.5.**).



ნახ. 3.5. მიწოდების გადამეტება (წონასწორობის ფასზე მაღალი ფაქტობრივი ფასი).

თუ ფაქტობრივი საბაზრო ფასი წონასწორობის ფასზე მაღალია (მანძილი P_2-იდან P_1-მდე), მოთხოვნა შემცირდება (K_1-დან K_2-მდე), მწარმოებლები კი შეეცდებიან იმაზე მეტი საქონელი გამოუშვან და გაიტანონ ბაზარზე, ვიდრე მომხმარებლებს სურთ შეიძინონ (მანძილი K_2-დან K_3-მდე). ამ შემთხვევაში წარმოიქმნება მიწოდების გადამეტება (მანძილი K_2-K_3), რომელიც დაბლა დასწევს ფასს.

OP_2 ფასის პირობებში მომხმარებლები თელიან (ხედავენ), რომ ფასი ძალზე მაღალია, ამიტომ არ არიან თანახმა იყიდონ იმდენი პერანგი, რამდენის რეალიზაციას აპირებენ მწარმოებლები (გამყიდველები). პირიქით, ისინი ამ შემთხვევაში იმაზე ნაკლებ მოთხოვნას წამოაყენებენ ბაზარზე, ვიდრე ეს მოხდებოდა წონასწორობის ფასის პირობებში. ე.ი. წარმოიქმნება მიწოდების მოთხოვნაზე გადამეტება, ანუ ბაზრის პერანგებით გადაჯერება (მაღაზიებში გაუყიდავი პერანგების მარაგის ზრდა).


ეს კი აიძულებს მწარმოებლებს დაუკლონ ფასს, რომ მოიშორონ საქონლის ზედმეტი მარაგი. ერთდროულად ისინი შეამცირებენ წარმოებას, ვინაიდან შემცირებული ფასების პირობებში პერანგების გამოშვება იმდენად სარფიანი არ არის, როგორც წინათ. ე.ი. ადგილი აქვს მიწოდების მრუდზე წარმოების მოცულობის მარცხნივ გადაადგილებას.

როდესაც ფასი მცირდება, იზრდება პერანგებზე მოთხოვნა. გრაფიკზე კი ადგილი აქვს შესაბამის მრუდზე მოთხოვნის მოცულობის მარჯვნივ გადანაცვლებას.

და ეს პროცესი მანამდე გრძელდება, სანამ მწარმოებლები და მომხმარებლები არ „შეთანხმდებიან", სანამ მოთხოვნა და მიწოდება კვლავ არ „შეხვდებიან" ერთმანეთს წონასწორობის A წერტილზე (წონასწორობის ფასზე).

შევცვალოთ მაგალითი და დავუშვათ, რომ ისევ რაღაც მიზეზების გამო ყველაფერი საპირისპიროდ ხდება: პერანგების ფაქტობრივი ფასი წონასწორობის ფასზე დაბლა ჩამოყალიბდა (ნახ. 3.6. – P_2). ამ შემთხვევაში უკვე მწარმოებლებს არ სურთ იმდენი პერანგი გამოუშვან, რამდენის ყიდვის სურვილი აქვთ მომხმარებლებს (მყიდველებს): დაბალმა ფასმა გამოიწვია მოთხოვნის გაზრდა; ამდენი მოცულობის საქონლის გამოშვების პირობებში კი არ მოხდება წარმოების დანახარჯების კომპენსირება.

შექმნილი **ზედმეტი მოთხოვნა (საქონლის უკმარისობა-დეფიციტი)** ფასების მომატებას გამოიწვევს. ამას კი მოჰყვება მარაგების შემცირება და მეწარმეების მოგების ზრდა, რაც უბიძგებს მათ გაზარდონ წარმოება; ამავდროულად მომატებული ფასი აიძულებს მომხმარებლებს შეამცირონ ყიდვა (მოხმარება), ე.ი. მოთხოვნა.



ნახ. 3.6. მოთხოვნის გადამეტება (წონასწორობის ფასზე დაბლა ჩამოყალიბებული ფასი).

თუ ბაზრის ფაქტობრივი ფასი წონასწორობის ფაზე დაბალია, მომხმარებლები იმაზე მეტი საქონლის შეძენას მოისურვებენ, რამდენის გაყიდვა (წარმოება) სურთ მწარმოებლებს. მოთხოვნა გაიზრდება K_2 წერტილამდე, მიწოდება კი შემცირდება K_3 წერტილამდე, წარმოიქმნება მოთხოვნის გადამეტება (მანძილი K_2-დან K_3-მდე), ეს კი ფასების მატებას, მოთხოვნის შემცირებას და მიწოდების ზრდას გამოიწვევს და ეს პროცესი მანამდე გაგრძელდება, სანამ მწარმოებელი და მყიდველი კვლავ არ „შეხვდებიან" ერთმანეთს წონასწორობის A წერტილზე (შესაბამისი ფასი P_1).

ეს უბრალო მოდელი გვიჩვენებს და დამაჯერებლად გვიხსნის ბაზარზე ფასის მოძრაობას და მის მაწონასწორებელ როლს მოთხოვნის და მიწოდების მოცულობების დაუმთხვევლობის პირობებში მათი გაწონასწორების უზრუნველყოფის საქმეში.

ამ თავში ჩვენ საუბარი გვქონდა ბაზარზე საბოლოო მოხმარების საქონელ-მომსახურებაზე მოთხოვნისა და მიწოდების საკითხებზე. ასეთივე მსჯელობა შეიძლება გავმართოთ[1] წარმოე-

[1] ასეც გავაკეთებთ ერთ-ერთ მომდევნო თემაში (ავტორები).

ბის ფაქტორებზეც, როგორც საქონელზე, ოღონდ იმ სპეციფიკურობის გათვალისწინებით, რომ წარმოების ფაქტორების ბაზარზე მოთხოვნის ფორმირებას მეორადი (წარმოებული) ხასიათი აქვს: წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნა მხოლოდ მაშინ წარმოიქმნება, თუ შესაბამისი ფაქტორის გამოყენებით შესაძლებელი იქნება მოეწყოს მოთხოვნის მქონე საბოლოო მოხმარების საქონლის (სიკეთის) წარმოება.

თავი 4. ელასტიკურობა და ბაზრის ადაპტაციის პროცესი

ელასტიკურობა და მისი ხარისხი

ფასს მაშინ აქვს მნიშვნელობა წონასწორობის ჩამოყალიბებისათვის, როდესაც მოთხოვნა და მიწოდება მის ცვლილებაზე რეაგირებენ, ანუ როდესაც ადგილი აქვს ელასტიკურობას.

ელასტიკურობა არის ერთი მოვლენის თვისება შეეგუოს (შეიცვალოს) მეორე მოვლენის ცვლილებას, ადაპტირებულ იქნეს მეორე მოვლენის ცვლილებასთან; ეს არის ერთი ცვლადის მეორე ცვლადის შეცვლაზე რეაგირება. მოთხოვნა-მიწოდებასთან მიმართებაში ეს არის მათი შეგუება, მათი შეცვლა საბაზრო პირობების შეცვლის კვალობაზე (მაგალითად, ფასის ცვლილების შესაბამისად).

$Q_s = f(P)$ — ანუ მიწოდების მოცულობა რეაგირებს ფასზე.

$Q_D = f(P)$ — ანუ მოთხოვნის მოცულობა რეაგირებს ფასის ცვლილებაზე.

ამ შემთხვევაში Q_D ცვლადი და Q_s ცვლადი იცვლება **P** ცვლადის შეცვლის კვალობაზე. მაშასადამე, Q_D(მოთხოვნა) და Q_s(მიწოდება) ცვლადები არის ფუნქცია, ხოლო **P** (ფასი) ცვლადი არის არგუმენტი[1].

ეკონომიკაში ელასტიკურობის ტერმინი ფიზიკიდან შემოვიდა და ის პირველად გამოიყენა ინგლისელმა მეცნიერმა ეკომონისტმა **ალფრედ მარშალმა (1842-1924).**

მოთხოვნის ელასტიკურობა

აღვნიშნოთ: საქონლის ფასი „**P**"-თი; საქონელზე მოთხოვნის მოცულობა „Q_D"-თი. მაშინ მოთხოვნის ფასისაგან (ფასის მიმართ) ელასტიკურობა იქნება

$$E_{DP} = \%\Delta Q_D / \%\Delta P,$$

სადაც $\%\Delta Q_D$ არის Q_D სიდიდის პროცენტული ცვლილება, ხოლო $\%\Delta P$ — ფასის პროცენტული ცვლილება.

გასაგებია, რომ მოთხოვნის ფასზე რეაგირება უარყოფითი სიდიდე იქნება, შესაბამისად, E_{DP} უარყოფითი რიცხვია.


შეფარდება ფასის და მოთხოვნის მოცულობებს შორის მოთხოვნის მრუდის სხვადასხვა წერტილზე სხვანაირია; ამასთან, რაც უფრო ციცაბოა მრუდის დახრა, მით უფრო დაბალია ელასტიკურობა.

განვიხილოთ ეს გრაფიკზე (**ნახ. 3.7.**).

როგორც გრაფიკიდან ჩანს, მოთხოვნის მრუდზე A_1- დან A_2 წერტილამდე გადაადგილებისას ფასი 19-დან (P_1-დან) 9,5-დე (P_2-მდე), ანუ ორჯერ, შემცირდა; ამან მოთხოვნის 3-დან 8,5-მდე ზრდა (2,7-ჯერ) გამოიწვია. **AB** მრუდის უფრო დაბალი A_3 წერტილიდან უფრო მოკლე მანძილზე (A_4-მდე) გადაადგილება კი ფასის 3-ჯერ (9-დან 3-მდე) შემცირების შედეგია, მაგრამ მან მოთხოვნის მხოლოდ 9,2-დან 13-მდე (1,41-ჯერ) მომატება განაპირობა.

ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნის ელასტიკურობა უნდა გაიზომოს მოთხოვნის მრუდის ცალკეულ წერტილებზე. მოთხოვნის მრუდზე ძირს გადაადგილებისას შეფარდება P/Q_D მცირდება. იგივე მოვლენას წავაწყდებით მიწოდების ელასტიკურობის მრუდზეც იმ განსხვავებით, რომ მიწოდების ელასტიკურობა დადებითი რიცხვია.

[1] როგორც ვიცით, არგუმენტი არის დამოუკიდებელი ცვალებადი სიდიდე, რომლის ცვლილებაზე დამოკიდებულია მეორე სიდიდის (ფუნქციის) ცვლილება.




ნახ. 3.7. ფასისა და მოთხოვნის შეფარდება მოთხოვნის მრუდზე.


არსებობს:

1) სრული არაელასტიკურობა (კოეფიციენტი 0),
2) არაელასტიკური დამოკიდებულება (კოეფ. < 1-ზე),
3) ერთეულოვანი ელასტიკურობა (კოეფ. = 1-ის),
4) ელასტიკური მოთხოვნა (კოეფ. > 1-ზე),
5) უსასრულო ელასტიკურობა (კოეფ. ≈).

ელასტიკურობის ხარისხის უკიდურესი მახასიათებლები შეიძლება წარმოვსახოთ გრაფიკულად.



ნახ. 3.8. მოთხოვნის ფუნქციის ელასტიკურობა უსასრულოა



ნახ. 3.9. არაელასტიკური მოთხოვნის ფუნქცია

საქონელთა ურთიერთშენაცვლება და მისი ზემოქმედება ელასტიკურობაზე

როგორც ვიცით, მოთხოვნაზე, ფასთან ერთად, სხვა ფაქტორებიც მოქმედებს, მაგალითად, შემოსავალი. მისი ზრდის კვალობაზე საქონელთა უმეტესობაზე მოთხოვნა მატულობს. შემოსავლის მიხედვით ელასტიკურობა კი ნიშნავს საქონელზე Q_D მოთხოვნის პროცენტულ მატებას, დაკავშირებულს (გამოწვეულს) შემოსავლის ერთი პროცენტით მატებით.

მოთხოვნის ელასტიკურობაზე (ანუ მოთხოვნაზე) მოქმედებს აგრეთვე საქონლეთა ურთიერთშენაცვლება (ურთიერთჩანაცვლება). მაგალითად, კარაქზე მოთხოვნა დამოკიდებულია მარგარინზე ფასის ცვლილებაზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი კარაქის მიმართ მნიშვნელოვანწილად ურთიერთშენაცვლებადია. ეს ფასის მიმართ **ჯვარედინი (გადამკვეთი) ელასტიკურობაა**, რაც ნიშნავს მოცემულ საქონელზე (ჩვენს შემთხვევაში კარაქზე) მოთხოვნის პროცენტულ ცვლილებას შემცვლელი საქონლის (ჩვენს შემთხვევაში მარგარინის) ფასის ცვლილების შედეგად.

არსებობს აგრეთვე ე.წ. **თანმხლები საქონლები**, მაგალითად, ბენზინი და მანქანის ზეთი. თუ ბენზინზე ფასი იზრდება, მასზე მოთხოვნა კლებულობს; ე.ი. მძღოლები ამცირებენ მანქანით მოძრაობას, მაშასადამე, ეცემა მოთხოვნა მანქანის ზეთზეც.

მიწოდების ელასტიკურობა

მიწოდების ელასტიკურობა არის საქონელ-მომსახურების წარმოების (მიწოდების) პროცენტული ზრდა (ან შემცირება), გამოწვეული ფასის ერთი პროცენტით ზრდით (შემცირებით). ეს შეფარდება ჩვეულებრივად, მოთხოვნის ელასტიკურობისაგან განსხვავებით, დადებითი რიცხვია, ვინაიდან უფრო მაღალი ფასი უბიძგებს მწარმოებლებს (მომწოდებლებს) მეტი აწარმოონ (მეტი საქონელი მოაწოდონ ბაზარზე).

მოკლევადიანი და გრძელვადიანი ელასტიკურობა

როდესაც ჩვენ ვაანალიზებთ მოთხოვნის და მიწოდების ცვლილებებს, მათ ელასტიკურობას, მნიშვნელოვანია მივაქციოთ ყურადღება დროის ხანგრძლივობას. საქმე ისაა, რომ ფასის ცვლილების შემთხვევაში მოთხოვნა და მიწოდება სხვადასხვანაირად იქცევიან მოკლევადიან (წელიწადი და ნაკლები) და გრძელვადიან (წელიწადზე მეტი) პერიოდებში. ბევრი საქონლისათვის ფასთან მიმართებაში მოთხოვნა უფრო ელასტიკურია ხანგრძლივი პერიოდისათვის, ვიდრე მოკლევადიანისათვის. მაგალითად, თუ ყავის ფასი მკვეთრად გაიზარდა, ნაკლებსავარაუდოა, რომ მყიდველები მყისვე მნიშვნელოვნად შეამცირებენ მის მოხმარებას; ეს თანდათანობით მოხდება, ვინაიდან ადამიანთა ჩვეულებები მაშინათვე კი არ იცვლება, მომხმარებლები თანდათან ეგუებიან სიტუაციას: აწონ-დაწონიან მდგომარეობას, შეაჯერებენ ერთმანეთს სიამოვნების დანაკარგებს და ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ყავის ფასის ზრდასთან. მათ, როგორც წესი, არ გააჩნიათ რაღაც წინასწარ განსაზღვრული პარამეტრები და საზღვრები (ნორმატივები), რომელთა მიღმა სწრაფად შეიცვლიან ქმედობა-ჩვევებს. ასეთი მოვლენა შეიძლება დაკავშირებული იყოს მომხმარებელთა ხელთ არსებულ საქოლენთა მარაგზეც.

შემდეგი მაგალითი. ბენზინზე მოთხოვნა უფრო ელასტიკურია დროის გრძელვადიანი პერიოდისათვის. საქმე ისაა, რომ ბენზინზე ფასის ზრდა მაშინათვე გამოიწვევს მოთხოვნის შემცირებას მანქანით გადაადგილების შემცირების გამო, მაგრამ ამავდროულად ინტენსიურად უბიძგებს მომხმარებლებს შეიძინონ ეკონომიური ავტომობილი; ამის გაკეთებას კი დრო სჭირდება. ამიტომ მთლიანობაში ბენზინზე მოთხოვნა ნელა მცირდება.

მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც გვიჩვენებს მოთხოვნის მოკლევადიან პერიოდში უფრო მაღალ ელასტიკურობას გრძელვადიან პერიოდიან შედარებით. ვთქვათ, ისეთი ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე, როგორიცაა ავტომობილი, ფასი გაიზარდა 20%-ით. გასაგებია, რომ ეს გამოიწვევს მანქანებზე მოთხოვნის შემცირებას.

მაგრამ, გამომდინარე დროის პოზიციიდან,— როგორ?

დავუშვათ, რომ ეს მოვლენა (ფასების 20%ით გაზრდა) გამოიწვევს საბოლოო ჯამში მანქანებზე მოთხოვნის 5%-ით შემცირებას, მაგრამ თავიდან მანქანებზე მოთხოვნა 5%-ზე უფრო მეტად შემცირდება, შემდგომ კი არსებული ავტოპარკის სხვადასხვა მიზეზების გამო შემცირება ან შეძენის სტრუქტურის შეცვლა კვლავ გაზრდის მათზე მოთხოვნას და მოთხოვნის საბოლოო შემცირება იქნება 5%.

დროის ხანგრძლივობის თვალსაზრისით, ელასტიკურობა სხვადასვაა მიწოდების მიმართაც. **საქონელთა უმეტესობისათვის ელასტიკურობა უფრო მაღალია გრძელვადიანი პერიოდისათვის.** საქმე ის არის, რომ ფირმებისათვის რთულია მყისვე ადაპტირება (მყისვე წარმოება-მიწოდების გაზრდა), ვინაიდან ისინი აწყდებიან საწარნოო შესაძლებლობების შეზღუდულობას, წარმოების სწრაფად გაფართოების და ორიენტაციის შეცვლის სიძნელეებს.

ზოგიერთი საქონელ-მომსახურების მიწოდება მოკლევადიან პერიოდში საერთოდ არაელასტიკურია. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საცხოვრისის გაქირავება. ამ შემთხვევაში მოთხოვნის ზრდა ბინების მიწოდებას კი არ გაზრდის ძირითადად, არამედ **ი ჯ ა რ ი ს** (ფასის) მომატებით შემოიფარგლება; დროთა განმავლობაში კი ამას ბინების მშენებლობის გაფართოება ან ძველი სახლების მოდერნიზება მოჰყვება და მიწოდება გაიზრდება.

თავი 5. არაფასობრივი პარამეტრების ცვლილება და ბაზრის წონასწორობა

ბაზრის ფუნქციონირების ზემომოყვანილი მოდელები შეიძლება გამოყენებეული იქნეს სხვა პირობებისათვისაც, ბაზარზე ნებისმიერი სიტუაციის ანალიზისათვის. აქამდე განხილულ ჩვენს მაგალითებში კი მოთხოვნისა და მიწოდების მრუდების განსაზღვრა ისეთი დაშვებებით გავაკეთეთ, რომ მოვლენაზე მოქმედი ყველა დანარჩენი ფაქტორი-პარამეტრი, გარდა ფასისა, უცვლელი რჩებოდა.

მაგრამ რა მოხდება, თუ ეს დამალული (ჩვენ მიერ უგულებელყოფილი) ფაქტორებიც ინტენსიურად შეიცვლება? მოთხოვნის შემცვლელი ასეთი ფაქტორებია, მაგალითად, ფულადი შემოსავალი, მომხმარებელთა მოლოდინი, ურთიერთშემცვლელ საქონელთა არსებობა და მათი ფასები, სუბიექტური მჯობინება, მოდა, დიზაინი, წარმოების ტექნიკის შეცვლა, ახალი ტექნოლოგიის დანერგვა და სხვა.


განვიხილოთ კონკრეტულად, თუ რა მოხდება, როდესაც შეიცვლება წარმოების ტექნოლოგია ან მასში გამოყენებული ტექნიკა.

დავუშვათ, რომ წარმოებაში დანერგილ იქნა ახალი ტიპის, უფრო მაღალი მწარმოებლურობის სამკერვალო მანქანა, რომელიც პერანგის წარმოების დანახარჯის მნიშვნელოვან შემცირებას გამოიწვევს. ეს ნიშნავს, რომ წარმოების დანახარჯის კომპენსირება და მოგების მიღება უფრო დაბალი ფასის პირობებშიც იქნება შესაძლებელი.

ასეც ხდება რეალურ ცხოვრებაში: პრაქტიკულად ყოველთვის არსებობენ ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი ფირმები, რომლებიც ცდილობენ გამოიყენონ სიახლეები წარმოებაში. ამ პირობებში ფასების ყოველ გარკვეულ დონეს (და, შესაბამისად, მოთხოვნის მოცულობას) მიწოდების ერთგვარად მეტი მოცულობა შეესაბამება. ასე რომ არ შევცდებით, ალბათ, თუ ვიტყვით, რომ **თავისუფალ ბაზარზე მიწოდება გარკვეულწილად (ოდნავ მაინც) ყოველთვის აღემატება მოთხოვნას.**

ეს კი იმას ნიშნავს (და ამას ვხედავთ ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე — **ნახ.3.10.**), რომ წარმოებაში ახალი მანქანის გამოყენების შედეგად მიწოდების მრუდი მარჯვნივ (დაბლა) გადაინაცვლებს, მიწოდება წონასწორობის ფასის შესაბამის მოცულობაზე (K_1) მეტი იქნება (K_2).


თუ წარმოებაში ახალი და უფრო სრულყოფილი ტექნიკა ინერგება, წარმოების დანახარჯები მცირდება. ეს კი იწვევს ბაზარზე მიწოდების ზრდას (მიწოდების მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას), ფასის შემცირებას, მოთხოვნის მოცულობის მატებას და წონასწორობის ახალი ფასის ჩამოყალიბებას (P_2) მეტი მიწოდებისა და მეტი მოთხოვნის პირობებში. აქ წონასწორობის ფასი მცირდება (დაბლა დაიწევს) და წონასწორობის ამ ახალ მდგომარეობაში მომხმარებლის პერანგებზე მოთხოვნა გაიზრდება. მიწოდება და მოთხოვნა წონასწორობის ახალ A_2 წერტილზე შეხვდებიან ერთმანეთს.



ნახ. 3.10. ახალი ტექნიკის დანერგვის ზემოქმედება წონასწორობაზე.

შევცვალოთ ახლა პირობა და დავსვათ შემდეგი კითხვა: რა მოხდება ბაზარზე, როდესაც გაიზრდება მომხმარებელთა შემოსავალი?

შემოსავლის ზრდა ნიშნავს, რომ მომხმარებლებს მეტი საქონლის შეძენის საშუალება შეექმნებათ, ვიდრე ჩვენს ადრინდელ გრაფიკზე (უცვლელი შემოსავლის პირობებში) ჰქონდათ; ამ შემთხვევაში გრაფიკზე **(ნახ. 3.11.)** მოთხოვნის მრუდი მარჯვნივ (მაღლა) გადაინაცვლებს. როგორც გრაფიკიდან ჩანს, რეალიზაციის მოცულობის ზრდასთან ერთად, ადგილი აქვს წონასწორობის ფასის მატებას.



ნახ. 3.11. შემოსავლის გაზრდის ზემოქმედება წონასწორობაზე. თუ მომხმარებელთა შემოსავალი იზრდება, მათ საშუალება ეძლევათ მეტი საქონელი შეიძინონ არსებულ ფასებში. ამავდროულად გაზრდილი მოთხოვნა იწვევს ფასის მომატებას, ეს კი მიწოდების ზრდას. საბოლოო ჯამში წონასწორობა ახალ, უფრო მეტი მიწოდების, მოთხოვნის და მაღალი ფასის წერტილზე (A2) ჩამოყალიბდება.

ასეთი მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია ბაზარზე მიმდინარე სხვადასხვა ცვლილებების ანალიზი. შეიძლება, მაგალითად, გავიგოთ სიტუაცია პერანგების ბაზარზე, როდესაც იზრდება მომხმარებელთა შემოსავალი და ამავდროულად წარმოებაში ინერგება ახალი ტექნიკა. ასეთივე მეთოდის გამოყენება შეიძლება სხვა საქონლის ბაზარზე ცვლილებების ანალიზისათვის, აგრეთვე ვალუტის, ობლიგაციების და სხვა მისთანების ბაზრების გამოკვლევისათვის, რომლებიც ჩვეულებრივად არ აღიქმება როგორც პირდაპირი საქონელი. ამ მეთოდის აზრი (შინაარსი) იმაში გამოიხატება, რომ მისი დახმარებით შესაძლებელია ერთდროულად სხვადასხვა სახის ბაზრების ანალიზი; მისი გამოყენება საშუალებას იძლევა გავერკვეთ, თუ როგორ ურთიერთზემოქმედებენ ფასობრივი მექანიზმის წყალობით სხვადასხვა ბაზრები, როგორ იწვევს ერთ ბაზარზე მომხდარი ცვლილებები სხვა ბაზრებზე ცვლილებებს და, შესაბამისად, როგორ ზემოქმედებს მთელ ეკონომიკაზე.

ამის კლასიკურ მაგალითად ლიტერატურაში აღიარებულია გასული საუკუნის 70-იან წლებში არაბული ქვეყნების[1] ერთობლივი შეთანხმების შედეგად ნავთობპროდუქტების ამოღების ერთბაშად შემცირება. ამან გამოიწვია ენერგორესურსებზე მთლიანად ფასების მკვეთრი ზრდა, შესაბამისად გაიზარდა მთელი რიგი საქონლის წარმოების ხარჯები და ფასები (ინფლაცია). ეს შეიძლება გრაფიკზე გამოვხატოთ, როგორც ერთობლივი მიწოდების მრუდის მარცხნივ (ზევით) გადანაცვლება (ე.ი. როგორც მიწოდების მკვეთრად შემცირება).

ეს სერიოზული სიგნალი იყო მომხმარებლებისათვის; ზოგი პანიკამ მოიცვა, გაჩნდა მეტად მძიმე პერსპექტივების პროგნოზები. მიუხედავად ასეთი რთული მდგომარეობისა, დასავლეთის ქვეყნების საბაზრო ეკონომიკამ გაუძლო კრიზისს და ჩვეულებრივი, ძირითადად ისევ საბაზრო მეთოდებით (რაშიც გადამწყვეტი როლი იმავე ფასობრივ მექანიზმს, ფასობრივ სიგნალებს ეკუთვნოდა) მოახერხა ფაქტობრივად კრიზისიდან შედარებით ნაკლები დანაკარგებით გამოსვლა.

ფასობრივმა სიგნალებმა აიძულა მომხმარებლები შეემცირებინათ როგორც უშუალოდ ნავთობის, ისე იმ საქონელთა მოხმარება, რომელთა წარმოებაზე ბევრი ნავთობპროდუქტი (და საერთოდ ენერგორესურსები) იხარჯება. შეიცვალა წარმოებისა და მოხმარების ბევრი სტანდარტი, სერიოზული ძვრები მოხდა მთლიანად ეკონომიკის დარგობრივ და რეგიონულ სტრუქტურაში. ფასების ზრდამ სტიმული მისცა ოპეკ-ში არშემავალ ქვეყნებს გაეფართოებინათ ნავთობის საძიებო სამუშაოები, გაეზარდათ მისი წარმოება და მიწოდება. ზემონახსენები და სხვა მიზეზების შედეგად ნავთობის მოხმარება განვითარებულ ქვეყნებში 1985 წელს 1979 წელთან შედარებით 20 პროცენტით შემცირდა. ამავდროულად ნავთობის წარმოების სხვა ქვეყნებში ზრდის გამო არაბული ქვეყნების კუთრი წონა ნავთობის მსოფლიო წარმოებაში (მიწოდებაში) შემცირდა 50 პროცენტიდან 1973-1979 წ.წ. 30 პროცენტამდე 1985 წელს; ყოველივე ამის ზეგავლენით საბოლოოდ კვლავ დაეცა ნავთობზე მსოფლიო ფასები.

ასე რომ საბაზრო ეკონომიკა წინააღმდეგობებისა და ცვლილებების შემთხვევაში ესწრაფვის წონასწორობის ახალი მდგომარეობისაკენ და ამაში ფასობრივი მექანიზმი მუდმივად მთავარი სიგნალის როლს ასრულებს. როგორც აღინიშნა, სწორედ **ფასების მატებითა და შემცირებით ღებულობენ მწარმოებლები და მომხმარებლები ინფორმაციას ბაზარზე სიტუაციის შეცვლის თაობაზე და შეაგუებენ მას თავიანთ ქცევა-საქმიანობას.** ბაზარზე დარღვეული წონასწორობა კვლავ აღდგება ახალი წონასწორობის ფასის, მოთხოვნის და მიწოდების პირობებში.

თავი 6. ბაზრის რეგულირება

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ადრე, რომ **ბაზრის თვითრეგულირება სხვა თანაბარ პირობებში რეგულირებაზე უფრო ეფექტიანია (პერსპექტიულია).** ამ თემაში მოყვანილი მაგალითებიც ამაზე მიგვანიშნებს. მაგრამ რეალური ცხოვრება, საზოგადოების ფუნქციონირება იმდენად რთულია და ზოგჯერ ისეთ პრობლემებს წამოაყენებს, რომელთა გადაწყვეტისათვის აუცილებელი (სასარგებლო) ხდება ბაზრის ფუნქციონირებაში გარკვეული ჩარევა. ხანდახან ისეთი გარემო

[1] ეს ქვეყნები გაერთიანებული არიან კარტელ „ოპეკ"-ში - ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციაში.

შეიქმნება, რომ თავისუფალ ბაზარზე არსებული მდგომარეობა მიუღებელია სოციალური და პოლიტიკური ამოცანების პოზიციიდან.


განვიხილოთ შემდეგი მაგალითები.

მაგალითი 1. ზოგჯერ თავისუფალ ბაზარზე წონასწორობის ფასი სხვადასხვა მიზეზების გამო ისეთი მაღალი აღმოჩნდება სოციალური თვალსაზრისით, რომ ადამიანებს (მ.შ. განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ფენებს) არ ძალუძთ სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი საქონლის (მომსახურების) შეძენა და პირველი მოთხოვნილების (ფიზიოლოგიური მინიმუმის) დაკმაყოფილებაც კი. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება ბაზრის სიტუაციის მართვა, ვთქვათ, საკანონმდებლო (ადმინისტრაციული) ღონისძიებების გატარებით.

ამგვარი რეგულირების ტიპობრივ მაგალითად ხშირად მოჰყავთ საცხოვრებლის (ბინების) ბაზრის რეგულირება.

საბაზრო ეკონომიკაში ბინები კერძო საკუთრებაშია და ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვის (დაქირავება-გაქირავების) ობიექტია, ხოლო ბინების (საცხოვრებლის) ბაზარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საქონელთა ბაზრებს შორის (აღსანიშნავია, რომ საქართველოშიც ამჟამად საცხოვრებლის ბაზარი, ზოგიერთ სხვა ბაზართან შედარებით, სერიოზულად განვითარებულია).

დავუშვათ, რომ გასაქირავებელ ბინებზე მოთხოვნა-მიწოდება და ბინის ქირის წონასწორობის ისეთი დონე ჩამოყალიბდა, რომელიც მოცემულია **ნახ. 3.12.**-ზე.



ნახ. 3.12. ბინის ქირის რეგულირება. ყურადღება მისაქცევია, რომ ამ გრაფიკზე მიწოდების მრუდი საკმაოდ ციცაბოა, ე.ი. ვერტიკალურისკენ მიისწრაფვის; ეს იმით არის გამოწვეული, რომ გასაგები მიზეზების გამო მოკლე დროში ძნელია გასაქირავებლად გამოსატანი (შესათავაზებელი) ბინების რაოდენობის გაზრდა (ე.ი. ბინების მიწოდება ნაკლებელასტიკურია მოთხოვნის — ფასის ცვლილებების მიმართ).

ბინის ქირის დაწესებაზე შეზღუდვები რომ არ ყოფილიყო, მისი დონე ჩამოყალიბდებოდა მოთხოვნისა და მიწოდების გაწონასწორების საფუძველზე (OP_1). მაგრამ შეიძლება ეს წონასწორობის ფასი ისეთი მაღალია, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი (განსაკუთრებით მრავალშვილიანები და მისთ.) უბინაოდ დარჩება. ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ შეიძლება მოჰკიდოს ხელი ბინის ქირის რეგულირებას. ბინის ქირის რეგულირება კი ნიშნავს, რომ მისი ოდენობა წონასწორობის ფასზე (OP_1) დაბლა წესდება (OP_2). ეს იწვევს მოთხოვნის ზრდას (OK_2), მიწოდების შემცირებას (OK_3) და ბინების დეფიციტს (გრაფიკზე მანძილი K_3-დან K_2-მდე). მაშასადამე, აუცილებელი ხდება რაციონირების აპარატის შექმნა (ბინების რიგის დაწესება და დაცვა ან ბინის მაძებარი შუამავლები), რომ მოხდეს განაწილება. ამასთან შავი ბაზრის წარმოქმნის რისკიც ჩნდება, ვინაიდან ბინის ქირა იმ საცხოვრებლებზე, რომელთა მესაკუთრეები რეგულირებად ბაზარს გვერდს აუვლიან, უფრო მაღალ დონეზე დაწესდება (OP_3).

ბინების გაქირავების წონასწორული ფასის ჩამოყალიბების ასეთი შეგნებული შეზღუდვები საბაზრო ეკონომიკისათვის უცხო, ბევრი უარყოფითი მოვლენის პროვოცირებას უწყობს ხელს. ბინის გამქირავებლები შეეცდებიან გვერდი აუარონ შემოთავაზებულ სისტემას: ისინი

კარგად ხედავენ, რომ, ბინების გასაქირავებლად შეთავაზების შემცირებასთან ერთად (რაც, გავიმეორებთ, წონასწორობის ფასთან შედარებით ბინის დაბალი ქირის ადმინისტრაციულ შემოღებას მოჰყვა), გაიზრდება თავისუფალი ფასი (P_1-დან P_3-მდე), ვინაიდან ასეთი ფასის გადახდაზე თანახმაა დამქირავებლების გარკვეული ნაწილი (მოთხოვნა K_3-ის შესაბამისი P_3 ფასი არის ფაქტობრივად **ჩრდილოვანი ბაზრის** წონასწორობის ფასი). ამას კი შეიძლება ბინების შავი ბაზრის წარმოქმნა მოჰყვეს, სადაც გარიგებები გაცილებით უფრო მაღალ ფასებში მოხდება, ვიდრე ეს ხელისუფლების მიერ არის დაწესებული.

შემოღებული წესის (ფასების ასეთი რეგულირების) გვერდის ავლის უამრავი ვარიანტები და ხერხები ჩნდება. მაგალითად: 1) ქრთამი, რომ რიგის დარღვევით დაგაქირავებინონ ბინა; 2) გამქირავებელი ეუბნება „კომისიას", რომ ბინას გააქირავებს იმ პირობით, თუ მას იმ პიროვნებას მიაქირავებენ, რომელთანაც ბინის გამქირავებელი წინასწარ მოლაპარაკებულია დაწესებულ ქირაზე მეტის გადახდაზე; 3) ბინის ფარული გაქირავება-დაქირავება; 4) ბინის დამქირავებლების მიერ ფაქტობრივი შემოსავლის გადამალვა, სხვადასხვა ყალბი ცნობები და ა.შ.

საცხოვრებლის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების უფრო დასაშვებ ფორმად (თუ ეს მაინცდამაინც აუცილებლად ჩაითვლება) აღიარებულია შვეიცარიაში მიღებული წესი, როდესაც სახელმწიფო სხვადასხვა საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების გამოყენებით (დოტაციები, შეღავათიანი კრედიტი, შეღავათები დაბეგვრაში და სხვა) ამისამართებს ბიზნესს ბინების მშენებლობის გაფართოებისაკენ და ბაზარზე ბინების მიწოდების გაზრდისა და დაჩქარებისაკენ. მაგრამ აქაც გარკვეული პრობლემები ჩნდება — ვთქვათ, შეღავათიანი კრედიტის განაწილება (თუ მისი საშუალება შეზღუდულია) და სხვა. ეს კი ნიშნავს, რომ ბინების ბაზრის რეგულირების შედეგად სხვა ბაზარზეც ვღებულობთ უარყოფით თანმდევ პრობლემებს.

მაგალითი 2. ბინის ქირის რეგულირების ანალიზისას ჩვენ განვიხილეთ შემთხვევა, როდესაც წონასწორობის ფასი ძალზე მაღალ დონეზე ჩამოყალიბდა. მაგრამ რეგულირება შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც თვითრეგულირების საფუძველზე ჩამოყალიბებული წონასწორობის ფასი მეტად დაბალ დონეზეა და იწვევს საზოგადოებრივი თვალსაზრისით საჭირო საქონლის წარმოების შემცირებას.

ამის ტიპობრივი მაგალითია სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა იმ სიტუაციაში, როდესაც წონასწორობის ფასი ისეთ დონეზეა, რომ ვერ ხერხდება მიწათმოქმედთა შემოსავლის ზომიერი სტანდარტებით უზრუნველყოფა და ისინი ხელს აიღებენ მიწის მთლიანი ფართობის დამუშავებაზე. ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ შეიძლება დააწესოს ფასების რაღაც მინიმუმი (*იხ. შემდეგ გვერდზე ნახ. 3.13.*). გარდა მიწათმოქმედთათვის (სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის) ხელშეწყობისა, სახელმწიფოს მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე წონასწორობის ფასზე მაღალი ფასის დაწესებას განაპირობებს ხშირად ის სურვილიც, რომ ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფა მიღწეულ იქნეს ძირითადად საკუთარი წარმოების საქონლით.


ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ერევა ფასწარმოქმნაში და აწესებს ფასს P_2 დონეზე (მინიმუმი), რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-მიწოდების ზრდას ასტიმულებს. ამასთან პრაქტიკა და ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთ რეგულირებასაც გარკვეული არასასურველი შედეგები სდევს თან:[1]

- ფასის წონასწორობის დონესთან შედარებით მომატება იწვევს იმას, რომ მომხმარებლები არ არიან თანახმა შეიძინონ მთლიანი (წონასწორობის მოცულობასთან შედარებით გაზრდილი) პროდუქცია, რომელსაც სოფლის მეურნეობა აწარმოებს (შემოსთავაზებს); საქონლის მიწოდება, K_1 წერტილის ნაცვლად, გაიზრდება K_2 წერტილამდე;
- ვინაიდან მომხმარებლებს სურთ, როგორც გრაფიკზეა, შეიძინონ მხოლოდ OK_3 მოცულობის საქონელი, იქმნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების გადამეტება, წარმოიქმნება გაუსაღებელი ხორბლის მარაგის გროვა (პროდუქციის ამ მოცულობას, როგორც წესი, ხელისუფლება შეიძენს და გაზრდის სახელმწიფო მარაგებს);
- გადამეტებული წარმოება ხშირად იწვევს ქვეყნებს შორის დემპინგის პოლიტიკას[2].

---

[1] მიუხედავად ამისა, დღევანდელ მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება იმდენად მწვავე პრობლემაა, რომ მის ერთგვარ სახელმწიფოებრივ ხელშეწყობას თითქმის ყველგან აქვს ადგილი.

[2] **დემპინგი** (*ინგლ.* Dumping) — საქონლის უცხოეთის ბაზარზე გაყიდვა შინაგან ფასებთან შედარებით ბევრად იაფად.



ნახ. 3.13. სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე (ხორბალზე) ფასის რეგულირება. თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (ხორბალზე) დაწესდება ფასების რაღაც მინიმუმი (OP_2), მაშინ მისი მიწოდების გადამეტებას ექნება ადგილი. ეს გადამეტება რომ გაყიდულ იქნეს, გარდა სხვა ღონისძიებებისა, შემოიღებენ ე.წ. **სუბვენციებს (სუბსიდიებს)**[1].

რეგულირების ალტერნატივა

რეგულირების არასასურველ თანმდევ მოვლენებზე ზემოგამოთქმული მოსაზრებები არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი რეგულირება ბოროტებაა, ნებისმიერი ჩარევა მიუღებელია. დემოკრატიულ სახელმწიფოში (სხვა პირობებში ხშირად პოპულიზმთან და პოლიტიკური ძალების თავკერძა ინტერესებთან გვაქვს საქმე) რეგულირების თაობაზე გადაწყვეტილებას, როგორც წესი, საზოგადოების ან მისი ნაწილის ინტერესებიდან გამომდინარე ღებულობენ. ასე რომ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე რაც შეიძლება სრულად იქნეს გათვლილ-გაანგარიშებული ის დადებითი შედეგები, რომლებიც მოჰყვება რეგულირებას, და შეუდარდეს ისინი (შეჯერებულ იქნეს) იმ არასასურველ მოვლენებს, რაც მას გარდუვალად ახლავს თან.

თუ ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ძალებს არ აკმაყოფილებს ის განაწილება, რომელიც მიიღწევა თავისუფალი ბაზრის მოქმედების შედეგად (რომელიც მოჰყვება ამ მოქმედებას), იქნებ, საჭიროა სასურველი რეზულტატის მისაღებად სხვა საშუალებების მოძებნა. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში (ბინის ქირის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების რეგულირება), ალბათ, უფრო მიზანშეწონილი იყო **დოტაციის**[2] გამოყენება-დოტაცია ბინების კონკრეტულ დამქირავებლებს და სპეციალური დოტაცია გლეხებს (ფერმერებს) შემოსავლის გაზრდისათვის, და არა საბაზრო (წონასწორობის) ფასების შეცვლა. ამ შემთხვევაში ხდება შეღავათის შედარებით უფრო კონკრეტული დამისამართება, თუმცა გარკვეული ნეგატიური მოვლენები აქაც გარდუვალია.

დაბოლოს, საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ შემოთავაზებული მოდელები ხშირად აგებულია მეტად არარეალისტურ წანამძღვრებზე. შემდგომში ჩვენ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი იმის თაობაზე, თუ რა საზღვრებში შეუძლია არარეალისტურ წინაპრობას ეჭვის ქვეშ დააყენოს ზემოგანხილული მოდელების საფუძველზე გამოტანილი დასკვნის სისწორე. ამ საუბრებში შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებამ და ჩარევამ შეიძლება ზოგ შემთხვევაში აამაღლოს ეკონომიკის ეფექტიანობა.

[1] სუბვენცია (*ლათ.* Subventio დახმარება; სუბსიდია (*ლათ.* Subsidium) — ფულადი ან ნივთიერი დახმარება, რომელსაც უწევს სახელმწიფო ადგილობრივ ორგანოებს, ფირმებს, ცალკეულ პირებს ან სხვა სახელმწიფოებს.

[2] დოტაცია (*ლათ.* Dotation საჩუქარი, შეწირვა) — სახელმწიფოს ფულადი დახმარება, რომელიც ეძლევა ფირმას, დანესებულებას ზარალის დასაფარავად ან სხვა მიზნებისათვის.

დამატებითი კითხვის მასალა

ლეონ ვალრასი და ალფრედ მარშალი

ვალრასი და მარშალი ის ეკონომისტები იყვნენ, ვინც ყველაზე მეტი გააკეთა ეკონომიკურ მეცნიერებაში წონასწორობის იმ მოდელების დამუშავება — შემოღებისათვის, რომლებიც ჩვენ ამ თემაში განვიხილეთ.

ლეონ ვალრასი *(1834-1910), ცნობილი შვეიცარიელი ეკონომისტი, ჟურნალისტიც იყო, მწერალიც, ბანკირიც, სანამ ეკონომიკურ მეცნიერებას მოჰკიდებდა ხელს. წონასწორობის საერთო მოდელის შექმნასთან ერთად, მას ზღვრული სარგებლიანობის თეორიის დამუშავებაშიც მიუძღვის სერიოზული წვლილი. მისი მთავარი ნაშრომია* ***„სუფთა პოლიტიკური ეკონომიის ელემენტები“****. აქ მან პირველად მოგვცა განტოლების ზუსტი სისტემა, შექმნა საერთო ეკონომიკური წონასწორობის კონცეფცია და ჩამოაყალიბა, თუ როგორ ურთიერთმოქმედებენ ეკონომიკურ სისტემაში სხვადასხვა ბაზრები. ვალრასმა დაასაბუთა, რომ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას რეგულირების გარეშეც ძალუძს მიაღწიოს „საერთო წონასწორობის“ მდგომარეობას, ე.ი. ერთდროულ წონასწორობას ყველა ბაზარზე და ყველა მეურნეობაში.*

პრობლემის დაყენების მის მიერ გამოყენებულ მეთოდს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მთელი თანამედროვე ეკონომიკური თეორიისათვის. მის მთავარ ნაშრომს XX ს. ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ეკონომისტმა **იოზეფ შუმპეტერმა** *(ი.შუმპეტერი ლ. ვალრასს უდიდეს ეკონომისტად თვლიდა)* ***„საღვთო წერილი“*** *უწოდა.*

ვალრასის საერთო წონასწორობის თეორია (რა თქმა უნდა, ერთგვარად მოდერნიზებული) დღემდე ეკონომიკური თეორიის ღერძად, მის ბირთვად არის აღიარებული.

ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თვითონ ვალრასი არ თვლიდა თავის განტოლებებს სინამდვილის (რეალური ცხოვრების) ამსახველ პირდაპირ მაჩვენებლად. ის მათ მხოლოდ ანალიზის ეფექტიან საშუალებად მიიჩნევდა და მიუთითებდა, რომ მათემატიკური ანალიზის დასკვნები ფრთხილად უნდა იქნეს გადატანილი რეალურ პრობლემებზე.

ა. მარშალმა, გამოჩენილმა ინგლისელმა ეკონომისტმა, კემბრიჯის ცნობილი ეკონომიკური სკოლის დამაარსებელმა, გააერთიანა მანამდე არსებული მოძღვრება მოთხოვნასა და მიწოდებაზე. მისი სოლიდური მოცულობის ძირითადი ნაშრომი ***„ეკონომიკის პრინციპები“*** *(აღსანიშნავია, რომ მისი წიგნის სახელწოდება ადრე ითარგმნებოდა, როგორც* ***„პოლიტეკონომიის პრინციპები“****, ბოლო დროს ითარგმნა როგორც „ეკონომიკის პრინციპები“) იყო პირველი სახელმძღვანელო, რომელშიც სხვადასხვა ბაზრებზე მოთხოვნისა და მიწოდების შესწავლისათვის გამოყენებულია ზუსტი და დახვეწილი მათემატიკური ანალიზი. მარშალი ამტკიცებდა, რომ პრობლემათა უმეტესობა შეიძლება შესწავლილი იქნეს მოთხოვნისა და მიწოდების ტერმინებში. აი, რას წერდა ის:*

„პოლიტეკონომიაში თითქმის ყველა მთავარი პრობლემა ერთი და იგივე არსისაა. ეს არსი იმაში მდგომარეობს, თუ როგორ ხდება ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოტივების დაბალანსება. ერთი მოტივი იმაშია, რომ გარკვეული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შეძენილ იქნეს ახალი საქონელი; მეორე — იმაში, რომ თავიდან იქნეს აცილებული ერთგვარი მსხვერპლი ან მიღწეულ იქნეს მოთხოვნილებათა გარკვეული დაკმაყოფილება... სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საუბარი იმაზეა, თუ როგორ აწონასწორებენ ერთმანეთს მიწოდება და მოთხოვნა“.

მისი აზრით, ამ განწონასწორებაში მოთხოვნა და მიწოდება ერთად მოქმედებს როგორც „მაკრატლის ორი დანა“.

გიფენის ფენომენი

ზემონაჩვენები გრაფიკების საშუალებით მოთხოვნაზე და მიწოდებაზე ფასების ზეგაელენის განხილვისას ჩვენ დავასაბუთეთ, რომ საქონელზე ფასების მატება, სხვა თანაბარ პირობებში, მასზე მოთხოვნის შემცირებას იწვევს. მაგრამ საკვირველება ის არის, რომ ფასების მომატებას შეიძლება ზოგ შემთხვევაში მოთხოვნის გაზრდა მოჰყვეს.

ეს მოვლენა პირველად აღწერა XIX საუკუნეში ინგლისელმა ეკონომისტმა **ფრენსის გიფენმა**. *იკვლევდა რა ირლანდიაში შიმშილის ისტორიას, მან უცნაურ შემთხვევას მიაქცია ყურადღება: როცა ხელისუფლებამ კარტოფილზე მოთხოვნის შემცირების მიზნით (კარტოფილი კი მაშინ ღარიბების ძირითადი საკვები იყო) მასზე ფასი გაზარდა, მოთხოვნა არა მარტო არ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდევაც (!).*

ამ მოვლენის მიზეზი (როდესაც პირველი მოთხოვნილების საქონელზე ფასების ზრდამ მასზე მოთხოვნის გაზრდა შეიძლება გამოიწვიოს და რომელსაც **გიფენის ფენომენს** *უწოდებენ) ის გახლავთ, რომ მოსახლეობა (განსაკუთრებით მისი ღარიბი ფენები) ამ შემთხვევაში სხვა რაღაცის ყიდვაზე უარს ამბობს, რომ ფასგაზრდილი საქონელი შეიძინოს, თანაც მომავალში ფასის მოსალოდნელი შემდგომი ზრდის შიშით მარაგის შესაქმნელად უფრო მეტის ყიდვას ესწრაფვის.*

ჰოლანდიური ტიტომანია

ეს მოხდა ჰოლანდიაში 1630 წელს. რაღაც მიზეზების გამო ყვავილ ტიტაზე, რომელიც მანამდე 80 წლით ადრე იქნა შემოტანილი ქვეყანაში, მოულოდნელად დაიწყო მოთხოვნის და, შესაბამისად, ფასების ზრდა. საზოგადოებამ და განსაკუთრებით მისმა კომერციული მიდრეკილებით დაჯილდოვებულმა ნაწილმა ეს მყისვე შენიშნა და ხელი მოჰკიდა ტიტის ბოლქვის ყიდვა-გაყიდვას (რასაც ჩვეულებრივად **სპეკულაციას** *ეძახიან), და ამან მალე საყოველთაო ხასიათი მიიღო. შედეგად ამისა შეიქმნა მოთხოვნის თავისებური თვითშეფუცხუნების (თვითზრდის) მექანიზმი: რაც უფრო მეტ მოთხოვნას იჩენდა მოსახლეობა ყვავილის ბოლქვისადმი, მით უფრო იზრდებოდა ფასები, რაც უფრო იზრდებოდა ფასები, მით უფრო ღვივდებოდა აჟიოტაჟი და მეტ ბოლქვებს ყიდულობდა ხალხი ფასების მოსალოდნელი მომატების შემდეგ გასაყიდად.*

საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ ცალ ბოლქვზე ზოგან 2500 გულდენს (ფლორინს) იძლეოდნენ. ამაზე კი მაშინ შეიძლებოდა 2 ურემი ხორბლის, 4 ურემი თივის, 4 გასუქებული ხარის, ამდენივე გასუქებული ღორის, 500 კილოგრამი ყველის, ერთი საწოლის, ერთი კოსტიუმის, ერთი ვერცხლის თასის შეძენა. ეს, რა თქმა უნდა, ნორმალური წონასწორობის ფასი კი არ არის, არამედ ბაზრის **აჟიოტაჟური კონიუნქტურის** *შედეგად წარმოქმნილი სპეკულაციური ფასია.*

მაგრამ ერთ „მშვენიერ“ დღეს ეს ყველაფერი გასკდა: აუქციონზე სარეალიზაციოდ გამოტანილმა მორიგმა ბოლქვმა მის გამყიდველს სავარაუდო 1250 გულდენის ნაცვლად 1000 გულდენი მოუტანა. ეს ინფორმაცია უმალ გავრცელდა და ყველამ ერთად გამოიტანა გასაყიდად ყვავილის დაგროვილი ბოლქვები, მაგრამ მათი შეძენა უკვე არავის უნდოდა, ფასები კი, ჩვენთვის უკვე ცნობილი მოთხოვნისა და მიწოდების კანონის შესაბამისად, პირდაპირ „დაემხო“; ადამიანები, რომლებსაც, რომ იტყვიან, ჯერ კიდევ გუშინ თავი მდიდრებად მოჰქონდათ, უცბად მათხოვრებად იქცნენ.

სამწუხაროდ, ამ და სხვა ბევრმა მისთანა მაგალითმა ბოლომდე ვერ ასწავლა კაცობრიობას ჭკუა, ვერ შეაგონა, თუ რა საშიშროებასთან არის ხშირად დაკავშირებული ფასების ცვლილებაზე თავაშვებული სარისკო თამაში (მ.შ. ფინანსურ ბაზარზე).

კითხვები და სასწავლო დავალებები

1. როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორები მოქმედებს ბაზარზე:
   - მყიდველების ქცევაზე?
   - გამყიდველების ქცევაზე?
2. ზოგჯერ ამბობენ ხატოვნად: „ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების მოლაპარაკება მიდისო". გაუკეთეთ კომენტარი ამ მოსაზრებას.
3. როგორ გესმით თქვენ ფასების მიმმართველი, მაწონასწორებელი ფუნქცია?
4. საქართველოში 1990-2010 წლებში მკვეთრად შემცირდა ხორცის, კვერცხის, რძის ნაწარმის და სხვა პროდუქტის წარმოება. ამავდროულად, თუ XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს თითქმის ყველა პროდუქტის დეფიციტი იყო და მაღაზიებში რიგი იდგა, 2000-იან წლებში და შემდგომ რიგს ვერსად ნახავ და პრაქტიკულად ყოველი პროდუქტის თავისუფლად შეძენა შეიძლება.
   როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა? დაწვრილებით ახსენით ეს მოვლენა.
5. დავუშვათ, რომ საქართველოში ძალზე ბევრია უმუშევარი პროფესორ — მასწავლებელი. ამ დროს საზრვარგარეთის რომელიღაცა ფირმამ (სასწავლებელმა) გადაწყვიტა თბილისში საკუთარი სახსრებით გახსნას თანამედროვე კოლეჯი ან სხვა სასწავლებელი და მასში, უცხოელ სპეციალისტებთან ერთად, ფიქრობს მიიწვიოს 50 თბილისელი პედაგოგი მაღალი ანაზღაურებით.
   გაიაზრეთ კრიტერიუმები (პირობები), თუ როგორ შეიძლება ამ 50 პედაგოგის შერჩევა.
6. დავუშვათ, რომ 2016 წლის ოქტომბრის მე-3 დეკადაში თბილისის ბაზარზე წონასწორობის ფასი საქონლის 1 კგ ხორცზე ჩამოყალიბდა 15 ლარი. ამ დროს ხელისუფლებამ დააწესა ზღვრული ფასი 10 ლარი და მთელი თავისი ძალები აამოქმედა, რომ ხორცი ამაზე ძვირად არ გაიყიდოს.
   დაწვრილებით ახსენით, რა შედეგები მოჰყვება ამ ღონისძიებას. თქვენი პასუხი გამოსახეთ გრაფიკულად.
7. „ხელისუფლების მიერ ფასის ფიქსაცია (ადმინისტრაციული ფასების დაწესება) უკარგავს ფასს ეკონომიკის მაწონასწორებელ ფუნქციას".
   დაახასიათეთ (შეაფასეთ) ეს მოსაზრება, ამასთან, გამოიყენეთ წინა კითხვაში მოცემული მაგალითი.
8. დაასაბუთეთ, როგორ იმოქმედებს მოცემული მიწოდების პირობებში „A" პროდუქტის მოთხოვნაზე და წონასწორობის ფასზე, თუ:
   ა) პროდუქტი "A" უფრო მოდური გახდა;
   ბ) მცირდება ფასი "B" პროდუქტზე, რომელიც "A" პროდუქტის სრულფასოვანი შემცვლელი შეიძლება იყოს;
   გ) გავრცელდა ხმები, რომ "A" პროდუქტზე ფასი ახლო მომავალში შემცირდება (გაიზრდება)?
9. დაასაბუთეთ, როგორ იმოქმედებს მოცემული მოთხოვნის პირობებში "A" პროდუქტის მიწოდებაზე და მის წონასწორობის ფასზე, თუ:
   ა) "A" პროდუქტის წარმოებაში დაინერგა ტექნიკური საიხლე;
   ბ) "A" პროდუქტის დარგში შემცირდა ფირმების რაოდენობა;
   გ) გაიზარდა ფასები იმ რესურსებზე, რომლებიც საჭიროა "A" პროდუქტის წარმოებისათვის;
   დ) ხელისუფლებამ "A" პროდუქტის რეალიზაციაზე განსაკუთრებული გადასახადი შემოიღო?
10. რა მნიშვნელობა აქვს ბაზრის წონასწორობის უზრუნველყოფისათვის ფასის მიმართ მოთხოვნის (მიწოდების) ელასტიკურობას?
11. თუ მიწოდება ფასის მიმართ ნაკლებელასტიკურია, რა მოჰყვება ბაზარზე წონასწორულთან შედარებით დაბალი (მაღალი) ფასის ჩამოყალიბებას? რაზე იმოქმედებს ეს მოვლენა?

სავარჯიშო ტესტები

შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი

№1. ხელისუფლების მიერ ფიქსირებული ფასების დაწესება:

1) ანიჭებს ფასებს ეკონომიკის რეგულირების ფუნქციას;
2) არ მოქმედებს ფასების ფუნქციაზე;
3) უკარგავს ფასებს ეკონომიკის მარეგულირებელ ფუნქციას;
4) ზოგ შემთხვევაში უკარგავს მათ ეკონომიკის მარეგულირებელ ფუნქციას, ზოგ შემთხვევაში კი პირიქით.

№2. დავუშვათ, რომ "A" საქონლის მიწოდება მოცემულია. თუ მის სრულფასოვან შემცვლელ "B" საქონელზე ფასი შემცირდება, მაშინ "A" საქონელზე ფასი:

1) შემცირდება;
2) გაიზრდება;
3) არ შეიცვლება;
4) ჯერ შემცირდება, შემდეგ კი გაიზრდება.

№3. "A" პროდუქციაზე მოთხოვნის უცვლელობის პირობებში მისი წარმოებისათვის საჭირო რესურსებზე ფასების გაზრდა გამოიწვევს ამ "A" საქონლის მიწოდების:

1) გაზრდას;
2) ჯერ გაზრდას, შემდეგ შემცირებას;
3) შემცირებას.
4) "A"საქონლის მიწოდება უცვლელი დარჩება.

№4. ფასის მიმართ "A" პროდუქციის მიწოდების მაღალი ელასტიკურობის პირობებში მასზე ფასის გაზრდა გამოიწვევს:

1) ამ ("A") პროდუქციის მიწოდების გაზრდას;
2) ამ ("A") პროდუქციის მიწოდების შემცირებას;
3) ამ ("A") პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.
4) ამ ("A") პროდუქციაზე ფასის ზრდა არ იმოქმედებს მისი მიწოდების მოცულობაზე.

№5. პეტრეს მარგარინზე მეტად კარაქი უყვარს, პავლესათვის კი სულ ერთია. ამ შემთხვევაში ფასის მიმართ კარაქზე მოთხოვნა უფრო ელასტიკურია:

1) პეტრესი;
2) პავლესი;
3) ორივეს მოთხოვნა კარაქზე ერთნაირად რეაგირებს ფასის ცვლილებაზე.
4) ასეთ პირობებში ელასტიკურობაზე საუბარი არამართლზომიერია.

№6. რაც უფრო მეტი კარგი შემცვლელი აქვს სიკეთეს, მით უფრო:

1) ნაკლებად ელასტიკურია მასზე მოთხოვნა;
2) მაღალი ელასტიკურობა ახასიათებს მასზე მოთხოვნას.
3) ელასტიკურობის ხარისხი სიკეთის შემცვლელთან დაკავშირებული არ არის;
4) ელასტიკურობა ფიზიკის ტერმინია და ეკონომიკურ მეცნიერებაში არ გამოიყენება.

№7. თუ საქონლის ნებისმიერი რაოდენობა იყიდება ერთნაირი ფასით, მაშინ ასეთი საქონლის მიწოდება ფასის მიმართ:

1) აბსოლუტურად არაელასტიკურია;
2) აბსოლუტურად ელასტიკურია;
3) ელასტიკურია;
4) არაელასტიკურია.

№8. თუ სახელმწიფო რაიმე საქონელზე წონასწორობის ფასზე დაბალ (ზღვრულ) ფასს დააწესებს:

1) ამ საქონლის ხარისხი გაუმჯობესდება;
2) ამ საქონლის ხარისხი გაუარესდება;
3) ამ საქონლის მიწოდება შემცირდება;
4) წარმოიქმნება ამ საქონლის დეფიციტი.

№9. მოთხოვნის ელასტიკურობა ფასისადმი:

1) არის უარყოფითი სიდიდე;
2) არის დადებითი სიდიდე;
3) შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი სიდიდე.
4) მოთხოვნის ელასტიკურობა ყოველთვის დადებითი სიდიდეა.

№10. მიწოდების ელასტიკურობა ფასისადმი:

1) არის უარყოფითი სიდიდე;
2) არის დადებითი სიდიდე;
3) შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი სიდიდე.
4) მიწოდების ელასტიკურობა ყოველთვის უარყოფითი სიდიდეა.

№11. მოთხოვნის მრუდზე "A" წერტილიდან ქვევით "B" წერტილისაკენ მოძრაობისას მოთხოვნილების მოცულობა:

1) მცირდება;
2) იზრდება;
3) არ იცვლება.
4) მოთხოვნილება მრუდზე გადაადგილებით კი არა, მრუდის გადაადგილებით იცვლება.

№12. არაფასობრივი პარამეტრების ცვლილება მოქმედებს:


1) მოთხოვნის მოცულობაზე;
2) მიწოდების მოცულობაზე;
3) ფასებზე.
4) არაფასობრივი პარამეტრების ცვლილება არ მოქმედებს ზემოჩამოთვლილ პარამეტრებზე (მოვლენებზე).

№13. ერთეულოვანი ელასტიკურობის პირობებში ფასის ზრდა იწვევს:

1) სავაჭრო ამონაგების შემცირებას;
2) სავაჭრო ამონაგების გაზრდას.
3) ზემომოყვანილ პირობებში სავაჭრო ამონაგები უცვლელი რჩება.
4) ელასტიკურობა არ არის ეკონომიკური ტერმინი.

ფირმა და მეწარმეობა. ეროვნული შემოსავლის განაწილება

თემა IV



თავი 1. წარმოების ისტორიული ფორმები

საოჯახო მეურნეობა

საოჯახო მეურნეობა მეურნეობრიობის (ეკონომიკური საქმიანობის) ყველაზე ძველი ფორმაა. მეურნეობის სხვა ფორმებისაგან ის პრინციპულად განსხვავდება, განსაკუთრებით შინაურთიერთობების პოზიციიდან. თუ საოჯახო მეურნეობების საგარეო ურთიერთობები ყალიბდება წარმოების სხვა ფორმების ანალოგიურად, ანუ დანახარჯების და სარგებლის შეთანაზომვის საწყისებზე, საშინაო ურთიერთობებში პრევალირებს ოჯახური ურთიერთობები, ბიოლოგიური ერთობლიობის ფენომენი; აქ ჩვეულებრივად არ ანგარიშობენ და არ შეაჯერებენ ოჯახის წევრების შემონატანისა და მოხმარების მოცულობებს, აგრეთვე არ გამოითვლიან ე.წ. ტრანსაქციურ დანახარჯებს, როგორც ამას ფირმები აკეთებენ და რაზედაც საუბარი წინა გვაქვს.

ამასთან საოჯახო მეურნეობების საქმიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს მთლიანად ეკონომიკაში, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ოჯახი კვლავინდებურად ნებისმიერი საზოგადოების ორგანიზაციის საფუძველია და წარმოების ყველა ეკონომიკური რესურსი (წარმოების ფაქტორები) ძირითადად საოჯახო მეურნეობების საკუთრება-გამგებლობაშია.

ამქრული წარმოება

ამქრული[1] **წარმოების ფორმა** გავრცელებული იყო ფეოდალურ საზოგადოებებში როგორც ერთი და იგივე პროფესიის ადამიანთა ერთობლივი საქმიანობა. წარმოების ეს ფორმა წარმოიშვა ევროპაში XI-XII საუკუნეებში და ფართო გავრცელება მიიღო XIII-XIV საუკუნეებში (ფეიქართა ამქარი, მემაუდეთა ამქარი, მღებავთა ამქარი, მეჩექმეთა ამქარი, მეტყავეთა — დაბაღთა ამქარი, ხუროთა ამქარი, მეპურეთა — ხაბაზთა ამქარი, ყასაბთა ამქარი და ა.შ.).

მათი წარმოქმნა (წარმოშობა) დაკავშირებულია ცალკეული საქმიანობის სუბიექტთა ჯგუფებად განცალკევებასთან. მათ ჰქონდათ თავისი მკვეთრად რეგლამენტირებული წესები და ამის წესდებები, რომლებიც განსაზღვრავდა ამქრის წევრთა ქცევას, მათ ურთიერთდამორჩილებას, შექმნილი პროდუქციის გასაღების წესს და ა.შ. ყველა ეს ღონისძიება დაკავშირებული იყო ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებული ნატურალური მეურნეობის ბაზრის შეზღუდულობასთან.

სასაქონლო წარმოების ზრდასა და, შესაბამისად, ბაზრის გაფართოებასთან ერთად მიმდინარეობდა ამქრული წარმოების ფენებად დაშლა, ამქრის შიგნით გაჩნდნენ შედარებით უფრო შეძლებული წევრები, რომლებსაც საქმიანობის სხვანაირად, სხვა საწყისებზე ორგანიზების სურვილი გაუჩნდათ.

თუ ამქრულ წარმოებას თავიდან (ნატურალური მეურნეობის პირობებში) დადებითი (პროგრესული) ხასიათი ჰქონდა (ის ამყარებდა ხელოსანთა ეკონომიკურ და სამართლებრივ მდგომარეობას), საბაზრო ეკონომიკის (კაპიტალიზმის) გენეზისისა და გაფართოების პირობებში (XVI-XVIII სს.) მეურნეობრიობის ასეთი ფორმა ეკონომიკური ზრდის მუხრუჭი ხდებოდა.

[1] **ამქარი** (*სპარს. ისტ.*) — ერთი ხელობის ოსტატ-ხელოსანთა გაერთიანება, ამხანაგობა.

მანუფაქტურა[1]

მანუფაქტურა უკვე კაპიტალისტური საწარმოა, რომელიც დამყარებულია შრომის დანაწილებაზე და ხელის (ხელოსნურ) ტექნიკაზე, აგრეთვე შრომის დაქირავება-გაქირავებაზე.

მანუფაქტურა არის საქონლის მასობრივი მასშტაბით მწარმოებელი საწარმო; ამიტომ მას სჭირდებოდა საქონლის ფართო გასაღების ბაზარი; თავად ბაზრის გაფართოება კი მოითხოვდა წარმოების ახალ, მეტი მოცულობის საქონლის შემქმნელ სტრუქტურებში ორგანიზებას. XVI ს. მეორე ნახევრიდან მანუფაქტურა გახდა სასაქონლო მეურნეობის (კაპიტალისტური წარმოების) გაბატონებული ფორმა.

მანუფაქტურის წარმოშობის ორი გზა არსებობს: 1) როდესაც მეწარმე-კაპიტალისტის ძალაუფლების ქვეშ ერთ სახელოსნოში ერთიანდება ერთი და იგივე სპეციალობის რამდენიმე ხელოსანი და ყოველი მათგანი ასრულებს ერთსა და იმავე ოპერაციას; 2) როდესაც მეწარმის ძალაუფლების (ხელმძღვანელობის) ქვეშ ერთიანდებიან სხვადასხვა სპეციალობის ხელოსნები, რომლებიც თანმიმდევრულად ეწევიან ამა თუ იმ მზა პროდუქციის წარმოებას (მაგალითად, ეტლის წარმოება).

მანუფაქტურის შიგნით შრომის დეტალური დანაწილება და მუშაკთა სპეციალიზაცია განაპირობებდა შრომის მწარმოებლურობის ზრდას; წარმოების პროცესის უბრალო ოპერაციებად დანაწევრებამ და მუშაკთა და ხელსაწყო-იარაღის დიფერენცირებამ კი მოამზადა რთული ტექნიკის (მანქანების) გამოყენების და საფაბრიკო წარმოებაზე გადასვლის პირობები. წარმოიქმნა მანქანურ ტექნიკაზე დამყარებული თავისუფალი მეწარმეობა და სუფთა საბაზრო (კაპიტალისტური) საწარმოები — ფაბრიკები და ქარხნები (საფაბრიკო წარმოება).

ფაბრიკა[2]

ფაბრიკა მსხვილი კაპიტალისტური საწარმოა. თუ მანუფაქტურაში შრომა დანაწილებულია მუშებს შორის, ფაბრიკაში, შეიძლება ითქვას, საქმიანობის ეს დანაწევრება (დაყოფა-განაწილება) მანქანებს შორის მიმდინარეობს; აქ ადგილი აქვს მანქანების კოოპერირებას; შრომის პროცესის კოოპერაციული ხასიათი ტექნიკური აუცილებლობა ხდება, რასაც შრომის საშუალებები კარნახობს. ფაბრიკის წარმოშობა ნიშნავდა, რომ მრეწველობა შევიდა მსხვილი მანქანური წარმოების სტადიაში. აქ მთლიანად განმტკიცდა კომერციულ-სამეურნეო საქმიანობის დაქირავების პრინციპებზე ორგანიზება.

თავი 2. ფირმა. ფირმის თეორია

თანამედროვე პირობებში სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის ძირითად ფორმას წარმოადგენს **ფირმა**; ეს მეწარმეობრივი საქმიანობის ევოლოციური განვითარების პროდუქტია. საუბარია პრაქტიკულად **ფირმის თეორიაზე**, ფირმის ქცევაზე.

ფირმა

ეს ტერმინი იტალიური „Firm"-დან მოდის და სიტყვასიტყვით ნიშნავს საქმიან დოკუმენტზე (საბუთზე) დამადასტურებელ ხელმოწერას. თავიდან ეს იყო კომერსანტის „სავაჭრო სახელი" (იშვიათად, მაგრამ დღესაც მოისმენთ განსაკუთრებული აპლომბით ნათქვამ „ფირმა!"-ს).

ფირმის კატეგორია საკმაოდ ფართო ცნებაა. როგორც მაკმილანის ლექსიკონში ვკითხულობთ, **ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში** (ჩვენ კი სწორედ ამ პოზიციებიდან გამომდინარე ვეუფლებით ეკონომიკური თეორიის საგანს), ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება „რესურსების პროდუქციად გარდამქმნელი ინსტიტუტი". გამოდის, რომ ფირმის ცნება ნიშნავს რაღაც აბსტრაქტულ სამეურნეო ერთეულს, რომელიც ასრულებს ტექნიკურ ამოცანას. ასეთი, ერთგ-

[1] **მანუფაქტურა** — *ლათ.* Manus - ხელი და Factura - დამზადება, გაკეთება.

[2] **ფაბრიკა** — *ლათ.* fabrica - სახელოსნო, faber - ხელოსანი.

ვარად გაუბრალოებული ფორმულირება მოგების მაქსიმიზაციის მოსაზრებასთან ერთობლიობაში აადვილებს ფირმის ქცევის, პროდუქციის გამოშვების და ფასის ახსნას როგორც თავისუფალი კონკურენციის (Perfect competition), ისე მონოპოლიის (Monopoly) პირობებში.

ფირმის უფრო რთული განმარტება ითვალისწინებს მის, როგორც რესურსების ალოკაციის მაკოორდინებელი მექანიზმის მნიშვნელობას. ეს მნიშვნელობა კი ფირმის ქცევის თეორიების ცენტრალური პუნქტია.

ოქსფორდის ლექსიკონში „ბიზნესი. განმარტებითი ლექსიკონი" ფირმა განმარტებულია, როგორც: „1) ნებისმიერი საქმიანი ორგანიზაცია" და 2) „საქმიანი პარტნიორი". გამოდის, რომ ფირმა არის სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო და სხვ. საწარმო, რომელსაც აქვს იურიდიული პირის სტატუსი.

ფირმების საქმიანობის არეალი სისტემატურად ფართოვდება. ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში ბევრია ფირმა — საფინანსო ინსტიტუტი (სტრუქტურა), რომელიც დასპეციალიზებულია ბროკერულ (საშუამავლო) და დილერულ (ინვესტორის წარმომადგენელი ბაზარზე) საქმიანობაში საფონდო ბაზარზე. ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრე ბევრი ფირმა სთავაზობს ინვესტორებს ყოველგვარ მომსახურებას, ასრულებს „ბაზრის მწარმოებლის" (შემქმნელის) როლს, ეწევა საფონდო ბაზრების გამოკვლევას.

ზემოთქმულიდან გამოდის, რომ ფირმის თანამედროვე თეორიაში და საერთაშორისო პრაქტიკაში ფირმის ცნება გამოიყენება სამრეწველო, საშუამავლო, სავაჭრო და სხვა კომერციული საქმიანობის მიმართ, რაც (საქმიაობა) მოგებას იძლევა.

ამასთან თანამედროვე ნეოკლასიკურ თეორიაში ამ ტერმინის ქვეშ პირველ რიგში მაინც იგულისხმება ინსტიტუტი, რომელიც რესურსებს პროდუქციად გარდაქმნის. ჩვენც ამ თემაში ფირმის სწორედ ამ მნიშვნელობას ვგულისხმობთ პირველ რიგში.

ფირმას თავისი ორგანიზაციულ- სამართლებრივი ფორმა გააჩნია:

- **ეს არის სტრუქტურა, რომელიც ადგენს ფირმის შემადგენლობას (ერთი ან რამდენიმე საწარმო);**
- **ფორმირების ხერხი, წესი (ინდივიდუალური, პარტნიორული,კორპორაციული);**
- **საკუთარი კაპიტალის განაწილების იერარქია (ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი ან დამოკიდებული საწარმოები).**

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, „ფირმის" და „საწარმოს" ცნებები არაადეკვატურია: **საწარმო არის უმეტესად საწარმოო ორგანიზაცია, რომელიც, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ეწევა ერთგვაროვან საქმიანობას, ფირმის საქმიანობის ფორმები კი პრაქტიკულად განუსაზღვრელია.**

ფირმა დოვლათ-სიკეთის წარმოების ორგანიზატორია, ის წარმოებისათვის საჭირო ეკონომიკური რესურსების (წარმოების ფაქტორების) ისეთ კომბინაციას აწყობს, რომელიც უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ (მაქსიმალური უკუგებით) გამოყენებას. ის პერმანენტულად ცვლის რესურსების გამოყენების სტრუქტურას, წარმოების ერთ ფაქტორს (სუბსტიტუტს) ცვლის მეორეთი, სანამ არ მიაღწევს ოპტიმალურ შეერთებას და, რაც მთავარია, დადებით შედეგს.

როგორ იქმნება ფირმა?

ფირმის ამოცანა (მიზანი) მოგების მიღებაა, რისთვისაც მან უნდა მოიზიდოს ეკონომიკური რესურსები, „შეაერთოს" ისინი (მოაწყოს წარმოება) და მოგებიანად გაყიდოს წარმოების შედეგები.

წარმოების ფაქტორების კომბინაცია, მათი ურთიერთშეცვლა და ურთიერთშევსება ხდება ამ ფაქტორების მახასიათებლების და მათზე ფასების ანალიზის საფუძველზე; ყველაზე საუკეთესოდ ის ვარიანტი ითვლება, რომლის დროსაც ფირმისათვის მისაღები წარმოების ფაქტორების და გამოსაშვები პროდუქციის მოცულობის კომბინაცია შეესაბამება მინიმალური (უმცირესი) წარმოების ხარჯების კრიტერიუმს. **ნებისმიერი ფირმა ცდილობს მოახდინოს წარმოების ხარჯების მინიმიზაცია და ესწრაფვის დაიცვას შემდეგი პრინციპი: დახარჯული წარმოების ფაქტორის ყოველ ერთეულზე მიიღოს ერთნაირი (ადეკვატური) ზღვრული პროდუქტი.**

ფირმის ორგანიზაციის მასშტაბის (მოცულობის) და სხვა სამეურნეო საქმიანობის საკითხის გადაწყვეტისას უმნიშვნელოვანესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დეტალურად გავერკვეთ და მინიმუმამდე დავიყვანოთ ე.წ. **ტრანსაქციური**[1] **დანახარჯები**, ანუ ხარჯები, დაკავშირებული გარე უარყოფით ეფექტებთან — **ექსტერნალიებთან**. როგორც ნობელის პრემიის ლაურეატმა **რ. კოუზმა** (ამერიკელი მეცნიერი ეკონომისტი) დაასაბუთა, საბაზრო მექანიზმების გამოყენება სრულებითაც არ არის საზოგადოებისათვის უფასო, არამედ მოითხოვს გარკვეული დანახარჯების გაწევას, რომელთაც მან ტრანსაქციური ხარჯები უწოდა.

არსებობს შემდეგი საგარეო (ფირმისათვის საგარეო) ტრანსაქციური ხარჯები, რომლებიც დროსა და სახსრებს მოითხოვს:

- ბაზრის თაობაზე ინფორმაციის მოძიება (პოტენციურ მომწოდებლებზე, ფასებზე, საქონელთა და მომსახურების მახასიათებლებზე);
- რთული კონტრაქტების დადება, რომლებშიც მოცემული იქნება გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან დაკავშირებული დამატებითი შენიშვნები;
- ზოგიერთ საკითხზე გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება;
- ხარჯები გაზომვაზე. ეს იმასთან არის დაკავშირებული, რომ ძნელი და ძვირია ზუსტად და ბოლომდე საქონლის ხარისხში გარკვევა (ამას ერთგვარად ამცირებს ფირმის გარანტია). მაგალითად, კომპიუტერის შესაძლო, ძნელად დასადგენი ნაკლი;
- ზოგიერთი საქონლის რეალიზაციაზე პერიოდულად განმეორებადი გარიგების დადება;
- კონტრაქტების პირობების დაცვა;
- კონტრაქტების შესრულების იურიდიული თანხლება (მომსახურება);
- ე.წ. ოპორტუნისტულ ქცევასთან დაკავშირებული ხარჯები, როდესაც არაკეთილსინდისიერი კონტრაჰენტი შეეცდება ბოლომდე არ შეასრულოს კონტრაქტის პირობები.

ტრანსაქციური ხარჯები წარმოიქმნება როგორც გაცვლის (ყიდვა-გაყიდვის) პროცესში, ისე მანამდე და მას შემდეგ; მათი შემცირება ფირმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ფირმის ქცევას სწავლობს და ხსნის ფირმის თეორია. **ფირმის თეორია არის მიკროეკონომიკური თეორიის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ხსნის და პროგნოზირებს ფირმის ქცევას, განსაკუთრებით ფასწარმოქმნასთან და პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების საკითხებში. ის მოიცავს აგრეთვე ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა ტექნოლოგიის შერჩევა, სარეკლამო საქმიანობა, პროდუქციის განახლება, ინვესტიციები და სადივიდენდო პოლიტიკა.**

ფირმის თანამედროვე თეორია აქცენტს აკეთებს საკუთრების და კონტროლის (მართვის) ისტორიულად ჩამოყალიბებულ დანაწილებაზე (განცალკევებაზე). საქონელთა ბაზრების და კაპიტალის ბაზრის არასრულყოფილების პირობებში ასეთი დანაწილება საშუალებას აძლევს ფირმათა მენეჯერებს (მმართველებს) იზრუნონ (განახორციელონ) სხვა, მოგების მაქსიმიზაციისაგან განსხვავებული მიზნებიც. ეს განსაკუთრებით ეხება სააქციო საზოგადოებებს, როდესაც მესაკუთრეების (აქციონერების) მიერ ფირმის საქმიანობის უშუალო მართვა დელეგირებულია მენეჯერებისადმი.

როგორც აღინიშნა, ტრადიციული თეორია ეყრდნობა ფირმის მოგების განზრახულობას, მოგების მაქსიმიზაციის მოტივაციას. ამასთან ფირმის თანამედროვე მმართველობითი თეორიები აანალიზებენ ფირმის იმ საქმიანობასაც, რომელიც განსხვავებულია მოგების მაქსიმიზაციის მიზნისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ ტრადიციული თეორიის თანამედროვე ალტერნატივაა ფირმის ქცევის თეორია, რომელშიც რაღაცის მაქსიმიზაციის პრინციპი შეცვლილია მნიშვნელოვანწილად საკმარისობის ან დამაკმაყოფილებელი დონის მიღწევის ქცევით. ფირმის ფუნქციონირების გამიზნულობა შეიძლება სხვადასხვა მიზნებმა განაპირობოს:

[1] **ტრანსაქცია** (*ლათ.* Transaction - შეთანხმება, გარიგება) — 1) შეთანხმება დათმობებით; 2) რაიმე მიზნისათვის ფულადი სახსრების გადაგზავნა.

- გარკვეულ (კონკრეტულ) პირობებში გადარჩენის სურვილი, როდესაც ნავარაუდევია რაიმე მოცულობის (მინიმუმი) მოგების მიღება;
- ბაზარში მონაწილეობის კუთრი წონის გაზრდა ან ახალ ბაზარზე დამკვიდრება (მისი დაპყრობა);
- პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ა.შ.

იაპონიაში, მაგალითად, ბევრი მსოფლიოში ცნობილი ფირმა თავის ამოცანად გაცილებით უფრო მეტ მიზანს ისახავს, ვიდრე მოგების მაქსიმიზაციაა; ეს არის, ვთქვათ, საწარმოო პოტენციალის მთლიანად გამოყენება, გამომდინარე ქვეყნის საერთო-ეკონომიკური ინტერესებიდან და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ამოცანიდან.

თავიანთი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისათვის ფირმები ფართოდ იყენებენ შინასაფირმო დაგეგმვას, მ.შ. სტრატეგიული, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენას (ბიზნესგეგმები).

თავი 3. მეწარმეობა (ბიზნესი)

ჩვენ მიერ ფირმის ზემოგანხილული მიზნების განხორციელების პროცესია მეწარმეობა, კომერციული საქმიანობა (ბიზნესმენის, მეწარმის საქმიანობა). ამ თემაში გამართული საუბარი კიდევ უფრო განამტკიცებს იმ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ **მეწარმეობა არის წარმოების დამოუკიდებელი ფაქტორი.**


მეწარმე (კომერსანტი, ბიზნესმენი) არის წარმოების მაორგანიზებელი სუბიექტი (ფაქტორი). სწორედ ის არის წარმოების ორგანიზატორი, ის წყვეტს წარმოების ფაქტორების კომბინაცია-შეერთების საკითხს, იმას, თუ რა უნდა იქნეს წარმოებული და რამდენი, რა ხარისხის, გამოიყენოს ამისათვის საკუთარი კაპიტალი თუ აიღოს სესხი.

თავის საქმიანობაში მეწარმე მოიპოვებს და აანალიზებს ინფორმაციას ბაზრის კონიუნქტურაზე (მოთხოვნაზე, ფასებზე, სტრუქტურაზე); ის ამავდროულად პროგნოზირებს, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ეს კონიუნქტურა, ვინაიდან წარმოების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, მის ორგანიზებას და წარმოებული პროდუქციის გასაღებას შორის გარკვეული (ზოგჯერ მნიშვნელოვანი) დრო გადის, ამ პერიოდში კი შეიძლება ბევრი რამე შეიცვალოს, მ.შ. ბაზრის კონიუნქტურა. ბიზნესმენმა ამის პროგნოზი უნდა გააკეთოს და აკეთებს კიდევაც. მიუხედავად ამისა, რეალური მდგომარეობა შეიძლება სხვანაირი აღმოჩნდეს, ვიდრე მეწარმე ელოდება; ეს იმას ნიშნავს, რომ **მეწარმის საქმიანობა ყოველთვის რისკის შემცველია.**

მეწარმეობრივი გადაწყვეტილებების ხასიათი განსხვავდება ფირმების სხვადასხვა ფორმებში. მაგალითად, ინდივიდუალურ ფირმაში მეწარმე თავის თავზე იღებს სანარმოს რისკს და ამავდროულად თვითონ ეწევა საქმიანობის მართვას. საჯარო სააქციო საზოგადოებებში ეს ორი ფუნქცია გაყოფილია (განაწილებულია) აქციონერებსა (მესაკუთრეებსა, რომლებიც ფინანსურ რისკს ეწევიან) და დირექტორთა საბჭოს შორის, რომელიც ეწევა ფირმის პოლიტიკას და იღებს გადაწყვეტილებებს (ე.ი. მართავს ფირმას). ეს იმას ნიშნავს, რომ სააქციო საზოგადოების ტიპის ფირმებში (გავიმეორებთ) მესაკუთრეები ფირმის ხელმძღვანელობას უთმობენ (ავალებენ) მის მმართველებს (მენეჯერებს), დირექტორთა საბჭოს, თვითონ კი ეწევიან საფინანსო რისკს; ინდივიდუალურ ფირმაში (ესეც ითქვა) ეს ორი ფუნქცია მესაკუთრის ხელშია. ხშირად ამბობენ (ეტყობა, სამართლიანად), რომ სწორედ ფუნქციათა ასეთი განაწილებაა მიზეზი ფირმების მიერ საქმიანი ქცევის (განსაკუთრებით მიზნების პოზიციიდან) მნიშვნელოვანი ცვლილებისა.

ბოლო დროს სულ უფრო მეტად ამტკიცებენ, რომ სწორედ **მეწარმეთა ინიციატივაა ახალი და ზრდადი საზოგადოებრივი სიკეთის წარმოების განმაპირობებელი; ამიტომ სახელმწიფომ განუხრელად უნდა იზრუნოს მეწარმეობის აყვავება-გაფართოებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად, ხელი უნდა შეუწყოს კვალიფიციურ მენეჯერთა კადრების მომზადებას.**

სიკეთის (დოვლათის) შექმნის პოზიციიდან მეწარმეობრივი საქმიანობის შედეგია ე.წ. **დამატებული ღირებულება** — სხვაობა ფირმის ერთობლივ შემოსავალსა და შუალედური პროდუქციის შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს (ნედლეულზე, ნახევარფაბრიკატებზე და ა.შ.) შორის. ამ სხვაობის (დამატებული ღირებულების) შემქმნელია ამ ფირმაში გამოყენებული წარმოების ფაქტორები, მ.შ. მეწარმეობრივი საქმიანობა.



მაშასადამე, მეწარმეობა შემოქმედებაა, მუდმივად ახლის ძიებაა; ეს წარმოების სპეციფიკური ფაქტორია. მეწარმეობრივი უნარით (ტალანტით, ნიჭით), სამწუხაროდ, ყველა ადამიანი როდია დაჯილდოებული.

ყველაფერი ზემოთქმული გვიჩვენებს, რომ კომერციული საქიანობის დაწყება ურთულესი გადაწყვეტილებაა. ამიტომ ბიზნესს რომ მოჰკიდოს ხელი, მეწარმე რომ გახდეს, ადამიანმა პირველ რიგში საკუთარი თავი უნდა შეიცნოს, საკუთარი შესაძლებლობები უნდა განსაზღვროს, საკუთარ მიდრეკილებებში და თვისებებში გაერკვეს (ტესტები):

- **რა აინტერესებს მას პირველ რიგში — ადამიანებთან, იდეებთან თუ საგნებთან და ნივთებთან მუშაობა;**
- **შეუძლია თუ არა მას სხვებს უხელმძღვანელოს, იყოს კოლექტივში პირველი პირი, ლიდერი, თუ უფრო ეხერხება სხვისი ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობა;**
- **დამოუკიდებლად ურჩევნია მუშაობა, თუ სხვებთან ერთად;**
- **შეუძლია თუ არა ხანგრძლივი დამქანცველი (ხშირად სტრესული) მუშაობის შესრულება (მ.შ. ფიზიკური სამუშაოსი);**
- **რას მოაქვს მისთვის უფრო მეტი სიამოვნება: შრომის კონკრეტულ ფიზიკურ შედეგს თუ საკუთარი იდეების განხორციელებას;**
- **შეუძლია თუ არა მას რისკის გაწევა;**
- **აქვს კი ნებისყოფა მარცხის შემთხვევაში კვლავ გააგრძელოს საქმიანობა ახალი შემართებით;**
- **აქვს თუ არა სიახლისადმი (ახლის ძიებისადმი) მიდრეკილება და სხვა.**

გერმანელი ეკონომისტი ვ. ზომბარტი (გერმანული ისტორიული სკოლის წარმომადგენელი; 1863-1941) მეწარმეს უწოდებდა „დამპყრობელს" (რისკისადმი მზადყოფნა, სულიერი თავისუფლება, იდეალების სიმდიდრე, ნებისყოფა-დაჟინებულობა), „ორგანიზატორს" (ბევრი ადამიანის ერთად მუშაობისათვის თავმოყრის უნარი) და „ვაჭარს" (უნარი დაარწმუნოს ადამიანები იყიდონ მისი საქონელი, გამოიწვიოს მათი ინტერესი, მათი ნდობის მოპოვება).

შუმპეტერისთვის კი **მეწარმე არის ადამიანი, რომელიც ხელს ჰკიდებს და ახორციელებს წარმოების ფაქტორების ახალ კომბინაციებს და ამით უზრუნველყოფს ეკონომიკურ განვითარებას.**

თავიდან „მეწარმე" „მესაკუთრის" ტერმინთან ასოცირდებოდა. დღესდღეობით მნიშვნელოვნად გამოიკვეთა მეწარმეობის საკუთრებისაგან გამიჯვნა — სააქციო საზოგადოებებში (კორპორაციებში) მესაკუთრე, როგორც იურიდიული ფაქტორი, ჰკარგავს ხშირად საკუთრების განკარგვის პრეროგატივას. აქციონერები დღეს რეალურ ფიზიკურ საგნებს კი არ ფლობენ, არამედ აქციების საკუთრების ტიტულს, ანუ ფიქციურ კაპიტალს. ისინი კონტროლის ფუნქციას ინარჩუნებენ, მაგრამ ნამდვილ მეწარმეობას და საკუთრების უშუალო განკარგვას ძირითადად მენეჯერები ეწევიან.

მოგების გაზრდა-მაქსიმიზაციის მისწრაფება უბიძგებს მეწარმეს აწარმოოს კაპიტალდაბანდებები. მიღებული მოგების ნაწილს მეწარმე მოიხმარს, მეორე ნაწილს ზოგავს და გამოიყენებს წარმოების შენარჩუნება-გაფართოებისათვის, კაპიტალის გაზრდისათვის; ე.ი. ეწევა ინვესტიციებს.

ინვესტიციები არის ხარჯების ნაკადი, მიმართული რეალური კაპიტალის შენარჩუნებაზე და მომატებაზე, აგრეთვე ადამიანური კაპიტალის შექმნა-გაზრდისაკენ, ასევე მარაგებზე. ეს არის ხარჯების ნაკადი სიკეთის (დოვლათის) შესაქმნელად, და არა უშუალოდ მოხმარებისათვის.

მაშასადამე, ინვესტიციები გამოიყენება არა მარტო კაპიტალის მოცულობის მატებისათვის, არამედ არსებულის შენარჩუნება-აღდგენისათვის. ეს არის ხარჯები კაპიტალის ცვეთის ანაზღაურებისათვის, რეალური კაპიტალის იგივე მოცულობაში აღდგენისათვის... მაგრამ ეს აღდგენა უკვე ახალი ტექნიკისა და ტექნოლობიების პირობებში ხორციელდება და ხელს უწყობს წარმოების ზრდას, ე.ი. უბრალო აღდგენა კი არა, მოდერნიზაციაა.

პერსპექტივისათვის მიმართულ ფირმის საქმიანობაში სერიოზული მნიშვნელობა აქვს ინოვაციებს. ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება გამომგონებლობის სინონიმად და მასში იგულისხმება:

- **საწარმოო პროცესების ტექნიკურ-ტექნოლოგიური სრულყოფა;**
- **გამოსაშვები და სარეალიზაციოდ განკუთვნილი პროდუქციის ახალი მახასიათებლების და კომბინაციების შექმნა.**

ბოლო შემთხვევაში **ინოვაცია არის პროდუქციის დიფერენციაციის წყარო, ანუ მასში (პროდუქციაში) ისეთი მახასიათებლების შექმნა, რომლებიც არა აქვს კონკურენტების ანალოგიურ პროდუქციას;** ამით ფაქტობრივად ახალი მოთხოვნის შექმნა და ფირმის ბაზარზე წილის გაზრდა ხდება.

მარაგებში ინვესტიციები (კაპიტალდაბანდება მარაგებში) შეიძლება განხორციელდეს როგორც მზა პროდუქციაში, ისე ნედლეულსა და მასალებში.

ფირმის საქმიანობის მიზნად ჩვენ მოგება დავასახელეთ. **მოგება არის: შემოსავალი კაპიტალზე, როგორც წარმოების ფაქტორზე (ამას ხშირად რენტასაც უწოდებენ); შემოსავალი მეწარმეობრივი საქმიანობისათვის როგორც წარმოების ფაქტორზე; ფირმის შემოსავალი მისი მონოპოლიური მდგომარეობის გამო (არასრულყოფილი კონკურენციის მიზეზით); მეწარმის რისკის ანაზღაურება; იმ წარმოების ფაქტორზე შემოსავლის ნამეტი, რომლის მიწოდება არაელასტიკურია (ესეც რენტაა).**

არსებობს ორი სახის მოგება: ეკონომიკური მოგება და ბუღალტრული მოგება. **ეკონომიკური მოგება არის სხვაობა პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებულ ამონაგებსა და მთლიან დანახარჯებს (ალტერნატიული ხარჯების ჩათვლით) შორის, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქციის დამზადებასთან და რეალიზაციასთან.** ამ დანახარჯებში (ხელფასზე, ნედლეულზე, მასალებზე და სხვ. ხარჯებთან ერთად) შედის რისკის დაზღვევის შენატანი და იმ კაპიტალის გამოყენების ხარჯები, რომელიც საწარმოს მესაკუთრეს ეკუთვნის, აგრეთვე მეწარმის მიერ საკუთარი შრომის ანაზღაურებაზე უარის თქმის „ანაზღაურება“.

ბუღალტრული მოგება არის ე.წ. საბალანსო მოგება, ანუ სხვაობა მიღებულ ერთობლივ ამონაგებსა და ბუღალტერიის მიერ აღრიცხულ (ბუღალტრულ) დანახარჯებს შორის (ე.ი. ამაში ალტერნატიული ხარჯები არ შედის).

თავი 4. საწარმოო ფუნქცია და ეროვნული შემოსავლის განაწილება[1]

საწარმოო ფუნქცია

გავაგრძელოთ ფირმის ქცევის ანალიზი. ამისათვის დავუკავშიროთ ერთმანეთს მის მიერ გადაწყვეტილების მიღება წარმოებაზე გაწეულ კონკრეტულ დანახარჯებსა და საბარაუდო მოგების მიღებასთან.

როგორც ხედავთ, საგნის კურსის გადმოცემის საკითხები ზოგჯერ ერთმანეთს ეხმაურება, ჩვენ სახელმძღვანელოშიც შეიძლება საკითხების დასახელების გამეორებაც შეგეხდეთ, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის შინაარსის უბრალო გამეორება. ამ თემაში და ამ საკითხის განხილვი-

[1] ეროვნული შემოსავლის განაწილების საკითხის ათვისების პირველი მცდელობა (სინჯი). დამატებით მაკროეკონომიკის ნაწილში.

სას ჩვენ საუბარი გვექნება ფირმის წარმოებასთან დაკავშირებულ ქცევაზე, კონკრეტულად წარმოებისათვის საჭირო დანახარჯებზე, ვინაიდან, გეგმავს რა მოგების მიღებას, ფირმა მოსალოდნელ ამონაგებს წარმოების დანახარჯებს შეაჯერებს.

ასეთ ხარჯებზე საუბარი არა მარტო მართლიზომიერი, არამედ აუცილებელიცაა, ვინაიდან შექმნილ (წარმოებულ) პროდუქციას, დოვლათსა და გამოყენებულ რესურსებს შორის ფუნქციური კავშირი არსებობს, რომლის უბრალო დასახელება (აღნიშვნა) საკმარისი არ არის საკითხში გარკვევისათვის. საქმე ის არის, რომ **წარმოების ერთი და იგივე ფაქტორები** (ვთქვათ, შრომის 100 ერთეული და კაპიტალის 10 ერთეული) **სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საწარმოებში სხვადასხვანაირად გამოიყენება და, შესაბამისად, განსხვავებულ შედეგს იძლევა. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოების მოცულობა, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა მარტო უშუალოდ წარმოების ფაქტორების მოცულობაზე კი არ ყოფილა დამოკიდებული, არამედ წარმოების ტექნოლოგიაზე, წარმოების ფაქტორების კომბინაციაზე (წარმოების ორგანიზაციაზე)**. არსებული ტექნოლოგიის (აგრეთვე წარმოების ორგანიზაციის) მნიშვნელობის გადმოსაცემად (გამოსახატავად) ეკონომისტები იყენებენ **საწარმოო ფუნქციას**[1].

ეს ფუნქცია შემდეგნაირად წარმოისახება (ანალიზში გამოვიყენოთ მხოლოდ ორი ფაქტორი):

Y = f (L,K), სადაც

Y — არის პროდუქციის გამოშვების მოცულობა,

L — არის შრომა (გამომუშავებული საათების რაოდენობა),

K — არის კაპიტალი.

საწარმოო ფუნქცია ასახავს კონკრეტული მომენტისათვის არსებულ ტექნოლოგიას (ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს) მთლიანად ეკონომიკისათვის და გამოყენებულ ტექნოლოგიას — კონკრეტული საწარმოსათვის, აგრეთვე წარმოების ორგანიზაციის სახეს (ფორმას), მის ხასიათს.

ე.ი. საწარმოო ფუნქცია არის რაოდენობრივი დამოკიდებულება საქონელ-მომსახურების წარმოების მოცულობასა და წარმოების ფაქტორების დანახარჯებს შორის.

ამის თაობაზე სასარგებლოა ვიმსჯელოთ **კონკურენციული ფირმის** მაგალითზე. თუ ის ფასებზე ვერ მოქმედებს და თუ საწარმოო ფუნქცია მოცემულია, მეტი პროდუქციის გამოსაშვებად (მეტი ამონაგების-მოგების მიღებისათვის) ასეთმა ფირმამ წარმოების მეტი ფაქტორი უნდა შეიძინოს (დაასაქმოს)[2].

მაგრამ რომელი ფაქტორი რამდენი შეიძინოს, ანუ როგორი შეფარდება უნდა შეარჩიოს მან?

დავიწყოთ შრომით.

მართლზომიერი იქნება ვივარაუდოთ, რომ მეტი შრომის მოზიდვა (დაქირავება) მეტი პროდუქციის წარმოებას უზრუნველყოფს. მაგრამ როდემდე? უსაზღვროდ?

გავიხსენოთ ეკონომიკური თეორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კატეგორია (ცნება) — **ზღვრული მოცულობები**, ჩვენი მაგალითისათვის **შრომის ზღვრული პროდუქტი. შრომის ზღვრული პროდუქტი**(MPL) **არის პროდუქციის მოცულობა, რომელიც იწარმოება შრომის დამატებითი ერთეულის გამოყენების შედეგად. ე.ი., ეს არის წარმოების მოცულობის ზრდა შრომის დანახარჯის ერთი ერთეულით გაზრდის შედეგად (მეორე ფაქტორის უცვლელობის პირობებში)**. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ფირმა დამატებით შრომის ერთ ერთეულს შეიძენს (დაასაქმებს), პროდუქციის გამოშვების მოცულობა (კაპიტალის ოდენობის უცვლელობის პირობებში) **MPL** ერთეულით გაიზრდება. საწარმოო ფუნქციის გამოყენებით ეს შეიძლება შემდეგნაირად წარმოვსახოთ:

MPL=f(K,L+1)−f(K,L)

---

[1] **ფუნქცია** (*ლათ.* Functio - შესრულება (მათემ.) — დამოკიდებული ცვლადი (მისი სიდიდე), რომელიც იცვლება მეორე სიდიდის შეცვლის კვალობაზე. ამ მეორე დამოუკიდებელ ცვლადს (მის სიდიდეს), რომლის შეცვლა ფუნქციის შეცვლას იწვევს, არგუმენტი ეწოდება.

[2] ჩვენ აქ ანალიზის (კვლევის) გაადვილებისათვის კიდევ ერთ დაშვებას ვაკეთებთ: ფირმას საკუთრებაში კაპიტალი არ გააჩნია, ის მას მთლიანად შეიძენს — სესხს იღებს.

განტოლება გვიჩვენებს, რომ შრომის ზღვრული პროდუქტი არის სხვაობა **L+1** და **L** შრომის ერთეულების გამოყენების შედეგად მიღებული წარმოების მოცულობებისა.

თუ პირობას შევცვლით და დავუშვებთ, რომ უცვლელია შრომა და იცვლება (თანდათან მატულობს) კაპიტალის მოცულობა, იგივე სახის საწარმოო ფუნქციას მივიღებთ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ის დაგვანახებს, თუ როგორ იცვლება **კაპიტალის ზღვრული პროდუქტი** (MPK) შრომის უცვლელობის დროს.

MPK=f(L,K+1)–f(L,K)

კონკურენციული ფირმა, რომელიც ესწრაფვის მოგების მაქსიმიზაციას (თუნდაც ნორმალურ მოგებას) გადაწყვეტილების მიღებისას — დაიქირავოს თუ არა დამატებითი მუშაკი — პირველ რიგში იმაზე ფიქრობს, თუ როგორ იმოქმედებს ეს მოგებაზე. ამისათვის ის ერთმანეთს შეაჯერებს (შეადარებს) ამ დამატებითი მუშაკის მიერ შექმნილი პროდუქციიდან (**MPL**-დან) მიღებულ ამონაგებს და დამატებით გაცემულ ხელფასს.


დავუშვათ, რომ წარმოებული პროდუქცია (როგორც თავიდან, ისე დამატებით წარმოებული) იყიდება „**P**" ფასით. მაშინ დამატებითი შრომის დაქირავების შედეგად მიღებული ამონაგები იქნება:

PxMPL

აქვე უნდა აღინიშნოს (და ეს ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულებაა), რომ **საწარმოო ფუნქციათა უმეტესობას აქვს კლებადი ზღვრული პროდუქტის თვისება.**

კლებადი ზღვრული პროდუქტი არის საწარმოო ფუნქციის თვისება, რომლის შესაბამისად წარმოების რომელიმე ერთი ფაქტორის დანახარჯის გადიდებისას (სხვა ფაქტორების დანახარჯების უცვლელობის პირობებში) მცირდება მისი ზღვრული პროდუქტი.

აი, როგორი იქნება ეს საწარმოო ფუნქციის გრაფიკზე, ვთქვათ, შრომასთან მიმართებაში (**ნახ. 4.1.**):



ნახ. 4.1. საწარმოო ფუნქცია.

გრაფიკზე ნათლად ჩანს, თუ რა დამოკიდებულებაშია პროდუქციის გამოშვება გამოყენებულ შრომასთან უცვლელი კაპიტალის პირობებში: ის იზრდება შრომის გამოყენების ზრდის კვალობაზე; ამასთან ფუნქციის დახრილი ხასიათი მიგვანიშნებს **MPL**-ის კლებაზე.

დამატებითი დანახარჯები შრომის დამატებით ერთეულზე (და საერთოდ დანახარჯები შრომის ერთეულზე) არის ხელფასის მოცულობა (შრომის ერთეულის ანაზღაურება) — "**W**". მაშასადამე, ფირმის მოგების ცვლილება (ნამატი) შრომის დამატებითი ერთეულის მოზიდვის შედეგად იქნება:

Δმოგების =Δამონაგების-Δხარჯების=PxMPL–W

ამჯერად ჩვენ უკვე შეგვიძლია ვუპასუხოთ ადრე დასმულ კითხვას, თუ რამდენ შრომას დაიქირავებს ფირმა: ის მანამდე გააგრძელებს მუშაკთა (შრომის) დამატებით დაქირავებას, სანამ დამატებითი ამონაგები (**PxMPL**) (რომელიც კლებულობს, ვინაიდან კლებულობს შრომის ზღ-

ვრული პროდუქტი: **MPL>MP(L+1)>MP(L+2)** და ა.შ) არ გაუტოლდება ხელფასზე დანახარჯ „**W**"-ს, სანამ არ დამყარდება ტოლობა

PxMPL=W

ისეთი მსჯელობა, როგორც შრომაზე, შეიძლება გავმართოთ წარმოების მეორე ფაქტორზეც — კაპიტალზე. ამ შემთხვევაში, თუ კაპიტალის ერთეულზე დანახარჯებს აღვნიშნავთ „**R**"-ით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფირმის მმართველი დამატებითი კაპიტალის (მანქანის) მოზიდვას (წარმოებაში ჩართვას) უცვლელი შრომის პირობებში მანამდე გააგრძელებს, სანამ არ დამყარდება შემდეგი ტოლობა:

PxMPK=R.

წარმოების ფაქტორების გამოყენებაზე ზემოგამართული ანალიზი გვაძლევს საშუალებას გავერკვეთ შექმნილი შემოსავლის (სიკეთის) მასში მონაწილე სუბიექტებს შორის განაწილების საკითხში.

ეროვნული შემოსავლის განაწილება საბაზრო ეკონომიკაში

თავისუფალი კონკურენციის პირობებში (თავისუფალი ფასები, საკუთრების თავისუფლება) წარმოების ორგანიზაციისას შრომა მთლიანად ქმნის **MPLxL** პროდუქციას, კაპიტალი კი **MPKxK** პროდუქციას და ეს მთლიანად შექმნილი პროდუქციის ჯამია. ამასთან, როგორც დავინახეთ, წარმოების პროცესშივე (მის პარალელურად, მასთან ერთად) მიმდინარეობდა შექმნილის განაწილება — მისი წილის შემქმნელთათვის (წარმოების ფაქტორების მესაკუთრეებისათვის) მიკუთვნება. ე.ი. ჩვენ უკვე შეგვიძლია **დავასკვნათ:**

თუ ეკონომიკაში ყველა ფირმა კონკურენციულია და მოგების მაქსიმიზაციას ესწრაფვის, წარმოების ყოველ ფაქტორზე ზუსტად იმდენი შემოსავალი მოდის, რამდენ ზღვრულ პროდუქტს ქმნის ეს ზღვრული ფაქტორი, გამრავლებულს ამ ფაქტორის საერთო გამოყენების მოცულობაზე (ე.ი. ფაქტობრივად რამდენის გამოშვებას განაპირობებს შესაბამისი წარმოების ფაქტორის ყველა ერთეული).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ:

- **ყოველი დაქირავებული მუშაკის რეალური ხელფასი[1] შრომის ერთეულზე ტოლია შრომის ზღვრული პროდუქტისა (MPL-ისა)**

$$\frac{W}{P} = MPL;$$

- **მოწყობილობაზე (კაპიტალზე) დანახარჯების კომპენსაცია კი, რომელიც ერგება კაპიტალის მესაკუთრეს (შემოსავალი კაპიტალზე), ტოლია კაპიტალის ზღვრული პროდუქტისა (MPK-სი):**

$$\frac{R}{P} = MPK$$

ზემოთქმული იმას ნიშნავს აგრეთვე, რომ მთლიანად კაპიტალზე რეალური შემოსავალი ტოლია (შეადგენს) **MPKxK** -სი, ხოლო მთლიანად დაქირავებული შრომის რეალური ანაზღაურება შეადგენს **MPLxL**, მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს ანაზღაურება ფულში ხდება.

შექმნილი დოვლათის (ეროვნული შემოსავლის) განაწილების სამართლიანობა

ზემოგაკეთებული დასკვნა გვეუბნება, რომ საბაზრო ეკონომიკაში თვითრეგულირების მექანიზმები ავტომატურად უზრუნველყოფს ეროვნული შემოსავლის, ეკონომიკური თვალსაზრისით, სამართლიან განაწილებას — ვინც რამდენი შექმნა, იმდენი მიიღო. ამასთან მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევეხოთ ერთ სპეციფიკურ საკითხს.

---

[1] ამ შემთხვევაში რეალური ხელფასი იანგარიშება, როგორც ხელფასზე დანახარჯები გაყოფილი პროდუქციის ერთეულის ფასზე $\frac{W}{P}$, ანუ როგორც შრომის ანაზღაურება არა ფულში, არამედ გამოშვებული პროდუქტის ერთეულებში.

ეკონომიკის ლიბერალურობა (თვითრეგულირება) უზრუნველყოფს ჩვეულებრივად განაწილების არა უმაღლეს ეფექტიანობას, არამედ, ასე ვიტყოდით, ეროვნული შემოსავლის (დოვლათის) შემქმნელთათვის მიუკერძოებელ განაწილებას; წარმოებული სიკეთის მოცულობას ეკონომიკური რესურსების მფლობელი სუბიექტები იმის შესაბამისად ეუფლებიან, თუ როგორია მათი მონაწილეობა (მათ მფლობელობა-საკუთრებაში არსებული და წარმოებაში გამოყენებული რესურსის უკუგება-დამსახურება) ამ სიკეთის შექმნაში.

მაგრამ მართლზომიერი იქნება დავსვათ კითხვა: ყოველთვის და ყველგან სამართლიანია ეროვნული შემოსავლის განაწილება მთლიანად საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობის საფუძველზე განხორციელების შემთხვევაში? ანუ (სხვა სიტყვებით) არის ასეთი განაწილება სამართლიანი საზოგადოებრივი მორალის თვალსაზრისით?

საკითხის ასე დაყენების სურვილს (აუცილებლობასაც კი, ჩვენი აზრით) განამტკიცებს შემდეგი ციფრები: მეცნიერებმა და გაეროს სტრუქტურებმა გაიანგარიშეს, რომ 2015 წლის ბოლოსათვის დედამიწის მოსახლეობის ერთი პროცენტის ხელში თავმოყრილი იყო იმდენი დოვლათ — სიკეთე, რამდენიც გააჩნდა დანარჩენ 99%-ს. საყურადღებოა ტენდენცია: 3 ათეული წლის წინ ეს შეფარდება იყო 7% და 93%.

გასაგებია, რომ შემოსავლის მორალური თვალსაზრისით განაწილების საკითხი პოზიტიური ეკონომიკური თეორიის მიღმა არსებობს, მაგრამ ამის აბსოლუტური იგნორირება სწორი არ იქნებოდა. გარდა ამისა, თვით პოზიტიური ეკონომიკური თეორიის პოზიციიდან გამომდინარე, განა არ არსებობს პრობლემები საბაზრო ეკონომიკაში შემოსავლის განაწილება-გადანაწილების თვალსაზრისით?

უეჭველად არსებობს, ამიტომ საკითხი, ვფიქრობთ, დღესაც მნიშვნელოვანწილად აქტუალურია, დისკუსიურია.[1]

სიტყვა „სამართლიანი" (**справедливый**) **ს. ი. ოჟეგოვის** რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში ახსნილია, როგორც:

1. **Действующий, беспристрастный, в соответствии с истиной;**
2. **Осуществляемый на законных и честных основаниях;**
3. **Истинный, правильный.**

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი კი (**არნ. ჩიქობავას** რედაქციით) გვეუბნება, რომ სამართლიანი არის:

1. კანონიერი, სწორი, მართებული;
2. სიმართლის მოყვარული, სიმართლის მიმდევარი, მიუკერძოებელი.

დავსვათ ასეთი კითხვა: მიუკერძოებლობა თავისთავად აბსოლუტურად სამართლიანია სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით, საზოგადოებრივი მორალის პოზიციიდან?

სამართლიანობის ჩვეულებრივ გაგებაში კი ხშირად ეთიკური მოსაზრებები პრევალირებს ეკონომიკურებზე.

ეროვნული შემოსავლის განაწილების თაობაზე არსებულ ლიტერატურაში სხვადასხვა მიდგომები და მოსაზრებები გვხვდება. საინტერესოა, მაგალითად, ამერიკელი ფილოსოფოსის **როუზის** შემდეგი მოსაზრებები:

1) უთანასწორობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ის ქმნის (განაპირობებს) შრომისა და წარმოების მოტივაციას;
2) უნდა არსებობდეს „დიფერენციული პრინციპი", რომელიც ნებისმიერი ინდივიდისათვის უზრუნველყოფს მაქსიმალურად შესაძლო დაცვას რისკისაგან, რომ ის გახდება საზოგადოებაში ყველაზე ღარიბი.

ეფექტიანობაზე და სამართლიანობაზე საუბრისას მართლზომიერია მოვიხსენიოთ ე.წ. **პარეტოს ოპტიმუმი.** ეს არის *„კეთილდღეობის მაქსიმუმი, როდესაც წარმოებაში ან გაცვლაში*

[1] საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით გირჩევთ ყურადღებით წაიკითხოთ ამ თემის დამატებითი მასალა. თუ რომელიმე თქვენთაგანი, ბატონო მკითხველებო, მოისურვებს, შეგიძლიათ გაეცნოთ შესაბამის პუბლიკაციებში ამ სახელმძღვანელოს ავტორების უფრო ვრცელ მოსაზრებებს აღნიშნულ თემაზე.

ცვლილებებით შეუძლებელია ვინმეს მდგომარეობის გაუმჯობესება სხვა ვინმეს მდგომარეობის გაუარესების გარეშე". პარეტოს მიხედვით, **კეთილდღეობის გაუმჯობესებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც რაიმე ცვლილებების შედეგად უმჯობესდება ერთი ადამიანის მდგომარეობა მაინც და არ უარესდება სხვათა კეთილდღეობა.** ბევრი ეკონომისტი თვლის, რომ პარეტოსებური მიდგომა ოპტიმალურობისადმი მეტად შეზღუდულია განაწილების სამართლიანობის პრობლემის კვლევისათვის *(ციტირება მაკმილანის ლექსიკონიდან, გვ. 376).*

თავი 5. ფირმის (საწარმოს) ხარჯები და მისი ეფექტიანი მასშტაბის განსაზღვრა

ნებისმიერი სიკეთის (ფასეულობის) წარმოება-დაუფლება მოითხოვს ხარჯებს *(„უფასო სადილი არ არსებობს", „უფასოდ მარტო ყველს იძლევიან სათაგურში").* რესურსები შეზღუდულია, მაშასადამე, წარმოების ორგანიზების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ვარიანტებს შორის არჩევანის გაკეთება, რათა დანახარჯები მინიმალური იყოს. ამაში კი დაგვეხმარება პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების კლასიფიკაცია (ტრანსაქციურ ხარჯებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ).

როგორც ადრე აღვნიშნეთ, საწარმოო ფუნქცია გვეუბნება, რომ წარმოების ფაქტორებს შორის რაოდენობრივი (ფუნქციური) კავშირი არსებობს. მაგრამ ასეთი საერთო-თეორიული დებულების ცოდნა (მ.შ. შრომის და კაპიტალის ზღვრული მწარმოებლურობის თაობაზე) საკმარისი არ არის იმისათვის, რომ გაეერკვეთ მოგების მაქსიმიზაციისაკენ მისწრაფებული ფირმის ქმედობაში წარმოების მოცულობის განსაზღვრისა და ამისათვის აუცილებელი რესურსების საჭირო ოდენობის შერჩევის საქმეში.

ფირმათა (მწარმოებელთა) ქცევის თეორიაში მიჩნეულია, რომ გარკვეული დაშვებების პირობებში არსებობს რესურსების ერთადერთი კომბინაცია, რომლის პირობებშიც მიიღწევა რესურსების დანახარჯების მინიმიზაცია გარკვეული მოცულობის წარმოებაზე.

ფირმის ქცევაში უკეთესად გარკვევისათვის განვიხილოთ პროდუქციის ერთეულზე დანახარჯები:

- **მათი გაწევის ხანგრძლივობის პოზიციიდან**

და

- **მათი ინტენსივობის პოზიციიდან.**

უნდა აღინიშნოს, რომ ხანგრძლივ პერიოდში ყველა ხარჯი იზრდება, მაშინ როდესაც მოკლევადიან პერიოდში ზოგიერთი დანახარჯი უცვლელია. ამიტომ პროდუქციის ერთეულზე დანახარჯი მოკლევადიან პერიოდში ორგვარია:

1. **ცვალებადი ხარჯები**, რომლებიც დამოკიდებულია წარმოების მოცულობაზე. აღვნიშნოთ ისინი „**VC**"-თი;
2. **უცვლელი (მუდმივი) ხარჯები**, დამოკიდებული პროდუქციის მოცულობაზე. აღვნიშნოთ ისინი „**FC**"-თი.

გამოვსახოთ ეს მოსაზრება გრაფიკულად.


როგორც ნახ. 4.2-დან ჩანს, ცვალებადი ხარჯები (**VC**) თავიდან სწრაფად იზრდება (**A** წერტილამდე), შემდეგ კი ნელა (ეს არის ეკონომია წარმოების მასშტაბზე); **B** წერტილის შემდეგ კი მოქმედებას იწყებს კლებადი უკუგების კანონი და ხარჯების ზრდა ჩქარდება.

ცვალებადი ხარჯები არის ხარჯები ხელფასზე, ნედლეულზე, ელექროენერგიაზე და ა.შ.

უცვლელი ხარჯები არის ხარჯები რეკლამაზე, კაპიტალის ცვეთაზე, იჯარის ანაზღაურება, იმ მუშაკთა ხელფასი, ვისაც დროითი განაკვეთი აქვს.


ერთობლივი ხარჯები *(TC მრუდი 4.3 გრაფიკზე)* **არის ცვალებადი და უცვლელი ხარჯების ჯამი: TC=VC+FC.**

საშუალო დანახარჯი პროდუქციის ერთეულზე შეიძლება აღვნიშნოთ „ATC"-თი; ეს იქნება საშუალო ცვალებადი და საშუალო უცვლელი ხარჯების ჯამი.



2. პროდუქციის ერთეულზე ცვალებადი და უცვლელი ხარჯები.

ამივე სახის ხარჯები გამოვსახოთ გრაფიკზე (ნახ. 4.3.).



3. ერთობლივი, ცვალებადი და უცვლელი ხარჯები.

ოგორც ნახ. 4.3-დან ჩანს, ერთობლივი ხარჯების მრუდი იმეორებს ცვალებადი ხარჯების ის კონფიგურაციას, მაგრამ ის მუდმივი დანახარჯის მრუდზე უფრო მაღლა მდებარეობს ივი დანახარჯების მოცულობით), ვინაიდან ეს უკანასკნელნი პროდუქციის საერთოდ არ-ვების შემთხვევაშიც არსებობს.


ღერული დანახარჯები (MC) დამოკიდებულია მხოლოდ ცვალებად დანახარჯებზე. ვალსაჩინოებისათვის შევადგინოთ ფირმის ხარჯების და წარმოების მოცულობის ცხრილი ხრილი 1, გვ. 92).

ღერული ხარჯების ცხრილის მონაცემები გადავიტანოთ გრაფიკზე (იხ. ნახ. 4.4, გვ. 92).

ოგორც ამ გრაფიკიდან ჩანს, ზღვრული დანახარჯები თავიდან მცირდება, მაგრამ მინიმა-ი მოცულობის მიღწევის შემდეგ (ჩვენს შემთხვევაში ეს არის „3“) ისინი მატულობს. ანგრძლივი პერიოდისათვის ფირმის ხარჯების შესწავლისას სერიოზული მნიშვნელობა **მასშტაბიდან უკუგების ეფექტს**. არსებობს:

წარმოების მოცულობა Q	უცვლელი ხარჯები FC	ცვალებადი ხარჯები VC	ერთობლივი ხარჯები TC	ზღვრული ხარჯები MC
1	10	5	15	-
2	10	10	20	5
3	10	13	23	3
4	10	17	27	4
5	10	23	33	6
6	10	31	41	8

ცხრილი 1. ფირმის ხარჯები და წარმოების მოცულობა.



ნახ. 4.4. ფირმის ზღვრული ხარჯების გრაფიკი.

- მასშტაბიდან ზრდადი ეფექტი: ამ შემთხვევაში წარმოების საშუალო ხარჯები პროდუქციის ერთეულზე მცირდება გამოშვების მოცემულობის ზრდის კვალობაზე;
- მასშტაბიდან მუდმივი (უცვლელი) ეფექტი: ამ შემთხვევაში პროდუქციის ერთეულზე საშუალო დანახარჯების მოცულობა არ არის დამოკიდებული წარმოების მოცულობის ზრდაზე;
- მასშტაბიდან კლებადი ეფექტი: ამ შემთხვევაში პროდუქციის ერთეულზე საშუალო დანახარჯები იზრდება პროდუქციის მოცულობის გამოშვების ზრდასთან ერთად.

ზემოაღნიშნული ნიშნავს, რომ ფირმისათვის წარმოების მოცულობაზე საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია ეფექტიანი მასშტაბის მიღწევა.

ავიღოთ მაგალითი *(გრ. მენქიუს „ეკონომიკის პრინციპები"-დან).*

იმისათვის, რომ გადაწყვიტოს საკითხი, თუ რა რაოდენობის ლიმონათი გამოუშვას, ჯიხურის მესაკუთრე-მეწარმე უნდა გაერკვეს იმაში, თუ როგორ იცვლება დანახარჯი წარმოების ზრდის კვალობაზე, ანუ მან უნდა გაიგოს:

- თუ რა უჯდება ერთი ჭიქა ლიმონათის გამოშვება საშუალოდ?
- თუ როგორ იცვლება დანახარჯები წარმოების ყოველი შემდგომი ერთი ჭიქით გაზრდის შედეგად.

ცხრილი (№2) გვიჩვენებს, რომ ეს ერთი და იგივე ციფრი არ არის.


ვაჩვენოთ ეს გრაფიკზეც (ნახ. 4.5.).

ლიმონათის ჯიხურის სხვადასხვა ტიპის დანახარჯების ცხრილი

ლიმონათის რაოდენობა (ჭიქა) Q	მუდმივი (უცვლელი) ხარჯები FC	ცვალებადი ხარჯები VC	ერთობლივი ხარჯები TC	საშუალო მუდმივი ხარჯები AFC	საშუალო ცვალებადი ხარჯები AVC	საშუალო ერთობლივი ხარჯები ATC	ზღვრული ხარჯები MC
1	2	3	4	5	6	7	8
0	3,00	0,00	3,00				
1	3,00	0,30	3,30	3,00	0,30	3,30	0,30
2	3,00	0,80	3,80	1,50	0,40	1,90	0,50
3	3,00	1,50	4,50	1,00	0,50	1,50	0,70
4	3,00	2,40	5,40	0,75	0,60	1,35	0,90
5	3,00	3,50	6,50	0,60	0,70	1,30	1,10
6	3,00	4,80	7,80	0,50	0,80	1,30	1,30
7	3,00	6,30	9,30	0,43	0,90	1,33	1,50
8	3,00	8,00	11,00	0,38	1,00	1,38	1,70
9	3,00	9,90	12,90	0,33	1,10	1,43	1,90
10	3,00	12,00	15,00	0,30	1,20	1,50	2,10

*ზღვრული დანახარჯები არის სხვაობა შემდგომი და წინა ერთობლივ დანახარჯებს შორის (სვეტი 4), ასევე შემდგომი და წინა ცვალებად დანახარჯებს შორის (სვეტი 3).

ცხრილი 2. ლიმონათის ჯიხურის წარმოება და ხარჯები



ნახ. 4.5. ფირმის დანახარჯების ნაირსახეობები გრაფიკულად (ხარჯების უმეტესობის მოძრაობა — სხვაობა ფაქტობრივად ზიგზაგურია, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის მრუდები „მოსწორებულია“ შესაბამისი წერტილების შეერთებისას)

ამ გრაფიკის დახაზვა არც ისე ადვილია, მაგრამ გამოვიყენოთ იგივე მენქიუს სახელმძღვანელოში მოცემული კონფიგურაცია:

გრაფიკზე ყურადღებას იპყრობს საშუალო ერთობლივი დანახარჯების (**ATC**) "**U**" ფორმა. საშუალო დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე ტოლია მთლიანი დანახარჯებისა, გაყოფილის გამოშვებული პროდუქციის რაოდენობაზე:

ATC=TC/Q

Q — წარმოების მოცულობაა (ერთეულები).

ხარჯების ამ სახეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბაზრო წონასწორობის გაგებისათვის, ვინაიდან მეწარმე სწორედ მათ მინიმიზაციას ცდილობს. ამ დანახარჯების მრუდის ლათინური „**U**"-ს სახეს (ფორმას) კი შემდეგი გარემოებები განაპირობებს:


- თავიდან საშუალო დანახარჯები ძალზე მაღალია. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ უცვლელი (მუდმივი) დანახარჯები ნაწილდება პროდუქციის უმნიშვნელო (ცოტა) რაოდენობაზე;
- წარმოების ზრდის კვალობაზე მუდმივი ხარჯები ნაწილდება პროდუქციის სულ უფრო მეტ ერთეულზე, რის გამოც საშუალო დანახარჯები სწრაფად კლებულობს და აღწევს დანახარჯების მინიმალურ „**M**" წერტილს;
- წარმოების შემდგომი ზრდისას საშუალო დანახარჯებზე გავლენას სულ უფრო მეტად ცვალებადი დანახარჯები ახდენს, და არა მუდმივი. აქ კი კლებადი შემოსავლიანობის კანონის ზეგავლენით მრუდი უკვე ზევით მიიწევს. ამასთან ხაზგასასმელია, რომ საშუალო დანახარჯების მრუდი დამოკიდებულია საშუალო მუდმივ (**AFC**) და საშუალო ცვალებად (**AVC**) დანახარჯებზე.

სწორედ საშუალო დანახარჯების მრუდი აძლევს მეწარმეს საშუალებას განსაზღვროს, წარმოების რა მოცულობის დროს არის ხარჯები პროდუქციის ერთეულზე მინიმალური. (**ნახ. 4.5.-ზე** "5" ჭიქა). ეს არის წერტილი სადაც ზღვრული დანახარჯების მრუდი (**MC**) ჰკვეთს საშუალო დანახარჯების მრუდს (**ATC**).

ცხადია, რომ ერთ და იგივე დარგში ფუნქციონირებს სხვადასხვანაირი ფირმები წარმოების სხვადასხვა მასშტაბებით, ორგანიზაციით და ტექნიკური ბაზით, მაშასადამე, სხვადასხვა საშუალო დანახარჯებით. ამ დანახარჯების ფასებთან შეფარდება (ეს ფასები კი ყველასთვის ერთნაირია) იძლევა საშუალებას შევაფასოთ ფირმის მდგომარეობა ბაზარზე. სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ჩამოყალიბებული ფასის ნებისმიერი დონის შემთხვევაში არსებობს თავისებური „საგარეო საზღვარი", რომლის დროსაც მწარმოებლები ან შედიან ბაზარში, ან განიდევნებიან იქიდან:

- ფასის ზრდა (მომატება) განაპირობებს ძველი ფირმების შენარჩუნებას და ახლების გამოჩენას;
- ფასების შემცირება იწვევს იმას, რომ მაღალი დანახარჯების მქონე საწარმოები წაგებიანი ხდებიან და იძულებული არიან დატოვონ მოცემული დარგი.

განვიხილოთ გრაფიკზე (ნახაზზე) ფირმის ბაზარზე მდგომარეობის სამი შესაძლო ვარიანტი.



ნახ. 4.6. ფირმის ბაზარზე მდგომარეობის შესაძლო ვარიანტები.

ა) თუ ფასების წრფივი (P) მხოლოდ ეხება საშუალო ერთობლივი დანახარჯების წრფივს (ATC-ს) ამ ხარჯების მინიმალურ "M" წერტილზე (ნახ. 4.6.-ა), მაშინ საქმე გვაქვს ე.წ. ზღვრულ ფირმასთან. ამ ფასის დონის პირობებში მას შეუძლია დაფაროს მხოლოდ თავისი მინიმალური საშუალო დანახარჯები და მისთვის, ასე ვთქვათ, სულ ერთია, დარჩება თუ არა ის ამ დარგში. „M" წერტილი ამ შემთხვევაში ნულოვანი ეკონომიკური მოგების წერტილია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზღვრული ფირმა არავითარ მოგებას არ ღებულობს. წარმოების დანახარჯებში ჩაირთვება არა მარტო დანახრჯები ნედლეულზე, მოწყობილობაზე და სამუშაო ძალაზე, არამედ ის პროცენტი, რომელიც შეეძლო ფირმას მიეღო თავისი კაპიტალის სხვა დარგში დაბანდებისას, სხვანაირად გამოყენების შემთხვევაში (ალტერნატიული დანახარჯები). ნორმალური მოგება მუდმივ დანახარჯებში შედის.

ბ) თუ საშუალო ერთობლივი დანახარჯები (ATC) ფასზე დაბალია (ნახ. 4.6.-ბ), მაშინ წონასწორობაში მყოფი ფირმა ნორმალურზე მეტ მოგებას, ანუ ზემოგებას იღებს.

გ) დაბოლოს, თუ ფირმის საშუალო ერთობლივი დანახარჯები წარმოების ნებისმიერი მოცულობის პირობებში საბაზრო ფასებზე მეტია (ნახაზზე 4.6. -ბ), ის განიცდის ზარალს და გაკოტრდება, თუ არ იქნება რეორგანიზებული ან არ გავა ბაზრიდან.

მაშასადამე (დავუბრუნდეთ საშუალო ერთობლივი დანახარჯების მრუდს), წარმოების ზრდის კვალობაზე წარმოების ხარჯები პროდუქციის ერთეულზე კლებულობს.

მაგრამ ეს კლება მხოლოდ გაარკვეულ დონემდე ხდება (ჩვენ შემთხვევაში მე-5 ჭიქამდე, როდესაც ეს ხარჯები ტოლია $1,30). ამის შემდეგ (ჩვენ მაგალითზე მე-6 ჭიქის შემდეგ) წარმოების ზრდის კვალობაზე საშუალო ერთობლივი დანახარჯები იწყებს ზრდას, ვინაიდან ზრდას იწყებს საშუალო ცვალებადი ხარჯები.

„U" სახის საშუალო ერთობლივი ხარჯების (ATC) მრუდის ქვედა წერტილი (M) წარმოების (გამოშვების) ის მოცულობაა, რომლის დროსაც ფირმის საშუალო ერთობლივი ხარჯები მინიმალურია.

ეს არის ფირმის ეფექტიანი მასშტაბი (ე.ი. 5 ჭიქა, თუმცა ზარალის გარეშე 6 ჭიქის წარმოება — რეალიზაციაც დასაშვებია).

ზემოგამართულმა საუბარმა დაგანახათ, ალბათ, რა ძნელია ფირმის ფუნქციონირება ბაზარზე დადებითი შედეგის მისაღებად, იმისათვის, რომ შეინარჩუნოს და, კიდევ უკეთესი, გააფართოოს მასში თავისი ნიში. უფრო უკეთესად რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა რთულია თანამედროვე ბაზარზე დამკვიდრების და წილის გაფართოების ამოცანის მიღწევა, კიდევ ერთ მაგალითს შემოგთავაზებთ.

1985 წელს კორპორაცია „ფორდმა" ბაზარზე გაიტანა (წარადგინა) ავტომობილის ახალი მოდელი „ტაურუსი", რომელსაც ეფექტური აეროდინამიკური ფორმა და წინა ამძრავი ("Передний привод") ჰქონდა. ამ გადაწყვეტილებას („ტაურუსის" გამოშვების პროგრამა) წინ უძღოდა შემდეგი პროგნოზი — გათვლა-გაანგარიშებები (ფირმის მენეჯერებს უნდა გაერკვიათ):

- *რამდენად სასურველი (მოსაწონი) იქნება მყიდველებისთვის მოდელის ახალი დიზაინი;*
- *დააკმაყოფილებს თუ არა მომხმარებელს ავტომანქანის ტექნიკური მახასიათებლები;*
- *როგორი იქნება პირვანდელი მოთხოვნა და როგორ შეიცვლება ის შემდგომში;*
- *როგორ იმოქმედებს ამ მოთხოვნაზე მანქანის ფასი;*
- *საჭირო იყო მოდელის გამოშვების დანახარჯების დადგენა და მათი, შემდგომში მოსალოდნელი ცვლილებიდან გამომდინარე, გაანზრება (პროგნოზირება);*
- *გასათვალისწინებელი იყო პროფკავშირებთან მოლაპარაკების მოსალოდნელი შედეგები ხელფასის მოცულობაზე, ასევე ფოლადზე და სხვა ნედლეულზე ფასების შესაძლებელი ცვლილებები;*
- *გასაანალიზებელი იყო წარმოების დანახარჯების შემდგომში საწარმოო გამოცდილების კვალობაზე შემცირების მოცულობები, დასადგენი იყო ამ შემცირების ვადები;*
- *კომპანიას უნდა შეემუშავებინა აგრეთვე ფასწარმოქმნის სტრატეგია და, ამასთან ერთად, აეწონ-დაეწონა (გამოეანგარიშებინა), თუ როგორ მიიღებენ მის ამ სტრატეგიას*

(რით უპასუხებენ) კონკურენტი ფირმები „ჯენერალ მოტორზი" და „კრაისლერი" და როგორ შეძლებდა „ფორდი" ეპასუხა მათ შესაძლო ქმედობაზე. გადასაწყვეტი იყო, მაგალითად, დაბალი ფასი უნდა დაეწესებინათ საბაზისო „შემსუბუქებულ" მოდელზე და მაღალი — მოდელზე კონდიციონერით და ჰიდრავლიკური მართვით, თუ უფრო სასარგებლო (მოგებიანი) იქნებოდა „სტანდარტული" მანქანის გამოშვება და მთელ მოცულობაზე უფრო მაღალი ფასების დაწესება;

- *ვინაიდან „ტაურუსის" პროგრამა დიდ კაპდაბანდებას მოითხოვდა საწარმოო მოწყობილობაში, საჭირო იყო ამასთან დაკავშირებული რისკის შეფასება. რისკის გარკვეული ნაწილი შეიძლება დაკავშირებული იყოს მომავალში ბენზინზე ფასების და ხელფასების გაურკვევლობასთან (ბენზინზე მსოფლიო ფასები გაიზრდება თუ ხელისუფლება გაზრდის მასზე საბაჟო გადასახადს, რამდენად ძლიერი იქნებიან პროფკავშირები ხელფასების თაობაზე მოლაპარაკებისას). ამ კითხვებზე პასუხებს სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა კაპდაბანდებაზე გადაწყვეტილების მიღებისას;*
- *საჭირო იყო ავრეთვე გარკვეული ორგანიზაციული პრობლემების გადაჭრა (ცალკეული კვანძების გამოშვება საკუთარ სიმძლავრეებზე თუ მათი გარედან შეძენა, ავტომობილის აწყობის ორგანიზება, მენეჯერებისთვის ხელფასის დანიშვნა და სხვ.);*
- *დაბოლოს, ახალი მიმართულებით (ახალ ნაწარმზე) საქმიანობაში აუცილებელი იყო სამთავრობო და საკანონმდებლო ორგანოების მოთხოვნილებების გათვალისწინება. მაგალითად, ახალი მოდელის ავტომობილი უნდა პასუხობდეს გამონაბოლქვი აირის ზღვრულ დასაშვებ ფედერალურ კონცენტრაციას, ხოლო ავტომობილების ნაკადურ ხაზებზე აწყობა უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკის უსაფრთხოების და შრომის დაცვის მკაცრ წესებს; ხომ არ არის მოსალოდნელი ამ წესების შეცვლა (გამკაცრება) და როგორ იმოქმედებს ეს ფირმის შემოსავალსა და ხარჯებზე.*

კარლ მარქსი და მისი მიდგომა ეროვნული შემოსავლის განაწილებისადმი

კარლ ჰენრიხ მარქსი დაიბადა 1818 წელს გერმანიაში (ქ. ტრირი) ადვოკატის ოჯახში (გარდაიცვალა 1883 წელს). მისი მსოფლმხედველური განწყობა და ცხოვრებისეული ამოცანები მნიშვნელოვანწილად ახალგაზრდობაშივე გამოჩნდა. აი, რას წერდა 17 წლის მარქსი: „ისტორია დიდ ადამიანებად იმათ აღიარებს, რომლებიც საერთო მიზნებისათვის შრომისას თვითონაც უფრო კეთილშობილი ხდებიან. გამოცდილება იმათ განადიდებს, როგორც ყველაზე ბედნიერს, ვინც ბედნიერება ყველაზე მეტ ადამიანს მოუტანა“. ამასთან კაცობრიობისათვის კეთილი საქმის კეთების ამ სურვილ — განწყობამ, სამწუხაროდ, რადიკალიზმის ერთგვარი ელფერი და შინაარსი მისცა ამ გენიალური ნიჭისა და თავგანწირვით შრომისუნარიანი პიროვნების შემოქმედებას.

მარქსი ღრმად დაეუფლა ჰეგელის ფილოსოფიას და თავისი საზოგადოებრივი განვითარების თეორიის შექმნისას შეავსო და გამოიყენა ჰეგელისებური დიალექტიკური მეთოდი — **ისტორიული მატერიალიზმი**. მარქსი ამტკიცებდა, რომ წარმოების და გაცვლის (მატერიალური ბაზის) მეთოდების ცვლილებები იწვევს არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების და პოლიტიკური სისტემის მოძველებას, შესაბამისად, მათი ცვლილების აუცილებლობას (მ.შ. რევოლუციური, ძალდატანებითი გზით); ასე იყო ეს ადრინდელ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებთან მიმართებით და ასევე მოხდება კაპიტალისტური წარმოების წესთან დაკავშირებითაც, რომელსაც შეცვლის ჯერ სოციალისტური, შემდეგ კი კომუნისტური სისტემა.

მარქსისტული ეკონომიკური თეორიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკაში დოვლათ — სიკეთის შემქმნელია წარმოების არა რამდენიმე, არამედ ერთი ფაქტორი — შრომა. ამასთან ბაზარზე შრომის ფაქტორის მესაკუთრეს მის (შრომის) გაყიდვას აძალებს ის, რომ მას სხვა მატერიალური საკუთრება (კაპიტალის მფლობელისაგან განსხვავებით) არ გააჩნია. ეს ყიდვა-გაყიდვა კი ზედაპირზე დამახინჯებულად წარმოჩინდება: მუშა შრომას კი არ ყიდის სინამდვილეში, არამედ შრომის უნარს — თავის სამუშაო ძალას. ასე რომ ბაზარზე ფაქტობრივად იყიდება სამუშაო ძალა, რომელსაც, სხვა ჩვეულებრივი საქონლის ანალოგიურად, გააჩნია ღირებულება, რომელიც ტოლია სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის (ე.ი. მისი არსებობის უზრუნველყოფისათვის) საჭირო სამომხმარებლო საქონელთა ღირებულებისა. ე.ი. შრომა ყიდვა-გაყიდვის ობიექტი კი არ არის, არამედ ღირებულების შექმნის სუბსტანციაა.

შრომის პროცესში კი მუშა იმაზე მეტ ღირებულებას ქმნის, ვიდრე მისი სამუშაო ძალა ღირს. ამ მეტობას კი (**ზედმეტი ღირებულება** — Surplus value) ეუფლება სამუშაო ძალის დამქირავებელი (კაპიტალისტი); და ეს არის სწორედ **შრომის ექსპლუატაცია**. ზედმეტი ღირებულების მოცულობის მუშის მიერ შექმნილ მთლიან ღირებულებასთან შეფარდება კი არის ექსპლუატაციის ნორმა. შრომის ექსპლუატაცია რომ შეწყდეს და საზოგადოებაში სამართლიანობა დამკვიდრდეს, მარქსის აზრით, აუცილებელია, რომ პროლეტარიატის (საკუთრების არმქონეთა) რევოლუციის შედეგად მოხდეს კერძო საკუთრების გაუქმება, ხოლო ეკონომიკური საქმიანობა მოეწყოს საერთო (საზოგადოებრივი) საკუთრების საწყისებზე.

ცხოვრებამ დაადასტურა ამ და ზოგიერთი სხვა მარქსისებური დებულების არამართლზომიერება: საბაზრო ეკონომიკა (კერძო კაპიტალისტური სისტემა) წარმატებულად ფუნქციონირებს და უფრო სრულყოფილი ხდება. მიუხედავად ამისა, ფართოდ არის აღიარებული მარქსისტული თეორიის მიღწევები ფილოსოფიურ — ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში. როგორც ი. შუმპეტერი წერდა, ისტორიის მარქსისებური ინტერპრეტაცია (ისტორიული მატერიალიზმი) არის „მძლავრი ანალიტიკური ინსტრუმენტი“ და რომ „მისი „საყოველთაო სისტემა“ და „ეკონომიკური პროცესის ევოლუციის გარდუვალობის ხედვა“... აძლევენ მარქსს უფლებას ატარებდეს დიდი ეკონომისტის სახელს“[1].

[1] მაკმილანის ლექსიკონი, გვ. 316.

კითხვები და სასწავლო დავალებები

1. წარმოების ორგანიზაციის რა ისტორიული ფორმების დასახელება-დახასიათება შეგიძლიათ თქვენ და როგორ დაახასიათებთ ფირმას?
2. რა არის თქვენთვის მეწარმეობა (ბიზნესი) და მეწარმის რა განსაკუთრებულ თვისებებს შეგიძლიათ გაუსვათ ხაზი?
3. რა არის დამატებული ღირებულება და ვინ (რა) ქმნის მას?
4. როგორ წყვეტს ფირმა ბაზარზე, თუ რა შეფარდებით უნდა მოიზიდოს წარმოების სხვადასხვა ფაქტორი მეწარმეობრივი საქმიანობის ორგანიზაციისათვის (ფირმის მოთხოვნა წარმოების ფაქტორებზე)? რა არის წარმოების ფაქტორის ზღვრული პროდუქტი?
5. როგორ ნაწილდება ეროვნული შემოსავალი საბაზრო ეკონომიკაში?
6. ფირმის დანახარჯების კლასიფიკაციაზე რას იტყვით?
7. რა არის ფირმის ეფექტიანი მასშტაბი და როგორ ეძებს (და მიაგნებს) მას ფირმა?
8. როგორ გესმით თქვენ ინვესტიციები (მ.შ. ინვესტიციები მოდერნიზაციაში)?
9. რა არის ინოვაციები და რა მნიშვნელობა აქვს მათ ფირმის ფუნქციონირებაში?

სავარჯიშო ტესტები

შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი

№1. ფირმა არის:

1) რესურსების პროდუქტად გარდამქმნელი ინსტიტუტი;
2) ნებისმიერი კომერციული საქმიანობის ორგანიზაცია;
3) რესურსების ალოკაციის ინსტიტუტი;
4) სახელმწიფო ინსტიტუტი, რომლის გამოყენებით მთავრობა არეგულირებს ბაზარს.

№2. ტრანსაქციური დანახარჯი არის:

1) ინფორმაციის მოძიების დანახარჯები;
2) დანახარჯები გაზომვაზე (ხარისხის დადგენა და ა.შ.);
3) დანახარჯები კონტრაჰენტების ოპორტუნისტულ ქმედობაზე (კონტრაქტების შეუსრულებლობა და ა.შ.);
4) რეკლამის ხარჯები.

№3. თანამედროვე სააქციო კომპანიაში ხდება ფინანსური რისკის და მართვის ფუნქციების:

1) გაერთიანება;
2) განცალკევება (გამიჯვნა);
3) სახელმწიფოსათვის გადაკისრება.
4) სამივე პასუხი მცდარია.

№4. დამატებული ღირებულება არის:

1) სხვაობა ფირმის საერთო ამონაგებსა და საერთო დანახარჯებს შორის;
2) სხვაობა ფირმის საერთო ამონაგებსა და ბუღალტრულ დანახარჯებს შორის;
3) სხვაობა ფირმის საერთო ამონაგებსა და შუალედურ პროდუქციაზე გაწეულ ხარჯებს შორის;
4) სხვაობა ფირმის ერთობლივ ამონაგებსა და ალტერნატიულ დანახარჯებს შორის.

№5. მოგება არის:

1) შემოსავალი კაპიტალზე როგორც წარმოების ფაქტორზე;
2) სხვაობა ერთობლივ შემოსავალსა (ამონაგებსა) და ერთობლივ დანახარჯებს შორის;
3) მეწარმეობის რისკის ანაზღაურება;
4) სხვაობა ერთობლივ შემოსავალსა და ბუღალტრულ დანახარჯებს შორის.

№6. ცვალებადი ხარჯები პროდუქციის ერთეულზე:

1) იზრდება პროდუქციის წარმოების ზრდის კვალობაზე;
2) თავიდან სწრაფად იზრდება, შემდეგ ნელა, დაბოლოს, კვლავ დაჩქარებული ტემპებით მატულობს;
3) თავიდან იზრდება, შემდეგ კლებულობს;
4) პერმანენტულად კლებულობს წარმოების ზრდის კვალობაზე.

№7. ზღვრული დანახარჯები:

1) დამოკიდებულია მხოლოდ ცვალებად დანახარჯებზე;
2) დამოკიდებულია ერთობლივ დანახარჯებზე;
3) დამოკიდებულია მუდმივ ხარჯებზე;
4) დამოკიდებულია ეკონომიკის კონიუნქტურაზე.

№8. ბიზნესი რომ წარმატებულად წარიმართოს, საჭიროა, რომ ბიზნესმენს ჰქონდეს და ახასიათებდეს, უპირველეს ყოვლისა, სურვილი:

1) ნივთებთან და საგნებთან ურთიერთობის (მუშაობის);
2) საქმიანობის კვალობაზე კონკრეტული ხელშესახები შედეგის (ნივთის და ა.შ.) მიღების;
3) დამოუკიდებელი შრომის (საქმიანობის);
4) საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის კეთების.

№9. ინვესტიციები არის ხარჯების ნაკადი, მიმართული:

1) მოხმარების გაუმჯობესებისაკენ;
2) რეალური კაპიტალის ზრდისაკენ;
3) რეალური კაპიტალის შენარჩუნებისაკენ;
4) ადამიანური კაპიტალის ზრდისაკენ.

№10. ეროვნული შემოსავლის განაწილება თვითრეგულირებად საბაზრო ეკონომიკაში არის:

1) ზნეობრივ-მორალურად აბსოლუტურად სამართლიანი;
2) ეკონომიკური თვალსაზრისით სამართლიანი;
3) ზნეობრივად ერთგვარად უსამართლო;
4) ეკონომიკურად უსამართლო.

№11. ეროვნული შემოსავლის განაწილებას წარმოების ფაქტორების მესაკუთრეებს შორის საბაზრო ეკონომიკაში განაპირობებს ძირითადად:

1) ამ ფაქტორების მწარმოებლურობა;
2) ერთობლივი ეროვნული პროდუქტის საერთო წარმოება;
3) სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა;
4) პროფკავშირების ორგანიზებულობა (საქმიანობა).


№12. ინოვაცია:

1) არის გამომგონებლობა;
2) მიმართულია წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისაკენ;
3) მიმართულია საქონლის დიფერენციაციისა და ახალი ბაზრის შექმნისაკენ;
4) არის ფირმის ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მოსაპოვებლად მიმართული საქმიანობა.

№13. დამატებული ღირებულება არის:

1) ფირმის მიერ შექმნილი მთლიანი შინა პროდუქტი;
2) ქვეყანაში საანგარიშო (საკვლევ) წელსა და მის წინა წელს შექმნილ ღირებულებათა სხვაობა;
3) ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობა;
4) ის, რაც ფირმამ აუნაზღაურა წარმოების ფაქტორების მესაკუთრეებს.

კონკურენციის სრულყოფილება და არასრულყოფილება



თავი 1. სრულყოფილი (თავისუფალი) კონკურენციის ბაზრის ფუნქციონირება

წინა თემების განხილვისას ჩვენ არაერთხელ ვახსენეთ ა.სმითის „უხილავი ხელი", ვსაუბრობდით ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის, საბაზრო ეკონომიკის შედეგიანობაზე. ამ შედეგიანობის, ასეთი **ეკონომიკური საქმიანობის მაღალი ეფექტიანობის საჭირო პირობაა თავისუფალი (სრულყოფილი) კონკურენცია.** იმ აუცილებელ პარამეტრებზე (პირობებზე), რომელთა არსებობის დროს შეიძლება საუბარი თავისულ კონკურენციაზე, დაწვრილებითი საუბარი წინა გვაქვს — ეს უფრო მიზანშეწონილი იქნება გავაკეთოთ სახელმწიფოსა და საბაზრო ეკონომიკის თემის განხილვისას (ე.ი. დისციპლინის მაკროეკონომიკის ნაწილში). აქ კი, ამ თემის შინაარსის გადმოცემისას, ვაგრძელებთ რა საუბარს კონკურენციული ფირმის ქცევაზე, გავაკეთოთ დაშვება, რომ ის ბაზარი, რომელზეც ფირმა გადის, კონკურენციულია.

ბაზარი კონკურენციულია, როდესაც მისი ყოველი სუბიექტი (გამყიდველი და მყიდველი) იმდენად პატარაა (მცირეა) ბაზრის მოცულობასთან შედარებით, რომ არ მოქმედებს ბაზარზე ფასის ჩამოყალიბებაზე (ან, თუ მოქმედებს, ძალიან უმნიშვნელოდ, ამასთან მის ამ ქმედობას არა აქვს წინასწარი განზარხულობის, პირის შეკვრის ხასიათი). ეს სუბიექტი (ეს ფირმა) ბაზრის ფასს ღებულობს როგორც მოცემულს; ისიც კონკურენციულია.

ავიღოთ (ისევ გრ. მენქიუს სახელმძღვანელოდან, ოღონდ ოდნავ შეცვლილად) რძის მწარმოებელი ინდივიდუალური ფირმის მაგალითი და შევადგინოთ მისი საქმიანობის გამომხატველი სხვადასხვა მაჩვენებელთა ცხრილი (იხ. შემდეგ გვერდზე ცხრილი 1).

ბოლო ორ სვეტში ზღვრული შემოსავალი და ზღვრული ხარჯები გაიანგარიშება როგორც ერთობლივი შემოსავლის და ერთობლივი დანახარჯის შესაბამისი ნამატი (მიზრდა). ერთობლივი შემოსავლის ყოველი ასეთი ნამატი პროდუქციის რეალიზაციის ფასია, ხოლო ზღვრული ხარჯების ნამატი — პროდუქციის დამატებულ ერთეულზე გაწეული ხარჯები.

გასაგებია (ვაგრძელებთ ცხრილზე დაკვირვებას), რომ სანამ ზღვრული შემოსავალი (იგივე ფასი) მეტია ზღვრული ხარჯებისა, ფირმა გააგრძელებს პროდუქციის გამოშვების მატებას (ვინაიდან ამას მოგების ზრდა მოსდევს). მე-4 და მე-5 გალონებზე ხდება მოგების მაქსიმიზაცია ($7), მე-6 გალონზე კი სიტუაცია პრინციპულად იცვლება: აქ უკვე ზღვრული შემოსავალი ზღვრულ ხარჯებზე ნაკლებია, შესაბამისად, მცირდება მოგება. ე.ი. 5 გალონზე მეტი რძის გამოშვებას უკვე აზრი არა აქვს.

დავსვათ კითხვა: როგორ რეაგირებს ფირმა ფასის ზრდაზე? ეს საკითხი განვიხილოთ გრაფიკის მოშველიებით (იხ. შემდეგ გვერდზე **ნახ. 5.1**).

P_1 ფასის პირობებში ($6) ფირმა უშვებს Q_1 მოცულობის პროდუქციას (5) და აქ ფასი და ზღვრული ხარჯები გატოლებულია.

მაგრამ თუ ფასი გაიზარდა (ვთქვათ, **P2=$8**), ზღვრული შემოსავალი ($8) ზღვრულ ხარჯებზე მეტი გახდება. ე.ი. ფირმა დაიწყებს გამოშვების მომატებას და ამას მანამდე გააგრძე-


ცხრილი 1.

ერთი გალონის ფასი $6

გამოშვება, გალონებში*	ერთობლივი შემოსავალი	ერთობლივი ხარჯები პროდუქციის ერთეულზე	მოგება	ზღვრული შემოსავალი MR**	ზღვრული ხარჯები
Q	TR	TC	TR-TC	TR_2-TR_1 და ა.შ.	MC
0	0	3	-3		
1	6	5	1	6	2
2	12	8	4	6	3
3	18	12	6	6	4
4	24	17	7	6	5
5	30	23	7	6	6
6	36	30	6	6	7
7	42	38	4	6	8
8	48	47	1	6	9
9	54	57	-3	6	10

** გალონი არის სითხის საზომი: აშშ-ში 3,7ლ, ინგლისში 4,5ლ.*

*** როგორც ვხედავთ, ზღვრული შემოსავალი პროდუქციის ერთეულის ფასია ($6).*



$P_1 = \$5;\ P_2 = \$8$

ნახ. 5.1. ზღვრული დანახარჯების მრუდი როგორც კონკურენციული ფირმის მიწოდების მოცულობის მრუდი (MC — ზღვრული ხარჯები; ATC — საშუალო ერთობლივი ხარჯები; AVC — საშუალო ცვლადი ხარჯები).

ლებს, სანამ არ მიაღწევს მოგების მაქსიმიზაციას, ანუ Q_2 მოცულობამდე (7 გალონამდე), სადაც ზღვრული ხარჯები კვლავ არ გაუთანაბრდება ზღვრულ შემოსავალს ($8 ფასს). ე.ი. ზღვრული დანახარჯების მრუდი, რომელიც გვიჩვენებს მიწოდების მოცულობას სხვადასხვა ფასების პირობებში, კონკურენციული ფირმის მიწოდების მრუდად გვევლინება.

ზოგიერთ შემთხვევაში, გამომდინარე ბაზრის კონიუნქტურიდან, ფირმა წარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებს. ეს შეიძლება იყოს:

- წარმოების დროებითი (მოკლევადიანი) შეწყვეტა;
- ან ბაზრიდან გასვლა (ე.ი. ბაზრის დიდი ხნით, ხანგრძლივად დატოვება).

ფირმა, რომელმაც დროებით შეწყვიტა წარმოება, აგრძელებს უცვლელი (მუდმივი) ხარჯების გაწევას; მაგრამ ის არ ეწევა ცვალებად ხარჯებს; ფირმა, რომელმაც საერთოდ დატოვა ბაზარი, არ ეწევა არც მუდმივ და არც ცვალებად ხარჯებს. გასაგებია, რომ ფირმა, რომელმაც შეაჩერა წარმოება (შესაბამისად, რეალიზაცია) არ ღებულობს შემოსავალს იმ პროდუქციის რეალიზაციიდან, რომელიც შეეძლო გაეყიდა, და ამას ის მაშინ აკეთებს, როდესაც წარმოების (რეალიზაციის) შედეგად მიღებული შემოსავალი იმაზე ნაკლებია, ვიდრე ცვალებადი ხარჯები.

მათემატიკის გამოყენებით ეს დებულება უფრო გასაგები გახდება.

აღვნიშნოთ (როგორც ადრე):

- ფირმის ერთობლივი შემოსავალი **TR**-ით;
- ფირმის ზღვრული ხარჯები — **MC**-თი.
- ფირმის ცვლადი ხარჯები **VC**-თი.

მაშინ ფირმის გადაწყვეტილება — დროებით შეწყვიტოს წარმოება — მართლზომიერი იქნება, თუ:

TR<VC.

უტოლობის ორივე ნაწილი გავყოთ წარმოების მოცულობაზე

$$\frac{TR}{Q} < \frac{VC}{Q}$$

$\frac{TR}{Q}$ არის ფირმის საშუალო შემოსავალი პროდუქციის ერთეულზე; ე.ი. ეს არის პროდუქციის სარეალიზაციო ფასი (**P**).

$\frac{VC}{Q}$ — ეს კი საშუალო ცვალებადი დანახარჯებია (**AVC**).

ეს იმას ნიშნავს, რომ ფირმისათვის წარმოების შეწყვეტის კრიტერიუმია უტოლობა

P<AVC.

მაშასადამე, ფირმა შეაჩერებს წარმოებას (ფირმამ უნდა შეაჩეროს წარმოება), როგორც კი საშუალო ცვალებადი დანახარჯები ფასზე მაღალი აღმოჩნდება.

გრაფიკულად ეს შეიძლება შემდეგნაირად წარმოვსახოთ (იხ. შემდეგ გვერდზე **ნახ. 5.2.**):


მაშასადამე, ფირმისათვის მოგების მაქსიმიზაციის სტრატეგია იმაში მდგომარეობს, რომ ზღვრული დანახარჯები ტოლი იყოს (მეტი არ იყოს) პროდუქციის ფასის.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, მოკლევადიან პერიოდში კონკურენციული ფირმის მიწოდების მრუდი არის მისი ზღვრული დანახარჯების მრუდის ის ნაწილი, რომელიც იმყოფება საშუალო ცვალებად ხარჯებზე (**AVC**-ზე) ზევით.

დავსვათ კითხვა და ვუპასუხოთ მას.

როგორ წყვეტს ფირმა საკითხს ბაზრიდან საერთოდ გასვლის ან ბაზარში შესვლის თაობაზე გრძელვადიან პერიოდში?

რაციონალურმა ქცევამ უნდა უკარნახოს ფირმას, რომ ბაზარი მაშინათვე უნდა დატოვოს, როგორც კი საწარმოო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი წარმოების ერთობლივ დანახარჯებზე ნაკლები იქნება. ე.ი. თუ ერთობლივი შემოსავალი „**TR**"-ია, ხოლო ერთობლივი დანახარჯები „**TC**", ფირმამ უნდა დატოვოს ბაზარი, როგორც კი



ნახ. 5.2. კონკურენციული ფირმის მიწოდების მრუდი მოკლევადიან პერიოდში.

TR<TC.

აქაც თუ უტოლობის ორივე ნაწილს გავყოფთ გამოშვების (წარმოების) მოცულობაზე, მივიღებთ:

$$\frac{TR}{Q} < \frac{TC}{Q}$$

ეს უტოლობა იქნება სწორედ ფირმის მიერ ბაზრის დატოვების მიზეზი.

$\frac{TR}{Q}$ — ეს ფირმის საშუალო შემოსავალია პროდუქციის ერთეულზე, ანუ იგივე პროდუქციის ფასი **"P"**.


$\frac{TC}{Q}$ — ეს კი პროდუქციის ერთეულზე გაწეული საშუალო დანახარჯებია (**ATC**).

მაშასადამე, წარმოების შეწყვეტის კრიტერიუმი შეიძლება ჩავწეროთ შემდეგნაირად:
P<ATC

ე.ი. ფირმა ტოვებს ბაზარს, თუ პროდუქციის გასაყიდი ფასი ნაკლებია საშუალო ერთობლივ დანახარჯებზე.

ეს კრიტერიუმი (ოღონდ „<" საპირისპირო ნიშნით, ანუ **P>ATC**) უნდა გამოიყენოს ბიზნესმენმა დარგში (ბაზარში) შესვლის გადაწყვეტილების მიღებისას.

გრაფიკულად მოგების მაქსიმიზაციისათვის ფირმის სტრატეგია გრძელვადიანი პერიოდისათვის შემდეგ სახეს მიიღებს (**ნახ. 5.3.**):



ნახ. 5.3. კონკურენციული ფირმის მიწოდების მრუდი გრძელვადიანი პერიოდისათვის.

"**P**" ფასზე ნაკლები ფასი ფირმისთვის მიუღებელია (მაგალითად, P_1).

ე.ი. კონკურენციული ფირმის მიწოდების მრუდი გრძელვადიანი პერიოდისათვის არის მისი ზღვრული ხარჯების მრუდის (**MC**) ის ნაწილი, რომელიც საშუალო ერთობლივ დანახარჯებზე (**ATC**-ზე) ზევით ძევს.

ბაზრის ეფექტიანობა. მომხმარებელთა და მწარმოებელთა ნამეტი.

როგორც გვახსოვს, ბაზარზე კოორდინაციის უხილავი პროცესები, ანუ საბაზრო ეკონომიკის ქმედითი მექანიზმები, მოქმედებს, მ.შ. პირველ რიგში თავისუფალი კონკურენცია და თავისუფალი ფასები, მოთხოვნის და მიწოდების ავტომატურად განონასწორების უზრუნველმყოფი ძალები, ანუ მთლიანობაში ა. სმითის „უხილავი ხელი"[1]. **სწორედ თავისუფალი კონკურენცია, უზრუნველყოფს რა შეზღუდული რესურსების საუკეთესო ალოკაციას (განაწილებას, შეერთებას და კომბინაციას), განაპირობებს უმაღლეს ეკონომიკურ ეფექტიანობას (სინონიმი ალოკაციური ეფექტიანობა).**

ალოკაციური ეფექტიანობა არის გამოშვებულ პროდუქტთა საუკეთესო (უმაღლესი) ერთობლიობა რესურსების ყველაზე ეფექტიანი კომბინაციის საფუძველზე. პროდუქციის ოპტიმალური კომბინაციის განსაზღვრა სხვადასხვა საშუალებებით შეიძლება მოხდეს, მაგრამ კეთილდღეობის ეკონომიკურ თეორიაში ამ ტერმინის ქვეშ ჩვეულებრივად გულისხმობენ პროდუქტთა ისეთ კომბინაციას, რომელსაც, გამომდინარე მათი ნამდვილი (ალტერნატიული) დანახარჯებიდან, შეარჩევენ ინდივიდუალური მომხმარებლები სრულყოფილ ბაზრებზე (Perfect markets).

ეფექტიანია რესურსების ისეთი კომბინაცია, რომლის პირობებშიც ხდება (მიიღწევა) პროდუქციის მინიმალური ალტერნატიული დანახარჯებით წარმოება.

ეკონომიკურ ეფექტიანობას განმარტავენ ასევე, როგორც ორგანიზაციის (ფირმის) შესაძლებლობას აწარმოოს და გაასაღოს თავისი პროდუქცია უმცირესი შესაძლო დანახარჯებით.

ამისაგან განსხვავებით, **ტექნიკური ეფექტიანობა არის მწარმოებლის უნარი გამოუშ-**

[1] ამასთან აქვე შევნიშვნავთ და შემდეგ განვავრცობთ ასეთ მოსაზრებას: უხილავი ხელი უეჭველად მოქმედებს და მისი ქმედობის შედეგია „საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილება", მაგრამ მას, როგორც ჩანს „ართრიტი სჭირს" (ართრიტი < *ბერძნ.* Arthtron — სახსარი < არის (*მედიც.*) სახსრების ანთება). იხ. მაკმილანის ლექსიკონი, გვ. 259.

ვას მისაღები ხარისხის მაქსიმალური მოცულობის პროდუქცია წარმოების ფაქტორების მინიმალური ხარჯებით. მიჩნეულია, რომ ერთი კომპანია მეორეზე ტექნიკურად უფრო ეფექტიანია, თუ მას „შეუძლია აწარმოოს იმდენი პროდუქცია, რამდენსაც გამოუშვებს მეორე, მაგრამ ფაქტორთა ნაკლები დანახარჯებით ფასობრივი ფაქტორის გათვალისწინების გარეშე".

ზემომოყვანილი განსაზღვრებიდან გამომდინარეობს **დასკვნა**, რომ ***ფირმას შეიძლება ჰქონდეს მაღალი ტექნიკური ეფექტიანობა, მაგრამ ის იყოს ეკონომიკურად არაეფექტიანი, ვინაიდან მისი ფასები მაღალია კონკურენტუნარიანობისათვის.***

თავისუფალი კონკურენცია და თავისუფალი ფასები, როგორც ჩვენ ვცდილობდით დაგვემტკიცებინა, უზრუნველყოფს ალოკაციურ (ეკონომიკურ) ეფექტიანობას. მაგრამ გამოყენებითი ეკონომიკის სხვა დარგებში დანახარჯების და შედეგების ანალიზისას (Cost benefit analysis) ყურადღებას აქცევენ შემდეგ ორ მოვლენას *(მათ შესახებ შესაძლოა ლოგიკური იყო უფრო ადრე გვესაუბრა, მაგრამ აქაც მისაღებია ამის გაკეთება)*: 1) **მომხმარებელთა ნამეტი** (Consumer's surplus) და 2) **მწარმოებელთა ნამეტი** (Producer's surplus).

1. **მომხმარებელთა ნამეტი არის მომხმარებლის სარგებლის საზომი ან, სხვა სიტყვებით, სუფთა ზარალი, რომელსაც ის მიიღებდა, თუ საქონელს შეიძენდა იმ ფასში, რომელზედაც იყო თანახმა (ფაქტობრივად კი უფრო იაფად შეიძინა).**

2. **მწარმოებელთა ნამეტი არის ნამეტი, რომელიც ერგება წარმოების ფაქტორების მფლობელებს იმასთან დაკავშირებით, რომ ინდივიდები ჩვეულებრივად იმაზე მეტ პირდაპირ და არაპირდაპირ სიკეთეს (სარგებლიანობას) იღებენ, ვიდრე იმის სარგებლიანობაა, რაზედაც უარი თქვეს (უფრო სწორად, თანახმა იყვნენ უარი ეთქვათ).** ე.ი. ეს ის არის, რაც მათ ამ დარგში აკავებთ *(მენქიუს სახელმძღვანელოში მწარმოებლური ნამეტი განმარტებულია როგორც რეალიზებული საქონლიდან მიღებული ამონაგები მისი ზღვრული დანახარჯების გამოკლებით).*

საერთო ნამეტი კი იქნება ამ ორი ნამეტის ჯამი; სწორედ თავისუფალი (სრულყოფილი) კონკურენცია და უხილავი ხელი უზრუნველყოფს მის მაქსიმიზაციას.

მწარმოებელთა ნამეტს ეხმაურება ე.წ. **ეკონომიკური რენტა**, რომელიც არის:

ა) **პარეტოს მიხედვით:** წარმოების ფაქტორის ისეთი ანაზღაურების მოცულობის ნამეტი, რომელიც ფაქტორს ამ დარგში აკავებს; მაგალითად, თუ მუშაკის ფაქტობრივი ხელფასი არის 5.000 ლარი, ხოლო მისი შემდეგი მჯობინების ხელფასის მოცულობა (ანუ ის, რის შემდეგაც ის უარს იტყვის დარგში დარჩენაზე) არის 4.500 ლარი, მაშინ 500 ლარი იქნება ეკონომიკური რენტა;

ბ) **რიკარდოს, მილის და მარშალის მიხედვით:** ესარისსხვაობაიმთანხებსშორის,რასაც წარმოების ფაქტორი იღებს და რაც საჭიროა მისი ამ საწარმოო კომბინაციაში მოზიდვისათვის.

თავი 2. კონკურენციის არასრულყოფილება — მონოპოლიზმი

როგორც უკვე ითქვა, კონკურენციულ ბაზარზე კონკურენციული ფირმა (რომელიც არ ფლობს ბაზარზე ძალაუფლებას) ფასს იღებს როგორც მოცემულს. მხოლოდ თავისუფალი (სრულყოფილი) კონკურენციის არსებობის პირობებში ხდება საბაზრო ეკონომიკა და მისი უხილავი ხელი მაქსიმალურად ეფექტიანი, მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს ადგილი მომხმარებელთა და მაწარმოებელთა ნამეტების მაქსიმიზაციას.

მაგრამ ყველა ბაზარი როდია სრულყოფილი და ყველგან როდი არსებობს თავისუფალი კონკურენცია.

მთლიანობაში დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის ბაზრების სამ ნაირსახეობაზე შეიძლება, ალბათ, საუბარი:

1) **სრულყოფილი (თავისუფალი) კონკურენციის ბაზრები;**
2) **მონოპოლისტური კონკურენციის (არასრულყოფილი კონკურენციის) ბაზრები;**
3) **ბაზრები, სადაც ადგილი აქვს მონოპოლიების ბატონობას.**

როგორც ვხედავთ, მონოპოლია და თავისუფალი კონკურენცია ბაზრის უკიდურესი სიტუაციებია.

აქ კიდევ ერთი შენიშვნა გავაკეთოთ. არასრულყოფილი კონკურენციის (და არა ბაზრის) ტერმინი შემდეგი მნიშვნელობებითაც გამოიყენება:

1) საბაზრო სტრუქტურის ნებისმიერი ფორმა, გარდა სრულყოფილისა. ე.ი. ეს ტერმინი მოიცავს **მონოპოლიას, ოლიგოპოლიას და მონოპოლისტურ კონკურენციას;**
2) ყველა საბაზრო სტრუქტურის ფორმა, გარდა სრულყოფილი (თავისუფალი) კონკურენციისა და მონოპოლიისა;

არასრულყოფილი ბაზრის ქვეშ იგულისხმება ბაზარი, რომელშიც არ მოქმედებს სრულყოფილი ბაზრის შემდეგი პირობები: 1) პროდუქციის ერთგვაროვანება; 2) გამყიდველთა და მყიდველთა მრავალრიცხოვნობა; 3) შესაძლებელია ბაზარში თავისუფლად შესვლა და ბაზრიდან თავისუფალი გასვლა; 4) ყველა გამყიდველსა და მყიდველს გააჩნია სრულყოფილი (სრული) ინფორმაცია; 5) ბაზრის მონაწილე ერთი გამყიდვლის (მყიდველის) გაყიდვა (ყიდვა) უმნიშვნელოა ბაზრის ერთობლივ ოპერაციებთან შედარებით; 6) გამყიდვლებსა და მყიდველებს შორის არა აქვს ადგილი პირის შეკვრას; 7) მყიდველები ესწრაფვიან სარგებლიანობის (ტკბობის) მაქსიმიზაციას, გამყიდველები კი — მოგების მაქსიმუმის მიღებას; 8) საქონელს აქვს გადაადგილების (გადანაცვლების) უნარი (საქონელი გადაადგილებადია).

ამ განმარტებებიდან შეიძლება გავაკეთოთ უბრალო **დასკვნა:** ***აბსოლუტურად სრულყოფილი (თავისუფალი) ბაზარი, სრულყოფილი (თავისუფალი) კონკურენცია პრაქტიკულად არ არსებობს.***


შევუდგეთ მონოპოლიური ბაზრის და ფირმა — მონოპოლისტის ქცევის ანალიზს.

მონოპოლია[1] *(ინგლ. Monopoly)* **არის ბაზარზე გაბატონებული (დომინირებული) მდგომარეობის მქონე ფირმა, რომელსაც მისი ასეთი მდგომარეობა აძლევს საშუალებას დააწესოს ბაზარზე ფასი და აკონტროლოს ის;** ამას ის აღწევს წარმოების (მიწოდების) იმ დონეზე დაბლა ორგანიზებით (მოწყობით), ვიდრე ეს მოხდებოდა სრულყოფილი კონკურენციის პირობებში *(თუ ბაზარზე ერთი მყიდველის ბატონობას აქვს ადგილი, ეს* **მონოპსონიაა***).*


მონოპოლიის წარმოქმნა — არსებობის მიზეზებია:

1) წარმოების რაღაც რესურსის ერთადერთი ფირმის მფლობელობა-საკუთრებაში არსებობა (ეს შედარებით იშვიათი შემთხვევაა);
2) როდესაც მონოპოლიას (ფირმის მონოპოლიურ მდგომარეობას) ხელისუფლება ქმნის (მაგალითად: საპატენტო უფლებები, საავტორო უფლებები);
3) არსებობს ე.წ. **ბუნებრივი მონოპოლიები,** როდესაც საქონლის (მომსახურების) სპეციფიკური ხასიათის გამო სწორედ ერთადერთი ფირმა უზრუნველყოფს ბაზარზე საქონლის უფრო დაბალი დანახარჯებით მიწოდებას, ვიდრე ამას ორი ან მეტი ფირმა გააკეთებს (მაგალითად, ქალაქში წყლით ან გაზით მომარაგება). ბუნებრივი მონოპოლიაა ასევე განსაკუთრებული მახასიათებლების (ნიჭის, თვისებების) მაღალი მოთხოვნის მქონე საქონლის ფლობა (მაგალითად, ხელოვნების, სპორტის წარმომადგენლების — ნიჭი);
4) ფირმის მიერ ბაზარზე კონკურენტთა წინააღმდეგ საქმიანობა — ბრძოლის შედეგად (კონკურენტების გაკოტრება) მონოპოლიური მდგომარეობის მიღება;
5) ბაზარზე შესვლის ხელოვნური თარჯის (ბარიერის) შექმნა.

კონკურენციულ და მონოპოლიურ ფორმებს ბაზარზე განსხვავებული სახის მოთხოვნის მრუდი გააჩნიათ **(ნახ. 5.4. და 5.5.).**



ნახ. 5.4. კონკურენციული ფირმის მოთხოვნის მრუდი.



ნახ. 5.5. მონოპოლიური ფირმის მოთხოვნის მრუდი.

[1] მონოპოლია — *ბერძნ.* Monos ერთი + Poleo ვყიდი

როგორც გვახსოვს, წონასწორობის ფასად კონკურენციულ ფორმას ბაზარზე ძალუძს გაყიდოს იმდენი საქონელი, რამდენიც სურს. ე.ი. მისი მოთხოვნის მრუდი ჰორიზონტალურია (**ნახ. 5.4**).

სხვანაირადაა საქმე მონოპოლიასთან. ის ბაზარზე ერთადერთი მომწოდებელია; ამიტომ მას გააჩნია ძალა იმოქმედოს ბაზრის ფასზე. მაგრამ თუ მოხდება ამ ფასის უბრალოდ გაზრდა (მოწოდების ცვლილების გარეშე), მომხმარებლები ასევე უბრალოდ შეამცირებენ საქონლის შეძენის მოცულობას. მეორე მხრივ, ფირმას შეუძლია მიაღწიოს ფასის მომატებას სარეალიზაციოდ გასატანი საქონლის მოცულობის შემცირებით. და ასეც იქცევა. ამიტომ ფირმა — მონოპოლისტის მოთხოვნის მრუდს უარყოფითი დახრილობა აქვს (**ნახ. 5.5**).

ახლა შევეცადოთ გავერკვეთ ფირმა — მონოპოლისტის მოგების მაქსიმიზაციისაკენ მიმართულ ქმედობაში. შევადგინოთ (გრეგორი მენქიუს სახელმძღვანელოს მიხედვით) წყლის მიმწოდებელი მონოპოლიური ფირმის შემოსავლის ($) წყლის მიწოდებაზე დამოკიდებული ცხრილი (№2):

წყლის მოცულობა, გალონებში **Q**	ფასი **P**	ერთობლივი შემოსავალი **TR (TR=PxQ)**	საშუალო შემოსავალი **AR (AR=TR/Q)**	ზღვრული შემოსავალი **MR = TR** *შემდგომს* **-TR** *წინა*
1	2	3	4	5
0		0		
1	10	10	10	10
2	9	18	9	8
3	8	24	8	6
4	7	28	7	4
5	6	30	6	2
6	5	30	5	0
7	4	28	4	-2
8	3	24	3	-4

ცხრილი 2. მონოპოლიის ერთობლივი, საშუალო და ზღვრული შემოსავალი

როგორც კონკურენციული, ისე მონოპოლიური ფირმისათვის საშუალო შემოსავალი ფასის ტოლია.

მაგრამ როგორია ეს ფასები?

როგორც გვახსოვს, კონკურენციული ფირმის ზღვრული შემოსავალი ფასის ტოლია (**MR=P**).

რაც შეეხება მონოპოლიას, მისი ზღვრული შემოსავალი პრაქტიკულად ყოველთვის მისი საქონლის ფასზე დაბალია (ეს კი განპირობებულია მის პროდუქციაზე მოთხოვნის მრუდის უარყოფითი დახრილობით), თანაც გაყიდვის მოცულობის ზრდის კვალობაზე ეს შემოსავალი კლებულობს.

კონკურენციული ფირმისთვის მისი პროდუქციის რეალიზაციის დროს უცნობია ე.წ. **ფასის ეფექტი**. ანუ პროდუქციის ერთეულის რეალიზაციიდან მის მიერ მიღებული შემოსავალი არ მცირდება (ვინაიდან არ მცირდება ფასი).


სხვანაირად გვაქვს საქმე ფირმა — მონოპოლისტთან: როდესაც ის ზრდის წარმოებას (მიწოდებას), იძულებულია შეამციროს ფასი ადრე რეალიზებული საქონლის ერთეულის ფასთან შედარებით, ამიტომ მისი ზღვრული შემოსავალი მისი პროდუქციის ფასზე დაბალია.

ვაჩვენოთ ეს მოსაზრება გრაფიკულად (**ნახ. 5.6.**).

5.6. ნახაზზე ნაჩვენებია ფირმა — მონოპოლიის ზღვრული შემოსავლის და მოთხოვნის მრუდები (ვინაიდან ფირმისათვის მის პროდუქციაზე ფასი მისი საშუალო შემოსავლის (**TR**-ის) ტოლია, მოთხოვნის მრუდი ამავდროულად მისი საშუალო შემოსავლის მრუდია).

ეს მრუდები ყოველთვის ვერტიკალური ღერძის (ფასის ღერძის) ერთ და იგივე წეტილზე იწყება (ჩვენ შემთხვევაში **$11**), ვინაიდან გაყიდული პროდუქციის პირველი ერთეულის ზღვრული შემოსავალი ფასის ტოლია.

მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, მონოპოლიური ფირმის ზღვრული შემოსავალი ფასზე ნაკლებია; ამიტომ ფირმა-მონოპოლისტის ზღვრული შემოსავლის მრუდი ფასის მრუდზე დაბლა იმყოფება.




ნახ. 5.6. მონოპოლიის მოთხოვნის და ზღვრული შემოსავლის მრუდები

ნახ. 5.6.-დან (ისევე, როგორც ცხრილიდან) ჩანს, რომ ზღვრული შემოსავალი შეიძლება უარყოფითი მოცულობისაც იყოს; ეს მაშინ ხდება, როდესაც ფასის ეფექტი სჭარბობს მოცულობის ეფექტს. ამ შემთხვევაში პროდუქციის დამატებითი ერთეულის წარმოება (მიწოდება) ფასის ისეთ კლებას (დაწევას) იწვევს, რომ მცირდება ფირმის ერთობლივი შემოსავალი (იმ პირობებშიც კი, როდესაც ფირმა ზრდის პროდუქციის რეალიზაციას).

ეკონომიკის ერთ-ერთი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ რაციონალური ადამიანი ზღვრული კატეგორიებით აზროვნებს. ასევე აზროვნებს მონოპოლისტიც და ასეთი ლოგიკით (ქმედობით) აღწევს ის მოგების მაქსიმიზაციას.

ვაჩვენოთ ეს გრაფიკულად (იხილეთ შემდეგ გვერდზე **ნახ. 5.7.**).

გასაგებია, რომ როგორც კონკურენციული, ისე მონოპოლიური ფირმის ზღვრულ ხარჯებს (**MC**) ზრდადი ხასიათი აქვს, ზღვრულ შემოსავალს (**MR**) კი — კლებადი. შესაბამისად, ფირმა მონოპოლისტიც მანამდე გააგრძელებს წარმოების ზრდას, სანამ **MC** არ გაუტოლდება MR-ს (წერტილი "**A**" **5.7. ნახაზზე**). იმავე 5.7. ნახაზზე:



ნახ. 5.7. მონოპოლიის მიერ მოგების მაქსიმიზაცია.

- ზღვრული შემოსავლის და ზღვრული ხარჯების მრუდების გადაკვეთის წერტილი (**A**) გვიჩვენებს პროდუქციის გამოშვების (მიწოდების) იმ მოცემულობას (Q_{MAX}), რომელიც უზრუნველყოფს მოგების მაქციმიზაციას;

- მოთხოვნის მრუდზე კი ფირმა პოულობს მონოპოლიურ ფასს, რომელიც შეესაბამება მიწოდების (წარმოების) ამ მოცულობას (წერტილი "**B**").

დავუშვათ, რომ ფირმა აწარმოებს (გაიტანს ბაზარზე) Q_{MAX}-ზე ნაკლები Q_1 მოცულობის პროდუქციას. ამ შემთხვევაში ზღვრული შემოსავალი (**MR**) ზღვრულ დანახარჯებზე მეტი იქნება; ფირმისთვის სასარგებლო იქნება გაზარდოს წარმოება (მიწოდება), სანამ არ მოხდება ამ ორი სიდიდის (**MR** და **MC**) გატოლება (წერტილი **A**).

ანალოგიური მსჯელობა შეიძლება გავმართოთ იმ შემთხვევაშიც, როდესაც წარმოების (მიწოდების) მოცულობა აღმოჩნდება Q_2 წერტილზე, ანუ **Q** მაქსიმუმზე მეტი. ამ შემთხვევაში ზღვრული დანახარჯები (**MC**) ზღვრულ შემოსავალზე მეტი იქნება და რაციონალურად მოაზროვნე — მოქმედმა ფირმამ წარმოების (მიწოდების) მოცულობა უნდა შეამციროს მანამდე, სანამ ეს ორი მაჩვენებელი (**MR** და **MC**) არ გაუტოლდება ერთმანეთს (წერტილი $A - Q_{MAX}$).

ე.ი. მონოპოლიური ფირმის მოგების მაქსიმიზაცია (გავიმეოროთ) ხდება ზღვრული შემოსავლის (**MR**) და ზღვრული ხარჯების (**MC**) გადაკვეთის წერტილზე (**A**). მაგრამ ამ მრუდების გადაკვეთის წერტილზე ხდება მოგების მაქსიმიზაცია კონკურენციული ფირმისთვისაც.

განსხვავება ფასშია, ანუ:

- კონკურენციული ფირმისათვის ფასი ზღვრული შემოსავლის ტოლია **P=MR=MC;**
- მონოპოლიური ფირმისათვის კი ფასი ზღვრულ შემოსავალზე მეტია **P>MR=MC.**

მაშინ მართლზომიერი იქნება დავსვათ შემდეგი კითხვა: როგორ პოულობს მონოპოლიური ფირმა თავის პროდუქციაზე ფასს (როგორ აწესებს ის მონოპოლიურ ფასს), რომელიც უზრუნველყოფს მოგების მაქსიმიზაციას (მონოპოლიური მოგების მიღებას)?

ამაზე პასუხს გვაძლევს (და ჩვენ ეს უკვე გამოვსახეთ) მოთხოვნის მრუდი, რომელიც გვიჩვენებს ფასს (**B** წერტილი მოთხოვნის მრუდზე, შესაბამისი P_1 წერტილი ორდინატაზე), რომელსაც გადაიხდიან მყიდველები ფირმა — მონოპოლისტის მიერ მიწოდებულ (შემოთავაზებულ) პროდუქციაზე. ეს ფასი ფირმის მოთხოვნის მრუდზე მდებარეობს, რომელიც (ფირმა — მონოპოლისტის მოთხოვნის მრუდი) ფირმის ზღვრული შემოსავლის მაღლა ძევს. ამიტომ პროდუქციის წარმოების (მიწოდების) იმ მოცულობის განსაზღვრის შემდეგ, როდესაც მოხდება ზღვრული შემოსავლის და ზღვრული ხარჯების გატოლება (ვიმეორებთ), ფირმა — მონოპოლისტი ფასის მოსაძებნად (მისაგნებად) გამოიყენებს თავის პროდუქციაზე მოთხოვნის მრუდს.

*(5.7. ნახაზზე მონოპოლიური ფასია მოთხოვნის მრუდის **B** წერტილიდან ფასის მრუდზე დაშვებული პერპენდიკულარის მიერ ორდინატას გადაკვეთის წერტილი P_1).*

მაშ, რაშია ძირითადი განსხვავება კონკურენციულ და მონოპოლიზებულ ბაზრებს შორის? განსხვავება იმაში მდგომარეობს (ამას **დასკვნისათვის** გავიმეორებთ), რომ:

- ***კონკურენციულ ბაზრებზე საქონლის ფასი ზღვრული დანახარჯების ტოლია (P=MC);***
- ***მონოპოლიზებულ ბაზრებზე საქონლის ფასი ზღვრულ დანახარჯებზე მეტია (P>MC).***

სწორედ ეს აძლევს მონოპოლურ ფირმას საშუალებას მიიღოს მონოპოლიური (განსაკუთრებული, მომატებული) მოგება.

მონოპოლიურ მოგებას ზოგჯერ ზენორმალურ მოგებასაც უწოდებენ და შემდეგნაირად განმარტავენ (მაკმილანის ლექსიკონი, გვ. 279);

- ეს არის მოგება, რომელიც ყველა ალტერნატიულ დანახარჯზე მეტია;
- ეს არის შემოსავალი, რომელიც დარგში დასარჩენად აუცილებელ მინიმალურ შემოსავალზე მეტია.

ბაზრის სუბიექტების მონოპოლიური მდგომარეობა განაპირობებს (იწვევს) წარმოების საზოგადოებრივად ეფექტიანი (ანუ შესაძლო) მოცულობაზე დაბლა ორგანიზებას. ეს **„დაუბრუნებელი დანაკარგები"** (არგამოშვებული დოვლათ-სიკეთე) ამცირებს ეკონომიკურ „ღვეზელს", წარმოების მოცულობა უფრო დაბალ დონეზეა სრულყოფილ კონკურენციასთან შედარებით. ე.ი. ადგილი აქვს ფირმა — მონოპოლისტებისათვის დადებით ეკონომიკურ მოგებას, ხოლო მთლიანად საზოგადოებისათვის სიკეთეთა წარმოების დაუბრუნებელ დანაკარგებს.

რაკი მონოპოლიზმი რესურსების არაეფექტიან განაწილებას (ალოკაციას) განაპირობებს, საზოგადოებამ (სახელმწიფომ) ამაზე რეაგირება უნდა მოახდინოს და ახდენს კიდევაც ჩვეულებრივად შემდეგი საშუალებების გამოყენებით:

- შეეცდება გარდაქმნას მონოპოლიზებული დარგები (ბაზრები) უფრო კონკურენციულებად (ანტიტრესტული კანონების მიღება-გატარება[1]);
- მონოპოლიების ქცევის რეგულირება (ფასებზე კონტროლი);
- ზოგიერთი კერძო მონოპოლიური ფირმის სახელმწიფო საწარმოდ გარდაქმნა;
- უმოქმედობა, არაფრის გაკეთება.

თავი 3. კონკურენციის არასრულყოფილება — მონოპოლისტური კონკურენცია

როგორც ითქვა, თავისუფალი (სრულყოფილი) კონკურენცია და მონოპოლია ბაზრის ზღვრული (საზღვრითი) ფორმებია ბაზარზე მრავალრიცხოვანი ფირმის არსებობა (ბატონობა) და ბაზარზე ერთი ფირმის ბატონობა. მაგრამ ბაზრების (დარგების) უმეტესობა ამ ზღვრული ფორმების შიგნით მდებარეობს (ფუნქციონირებს), სადაც სუბიექტთა მეტოქეობა არსებობს, მაგრამ

[1] აშშ-ში მოქმედებს ჯერ კიდევ 1890 წელს მიღებული კანონები, რომლებიც კრძალავს თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ ქმედობას, აგრეთვე მონოპოლიების ფორმირებას და სხვა საქმიანობას, რომელიც ხელს შეუშლის თავისუფალ ვაჭრობას და კონკურენციას (ოქსფორდის ბიზნესლექსიკონი).

არასაკმარისი; უფრო მეტიც, მიჩნეულია, რომ თანამედროვე ეკონომიკისათვის სწორედ ასეთი არასრულყოფილი, მონოპოლისტური კონკურენციაა დამახასიათებელი.

არასრულყოფილი კონკურენციის ერთგვარ კერძო შემთხვევად დავასახელებთ (ამით დავიწყოთ) ე.წ. ოლიგოპოლიას. **ოლიგოპოლია**[1] **არის საბაზრო სტრუქტურა, სადაც რამდენიმე მომწოდებელი წარადგენს ერთნაირ ან მსგავს პროდუქციას.** ასეთ ბაზარზე გამყიდველთა რიცხვი ცოტაა, შეზღუდულია, ფირმები კი, გრძნობენ რა თავიანთი გაყიდვების, წარმოების მოცულობის, ინვესტიციების, რეკლამის და მოგების ურთიერთკავშირს და ურთიერთდამოკიდებულებას, მიმართავენ ხშირად კონკურენციის საწინააღმდეგო სხვადასხვანაირ ერთობლივ მოქმედებას.

ოლიგოპოლიური ქცევის (მანიპულაციის) ხვადასხვა ვერსიები არსებობს:

- როდესაც ყოველი მათგანი თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს, გულისხმობს რა იმას, თუ რა რეაგირება ექნებათ მის კონკურენტებს;
- როდესაც ოლიგოპოლიათა ურთიერთშეთანხმებით და პირის შეკვრით ხდება მათთვის სასიანო კონკურენციის დაძლევა (გადალახვა-შეკვეცა).

როგორ იქცევიან ოლიგოპოლიური ბაზრის სუბიექტები (მაგალითად, ორი-სამი სუბიექტი)? უბრალო ლოგიკა ჰკარნახობს მათ წარმოების მოცულობაზე მოქმედების კოორდინაციისაკენ, პირის შეკვრისაკენ, რათა მიიღონ მოგების მაქსიმუმი („გამოწურონ" მოგება). ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ სუფთა მონოპოლიას, კარტელს, შესაბამისად, სუბიექტთათვის სუფთა მონოპოლიურ მოგებას და წარმოების მონოპოლიურად დაბალ მოცულობას, დაუბრუნებადი დანაკარგების მაქსიმუმს.

მაგრამ ასეთი შეთანხმების (პირის შეკვრის) მიღწევა ძნელია, ვინაიდან, ჯერ ერთი, მოქმედებს მეტი გამორჩენის ძლიერი პირადი ეგოისტური მოტივაცია (ამის შესაძლო მიღების ვარაუდი) და, მეორე, ასეთ მოვლენებს ებრძვიან ანტიმონოპოლიური სამსახურები. ამიტომ ცალკეული სუბიექტების დამოუკიდებელი საქმიანობა განაპირობებს სუფთა მონოპოლიასთან შედარებით ერთობ მაღალი, სრულყოფილ ბაზართან შედარებით კი უფრო დაბალი წარმოების (მიწოდების) დონეს.

მთლიანად არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრებისათვის კი (და საერთოდ თანამედროვე ეკონომიკისათვის) დამახასიათებელია ე.წ. **მონოპოლისტური კონკურენცია; ხშირად არასრულყოფილი კონკურენციის და მონოპოლისტური კონკურენციის ცნებებს სინონიმებად ხმარობენ.**

მონოპოლისტური (არასრულყოფილი) კონკურენციის თეორიის შემქმნელებად აღიარებული არიან ამერიკელი მეცნიერი ეკონომისტი **ედვარდ ჩემბერლინი** („მონოპოლისტური კონკურენციის თეორია", 1933) **(1899-1967)** და ინგლისელი მეცნიერი ეკონომისტი **ჯოან რობინსონი** („არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური თეორია",1933) **(1903-1983)**.

მონოპოლისტური კონკურენციის მოდელი არის მოდელი, რომელიც აღწერს ბაზრის სტრუქტურას, სადაც ფუნქციონირებს ბევრი ფირმა, რომელიც აწარმოებს მსგავსი, მაგრამ არაიდენტური პროდუქციის მიწოდებას.[2] მონოპოლისტური კონკურენციის ყოველი ფირმა ფლობს მონოპოლიას იმ ნაწარმზე, რომელსაც ის აწარმოებს (რომელსაც აწვდის ბაზარს — მომხმარებელს); ამასთან ზოგი სხვა ფირმაც აწარმოებს (აწვდის ბაზარს) მსგავს საქონელს და იმავე მომხარებლის ნდობის მოპოვებას ცდილობს.

ასეთივე მდგომარეობაა მაშინაც, როდესაც ფირმათა უმეტესობა აწვდის ბაზარზე ე.წ. დიფერენცირებულ პროდუქციას.[3] აქაც ადგილი აქვს მონოპოლისტურ კონკურენციას, მიწოდების აქაურ სუბიექტსაც გააჩნია ერთგვარი ძალაუფლება.

მაშასადამე, მონოპოლისტური კონკურენცია შემდეგი თვისებებით ხასიათდება:

1. **გამყიდველთა მრავალრიცხოვნობა.** ამასთან აქ ფუნქციონირებად ფირმათა უმეტესობა ორიენტირებულია მომხმარებელთა ერთი და იგივე ჯგუფზე;

---

[1] **ოლიგოპოლია** — *ბერძნ.* Oligos ცოტა + puleo ვვაჭრობ.


[2] როგორც გვახსოვს, სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე ხდება ერთგვაროვანი (იდენტური) პროდუქციის მიწოდება.

[3] საქონლის დიფერენციაციას ადგილი აქვს იმ დარგებში, სადაც ყოველი მწარმოებლის პროდუქციას გააჩნია კონკურენტთა პროდუქციისაგან განმასხვავებელი რაღაცა მახასიათებლები.

2. **პროდუქციის დიფერენციაცია.** ყოველი ფირმა აწარმოებს (აწვდის ბაზარზე) პროდუქციას, რომელიც რაღაცით მაინც განსხვავდება კონკურენტის საქონლისაგან. ე.ი., ვინაიდან ფასის უფრო დამწესებელია, ვიდრე უბრალოდ მიმღები, მონოპოლისტური ბაზრის ყოველ სუბიექტს (ფირმას) საქმე აქვს კლებადი (უარყოფითად დახრილი) მოთხოვნის მრუდთან, შესაბამისად, ფასის ეფექტთან. ეს იმას ნიშნავს, რომ საქონლის დიფერენციაციას ბაზარში მონოპოლიური ელემენტი შეაქვს. მონოპოლისტური კონკურენციის ფირმა იცნობს ფასის ეფექტს, მისი მოთხოვნის მრუდი უარყოფითად არის დახრილი.
3. **ბაზარში თავისუფალი შესვლა.** აქ ბაზარში შესვლა-გამოსვლის შეზღუდვები არ არსებობს; ეს იმას ნიშნავს, რომ ბაზარზე ფირმათა რიცხოვნობა მანამდე იცვლება, სანამ არ ჩამოყალიბდება ნულოვანი ეკონომიკური მოგება. მაგრამ ეს მხოლოდ ტენდენციაა, ვინაიდან პარალელურად და პერმანენტულად მოქმედებს ბაზრის არასრულყოფილების გაღრმავება-გაფართოების და, შესაბამისად ნულოვანზე მაღალი მოგების მიღების ტენდენციაც.

მონოპოლისტური კონკურენციის ყოველი ფირმა გარკვეულწილად მონოპოლიის მსგავსად იქცევა; მოკლევადიან პერიოდში მოგების მაქსიმიზაციისათვის ის იმეორებს მონოპოლიის ქმედობას: ირჩევს წარმოების იმ მოცულობას, რომლის დროსაც ზღვრული შემოსავალი ზღვრული დანახარჯის ტოლია; ამის შემდეგ იყენებს ზღვრული შემოსავლის ზემოთ მდებარე მოთხოვნის მრუდს, რომ მიწოდების მოცულობის შესაბამისი ფასი დააწესოს თავის პროდუქციაზე.

ვაჩვენოთ ეს გრაფიკებზე (**ნახ. 5.8.**).



(ა) ფირმა მოგებას იღებს

(ბ) ფირმა ზარალს იღებს

ნახ. 5.8. ფირმა მონოპოლისტური კონკურენციის ბაზარზე მოკლევადიან პერიოდში.

გრაფიკზე მოცემულია სხვადასხვა დარგის ორი მონოპოლისტური კონკურენციის ფირმის ზღვრული შემოსავლის, ზღვრული დანახარჯების და მოთხოვნის მრუდები.

გამოშვების მოცულობები, რომლებიც უზრუნველყოფს მოგების მაქსიმიზაციას (**MR=MC**), ორივე ფირმისათვის ზღვრული შემოსავლისა და ზღვრული ხარჯების გადაკვეთაზე მდებარეობს (შესაბამისად, წერტილები **A** და A_1). მაგრამ მათი საქმიანობის შედეგი მოგების მიღების თვალსაზრისით სხვადასხვანაირია:


- (ა) გრაფიკზე ფასი საშუალო ერთობლივ დანახარჯებზე (**ATC**-ზე) მეტია. მაშასადამე, ფირმა მოგებას ღებულობს;
- (ბ) გრაფიკზე საქონლის ფასი საშუალო ერთობლივ დანახარჯზე დაბალია და ფირმა მოგებას ვერ იღებს (ის ზარალით მუშაობს). მაშასადამე, მან ოპტიმალური ქმედობის სტრატეგია ზარალის შემცირებაში უნდა ეძებოს.

ასეთი მდგომარეობა (ერთიც და მეორეც) მონოპოლისტური კონკურენციის ბაზარზე, როგორც წესი, მოკლევადიანია შემდეგი მიზეზების გამო:

- ფირმის მიერ მონოპოლისტური მოგების მიღება (გრაფიკი „ა“) ასტიმულიერებს კონკურენტებს შევიდნენ ამ ბაზარში; მაშასადამე, ამ ბაზარზე იზრდება მოწოდება და მცირდება ფასი (შესაბამისად, კლებულობს მოგება);
- წაგებიანი მუშაობა (გრაფიკი „ბ“) უბიძგებს ფირმებს ბაზრის დატოვებისაკენ. მაშასადამე, მცირდება მოწოდება და იზრდება ფასი იმ ფირმების ნაწარმზე, რომლებიც ამ ბაზარზე დარჩებიან.

და ფირმების ასეთი „მიგრაცია“ გრძელდება, სანამ მომატებული (მონოპოლისტური) მოგება არ მიაღწევს **ნულოვან ნიშნულს** (სანამ არ გაწონასწორდება მონოპოლისტურ ბაზარზე ფუნქციონირებად ფირმათა მოგება). მაგრამ ეს მოვლენაც უფრო ტენდენციაა, ვიდრე ხანგრძლივი სტაბილური რეალობა.

მონოპოლისტურ ბაზარზე გრძელვადიანი წონასწორობის დამყარებაზე შეიძლება ვისაუბროთ შემდეგი გრაფიკის გამოყენებით (**ნახ. 5.9.**).



ნახ. 5.9. ფირმა მონოპოლისტურ ბაზარზე გრძელვადიან პერიოდში.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, მონოპოლისტური ფირმის მოთხოვნის მრუდი (**D**) მხოლოდ ეხება მისი საშუალო ერთობლივი დანახარჯების მრუდს (**ATC**-ს). ვინაიდან მოგება არის პროდუქციის ერთეულის რეალიზაციისადან მიღებული ფასის (ამას კი ის პოულობს მოთხოვნის მრუდზე) და საშუალო ერთოლივი ხარჯების სხვაობა, როდესაც ეს ორი მრუდი (**D** და **ATC**) ერთმანეთს ეხება (და არ ჰკვეთს), მისი (მოგების) მოცულობა ნულის ტოლია.

ვინაიდან ეკონომიკური (მონოპოლისტური) მოგება ნულის ტოლია (გაწონასწორებულია), ახალ ფირმებს არ გააჩნიათ ამ ბაზარში შესვლის მოტივაცია, ხოლო აქ ფუნქციონირებად ფირმებს — ბაზრიდან გასვლის სურვილი. მაგრამ აქაც უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი მდგომარეობის „გრძელვადიანობაც“ მნიშვნელოვანწილად პირობითია, ვინაიდან ყოველი ფირმა პერმანენტულად ცდილობს გაატაროს თავისი ნაწარმის შემდგომი დიფერენციაცია და გამოიყენოს ამით შეძენილი ძალაუფლება მოგების გაზრდისათვის.

შეიძლება შევაჯამოთ ჩვენი მსჯელობა შემდეგი **დასკვნით**: *მონოპოლისტური კონკურენციის ბაზარზე გრძელვადიანი წონასწორობა ორი ძირითადი მახასიათებლით გამოირჩევა:*

1. *როგორც მონოპოლიურ ბაზარზე, საქონლის ფასი აქაც ფირმის ზღვრულ დანახარჯებზე მეტია. ეს კი იმასთან არის დაკავშირებული, რომ მოგების მაქსიმიზაცია მოითხოვს ზღვრული შემოსავლის ზღვრულ დანახარჯებთან ტოლობას, ხოლო მოთხოვნის მრუდის უარყოფითი დახრილობის გამო ზღვრული შემოსავალი ფასზე ნაკლებია (MR მრუდი მდებარეობს D მრუდზე დაბლა);*
2. *როგორც კონკურენციულ ბაზარზე, ისე მონოპოლისტურ ბაზარზეც ფასი საშუალო ერთობლივი დანახარჯების ტოლია; ბაზარში თავისუფალი შესვლა-გასვლის პირობა კი უზრუნველყოფს (უბიძგებს) ნულოვანი მონოპოლისტური მოგების ჩამოყალიბებას (მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ფაქტობრივად ტენდენციაა, და არა მუდმივი, სტაბილური რეალობა).*

ამ მეორე შემთხვევაში იკვეთება მონოპოლისტური კონკურენციის მონოპოლიისაგან განსხვავება:

- მონოპოლიას, როგორც საქონლის ერთადერთ მიმწოდებელს, რომლის შემცვლელი არ არსებობს, შეუძლია მიიღოს დადებითი (მონოპოლიური, ეკონომიკური) მოგება გრძელვადიან პერიოდში;
- მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში (ბაზარში თავისუფალი შესვლა — გასვლა) ფირმის ეკონომიკური (მონოპოლისტური) მოგება გრძელვადიან პერიოდში ნულის დონეზე ყალიბდება (უფრო სწორად, ასეთი ტენდენციაა, და არა სტაბილური მდგომარეობა, ვინაიდან ყოველი ფირმა პერმანენტულად ცდილობს საქონლის დიფერენციაციას და თავისი მონოპოლისტური მდგომარეობის შენარჩუნებას).

მოგების მაქსიმიზაციას რომ მიაღწიოს, ფირმა ცდილობს მოახდინოს საშუალო ერთობლივი დანახარჯების მინიმიზაცია. გამოშვების იმ მოცულობას კი, რომლის დროსაც ხდება საშუალო ერთობლივი დანახარჯების მინიმიზაცია, როგორც ვიცით, ფირმის **წარმოების ეფექტიანი მასშტაბი** ეწოდება.

დაბოლოს, ორი **დასკვნა**, რომელიც გამომდინარეობს ზემოგამართული საუბრისაგან:

- *გრძელვადიან პერიოდში სრულყოფილი კონკურენციის დროს ფირმის წარმოება იმყოფება ეფექტიანი მასშტაბის დონეზე, მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში კი — ამ დონეზე ერთგვარად დაბლა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ამბობენ, რომ ფირმას გააჩნია ჭარბი (გამოუყენებელი) სიმძლავრეები;*
- *კონკურენციული ფირმისათვის ფასი ყოველთვის ზღვრული დანახარჯების ტოლია, მაშინ როდესაც მონოპოლისტური კონკურენციის ფირმისათვის ფასი ზღვრულ დანახარჯებზე მეტია.*

რაკი სრულყოფილი კონკურენციის დროს ფასი ზღვრული დანახარჯების ტოლია (მაშასადამე, დამატებითი პროდუქციისაგან მიღებული მოგება ნულისა), კონკურენციულ ფირმას არ აინტერესებს დამატებითი მყიდველები (მოთხოვნა ჰორიზონტალურია, ის მთელ თავის პროდუქციას ისედაც გაყიდის).

მონოპოლიურად კონკურენციული (მონოპოლისტური) ფირმა კი განუწყვეტლივ ცდილობს მოიზიდოს (გადმოიბიროს) დამატებითი მყიდველი (ვინაიდან ფასი ზღვრულ დანახარჯებზე მეტია — არსებული ფასით დამატებით გაყიდული პროდუქცია მეტ მოგებას გულისხმობს).

ამრიგად, რადგან მონოპოლისტური კონკურენცია, როგორც წესი, გულისხმობს (ობიექტურად განაპირობებს) გამოუყენებელი (ჭარბი) სიმძლავრის არსებობას (ანუ რესურსების არა ბოლომდე ეფექტიან ალოკაციას), რაციონალური ქმედობის თეორიის თვალსაზრისით, თითქოსდა აუცილებელია ასეთი ბაზრის სრულყოფის (ასეთი მდგომარეობის „გამოსწორების“) მცდელობა (სახელმწიფო პოლიტიკა). მაგრამ ეს არსად არ ხდება. ამის გაკეთება ძალზე რთულია და არც არის საჭირო, ვინაიდან, ჯერ ერთი, მასში შინაგანად (ობიექტურად) არსებობს გრძელვადიან პერსპექტივაში ნულოვანი მონოპოლისტური მოგების დამყარების ბიძგი-ტენდენცია, და, მეორე, ასეთი ღონისძიებების გატარება საზოგადოებას უფრო ძვირი (მეტი) დაუჯდებოდა, ვიდრე მათგან მიღებული დადებითი შედეგი.

კითხვები და სასწავლო დავალებები

1. როდის არის წარმოების მოცულობა მეტი და რატომ:
   - სრულყოფილი კონკურენციის პირობებში?
   - მონოპოლიის პირობებში?
   - მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში?
2. რა საერთოა კონკურენციული ფირმის ზღვრული დანახარჯების მრუდსა (MC) და მისი მიწოდების მრუდს (S) შორის?
3. რა დამოკიდებულებაშია (კავშირშია) კონკურენციული ფირმის მიწოდების მრუდი გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდებში ამ ფირმის საშუალო ცვალებად და საშუალო ერთობლივ დანახარჯებთან (AVC და ATC-თან) ?
4. რა კავშირშია ერთმანეთთან მონოპოლიისთვის ზღვრული დანახარჯები, ფასი და მოგების მაქსიმიზაციის პრობლემა (პირობა)?
5. ახსენით ფირმის მიერ წარმოების მოცულობის შეწყვეტის კრიტერიუმები:
   - დროებითი (P<AVC);
   - საერთოდ (P<ATC).
6. რა არის თქვენთვის ალოკაციური ეფექტიანობა?
7. რას ნიშნავს: სამომხმარებლო ნამეტი; მწარმოებლური ნამეტი?
8. რატომ და როგორ იქმნება მონოპოლიები?
9. დაახასიათეთ კონკურენციული და მონოპოლიური ფირმების მოთხოვნის მრუდები.
10. როგორია ფასის (P), ზღვრული შემოსავლის (MR) და ზღვრული დანახარჯების (MC) შეფარდება:
    - კონკურენციული ფირმისათვის?
    - მონოპოლიისათვის?
11. როგორ აღწევს მოგების მაქსიმიზაციას ფირმა — მონოპოლისტი? აჩვენეთ გრაფიკზე.
12. სჭირდება მონოპოლიურ ბაზარს რეგულირება? თუ სჭირდება, როგორ შეიძლება ეს გაკეთდეს?
13. როგორ გესმით არასრულყოფილი (მონოპოლისტური) კონკურენცია?
14. რა მნიშვნელობა აქვს (რას უწყობს ხელს) საქონლის დიფერენციაციას?
15. როდის ღებულობს მონოპოლისტური კონკურენციის ფირმა (აჩვენეთ გრაფიკზე):
    - მაქსიმალურ (მონოპოლისტურ) მოგებას?
    - ზარალს?
16. როგორია მონოპოლისტური კონკურენციის ფირმის საქმიანობის შედეგები (აჩვენეთ გრაფიკზე) გრძელვადიან პერიოდში?
17. რა არის ფირმის წარმოების ეფექტიანი მასშტაბი?

სავარჯიშო ტესტები

შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი

№1. მოგების მაქსიმიზებული მოცულობის მიღების პირობებში კონკურენციული ფირმის ზღვრული შემოსავალი (MR):

1) ნაკლებია ზღვრული ხარჯების;
2) ტოლია ზღვრული ხარჯების;
3) მეტია ზღვრული ხარჯების;
4) ზღვრული ხარჯების და ზღვრული შემოსავლის შეფარდება არაკორექტულია.

№2. მონოპოლიის ზღვრული შემოსავალი (MR):

1) ფასზე ნაკლებია;
2) ფასზე მეტია;
3) ფასის ტოლია.
4) ზღვრული შემოსავლის და ფასის შეფარდება უაზრობაა.

№3. მონოპოლისტურ ბაზარზე ფასი ზღვრულ შემოსავალზე (MR):

1) მეტია;
2) ნაკლებია.
3) ასეთ ბაზარზე ფასი ზღვრული შემოსავლის ტოლია;
4) ზღვრული შემოსავლის და ფასების შეფარდება არაკორექტულია.

№4. სრულყოფილ კონკურენციას არ ახასიათებს:

1) ბაზარზე ბევრი ფირმის ფუნქციონირება და ერთგვაროვანი პროდუქცია;
2) მეწარმის მიერ ბაზრის ფასზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება კონკურენტების დასამარცხებლად;
3) ბაზარზე სამეურნეო სუბიექტების თავისუფლად შესვლა და ბაზრიდან თავისუფალი გასვლა.
4) ბაზრის სუბიექტების ერთმანეთთან პირის შეკვრა.

№5. მონოპოლისტმა მაქსიმალური (მონოპოლიური) მოგება რომ მიიღოს, პროდუქციის გამოშვების ისეთი მოცულობა უნდა შეარჩიოს, რომ:

1) ზღვრული შემოსავალი ტოლი იყოს ერთობლივი დანახარჯების;
2) ზღვრული ხარჯები ტოლი იყოს პროდუქციის ფასის;
3) ზღვრული შემოსავალი ტოლი იყოს ზღვრული ხარჯების;
4) ზღვრული ხარჯები ტოლი იყოს მთლიანი ხარჯების.

№6. ჩამოთვლილი თავისებურებებიდან თავისუფალ კონკურენციას არ ახასიათებს:

1) ბაზარზე სამეურნეო სუბიექტების თავისუფალი შესვლის და ბაზრიდან მათი თავისუფალი გასვლის შეზღუდვა;
2) მეწარმის მიერ ბაზრისადმი ფასის კარნახი, რაც საშუალებას აძლევს მას გააკოტროს (დაამარცხოს) კონკურენტები;
3) ბევრი ფირმის მიერ ერთგვაროვანი პროდუქციის წარმოება და გაყიდვა;
4) გამყიდველების შეთანხმება ბაზარზე ერთიანი პოლიტიკის გატარებაზე.

№7. მონოპოლისტს, რომელიც მაქსიმალური მოგების მიღებას ცდილობს, შეუძლია შეამციროს პროდუქციის ფასი, თუ:

1) საშუალო ხარჯები მცირდება;
2) ზღვრული შემოსავალი მეტია ზღვრულ დანახარჯზე;
3) მცირდება რეკლამის ხარჯები;
4) ზღვრული შემოსავალი ტოლია ზღვრული ხარჯების.

№8. მონოპოლიური მოგების მიღებისათვის მონოპოლისტმა პროდუქციის გამოშვების ისეთი მოცულობა უნდა შეარჩიოს, რომ:

1) ზღვრული შემოსავალი ტოლი იყოს მთლიანი ხარჯების;
2) ზღვრული ხარჯები ტოლი იყოს მთლიანი ხარჯების;
3) ზღვრული ხარჯები ტოლი იყოს ზღვრული შემოსავლის;
4) ზღვრული ხარჯები ტოლი იყოს პროდუქციის ფასის.

№9. ოლიგოპოლია ისეთი საბაზრო სტრუქტურაა, რომლის პირობებში საქმიანობს:

1) მრავალი კონკურენციული ფირმა;
2) რამდენიმე ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი მსხვილი ფირმა;
3) ბევრი ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელი კონკურენციული ფირმა;
4) მხოლოდ ერთი მსხვილი ფირმა.

№10 საბაზრო ფასზე ნაკლები ზღვრული შემოსავალი აქვთ:

1) კარტელის მონაწილეებს;
2) თავისუფალი ბაზრის სუბიექტებს;
3) ოლიგოპოლიებს, რომლებიც კარტელში არ შედიან;
4) მონოპოლიებს.

№11. მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში მონოპოლიური (ეკონომიკური) მოგების მიღება შესაძლებელია:


1) ხანგრძლივ პერიოდში;
2) მოკლევადიან პერიოდში;
3) მხოლოდ ერთჯერადად (წარმოების ერთი ციკლის შედეგად);
4) ასეთი მოგება მონოპოლისტურმა ფირმამ საერთოდ არ შეიძლება მიიღოს.

№12. ეკონომიკაში „დაუბრუნებელი დანაკარგი" ყველაზე მეტია:

1) მონოპოლიების ბატონობის პირობებში;
2) არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში;
3) თავისუფალი კონკურენციის პირობებში;
4) „დაუბრუნებელი დანაკარგი" არ არის დაკავშირებული ბაზრის ხასიათთან.

წარმოების ფაქტორების ბაზარი

თემა VI



თავი 1. წარმოების ფაქტორების ბაზრის საერთო დახასიათება

წარმოება რომ მოეწყოს, რაღაცა რომ შეიქმნას, საჭიროა მწარმოებელი და ის, რისგანაც შეიძლება აწარმოო ეს „რაღაცა" (სიკეთე). ეკონომიკურ მეცნიერებაში, როგორც უკვე ვიცით, გამოყოფენ წარმოების შემდეგ ფაქტორებს: შრომა, კაპიტალი, მიწა და მეწარმეობრივი უნარი. გავაფართოოთ ჩვენი ცოდნა ამ მიმართულებით.

შრომა. შრომის ქვეშ გულისხმობენ ადამიანის საქმიანობას, რომელიც მიმართულია რაღაც სასარგებლო რეზულტატის მიღებაზე; მისი საშუალებით ადამიანი გარდაქმნის ბუნების მიერ მოცემულ საგნებს (რესურსებს) თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; *„თუ ადამიანის მოქმედება (საქმიანობა, ძალა, ღონე) მიმართულია საკუთრივ თავისი თავისადმი (თამაში სიამოვნებისათვის), ასეთი ძალისხმევა არ განიხილება როგორც შრომა"* (ა. მარშალი); შრომა არის *„ადამიანის ყველა რესურსი, რომელიც არსებობს საზოგადოებაში და რომელიც ხელმისაწვდომია წარმოების პროცესში გამოსაყენებლად"* (მაკმილანის ლექსიკონი).

დროს, რომლის პერიოდშიც ადამიანი შრომობს, **სამუშაო დრო** ეწოდება.

საჭიროა აგრეთვე ვიცნობდეთ შრომის ინტენსივობას და შრომის მწარმოებლურობას. **შრომის ინტენსივობა ახასიათებს შრომის დაძაბულობას, რომელიც განისაზღვრება ფიზიკური და გონებრივი ენერგიის დროის ერთეულში დანახარჯებით.**

შრომის მწარმოებლურობა არის პროდუქციის წარმოება დროის ერთეულში. მის ზრდაში გადამწყვეტი როლი მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესს, მუშაკის საქმეში დახელოვნებას ეკუთვნის.

კაპიტალი. ეს არის წარმოების ფაქტორი, რომელიც შექმნილია თვით ეკონომიკური სისტემის მიერ (განსხვავებით შრომისა და მიწისა); პირველ რიგში ამაში გულისხმობენ მანქანებს, მოწყობილობას, საწარმოო ნაგებობებს; „კაპიტალის" ცნებას იყენებენ აგრეთვე საფინანსო აქტივების აღსანიშნავად — ეს არის კაპიტალის ფულადი ფორმა, რომელიც ჯერ ინვესტირებული (ჩადებული) არ არის წარმოების რეალურ ფაქტორში, ამიტომ ის სინამდვილეში კაპიტალი არ არის.

ხშირად კაპიტალს განმარტავენ (აღიქვამენ) როგორც ყველაფერ იმას, რაც შემოსავალს იძლევა.

კაპიტალს, რომელიც მატერიალიზებულია ნაგებობებში და მანქანა — მოწყობილობაში და რომელიც წარმოების პროცესში რამდენიმე წელიწადი (ციკლი) ფუნქციონირებს, ძირითად კაპიტალს უწოდებენ; კაპიტალის მეორე ნაწილს (სახეს), რომელიც მთლიანად იხარჯება ერთ საწარმოო ციკლში (ნედლეული, მასალები, ენერგორესურსები) **საბრუნავი კაპიტალი** ეწოდება.

თავისი ფუნქციონირების პროცესში ძირითადი კაპიტალი განიცდის ფიზიკურ და მორალურ ცვეთას. **ფიზიკური ცვეთა არის ფიზიკურ-ბუნებრივი მიზეზების გამო კაპიტალის მიერ ფასეულობის (ვარგისიანობის, მწარმოებლურობის) შემცირება ან საერთოდ დაკარგვა.**

მორალური ცვეთა არის ძირითადი კაპიტალის ფასეულობის დაცემა, მისი გაუფასურება, რაც გამოწვეულია უფრო იაფი, თანამედროვე და მაღალი მწარმოებლური ანალოგის შექმნა-გამოყენებით.

წარმოების ახალ ციკლში, საქმიანობა რომ ჩვეულებრივად გაგრძელდეს, როგორც მინიმუმი, იმავე მოცულობის კაპიტალი უნდა მონაწილეობდეს, რაც აქამდე გამოიყენებოდა. **კაპიტალის ფიზიკური და მორალური ცვეთის აღდგენა (კაპიტალის მოცულობის შენარჩუნება) საამორტიზაციო ანარიცხებით ხდება; ეს არის ძირითადი კაპიტალის ღირებულების ნაწილი, რომელიც ყოველწლიურად შედის წარმოებული პროდუქციის ღირებულებაში; ამის შესაბამისი რესურსები (სახსრები — საამორტიზაციო ანარიცხები) გადაიდება ხოლმე პროდუქციის რეალიზაციის ამონაგებიდან კაპიტალის პირვანდელი ღირებულების აღსადგენად.**

მიწა. ეს ტერმინი ფართო მნიშვნელობით გამოიყენება. მის ქვეშ იგულისხმება დედამიწის არა მარტო ის ნაწილი, რომელიც წყლით არ არის დაფარული, არამედ ისეთი ბუნებრივი რესურსები, როგორიცაა ტყეები, წიაღისეული (მადნეული), თავად ზღვის და მდინარეების რესურსები, ნიადაგის ნაყოფიერება (მოსავლიანობა).

მიწის მოსავლიანობა რომ ვახსენეთ, აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ მოვლენას კლებადი ხასიათი აქვს: სისტემატური გამოყენების კვალობაზე ის ეცემა. კლებულობს აგრეთვე ადამიანის მიერ მიწის მოსავლიანობის გაზრდისათვის გაღებული ხარჯების უკუგება. ეს მოვლენა მთლიანად ჩვენთვის უკვე ცნობილი კლებადი უკუგების კანონის შედეგია.

წარმოების მეოთხე ფაქტორად ჩვენ მეწარმეობრივი უნარი ვახსენეთ. მას სპეციალური თემა (№4) დავუთმეთ, ამიტომ ამაზე აქ დროს არ დავხარჯავთ. მარტო იმას დავუმატებთ, რომ მეწარმეობა საბაზრო ეკონომიკის, მისი ჩვეულებრივი (ტრადიციული) სამივე ბაზრის (შრომის, კაპიტალის და მიწის) განუყრელი ატრიბუტია, ამიტომ ცალკე მის ბაზარზე საუბარი არამართლზომიერია.

წარმოების ფაქტორების საერთო დახასიათებისათვის უნდა გავიხსენოთ საწარმოო ფუნქცია და ზღვრული მწარმოებლურობის თეორია.

შეგახსენებთ, რომ საწარმოო ფუნქცია პროდუქციის გამოშვებასა და ამაზე გამოყენებულ რესურსებს შორის ფუნქციური დამოკიდებულებაა:

$$Y=F(L,K\ldots)$$

მრავალწერტილი ნიშნავს, რომ წარმოებაში შეიძლება მონაწილეობდეს სხვა ფაქტორებიც, რომელთა კომბინაციის საშუალებით შეიძლება პროდუქციის წარმოება. ამასთან ამ ფაქტორებს შეიძლება ჰქონდეთ (და აქვთ კიდევაც ხშირად) ერთმანეთის ჩანაცვლების ხასიათი. უფრო მეტიც: **წარმოების ფაქტორების ურთიერთჩანაცვლება არის ნეოკლასიკური ანალიზის (თეორიის) ფუნდამენტური კონცეფცია.** ე.ი. საქმე გვაქვს ალტერნატიულ შესაძლებლობებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ მიღწევადია, რეალურია წარმოების ფაქტორების სხვადასხვა კომბინაციები; მაშასადამე, შესაძლებელია ვარიანტი, რომლის დროსაც მიღწეული იქნება ფაქტორების ოპტიმალური შეერთება (შეწყობა).

ავიღოთ მაგალითი. დავუშვათ, რომ საქმე გვაქვს სასოფლო-სამეურნეო საწარმოსთან (ფერმა), სადაც შრომის და მიწის კომბინაციის საფუძველზე შესაძლებელია რომელიმე პროდუქციის წარმოება.

მიწა (ერთეულების რაოდენობა)	შრომა (ერთეულების რაოდენობა)			
	10	20	30	40
3	700	1000	1230	1410
6	1000	1410	1730	2000
9	1200	1720	2120	2450
12	1400	2000	2450	2820

ცხრილი 1. პროდუქციის მაქსიმალური მოცულობის გამოშვებისათვის მიწისა და შრომის სხვადასხვა კომბინაციის მაგალითები (გამოშვება კგ.-ში)

წარმოების ფაქტორზე მოთხოვნა დამოკიდებულია მის უკუგებაზე, ანუ იმაზე, თუ რამდენი პროდუქციის მიღება შეიძლება მისი ერთეულის გამოყენებით. მაგრამ წარმოების ფაქტორზე მოთხოვნა მის გასაშუალოებულ პროდუქტიულობაზე კი არ არის მარტო დამოკიდებული, არამედ პირველ რიგში წარმოების ფაქტორის ზღვრულ პროდუქტზე.

რას ნიშნავს ეს?

ავიღოთ საფეიქრო ფაბრიკა, სადაც ერთი ფეიქარი (მქსოველი) ემსახურება 10 საქსოვ დაზგას. შეიძლება (დავუშვათ) გავზარდოთ დაზგების რაოდენობა ფეიქართა რიცხოვნობის უცვლელობის პირობებში (ისე, რომ, ვთქვათ, ერთი მქსოველი, 10 დაზგის ნაცვლად, მოემსახუროს 11 ან 12 დაზგას).

დაზგების პარკის ზრდა გამოიწვევს პროდუქციის ზრდას, მაგრამ ყოველი შემდეგი დაზგისაგან ნაკლები პროდუქტის მიღება ხდება (კლებადი უკუგების პრინციპი): ფეიქარი (მქსოველი) მე-11 დაზგას ისე კარგად ვერ მოემსახურება, როგორც მეათეს, მეთორმეტეს კი ისე არა, როგორც მეთერთმეტეს.

შეიძლება წარმოვიდგინოთ საწინააღმდეგო სიტუაცია: დაზგების პარკის უცვლელობის პირობებში ფეიქართა რიცხვის მომატება. ამ შემთხვევაშიც წარმოების ზრდას ექნება ადგილი, მაგრამ აქაც ყოველი დამატებული ფეიქრის გამოყენების შედეგად მიღებული პროდუქციის ნამეტი წინაზე ნაკლები იქნება.

მაშ სად არის ის ოპტიმალური ზღვარი, რომლამდეც უნდა გააგრძელოს მეწარმემ ფეიქართა რიცხოვნობის და დაზგების რაოდენობის ზრდა? გავიმეოროთ ადრეთქმული.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად მეწარმე თავის გაანგარიშებებში რთავს წარმოების ფაქტორების (შრომის, კაპიტალის) საბაზრო ფასს (ე.ი. გადაწყვეტილებას ხარჯებისა და შემოსავლის შედარების საფუძველზე აკეთებს):

- ის მანამდე გააგრძელებს დამატებით ფეიქართა დაქირავებას, სანამ უკანასკნელის (ზღვარი) შრომის ანაზღაურება (ეს კი შრომის ერთეულის საბაზრო ფასია, ხელფასია) არ გაუტოლდება მისი დაქირავების შედეგად მიღებული პროდუქციის საბაზრო ფასს (ამის შემდეგ ფეიქართა რიცხოვნობის ზრდა წაგებიანი იქნება);
- ასევე აკეთებს ის დაზგების (კაპიტალის წარმოებაში ჩართვის) რაოდენობის საკითხის გადაწყვეტისასაც: მანამდე გააგრძელებს დაზგების რაოდენობის მომატებას, სანამ უკანასკნელი (ბოლო, ზღვრული) დაზგის წარმოებაში ჩართვით გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი (ამონაგები) არ გაუტოლდება ერთი დაზგის საბაზრო ფასს.

ე.ი. სრულყოფილი კონკურენციის და მეწარმის რაციონალური ქცევის პირობებში შრომის ზღვრული პროდუქტი ფულად გამოხატულებაში ტოლია ხელფასისა, ანუ შრომის ფასეულობის (ასევე კაპიტალის ზღვრული პროდუქტი — პროცენტისა, ანუ კაპიტალის ფასისა, მიწის ზღვრული პროდუქტი — რენტისა, ანუ მიწის ფასისა).

ზღვრული პროდუქტი ფულად გამოხატულებაში (ზღვრული შემოსავალი), როგორც ვიცით, შემდეგი ფორმულით განისაზღვრება:

MR=MQxP, სადაც:

MR — არის ზღვრული პროდუქტი ფულად გამოხატულებაში; (ანუ ზღვრული შემოსავალი);

MQ — ზღვრული ფიზიკური პროდუქტი;

P — პროდუქციის ფასი.

ზღვრული პროდუქტის კონცეფცია საშუალებას იძლევა გადაწყვეტილ იქნეს წარმოების დანახარჯების მინიმიზაციის პრობლემა ორი ან რამდენიმე ფაქტორის შესაძლო შენაცვლების პირობებში.

როგორ დავადგინოთ ჩვენს ზემოგანხილულ პირობებში, თუ რამდენი ფეიქარი უნდა დაიქიროს ფირმამ და რამდენი დაზგა უნდა შეიძინოს?

ამ შემთხვევაში საჭიროა შრომის ზღვრული პროდუქტის ფიზიკური მოცულობა შევადაროთ შრომის ფასს (ხელფასს), ხოლო დაზგის ზღვრული პროდუქტის ფიზიკური მოცულობა დაზგის ფასს.

წარმოების ერთი ფაქტორის ("A") მეორე ფაქტორით ("B") შენაცვლება კი მანამდე უნდა გაგრძელდეს, სანამ წარმოების ამ ფაქტორის ზღვრული პროდუქტის ფიზიკური მოცულობის მის ფასთან შეფარდება არ გაუტოლდება მეორე ფაქტორის ზღვრული პროდუქტის ფიზიკური მოცულობის მის ფასთან შეფარდებას (სანამ არ გახდება ამ ფაქტორის ფასის პროპორციული):

$$\frac{\text{"A" ფაქტორის ზღვრული ფიზიკური პროდუქტი}}{\text{"A" ფაქტორის ფასი}} = \frac{\text{"B" ფაქტორის ზღვრული ფიზიკური პროდუქტი}}{\text{"B" ფაქტორის ფასი}}$$

რაციონალური ეკონომიკური ქცევა გულისხმობს, რომ წარმოების უფრო ძვირი ფაქტორი შეიცვალოს უფრო იაფით. ზემოთ მოყვანილი განტოლება გვიჩვენებს ამ შენაცვლების ფარგლებს (საზღვრებს).

განვიხილოთ მაგალითი (ცხრილი 2).

დავუშვათ, რომ რაღაც პროდუქციის 100 ერთეული შეიძლება წარმოებული იქნეს შრომის და კაპიტალის სხვადასხვა მოცულობების შეერთების საფუძველზე.

ამასთან:

- შრომის ერთეულის ფასია (ხელფასი) ... $2;
- კაპიტალის ერთეული ღირს ... $3.

პროდუქციის მოცულობა	კაპიტალი — K, ერთეული	შრომა — L, ერთეული	კაპიტალის დანახარჯი — $	შრომის დანახარჯი — $	ჯამური დანახარჯი — $
100	6	1	18	2	20
100	3	2	9	4	13
100	2	3	6	6	12
100	1	6	3	12	15

ცხრილი 2.

ფაქტორების ნებისმიერი შეერთება (მაგ; **6K** და **1L**, **3K** და **2L** და ა.შ) იძლევა პროდუქციის ერთნაირ მოცულობას (100), ამასთან, როგორც ცხრილიდან ჩანს, მეწარმე აირჩევს **2K** და **3L** შეერთებას, ვინაიდან ერთნაირი შედეგის პირობებში სწორედ ამ შემთხვევაშია ჯამური დანახარჯი — **$12** (6 დოლ. + 6 დოლ.) ყველაზე დაბალი.

განზოგადებული დასკვნის გამოტანისა და საკითხში მეტი სინათლის შეტანის მიზნით გადავიტანოთ ეს მონაცემები გრაფიკზე და ავაგოთ თანაბარი პროდუქტის მრუდი, ანუ გულგრილობის მრუდი (იგივე **იზოკვანტა**) (იხილეთ შემდეგ გვერდზე 6.1.).


მოცემული ფასების პირობებში შეიძლება გაკეთდეს **L** და **K** ფაქტორების შემდეგი კომბინაციები: **1,5Lx$2=1Kx$3($3); 3Lx$2=2Kx$3($6); 6Lx$2=4Kx$3($12); 7,5Lx$2=5Kx $3($15).**

6.2. გრაფიკზე (იხილეთ შემდეგ გვერდზე) ავაშენოთ ერთნაირი დანახარჯის რამდენიმე ხაზი. ე.ი. აბსცისას და ორდინატას ღერძებზე შევაერთოთ წერტილები, სადაც წარმოების ფაქტორებზე ხარჯები ერთნაირია; ასეთ ხაზებს **იზოკოსტას** უწოდებენ. ეს მეწარმის ბიუჯეტური შეზღუდვებია (პირველ შემთხვევაში **$3**, მეორე შემთხვევაში **$6** და ა.შ.).


შევაერთოთ ეს ორი ნახაზი — თანაბარი პროდუქტების (გულგრილობის) და მრავალი თანაბარი დანახარჯის იზოკოსტები (მრუდები) — (იხილეთ მომდევნო გვერდზე **ნახ. 6.3**).

"**C**" წერტილზე გაულგრილობის მრუდი (იზოკვანტა) ეხება (და არ ჰკვეთს) 12 დოლარის მაჩვენებელ იზოკოსტას (**2Kx3** დოლ. + **3Lx2** დოლ. = **12**დოლ.).


ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოების ფაქტორების ნებისმიერი სხვა შეერთება ამ ვარიანტზე უფრო ხარჯვითი (ე.ი. უარესი) იქნება.



ნახ. 6.1.



ნახ. 6.2.



ნახ. 6.3.

დაბოლოს, ზემომოყვანილ მოსაზრებასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს შემდეგი:

1) ზღვრული მწარმოებლურობის ეს დებულება გამოიყენება მხოლოდ წარმოების ფაქტორების ურთიერთშენაცვლების პირობებში. თუ ასეთი შენაცვლება (ჩანაცვლება) შეუძლებელია, შეუძლებელი იქნება ერთი ფაქტორის ზღვრული პროდუქტის გამოყოფა (გამოცალკევება) სხვა ფაქტორის (ფაქტორების) ზღვრული პროდუქტისაგან; ასეთ შემთხვევაში ერთი ფაქტორის გამოყენების გაზრდა სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში მხოლოდ რესურსების განიავება-გაფლანგვა იქნება წარმოების მოცულობაზე ყოველგვარი დადებითი ზემოქმედების გარეშე. პრაქტიკაში ურთიერთშეუნაცვლობის მაგალითები იშვიათია;
2) ერთი ფაქტორის მეორე ფაქტორით შეცვლის პრინციპი მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც ამა თუ იმ ფაქტორის მოზიდვის გადაწყვეტილების გადახედვა (შეცვლა) ადვილად შეიძლება. ე.ი. ეს პრინციპი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, უპირველეს ყოვლისა, საბრუნავი კაპიტალის მიმართ; შრომის მიმართ ასეთი ქმედობა შეზღუდულია პროფკა-

ვშირებთან დადებული ხელშეკრულებებით. მიწის (ასევე ძირითადი კაპიტალის) მიმართ ამ პრინციპის გამოყენებას ხელს უშლის მისი იჯარით აღების ვადები.

3) დაბოლოს, კიდევ ერთი საერთო შენიშვნა უნდა გავაკეთოთ. **წარმოების ყველა ფაქტორი (შრომა კაპიტალი, მიწა) საქონელია (მართალია, სპეციფიკური, მაგრამ მაინც საქონელი) და მათ ყიდვა-გაყიდვასაც ბაზარზე მოთხოვნის და მიწოდების კანონები განაპირობებს.** ამასთან ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ, ჩვეულებრივი საქონლისაგან განსხვავებით, **წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნა წარმოებული ხასიათისაა:** წარმოების ფაქტორების მყიდველს (მეწარმეს) ისინი წარმოების ორგანიზაციისათვის სჭირდება და არა უშუალოდ მოსახმარად. ე.ი. წარმოების ფაქტორების „მოხმარება" მათი წარმოებაში ჩართვაა. თუ მათი ასეთი გამოყენება უზრუნველყოფს საბოლოო მოხმარების საქონელ-მომსახურების შექმნას (წარმოებას), რომლის რეალიზაციის შედეგად შესაძლებელია მოგების მიღება, მხოლოდ ამ შემთხვევაში წარმოიქმნება ბაზარზე მოთხოვნა წარმოების ამა თუ იმ ფაქტორზე (შრომაზე, კაპიტალზე, მიწაზე).

თავი 2. შრომის ბაზრის ანალიზი

შრომის ბაზარი არის ბაზარი (**ბირჟა**), სადაც ხდება კონკრეტული შრომის მიწოდება და დაქირავება კონკრეტული სამუშაოების შესასრულებლად და მიმდინარეობს შრომის ამ სახეების ანაზღაურების განსაზღვრის პროცესი. გარდა ამისა, შრომის ბაზარზე ხდება ხელფასის მოძრაობა და მუშაკთა მოძრაობა სხვადასხვა სამუშაოების და სამუშაოს მიმცემთა (დამქირავებელთა) შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინ „ბაზრის" გამოყენება არ ნიშნავს შრომისა და სხვა საქონლის იდენტურობას. შინაარსობრივად ეს უფრო ის „ადგილია", სადაც ურთიერთმოქმედებენ შრომაზე მოთხოვნა და მისი მიწოდება.

არსებობს შრომის „ადგილობრივი" („გარე") და „შინა" ბაზრები. **„შრომის ადგილობრივი ბაზარი", იგივე „გარე" ბაზარი, არის ფაქტობრივად პროფესიულად დანაწილებული სამუშაო ძალის სივრცობრივი განაწილება, რომელიც დაკავშირებულია ადამიანების ფინანსურ და ფსიქოლოგიურ დანახარჯებთან.** ამით არის გამოწვეული ის, რომ სამუშაო ძალის დიდი ნაწილი სამუშაოს ეძებს კონკრეტულ ტერიტორიაზე (კონკრეტულ სივრცეში, მაგალითად, თბილისელები — თბილისში); შრომის მიწოდება ნაკლებ ელასტიკურია. ასევე იქცევიან დამქირავებლებიც. ეს მიზეზები იწვევს შრომის ბაზრის ბევრ მახასიათებელში (დასაქმების სტრუქტურა და დონე, ანაზღაურება და სხვ.) განსხვავებულობას.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ბაზრის საზღვრების გავლება რთულია.

შრომის გარე (ადგილობრივი) ბაზარი არის ბაზარი გარკვეული რაოდენობის მუშაკებისთვის, რომლებიც შესაძლებელია დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნენ ახალ სამუშაო ადგილზე (ან პოტენციურად შეიძლება მათი მოზიდვა).

შრომის „შინა" ბაზარი არის სიტუაცია, როდესაც შრომაზე მოთხოვნა და შრომის მიწოდება ხორციელდება ფირმის შიგნით, გარე ბაზარზე გასვლის გარეშე. ამ შემთხვევაში დამოკიდებულება „თავისიანების" (ფირმაში უკვე მომუშავეების) და „უცხოების" მიმართ მკვეთრად განსხვავებულია.

შრომის ბაზარზე, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ბაზარზე, მიმდინარეობს მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედება. ამ ბაზარზე მოთხოვნას წარმოადგენენ (მოთხოვნის სუბიექტებია) ბიზნესი და სახელმწიფო, მიმწოდებლად კი საოჯახო მეურნეობები გვევლინება (მიწოდების სუბიექტები).


ყიდვა-გაყიდვის (დაქირავება-გაქირავების) საგანია შრომა (შრომის უნარი). მოთხოვნა-მიწოდების გრაფიკის შედგენა კი ხდება ცალკეულ მეწარმეთა მოთხოვნის ფუნქციების, ასევე ცალკეული მუშაკების მიწოდების ფუნქციების აგრეგირების შედეგად.

მოდელის შედგენისათვის საჭიროა რიგი დაშვების გაკეთება, მ.შ. იმისა, რომ საქმე გვაქვს სრულყოფილი კონკურენციის ბაზართან. ამ ბაზარზე მეწარმეების მიერ მუშაკთა დაქირავების ოდენობას (დაქირავებულ მუშაკთა რიცხოვნობას) ორი პარამეტრი განაპირობებს:

- რეალური ხელფასი ($\frac{W}{P}$) და
- ზღვრული პროდუქტის ღირებულება (ფულადი გამოხატულება).

როგორც უკვე ვიცით, ფირმაში დაქირავებულ მუშაკთა რიცხოვნობის ზრდის კვალობაზე კლებულობს შრომის ზღვრული პროდუქტი. ესე იგი დამატებითი შრომითი ერთეულის მოზიდვა შეწყდება, როგორც კი შრომის ზღვრული პროდუქტის ღირებულება გაუტოლდება ხელფასს.

გასაგებია, რომ შრომაზე მოთხოვნა მის ფასთან (ხელფასთან) უკუდამოკიდებულებაშია: სხვა თანაბარ პრიობებში, ხელფასის ზრდის შემთხვევაში მეწარმე შესაბამისად შეამცირებს შრომაზე მოთხოვნას; ხელფასის შემცირებისას კი შრომაზე მოთხოვნა იზრდება.



ნახ. 6.4. შრომაზე მოთხოვნის მრუდი, როგორც კლებადი ზღვრული შემოსავლიანობის ასახვა.


ხელფასის ოდენობასა და შრომაზე მოთხოვნას შორის არსებული ფუნქციური დამოკიდებულება შეიძლება გამოვხატოთ შრომაზე მოთხოვნის მრუდით (**ნახ. 6.4.**) — ეს უკუდამოკიდებულებაა. აბსცისაზე შრომაზე მოთხოვნის მოცულობა გვაქვს განლაგებული (L), ორდინატზე კი რეალური ხელფასი ($\frac{W}{P}$).

D_L მრუდზე (შრომაზე მოთხოვნის მრუდი) ყოველი წერტილი გვიჩვენებს აბსცისაზე (პერპენდიკულარის ჩაშვებით), თუ რამდენია შრომაზე მოთხოვნა შესაბამისი ხელფასის პირობებში.

მრუდის კონფიგურაცია და მისი უარყოფითი დახრილობა იმის გამოხატვაა, რომ უფრო დაბალ ხელფასს შრომაზე მეტი მოთხოვნა შეესატყვისება და პირიქით.

სხვანაირადაა საქმე შრომის მიწოდების ფუნქციასთან დაკავშირებით. შრომის მიწოდებაც იმ ხელფასის მოცულობაზეა დამოკიდებული (იმ რეალურ $\frac{W}{P}$-ზე), რომლის მიღებას (მწარმოებლური მომსახურებით სარგებლობას) აპირებს დამქირავებელი; როგორც წესი, შრომის მიმწოდებლები ზრდიან შრომის მიწოდებას ხელფასის ზრდის შემთხვევაში. ამიტომ შრომის მიწოდების მრუდი სხვანაირად გამოიყურება — აქ შრომის მიწოდებას და ხელფასს შორის პირდაპირი კავშირი ყალიბდება: რეალური ხელფსის ზრდის შემთხვევაში შრომის მიწოდება იზრდება (იხილეთ შემდეგ გვერდზე **ნახ. 6.5.**).

შრომის მიწოდება მუშაკისათვის არის მის მიერ დროის სხვანაირად გამოყენების დაკარგული შესაძლებლობა, რომელსაც ზრდადი ხასიათი აქვს. ამიტომ შრომის მიწოდების მრუდი მაღლა (მარჯვნივ) მიემართება.



ნახ. 6.5. შრომის მიწოდების მრუდი.

პ. სამუელსონის აზრით, საზოგადოებაში შრომის ერთობლივ მიწოდებას, როგორც მინიმუმი, შემდეგი პარამეტრები განაპირობებს:

1. მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა;
2. მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში თვითშემოქმედთა წილი;
3. საათების საერთო ოდენობა, რომელსაც მუშაობას მოანდომებს მოსახლეობა კვირის ან წლის განმავლობაში;
4. იმ შრომის ხარისხი და კვალიფიკაცია, რომელსაც დახარჯავენ მუშები.

სანამ შრომის მოთხოვნისა და შრომის მიწოდების მრუდებს გავაერთიანებთ, შევჩერდეთ ორ მნიშვნელოვან და საინტერესო მოვლენაზე — **შენაცვლების ეფექტზე** (რომელსაც ჩვენ უკვე ვიცნობთ), და **შემოსავლის ეფექტზე**. ეს ეფექტები მოქმედებს როგორც ჩვეულებრივ საქონელთა ბაზარზე, ისე შრომის ბაზარზე. მათი შესწავლა ნიშნავს იმას, რომ გავერკვეთ, თუ როგორ იმოქმედებს მშრომელთა გარკვეული ჯგუფის ან ინდივიდის შრომის მიწოდებაზე ხელფასის განაკვეთის ზრდა.

ერთი შეხედვით, ამან შრომის მიწოდება უნდა გაზარდოს. ეს, მართლაც, ასე ხდება, სანამ „თამაშში არ ჩაერთვება“ შენაცვლების და შემოსავლის ეფექტები.

ხელფასის ზრდა ნიშნავს შრომის ერთი საათის უფრო მაღალ ანაზღაურებას. ამ შემთხვევაში თავისუფალი ერთი საათის შეწირვით ადამიანი უფრო მეტ სარფს მიიღებს, ვიდრე ნაკლები ხელფასის დროს; ამავდროულად ის მეტ თავისუფალ დროს შეწირავს.

თუ ადამიანს დამატებითი შრომის გაწევის განწყობა გაუჩნდა (და უჩნდება კიდევაც ხშირად), ის შეეცდება შეცვალოს თავისუფალი დრო (ნაკლები სიკეთე) სამუშაო დროით; ე.ი. მეტი თავისუფალი დროის შეწირვით მეტი სარგებელი მიიღოს. ამ შემთხვევაში მოცალებას (თავისუფალ დროს) დამატებითი სამუშაო დრო ჩაენაცვლება (ანუ ის საქონელ-მომსახურება, რასაც მუშაკი ამ დროში მიღებული ანაზღაურებით შეიძენს). ეს არის **ჩანაცვლების (იგივე შენაცვლების) ეფექტი.**


ასეა ეს როგორც ერთი ადამიანის, ისე მთლიანად ოჯახის მიმართ: **ნაკლები შემოსავლის მქონე ოჯახების წევრებში დასაქმებულების კუთრი წონა უფრო მაღალია.**

მაგრამ ჩანაცვლების (შენაცვლების) ეფექტს შრომის მიწოდების საქმეში ეწინააღმდეგება (ეპირისპირება) შემოსავლის ეფექტი. თანაც ეს უკანასკნელი სულ უფრო შესამჩნევი ხდება ადამიანის (ოჯახის) შემოსავლის ზრდის, კეთილდღეობის ამაღლების კვალობაზე. როდესაც ოჯახის კეთილდღეობა მაღლდება, თვით თავისუფალი დროის ღირებულების გადაფასება ხდება: ეს დრო უკვე აღარ გეჩვენება ხელფასიდან გამოკლებად[1], არამედ სულ უფრო წარმოჩინდე-

[1] ასე ვთვლით, როცა ცოტას ვმუშაობთ (ცოტა გვაქვს სამუშაო) და მეტი თავისუფალი დროით ვსარგებლობთ.

ბა ტკბობის, სიამოვნების და სიხარულის ასპარეზად. ამიტომ ადამიანს ლოგიკურად უჩნდება სურვილი არა მარტო მეტი საქონელ-მომსახურება შეიძინოს (მეტი შრომით და მეტი თავისუფალი დროის შეწირვით მიღებული მაღალი ანაზღაურების შედეგად), არამედ ფლობდეს მეტ თავისუფალ დროს და უფრო შინაარსობრივად გამოიყენოს იგი (მით უმეტეს, რომ ამის საშუალებას აძლევს კეთილდღეობის უკვე მოღწეული მაღალი დონე). თავისუფალი დროის გაზრდა შეიძლება, თუ ადამიანი „შეიძენს" მას შრომის მიწოდების შეზღუდვის (შემცირების) შედეგად შემოსავლის არმიღებით (შეწირვით).

ზემოგანხილული მიზეზების გამო ცალკეული ადამიანის, ოჯახის ან ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის შრომის მიწოდების მრუდი ღებულობს ქვემოთ ნაჩვენებ სახეს (**ნახ. 6.6.**).



ნახ. 6.6. ინდივიდის, მუშაკთა ჯგუფის შრომის მიწოდების მრუდი (შემოსავლის ეფექტის ზემოქმედება).

გრაფიკიდან ჩანს, რომ **A** წერტილამდე ხელფასის ზრდა შრომის მიწოდების ზრდას განაპირობებს. მაგრამ **A** წერტილიდან იწყება შემოსავლის ეფექტის მოქმედება და შრომის მიწოდების შემცირება ხელფასის ზრდის კვალობაზე.

ე.ი. **A** წერტილზე არსებული ხელფასი ($\frac{W}{P}_A$) არის შრომის მიწოდების მაქსიმუმი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ხელფასის მატებამ კონკრეტული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისათვის.


ამის შემდეგ შემოსავლის ეფექტი უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე შენაცვლების ეფექტი. მაგრამ იმის ზუსტი დადგენა, თუ რომელი ეფექტია უფრო ძლიერი ხელფასის ამა თუ იმ დონისას, პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან სხვადასხვა ადამიანების, ოჯახების, ადამიანთა ჯგუფების რეაქცია რეალური ხელფასის ზრდაზე განსხვავებულია.

ამასთან ერთი რამის აღნიშვნაც აუცილებელი იქნება: მოღუნვადი (მოხრადი) შრომის მიწოდების მრუდი დამახასიათებელია მხოლოდ შრომის ინდივიდუალური (და ჯგუფური) მიწოდებისათვის. მთლიანად ეკონომიკისათვის კი შრომის მიწოდებას ყოველთვის დადებითი დახრილობა ექნება.

ამიტომ ამჯერად უკვე შევაერთოთ ჩვენ მიერ კონსტრუირებული შრომის მოთხოვნის და შრომის მიწოდების მრუდები (იხილეთ **ნახ. 6.4. და ნახ. 6.5.** შემდეგ გვერდზე).

აქ წარმოდგენილ გრაფიკზე მნიშვნელოვანია **E** წერტილი. ამ წერტილზე შრომის მიწოდება შრომაზე მოთხოვნის ტოლია, ე.ი. შრომის ბაზრის წონასწორობასთან გვაქვს საქმე.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ $_E$ ხელფასი წონასწორობის ხელფასია, ე.ი. ყველა დამქირავებელი, რომელიც ($\frac{W}{P}_E$) ხელფასის ანაზღაურებაზეა თანახმა, ბაზარზე შრომის საჭირო მოცულობას პოულობს; მათი შრომის დაქირავების სურვილი (განწყობა) მთლიანად დაკმაყოფილებულია.



ნახ. 6.7. შრომის ბაზრის წონასწორობა.

ამავდროულად ამ პირობებში შრომის ყველა მიმწოდებელი პოულობს სამუშაოს წონასწორობის ხელფასის მიღებით. საბაზრო წონასწორობის მდგომარეობაში სამუშაოზე მოწყობილია (ეწყობა) ყველა მუშაკი, ვინც თანახმაა $\frac{W}{P}_E$ რეალური ხელფასის პირობებში შესთავაზოს თავისი შრომა. ამიტომ წერტილი **E** განსაზღვრავს **მთლიანი დასაქმების** მდგომარეობას.

ნებისმიერი სხვანაირი ანაზღაურების პირობებში, გარდა $\frac{W}{P}_E$ ხელფასისა, წონასწორობა შრომის ბაზარზე ირღვევა. $\frac{W}{P}_E$ არის **შრომის ბაზარზე წონასწორობის ფასი.**

თუ ბაზარზე ფაქტობრივი ხელფასი წონასწორობის ფასზე მაღალი აღმოჩნდება ($\frac{W}{P}^I$), ეს იმას ნიშნავს, რომ ბაზარზე შრომის მიწოდება (**O – LS'**) შრომის მოთხოვნაზე (**O – LD'**) მეტი იქნება. ე.ი. წარმოიქმნება უმუშევრობა (მანძილი **LD'-LS'**).

თუ, პირიქით, ბაზარზე ფაქტობრივი ხელფასი წონასწორობის ფასზე დაბალი აღმოჩნდება ($\frac{W}{P}_{II}$), შრომაზე მოთხოვნა (ე.ი. სამუშაო ადგილები) შრომის მიწოდებაზე მეტი იქნება (მანძილი **LD' — LS''**).

ეს ორივე სიტუაცია (უმუშევრობა და ზედმეტი სამუშაო ადგილები) სრულყოფილი კონკურენციის პირობებში არ შეიძლება ხანგრძლივ პერიოდში არსებობდეს, ვინაიდან შრომის ბაზარიც ობიექტურად წონასწორობისაკენ მიისწრაფვის[1]:

პირველ შემთხვევაში (წონასწორულზე მაღალი ხელფასის პირობებში, როდესაც შრომაზე მოთხოვნა მის მიწოდებაზე ნაკლებია — უმუშევრობა) უმუშევრები განეწყობიან უფრო იაფად გაყიდონ შრომა; შრომის ანაზღაურების ერთგვარ შემცირებაზე (კონტრაქტის გაწყვეტის საშიშროების გამო) თანახმა არიან დასაქმებულებიც. მეწარმეები კი თანახმა იქნებიან მეტი მუშაკი დაიქირავონ უფრო დაბალი ანაზღაურებით (რადგან მუშაკები უფრო დაბალ ანაზღაურებაზე თანხმდებიან).

მეორე შემთხვევაში (როდესაც დაბალი ფაქტობრივი ხელფასის გამო შრომაზე მოთხოვნა მიწოდებაზე მეტია) სხვა სურათს ვხედავთ: სამუშაოს მიმცემები (დამქირავებლები) დაინტერესე-

[1] მაკროეკონომიკის ნაწილში (კეინსის თეორიის განხილვისას) ჩვენ დავინახავთ, რომ ასეთ მოვლენას ეკონომიკის ციკლური განვითარების გამო შეიძლება ჰქონდეს ადგილი და საჭირო იქნება შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება.

ბული არიან შეავსონ ცარიელი ადგილები და თანხმდებიან ანაზღაურების ერთგვარ გაზრდაზე; ეს კი განაპირობებს შრომის მიმწოდებლების რიცხოვნობის გაზრდას (შრომის მიწოდების მატებას).

საბოლოო ჯამში როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ბაზარზე წონასწორობა დგება სამუშაო ძალის სრული დასაქმებით და წონასწორობის ხელფასით.

შრომის მოთხოვნა-მიწოდების ანალიზი თავისთავად ხსნის იმ მოვლენას, თუ რატომ არის ხელფასი მაღალი ან დაბალი და რატომ არსებობს განსხვავება ხელფასის განაკვეთებს შორის. მაგრამ ამ საკითხის განხილვას ცოტა მეტი დრო უნდა დავუთმოთ.

ხელფასის მოცულობა დამოკიდებულია შრომის ხარისხზე, კვალიფიკაციაზე და პროფესიონალიზმზე: რომელი შრომის შესრულებასაც მეტი წინასწარი მომზადება სჭირდება (ვთქვათ, ექიმის, იურისტის, ბუღალტრის), ის, სხვა თანაბარ პირობებში, ბაზარზე უფრო ძვირად ფასობს (ხარჯები, „შენაწირები" უნდა ანაზღაურდეს). ასეთი შრომა უფრო შედეგიანია.

ამასთან არსებობს სამუშაოები, რომელთა შესრულებას წინასწარი სერიოზული მომზადება არ სჭირდება (მძიმე, ჭუჭყიანი), მაგრამ ისინი ნაკლებმიმზიდველია; ამავდროულად ასეთი სამუშაოების შესრულება საზოგადოებისთვის, ფირმისათვის აუცილებელია. სხვა თანაბარ პირობებში, ასეთი შრომაც ბაზარზე უფრო ძვირად ფასობს.

ხელფასის ასეთ დიფერენცირებას, რომელიც გამოწვეულია შრომის ხასიათში არამატერიალური განსხვავების (კვალიფიკაციის მიღების დანახარჯების მინიმალური დონე) კომპენსირების, არაპრესტიჟულობის (სიმძიმის) გადაფარვის აუცილებლობით, „გამაწონასწორებელი განსხვავებები" ჰქვია.

მაგრამ შრომის ხასიათში ისეთი განსხვავებებიც არსებობს, რომლებიც გამაწონასწორებელ განსხვავებებში არ შედის. ეს არის ადამიანების შინაგანი ობიექტური ხარისხობრივი თავისებურება (განსხვავებულობა — მათი ტალანტი, ნიჭიერება, უნარი). ამბობენ, რომ განსაკუთრებით ნიჭიერი ადამიანების შემოსავალში რენტის (მიწის აბსოლუტური — ეკონომიკური რენტის ანალოგიური) ელემენტები არსებობს.

შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ანალიზის საფუძველზე ჩვენ გავაკეთეთ დასკვნა, რომ შრომის ბაზარიც წონასწორობისაკენ მიიღტვის, მაშასადამე, სრულყოფილი კონკურენციის, „სუფთა" საბაზრო ეკონომიკის პირობებში შრომის ბირჟაზე ხანგრძლივი უმუშევრობა არ უნდა იყოს.

მაგრამ ხომ არსებობს ზოგჯერ.

ამის მიზეზებში ჩვენ კურსის მაკროეკონომიკის ნაწილის შესწავლისას გავერკვევით დეტალურად. აქ კი განზოგადებულად ვიტყვით, რომ **ხანგრძლივი (ე.წ. „ბუნებრივი") უმუშევრობის ძირითად მიზეზად ნეოკლასიკურ თეორიაში აღიარებულია ეკონომიკაში პერმანენტულად მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები და ბაზარში არასრულყოფილი კონკურენციის არსებობა.** კონკრეტულად შრომის ბაზართან მიმართებაში ეს უკანასკნელი ეხება ამ ბაზარზე სახელმწიფოს და პროფკავშირების ქმედობას, აგრეთვე მსხვილი კორპორაციების (მონოპოლიების) ხელფასის პოლიტიკას. მეორე ნაწილშივე ვისაუბრებთ ციკლურ უმუშევრობაზე.

თავი 3. კაპიტალის ბაზრის ანალიზი

კაპიტალი როგორც წარმოების ფაქტორი. მისი სუფთა მწარმოებლურობა

კაპიტალი როგორც წარმოების ფაქტორი ჩვენ უკვე დავახასიათეთ წარმოების სხვა ფაქტორებთან ერთად. აქ კი ეს ჩვენი ცოდნა კიდევ უფრო გავაფართოოთ, რომ კაპიტალის ბაზრის ფუნქციონირება გავაანალიზოთ და მისი მექანიზმების ქმედობაში გავერკვეთ.

კაპიტალი ჩვენ განვმარტეთ როგორც შემოსავლის (პროცენტის) მომტანი ღირებულება, რაც დაკავშირებულია მისი მიმდინარე (დღესვე, ახლავე) მოხმარებისაგან თავშეკავებასთან შედარებით შემდგომში (მომავალში) მეტის მოხმარებისათვის. არ შევცოდებთ, თუ „მოგებაზეც" ვისაუბრებთ, როგორც ეს ლიტერატურაში გვხვდება (მ.შ. ჩვენ პუბლიკაციებშიც), მაგრამ

მაინც, ეტყობა, უფრო ზუსტია ვილაპარაკოთ, რომ **კაპიტალს მოაქვს შემოსავალი (პროცენტი, რენტა); მოგებას კი ღებულობს მეწარმე — როგორც „მეწარმეობრივი უნარის" ფაქტორის ანაზღაურებას.**

შემოსავლის მიღების თვალსაზრისით, კაპიტალია აგრეთვე ფასიანი ქაღალდები, ადამიანური კაპიტალი, მინა. მაგრამ კაპიტალის ასეთი განმარტება ნამეტნავად განზოგადებული და გაფართოებულია.

კაპიტალის ბაზრის ანალიზისას კაპიტალის ქვეშ იგულისხმება იმ ფიზიკური კაპიტალის (საწარმოო ფონდების) შეძენის სახსრები, რომლის გამოყენება უზრუნველყოფს ახალ სიკეთეთა (ახალი დოვლათის) შექმნას და, შესაბამისად, ამ ფაქტორის მესაკუთრის მიერ შემოსავლის (პროცენტის, რენტის) მიღებას. საწარმოო ფონდები ის კაპიტალური სიკეთეა, რომლის შეძენა — გამოყენებით შესაძლებელია შემოსავლის ნაკადის გაზრდა (ამასთან ყოველთვის გვახსოვს, რომ კაპიტალის ბაზარზე რეალური კაპიტალი კი არ იყიდება, არამედ მისი შეძენისათვის საჭირო ფინანსური რესურსები).

კაპიტალის მწარმოებლურობა დაკავშირებულია წარმოების იმ არაპირდაპირ (შემოვლით) მეთოდთან, რაც, თავის მხრივ, შედეგია დროის იმ ლაგისა (დახანებისა), რომელიც არსებობს წარმოების დაწყებასა და მის რეზულტატს შორის.

რას ნიშნავს ეს?

ავიღოთ მაგალითი. *წარმოვიდგინოთ რობინზონი უკაცრიელ კუნძულზე. დავუშვათ, რომ მას არავითარი სანადირო თუ სხვა შრომითი იარაღი არ გააჩნია. მას საკვებად სჭირდება დღეში ხუთი კაკაბი, მაგრამ შიშველი ხელებით შეუძლია დაიჭიროს მხოლოდ სამი.*

ე.ი. მისი შრომა მწარმოებლურია და ეს მწარმოებლურობა არის დღეში 3 კაკაბი. ამასთან მას შეუძლია დაამზადოს მახე, რომლის გამოყენებით დღეში 15 კაკაბს დაიჭერს, მაგრამ ამას დასჭირდება 10 დღის უწყვეტი შრომა (ე.ი. 10 დღე ის 30 კაკაბს ვერ დაიჭერს); ანუ მახის დასამზადებლად მან უნდა შეწიროს 30 კაკაბის დაჭერა. ვთქვათ, რობინზონი წავიდა ამაზე და მთელი 10 დღე რაღაც მცენარეულით იკვებებოდა, ნახევრად შიმშილობდა და დაამზადა საჭირო მახე.

რა მოხდა ამ შემთხვევაში?

რობინზონმა 10 დღეში მახის დამზადებას 30 კაკაბი შეწირა (3x10), მაგრამ შემდგომ 10 დღეში კაპიტალის (მახის) გამოყენებით ის აწარმოებს (დაიჭერს) უკვე 150 კაკაბს. მაშასადამე, 120 კაკაბი, ანუ სხვაობა 150-სა და 30-ს შორის, არის კაპიტალის სუფთა მწარმოებლურობა.

ეს იმას ნიშნავს, რომ მწარმოებლურობა ახასიათებს არა მარტო შრომას, არამედ კაპიტალსაც; ისიც წარმოების ფაქტორია, მაგრამ, შრომისაგან განსხვავებით, კაპიტალი როგორც წარმოების ფაქტორი წარმოებულია თვით ეკონომიკური სისტემის მიერ (ამაზე ადრეც გვქონდა საუბარი).

ჩვენ მაგალითში რობინზონმა კაპიტალი (მახე) თვითონ დაამზადა. მაგრამ სხვა ნორმალურ პირობებში (და არა უკაცრიელ კუნძულზე), რაკი კაპიტალი მწარმოებლურია, ხომ შეიძლება ის შევიძინოთ, თანაც ან საკუთარი სახსრებით ვიყიდოთ, ან სახსრები ვისესხოთ რეალური კაპიტალის შესაძენად. სწორედ კაპიტალის როგორც სახსრების (სესხის) მყიდველ-გამყიდველების ქცევის ანალიზია ჩვენ ამოცანაში ამ საკითხის (კაპიტალის ბაზრის) განხილვისას.

კაპიტალის სუფთა მწარმოებლურობა კი დაგვეხმარება ეკონომიკური თეორიის ისეთი მნიშვნელოვანი ცნებების გაგებაში, როგორებიცაა კაპიტალის შემოსავლიანობა, კაპიტალზე მოთხოვნა და კაპიტალის მიწოდება.

სანამ ამაზე საუბარს შევუდგებოდეთ, უნდა შევნიშნოთ, რომ კაპიტალის მწარმოებლურობა შეიძლება პროცენტულად წარმოვსახოთ. ჩვენ მაგალითში ეს შემდეგნაირად იქნება (ფიზიკური ერთეულები): 120 და 30 კაკაბის ნაცვლად, გადავიდეთ შეფარდებით სიდიდეებზე:

$\frac{120}{30} \times 100 = 400\%$, ე.ი. 30-ის შეწირვამ მოგვცა 120 (400%).

კაპიტალის სუფთა მწარმოებლურობა, გამოსახული ასეთ ფორმაში, არის პროცენტებში გამოხატული შემოსავალი კაპიტალზე. კაპიტალის ასეთი სახის მწარმოებლურობას უწოდებენ აგრეთვე **პროცენტის ბუნებრივ ნორმას** (ეს არ უნდა ავურიოთ ბანკის მიერ გაცემულ სესხზე არსებულ პროცენტის საბაზრო ნორმასთან).

რატომ არის ეს „ბუნებრივი“ ?


იმიტომ, რომ კაპიტალის როგორც წარმოების ფაქტორის მწარმოებლურობა ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა ნეოკლასიკური თეორიის პოზიციიდან, როგორც „ხილის (ვთქვათ, ბლის) მიერ ნაყოფის გამოღება“.[1]

კაპიტალის მწარმოებლურობა განაპირობებს მასზე მოთხოვნას. გავაკეთოთ მისი ანალიზი.

კაპიტალზე მოთხოვნა — ეს ინვესტიციურ სახსრებზე მოთხოვნაა, და არა უბრალოდ ფულზე ან დანადგარებზე. ე.ი. როდესაც ჩვენ კაპიტალის როგორც წარმოების ფაქტორის მოთხოვნაზე ვსაუბრობთ, იმ ინვესტიციურ სახსრებზე მოთხოვნას ვგულისხმობთ, რომლებიც საჭიროა ფიზიკური (რეალური) კაპიტალის (მანქანები, დანადგარები და ა.შ) შესაძენად.

კაპიტალის ბაზარზე მასზე მოთხოვნის სუბიექტი მეწარმეა, ბიზნესმენია. მისი მოთხოვნა საინვესტიციო სახსრებზე გარეგნულად ჩვეულებრივად ფულზე მოთხოვნად გამოიყურება; საოჯახო მეურნეობებიც წარმოადგენენ ბაზარში ფულზე მოთხოვნას, მაგრამ ასეთი მოთხოვნის ბუნება ხშირად სხვაა (მოთხოვნა ფულის მარაგზე როგორც ლიკვიდურ საშუალებაზე).

კაპიტალზე მოთხოვნას (საინვესტიციო სახსრებზე მოთხოვნას) მისი ზღვრული მწარმოებლურობა განაპირობებს (ეს არის კაპიტალის, როგორც საქონლის, მარგებლობა); მას კი კლებადი ხასიათი აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საინვესტიციო სახსრებზე მოთხოვნის მრუდს უარყოფითი დახრილობა ექნება: რაც მეტია ეს სახსრები, მით უფრო ნაკლებია ზღვრული პროდუქტი, შესაბამისად, მოთხოვნა. ავაგოთ ამის გრაფიკი (**ნახ. 6.8.**).



MPK — კაპიტალის ზღვრული პროდუქტი;
DK — კაპიტალზე მოთხოვნის მრუდი;
I — ინვესტიციური სახსრების მოცულობა.

ნახ. 6.8. კაპიტალზე მოთხოვნა, როგორც კაპიტალის ზღვრული შემოსავლიანობის ასახვა.

როგორც ნახაზიდან ჩანს, ინვესტიციური სახსრების ზრდის კვალობაზე კაპიტალის ზღვრული პროდუქტი კლებულობს (შრომის ზღვრული პროდუქტის კლებადობის კანონის ანალოგიური კაპიტალის ზღვრული შემოსავლიანობის კლებადობის კანონი).


ეს იმას ნიშნავს, რომ, **სხვა თანაბარ პირობებში (ანუ სხვა ფაქტორების უცვლელობის დროს), კაპიტალის სუფთა მწარმოებლურობას (ე.ი. პროცენტის „ბუნებრივ“ ნორმას, ანუ კაპიტალზე შემოსავლის დონეს) საინვესტიციო სახსრების ზრდის კვალობაზე შემცირების ტენდენცია ახასიათებს.**

ამ ტენდენციას მთლიანად ეკონომიკაშიც აქვს ადგილი (ამას ასაბუთებდნენ სმითი, რიკარდო, მარქსი, მარშალი).

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი კონკურენციის პირობებში კაპიტალის დარგიდან დარგში გადადინების შედეგად პროცენტის „ბუნებრივ“ ნორმას (კაპიტალზე შემოსავლის ნორმას) გამოთანაბრების ტენდენცია ახასიათებს.

[1] **ვოლფრედო პარეტო** (1848-1923 წ.წ.). იტალიელი ეკონომისტი.

კაპიტალზე შემოსავლის ზემონახსენები კლებადობის ტენდენციის საწინააღმდეგოდ მოქმედებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი (ესეც მარქსმა შენიშნა და აღწერა თავის დროზე): ენერგიის ახალი წყაროების აღმოჩენა, ახალი ტექნოლოგიების დამუშავება, ახალი სამომხმარებლო საქონლის შექმნა-წარმოშობა და სხვ. ამ შემთხვევაში მოთხოვნის მრუდი მარჯვნივ (მაღლა) გადაინაცვლებს (**ნახ. 6.9.**).



ნახ. 6.9. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენა კაპიტალის ზღვრულ პროდუქტზე და მოთხოვნაზე.

გრაფიკიდან ჩანს, რომ მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია კაპიტალის ზღვრული პროდუქტის (კაპიტალზე შემოსავლის) გაზრდა და კაპიტალზე (საინვესტიციო სახსრებზე) მოთხოვნის მომატება (კაპიტალზე მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ და ზევით გადააგილება).

გადავიდეთ კაპიტალის როგორც საინვესტიციო რესურსების მიწოდების ანალიზზე.


კაპიტალის (საინვესტიციო სახსრების) მიწოდების სუბიექტებია საოჯახო მეურნეობები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საოჯახო მეურნეობები სთავაზობენ მენარმეებს მანქანა-დანადგარებს, შენობა-ნაგებობებს. საოჯახო მეირნეობები სესხად სთავაზობენ ბიზნესმენებს საინვესტიციო სახსრებს, ანუ ფულად საშუალებებს, რომელთაც ისინი (მენარმეები) გამოიყენებენ საწარმოო ფონდების შესაძენად. გასაგებია, რომ ეს მიწოდება, როგორც წესი, ხდება საფინანსო შუამავლების (კომერციული ბანკები, საინვესტიციო ფონდები) მეშვეობით. მაგრამ ამ ფაქტისაგან ამ მომენტში აბსტრაჰირება გავაკეთოთ.

სანამ კაპიტალის (ინვესტიციების) მიწოდების გრაფიკს შევადგენთ, გავიხსენოთ, რომ კაპიტალის გასესხებით (დროებით დათმობით) მისი (სახსრების) მესაკუთრე სწირავს მისი სხვანაირად (ალტერნატიულად) გამოყენების შესაძლებლობებს. ეს მისთვის **ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების ზღვრული დანახარჯებია** (**MOC**), ეს კაპიტალის ზღვრული ალტერნატიული ღირებულებაა.

გასაგებია, რომ, რაც უფრო მეტ ინვესტიციურ სახსრებს (კაპიტალს) შესთავაზებს ბაზრის სუბიექტი (საოჯახო მეურნეობა), მით უფრო მეტ ალტერნატიულ ღირებულებაზე იტყვის ის უარს.

ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალის (საინვესტიციო სახსრების) მიწოდების მრუდს დადებითი დახრილობა ექნება, ე.ი. კაპიტალის ალტერნატიულ ღირებულებასა (ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების ზღვრულ დანახარჯებსა) და საინვესტიციო სახსრების (კაპიტალის) მოცულობას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. გამოვსახოთ ეს კაპიტალის (საინვესტიციო სახსრების) მიწოდების გრაფიკზე (იხილეთ შემდეგ გვერდზე **ნახ. 6.10.**).

როგორც გრაფიკიდან ჩანს: საინვესტიციო სახსრების I_1 მოცულობის პირობებში დაკარგული შესაძლებლობების (ალტერნატიული ღირებულების) ზღვრული დანახარჯები MOC_1-ის ტოლია; I_2 საინვესტიციო სახსრების (ე.ი. მეტის) პირობებში კი ისინი MOC_2-ია, ე.ი. მეტია, და ა.შ.




MOC — ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების ზღვრული დანახარჯები;
I — საინვესტიციო სახსრების მოცულობა;
SK — კაპიტალის (საინვესტიციო სახსრების) მიწოდების მრუდი.

ნახ. 6.10. კაპიტალის (საინვესტიციო სახსრების) მიწოდების მრუდი.

მოვლენის ასეთი გრაფიკული გამოხატვით ჩვენ ფაქტობრივად დავასაბუთეთ პროცენტის ის თეორიული განმარტება, რომელიც ადრე იყო მოყვანილი (რომ ის არის თავშეკავების დანაკარგის ანაზღაურება).

გავაერთიანოთ კაპიტალზე მოთხოვნისა და კაპიტალის მიწოდების გრაფიკები (**ნახ. 6.11.**).

აქვე აღვნიშნავთ, რომ საინვესტიციო სახსრების დაუფლება-გაცემის (ანუ მათზე მოთხოვნისა და მათი მიწოდების) განმსაზღვრელ-გამაწონასწორებელი ფასი არის **საპროცენტო განაკვეთი-პროცენტის დონე**.



r — პროცენტის დონე;
I — ინვესტიციური სახსრები (სასესხო კაპიტალი)

ნახ. 6.11. წონასწორობა კაპიტალის ბაზარზე.

კაპიტალის ბაზარზე წონასწორობის გრაფიკი გვეხმარება პროცენტის კატეგორიის როგორც თავისებურ წონასწორობის ფასად შეცნობაში.

DK და **SK** მრუდების გადაკვეთაზე (**E** წერტილი) კაპიტალის ბაზარზე წონასწორობა ყალიბდება: კაპიტალზე მოთხოვნა (**DK**), ანუ საინვესტიციო სახსრებზე მოთხოვნა, კაპიტალის მიწო-

დების (SK), ე.ი. ამ სახსრების მიწოდების, ტოლია. ამ წერტილზე ხდება კაპიტალის ზღვრული შემოსავლის და ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების ზღვრული დანახარჯების გატოლება (დამთხვევა); აქ სასესხო კაპიტალზე მოთხოვნა მისი მიწოდების ტოლია.

კაპიტალის ბაზარზეც წონასწორობა ავტომატურად ყალიბდება.

პროცენტის კატეგორიის განსაზღვრისას აუცილებელია დროის ფაქტორის მნიშვნელობის აღნიშვნა. SK მრუდი მიგვინიშნებს, რომ სუბიექტი (კაპიტალის გამსესხებელი) უარს ამბობს თავისი კაპიტალის მიმდინარე (ახლავე) მოხმარებაზე და მას სესხად სთავაზობს.

რისთვის? იმისათვის, რომ მომავალში თავისი კაპიტალი უკან გარკვეული ნაზრდით დაიბრუნოს და მეტი შემოსავალი მიიღოს. პროცენტი იმის საფასურია, რომ კაპიტალის მესაკუთრე სხვა სუბიექტს კაპიტალის დღევანდელი (მიმდინარე) გამოყენების შესაძლებლობას აძლევს (უთმობს).

მაგრამ ასეთი შესაძლებლობა რატომ უნდა ანაზღაურდეს?

საქმე ის არის (და ამას ეყრდნობა ეკონომიკური თეორია), რომ **ადამიანები დღევანდელ სიკეთეს ხვალინდელ სიკეთეზე უფრო მაღლა აფასებენ** („დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს სჯობიაო"). ამ მოვლენას ეკონომიკურ ლიტერატურაში **დროით მჯობინებას** უწოდებენ. ნებისმიერი სიკეთის ფასეულობა კი, როგორც ვიცით, სუბიექტური ხასიათისაა: საქონელი იმდენი ღირს, რამდენადაც მას ყიდულობენ, რამდენადაც ის იყიდება.

ამას ისიც ემატება, რომ დღევანდელთან შედარებით სიკეთის ხვალისთვის მიღებას თან ახლავს რისკი და განუსაზღვრელობა.

სწორედ დროითი მჯობინების მოვლენა და რისკის შესაძლებლობა უძევს საფუძვლად, მაგალითად, ვადიან ანაბრებზე დიფერენცირებულ საპროცენტო განაკვეთებს: რაც უფრო ხანგრძლივია ვადა და უფრო სარისკოა სესხის გაცემა, მით უფრო მაღალია პროცენტი.

მაშასადამე, წონასწორობის ფასს კაპიტალის ბაზარზე, ანუ საპროცენტო განაკვეთს, განაპირობებს კლებადი ზღვრული მწარმოებლურობა (ზღვრული შემოსავალი) და ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების ზღვრული დანახარჯები (**ლოდინის დანახარჯები**). როგორც პ. სამუელსონი განმარტავდა ადვილად გასაგებად, რაღაცა... *„რომ გაჭრა, მაკრატლის ორივე პირია საჭირო: თქვენ ვერ იტყვით, რომ ფაქტობრივად ერთი პირი ჭრის და არა მეორე; ზუსტად ასევე ორივე ჩვენი ფაქტორი — მოუთმენლობა (ლოდინი) და მწარმოებლურობა, რომლებიც ურთიერთზემოქმედებენ — განაპირობებს საპროცენტო განაკვეთების სტრუქტურას და მოძრაობას".*

დავსვათ კითხვა: რა ფუნქციები გააჩნია პროცენტს ეკონომიკაში (საფინანსო ბაზარზე)?

პროცენტის ფუნქციებია:

1) **გამსესხებლის დანაზოგების იმ საინვესტიციო სახსრებთან გატოლების უზრუნველყოფა, რომლების სესხად აღებას აპირებენ ფირმები კაპიტალის დაბანდების განსახორციელებლად, ანუ კრედიტზე მოთხოვნის კრედიტის მიწოდებასთან გატოლება;**
2) **საფინანსო რესურსების საუკეთესო გამოყენების უზრუნველყოფა.**

პროცენტის განაკვეთი (პროცენტის ნორმა) არის სესხად გაცემული კაპიტალის შემოსავალი, შეფარდებული თვით გასესხებული (სესხად გაცემული) კაპიტალის მოცულობასთან და გამოხატული პროცენტებში. მაგალითად, თუ ჩვენ გავასესხეთ $10.000 და ამის კვალობაზე მივიღეთ წლიური შემოსავალი $500, მაშინ წლიური საპროცენტო განაკვეთი იქნება

$$\frac{\$500}{\$10.000} \times 100 = 5\%.$$

ეკონომიკურ საქმიანობას, მეწარმეობას იმანენტურად ახასიათებს განუსაზღვრელობა, გაურკვეველობა, შესაბამისად, **საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის რისკის ფაქტორს: რაც უფრო მაღალია რისკის შესაძლებლობა, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო ძვირი ღირს სესხი.**

ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთს (კაპიტალის მიწოდება-მოთხოვნის მაწონასწორებელ ფასს) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საინცესტიციო პროექტის განხორციელება — არგანხორციელების საკითხის გადაწყვეტისათვის.

დავუშვათ, რომ მეწარმის ხელთ არსებული საინვესტიციო პროექტის მოსალოდნელი შემოსავლიანობა წელიწადში 15 პროცენტია. რენტაბეულურია კი ამ პროექტის განხორციელება? კი, მაგრამ წავიდეს თუ არა მის რეალიზაციაზე ბიზნესმენი?

ამ პრობლემის გადაწყვეტის გაანგარიშებაში მან აუცილებლად უნდა ჩართოს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთის მონაცემი: თუ ეს განაკვეთი 14% ან ნაკლებია, საინვესტიციო პროგრამის განხორციელება რაციონალურია, მოგებიანია, თუ ეს განაკვეთი 16% და მეტია, მაშინ ეს პროექტი წაგებიანია, მისი განხორციელება კი არარაციონალური ქცევაა.

კაპიტალზე შემოსავლის დონის საპროცენტო განაკვეთთან შედარების ეს მაგალითი ეკონომიკური გადაწყვეტილებების ალტერნატიულობის ნათელი მაჩვენებელია: მეწარმემ სისტემატურად უნდა შეადაროს ერთმანეთს სამეურნეო გადაწყვეტილებების ვარიანტები (მისაღებ — მიღებული შემოსავალი და შესაწირ-შეწირული სარგებლიანობა).

ეს მაგალითი გვიჩვენებს აგრეთვე, რომ **პროცენტი, როგორც საბაზრო ეკონომიკის მექანიზმი, ასრულებს სერიოზულ როლს რესურსების ეფექტიანად განაწილებისა და შესაძლებელთაგან ყველაზე მაღალშემოსავლიანი, მაღალუკუგებიანი საინვესტიციო პროექტების შერჩევა — განხორციელების საქმეში.**

საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის შეფასებისათვის აუცილებელია აგრეთვე ე.წ. **დისკონტირების**[1] პროცედურის გამოყენება.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ არსებობს ე.წ. დროითი მჯობინება: დღევანდელ 100 ლარს ადამიანი უფრო მაღლა აფასებს, ვიდრე ერთი (ორი,სამი და ა.შ) წლის შემდეგ მისაღებ 100 ლარს.

ეს მჯობინება, „დღევანდელი კვერცხისა და ხვალინდელი ქათმის“ მიზეზის გარდა, იმითაც არის განპირობებული, რომ ამჟამინდელი (მიმდინარე) 100 ლარი შეიძლება ინვესტირებულ იქნეს და ერთ წელიწადში გადაიქცეს **100x(1+R)** ლარად, სადაც „**R**“ საპროცენტო განაკვეთია ათწილადში.

გამოდის, რომ სახსრების გასესხება-მოსესხებისას ინდივიდები დღევანდელ 100 ლარს, აფასებენ მომავალი წლისათვის როგორც **100x(1+R)** ლარს.

სახსრების ინვესტირების დროს აუცილებელია შევადაროთ დღევანდელი დანახარჯები მომავალ შემოსავალს (ჩვენ ხომ პროექტის ათვისების ხარჯებს დღეს ვეწევით, შემოსავალს კი მომავალში მივიღებთ).

თუ დისკონტის ნორმა 10%-ია და გაწეული საინვესტიციო ხარჯებიდან ერთი წლის შემდეგ ჩვენ მივიღებთ 1.100 ლარს, მაშინ ამ 1100 ლარის დღევანდელი ფასი იქნება 1.000 ლარი.

დისკონტირების ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

$$Vp = \frac{Vt}{(1+r)t}$$

სადაც:

"r" არის პროცენტის განაკვეთი ათწილადში;

Vp არის ფულის მომავალი მოცულობის დღევანდელი ღირებულება;

t — წლების რაოდენობა;

Vt არის ფულის დღევანდელი მოცულობის მომავალი ფასეულობა, ანუ მომავალი შემოსავალი.

გამოდის, რომ დისკონტირებით ჩვენ ვგებულობთ მომავალი შემოსავლის დღევანდელ ფასეულობას: თუ ამ მომავალი შემოსავლის დღევანდელი ფასეულობა დღეს ფაქტობრივად გასახარჯ (ჩასადებ) თანხაზე მეტია, საინვესტიციო პროექტის განხორციელება მოგებიანია (რაციონალურია).

დისკონტირების ილუსტრირებისათვის შემდეგ **მაგალითს** შემოგთავაზებთ:

დავუშვათ, რომ ძირითად კაპიტალში 5 მლნ. დოლარის ჩადებით შეიძლება ავაშენოთ ჭურჭლის მწარმოებელი ქარხანა, რომელიც 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად მოგვცემს 600

[1] **დისკონტირება** (ინგლ. Discont) არის საპროცენტო განაკვეთის მისადაგება კაპიტალის მოცულობასთან. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება იმ თანხების დღევანდელი ეკვივალენტის განსაზღვრისათვის, რომლებიც მიღებული ან გახარჯული იქნება მომავალში.

ათ. დოლარის შემოსავალს. ე.ი. 10 წელიწადში ჩვენ მივიღებთ 6 მლნ. დოლარს ნაწილ-ნაწილ („პორციებით"): ერთი წლის შემდეგ, ორი წლის შემდეგ და ა.შ.

საჭიროა 5 მილიონი დოლარის დღევანდელი დანახარჯი შევადაროთ მომავალი შემოსავლის ნაკადის დისკონტირებულ მოცულობას ფორმულით:

$$V_t=V_1/(1+r)^1+V_2/(1+r)^2+V_3/(1+r)^3+...+V_t/(1+r)^t$$

აქ ციფრები მნიშვნელში 1-დან t-მდე ნიშნავს შემოსავლის მიღებას (ყოველწლიურად) 1 წლის, 2 წლის ... და ა.შ განმავლობაში.

თუ საპროცენტო განაკვეთი 2 პროცენტია (0,02), მაშინ 10 წელიწადში მივიღებთ:
V_p*=600ათ./(1+0,02)¹+600 ათ./(1+0,02)²+600ათ./(1+0,02)³+ ... 600ათ./(1+0,02)¹⁰=5,34 მლნ. დოლ.*

5,34 მლნ.>5 მლნ.

მაშასადამე, პროექტის განხორციელება მოგებიანია.

მაგრამ მიზანშეწონილია კი ამ პროექტის განხორციელება სხვა შემთხვევაში?

თუ საპროცენტო განაკვეთი 4%-ია, მაშინ მომავალი შემოსავლის ნაკადის დისკონტირებული მოცულობა 4,8 მლნ დოლარი იქნება. ამ შემთხვევაში კი 4,8 მლნ.<5,0 მლნ.

ე.ი. ამ მეორე შემთხვევაში პროექტის განხორციელება მიზანშეწონილი არ არის.

პროცენტის კატეგორიის ანალიზისას აუცილებელია განვასხვავოთ ნომინალური და რეალური საპროცენტო განაკვეთები.

ნომინალურია მიმდინრე (დღეს არსებული) საპროცენტო განაკვეთი (ანუ პროცენტის ის განაკვეთი, რომლითაც გაფორმდა სესხი); რეალურია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი ინფლაციის მოსალოდნელი ტემპის გამოკლებით.

გადაწყვეტილების მიღებისას გაანგარიშებაში სუბიექტები (ორივე მხარე) რეალურ საპროცენტო განაკვეთს რთავენ (ე.ი. მოსალოდნელ ინფლაციას დებენ გაანგარიშებაში).

თავი 4. მიწის ბაზრის ანალიზი

მიწა როგორც წარმოების ფაქტორი და როგორც სპეციფიკური საქონელი

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეკონომიკურ თეორიაში ყოველგვარ ბუნებრივ რესურსს, როგორც წარმოების ფაქტორს, „მიწას" უწოდებენ (ნიადაგის ზედაპირი, მტკნარი წყლის მარაგი, წიაღისეულის მოპოვების ადგილი, ზღვები და ოკეანეები და სხვ.).

სანამ მიწის ბაზარზე და მასში მოთხოვნისა და მიწოდების კანონებზე ვიმსჯელებთ, საჭიროა მიწის (სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ნიადაგის ზედაპირის) როგორც საქონლის სპეციფიკაში გავერკვეთ და გავაკეთოთ, როგორც ყოველთვის, დაშვებები.

პირველი დაშვება ის იქნება, რომ ვისაუბრებთ მხოლოდ ნაყოფიერ ნიადაგზე.

ასეთი საქონლის (ჩვენ შემთხვევაში ეს წარმოების რესურსია) უპირველესი განსხვავებულობა (სპეციფიკურობა) კი არის მისი მკვეთრად გამოხატული შეზღუდულობა და არაელასტიკურობა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ, სხვა წარმოების ფაქტორებისაგან განსხვავებით, მიწა უძრავი დოვლათია.


ამასთან მიწაზე მოთხოვნა, როგორც წარმოების სხვა ფაქტორებზე, წარმოებული ხასიათისაა: ამ მოთხოვნას განაპირობებს ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (მიწათმოქმედების, მეცხოველეობის პროდუქტები) მოთხოვნა, რასაც მთლიანად დედამიწაზე და ფაქტობრივად ნებისმიერ ქვეყანაში ზრდის ტენდენცია ახასიათებს.

მიწაზე მოთხოვნას განაპირობებს აგრეთვე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის (მშენებლობა, ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ) საჭიროება, ანუ მისი ფაქტობრივი გაქრობა, რასაც ასევე, სამწუხაროდ, მკვეთრად გამოხატული ზრდადი ტენდენცია აქვს.

მიწის ბაზარზე წონასწორობის (უფრო სწორად, წონასწორობის ფასის, ვინაიდან აქ მიწოდება ფაქტობრივად არ იცვლება, ხოლო მოთხოვნის ცვლილება მიწის ფასის ცვლილებაში პოულობს ასახვას) ჩამოყალიბებაში იმასაც სერიოზული მნიშვნელობა აქვს, რომ მოთხოვნა

კვების პროდუქტებზე ძირითადად არაელასტიკურია; ეს კი იმას ნიშნავს, რომ კვების პროდუქტის მიწოდების ჩვეულებრივი დონის უმნიშვნელო შემცირებამ შეიძლება ფასების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვიოს; ეს კი მიწის ფასზეც იმოქმედებს.

მიწის რესურსების შეზღუდულობა და მათი მიწოდების არაელასტიკურობის დებულება საშუალებას გვაძლევს ავაგოთ მიწაზე მოთხოვნის და მიწის მიწოდების გრაფიკი. ის შემდეგი სახისა იქნება **(ნახ. 6.12.)**.



ნახ. 6.12. მიწაზე მოთხოვნა და მიწის მიწოდება.

გრაფიკის აბსცისათა ღერძზე განლაგებულია მიწის მოცულობა (**Q**) ჰექტარებში, ორდინატათა ღერძზე — ფასები (**P**); "**S**" არის მიწის მიწოდების მრუდი, რომელიც (მიწა) ფიქსირებულია, ის მოთხოვნაზე (ფასზე) არ რეაგირებს, უცვლელია, ამიტომ პერპენდიკულარის სახით წარმოჩინდება.

მიწის ბაზარზე წონასწორობა და ამ ბაზრის სუბიექტთა (მყიდველ-გამყიდველთა, მოიჯარე — მეიჯარეთა) ქცევა-ქმედობა დამოკიდებულია იმ შემოსავალზე (ნაკადზე), რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს მიწის ფლობა-გამოყენება-განკარგვის საფუძველზე.

ე.ი. მიწის მყიდველ-გამყიდველების, იჯარადარ-მოიჯარეების, როგორც ბაზრის სუბიექტების, ქცევაში გარკვევისათვის საჭიროა გავეცნოთ **მიწის ფლობის და მიწით სარგებლობის კატეგორიებში.**

მიწათმფლობელობა ნიშნავს ფიზიკური ან იურიდიული პირის ისტორიულ საფუძვლებზე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ უფლებებს მიწის გარკვეულ ნაკვეთზე. როგორც წესი, ამ ტერმინის ქვეშ კანონით რეგლამენტირებულ მიწაზე საკუთრება იგულისხმება.

მიწათსარგებლობა არის კანონით (და ზოგჯერ წეს-ჩვეულებებით) რეგლამენტირებული თუ ურთიერთშეთანხმების (იჯარა) საფუძველზე მიწის გამოყენება. ეს იმას ნიშნავს, რომ მიწით მოსარგებლე (მისი გამომყენებელი) ყოველთვის არ არის მისი მესაკუთრე (აშშ-ში ფერმერების მიერ გამოყენებული მიწების 2/3 მათ საკუთრებაშია, 1/3 კი იჯარით არის აღებული).

რენტული შემოსავალი მიწის ბაზარზე


ვინაიდან მიწა შეზღუდული და დაკავებულია (დასაკუთრებულია), ხოლო მისი მთლიანად გამოყენება აუცილებელია საზოგადოებისათვის, მიწის მესაკუთრე ამ თავისი დოვლათის გამოსაყენებლად დათმობისათვის გარკვეულ ანაზღაურებას (საფასურს) მოითხოვს (ასეა ეს ფაქტობრივად ყოველგვარ მკვეთრად შეზღუდულ რესურსზე — ე.წ. ეკონომიკური რენტა).

მიწაზე ეკონომიკურ რენტას, ანუ შემოსავალს მიწის საკუთრებაზე, რომელსაც მისი ყველა მესაკუთრე ღებულობს (მ.შ. ყველაზე დაბალი ნაყოფიერების მიწის მფლობელიც)[1] ზოგჯერ **აბსოლუტურ** (წმინდა ეკონომიკურ) **რენტას** უწოდებენ.

[1] ამ დებულებიდან იმ დასკვნის გაკეთება, რომ მიწის ნაციონალიზაცია გააიაფებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, სწორი არ უნდა იყოს. აბსოლუტური რენტის მოსპობა მნიშვნელოვანწილად სპობს მიწის მოვლა-პატრონობის შეუცვლელ კერძომესაკუთრულ მუხტს, ამიტომ მთლიანობაში უფრო ნაგებიანია, ალბათ, ვიდრე მოგებიანი.

უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა ეკონომიკური (აბსოლუტური) რენტა ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ოდენობისა არ არის: კვების პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა და მიწის ფონდის შემცირება ამ რენტის მომატებას იწვევს.

გამოვსახოთ ეს დებულება გრაფიკზე (**ნახ. 6.13.**).



ნახ. 6.13. წმინდა ეკონომიკური (აბსოლუტური) რენტა მიწის საკუთრებაზე.

მიწის მიწოდება (Q_1) უცვლელია, არაელასტიკურია, ამიტომ მიწის მიწოდების მრუდი (**S**) ორდინატთა ღერძის პარალელურია.

დაბლა დახრილი მოთხოვნის მრუდის (**D**) მიერ მიწოდების მრუდის გადაკვეთა (წერტილი E_0) გვიჩვენებს წონასწორობას მიწის ბაზარზე.

R — არის ყოველწლიური აბსოლუტური რენტა 1 ჰა მიწაზე (განლაგებულია ორდინატთა ღერძზე).

R_0 — არის საწყისი (მიმდინარე) აბსოლუტური (წმინდა ეკონომიკური) რენტა 1 ჰა მიწაზე. ფართობი კი $OR_0E_0Q_1$ ერთობლივი აბსოლუტური რენტაა.

თუ ქვეყანაში (რეგიონში) გაიზარდა მოთხოვნა კვების პროდუქტებზე, ეს მოთხოვნის მრუდის (ფასის) მაღლა გადანევას გამოიწვევს, ყოველწლიური აბსოლუტური რენტა 1 ჰა მიწაზე R_0-დან R_1-მდე გაიზრდება. ერთობლივი აბსოლუტური (წმინდა ეკონომიკური) რენტის მოცულობა კი იქნება ფართობი $OR_1E_1Q_1$.

თეორიულად დასაშვებია კვების პროდუქტებზე მოთხოვნის შემცირებაც. ამ შემთხვევაში მოთხოვნის მრუდი მარცხნივ დაბლა გადაიწევს და ჩამოყალიბდება ახალი (უფრო დაბალი) ყოველწლიური აბსოლუტური რენტა 1 ჰა მიწაზე, შესაბამისად, შემცირდება ერთობლივი აბსოლუტური რენტის მოცულობა. მაგრამ ეს ჰიპოთეზური (სავარაუდო) მაგალითი ჩვენ გრაფიკზე შეგნებულად არ გამოვსახეთ (მიწის ფასს ფაქტობრივად ყველგან ზრდის ტენდენცია ახასიათებს).


აბსოლუტური რენტის მოდელის ჩამოყალიბება — ანალიზისას ჩვენ დაშვება გვქონდა გაკეთებული, რომ მიწები ერთნაირი ნაყოფიერებისაა. სინამდვილეში ხომ ეს ასე არ არის: მიწის ნაყოფიერება დიფერენცირებულია, სხვადასხვანაირია. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ერთნაირი ნაყოფიერების პირობებშიც თანაბარი ფართობის მიწის ნაკვეთები ერთნაირი ფასეულობის ვერ იქნება გამოყენების შედეგის თვალსაზრისით, გამომდინარე მათი ადგილმდებარეობიდან.

ეს ორი მიზეზი (დიფერენცირებული ნაყოფიერება და ადგილმდებარეობა) განაპირობებს ე.წ. **დიფერენციული რენტის** არსებობას: მაღალი მოსავლიანობის და უფრო ხელსაყრელი მდებარეობის მიწის ნაკვეთზე დიფერენციული რენტა უფრო მაღალი იქნება, ვიდრე დაბალშემოსავლიანზე და გამოსაყენებლად შედარებით მოუხერხებელ ადგილზე არსებულ ნაკვეთზე.

მაშასადამე, გამოდის, რომ მიწის ყველა მესაკუთრე ღებულობს მიწის რენტას, მაგრამ ყველაზე ცუდ და მოუხერხებელ ნაკვეთზე (რომლის დამუშავება, მიუხედავად ამისა, აუცილებელი და სასარგებლოა) ეს იქნება მხოლოდ სუფთა ეკონომიკური (აბსოლუტური) რენტა, მაშინ რო-

დესაც სხვა მიწების მესაკუთრეები და გამომყენებლები მიიღებენ უფრო მეტ რენტას, თანაც ეს „მეტობა" დიფერენცირებული იქნება, გამომდინარე მიწის ნაყოფიერებისა და მისი ადგილმდებარეობისაგან.[1]

ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს ავაგოთ სხვადასხვა ნაყოფიერების მქონე მიწების მესაკუთრეთა და გამომყენებელთა დიფერენციული რენტის გრაფიკი (**ნახ. 6.14.**).



Q — არის მიწის რაოდენობა (მოცულობა);
R — არის დიფერენციული რენტის მოცულობა;
D_1 — არის მოთხოვნა საშუალო ნაყოფიერების მიწაზე. მისი მესაკუთრე (გამომყენებელი) მიიღებს R_1 დიფერენციულ რენტას;
D_2 — არის მოთხოვნა უმაღლესი ნაყოფიერების მიწაზე. მისი მესაკუთრე (გამომყენებელი) მიიღებს უფრო მეტ — R_2 რენტას;
D_3 — არის მოთხოვნა ყველაზე დაბალი ნაყოფიერების მიწაზე. ის დიფერენციულ რენტას ვერ მიიღებს (ის მიიღებს მხოლოდ აბსოლუტურ, ე.ი. მინიმალურ, რენტას).

ნახ. 6.14. დიფერენციული რენტა.

გასაგებია, რომ მიწის ნაყოფიერება უცვლელი არ არის. ის შეიძლება გაიზარდოს კაპიტალის ჩადების შედეგად ან შემცირდეს მიწის ინტენსიური ექსპლუატაციის კვალობაზე. პირველ შემთხვევაში რენტა გაიზრდება, მეორეში შემცირდება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის იჯარაზე ხელშეკრულების დადების დროს, მ.შ. იჯარის ვადის განსაზღვრისათვის.

მიწის რენტა მოპოვებით მრეწველობაშიც წარმოიქმნება ისევე, როგორც მიწათმოქმედებაში (საბადოების სიმდიდრის, მადანის მიღების სიადვილე-სიმძიმის, საბადოს ადგილმდებარეობის გათვალისწინებით).

მიწის დიფერენციული რენტის წარმოშობა შეიძლება ნათლად წარმოვსახოთ საშუალო და ზღვრული დანახარჯების მრუდების მეცნიერული აპარატის გამოყენებით. თუ ფერმერები სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე ფუნქციონირებენ, ნებისმიერი ფერმერის პროდუქციაზე მოთხოვნის მრუდი (**D**) ჰორიზონტალური იქნება.

ავიღოთ მიწის სამი ერთნაირი მოცულობის ნაკვეთი: „**A**" — უმაღლესი ნაყოფიერების (2500 ც.), „**B**" — საშუალო ნაყოფიერების (2000 ც.) და „**C**" — ძალზე დაბალი ნაყოფიერების (1500 ც.).

P — ფასი ერთ ცენტნერ პროდუქციაზე (მაგალითში **$10**).


Y — მიწის (ნაკვეთის) ნაყოფიერება. „**A**" ნაკვეთზე 2500ც., „**B**-ზე" – 2000, „**C**-ზე" – 1500ც.

დავუშვათ, რომ მიწის სამივე ნაკვეთზე გაღებულია წარმოების ყველა ფაქტორის ერთნაირი დანახარჯი (**$15.000**). მაშინ საშუალო დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე (**AC**) „**A**" ნაკვეთზე ყველაზე დაბალი იქნება (15000:2500), „**B**" ნაკვეთზე უფრო მაღალი (15000:2000), ხოლო „**C**" ნაკვეთზე ყველაზე მაღალი (15000:1500).


დავუშვათ ასევე, რომ ერთი ცენტნერი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ფასი არის 10 დოლარი.

გადავიტანოთ ჩვენ მიერ მოცემული პირობები და მეურნეობრიობის შედეგები გრაფიკზე (**ნახ. 6.15., 6.16., 6.17.**).


[1] უნდა აღინიშნოს, რომ მიწის რენტის აბსოლუტურ (ეს პირველად მარქსმა შემოიღო) და დიფერენციულ რენტად დაყოფას ზოგიერთი ეკონომისტი (კერძოდ, მ. ბლაუგი) არ იზიარებს და მას რატომღაც მარქსისტულ ზედმეტ ღირებულებას უკავშირებს.



ნახ. 6.15. (ნაკვეთი „A")



ნახ. 6.16. (ნაკვეთი „B")



ნახ. 6.17. (ნაკვეთი „C")

AC არის საშუალო დანახარჯი (15.000)

ნახ. 6.15.-ზე და ნახ. 6.16.-ზე მოცემული დაშტრიხული სწორკუთხედები დიფერენციული რენტებია (R_D), ამასთან ნახ. 6.15.-ზე ის მეტია, ვიდრე ნახ. 6.16.-ზე (10000>5000). „C" ნაკვეთის გამომყენებელი ფერმერი (მესაკუთრე) დიფერენციულ რენტას არ ღებულობს: როდესაც მიღებული 1ც. პროდუქციის ფასი 10 დოლარია, ის მხოლოდ საშუალო დანახარჯებს აინაზღაურებს (ნორმალურ მოგებას მიიღებს); ამიტომ თუ ფასი 10 დოლარზე დაბლა დაეცა, ის იძულებული გახდება საერთოდ დატოვოს ბაზარი.

მაშასადამე, რენტა (მ.შ. მიწის რენტა), როგორც ეკონომიკური კატეგორია, წარმოების ფაქტორიდან მიღებული ჩვეულებრივი (უბრალო) შემოსავალი კი არ არის; რენტა არის არაელასტიკური მიწოდების წარმოების ფაქტორისაგან მიღებული შემოსავალი (მიწის რენტა; რენტა ნავთობმოპოვების მრეწველობაში — ნავთობმოპოვების საბადოების მიწოდებაც ხომ არაელასტიკურია; რენტა ნებისმიერი ბუნებრივი მონოპოლიისაგან, მ.შ. უნიკალური ბუნებრივი ნიჭისაგან).

რენტის ასეთი განმარტება უფრო გასაგებს ხდის **კვაზირენტას. კვაზირენტა არის შემოსავალი, რომელიც განპირობებულია რომელიმე წარმოების ფაქტორის ფიქსირებული მიწოდების მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ პერიოდთან** (მაგალითად, დიფერენცირებული საქონლის მიმწოდებელი ნებისმიერი ფირმა მანამდე ღებულობს კვაზირენტას, სანამ კონკურენცია არ გააფართოებს ამ დარგში მიწოდებას და არ შეამცირებს ფასებს).

მიწის ფასი

ზემოგამართული საუბარი საშუალებას იძლევა გავერკვეთ მიწის ფასის კატეგორიაში.

მიწის ფართობი კაპიტალური სიკეთეა, რომელიც შემოსავალს იძლევა, თანაც მუდმივად. მაშასადამე, **მიწის ფასი განისაზღვრება:**

1) **მიწის რენტის მოცულობით, ამ რენტის კაპიტალიზაციით,** ანუ იმ შემოსავლით, რომლის მიღებაც გახდება შესაძლებელი (თანაც განუსაზღვრელი პერიოდით, მუდმივად), თუ ამ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე გახდები;
2) **სესხის საპროცენტო განაკვეთით.**

მიწის ფასი უნდა განვიხილოთ როგორც დისკონტირებული ღირებულება, ანუ როგორც ნებისმიერი კაპიტალური დოვლათის (სიკეთის) შეძენა, რომელიც შემოსავალს იძლევა. მიწა კი შემოსავალს იძლევა როგორც იჯარის ქირას, თანაც განუსაზღვრელ პერიოდში. ე.ი. შემოსავლის დისკონტირების ფორმულაში **t** (შემოსავლის მიღების პერიოდი) არ მონაწილეობს.

ე.ი., **Qp** — მიწის ფასი იქნება:

$$Qp=\frac{\text{იჯარის ქირის (რენტის) მოცულობა}}{\text{საპროცენტო განაკვეთის მოცულობა}} \text{x100\%}$$

მაგალითად, თუ მიწის ნაკვეთი (1 ჰა) წელიწადში რენტის (იჯარის ფასის) სახით იძლევა 1000 დოლარს, ხოლო საპროცენტო განაკვეთი არის 5%, მიწის 1 ჰექტარის ფასი იქნება

$$\frac{\$1000}{5\%} \text{x100\% =\$20.000}$$

კითხვები და სასწავლო დავალებები

1. როგორ დაახასიათებთ წარმოების ფაქტორების ბაზრებს, რა სპეციფიკურობას ხედავთ ამ ბაზრებში? ვინ არის ამ ბაზრების სუბიექტები?
2. როგორ გესმით წარმოების ფაქტორების ურთიერთჩანაცვლება? როგორ წყვეტს მეწარმე ასეთ შემთხვევაში, თუ რამდენი მუშაკი დაიქირავოს და რამდენი კაპიტალი მოიზიდოს ბიზნესის ორგანიზებისათვის?
3. რა პარამეტრები განაპირობებს, თქვენი აზრით, მუშაკთა დაქირავებას?
4. დაახასიათეთ გრაფიკზე შრომის ბაზარზე წონასწორობის ჩამოყალიბება-ცვლილების პროცესი. რა არის მთლიანი დასაქმება?
5. დაახასიათეთ (ასევე გრაფიკზე), თუ როგორ იმოქმედებს ინდივიდის (ინდივიდთა ჯგუფის) შრომის მიწოდებაზე შემოსავლის ცვლილება (მატება).
6. როგორ ახსნით შრომის ბაზარზე მისი ანაზღაურების განსხვავებულობებს?
7. როგორ გესმით კაპიტალის სუფთა მწარმოებლურობა (ახსენით მაგალითზე).
8. რის მოთხოვნაზე და რის მიწოდებაზეა საუბარი კაპიტალის ბაზარზე? როგორ ხდება აქ მოთხოვნა-მიწოდების გაწონასწორება?
9. რა არის საპროცენტო განაკვეთი და რატომ უნდა ანაზღაურდეს კაპიტალის გამოსაყენებლად დათმობა? რა პარამეტრები განაპირობებს საპროცენტო განაკვეთის მოცულობას?
10. ახსენით, როგორ გესმით დისკონტირება (მომავალი შემოსავლის დღევანდელ დანახარჯებთან შედარება)? დისკონტირების ფორმულით $Vp = \frac{Vt}{(1+r)t}$, სადაც "t" არის 10 წელი, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი 3%, გამოიანგარიშეთ, რის ტოლია (რას უდრის დღეს) მომავალი 30000 ლარი.
11. როგორ დაახასიათებთ მიწის (ნიადაგის) როგორც საქონლის სპეციფიკურობას და, შესაბამისად, მის მიწოდების მრუდს?
12. დაასახელეთ და დაახასიათეთ, რა სახის მიწის რენტა შეიძლება მიიღონ მიწის მესაკუთრე-განმკარგულებლებმა. ახსენით, რა განაპირობებს მიწის რენტის ოდენობას.
13. რა პარამეტრები მოქმედებს, თქვენი აზრით, მიწის ფასზე? თავად აიღეთ ამ პარამეტრების პირობითი მოცულობები და გაიანგარიშეთ 1 ჰექტარი მიწის ფასი.

სავარჯიშო ტესტები

შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი

1. **საამორტიზაციო ანარიცხები არის:**
   1) ძირითადი კაპიტალის ღირებულების ნაწილი, რომელიც შედის გამოშვებული პროდუქციის ღირებულებაში;
   2) საბრუნავი კაპიტალის ღირებულება, რომელიც შედის პროდუქციის ღირებულებაში;
   3) ადამიანური კაპიტალის შექმნის ხარჯები.
   4) საამორტიზაციო ანარიცხები პროდუქციის ღირებულებაში არ შედის.

2. **შრომის ბაზრის მიწოდების სუბიექტებია:**
   1) ფირმები;
   2) საოჯახო მეურნეობები;
   3) სახელმწიფო;
   4) ბანკები.

3. **შრომის ბაზრის მოთხოვნის სუბიექტებია:**
   1) საოჯახო მეურნეობები;
   2) ფირმები;
   3) სახელმწიფო.
   4) არც ერთი აქ ჩამოთვლილი სუბიექტი არ ფუნქციონირებს შრომის ბაზარზე.

4. **შრომის ბაზარზე მუშაკთა დაქირავების განმაპირობებელი პარამეტრებია:**
   1) რეალური ხელფასი;
   2) შრომის ზღვრული პროდუქტიულობა;
   3) მუშაკთა კვალიფიკაცია;
   4) პროფკავშირების აქტიურობა (როლი).

5. **შენაცვლების (ჩანაცვლების) და შემოსავლის ეფექტები მოქმედებს:**
   1) შრომის ბაზარზე;
   2) ჩვეულებრივ საქონელთა ბაზარზე.
   3) ასეთი ეფექტები არც შრომის და არც ჩვეულებრივი საქონლის ბაზარზე არ მოქმედებს;
   4) ასეთი „ეფექტები" საერთოდ არ არსებობს.

6. **ხელფასის დიფერენცირებას განაპირობებს:**
   1) კვალიფიკაციის მიღების აუცილებლობა;
   2) პროფკავშირების საქმიანობა;
   3) არაპრესტიჟული სამუშაოების შესრულების აუცილებლობა;
   4) ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა.

7. **პროცენტი არის:**
   1) მომავალში მეტი მოხმარების სასარგებლოდ მიმდინარე მოხმარებისაგან თავშეკავების საფასური;
   2) ფულის სესხად აღების საფასური;
   3) საინვესტიციო სახსრების დაუფლება-გაცემის (ყიდვა-გაყიდვის) მაწონასწორებელი ფასი;
   4) კაპიტალის მიერ შრომის ექსპლუატაციის მაჩვენებელი.

8. კაპიტალის სუფთა მწარმოებლურობას ახასიათებს:

1) ზრდის ტენდენცია;
2) შემცირების ტენდენცია.
3) კაპიტალის სუფთა მწარმოებლურობას მუდმივად უცვლელი ხასიათი აქვს;
4) კაპიტალის მწარმოებლურობაზე საუბარი არაკორექტულია: ის არაფერს ანარმოებს, ხოლო მისი ღირებულება უცვლელად გადადის ახალ პროდუქციაზე.

9. კაპიტალის ბაზრის წონასწორობის წერტილზე ხდება:

1) კაპიტალის ზღვრული შემოსავლისა და ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების ზღვრული დანახარჯების გატოლება;
2) სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის და მიწოდების გატოლება;
3) კაპიტალის გამსესხებლის და მისი მსესხებლის ინტერესების დამთხვევა;
4) კაპიტალის ბაზარზე წონასწორობა არასდროს არ არსებობს.

10. რეალურია ნომინალური (დღეს არსებული) საპროცენტო განაკვეთი ინფლაციის მოსალოდნელი ტემპის:

1) მიმატებით;
2) გამოკლებით.
3) რეალური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში ინფლაციის (ფასების ზრდის) მაჩვენებელი არ მონაწილეობს.
4) ყველა პასუხი არასწორია.

11. მიწის ბაზარზე მიწოდება ფასის მიმართ:

1) ელასტიკურია;
2) არაელასტიკურია;
3) შეიძლება იყოს ელასტიკურიც და არაელასტიკურიც, გამომდინარე სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკიდან.
4) მიწის ფასს მიწის მიწოდებასთან კავშირი არა აქვს.

12. აბსოლუტურ (წმინდა ეკონომიკურ) რენტას ღებულობს:

1) მიწის ყველა მესაკუთრე;
2) მხოლოდ მაღალნაყოფიერი მიწის მესაკუთრე;
3) მიწის დამამუშავებელი ყველა ფერმერი;
4) სახელმწიფო.

13. მიწის დიფერენციული რენტა არის:

1) ხელსაყრელი მდებარეობის მიწის ნაკვეთის მესაკუთრის განსხვავებული შემოსავალი;
2) მაღალი მოსავლიანობის მიწის მესაკუთრის განსხვავებული შემოსავალი;
3) განსხვავებული შემოსავალი, განპირობებული ფერმერის პროფესიონალიზმით.
4) ე.წ. „დიფერენციული რენტა" სოფლის მეურნეობაში საერთოდ არ არსებობს.

14. მიწის ფასს განაპირობებს:

1) მიწის რენტის მოცულობა;
2) სესხის საპროცენტო განაკვეთი;
3) ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფის მდგომარეობა;
4) სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკა.

15. ეკონომიკაში პროცენტის ფუნქციებია:

1) გამსესხებლის დანაზოგების იმ საინვესტიციო სახსრებთან გატოლება, რომლების სესხად აღებას აპირებენ ფირმები (ინვესტორები) კაპიტალური დაბანდებების განსახორციელებლად;
2) კრედიტზე მოთხოვნის კრედიტის მიწოდებასთან გატოლება;
3) საფინანსო რესურსების საუკეთესო გამოყენების უზრუნველყოფა;
4) ეკონომიკაში ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების წონასწორობის უზრუნველყოფა.

16. საბრუნავი კაპიტალი:

1) არის ძირითადი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი;
2) ძირითად კაპიტალში არ შედის;
3) ძირითადი კაპიტალის სინონიმია;
4) არის კაპიტალი, რომელიც მთლიანად გამოიყენება წარმოების ერთ ციკლში.

17. წარმოების ფაქტორზე მოთხოვნას განაპირობებს:

1) მოთხოვნა მის გასაშუალოებულ პროდუქტიულობაზე;
2) ეკონომიკური კონიუნქტურის მდგომარეობა;
3) მოთხოვნა ფაქტორის ზღვრულ პროდუქტზე;
4) ქვეყნის უსაფრთხოების მდგომარეობა.

18. შრომაზე მოთხოვნის განმაპირობებელი პარამეტრებია:

1) რეალური ხელფასი;
2) ზღვრული პროდუქტი ფულად გამოხატულებაში;
3) ქვეყნის უსაფრთხოების მდგომარეობა;
4) მოსახლეობაში შობადობის მაჩვენებელი.

19. კაპიტალის ბაზარზე იყიდება:

1) მანქანა-დანადგარები და სხვ. რეალური კაპიტალი;
2) ფული (სესხი რეალური კაპიტალის შესაძენად);
3) წარმოების ნებისმიერი ფაქტორი;
4) ადამიანური კაპიტალი.

20. კაპიტალის სუფთა მწარმოებლურობა არის:

1) შემოსავალი კაპიტალზე, გამოხატული პროცენტში;
2) პროცენტის ბუნებრივი ნორმა;
3) ბანკის მიერ დაწესებული სასესხო პროცენტი.
4) კაპიტალს მწარმოებლურობა არ გააჩნია.

21. წარმოების ფაქტორზე მოთხოვნას განაპირობებს ძირითადად:

1) მისი ხარისხი;
2) მისი ზღვრული მწარმოებლურობა;
3) მისი რაოდენობა (რიცხოვნობა);
4) ეკონომიკაში არსებული საერთო კონიუნქტურა.

22. მიწის ყიდვა-გაყიდვის დროს მის ფასს განაპირობებს:

1) მიწის ნაყოფიერება;
2) მიწის ალტერნატიული გამოყენების შესაძლებლობა;
3) მიწის ადგილმდებარეობა;
4) მიწის მესაკუთრის სოციალური მდგომარეობა.

23. რეალური კაპიტალი იყოფა (მასში შედის):

1) საგანგებო კაპიტალად;
2) საბრუნავ კაპიტალად;
3) ფიქციურ კაპიტალად;
4) ძირითად კაპიტალად.

ეკონომიკის ორგანიზაციის ალტერნატიულობა: საბაზრო ეკონომიკა და გეგმიანი ეკონომიკა



თავი 1. ეკონომიკის ორგანიზაციის პრობლემები

ეკონომიკის სფეროში კაცობრიობა, მისი ჯგუფები და ინდივიდები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა დარგებში და სიტუაციებში საქმიანობისას უამრავ პრობლემას წყვეტენ. მაგრამ განზოგადოებულად (მთლიანად საზოგადოებისათვის) ეს პრობლემები შეიძლება შემდეგ სამ ძირითად საკითხამდე დავიყვანოთ:

1. რა უნდა ვაწარმოოთ, ე.ი. რა საქონელი და მომსახურება უნდა შევთავაზოთ მომხმარებელს (რა გავიტანოთ ბაზარზე)?
2. როგორ ვაწარმოოთ, ე.ი. რა საშუალებები (ხერხები, ეკონომიკური მექანიზმები) გამოვიყენოთ ამ წარმოებაში?
3. ვისთვის უნდა ვაწარმოოთ ეს საქონელი და მომსახურება, ე.ი. ეყოლება თუ არა მათ მყიდველი (მომხმარებელი), არის თუ არა ისეთი ვინმე, ვინც მოისურვებს დაესაკუთროს ჩვენ მიერ შექმნილ ამ ნაწარმს და გაიღოს ამის საზღაური?

ეს ფანტასტიკურად ძნელი საკითხებია, ვინაიდან მათი გადაწყვეტისათვის აუცილებელია მილიონების საქმიანობის ორგანიზაცია და კოორდინირება. წინა თემების განხილვისას ჩვენ ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ საზოგადოებაში ეკონომიკური საქმიანობის ასეთ ორგანიზაციას უზრუნველყოფს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში კონურენციის საფუძველზე მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის დამყარების ეკონომიკური მექანიზმები. მაგრამ ეს ძალზე გაუბრალოებულ და კონკრეტულ მაგალითებზე გავაკეთეთ. გარდა ამისა, არის კი ეს ადამიანთა ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციის ერთადერთი საშუალება? როგორც გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერი **მილტონ ფრიდმენი** აღნიშნავდა, პრინციპში ასეთი ორგანიზაციის (მილიონთა სამეურნეო საქმიანობის კოორდინირების) ორი საშუალება არსებობს:

პირველი. ეს არის ინდივიდთა ნებაყოფლობითი თანამშრომლობა. ამ მეთოდს მიმართავს თავისუფალი ბაზარი და მისთვის დამახასიათებელია ეკონომიკის თვითრეგულირება. ეს მეთოდი კერძო საკუთრებაზეა ძირითადად დამყარებული;

მეორე. ეს არის საზოგადოებრივი წარმოების ცენტრალიზებული (სახელმწიფოებრივი) მართვა — რეგულირება, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოების საქმიანობის ცენტრიდან დაგეგმვა — მართვასთან და დაძალებასთან; ეს ძალდატანებით არის განპირობებული და მას გულისხმობს. ასეთ საშუალებებს მიმართავენ ჯარში, ტოტალიტარულ (ავტორიტარულ) სახელმწიფოებში. მეურნეობრიობის ასეთი ორგანიზაცია ძირითადად საზოგადოებრივ (სახელმწიფოებრივ) საკუთრებაზეა დამყარებული.

შეიძლება კიდევ ვისაუბროთ (და გვექნება კიდევაც ამის თაობაზე მსჯელობა) ამ ორი მეთოდის ერთგვარად შერწყმის შედეგად მოწყობილი ეკონომიკის ორგანიზაციაზე, რომელშიც მეტ-ნაკლებად ვხვდებით ორივე საშუალების ელემენტებს. ეს არის ე.წ. **„შერეული ეკონომიკა"**, რომელიც უფრო რეალურია დღევანდელ სინამდვილეში, ვიდრე „სუფთა" სახელმწიფო (ცენტრალიზებული) რეგულირება და „სუფთა" თვითრეგულირება. მაგრამ ეს არ არის საბოლოო ჯამში ეკონომიკური ორგანიზაციის განსხვავებული მეთოდი: იმის შესაბამისად, თუ რომელი მეთოდის (საშუალების) ელემენტები სჭარბობს, შეიძლება ეკონომიკის ორგანიზაცია მივაკუთნოთ ერთ ან მეორე სისტემას.

განვიხილოთ, მეურნეობრიობის ორგანიზაციის თუ რომელი წესია უფრო პროგრესული და პერსპექტიული, რომელი მათგანი წყვეტს უფრო შედეგიანად და რაციონალურად ნებისმიერი საზოგადოების, მისი ჯგუფების და ინდივიდების წინაშე მდგარ ზემონახსენებ სამ ძირითად ამოცანას. ეს მით უფრო აუცილებელია, ჯერ ერთი, რომ ჩვენს ქვეყანაში ათეული წლების განმავლობაში საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის ზემოხსენებული მეორე საშუალება (ცენტრალიზებული დაგეგმვა) გამოიყენებოდა, ამჟამად კი პირველზე გადავედით, და (მეორე) იმიტომ, რომ ჩვენთან დღეს არსებულ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას საზოგადოების გარკვეული ნაწილი საბაზრო ეკონომიკის ნაკლოვანებებს უკავშირებს, თავის ეკონომიკურ გაჭირვებას სახალხო მეურნეობის ცენტრალიზებული მართვის მთლიანად უარყოფას, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის უშუალოდ მართვაზე უარის თქმას აბრალებს. ხაზგასასმელია ისიც, რომ ზოგიერთი საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებას რაღაც პანაცეად მიიჩნევს, რომლის შემდეგ გულხელდაკრეფილად შეიძლება ვეზიაროთ კეთილდღეობის უმაღლეს დონეს; ეს კი, რა თქმა უნდა, ასე არ ხდება.

თავი 2. ბაზარი როგორც კაცობრიობის კოლექტიური ეკონომიკური გონება

ადამიანების მისწრაფებების ისეთი სამეურნეო ორგანიზაციის მიღწევის პრობლემა, რომელიც (ორგანიზაცია) უზრუნველყოფდა მათი საქმიანობის საუკეთესო შედეგებს (მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალურ სარგებლიანობას, უმაღლეს ეფექტს და მთელი მოსახლეობის მაღალ კეთილდღეობას), ყოველთვის აწუხებდა კაცობრიობას, პერმანენტულად იდგა მისი განსაკუთრებულად ღრმა აზროვნება — ანალიზის ნიჭით დაჯილდოებული და მაღალზნეობრივი წარმომადგნლების წინაშე. ეს პრობლემა ერთ-ერთი მთავარი იყო კლასიკური პოლიტეკონომიის ფუძემდებლებისთვისაც: **ადამ სმითი** იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მილიონების საქმიანობის კოორდინაცია შესაძლებელი ხდება იმის გამო, რომ შრომა დანაწილებულია. ადამიანები სარგებლიანობისაკენ (სარფისაკენ) მიისწრაფვიან და რომ მათ გაცვლისაკენ მიდრეკილება ახასიათებთ, ეს კი უნდა აეწყოს თვითრეგულირების საწყისებზე. ერთ-ერთი ბოლო კლასიკოსი კი — **ჯ. სტ. მილი** ფაქტობრივად სოციალიზმის უპირატესობას უსვამდა ხაზს.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის თაობაზეც, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა იგივე ა. სმითი ხალხთა სიმდიდრის შექმნაში შრომის დანაწილებას. ისიც გავიხსენოთ, რომ შრომის დანაწილების პირობებში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის (მის საფუძველზე საზოგადოების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისათვის) აუცილებელია წარმოების მომენტების (წარმოების ფაქტორების) და დანაწილებული შრომის ურთიერთკავშირი და ამ შრომის შედეგების თავისუფალი ურთიერთგაცვლა.

ამ ურთიერთკავშირსა და ურთიერთმიმართებას, ადამ სმითის აზრით (ეს აზრი აღიარებულია მეცნიერებაში), განაპირობებს ადამიანებისთვის დამახასიათებელი ზემონახსენები სარგებლიანობის მიღების სურვილი და გაცვლისადმი მიდრეკილება. სწორედ ეს მათი იმანენტური თვისება განსაზღვრავს ცალკეული ინდივიდების კონკრეტულ ქცევას, მაგრამ მას ბაზრის თვითრეგულირების კანონები იმნაირად წარმართავს, ისე აამოქმედებს, როგორც ეს აუცილებელი და სასარგებლოა მთლიანად საზოგადოებისათვის. მაშასადამე, ბაზრის შინაგანი ძალების თავისუფალ მოქმედებას ცხოველმყოფელური მარეგულირებელი ხასიათი აქვს.

როგორ ხდება ეს პრაქტიკულად? აი, რას წერდა ა. სმითი ამის თაობაზე:

„ყოველი ცალკეული ადამიანი ცდილობს გამოიყენოს თავისი კაპიტალი ისე, რომ მის პროდუქტს მაქსიმალური ღირებულება ჰქონდეს. ჩვეულებრივად ის არც კი ფიქრობს იმაზე, რომ საზოგადოებრივ სარგებლობას შეუწყოს ხელი, და მას არც კი ესმის, თუ რამდენად აკეთებს ამას. ის მხოლოდ საკუთარ ინტერესს გულისხმობს, მხოლოდ საკუთარი სარგებლობისათვის იღწვის. ამასთან ამ შემთხვევაში მას უხილავი ხელი იმ მიზნისკენ მიმართავს, რომელიც მის განზრახვაში სულაც არ შედიოდა. მისდევს რა საკუთარ ინტერესებს, ის ხშირად საზოგადოებრივ ინტერესებს უფრო ქმედითად ემსახურება, ვიდრე მაშინ, როდესაც შეგნებულად სურს ამის გაკეთება“.

რა არის ეს სასწაულმოქმედი „უხილავი ხელი“ და როგორ მოქმედებს ის პრაქტიკულად?

ამ იდუმალი, მნიშვნელოვანწილად საიდუმლოებით მოცული ტერმინის ქვეშ, როგორც უკვე ვიცით, ეკონომისტები, იმავე სმითისაგან დაწყებული, გულისხმობენ ადამიანების ეკონომიკური ურთიერთობების მექანიზმებს, ანუ თავისუფალი ბაზრის მექანიზმებს. ბაზრის ხსენებისას, რა თქმა უნდა, უპირველესად ყველა ჩვენთაგანი რაღაც კონკრეტულ ადგილს (მოედანს) წარმოიდგენს, სადაც გამყიდველები და მყიდველები იკრიბებიან; სინამდვილეში ეს ასეც არის, მაგრამ ამ ტერმინის ქვეშ მაინც გაცილებით უფრო სერიოზული და რთული მოვლენები და ძნელად გამოსაცნობი პარამეტრები იგულისხმება.

ბაზარი არის ადამიანების თავისუფალი თანამშრომლობის ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს გამყიდველების (მწარმოებლების) და მყიდველების (მომხმარებლების) ერთად თავმოყრა-საქმიანობას სამეურნეო (კომერციული) მიზნებისათვის და საშუალებას აძლევს პირველთ — გაყიდონ, ხოლო მეორე ნაწილს — შეიძინოს საქონელი ორივე მხარისათვის მისაღებ აქ ბუნებრივად ჩამოყალიბებულ ფასებში.

ამასთან ერთად, ბაზარი შეიძლება მაინც განვმარტოთ როგორც ადგილი, სადაც ყოველდღიურად ერთმანეთს „ხვდებიან“ მილიონობით მომხმარებლები (მყიდველები) და მწარმოებლები (გამყიდვლები) და თანხმდებიან ყველა აქ გამოტანილი (შეთავაზებული) საქონლის ფასებზე. ბაზარი არის ყოველგვარი ინსტიტუტი ან მექანიზმი, რომელიც შეახვედრებს (ერთად თავს მოუყრის) მყიდველებს (მოთხოვნის წარმომადგენლებს) და კონკრეტული საქონელ-მომსახურების გამყიდველებს (მომწოდებლებს).

როგორ ხდება ეს? ვინ (რა) არის აქ, ასე ვთქვათ, მოქმედი პირი, რომელიც, „შეახვედრებს“ ამ სუბიექტებს, დაეხმარება მათ ურთიერთსასარგებლო პირობებში გარიგებაზე? ეს არის საქონელთა სარგებლიანობა, მათი ფასი და მისი ცვლილებები.

ფასი არის ფულის (ან სხვა საქონლის) მოცულობა, რომელსაც გადაიხდიან და იღებენ საქონლის და მომსახურების ერთეულზე.

ბაზარზე დაწესებული ფასები და მათი ცვლილება (მათ საფუძველზე მიღებული და მისაღები მოგება-სარგებლიანობა) არის მთავარი დამისამართება (მითითება, ჩვენება): მწარმოებლებისათვის — თუ რა საქონლის გამოშვება მოეწყოს შემდგომში; მყიდველებისათვის — რის შეძენა გაზარდონ და რისი შეამცირონ. მაშასადამე, ფასი ის სიგნალია, რომელიც განაწყობს მწარმოებლებს და მომხმარებლებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ: თუ ფასი იზრდება, ეს უკარნახებს მწარმოებლებს, რომ საჭიროა ამ საქონლის გამოშვების გაფართოება; მომხმარებლისათვის ფასის ზრდა ნიშნავს, რომ ესა თუ სიკეთე (საქონელი) შემდგომში მისგან მეტი რესურსის (შენაწირის) გაღებას მოითხოვს და ამის შესაბამისად უნდა დაგეგმოს მან თავისი ხარჯები (თავისი ბიუჯეტი), ჩამოაყალიბოს თავისი ქცევა შემდგომში საქონელთა შესყიდვის სტრუქტურა — მოცულობაზე.

თუ მწარმოებელი (გამყიდველი) ვერ გაყიდის საქონელს იმ ფასში, რომელიც მას დანახარჯებს აუნაზღაურებს და მოგებასაც მისცემს, ეს იმას ნიშნავს, რომ მან ამ პროდუქციის წარმოების შემცირებაზე (შეწყვეტაზეც კი) უნდა იფიქროს. თუ სხვა საქონლის რეალიზაციის ფასი კარგ მოგებას უზრუნველყოფს, ეს იმის სიგნალია, რომ ამ ბაზარზე ასეთი საქონლის მეტი რაოდენობის გატანა შეიძლება.

ეს იმასაც ნიშნავს, რომ საწარმოთა მეტი რიცხვი მოჰკიდებს ხელს ამ მაღალი მოგების უზრუნველმყოფი საქონლის წარმოებას და ბაზარზე გატანას, ე.ი. მეწარმეთა ერთმანეთთან მეტოქეობა (კონკურენცია) გამწვავდება და დროთა განმავლობაში ფასი დაიწევს ან პროდუქციის ხარისხი (ე.ი. მისი სარგებლიანობა) გაიზრდება. ამ პროცესში კონკურენცია კი თავისუფალი (შეუზღუდავი) უნდა იყოს.

თავისუფალი კონკურენცია არის ბაზარზე მრავალი დამოუკიდებელი გამყიდვლის ფუნქციონირება, მათი ერთმანეთთან უკეთესი შედეგისათვის მეტოქეობა და ბაზარში თავისუფალი შემოსვლის და ბაზრიდან თავისუფალი გასვლის პირობების არსებობა. ბაზარზე ფუნქციონირებადი ფირმა კონკურენციულია, თუ ის ბაზრის ფასებზე უშუალოდ ვერ ზემოქმედებს, ე.ი. ეგუება ფასებს, რომლებიც ბაზარზე მისგან დამოუკიდებლად ყალიბდება.

სწორედ კონკურენცია, აღნიშნავდა ა. სმითი, აიძულებს ხაბაზს გამოაცხოს კარგი პური, მესაქონლეს — აწარმოოს კარგი ხორცი, მელუდეს — მოხარშოს მაგარი ლუდი.

ა. სმითის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტეკონომიური **დასკვნა** იმაში მდგომარეობს, რომ ***საბაზრო ეკონომიკას უნდა ჰქონდეს რაც შეიძლება მეტი თავისუფლება; სახელმწიფო კი, სმითის აზრით, უნდა ატარებდეს პოლიტიკას, რომელსაც ლიტერატურაში, როგორც ადრე აღინიშნა, Laissez faire-ს პოლიტიკას უწოდებენ.***

ა. სმითის მიერ დამუშავებული „Laissez faire"-ს პოლიტიკა შემდეგ ელემენტებს შეიცავს:

- სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობა.
- მიწით თავისუფალი ვაჭრობა;
- მრეწველობის და საშინაო ვაჭრობის ფუნქციონირების სამთავრობო რეგლამენტაციის გაუქმება;
- საგარეო ვაჭრობის თავისუფლება.

საზოგადოებაში კერძო ეკონომიკური ინტერესების თავისუფალი გამოვლენის და ეფექტიანი დაკმაყოფილების, აგრეთვე ობიექტური ეკონომიკური კანონების სტიქიური ფუნქციონირების წესს (პირობებს) ა. სმითი **ბუნებრივ წესრიგად** თვლიდა.

ამასთან სმითი ტოტალურ ანარქიას კი არ უჭერად მხარს. პირიქით, ის განსაკუთრებული ეჭვით უყურებდა კერძო კაპიტალის „ცუდ ჩვევას" — შექმნას მონოპოლიები და ამით განდევნოს ბაზრიდან კონკურენცია. მაშასადამე, სახელმწიფომ (ისევ ა. სმითის აზრით) უნდა დაიცვას კონკურენცია თვით კაპიტალისტებისაგან, რომელთა ყოველი შეხვედრა, „დროსტარებაც კი", როგორც წესი, საყოველთაო კეთილდღეობის საწინააღმდეგო შეთქმულებით და ფასების მომატებაზე შეთანხმებით მთავრდება.

ა. სმითი თავისუფალი კონკურენციისადმი დამოკიდებულებაში ეკონომიკის მიმართ ლიბერალური მიდგომის, ეკონომიკური ლიბერალიზმის, შეიძლება ითქვას, ბურჯია.

XX საუკუნეში ეკონომიკაში ლიბერალური მიდგომის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თეორიტიკოსი, თანამიმდევრული მხარდამჭერი და დამცველი იყო **ფრიდრიხ ა. ფონ ჰაიეკი (1899-1992 წ.წ.)**, ავსტრიული წარმოშობის ცნობილი მეცნიერი, რომელიც მოღვაწეობდა ჯერ ავსტრიაში, შემდეგ კი ინგლისში, ამერიკაში და გერმანიაში. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის თვითრეგულირებაში ჩარევის წინააღმდეგ მან სწორედ მაშინ გაილაშქრა (ნაშრომი „გზა მონობისაკენ"), როდესაც ეკონომიკის აქტიური სახელმწიფო რეგულირების კეინსური თეორია (კეინსურ თეორიაზე საუბარი წინა გვაქვს) აღმავლობის სტადიაში იყო. თავისუფალი საბაზრო ფასწარმოქმნის პრინციპებისაგან ყოველგვარ გადახვევას, როგორც ჰაიეკი ამტკიცებდა, საზოგადოება პერსპექტივაში დიქტატურისაკენ მიჰყავს. 1974 წელს ჰაიეკს ნობელის პრემია მიენიჭა. ამჟამად ე.წ. „ახალი ლიბერალებისათვის" ჰაიეკი თავისებურ პიროვნების კულტად იქცა; ისინი აუცილებლად თვლიან, რომ კატეგორიულად უარყოფილი იქნეს ეკონომიკის რეგულირება, მისი შერეული ხასიათის სარგებლიანობის თეზა.

იმის თაობაზე, თუ როგორ მუშაობს ბაზარი, როგორ ურთიერთობენ საბაზრო ეკონომიკის სუბიექტები, გარკვეულ წარმოდგენას მოგვცემს ქვემოთ მოტანილი ნახაზი-დიაგრამა (იხილეთ მომდევნო გვერდზე ნახ. 7.1.):


დიაგრამაზე ვხედავთ, რომ ბაზარზე ფირმები, სახელმწიფო და საოჯახო მეურნეობები (მოსახლეობა) მონაწილეობენ. აქვე მათ შორის ურთერთობის განმაპირობებელ ორი ტიპის ნაკადს ვამჩნევთ:

- პირველი (გარე) ნაკადი, საქონლისა (რესურსის) და მომსახურების მოძრაობაა (საქონლის და მომსახურების ნაკადია);
- მეორე (შიგა) ნაკადი შეძენილი საქონლის (მომსახურების) საფასურის გადახდაა (სახსრების, ფულის ნაკადია).

აღსანიშნავია, რომ ერთი ნაკადი მეორეს გარეშე არ არსებობს: თუ საქონლის შეძენა არ ხდება, ანაზღაურებაც არ იქნება, და პირიქით. საბაზრო ეკონომიკაში ეს განპირობებულია საქონლის ფულზე და ფულის საქონელზე გაცვლის საყოველთაო ხასიათით.

ამას მაშინაც კი აქვს ადგილი, როდესაც გვხვდება ე.წ. **ბარტერული[1] გარიგება**, რომლის დროსაც საქონელი საქონელზე იცვლება: აქაც გაცვლის უხილავ ფონად მაინც ფული რჩება, ვი-

[1] **ბარტერი** (ინგლ. Barter) საქონელგაცვლას ნიშნავს.



ნახ. 7.1. ბაზრის კონტრაჰენტების ურთიერთკავშირი.

ნაიდან ოპერაციის ორივე მხარე თავის სარგებლიანობას, როგორც წესი, ფულში ანგარიშობს.

ამასთან დიაგრამაზე დაკვირვებით (სახელმწიფო სამსახურებსა და საოჯახო მეურნეობებს შორის ურთიერთკავშირზე) ზემოჩამოყალიბებულ სენტენციაში (საქონელ-მომსახურების ურთიერთგაცვლაზე) მაინც შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს. ეს ურთიერთკავშირი (ურთიერთგაცვლა) მოქალაქეებისაგან გადასახადის აკრება და მათდამი სახელმწიფოს სამსახურია. მოსახლეობის მიერ ამ სამსახურის მიღება არ არის პირდაპირ დაკავშირებული გაღებულ გადასახადთან (ის, ასე ვთქვათ, „უფასოა"); გარდა ამისა, ამ სამსახურში მნიშვნელოვანია სოციალური თუ სხვა დახმარება, რომელსაც საზოგადოების მხოლოდ ნაწილი იღებს; ბეგარას კი ყველა იხდის.

ეს ასეა და თითქოს ამ შემთვევაში არასაბაზრო გაცვლას აქვს ადგილი. მაგრამ მოდით და სხვა მხრიდან შევხედოთ მოვლენას. ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, რომ ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს აწყობს (ე.ი. მისთვის სასარგებლოა) სახელმწიფო საქმიანობა (წესრიგის დაცვა და სხვა სახელისუფლო ქმედობა), ის დაინტერესებულია, რომ ქუჩაში სიარული და საერთოდ საზოგადოებაში ცხოვრება-საქმიანობა უსაფრთხო იყოს, ქვეყანაში წესრიგი სუფევდეს. საზოგადოებას, ადამიანებს უნდათ აგრეთვე, რომ ქუჩაში არ დაწანწალებდეს და არ დაეხეტებოდეს მათხოვართა და გლახაკთა ბრბო. ყოველ ასეთ და სხვა ანალოგიურ მომსახურებას კი სახელმწიფო ეწევა გადასახადების გამოყენებით მოწყობილი საქმიანობის საფუძველზე (სხვანაირად, ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვის საწყისებზე ეს ვერ ხერხდება). მაშასადამე, **ბეგარა (გადასახადი)** რეალურად ამ მომსახურების (მიღებული სიკეთის) საფასურია, ხოლო სახელმწიფო-საბაზრო (ეკონომიკური) ურთიერთობების კანონიერი, მართლზომიერი მონაწილე.

საბაზრო ეკონომიკის ყველა მონაწილის (და საერთოდ ამ პირობებში საზოგადოების ყველა წევრის) კეთილდღეობას განსაზღვრავს ის, თუ რამდენად წარმატებით გაიყიდება ბაზარზე მისი საქონელი: შრომა, ჩვევები, მის მიერ შექმნილი ნაწარმი, მისი მომსახურება, მისი სხვადასხვა მეწარმეობრივი საქმიანობის ნაყოფი, მისი მიწის ნაკვეთი და სხვა. ვინც ბაზარზე საუკეთესო საქონელს გაიტანს, თანაც მისი გაყიდვის სხვებზე უკეთეს პირობებს შესთავაზებს მყიდველს

(პირველ რიგში ფასს), გამარჯვებული აღმოჩნდება კონკურენციულ ბრძოლაში. მაშასადამე, კონკურენცია და ფასობრივი მექანიზმი (ფასების ცვლილება) უზრუნველყოფს საზოგადოებაში სამეურნეო სუბიექტებს შორის თანამშრომლობას, ამარტივებს რა მნიშვნელოვანწილად არსებული შესაძლებლობებიდან უკეთესის არჩევანის გაკეთებას.

დასკვნა: ***ბაზარზე ეკონომიკური ურთიერთობებისა და კონკურენციული ბრძოლის დროს ყველა მონაწილე უპირველესად თავის თავზე ფიქრობს, თავისი თავკერძა, ანგარებითი ინტერესების დაკმაყოფილებას ცდილობს, მაგრამ ეს მეტოქეობა და მასში ადამ სმითის „უხილავი ხელი" აიძულებს მათ საკუთარ თავზე ზრუნვით ფაქტობრივად სხვების ინტერესებზე, სხვების სარგებლიანობაზეც იფიქრონ და იზრუნონ, მათთვის კარგი ხარისხის საქონელი გამოუშვან, თანაც რაც შეიძლება უფრო დაბალ ფასებში. ამასთან ორივე მხარე — გამყიდველი (მწარმოებელი) და მყიდველი (მომხმარებელი) — პერმანენტულად ეძებს თავისი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის კომპრომისის საუკეთესო ვარიანტს. ამიტომ გადაჭარბების გარეშე შეიძლება ბაზარს, როგორც თავის სათაურში გვაქვს აღნიშნული, კაცობრიობის კოლექტიური გონება, მისი სამეურნეო (და არა მარტო სამეურნეო) საქმიანობის გონივრულად მომწყობი ინსტიტუტი ვუწოდოთ. თავისუფალი საბაზრო სისტემა ფუნქციონირებს როგორც თავისუფალი ინდივიდების და საწარმოების უთვალავი გადაწყვეტილებების აღრიცხვის და როგორც ამ გადაწყვეტილებების პრაქტიკული რეალიზაციის ოპტიმალური მექანიზმი.***

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის მექანიზმების (ამ „კოლექტიური გონების") მოქმედებაც აბსოლუტურად უნაკლო (უზადო) და უშეცდომო არ არის, მაგრამ ის გაცილებით ნაკლებ შეცდომას უშვებს, ვიდრე ყველაზე ბრძენი მგეგმავები.

თავი 3. ბაზრის ნაკლოვანებები და მათი გადალახვის საჭიროება

მთელი ჩვენი აქამდელი საუბარი საბაზრო ეკონომიკის უპირატესობის შესახებ იმ პირობაზეა აგებული ძირითადად, რომ ეკონომიკაში ადგილი აქვს „სრულყოფილ (თავისუფალ) კონკურენციას". ეს ფაქტობრივად კონკურენციის აბსოლუტური თავისუფლებაა, რომელიც შემდეგ პირობებს გულისხმობს (სრულყოფილი — თავისუფალი კონკურენციის პირობები):

1. ბაზარზე გამყიდველების და მყიდველების რიცხვი იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ არც ერთ მათგანს არ შეეძლოს თვითნებურად იმოქმედოს ფასებზე;
2. არც ერთი გამყიდველი და მყიდველი ერთმანეთთან არ უნდა თანამშრომლობდეს ბაზარზე ზემოქმედების მიზნით;
3. საქონელი მნიშვნელოვანწილად უბრალო და ერთგვაროვანი უნდა იყოს, რომ მისი ყიდვა-გაყიდვა სხვადასხვა რაოდენობით შეიძლებოდეს;
4. საქონლის მყიდველებს საიმედო და სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ ბაზარში მიმდინარე მოვლენებზე. მათ უნდა იცოდნენ, თუ სად არის ყველაზე დაბალი ფასები, რომ მყისვე გაერიდნენ იმ გამყიდველებს, რომლებიც საქონლის გაუმართლებლად მაღალ ფასებში გაყიდვას აპირებენ;
5. ახალი საწარმოებისათვის ბაზარზე სწრაფად (უპრობლემოდ) შესვლის და თავისუფლად დამკვიდრების შესაძლებლობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი;
6. არ უნდა არსებობდეს ფართომასშტაბიანი (მსხვილი) საწარმოს უპირატესობა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა სულ უფრო იაფად აწარმოოს საქონელი და, რაც მთავარია, წარმოების ზრდასთან ერთად, გააკოტროს მცირე საწარმოები და დაიმკვიდროს ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა (როდესაც ბაზარს ერთი საწარმო აკონტროლებს) ან შეიქმნას ბაზარზე ე.წ. ოლიგოპოლია (როცა ბაზარს საწარმოთა უმნიშვნელო რიცხვი აკონტროლებს). ერთიც და მეორეც (განსაკუთრებით პირველი) ამახინჯებს ბაზრის თავისუფალ ფუნქციონირებას, ახშობს კონკურენციას, იწვევს შეზღუდული რესურსების ნაკლები ეფექტიანობით გამოყენებას.

ეს პირობები ერთდროულად, შეიძლება ითქვას, უფრო იშვიათობაა, ვიდრე რეალობა, და ამასაც ფაქტობრივად ობიექტური ხასიათი აქვს. ბევრი ბაზარი არ გამოირჩევა სრულყოფილი კონკურენციით; მასში, პირიქით, უპირატესობას ზოგჯერ მსხვილი საწარმოები და, შესაბამისად, მონოპოლია და ოლიგოპოლია აღწევენ.

ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფასობრივი მექანიზმი გარკვეული კატეგორიის საქონლისათვის და მომსახურებისათვის არ მუშაობს. ეს ეხება, როგორც ვიცით, ისეთ „საქონელს" („მომსახურებას"), როგორიცაა ეროვნული თავდაცვა და ქვეყანაში წესრიგის დაცვა. ასეთ საქონელს ფასს ვერ დაადებ და ბაზარზე ვერ გაიტან. ამიტომ ასეთი კოლექტიური მოხმარების საქონლის წარმოებაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფომ უნდა აიღოს და ამის საზღაური მოსახლეობას ძალდატანებით გადაახდევინოს ბეგარის სახით.

გარდა ამისა, ფასობრივი მექანიზმი ზოგჯერ ვერ გამოხატავს მთელ ხარჯებს (მთლიან მსხვერპლს), რაც ფაქტობრივად გაღებულ იქნა საქონლის წარმოებისათვის. ამ მოსაზრების ტიპურ ილუსტრაციად, როგორც წესი, იყენებენ ჩვენთვის უკვე ცნობილ იმ დამატებით დანახარჯებს, რომლებიც ჩნდება ზოგჯერ როგორც გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ავიღოთ, მაგალითად, ქაღალდის მრეწველობა, რომელიც, ქაღალდის გამოშვებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ოდენობის საწამლავს უშვებს წყალსადენ თხრილში და აბინძურებს სასმელ და საყოფაცხოვრებო (ტექნიკურ) წყლებს, სპობს ცოცხალ არსებებს. მაშასადამე, აუცილებელი ხდება წყლების გასუფთავების დამატებითი ხარჯების გაღება, მაგრამ ასეთ ხარჯებს ქაღალდის გამომშვები საწარმო თავის გაანგარიშებაში არ შეიტანს, ნებსით არ გაიღებს.

საქმე ისაა (პრობლემის მიზეზი იმაში ძევს), რომ საწარმოები სათანადოდ ვერ აფასებენ (და არც ცდილობენ გაერკვნენ) მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის **საზოგადოებრივ ეფექტს**. ეკონომისტები თვლიან, რომ წარმოებას ზოგჯერ **„გარე ეფექტი"** აქვს, ე.ი. საქონელზე საზოგადოების მთლიანი დანახარჯები (გაღებული მსხვერპლი) იმაზე მეტია, ვიდრე უშუალოდ საწარმოს უჯდება მისი გამოშვება. ეს **ნეგატიური გარე ეფექტია (ექსტერნალიებია)**. ამ შემთხვევაში პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა, რომელიც დაავალდებულებს საწარმოს:

- ან გაიღოს შესაბამისი გადასახადი, რომლის სახელმწიფოებრივი გამოყენებით იქნება უზრუნველყოფილი უარყოფითი ეკოლოგიური ეფექტის ნეიტრალიზება;
- ან ისეთნაირად შეცვალოს წარმოების ტექნოლოგია, რომ შეწყდება (ან დასაშვებ დონემდე შემცირდება) გარემოს გაჭუჭყიანება.

ერთიც და მეორეც საწარმოსათვის დამატებითი დანახარჯებია, რომლებიც მოგების შემცირებას გამოიწვევს.

ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქციის წარმოების საერთო-საზოგადოებრივი (მაკროეკონომიკური) დანახარჯები (ეს ჩვენ, როგორც გახსოვთ, ადრეც აღვნიშნეთ) ზოგ შემთხვევაში უფრო მაღალია, ვიდრე თავისუფალი (სუფთა) კონკურენციიდან გამომდინარე ფასების ოდენობაა.

ზოგჯერ პირიქითაც ხდება. არსებობს **პოზიტიური (დადებითი) გარე ეფექტიც**, როდესაც გარკვეული პროდუქციის წარმოებას ან მოხმარებას მაკროეკონომიკურ დონეზე ისეთი შემოსავალი (სარგებლიანობა) მოჰყვება, რომელიც ბაზრის ფასში აღნუსხული არ არის. ამ შემთხვევაში ბაზარზე უფრო დაბალი ფასი ყალიბდება, ვიდრე ეს უნდა იყოს მაკროეკონომიკური შეფასების თვალსაზრისით; შესაბამისად, წარმოების მოცულობაც უფრო დაბალი (ნაკლები) იქნება, ვიდრე ეს მიზანშეწონილია საზოგადოებრივი ეფექტიანობის პოზიციიდან. ამ შემთხვევაშიც სახელმწიფოს ჩარევა სასარგებლოა, რომ ხელი შეეწყოს შექმნილი პროდუქციის (მომსახურების) ანაზღაურების (ბაზრის ფასის) და საქონლის წარმოების გაზრდას.

ასეთი მოვლენის ტიპობრივი მაგალითია **განათლება. ადამიანის მიერ განათლების მიღება მარტო მისთვის კი არ არის სასარგებლო, არამედ საზოგადოებისთვისაც, ვინაიდან, განათლების დონის ზრდასთან ერთად, მატულობს ქვეყანაში წარმოების გაზრდის საშუალებებიც; გარდა ამისა, განათლებულ საზოგადოებაში ცხოვრება უფრო სასიამოვნოა, ვიდრე გაუნათლებელში. ამიტომ არსებობს საფუძველი, რომ ასეთი გარე პოზიტიური ეფექტის მქონე საქონლის**

წარმოებისათვის გაღებულ იქნეს სახელმწიფო დოტაციები. ამიტომაც არის, რომ ბევრ ქვეყანაში განათლება სახელმწიფო სექტორშია და მას საზოგადოებისაგან ამოღებული გადასახადების საფუძველზე აფინანსებენ. ანალოგიური მსჯელობა შეიძლება ჯანმრთელობის დაცვაზეც.

ზემოჩამოთვლილ მოვლენებსაც (გარე ნეგატიური და პოზიტიური ეფექტები), რომლებიც იწვევს იმას, რომ თავისუფალი საბაზრო მექანიზმი ზოგჯერ არაზუსტად (არაადეკვატურად) ასახავს სხვადასხვა გადაწყვეტილებების მაკროეკონომიკურ შედეგებს, **ბაზრის ნაკლოვანებებს** უწოდებენ. ისინი იმ შემთხვევებზე მიგვანიშნებენ, როდესაც ბაზარს არ ძალუძს რესურსების ყველაზე ეფექტიანი განაწილება (გამოყენება).

არის აგრეთვე ე.წ. **წარმოების შინა ეფექტი (ინტერნალიები)**, რომლის უარყოფით ხასიათს ვერ შეცვლის ბაზრის თვითრეგულირების მექანიზმი (მაგალითად, ძეხვის ხარისხი, კომპიუტერის შინაგანი-უხილავი წუნი და ა.შ.). ესეც ბაზრის ნაკლოვანებაა, რომელიც მიზანშეწონილია გარე ძალის ჩარევით მოწესრიგდეს.

ამასთან ბაზრის, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლი, ყველაზე ძლიერი ზადი, რომელიც მის წინააღმდეგ განაწყობდა (და განაწყობს) საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, არის მისი მნიშვნელოვანი ზნეობრივი უსამართლობა შექმნილი დოვლათის განაწილებაში, რაც, ბაზრის სხვა ნაკლოვანებებთან ერთად, თითქოსდა გეგმიანობის და ცენტრალიზებული მართვის საწყისებზე ორგანიზებულ ეკონომიკას უნდა გადაეწყვიტა.

თავი 4. გეგმიანი ეკონომიკა და დაგეგმვის იდეა

როგორც უკვე ვიცით, საბაზრო ეკონომიკაში ერთობლივი ეროვნული პროდუქტის (ეროვნული შემოსავლის) პირვანდელი განაწილება ხდება წარმოების ფაქტორების მესაკუთრეებს შორის შექმნილი დოვლათის წარმოებაში მათი მონაწილეობის შესაბამისად. მათ ამ მონაწილეობას კი განსაზღვრავს წარმოების ფაქტორების ზღვრული მწარმოებლურობის და მოთხოვნის და მიწოდების კანონების მოქმედების საფუძველზე ფასების ჩამოყალიბება-ცვლილება. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული შემოსავლის განაწილების დროს, გარდა ავტომატურად მოქმედი სუფთა ეკონომიკური მექანიზმებისა, ბაზარი თავის „საქმიანობაში“ არ იცნობს და არ ღებულობს შეგნებულობის, ზნეობრიობის, სამართლიანობის არავითარ ელემენტებს. ბაზარი მხოლოდ იმათ განწყობა-მოტივაციაზე რეაგირებს, ვინც მის ფუნქციონირებაში მეწარმოებრივი (შრომითი) საქმიანობით ერთვება. ვისაც ასეთი საქმიანობა არ ძალუძს და ეს მისგან დამოუკიდებელი (სუსტი ჯანმრთელობა, ხანდაზმულობა, მცირეწლოვანობა) თუ სხვა მიზეზით (სიზარმაცე) არის განპირობებული, მას ბაზრის აბსოლუტური თვითრეგულირების საწყისებზე ფუნქციონირების დროს შექმნილი დოვლათის განაწილებაში საქმე არა აქვს. მაგრამ აქედან (და თავისუფალი ბაზრის ზოგიერთი სხვა ნაკლოვანების თაობაზე მოსაზრებებიდან) გამომდინარე იმის თაობაზე დასკვნის გაკეთება, რომ საბაზრო ეკონომიკა დაძალებით მართვადი (გეგმიანი) ეკონომიკით უნდა შეიცვალოს (როგორც ამას უტოპისტ-სოციალისტები სთავაზობდნენ, ხოლო შემდგომში მარქსისტ-ლენინელებმა განახორციელეს), არამართლზომიერია.

მონარქების და მხედართმთავრებისათვის სასურველი (მისაღები) მართვის ცენტრალიზებული ადმინისტრაციული მეთოდი ეკონომიკაში ძირითადად XX საუკუნეში მოვიდა (თუ არ ჩავთვლით მონათმფლობელობას), მაგრამ წინადადებებს ეკონომიკის ასეთ პრინციპებზე ორგანიზების სასურველობაზე ხშირად აყენებდნენ. ეს იყო საზოგადოებრივი ცხოვრების, როგორც ავტორებს მიაჩნდათ, იდეალური მოწყობის წინადადება-რეკომენდაციები (ზოგჯერ კი ერთგვარი ცდებიც). იდეალური სახელმწიფოს — **„კუნძულ უტოპიას“** შექმნის ყველაზე ცნობილი პროექტი ინგლისელ **თომას მორს** ეკუთვნის (ამის შემდეგ გამოიყენება სიტყვა „უტოპია“ ბევრ ენაში არარეალურის, შეუსრულებლის სინონიმად).

სახელმწიფოს (და მასთან ეკონომიკის) უტოპისტების ხელოვნურად შექმნილი რეკომენდაციების შესაბამისად ორგანიზაციის არარეალურობა კარგად ესმოდა ბევრს მე-19 საუკუნეშიც, მაგრამ მათი პრინციპულად მიუღებლობა დადასტურდა მხოლოდ XX საუკუნეში, როდესაც დე-

დამიწის თითქმის ერთ მესამედზე სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალებმა ხელი მოჰკიდეს ასეთი იდეალების პრაქტიკულ ხორცშესხმას.

სწორედ ასეთი იდეების ზეგავლენით და მათი ცხოვრებაში გატარებისათვის დაიწყო და ტარდებოდა ათეული წლების განმავლობაში ჯერ რუსეთის იმპერიაში (ყოფილი სსრკ), შემდგომ კი, მასთან ერთად, ბევრ სხვა ქვეყანაში განსაკუთრებული ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის მთავარი ღერძი იყო საზოგადოებრივი საკუთრება და ეკონომიკის ბრძანების მეთოდით ერთი ცენტრიდან და დირექტიული სახალხო-მეურნეობრივი გეგმის საფუძველზე მართვის მცდელობა (სისტემა).

რა არის ეს დირექტიული დაგეგმვა, რომელსაც ყოფილ საბჭოთა კავშირში „მართვის გულს" უწოდებდნენ?

დირექტიული დაგეგმვა არის ქვეყნის ან მისი ნაწილის ეკონომიკური განვითარების მართვის საშუალება, რომელიც გულისხმობს ძირითადად საზოგადოებრივი (სახელმწიფოებრივი) საკუთრების საწყისებზე ცენტრის მიერ საქონლის და მომსახურების წარმოებისათვის აუცილებელი საგეგმო დავალებების დამუშავებას, სამეურნეო (ეკონომიკური) საქმიანობის მათ საფუძველზე მოწყობას და დაძალებით წარმართვას, გეგმის შესრულებაზე ადმინისტრაციული და სხვა საშუალებების გამოყენებით მკაცრი კონტროლის გატარებას.

ყოფილ სსრ კავშირში დირექტიული დაგეგმვის პრაქტიკამ ფაქტობრივად ვერ გაამართლა, ის სინამდვილეში სამეურნეო ინიციატივის და, შესაბამისად, ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანწილად მამუხრუჭებელი ფაქტორი გახდა. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ნელ ტემპებთან (განსაკუთრებით XX ს. მეორე ნახევარში), პროდუქციისა და მომსახურების პერმანენტულ დეფიციტთან და დაბალ ხარისხთან, რესურსების არარაციონალურ გამოყენებასთან (ხარჯვითი ეკონომიკა) ერთად, ეს იმითაც დასტურდება, რომ 10 გეგმური ხუთწლედის შედეგები თითქმის ყველა შემთხვევაში იმაზე დაბალი (უარესი) იყო, ვიდრე ეს თავიდან დაიგეგმა.[1]

ამასთან აქ ერთ რამეს უნდა გაესვას ხაზი.

ე.წ. **„სუფთა საგეგმო ეკონომიკა"**, როდესაც ეკონომიკაში მთლიანად აღებულია ხელი საბაზრო მექანიზმებზე და შემოღებულია მთელი სახალხო მეურნეობის ადმინისტრაციული მეთოდებით და პოლიტიკური გადაწყვეტილებების საფუძველზე მართვა, თეორიულად თითქოსდა უფრო უბრალოდ და მისაღებად გამოიყურება; აქ ვითომდა ნათლად ჩანს საგეგმო ეკონომიკის უპირატესობები:

- რესურსების და სახსრების გამოყენების თაობაზე ყველა გადაწყვეტილებას კვალიფიციური ცენტრალური საგეგმო ორგანოები იღებენ;
- ეს ორგანოები აგროვებენ და გადაამუშავებენ მთელ ინფორმაციას და წყვეტენ საკითხს იმის თაობაზე, თუ რა პროდუქცია და რა რესურსის გამოყენებით უნდა იქნეს გამოშვებული, რამდენი, რა ხარისხის და რა ფასებში გაიყიდოს;
- ეს ორგანოები ადგენენ ასევე, თუ როგორ უნდა განაწილდეს (გაიყიდოს) შექმნილი პროდუქცია, მაშასადამე, უზრუნველყოფენ განაწილებით ურთიერთობებში უმაღლეს სამართლიანობას, ეკონომიკის უკრიზისო განვითარებას;
- მთელ ამ საქმიანობაში გამოიყენება მეცნიერების უკანასკნელი, უმაღლესი მიღწევები.

ერთი შეხედვით, ეს მართლაც ძალზე მარტივი და რაციონალური სქემაა. მისი მოთხოვნების შესრულება თითქოსდა არ უნდა გაჭირდეს, მით უმეტეს, თანამედროვე ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების არსებობისას.

გარდა ამისა, ამ სისტემის მიმზიდველობას ის გარემოებაც ადიდებს, რომ მისი ფუნქციონირების პირობებში, ბაზართან შედარებით, თითქოსდა უკეთ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს როგორც ეკონომიკური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური ფაქტორები, ისე პოლიტიკური ამოცანები და სოციალური პრიორიტეტები; აქვე ასე ჩანს (თეორიულად მაინც), რომ რესურსების გამოყენების სისტემატური შეგნებული მართვით შესაძლებელია ლიკვიდირებულ იქნეს აშკარა უმუშევრობა, ეკონომიკაზე (მ.შ. ხელფასზე) ტოტალური კონტროლის საშუალებით (ამას კი შესაძლებელს ხდიდა ხელისუფლების მიერ გაფიცვების ფაქტობრივი აკრძალვა) თითქოს რეა-

[1] ეს არავითარ შემთხვევაში არ იძლევა სსრკ-ის ეკონომიკაზე ზერელე, ქილიკური მსჯელობის საფუძველს. პირიქით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ზრდის არნახული ტემპები (განსაკუთრებით 1925-1955 წლებში) ჯერ კიდევ აუხსნელ „ეკონომიკურ სასწაულად" არის აღიარებული მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში.

ლური ხდება შემოსავლის სამართლიანი (სასურველი) განაწილება საზოგადოებაში.

ცხოვრებამ კი დაადასტურა, რომ საგეგმო ეკონომიკის ზემოჩამოთვლილი უპირატესობები ძირითადად ქაღალდზე შეთხზული მოჩვენება-სურვილებია; დირექტიული დაგეგმვა ეკონომიკის განვითარებაში, როგორც მინიმუმი, შემდეგ ნეგატიურ მოვლენებს იწვევს:

- ეკონომიკის სფეროში საჭირო გადაწყვეტილებების მიღების დაგვიანება (უამრავი შეთანხმებების და სხვა მიზეზების გამო);
- არარაციონალური გადაწყვეტილებების და გეგმების მიღების რეალობა (ვინც გეგმავს და აძალებს, ის მატერიალურად პასუხს არ აგებს შედეგებზე);
- ეკონომიკის სფეროში ადამიანების პირადი დაინტერესების დაცემა (კერძო საკუთრების აკრძალვა, „ყველაფერი მაინც ზევით წყდება", საქმიანობის შედეგის ანაზღაურება პირდაპირ კავშირში არ არის პირად ინიციატივასთან და სხვა);
- ეკონომიკის მიერ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების შეთვისების დაქვეითება (რეალურად — შინაგანად ამის ბუნებრივი მოტივაციის არარსებობა);
- ადამიანთა თავისუფლების შეზღუდვა (ჩახშობაც კი) და დემოკრატიის შეკვეცა (დათრგუნვაც კი).

დირექტიული დაგეგმვის დროს სამეურნეო სუბიექტები ყოველმხრივ შეზღუდული არიან არა მარტო იურიდიული (საკანონმდებლო) აქტებით, არამედ მეურნეობაში რესურსების ხარჯვის შემოღებული ნორმატივებით. მათ უფლება არა აქვთ, რომ ეკონომიკური რაციონალურობიდან და ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეცვალონ რესურსების ხარჯვის სტრუქტურა[1]. უფლებების და ინიციატივის ასეთი შეზღუდვა, რომელსაც თითქოსდა რესურსების ეკონომია უნდა დაემყარებინა სახალხო მეურნეობაში, სინამდვილეში ამკვიდრებდა მის ხარჯვით ხასიათს. საქმე ის არის, რომ, თუ საწარმო რესურსების ეკონომიას უზრუნველყოფდა, შემდგომ სამეურნეო პერიოდში ხარჯვის ნორმატივები მცირდებოდა და მას (საწარმოს) ნაკლები რესურსები გამოეყოფოდა.

მაგრამ **დირექტიული დაგეგმვის ცენტრალიზებული მართვის ყველაზე მთავარი მანკი ის არის, რომ მართვის ასეთი სისტემა ახშობს და სპობს კონკურენციას, მეტოქეობას და ინიციატივას,** მის პირობებში ყველა ადამიანი (მეურნე) ან უმნიშვნელო, პატარა კაცად გრძნობს თავს, რომელსაც არაფერს ეკითხებიან და რომელიც არც არაფერს წყვეტს (ამიტომ მის მენტალიტეტში გულგრილობა ისადგურებს), ან ის ამბიციურად პატივმოყვარე და თავდაჯერებული ხდება ყველას მიმართ, ვისთვისაც მის სამეურნეო თუ სხვა გადაწყვეტილებას (ვთქვათ, რესურსების გამოყოფა, დეფიციტური სიკეთისადმი წვდომის უზრუნველყოფა, მოსახერხებელი გეგმის დამტკიცება, ობიექტის ხელმძღვანელად დანიშვნა და სხვ.) დიდი მნიშვნელობა აქვს. გულგრილობა და ზედმეტი თავდაჯერებულობა კი სპობს ახლის ძიების მიდრეკილებასა და უნარს (ეს ეხებოდა როგორც პარტიულ-საბჭოთა ნომენკლატურას, ისე „საბჭოურ მენეჯერებს" და სხვებს).

კონკურენციის არარსებობა და სიახლისადმი ინდიფერენტულობა (დაუინტერესებლობა) კი დაბლა სცემს პროდუქციის ხარისხს, ეკონომიკურ რაციონალურობას, ხარჯვით ხასიათს აძლევს მეურნეობას. **ეკონომიკაში, სადაც კონკურენცია და მეტოქეობა ჩაკლულია, საჭირო არ არის სერიოზულად იზრუნო არც ხარისხზე, არც წარმოების (და სხვა) ხარჯების ეკონომიაზე — სულ ერთია, მყიდველს მაინც არა აქვს არჩევანი, ის ვერსად ვერ წავა.**

ცალკე განხილვის ღირსია საბაზრო და გეგმიან **ეკონომიკაში ინფორმაციის** მდგომარეობის საკითხი. ცნობილია, რომ თანამედროვე ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იფორმაციის ოპერატიულობას, სისრულესა და საიმედოობას. **ინფორმაცია საბაზრო ეკონომიკაში სამეურნეო სუბიექტების ქცევის განმსაზღვრელი საშუალებაა ეკონომიკური საქმიანობის პროცესში, მას ხშირად მართვის ერთ-ერთ მთავარ, მნიშვნელოვანწილად გადამწყვეტ პირობად აღიარებენ, ზოგჯერ წარმოების დამოუკიდებელ ფაქტორადაც კი თვლიან;** ამიტომ ამბობენ, რომ მეწარმეობრივ საქმიანობაში, ბიზნესში წარმატებას ის აღწევს, ვინც უკეთესად ფლობს ინფორმაციას.

[1] სწორად შენიშნავდა საბჭოური ეკონომიკის ერთ-ერთი მკვლევარი ი. ოლსევიჩი: „თუ სტიქიური ბაზრის ორგანიზმის სამშენებლო უჯრედი არის საქონელი როგორც სარგებლიანობისა და თავისუფალი ფასის ერთიანობა, დირექტიული საგეგმო სისტემის უჯრედი არის ცენტრალიზებულად დაწესებული ნორმატივი როგორც დანახარჯების და შედეგის წინასწარ განსაზღვრული შეფარდება".

დაძალებით მართვად სახალხო მეურნეობასა და თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე დამყარებულ ეკონომიკას შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება (და გეგმიანი ეკონომიკის ნაკლი) კი სწორედ მოთხოვნის ოდენობის და ბაზრის გაჯერების თაობაზე და საერთოდ მართვისათვის საჭირო ინფორმაციის შექმნის და მიწოდება-მიღების ხასიათში ძევს. საბაზრო ეკონომიკაში, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ეს უპირველესად ფასებია, რომლებიც ყალიბდება მოთხოვნისა და მიწოდების თავისუფალი ცვლილებების საფუძველზე, როცა მოთხოვნის შეცვლა (ე.ი. მომხმარებელი) უშუალოდ განსაზღვრავს მიწოდების ცვლილებებს, ანუ მოთხოვნა განაპირობებს წარმოებას. დირექტიული დაგეგმვის პირობებში კი მომხმარებელი და უშუალო მწარმოებელი ბევრს ვერაფერს წყვეტენ, მათ მაგივრად, რომ იტყვიან, „სხვები ფიქრობენ". ფასებს მომხმარებელთა და მომწოდებელთა ქცევის შესაბამისად ბაზარი კი არ აწესებს და ცვლის, არამედ ეს ხდება ცენტრალიზებულად, ჩინოვნიკ-ბიუროკრატების სხვადასხვა, ხშირად სუბიეტური მოტივების (მ.შ. ზოგჯერ ანგარების) საფუძველზე. ასე დაწესებული ფასები და მათი ასევე ბაზარს ზემოდან თავსმოხვეული ცვლილებები უმეტესწილად ეკონომიკური კანონების მოთხოვნების, რეალური მდგომარეობის გათვალისწინება-გაუმჯობესების იმიტაციაა მხოლოდ და ეფექტიანი სამეურნეო გადაწყვეტილებების მისაღებად ვერ გამოდგება ვერც მიკრო- და ვერც მაკროდონეზე.

საბაზრო ეკონომიკაში მოთხოვნაზე და ფასებზე ინფორმაციას უპირველესად გამყიდველები მოიპოვებენ, რომლებიც თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების პირობებში მასზე მყისვე (ოპერატიულად) რეაგირებენ.

დირექტიული, ცენტრალიზებული დაგეგმვის დროს კი გამყიდველის მიერ ინფორმაციის მიღებას მნიშვნელობა თითქმის არა აქვს: ჯერ ერთი, ის, როგორც ითქვა, უშუალოდ არაფერს არ წყვეტს; მეორე, არც არის დაინტერესებული რაიმე სერიოზული გადაწყვეტილების მიღებაში, ვინაიდან მისი ნაწარმის (საქონლის) გაყიდვა (რეალიზება) კი არ ხდება, არამედ ფაქტობრივად განაწილება (მომარაგების სამსახურები), მაშასადამე, „რეალიზაცია" გარანტირებულია.

სამეურნეო საქმიანობის შედეგების (და, შესაბამისად, სამეურნეო სუბიექტების და მათი ხელმძღვანელობის საქმიანი თვისებების) შეფასებაც ამ ფსევდოფასებით შედგენილი ანგარიშების (ინფორმაციის) საფუძველზე კეთდება. რაკი ასეა, ეს შეფასება ობიექტური ვერ იქნება, მის შესაბამისად დადგენილი მატერიალური თუ მორალური წახალისება პირდაპირ არ უკავშირდება სამეურნეო სუბიექტების ნამდვილ საქმიანობას (თუ ინერტულობას), მათ რაციონალურობა-ეფექტიანობაზე დამოკიდებული არ არის; მაშასადამე, სამეურნეო საქმიანობის რეალურ შედეგებზე ეკონომიკური პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანწილად ქრება.

ეს კი, თავის მხრივ, მეურნეთა გახრწნას იწვევს ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) თვალსაზრისით: საწამოების ადმინისტრაცია იმაზე კი არ ზრუნავს უმეტესწილად, რომ სამეურნეო საქმიანობის შედეგები ობიექტურ (რეალურ) საზოგადოებრივ მოთოხვნებს შეესაბამებოდეს, არამედ იმისათვის იღწვის და იმას ფიქრობს, თუ როგორ დაუმორჩილოს და დაამთხვიოს სტატისტიკურ ანგარიშებში ეს შედეგები იმ კრიტერიუმებს (გეგმებს), რომლებიც მას დაუწესეს და რომლებითაც მისი საქმიანობის შემფასებელი სხვადასხვა დონის დამსჯელ-მოწყალე წარმართველი ცენტრი (ჩვენ ყოფილ პირობებში კი პატრიულ-სახელმწიფოებრივი ნომენკლატურა) ხელმძღვანელობს. ინფორმაციის დამახინჯების მოტივაციას ისიც ამაგრებს, რომ გეგმა კანონთან არის გათანაბრებული, რომლის შეუსრულებლობა-ჩაშლა კანონითვე ისჯება. ასეთ პირობებში სამეურნეო სუბიექტები ცდილობენ, ჯერ ერთი, თავიდანვე (გეგმის ჩამოყალიბების დროს) ისე შეადგინონ დაგეგმისათვის საჭირო ინფორმაცია, რომ შედარებით ადვილად შესასრულებელი გეგმა მიიღონ (რესურსების გადამალვა, დაბალი გეგმის მიღების „ჩაწყობა" და სხვა); შემდგომში კი (მეორე), თუ გეგმა მაინც ვერ შესრულდა, ის რეალიზებულად წარმოსახონ (ე.წ. „მიწერები") ან მისი ცალკეული ელემენტების შემცირებას მიაღწიონ სხვა მასთან დაკავშირებული მაჩვენებლების კორექტირების გარეშე (ე.ი. გეგმა თითქოსდა სრულდება, ეკონომიკური მდგომარეობა კი სავალალოა).


ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ თავად ამ „წარმართველ" ძალასაც (ეს ძალა უმაღლესი დონიდან ქვედა რგოლამდე მნიშვნელოვანწილად შეპყრობილია ყველა სფეროში თავისი „დიადი" ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ეფექტიანობის ამბიციებით) თავისი კორპორაციული ინ-

ტერესები გააჩნია და პირველ რიგში დარგში (სამინისტროში) და რეგიონში მეურნეობრიობის რეალური შედეგები კი არ აინტერესებს, არამედ მისი ამსახველი ინფორმაცია (ე.ი. მოცულობა ციფრებში), ანუ მის მიერვე დაწესებული ფასების ჯამი[1] და ამ ჯამების ტემპები.

ეს კი, ერთი მხრივ, ამყარებს და ამტკიცებს ეკონომიკის ხარჯვით ხასიათს (საქმიანობა რომ შედეგიანად შეგიფასდეს, მთავარია მოცულობები და არა ეფექტიანობა), მეორე, უბიძგებს როგორც მეურნეობრივ სტრუქტურებს, ისე მმართველობით ორგანოებს ზემოხსენებულ მიზეზებთან დაკავშირებით ისედაც არასწორი ინფორმაციის კიდევ უფრო მეტად დამახინჯებისაკენ. ე.ი. ეკონომიკური ინფორმაციის მნიშვნელოვანწილად არასარწმუნოება და სიყალბე ობიექტურ ხასიათს იღებს, ამ სისტემის პერმანენტული ჭირია (ზადია), ინფორმაციის უტყუარობის უზრუნველყოფა კი გადაულახავი ბარიერი. პირიქით, ამისათვის ბრძოლა-მონადინება მმართველი ძალისთვისაც კი არასასურველი და გამაღიზიანებელია (თუმცა გარეგნულად, ფორმალურად ის ამას „მოითხოვს", უმკაცრესი კანონები აქვს შემოღებული), ხოლო რაპორტომანია და მოჩვენებითობა მის მხარდაჭერას და წახალისებას იმსახურებს.

ყოფილ საბჭოთა კავშირში და უმეტეს ფსევდოსოციალისტურ ქვეყნებში (განსაკუთრებით კუბაში, ჩრდილოეთ კორეაში, ალბანეთში და ჩინეთში მაოიზმის დროს) ადგილი ჰქონდა ეკონომიკის უმკაცრესი ცენტრალიზებული დაგეგმვის პრინციპებზე ფუნქციონირებას.

სსრ კავშირში სახალხო მეურნეობის საყოველთაო ცენტრალიზებულმა დაგეგმვამ თითქმის ექვსი ათეული წელი იარსება. აი, როგორ ხდებოდა ძირითადად გეგმის ფორმირება მთელი ქვეყნის მასშტაბით:



ნახ. 7.2. გეგმის ფორმირების ეტაპები სსრკ-ის დაძალებით წარმართვად ეკონომიკაში.

დიაგრამაში მოცემული პროცედურების შედეგად შედგენილი გეგმა მტკიცდებოდა როგორც კანონი (მთავრობის დადგენილებას ღებულობდნენ). რეალური ცხოვრება კი ქაღალდზე დახატულ-გაანგარიშებულ გეგმებს უამრავ პრობლემას უქმნიდა, გეგმების შედგენის სრულყოფის მრავალგზის ჩატარებული ცდები კი დადებით შედეგს არ იძლეოდა, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა (განსაკუთრებით კი საბაზრო ურთიერთობებზე ფუნქციონირებადი ბევრი ქვეყნის ეკონომიკის მიღწევების ფონზე) უარესდებოდა. როგორც სსრ კავშირის და სოციალიზმის მიმ-

[1] ეკონომიკის სპეციალისტებს და საერთოდ იმათ, ვისაც ჯერ კიდევ ახსოვს საბჭოური რეალობა, რა დაავიწყებთ ყბადაღებულ საერთო პროდუქციას, ე.წ. „Валʼ"-ს!

დევარი სხვა ქვეყნების პრაქტიკამ ცხადყო, გეგმიანი ეკონომიკის ზემოხსენებული უპირატესობები რეალურ ცხოვრებაში ფაქტობრივად ნაკლოვანებებად გარდაიქმნება. ამიტომ იყო, რომ XX ს. მეორე ნახევარში სსრ კავშირში დირექტიული საგეგმო სისტემა თანდათანობით უფრო ლიბერალური ხდებოდა, ადგილი ჰქონდა ზოგიერთი კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის ცენტრიდან ადგილებზე დელეგირებას (ამა თუ იმ ნაწარმის გამოშვება, მისი ზომა, ფასი და ა.შ.).

მაგრამ ეს ფაქტობრივად არ ცვლიდა სისტემის ძირითად პრინციპებს. პირიქით, ზოგ შემთხვევაში სისტემაში ასეთი ცვლილებების შეტანა კიდევ უფრო ამწვავებდა მის წინააღმდეგობებს. საქმე ისაა, რომ სამომხმარებლო საქონლის შედარებით თავისუფალი ბაზრის პარალელურად საწარმოებისთვის მკაცრი გეგმების არსებობა განაპირობებდა იმას, რომ მომხმარებელი ხშირად უარს ამბობდა იმ ნაწარმის შეძენაზე, რომელსაც საგეგმო სისტემის საწარმოები გამოუშვებდნენ. შესაბამისად, იქმნებოდა, ერთი მხრივ, დეფიციტი (დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა) და რიგები, აგრეთვე ამ მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი „ჩრდილოვანი" ეკონომიკა და „შავი" ბაზარი; ამის პარალელურად (მეორე მხრივ) სავაჭრო ქსელში და თვით საწარმოებშიც გროვდებოდა გაუსაღებელი, ყოველმხრივ უსარგებლო, ე.წ. „ჩაწოლილი" საქონელი.

ჩრდილოვანი ეკონომიკა ეწოდება „დაფარულ" საქმიანობას, ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი აქტებისა და ნორმების გვერდის ავლით, არაკანონიერი წესით შემოსავლის მიღებას. თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების პირობებში ჩრდილოვან ეკონომიკაში გულისხმობენ უპირველესად ისეთ კანონსაწინააღმდეგო, ასოციალურ (სოციალურად საშიშ) საქმიანობას, როგორიცაა კანონით აკრძალული საქონლის (ნარკოტიკები, იარაღი, მომწამლავი ნივთიერებები და ა.შ.) წარმოება, დამზადება და რეალიზაცია, კონტრაბანდა, რეკეტი, პროსტიტუცია და მისთანები, აგრეთვე არარეგისტრირებული საქმიანობა. ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობა სერიოზული პრობლემაა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვისაც. საბჭოურ გეგმიან ეკონომიკაში კი ეს იყო უპირატესად კანონით აკრძალული მეწარმეობრივი საქმიანობა, მიმართული პერმენენტულად დეფიციტური ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებისაკენ.

გეგმიან ეკონომიკაში მუდმივად არსებული ზემონახსენებ-განხილული მოვლენები მიანიშნებდა, რომ მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი და საგანგაშოა, რომ საჭიროა რაღაც ღონისძიებების გატარება. ამიტომ, გეგმებში ცენტრალიზებულად ცვლილებების შეტანასთან ერთად (ამ ცვლილებებს კი თავისთავად ისეთივე ნაკლვანებები ახასიათებდა, როგორც თავიდანვე შედგენილ გეგმას, ვინაიდან მართვის პრინციპები იგივე რჩებოდა), ხელისუფლება ცდილობდა მატერიალურად და მორალურად წაეხალისებინა საწარმოთა ხელმძღვანელები, კოლექტივები (პრემიები, გმირობა, ორდენები და მედლები), მაგრამ ამასაც, როგორც წესი, მდგომარეობის გაჯანსაღება არ მოჰყვებოდა.

საგეგმო ეკონომიკაში საწარმოთა საქმიანობის მიმართულებას (და მმართველობითი ორგანოების ეკონომიკის ფუნქციონირებაში ჩარევას), როგორც უკვე აღინიშნა, უპირველესად ის კი არ განაპირობებს, რომ გამოშვებულ იქნეს მომხმარებლისათვის საჭირო პროდუქცია, არამედ მისი გარკვეული მოცულობა, რომელმაც ფულად გამოხატულებაში უნდა დააკმაყოფილოს (დაფაროს) ცენტრშივე მოცულობით გაანგარიშებული ერთობლივი მოთხოვნა. ცენტრში კი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ განზოგადებულ მონაცემებზე შეიძლება (მაგალითად, ფეხსაცმელი ტყავის, ქალის და მამაკაცის), მაშინ როდესაც მომხმარებელს კონკრეტული საქონელი (ზომა, ფასონი, ფასი და ა.შ.) სჭირდება.

ასეთი მოცულობითი დაგეგმვა, დავუმატოთ ზემოთქმულს, უბიძგებს საწარმოთა და დარგების ხელმძღვანელებს მიმართონ ყოველგვარ არაეკონომიკურ და უკანონო ხერხებსაც კი, რომ ადვილად შესასრულებელი გეგმები მიიღონ და მათი რეალიზაციის შედეგად მატერიალურ და მორალურ ნახალისებას, სტატუსის განმტკიცებას მიაღწიონ. მოცულობით დაგეგმვას ხშირად თან სდევს არა მარტო რაციონალური ეკონომიკისათვის, არამედ ჩვეულებრივი, ნორმალური აზროვნებისათვის, მარტივი ლოგიკისათვის აბსურდული ისეთი მოვლენები, როგორიცაა: 1) რაც შეიძლება უფრო მძიმე პროდუქციის გამოშვება, თუ, ვთქვათ, პროდუქციის წარმოება იგეგმება ტონებში (მაგალითად, მეტალურგიაში); 2) ტვირთის გრძელი გზით გადატანა, თუ ტრანსპორტზე გეგმა ტონა/კილომეტრებში მტკიცდება და ა.შ.[1]

[1] „გადავაჭარბოთ ლურსმნის წარმოების გეგმა". — ირონიულად აღნიშნავდა საკავშირო ჟურნალი „კროკოდილი" ერთ-ერთი ნახატის ქვეშ, რომელზეც „მოწინავე" ქარხნის მუშებს გადაჰქონდათ მათ მიერ გამოშვებული ერთადერთი ვეებერთელა, მრავალტონიანი... ლურსმანი.

ამასთან ცენტრალიზებული დაგეგმვის სარგებლიანობის აბსოლუტური უარყოფაც სწორი არ იქნებოდა. **ქვეყნის მასშტაბით დაგეგმვა ხანდახან დადებით შედეგებს იძლევა ომის (და სხვა ექსტრემალურ) პირობებში, როდესაც ეკონომიკის ჩვეულებრივი, ბუნებრივი კანონები, რომ იტყვიან, ჩრდილში ექცევა და ქვეყნის ძირითადი რესურსების გარკვეული ერთი მიმართულებით ხელოვნური (ძალისმიერი) თავმოყრა ხდება აუცილებელი.** ეკონომიკის ცენტრალიზებულ საბჭოურ მართვა-დაგეგმვაშიც იყო აღფრთოვანების ღირსი ფურცლები: სამამულო ომის დროს ასეულობით ქარხანა-ფაბრიკის აღმოსავლეთში ევაკუაცია და უმოკლეს დროში ამოქმედება; დასავლეთის ატომურ-რაკეტულ გამოწვევაზე ეფექტიანი პასუხი; კოსმოსის ათვისება; ქვეყნის ჩამორჩენილი რეგიონების განვითარების გამოთანაბრება და სხვ.

და კიდევე ერთი მოსაზრება. საბჭოურ გეგმიან ეკონომიკურ სისტემას მთლიანობაში მკვეთრად გამოხატული სოციალური ორიენტაცია ახასიათებდა. ამან კი (ეს ფართოდ არის აღიარებული) სერიოზული დადებითი როლი ითამაშა სხვა ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის „თვითგაკეთილშობილებაში", ამ სისტემაში სოციალური ორიენტაციის განმტკიცებაში.

თავისთავად დაგეგმვის იდეა კი მეტად გონივრულია როგორც საერთოდ ეკონომიკაში, ისე განსაკუთრებით ფირმის (საწარმოს) დონეზე და იქ, სადაც:

- გეგმას ადგენენ მესაკუთრე კერძო პირის დავალების საფუძველზე, რომელიც (მესაკუთრე) თავის თავზე იღებს მისი შესრულების შედეგებს (გაკოტრებამდეც კი);
- გეგმის რეალიზაცია ხდება გარიგებების პარტნიორების (და მათთან ფასების შეთანხმების) თავისუფალი არჩევის პირობებში (ეს პირობები გარანტირებული უნდა იყოს კანონმდებლობით);
- გეგმის სისწორეს ამოწმებს მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილების დონე;
- მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინფორმაცია თავმოყრილია მასთან, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს და მატერიალურად აგებს მათი გატარების შედეგებზე პასუხს.

თავისი ბუნებით ბაზარი ორიენტირებულია სამეურნეო სუბიექტების უშუალო ეკონომიკურ ინტერესებზე, ამასთან ეკონომიკის კვლავწარმოების ძირითად საბაზრო მექანიზმებში სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვა — პროგნოზირების საშუალებების ერთგვარი გამოყენება და სახელმწიფოებრივი რეგულირების ელემენტების ზომიერი ჩართვა შესაძლებელს ხდის, რომ ზოგჯერ გათვალისწინებულ იქნეს საზოგადოების არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური და ეკოლოგიური ინტერესები. ამიტომ არის, რომ XX საუკუნეში (და დღესაც) ცენტრალიზებულ დაგეგმვას ან მის ელემენტებს ზოგიერთი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშიც მიმართავენ (საფრანგეთი, იაპონია). მაგრამ ეს დირექტიული გეგმები კი არ არის, არამედ ისინი უფრო რეკომენდაციულ ხასიათს ატარებენ. ამიტომ მათ **ინდიკატიურ გეგმებს** უწოდებენ.

ინდიკატიური დაგეგმვა არის ქვეყანაში ეკონომიკური პროცესების ერთგვარი რეგულირების ხერხი წარმოების განვითარების სარეკომენდაციო მიზნების განსაზღვრის საშუალებით და სახელმწიფოს მიერ იმ კომერციული სტრუქტურებისათვის საფინანსო და სხვა სტიმულების შექმნით, რომლებიც თანახმა არიან იმოქმედონ სახელმწიფო რეკომენდაციების შესაბამისად.

დაბოლოს, ორი ეკონომიკური სისტემის შედარების შედეგი — დასკვნა: *საბაზრო ეკონომიკა მთლიანობაში უზრუნველყოფს შეზღუდული რესურსების უკეთ გამოყენებას და მეტი დოვლათის (გასანაწილებელი „ღვეზელის") შექმნას; გეგმიანი ეკონომიკა კი ერთგვარად აუმჯობესებს სამართლიანობის ზნეობრივი პოზიციიდან ეროვნული შემოსავლის განაწილებას, მაგრამ უზრუნველყოფს უფრო ნაკლების შექმნას, რომ არაფერი ვთქვათ სხვა უარყოფით მოვლენებზე (ადამიანის თავისუფლება და სხვ.).*

გამოდის, რომ კაცობრიობა რეალურად შემდეგი დილემის[1] გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე დგას:

- **ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობების პრინციპებზე ფუნქციონირების შედეგად მეტი დოვლათი აწარმოოს, მისი პირველი და ძირითადი განაწილება საბაზრო მექანიზმებზე დაყრდნობით, ე.ი. წარმოების ფაქტორებზე მათი მწარმოებლურობის შესაბამისად (მა-**

[1] დილემა (ბერძნ. Dilemma - di(s) წინამძღვარი + ორჯერ გაგზავნა) — 1) ლოგიკური მსჯელობა ან დასკვნა, რომელიც შეიცავს ორ ერთმანეთის გამომრიცხავ დებულებას, რომელთაგან ერთ-ერთის არჩევა აუცილებელია; 2) ორი (ჩვეულებრივად, არასასურველი) შესაძლებლობიდან არჩევანის აუცილებლობა.

შასადამე, შედარებით „უსამართლოდ") და შემდგომში გარკვეული გადანაწილების შედეგად ეს უსამართლობა ერთობ მოასწოროს (შეარბილოს) და ეროვნული შემოსავლის პირველადი განაწილების დროს „დაზარალებულ" საზოგადოების წევრებსაც შეუქმნას არსებობის პირობები;

- **თუ ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკის (დაძალებით წარმართვადი ეკონომიკის) ორგანიზებით ნაკლები დოვლათი შექმნას, მაგრამ „სამაგიეროდ" თავიდანვე შეგნებულად უფრო სამართლიანი განაწილება გააკეთოს.**

ეკონომიკის გეგმურ საწყისზე ორგანიზება რომ ძირითადად სიღატაკისა და უპოვრობის „სამართლიან" განაწილებაში გადაიზრდება და თანაც მის პრინციპებში ჩადებული სამართლიანობაც რეალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანწილად ქაღალდზე რჩება, ეს ჩვენმა საზოგადოებამ კარგად დაინახა შვიდი ათეული წლის განმავლობაში „სოციალიზმის მშენებლობის" მაგალითზე. როგორც **უინსტონ ჩერჩილი** აღნიშნავდა, *„კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია დოვლათის უთანაბრო განაწილების მანკი, სოციალიზმისათვის კი სიღატაკის თანაბრად განაწილებისადმი მიდრეკილება".*

დღეს ეს მოსაზრება ფართოდ არის აღიარებული, მაგრამ ასე როდი იყო ყოველთვის. საეჭვოა აგრეთვე იმის ვარაუდიც, რომ ამიერიდან საზოგადოებაში (ჩვენთან და საერთოდაც) ადგილი არ ექნება (და არ არის საჭირო) ეკონომიკის ორგანიზაციის პრინციპებზე შექმნილი დოვლათის განაწილება-გადანაწილების სამართლიანობა-სარგებლიანობაზე დავა-პოლემიკას.

თავი 5. შერეული ეკონომიკა როგორც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის რეალობა

ხშირად კაპიტალიზმს საბაზრო ეკონომიკასთან აიგივებენ, სოციალიზმს კი გეგმურ ეკონომიკასთან. ასეთი გამიჯვნა პრინციპში სწორია, მაგრამ ერთგვარ განმარტება-დაზუსტებას მოითხოვს, ვინაიდან პრაქტიკამ ისეთი მაგალითები მოგვცა, რომლებიც ეკონომიკური სისტემების ასეთ ხისტ დაყოფაში ვერ ეტევა. ყოფილ იუგოსლავიაში, მაგალითად (რომელიც ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით შედარებით წარმატებული იყო), სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი სისტემა სოციალისტური იყო, ეკონომიკა კი უფრო მეტად საბაზრო პრინციპებზე ფუნქციონირებდა. ფაშისტურ გერმანიაში კი, რომლის სისტემა საერთო ჯამში კერძოკაპიტალისტური იყო, ფართოდ გამოიყენებოდა საგეგმო ეკონომიკის ელემენტები, მ.შ. დირექტიული მეთოდები (ასეთ შემთხვევაში ზოგიერთი ავტორი „გეგმური კაპიტალისტური ეკონომიკის" კატეგორიასაც კი ხმარობს, იმას კი, რაც საბჭოთა კავშირში იყო, ბევრი „სოციალისტურ გეგმურ ეკონომიკას" უწოდებს).

გავიმეორებთ, რომ საერთოდ **„სუფთა" საბაზრო ეკონომიკა, როგორც აბსოლუტურად თვითრეგულირებადი სისტემა, ფაქტობრივად არ არსებობს.** თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა კი შეიძლება ისეთ ეკონომიკას ვუწოდოთ, სადაც ხელისუფლების მიერ აღიარებულია და რეალურად არსებობს ეკონომიკის თვითრეგულირების უპირატესობის პრონციპი და ყველგან, ყველა სფეროში, სადაც ბაზარს „მუშაობა" შეუძლია, ის თვითრეგულირების პრინციპების (უპირველესად კონკურენცია, თავისუფალი ფასები და სარგებელი) შესაბამისად მოქმედებს; მის პარალელურად კი ყოველთვის არსებობს გარკვეული სახელმწიფოებრივი რეგულირება. მაშასადამე, თავისუფალ ეკონომიკასაც გარკვეულწილად ყოველთვის შერეული ხასიათი აქვს, ის შერეული ეკონომიკაა. ასეთ პრინციპებზე ფუნქციონირებს დღესდღეობით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ეკონომიკა.

დაბოლოს, ეკონომიკის შერეულ ხასიათში ხშირად არა მარტო რეგულირების ზემოხსენებული ორივე პრინციპის მოქმედებას გულისხმობენ (თვითრეგულირება და სახელმწიფო რეგულირება), არამედ ეკონომიკაში საკუთრების ფორმების (კერძო, კოლექტიური და სახელმწიფო) თავისუფალ თანაარსებობასაც (ე.ი. მრავალწყობიან ეკონომიკას), ეს კი ფაქტობრივად ყველგან ნებადართულია.

კითხვები და სასწავლო დავალებები

1. როგორ გესმით:
   1.1. ეკონომიკის ორგანიზაციის სამი საკითხი: რა, როგორ და ვისთვის?
   1.2. წარმოების ორგანიზაციის ორი ძირითადი საშუალება: თვითრეგილურებადი მეურნეობრიობა და ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვა?
2. ხედავთ თუ არა რაიმე უპირატესობას „**Laissez faire**"-ს პოლიტიკაში და, თუ ხედავთ, რაში? (დაასაბუთეთ თქვენი მსჯელობა).
3. როგორ დაახასიათებდით „უხილავი ხელის" მოქმედებას?
4. როგორ ფიქრობთ, სწორია თუ არა მოსაზრება, რომ საზოგადოებრივი (სახელმწიფო) საკუთრების და ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის განმტკიცება-გაფართოება საზოგადოების პოლიტიკურ მართვაში ავტორიტარიზმს განამტკიცებს? თუ სწორია, როგორ ახსნით, რატომ ხდება ეს?
5. თქვენი აზრით, რა უშლის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების იდეალური ცენტრალიზებული გეგმის შედგენას და მის ზუსტ შესრულებას?
6. როგორ ფიქრობთ, რატომ არსებობს (არსებობდა) დირექტიული დაგეგმვის ყველა ქვეყანაში ოფიციალური ეკონომიკის პარალელურად მნიშვნელოვანი მოცულობის „ჩრდილოვანი" ეკონომიკა („შავი" ბაზარი)?
7. რა როლს ასრულებდა, თქვენი აზრით, სსრ კავშირში ე.წ. „საკოლმეურნეო ბაზრები", სადაც საქონლის (ძირითადად სურსათის) ყიდვა-გაყიდვა თავისუფალ ფასებში მიმდინარეობდა?
8. როგორ წარმოგიდგენიათ განსხვავება დირექტიულ დაგეგმვასა და ინდიკატიურ დაგეგმვას შორის?
9. შეაფასეთ (დაწვრილებით გააანალიზეთ) შემდეგი ფრაზა: „განაწილების არც ერთი წესი არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტიანად, სანამ წინასწარ არ განვსაზღვრავთ, თუ რას ნიშნავს „შემოსავლის ოპტიმალური განაწილება".
10. ხედავთ თუ არა რამე დადებითს დაგეგმვის იდეაში და, თუ ხედავთ, რაში? როგორ ფიქრობთ, ხომ არ შეიძლება ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე ფუნქციონირების პირობებში წარმოიქმნას ისეთი სიტუაციები, რომ სასარგებლო იქნება ცენტრალიზებული დაგეგმვა, მათ შორის დირექტიული დაგეგმვის ცალკეული ელემენტების გამოყენება?
11. როგორ ფიქრობთ, რომელია ამ მოსაზრებებიდან სწორი (დაასაბუთეთ):
    - „აშშ-ის ეკონომიკა „სუფთა" საბაზრო ეკონომიკაა";
    - „აშშ-ის ეკონომიკა არის „შერეული" ეკონომიკა".
12. დაწერილებით (საფუძვლიანად) განმარტეთ შემდეგი მოსაზრების შინაარსი და მნიშვნელობა:
    „ბაზრის შესანიშნავი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ის თავის თავს თვითონ იცავს. თუ საქონლის ფასი ან სხვა სახის გადასახდელები არ შეესაბამება ბაზრის მიერ დაწესებულ (შემოთავაზებულ) დონეს, მას ისეთი ძალები მოჰყავს მოქმედებაში, რომლებიც მათ ამ დონემდე აბრუნებენ. საინტერესო პარადოქსი ჩნდება: ბაზარი, რომელიც ინდივიდუალური ეკონომიკური თავისუფლების სიმბოლოა, ყველას მიმართ ზედამხედველად გვევლინება. შეიძლება საგეგმო ორგანოს ავტორიტეტი მოიშველიო ან მინისტრის წყალობას მიაღწიო, მაგრამ ბაზრის ანონიმურ დიქტატზე ვერსად იჩივლებ, მისგან მხარდაჭერას ვერავის თხოვ. მაშასადამე, ეკონომიკური თავისუფლება გაცილებით უფრო ილუზორულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ყველას უფლება აქვს ისე მოიქცეს ბაზარზე, როგორც მოეპრიანება, მაგრამ თუ ვინმე იმის გაკეთებას ამჯობინებს, რაც ბაზარს არ მოსწონს, მაშინ ინდივიდუალური თავისუფლების ფასი გაკოტრება იქნება".

13. როგორ ფიქრობთ, თავისი საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა დედა ტერეზას, როდესაც 1979 წ. მის მიერ ნობელის მშვიდობის პრემიის მინიჭებით მიღებული ჯილდო (190 000 დოლარი) ლეპროზორიუმის[1] მშენებლობისათვის გაიღო? შეიძლება მის ამ საქციელს ეგოისტური ვუწოდოთ?
14. რუსი ეკონომისტი ვ. ბორგაჩოვი საბჭოთა კავშირში არსებულ სისტემას ახასიათებდა, როგორც ხალხისადმი საერთო ინტერესის სახით კერძო კორპორაციული ინტერესის თავს მოხვევას, ხოლო ბაზრის რეგულირებას, რომელსაც საბაზრო ეკონომიკის დემოკრატიულ ქვეყნებში მიმართავენ, — როგორც კერძო ინტერესებზე საზოგადოების მეტ-ნაკლებად დემოკრატიულ კონტროლს.
რა კომენტარს გაუკეთებდით თქვენ ამ მოსაზრებას?

[1] ლეპროზორიუმი (ლათ. Leprosus კეთროვანი) — სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება კეთრით დაავადებულთათვის.

სავარჯიშო ტესტები

შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი

1. **დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა არის:**
   1) საბაზრო ეკონომიკა;
   2) შერეული ეკონომიკა;
   3) დაძალებით წარმართვადი (გეგმიანი) ეკონომიკა;
   4) სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა.

2. **„უხილავი ხელის" (ბაზრის თვითრეგულირების) პრინციპის უსაზღვრო (აბსოლუტური) გამოყენება არსებობს:**
   1) განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში;
   2) განვითარებად ქვეყნებში;
   3) დაძალებით წარმართვად ეკონომიკაში.
   4) ნებისმიერ ქვეყანაში ეკონომიკა შერეული ხასიათისაა, და არა აბსოლუტურად თვითრეგულირებადი.

3. **„ჩრდილოვანი ეკონომიკის" დიდი მოცულობით არსებობას დირექტიული დაგეგმვის ქვეყნებში განაპირობებდა ძირითადად:**
   1) განაწილებით ურთიერთობებში ფაქტობრივად გათანაბრებითი წესის არსებობა;
   2) დირექტიული დაგეგმვის ეკონომიკისათვის პერმანენტულად თანმდევი საქონელ-მომსახურების დეფიციტი;
   3) სამართალდამცავი სტრუქტურების უუნარობა ეფექტიანად ებრძოლონ ამ მოვლენას.
   4) დირექტიული დაგეგმვის ეკონომიკაში „ჩრდილოვანი ეკონომიკა" თითქმის არარსებობდა.

4. **ინდიკატიური დაგეგმვა არის:**
   1) ქვეყნის ეკონომიკაში მისი სამეურნეო სუბიექტებისათვის ცენტრალიზებულად აუცილებლად შესასრულებელი გეგმების დაწესება;
   2) ეკონომიკის საერთო მიზანშეწონილი განვითარების სახელისუფლო განსაზღვრა და სამეურნეო სუბიექტთა მის შესაბამისად ნებაყოფლობითი ქმედობის ერთგვარი ეკონომიკური ნახალისება;
   3) ეკონომიკური სუბიექტების (ფირმების) მიერ ბიზნესგეგმების შედგენისას გამოსაყენებელი რჩევა-რეკომენდაციები;
   4) ასეთი დაგეგმვა არ არსებობდა და ვერ იარსებებს.

5. **ეროვნული შემოსავლის განაწილებაში ზნეობრივ-მორალური თვალსაზრისით მეტი სამართლიანობის (გამოთანაბრების) სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს მთლიანი შინა პროდუქტის წარმოების:**
   1) გაზრდას;
   2) შემცირებას;
   3) ზოგ შემთხვევაში გაზრდას, ზოგჯერ კი შემცირებას.
   4) ეროვნული შემოსავლის განაწილების წესი არ მოქმედებს მისი წარმოების მოცულობაზე.

ნაწილი II.

მაკროეკონომიკა

სარჩევი

ნაწილი II. მაკროეკონომიკა

თემა 1. მაკროეკონომიკის საგანი. მაკროეკონომიკის ძირითადი მაჩვენებლები

თემა 1. მაკროეკონომიკის საგანი 170

მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა; ეკონომიკის განვითარების საერთო მიზეზები; მაკროეკონომიკის საგანი; ეკონომიკური მოდელების გამოყენება; მაკროეკონომიკა და პოლიტიკური ბრძოლა; „საზოგადოებრივი არჩევანის თეორია"; ეკონომიკური მოდელების გამოყენება, მოვლენების შეცნობა, პროგნოზირება; მაკროეკონომიკის პრაგმატული ხასიათი.

ეკონომიკური მოდელების გამოყენება 174

მიკროეკონომიკის მნიშვნელობა მაკროეკონომიკაში 177

თავი 2. მაკროეკონომიკის ძირითადი მაჩვენებლები და მათი გაზომვა ... 179

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა; მაკროეკონომიკური წრებრუნვა; ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ), მთლიანი შინა პროდუქტი (მშპ); როგორ შევაჯამოთ პური და მატყლი? მიმდინარე და საბაზისო ფასები; შუალედური პროდუქცია და დამატებული ღირებულება; ღირებულების პირობითად დარიცხვა; რეალური და ნომინალური ეეპ; ეეპ-ის დეფლატორი; ეეპ-ის როგორც ხარჯების და როგორც შემოსავლის ელემენტები (კომპონენტები); ინფლაცია და ცხოვრების ღირებულების გაზომვა; ინფლაცია როგორც ფასების საერთო მატება; სამომხმარებლო კალათა; ლასპაირესის და პააშეს ინდექსები; უმუშევრობა; სამუშაო ძალა; დაუსაქმებლობის გაზომვა და მისი დონე; ოუკენის კანონი.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 179

ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ) და მთლიანი შინა პროდუქტი (მშპ) 180

ინფლაცია და ცხოვრების ღირებულების გაზომვა:
სამომხმარებლო ფასების ინდექსი 188

დაუსაქმებლობის (უმუშევრობის) გაზომვა და მისი დონე 190

კითხვები და სასწავლო დავალებები 192

სავარჯიშო ტესტები 193

თემა 2. ერთობლივი ეროვნული პროდუქტის (მთლიანი შინა პროდუქტის) წარმოება, გამოყენება და განაწილება

შესავალი. ფულადი სახსრების წრებრუნვა ეკონომიკაში 197

თავი 1. საქონლის და მომსახურების წარმოება ეკონომიკაში 198

საწარმოო ფუნქცია და წარმოების ფაქტორები როგორც ეეპ-ის (მშპ-ის) შემქმნელ პარამეტრთა ერთობლიობა; მასშტაბიდან უკუგება.

თავი 2. ერთობლივი მოთხოვნა საქონელ-მომსახურებაზე:
მშპ-ის გამოყენება მოხმარებაზე — „C"; ინვესტიციაზე — „I"
და სახელმწიფო შესყიდვაზე — „G" 200

მოხმარება; ინვესტიციები; პროცენტი, მისი ნომინალური და რეალური განაკვეთი; ინვესტიციური ფუნქცია; სახელმწიფო შესყიდვა; ბიუჯეტის შემოსავალი და ხარჯები; დეფიციტი; პროფიციტი.

თავი 3. წონასწორობა საერთო-ეკონომიკურ ბაზარზე
და პროცენტის განაკვეთი 205

წონასწორობა საქონელ-მომსახურების და საფინანსო ბაზრებზე; დანაზოგი; ინვესტიციები; ეროვნული დანაზოგი; ინვესტიციები როგორც საპროცენტო განაკვეთის ფუნქცია; საბიუჯეტო — საგადასახადო პოლიტიკის ზემოქმედება ინვესტიციებზე; საინვესტიციო მოთხოვნის ცვლილებები.

იდენტიფიცირების პრობლემა 213

თავი 4. მოხმარება, დანაზოგი (ინვესტიციები) და ეკონომიკური ზრდა ... 215

დანაზოგი, ინვესტიციები და ეკონომიკის მწარმოებლურობა; ეკონომიკური ზრდა; „სუფთა" ინვესტიციები და ინვესტიციები ცვეთის აღდგენაზე.

თავი 5. ცოდნა-განათლება და ეკონომიკური ზრდა 218
ინვესტიციები ადამიანში და ეკონომიკური ზრდა; ცოდნის მიღება და ადამიანის ნიჭის (ეკონომიკური რესურსის) მუქთად დაუფლება; ცოდნა-განათლების ხარჯების პრიორიტეტულობა; განათლება და ბიზნესში მეტი წარმატება.

თავი 6. საზოგადოებრივი მენტალიტეტი და ეკონომიკური ზრდა 222
აქტიური საქმიანობის (შრომისმოყვარეობის) მენტალობა საქართველოს მოსახლეობაში; ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისადმი დირიჟისტულ-პატერნალისტური მიდგომა; დამოუკიდებელი საქმიანობის ერთგვარი შიში და რიდი; საბჭოური „ჩრდილოვანი ეკონომიკის" ჩვევების ქართულ ბიზნესში ფართოდ არსებობა; „დიპლომომანიის" სენი და მისი დაუყოვნებლივ გადალახვის აუცილებლობა.

თავი 7. ეროვნული შემოსავლის განაწილება 227
წარმოების ფაქტორის ფასი; კონკურენციული ფირმის წინაშე მდგარი პრობლემები; ფირმის მოთხოვნა წარმოების ფაქტორებზე; რეალური ხელფასი; ეროვნული შემოსავლის განაწილება; ეკონომიკური და ზნეობრივი სამართლიანობა შემოსავლის განაწილებაში და ეკონომიკური ზრდა.

ეროვნული შემოსავლის განაწილების სამართლიანობა 233

ეროვნული შემოსავლის გადანაწილება 235

დამატებითი კითხვის მასალა 238

იოზეფ შუმპეტერი 238

კითხვები და სასწავლო დავალებები 239

სავარჯიშო ტესტები 241

თემა 4. საბაზრო ეკონომიკა და სახელმწიფო

შესავალი 242

თავი 1. კონკურენცია როგორც „ბაზრის სული" 242
კერძო საკუთრება, თავისუფალი კონკურენცია და თავისუფალი ფასები როგორც ეკონომიკის სტაბილური განვითარების შეუცვლელი მექანიზმები; საბაზრო ეკონომიკა როგორც გადასდისუნარიანი მოთხოვნის და მიწოდების ურთიერთზემოქმედების ქვეშ მყოფი სისტემა; რა შეუძლია ბაზარს?

თავი 2. ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს გარკვეული ჩარევის აუცილებლობა 245
თავისუფალი კონკურენციის პირობები და მათი ერთდროულად არსებობის პრობლემურობა; საზოგადოებრივი მოხმარების სიკეთე და მოხმარებაში გამორიცხვის შეუძლებლობა; ბაზრის ნაკლოვანებები (ბაზრის უკმარისობის მიზეზები) და მის ფუნქციონირებაში გარკვეული ჩარევის აუცილებლობა.

თავი 3. სახელმწიფოს ფუნქციები ეკონომიკაში და მასში ჩარევის ინტენსივობა 248
ეკონომიკური პოლიტიკა; სახელმწიფო სექტორი; ეკონომიკური სისტემა და ეკონომიკური დემოკრატია, პოლიტიკური დემოკრატია და პიროვნების თავისუფლება; ეკონომიკის დემოკრატიული და ტოტალიტარული (ავტორიტარული) სახელმწიფოების მიერ რეგულირება; სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის განსხვავებულობა და მოძრავი ხასიათი, ამის მიზეზები; „სახელმწიფო არასაკმარისობა".

თავი 4. ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის ინტენსივობის გაზომვა. საგადასახადო ტვირთი 253
გადასახადი როგორც სახელმწიფო ფუნქციების შესრულების ფინანსური უზრუნველყოფა; საგადასახადო ტვირთი; ლაფერის მრუდი; ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის თეორიები; ეკონომიკის შერეულობა როგორც სისტემა.

თავი 5. სახელმწიფო ფინანსები როგორც სახელმწიფო ფუნქციების შესრულების რესურსული უზრუნველყოფა 258
ფინანსური პოლიტიკის ბიუჯეტური და საგადასახადო მეთოდები; სახელმწიფო ბიუჯეტი; სახელმწიფო ვალი.

კითხვები და სასწავლო დავალებები 262

სავარჯიშო ტესტები 264

თემა 3. გუნებრივი უმუშევრობა და მისი მიზეზები

შესავალი. უმუშევრობა როგორც უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა 265

თავი 1. უმუშევრობის ბუნებრივი დონე და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები ... 266
უმუშევრობა, ჩადებული ეკონომიკის არსებულ სტრუქტურაში; მუშაკთა სამუშაოზე მონყობა და სამუშაოდან დათხოვნა; შრომის ბაზრის მდგრადი მდგომარეობა.

თავი 2. ფრიქციული უმუშევრობა ... 268
სტრუქტურული ძვრები ეკონომიკაში და ფრიქციული უმუშევრობის გარდუვალობა; ფრიქციული უმუშევრობა და სახელმწიფო პოლიტიკა; უმუშევრობისაგან დაზღვევა და დასაქმება.

თავი 3. ლოდინის უმუშევრობა ... 270
ხელფასის სიმკაცრე (სიმტკიცე); კანონები მინიმალური ხელფასის თაობაზე; პროფკავშირები და კოლექტიური ხელშეკრულებები; ინსაიდერების და აუტსაიდერების კონფლიქტი; მასტიმულირებელი ხელფასი; უარყოფითი სელექცია.

თავი 4. უმუშევრობის სპეციფიკური მაჩვენებლები ... 274
უმუშევრობის ხანგრძლივობა; უმუშევრობის დონის განსხვავება სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფებში; შრომის ბაზარზე შესვლა და იქიდან გასვლა; იძულებით დაწყვეტილი (სასონარკვეთილი, გულგატეხილი) მუშაკები.

კითხვები და სასწავლო დავალებები ... 276

სავარჯიშო ტესტები ... 277

თემა 5. ფული და ინფლაცია. საბანკო საქმე

თავი 1. ფული როგორც „ბაზრის ენა". საფინანსო ბაზრები ... 278
ფულის არსის „უბრალოება" და იდუმალობა; საქონლის და შემოსავლის წრებრუნვა ეკონომიკაში; საფინანსო ბაზრები; პირდაპირი და არაპირდაპირი დაფინანსების არხები; ფასიანი ქაღალდები; საფინანსო შუამავლები.

თავი 2. ფულის რაობა, ფულის ფუნქციები ... 280
ფული როგორც: სიკეთეთა შეფასების საყოველთაო ეკვივალენტი (ფასეულობის საზომი); მიმოქცევის საშუალება; დაგროვების საშუალება.

თავი 3. ფულის მოცულობის გაზომვისა და შეზღუდვა-რეგულირების აუცილებლობა ... 283
ფულის აგრეგატები; ფულზე მოთხოვნა და მისი განმაპირობებელი ფაქტორები (მშპ-ის მოცულობა; ფასები; პროცენტის ნომინალური განაკვეთი; ფულის მიმოქცევის სიჩქარე); ფიშერის გაცვლის განტოლება; მიმოქცევაში ფულის მოცულობის რეგულირების ღონისძიებები: ოპერაციები ღია ბაზარზე (სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა — გაყიდვა); სადისკონტო განაკვეთის (სარეზერვო სესხების პროცენტის) პოლიტიკა; ცენტრალური ბანკის მიერ აუცილებელი რეზერვების ნორმის შეცვლა.

თავი 4. ინფლაცია და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ... 289
ინფლაცია როგორც ფასების საერთო დონის მატება, მისი გაზომვა; სენიორაჟი; ინფლაციის შედეგები; მოთხოვნის ინფლაცია; დანახარჯების ინფლაცია; ინფლაციის მიზეზები; ინფლაციური ფსიქოლოგია; ინფლაციის სახეები.

თავი 5. ფულის მიმოქცევის სტაბილიზაცია ... 292
ფულის რეფორმები; დეფლაცია, ნულიფიკაცია, დენომინაცია, დევალვაცია; ფულის რევალვაცია.

თავი 6. სახელმწიფოს მონეტარული პოლიტიკა (კეინსელების და მონეტარისტების მიდგომა) ... 295
ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედების კეინსური მიდგომა, ანუ „საქმიან მიმოქცევაში" ფულის ოდენობის ზრდის მილწევა; მონეტარისტების კონცეფცია; თარგეტირება.

თავი 7. საბანკო საქმე ... 298
საბანკო სისტემის ჩამოყალიბება თავისუფალ საქართველოში; ბანკი; საკრედიტო სისტემა; ბანკების ნაირსახეობები; ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციები; სარეზერვო მოთხოვნები; ბანკების ეკონომიკური როლი.

დამატებითი კითხვის მასალა ... 303
მილტონ ფრიდმენი ... 303

კითხვები და სასწავლო დავალებები ... 305

სავარჯიშო ტესტები ... 307

თემა 6. მაკროეკონომიკური წონასწორობა და ეკონომიკური პოლიტიკა (კეინსის მოდელი)

თავი 1. მაკროეკონომიკური წონასწორობა როგორც ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების იგივეობა (ტოლობა) ... 309
ვალრასი როგორც მაკროეკონომიკური წონასწორობის კონცეფციის პიონერი;

მაკროეკონომიკური წონასწორობის ავტომატურად ჩამოყალიბების და სახელმწიფოს ნეიტრალურობის კონცეფცია კლასიკურ თეორიაში და მისი კრიტიკა კეინსურ კონცეფციაში; ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების მრუდები და მათი წონასწორობა კეინსის მოდელში.

თავი 2. ციკლური უმუშევრობა და ინფლაცია. ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები 315
უმუშევრობა და ექსპანსიის პოლიტიკა; ინფლაცია და კონიუნქტურის შეკავების პოლიტიკა.

თავი 3. სახელმწიფოებრივი უკუქმედება კონიუნქტურის კრიზისული (ციკლური) ცვალებადობისადმი 319
მოთხოვნის „განდევნა" მაკროეკონომიკური წრებრუნვიდან; მყიდველობითი უნარის „ინიექციები" მაკროეკონომიკურ წრებრუნვაში.

თავი 4. კეინსური ანალიზის გადაუწყვეტელი პრობლემები 323

დამატებითი კითხვის მასალა 324

ჯონ მეინარდ კეინსი 324

კეინსის საერთო თეორიის ძირითადი დებულებები 325

კითხვები და სასწავლო დავალებები 328

სავარჯიშო ტესტები 329

თემა 7. ღია ეკონომიკა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები

თავი 1. შრომის საერთაშორისო დანაწილება და ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები 330
მსოფლიო ბაზარი; დ. რიკარდოს შეფარდებითი უპირატესობის თეორია; ბერტილ ულინი.

თავი 2. საერთაშორისო (საგარეო) ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი ფორმები 332

საგარეო ვაჭრობა 332

კაპიტალის გატანა 333

საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები 335

საერთაშორისო სავალუტო ფონდი 336

მსოფლიო ბანკი 337

თავი 3. ვალუტა და ვალუტის კურსი 338
ვალუტა; ვალუტაზე მოთხოვნა და ვალუტის მიწოდება; წონასწორობა სავალუტო ბაზარზე.

თავი 4. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ბალანსი 340

საანგარიშსწორებო ბალანსი 340

საგადასახდელო ბალანსი 341

სავაჭრო ბალანსი 342

თავი 5. საგარეო- ეკონომიკური ურთიერთობების შედეგების გაუმჯობესების გზები 342

თავი 6. საგარეო ურთიერთობების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში 345

დამატებითი კითხვის მასალა 350

ფ. ბასტიას წერილი პარლამენტარებისადმი 350

კითხვები და სასწავლო დავალებები 351

სავარჯიშო ტესტები 352

ტესტების პასუხები 354

ლექსიკონის მაგიერ: ტერმინები, კატეგორიები და სხვ. 356

სახელმძღვანელოს მომზადებისას გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა 362

თემა I მაკროეკონომიკის საგანი. მაკროეკონომიკის ძირითადი მაჩვენებლები



თავი 1. მაკროეკონომიკის საგანი

ეკონომიკის პრინციპების პირველი ნაწილის გაცნობა-შესწავლით ჩვენ, შეიძლება ითქვას, სოლიდურად შევდგით ფეხი ეკონომიკურ მეცნიერებაში. იმედი გვაქვს, რომ თქვენ, სტუდენტ — ახალგაზრდობას, წიგნის მკითხველებს, უკვე მოგწონთ ეკონომიკური თეორია როგორც მეცნიერება; მაკროეკონომიკის პრინციპების გაცნობა-ათვისება შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც ხელს შეუწყობს თქვენს სერიოზულ დამკვიდრებას იმ სამყაროში, რომელსაც ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკა ეწოდება.

ეკონომიკური თეორიის აქამდე განხილულ თემებში ეკონომიკას ჩვენ მიკროეკონომიკის თეორიის ხერხების და მოდელების გამოყენებით ვეცნობიდით. ეს ეხებოდა, კერძოდ, მოთხოვნისა და მიწოდების, ადამიანების ქცევის, ეკონომიკური ურთიერთობების, ბაზარზე ძირითადად ცალკეული მომხმარებლების და მწარმოებლების (ცალკეული საქონლის მყიდველების და მიმწოდებლების) ურთიერთკავშირის მაგალითებზე განხილვას.

ამასთან ეკონომიკური თეორიის პრინციპებს რომ სიღრმისეულად დავეუფლოთ, საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში უკეთ რომ გავერკვეთ, აუცილებელია ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების მთლიანი კომპლექსის შესწავლა, რომელსაც „მაკროეკონომიკური თეორიის" პრობლემებს, **„მაკროეკონომიკის პრინციპებს"** უწოდებენ. გავიმეორებთ, რომ თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში გამოყოფენ ორ დამოუკიდებელ, თუმცა, რა თქმა უნდა, ურთიერთდაკავშირებულ, ნაწილს: **მიკროეკონომიკას (მიკროეკონომიკის თეორიას, პრინციპებს)** და **მაკროეკონომიკას (მაკროეკონომიკის თეორიას, პრინციპებს)**.

მიკროეკონომიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის წვრილი სამეურნეო ერთეულების (საოჯახო მეურნეობები, ფირმები, სამთავრობო დაწესებულებები) ფუნქციონირების მექანიზმებს; ეს არის მეცნიერება ცალკეულ ბაზრებზე და ეკონომიკურ აგენტებზე. ყოველ ამ ბაზარს თავისი გარკვეული მყიდველი და გამყიდველი ჰყავს და ამ ბაზრებზე მიმდინარეობს სათანადო დოვლათ-სიკეთით ვაჭრობა — სამომხმარებლო საქონელი იქნება ეს, წარმოების საშუალება ან ინვესტიციური საქონელი, შრომითი მომსახურება თუ ფულის დროებით სარგებლობაში გაცემის მომსახურება და სხვა. ამ ბაზრებზე მოთხოვნა, მიწოდება და ფასები, ამ ბაზრების მონაწილეთა ქცევა (მათი მოქმედება) — ეს ყველაფერი მიკროეკონომიკის კვლევის საგანია.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება წარმოგვეშვას შთაბეჭდილება (და ეს მოსაზრება იყო გაბატონებული XX საუკუნემდე), რომ პრობლემების ეს წრე ამოწურავს ფაქტობრივად საზოგადოების სამეურნეო (ეკონომიკური), ცხოვრების შესწავლის ამოცანებს.

მაგრამ ეს, ეტყობა, მაინც ასე არ არის. საქმე ისაა (და ეს მეცნიერულად იქნა დასაბუთებული), რომ ეკონომიკაში ისეთ მოვლენებს აქვს ადგილი, რომლებიც ერთდროულად ყველა (ან ბევრ) ბაზარს ეხება, მთელ სახალხო მეურნეობას მოიცავს, ეკონომიკის მთლიანობაში განვითარების სპეციფიკურ კანონზომიერებებს ექვემდებარება. იშვიათი როდია შემთხვევა, როდესაც გარკვეულ მომენტში იწყება მეტი წილი საქონლის წარმოების შემცირება, ადგილი აქვს **წარმოების საერთო დაცემას (კრიზისს)**, იწყება **უმუშევრობის ზრდა**, გარკვეული პე-

რიოდის შემდეგ (გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ) იწყება წარმოების ზრდის უკუპროცესი, **უმუშევრობის შემცირება.**

შეიძლება მოვიყვანოთ ეკონომიკაში საერთო ცვლილებების სხვა მაგალითიც — ეს არის ფასების ერთდროული მატება ყველა (ან თითქმის ყველა) საქონელ-მომსახურებაზე, ანუ **ინფლაცია,** რომელიც კონიუნქტურის ზრდას ახასიათებს.

ზემოხსენებული და მისთანა მოვლენები არ შეიძლება ავხსნათ ცალკეულ ბაზრებზე მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებების ანალიზის საფუძველზე. ისინი მოწმობენ, რომ არსებობს რაღაც საერთო მიზეზები, რომლებიც მოქმედებს მთლიანად ეკონომიკაზე. სწორედ ასეთი, მთელი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი საერთო მოვლენების, მათი მიზეზების და, შესაბამისად, ამ პირობებში საზოგადოების ქცევის შესწავლას ეწევა მაკროეკონომიკა.

მაკროეკონომიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ეკონომიკას მთლიანობაში (ერთობლიობაში), მის ისეთ ფართომასშტაბურ მოვლენებს, როგორიცაა ინფლაცია, უმუშევრობა, ეკონომიკური ზრდა. ის თავის ყურადღებას ამახვილებს წარმოებაზე და ფასებზე, დასაქმებასა და უმუშევრობაზე, რომლებსაც ადგილი აქვს (რომლებიც წარმოიშობა) არა ცალკეულ ბაზრებზე, არამედ ქვეყნის (და მსოფლიოს) მთელ ეკონომიკაში.

მაკროეკონომისტებს აინტერესებთ ისეთი სიდიდეები, როგორიცაა **ერთობლივი მიწოდება** (ამას წარმოების მთლიანი მოცულობა განსაზღვრავს) და **ერთობლივი მოთხოვნა** (ეს არის საქონელ-მომსახურების შეძენაზე გაწეული ერთობლივი დანახარჯები). როდესაც სახალხო მეურნეობაში ეს ორი სიდიდე ერთმანეთის ტოლია, როგორც ეკონომისტები ამბობენ, ადგილი აქვს (არსებობს) **მაკროეკონომიკურ წონასწორობას.**

მაგრამ ასეთი წონასწორობა (მით უმეტეს, მისი წარმოსახვა სტატიკურ მდგომარეობაში) შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ როგორც თეორიული დაშვება. რეალურ ცხოვრებაში ეს ორი სიდიდე განუწყვეტლივ ცვლილებაში და მოძრაობაშია, ისინი ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა (შეიძლება, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც), რაც, ერთი მხრივ, თვით განვითარების საფუძველია, მეორე მხრივ კი, მიზეზია ზოგჯერ არასასიამოვნო სოციალურ-ეკონომიკური შედეგებისა: **როდესაც ერთობლივი მოთხოვნა ერთობლივ მიწოდებაზე მეტია (საუბარია მნიშვნელოვან დაუმთხვეველობაზე), წარმოიქმნება ინფლაცია — ფასები იზრდება, ხოლო ფული უფასურდება; საწინააღმდეგო სიტუაციაში ადგილი აქვს ეკონომიკურ დაცემას (წარმოების შემცირებას) და უმუშევრობას. ინფლაცია და ეკონომიკური დაცემა (და ამასთან დაკავშირებული უმუშევრობა) მაკროეკონომიკის მთავარი პრობლემაა.**

მაკროეკონომისტებს აინტერესებთ აგრეთვე **ეკონომიკური ზრდის ტემპები** და მათზე მოქმედი (მათი განმაპირობებელი) ფაქტორები.

ეკონომიკის 10 პრინციპიდან (მენქიუს მიხედვით), რომლებზეც ჩვენ გვქონდა საუბარი საგნის I ნაწილის გადმოცემისას, ბოლო ოთხი მაკროეკონომიკას ეხება. გავიმეორებთ მათ: *7. ბაზარი საუკეთესოა, მაგრამ ნაკლოვანებები გააჩნია და მათი გამოსწორების მიზნით ზოგჯერ მთავრობის ჩარევაა აუცილებელი; 8. მოსახლეობის ცხოვრების დონეს განაპირობებს ქვეყნის უნარი აწარმოოს დოვლათ-სიკეთე; 9. ფასები მაშინ იზრდება, როდესაც მიმოქცევაში იმაზე მეტი ფული აღმოჩნდება, ვიდრე საჭიროა; 10. მოკლევადიან პერსპექტივაში მოსახლეობა დგება ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არჩევანის წინაშე.*

მოვლენები, რომლებსაც მაკროეკონომიკა შეისწავლის, ყველა ჩვენთაგანს ეხება. ეს ნათლად ჩანს უკანასკნელი წლების ჩვენს რეალურ ცხოვრებაში. ქართულ გაზეთებში, ტელეგადაცემებში ხშირად შეხვდებით (წაიკითხავთ) და მოისმენთ მაკროეკონომიკის ისეთ კატეგორიებს და ცნებებს, როგორიცაა **ინფლაცია, უმუშევრობა, წარმოების დაცემა, ეკონომიკური ზრდა, ვალუტის კურსი** და სხვა.

რა თქმა უნდა, საწარმოს (ფირმის) მმართველს, **ბიზნესმენს პირველ რიგში აინტერესებს მიკროეკონომიკური პრობლემები (მოგების მიღება საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად, შესაბამისად, ამ მოგების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები, ბაზრის კონიუნქტურა კონკრეტულ საქონელ-მომსახურებაზე და ა.შ.). მაგრამ ის, ისევ და ისევ თავისი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, ყურადღების გარეშე ვერ დატოვებს მაკროეკონომიკურ სა-**

კითხებსაც, იმას, თუ როგორ გაიზრდება პერსპექტივაში მომხმარებელთა შემოსავალი, როგორია ბაზრის საერთო კონიუნქტურა, ფასები, ვალუტის კურსი, რაში მდგომარეობს მთავრობის საერთო ეკონომიკური პოლიტიკა და ა.შ.

მაკროეკონომიკის მოვლენებში ძევს მნიშვნელოვანწილად დაქირავებულ მუშაკთა პრობლემებიც. ხანდაზმულ და სხვა ადამიანებს, რომელთა არსებობის წყარო ფიქსირებული, მყარი შემოსავალია, აინტერესებთ მთავრობის საფინანსო პოლიტიკა.

ამიტომ არის, რომ საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკურ დებატებში მაკროეკონომიკურ პოლიტიკას ასეთი დიდი ადგილი უჭირავს — სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა პირველ რიგში მაკროეკონომიკურ ასპექტებში ვლინდება; თავიანთ წინასაარჩევნო კამპანიებში პოლიტიკოსები უპირველესად მაკროეკონომიკურ პრობლემებს ეხებიან, არწმუნებენ რა ამომრჩევლებს, რომ სწორედ მათ მიერ შემოთავაზებული ღონისძიებების გატარება უზრუნველყოფს ეკონომიკური (შესაბამისად, შემოსავლების) ზრდის, ინფლაციის და უმუშევრობის პრობლემების ოპტიმალურად გადაწყვეტას; ეს კი ის სამი საკვანძო მაკროეკონომიკური პრობლემაა, რომელიც ამავდროულად გადამწყვეტ როლს ასრულებს მთელი მოსახლეობის (ამომრჩევლის) მატერიალური მდგომარეობის საკითხში.

მაკროეკონომიკა, ისევე როგორც მიკროეკონომიკა და უფრო მეტადაც, არა მარტო შეიცნობს მოვლენებს, არამედ აკეთებს მათი შესაძლო განვითარების პროგნოზებს, ეხმარება ხელისუფლებას და საზოგადოებას ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის შედგენაში, რომლის ცხოვრებაში გატარება შეამსუბუქებს ამ საზოგადოების არსებობას (ცხოვრებას). ამასთან მაკროეკონომიკა ჯერჯერობით ახალგაზრდა, შეიძლება ითქვას, ბოლომდე მოუღონიერებელი მეცნიერებაა. მოვლენების მომავალი განვითარების მისებური წინასწარმეტყველება (პროგნოზირება) ხშირად არც ისე ზუსტია; როგორც ზოგიერთ ეკონომისტს მიაჩნია, მაკროეკონომიკური პროგნოზი შეიძლება შევადაროთ მომდევნო თვის (ერთი თვის შემდეგი პერიოდის) ამინდის პროგნოზს.

ამიტომ არის, რომ მაკროეკონომისტები (როგორც ეკონომისტები საერთოდ) გაცილებით უფრო მეტს დაობენ თავიანთ პროგნოზებზე და მომხდარი ეკონომიკური მოვლენების მიზეზებზე, გასატარებელ (მისაღებ) ღონისძიებებზე და წინადადებებზე, ვიდრე სხვა მეცნიერებების (ე.წ. ზუსტი მეცნიერებების) წარმომადგენლები.

ამასთან აქ საქმე მარტო ამ მეცნიერების ახალგაზრდობაში და, როგორც წესი, ეკონომიკური მოსაზრებების ექსპერიმენტულად დასაბუთების შეუძლებლობაში კი არ არის; ბევრია დაკავშირებული ეკონომიკის სპეციფიკასთან და ეკონომიკური მოვლენების სირთულესთან, ამ მოვლენების განვითარების წინააღმდეგობრიობასთან, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური კანონზომიერებების დადგენის, მოვლენების მსვლელობისა და ადამიანების ქცევის მოტივაციის ცვლილებებში გარკვევის და მათი პროგნოზირების სიძნელეებთან. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოდ და ყურადსაღებად მიგვაჩნია უდიდესი მეცნიერი ფიზიკოსის ალბერტ აინშტაინის შემდეგი გამონათქვამი: *„შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ასტრონომიასა და ეკონომიკას შორის სერიოზული განსხვავება არ არსებობს: ორივე სფეროს მეცნიერები ცდილობენ დაადგინონ საერთო კანონები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს გარკვეული მოვლენების მიმართ, რათა უფრო გასაგები გახდეს მათი ურთიერთკავშირი. სინამდვილეში კი ასეთი განსხვავება არსებობს. ეკონომიკის საერთო კანონების აღმოჩენა გართულებულია იმ გარემოებებით, რომ დაკვირვებისათვის შერჩეულ ეკონომიკურ მოვლენებზე ხშირად ბევრი ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცალ-ცალკე შეფასება ძლიერ გართულებულია“.*

გავიმეორებთ: მაკროეკონომისტებმა პირველ რიგში უნდა ახსნან ეკონომიკის განვითარების და, შესაბამისად, ადამიანთა ქცევითი მოტივაციის საერთო კანონები. მაგრამ ამოცანა მარტო ამაში არ მდგომარეობს: ისინი უნდა დაეხმარონ საზოგადოებას სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შექმნაში და სისტემატურად იზრუნონ მისი სრულყოფისათვის; მათ უნდა აჩვენონ, თუ როგორი იქნებოდა (ან იქნება, ან შეიძლება იყოს) ეკონომიკა სხვა (უკეთესი) ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში.

მაკროეკონომიკას (როგორც ეკონომიკურ თეორიას მთლიანად) გააჩნია არა მარტო თავისი (განსაკუთრებული) საგანი, არამედ განსხვავებული ინსტრუმენტარიუმიც: ტერმინოლოგია,

მონაცემები, მსჯელობის თავისებური მსვლელობა-ლოგიკა (ამ უკანასკნელს ხშირად **„აზროვნების ეკონომიკურ ხასიათს“** უწოდებენ). ვინც ამ მეცნიერებაში არ მოღვაწეობს, შეიძლება ეკონომიკური თეორია (და მათ შორის მაკროეკონომიკა) განდგომილ, გასხვისებულ, მეტის-მეტად მკაცრ (უხეშ) და მოსაწყენ მეცნიერებად მოეჩვენოს. ვფიქრობთ, მიკროეკონომიკის პრინციპების, სხვა ეკონომიკური დისციპლინების შესწავლამ დაგარწმუნათ თქვენ, რომ ეს ასე არ არის; მაკროეკონომიკის პრინციპების დაუფლება საბოლოოდ განამტკიცებს თქვენში მოსაზრებას, რომ ეკონომიკური თეორია მეტად საინტერესო დარგია კაცობრიობის ცოდნა-განსწავლულობაში, ამასთან მეტად პრაგმატული (საჭირო და სასარგებლო).

რაც შეეხება მოსაზრებას ეკონომიკური თეორიის სიმკაცრის (უხეშობის) თაობაზე, უნდა მოგახსენოთ, რომ მისი ეს თვისება დაკავშირებულია: ჯერ ერთი, ეკონომიკური მოვლენების (რომლებსაც ის შეისწავლის) ობიექტურ ხასიათთან; მეორე, ეს მოსაზრება ძალზე გაზვიადებულია. ამასთან დაკავშირებით გვინდა მოგიყვანოთ ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის, პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი კლასიკოსის **ჯონ სტიუარტ მილის (1806-1873)** შემდეგი სიტყვები:

„ადამიანები, რომლებიც ლოგიკას აკრიტიკებენ, როგორც წესი, განგაწყობენ თქვენ პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგ. ის უსულოა, — დაგიწყებენ მტკიცებას, — ის მხედველობაში იღებს და გამოიყენებს მხოლოდ არასასიამოვნო ფაქტებს. რაც შემეხება მე, ყველაზე უსულო რამ, რაზედაც მსმენია, არის დედამიწის მიმზიდველობის კანონი: სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე ის კისერს მოუტეხს ყველაზე კარგ და სანდომიან ადამიანს, როგორც კი ეს უკანასკნელი ერთი წუთითაც დაივიწყებს მას. ძალზე მკაცრია აგრეთვე ქარი და ტალღები. მაგრამ ურჩევთ კი თქვენ ზღვაში გამსვლელებს, რომ არ მიაქციონ მათ ყურადღება, თუ დაარიგებთ, რომ გამოიყენონ ისინი და იპოვონ მათში დამალული საშიშროებისაგან თავდაცვის საშუალებები? მე თქვენ გირჩევთ: შეისწავლეთ პოლიტიკური ეკონომიის უდიდესი წარმომადგენლების შრომები და მტკიცედ მისდიეთ იმას, რაც სწორად მოგეჩვენებათ მათ მოძღვრებაში; იქიდან გამოდით (საფუძვლად ის აიღეთ), რომ, თუ თქვენ ჯერ კიდევ არ გამხდარხართ ეგოისტი და უგულო, პოლიტიკური ეკონომია არ გაგხდით ასეთებად“.

მაკროეკონომიკა, როგორც ნებისმიერი სხვა მეცნიერება, ეფუძნება თეორიასა და დაკვირვებებს. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ მაკროეკონომიკური კვლევის საგანია ეკონომიკის მთლიანობაში ფუნქციონირება-განვითარების მექანიზმების გაგება; ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაკროეკონომიკური თეორიის საფუძველია ეკონომიკური დაკვირვებები მთლიანად სახალხო მეურნეობის ფუნქციონირებაზე. ამასთან ამ დაკვირვებებს მუდმივი, პერმანენტული ხასიათი აქვს (უნდა ჰქონდეს). იმის შემდეგაც კი, როდესაც დავამუშავებთ ამა თუ იმ მოსაზრებას, შევქმნით ამა თუ იმ მოდელს, ჩვენ კვლავინდებურად ვუბრუნდებით დაკვირვებებს, რომ გადავამოწმოთ ისინი (მათ საფუძველზე გამოტანილი დასკვნა-წინადადებები).

დაკვირვებებს კი სხვადასხვა ხასიათი აქვს. ბაზარზე და მაღაზიებში ყველა ჩვენთაგანი ხედავს, თუ როგორ იცვლება ფასები. თუ თქვენ სამუშაო დაკარგეთ (ან დაამთავრეთ სწავლა, ან შეხვედით შრომის ასაკში) და დაიწყეთ მისი ძებნა, თქვენ დაგაინტერესებთ, ღებულობენ თუ არა ფირმები მუშაკებს, რა სპეციალობებზე არსებობს მოთხოვნა და, საერთოდ, ადვილად შეიძლება თუ არა ხელსაყრელად (სარფიანად, სარგებლიანად) გაყიდოთ (ან საერთოდ გაყიდოთ) თქვენი შრომა. ეს ინფორმაცია საჭირო და სასარგებლოა.

მაგრამ გაცილებით უფრო სისტემატიზებული, ფართო და ობიექტური ინფორმაციის წყაროა **ეკონომიკური სტატისტიკა**. მთავრობები (აგრეთვე კერძო სტრუქტურები) რეგულარულად ანარმოებენ გამოკვლევა-დაკვირვებებს, რათა მიიღონ მონაცემები ეკონომიკის კონიუნქტურის მდგომარეობაზე, მის ცვლილებებზე, ცალკეული ფირმების და მოქალაქეთა ეკონომიკურ საქმიანობაზე, მათ შემოსავლებზე, მოთხოვნის სტრუქტურაზე, ეკონომიკურ განწყობაზე, მათ მიერ დანესებულ (მისაღებად აღიარებულ) ფასებზე და სხვ.

მიღებული მონაცემების საფუძველზე ანგარიშობენ სხვადასხვა ეკონომიკურ (სტატისტიკურ) მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებს ეკონომიკის მდგომარეობას ერთობლიობაში. ეს მონაცემები გამოიყენება აგრეთვე პროგნოზირებისა და ეკონომიკური პოლიტიკის შედგენისათვის მეცნიერული რეკომენდაციების მოსამზადებლად.

ეკონომიკური მოდელების გამოყენება

ეკონომისტები (ამას გავიმეორებთ) ეკონომიკაზე წარმოდგენა შექმნან გაუბრალოებული თეორიების გამოყენებით, რომლებმაც მოდელების სახელწოდება მიიღო. **მოდელი არის სინამდვილის (რეალობის) გამარტივებული ასახვა გრაფიკებისა და განტოლებების საშუალებით, რომლებიც აღწერენ სხვადასხვა ცვლადების (მოვლენების, მაჩვენებლების) ურთიერთობებს — მოდელებში გამოიხატება მათი შეფარდება.**

მოდელი არის მთლიანად ეკონომიკის კონიუნქტურაზე ან მის ცალკეულ მხარეებზე სხვადასხვა მოვლენების (ცვლადების) გავლენის გაუბრალოებული თეორიული სქემა, მისი გამოყენება იმიტომ არის მიზანშეწონილი, რომ ეს საშუალებას იძლევა მოვწყდეთ (განვერიდოთ) არაძირითად დეტალებს და გამოვავლინოთ პრინციპული, გადამწყვეტი კავშირები.

მოდელებს ხშირად წარმოსახავენ მათემატიკური სახით.

მოდელებში გამოიყენება ორი სახის ცვლადები:

ეგზოგენური ცვლადი — ეს ეკონომიკური მოდელის წინასწარ მოცემული ცვლადია, რომლის მნიშვნელობა არ არის დამოკიდებული მოდელის ამოხსნაზე: ის მოდელში გარედან შეიყვანება;

ენდოგენური ცვლადი — ეს ისეთი ცვლადია, რომლის განმარტება (განსაზღვრა) დაკავშირებულია ამა თუ იმ მოდელთან: ამ ცვლადის მნიშვნელობას ადგენენ მოდელის ამოხსნის პროცესში — ასეთი ცვლადების ფორმირება თვით მოდელის შიგნით ხდება.

სხვა სიტყვებით, ეგზოგენური ცვლადების მნიშვნელობა მოიცემა წინასწარ, მოდელის აგებამდე, მაშინ როდესაც ენდოგენური ცვლადების მნიშვნელობას ვღებულობთ მოდელის შესაბამისად გაანგარიშებების საფუძველზე. მოკლედ რომ ვთქვათ, მოდელის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავიგოთ, თუ როგორ მოქმედებს ეგზოგენური ცვლადები (მათი ცვლილება) ენდოგენურებზე, რაც გამოსახულია ქვემოთ მოტანილ ნახაზზე:



ნახ. 1.1. მოდელი. მოდელი არის ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ძირითადი კავშირურთიერთობების გაუბრალოებული თეორიული დასაბუთება. ეგზოგენური ცვლადები გარედან მოიცემა, ენდოგენური ცვლადები კი თვით მოდელით აიხსნება. მოდელი გვიჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს ერთ-ერთი (რომელიმე) ეგზოდენური ცვლადის ცვლილება ენდოგენურ ცვლადზე (ცვლადებზე).

განვიხილოთ, მაგალითად, თუ როგორ აიგება პურის ბაზრის მოდელი.

ვთქვათ, ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ პურზე მოთხოვნის მოცულობა (**Qმოთხ.**) დამოკიდებულია პურის ერთეულის (მაგალითად 1-კილოგრამიანი ფორმის პურის) ფასზე (**Pფორმ.პ.**) და ერთობლივ შემოსავალზე (**Y**). ეს დამოკიდებულება (კავშირი) გამოიხატება ფორმულით:

(Qd)=f(Pფორმ.პ.,Y).


მოთხოვნის მოცულობა (**Qd**) იმყოფება ფუნქციურ დამოკიდებულებაში პურის ფასთან (**P**) და შემოსავალთან (**Y**).

ეკონომისტებს მიიჩნიათ ასევე, რომ პურის მოცულობა (მიწოდება), რომელსაც შესთავაზებენ (გასაყიდად გამოიტანენ) პურსაცხობები (**Qs**), დამოკიდებულია პურის ფასზე (**Pფორმ.პ.**) და იმ ფქვილის ფასზე (**Pფქვ.**), რომელიც გამოიყენება პურის გამოსაცხობად:

(Qs)=f(Pფორმ.პ.,Pფქვ.).

დაბოლოს, ეკონომისტებს მიაჩნიათ (აკეთებენ დაშვებას), რომ ფირმა (და ბაზარი) კონკურენციულია, ხოლო ფასი (მოთხოვნა) — ელასტიკური. ეს იმას ნიშნავს, რომ ფირმას არა აქვს მონოპოლიური მდგომარეობა და რომ პურის ფასი იცვლება ისე, რომ ბაზარზე უზრუნველყოფილ იქნეს მოთხოვნის და მიწოდების წონასწორობა: **(Qd)=(Qs)**.

პურის ბაზრის ზემოხსენებული მოდელის ილუსტრირება შეიძლება მოთხოვნისა და მიწოდების დიაგრამით, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე ქვემოთ:



ნახ. 1.2. მოთხოვნის და მიწოდების მრუდები. პურის ბაზრის მოდელში მონაწილეობს ორი ეგზოგენური და ორი ენდოგენური ცვლადი. ფქვილის ფასი და ერთობლივი შემოსავალი ეგზოგენური ცვლადებია; მოდელში არ დგას მათი ამოხსნის ამოცანა, ისინი მიიღება როგორც წინასწარ მოცემული სიდიდეები. ამ მოდელის ენდოგენური ცვლადებია პურის ფასი (პურზე მოთხოვნა) და გასაყიდი პურის მოცულობა (მიწოდება). ეს მოდელი სწორედ ამ უკანასკნელ ცვლადებს (მაჩვენებლებს) ხსნის.


1.2. ნახაზზე მოთხოვნის მრუდი (**D**) გვიჩვენებს პურის ფასსა და მასზე მოთხოვნას შორის თანაფარდობას (კავშირს) ერთობლივი შემოსავლის უცვლელი დონის პირობებში. ის დახრილია ქვევით და მარჯვნივ, ვინაიდან, რაც უფრო მაღალია პურზე ფასი, მით უფრო გადაერთვებიან მომხმარებლები კვების სხვა პროდუქტებზე და მით ნაკლებ პურს შეიძენენ (მოიხმარენ) ისინი.

მიწოდების მრუდი (**S**) იმავე გრაფიკზე გვიჩვენებს შეფარდებას (კავშირს) პურის ფასსა და სარეალიზაციოდ პურის მოცულობის გატანას შორის ფქვილზე უცვლელი ფასის პირობებში. ეს მრუდი ზევით და მარჯვნივ მიემართება, ვინაიდან, რაც უფრო მაღალია პურის ფასი, მით უფრო მეტ პურს აწარმოებენ პურსაცხობები (მით უფრო მეტი პური გამოაქვთ გასაყიდად, მით უფრო მეტია პურის მიწოდება).

ორი მრუდის გადაკვეთის წერტილი (**A**) შეესაბამება საბაზრო **წონასწორობის მდგომარეობას**, რომლის დროსაც ჩამოყალიბდება პურზე **წონასწორობის ფასი**, პურზე მოთხოვნა და პურის მიწოდება ერთმანეთს გაუტოლდება, ბაზარი კი, როგორც ვიცით, წონასწორობისაკენ მიილტვის.

ამ მოდელზევე შეიძლება ვაჩვენოთ, თუ როგორ იმოქმედებს ეგზოგენური ცვლადის მერყეობა (ცვლილება) ენდოგენურ ცვლადზე. მაგალითად (I შემთხვევა), მოსახლეობის ერთობლივი შემოსავლის მატება გამოიწვევს, როგორც ეს **1.3. ნახაზზეა** ნაჩვენები, პურზე მოთხოვნის მომატებას.

ერთობლივი შემოსავლის ზრდა იწვევს პურზე მოთხოვნის მომატებას (მოცემულ ფასში მომხმარებლები ცდილობენ შეიძინონ მეტი პური) და, შესაბამისად, ფასების ზრდას. ეს გამოიხატა მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ და ზევით გადაადგილებაში. მაგრამ ფასების ზრდას-




ნახ. 1.3. პურზე მოთხოვნის ზრდა ერთობლივი შემოსავლის მატებისას.

თან ერთად გაიზრდება მიწოდებაც. პურის ფასი მანამდე გააგრძელებს ზრდას, სანამ მიწოდება კვლავ არ გააწონასწორებს მოთხოვნას, პურის მოთხოვნისა და მიწოდების ფასი გაიზრდება; ჩამოყალიბდება ახალი წონასწორობა გაზრდილი ფასის, მოთხოვნისა და მიწოდების პირობებში.

დავუშვათ (II შემთხვევა), რომ შეიცვალა ფქვილის ფასი.

როგორც 1.4. ნახაზიდან ჩანს, ფქვილის ფასის მომატებისას პურის მიწოდება მცირდება. ამ შემთხვევაში პურის ფასის წონასწორობის დონე გაიზრდება (მაღლა აიწევს), ხოლო პურის მიწოდების მოცულობის მაწონასწორებელი მნიშვნელობა (დონე) შემცირდება.



ნახ. 1.4. მიწოდების შემცირება ფქვილზე ფასის მომატების შედეგად.

ფქვილის ფასის მომატებისას პურის მიწოდება მცირდება — პურის ნებისმიერი მოცემული ფასის პირობებში პურით ვაჭრობა ნაკლებად სასარგებლო ხდება და მისი წარმოება მცირდება.

ეს გამოიხატა მიწოდების მრუდის მარცხნივ — ზევით გადაადგილებაში. წარმოიქმნება მოთხოვნისა და მიწოდების მრუდების გადაკვეთის ახალი წერტილი. პურის ფასის წონასწორობის მნიშვნელობა გაიზრდება, ხოლო მოთხოვნა-მიწოდების მოცულობის წონასწორობის მნიშვნელობა შემცირდება.

მაშასადამე, ზემოგანხილული მოდული თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს ერთობლივი შემოსავლის და ფქვილის ფასის ცვლილებებმა პურის ბაზარზე.

აქ ერთი აუცილებელი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ. როგორც ყველა სხვა მოდელში, პურის ბაზრის მოდელშიც, ჩვენ მიერ ნახსენები დაშვებების გარდა, გაკეთებულია ზოგიერთი სხვა გამაუბრალოებელი დაშვება. მასში, მაგალითად, არ არის მიღებული მხედველობაში, რომ პურის საცხობები შეიძლება მდებარეობდეს სხვადასხვა ადგილას. ყოველი მომხმარებლისათვის უფრო მოსახერხებელია კონკრეტული ფურნე, ამიტომ პურის მცხობელებმა (რეალიზატორებმა) შეიძლება დააწესონ საკუთარი, განსხვავებული ფასები, რისი გადახდის თანახმაც არიან მყიდველები. მოდელში კი იგულისხმება პურზე ერთიანი ფასის არსებობა.

რა შეიძლება ამაზე ვთქვათ, როგორ უნდა შევაფასოთ მოდელის ასეთი შეუსაბამობა რეალობასთან? უარი ვთქვათ პურზე მოთხოვნისა და მიწოდების გაუბრალოებული მოდელის გამოყენებაზე?

ამ კითხვებზე პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნებს ვისახავთ ჩვენ კვლევის (ანალიზის) შედეგად:

- თუ ჩვენ, მაგალითად, გვინდა ავხსნათ, როგორ შეიძლება იმოქმედოს ფქვილის ფასმა (ან ერთობლივმა შემოსავალმა) პურის საშუალო ფასზე, პურის მოთხოვნისა და პურის მიწოდების მოცულობაზე, მაშინ ფასების სხვაობას სხვადასხვა პურსაცხობებში (თუ რეალიზაციის ადგილებზე) არ უნდა ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა და ზემოგანხილული მარტივი მოდელი ადვილად გაგვცემს პასუხს დასმულ კითხვებზე;
- თუ კი ჩვენ დავისვით ამოცანა ავხსნათ, რატომ არის სამფურნიან ქალაქში პურის ფასი მთლიანობაში უფრო დაბალი, ვიდრე ქალაქში, სადაც ერთი პურის ქარხანა ფუნქციონირებს, ასეთი უბრალო მოდელი ნაკლებად გამოსადეგი იქნება — საქმე ისაა, რომ ერთქარხნიანი ქალაქის ბაზარი არაკონკურენციულია.

იმის დადგენა (განსაზღვრა), თუ როდის იძლევა ესა თუ ის დაშვება საშუალებას, რომ ერთმანეთისაგან განვასხვავოთ (გავმიჯნოთ) მთავარი და მეორეხარისხოვანი, და როდის მივყავართ მას (დაშვებას) არასწორ შედეგამდე, — ეს, შეიძლება ითქვას, მთელი ხელოვნებაა, რომელიც, უმაღლეს პროფესიონალიზმთან ერთად, განსაკუთრებულ ნიჭსა და უნარს მოითხოვს (ესეც ერთ-ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ დაობენ ეკონომისტები ბევრს გაკეთებული დასკვნების მართლზომიერებაზე, რატომ აქვთ ზოგიერთ ბიზნესმენებს ფანტასტიკური დადებითი შედეგები და რატომ კოტრდება ზოგიერთი სხვა).

ამასთან ნებისმიერი მოდელი, რომელშიც ასახული იქნება რეალობის მთელი მრავალფეროვნება, ძალზე რთული იქნება გასაგებად (და, შესაბამისად, ანალიზისათვის სწორად გამოსაყენებლად). ამიტომ გაუბრალოება (გამარტივება) მოდელის აგებისა და ეკონომიკური ანალიზის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

მიკროეკონომიკის მნიშვნელობა მაკროეკონომიკაში

მიკროეკონომიკა ჩვენ განვმარტეთ, როგორც მეცნიერება ცალკეულ ბაზრებზე, რომლებშიც (ყოველ მათგანში) გვხვდება გამყიდველების და მყიდველების განსხვავებული (თავისი) წრე; მათი ქცევის შესწავლა კი ამ დისციპლინის საგანია. მაშასადამე, **მიკროეკონომიკა შეიძლება განვმარტოთ აგრეთვე როგორც მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ცალკეული სამეურნეო სუბიექტების საქმიანობასა და ქცევას.**

მიკროეკონომიკის ფუძემდებლური წინაპირობა ის არის, რომ ფირმები და საოჯახო მეურნეობები ღებულობენ ოპტიმალურ (მათი აზრით) გადაწყვეტილებებს (ადამიანი ხომ რაციონალურად მოქმედი არსებაა), გამომდინარე დასახული ამოცანებიდან და ამ ამოცანების შესრულე-

ბისათვის არსებული შეზღუდვებიდან. მიკროეკონომიკურ მოდელებში საოჯახო მეურნეობები ამა თუ იმ საქონელ-მომსახურების შესყიდვისას ესწრაფვიან სარგებლიანობის მაქსიმიზაციას, ფირმები კი, ღებულობენ რა გადაწყვეტილებას წარმოების (მიწოდების) თაობაზე, — მიილტვიან მოგების მაქსიმიზაციისაკენ.

ვინაიდან პროცესები და მოვლენები, რომლებსაც მაკროეკონომიკა შეისწავლის, საბოლოოდ მრავალი საოჯახო მეურნეობის და ფირმის ურთიერთკავშირის, მათი ქცევა — გადაწყვეტილება — ქმედობის საერთო ჯამია, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა ურთიერთგადაჯაჭვულია, განუხრელ ურთიერთკავშირშია, ამიტომ, ვსწავლობთ რა ეკონომიკას მთლიანობაში, ჩვენ აუცილებლივ უნდა გავითვალისწინოთ ცალკეული ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებები. მაგალითად:

- **ერთობლივი მოხმარების** (ერთობლივი მოთხოვნის) პარამეტრების გამოსავლენად საჭიროა გაანალიზებულ იქნეს ოჯახების გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რამდენს დახარჯავენ ისინი თავიანთი შემოსავლებიდან დღეს და რამდენს გადადებენ მომავლისათვის;
- **საინვესტიციო მოთხოვნის** (ინვესტიციების საერთო მოცულობის) განმსაზღვრელი პარამეტრების გამოსავლენად აუცილებელია ვიცოდეთ (გავერკვეთ) ფირმების გადაწყვეტილებები ახალი საწარმოების მშენებლობაზე, წარმოების გაფართოებაზე.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, შეიძლება ითქვას, არის, ერთი მხრივ, იმ ცვლადების უბრალო ჯამი, რომელიც ყალიბდება ცალკეული ინდივიდების და საწარმოების (სამეურნეო სუბიექტების) გადაწყვეტილებების და მათი რეალიზაციის შედეგად. მაშასადამე, **მაკროეკონომიკის საფუძვლები მიკროეკონომიკის დონეზე ყალიბდება.** ამასთან (მეორე მხრივ), მიუხედავად იმისა, რომ მაკროეკონომიკური მოდელების უკან ყოველთვის დგას მიკროეკონომიკურ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები და მიკროეკონომიკის სუბიექტების ქცევა, ეს გადაწყვეტილებები აშკარად არ ჩანს, ისინი უფრო იგულისხმებიან („ფონს" ქმნიან მაკროეკონომიკური მოდელებისათვის). ამასთან, როგორც ვიცით, ბაზრის კონკრეტული სუბიექტების მოსაზრება სარგებლიანობის თაობაზე შეიძლება საერთოდ არ დაემთხვეს სარგებლიანობის მაკროეკონომიკურ გაგებას. ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების მიერ მიღებული, მათი აზრით, ოპტიმალური გადაწყვეტილებები მაკროეკონომიკაში გაბუნდოვნებულად მონაწილეობს.

ამასთან ერთი რამის თქმა, ალბათ, შეიძლება: მიკროეკონომიკური გადაწყვეტილებების ჯამი და მაკროეკონომიკური მოვლენების მოცულობა, როგორც წესი, ერთი მიმართულებით იცვლება. აქვე ისიც უნდა დავუმატოთ, რომ **ზოგჯერ მიკროეკონომიკური გადაწყვეტილებები არ ემთხვევა მაკროეკონომიკურებს (სხვა მიმართულებითაც კი მოქმედებს),** რაზედაც ჩვენ საუბარი გვქონდა მიკროეკონომიკის პრინციპების შესწავლისას (ეკოლოგია და სხვ.).

მიკროეკონომიკური (ასევე მაკროეკონომიკური) მოდელების აგების ერთ-ერთი ფუძემდებლური დაშვებაა **ფასების** (მ.შ. ხელფასის) ბაზრის კონიუნქტურის (ე.ი. მოთხოვნის და მიწოდების) შესაბამისად ცვლილებების დებულება. **ეკონომისტებს მიაჩნიათ, რომ საქონლისა და მომსახურების ფასები იცვლება ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების გაწონასწორების ობიექტურად არსებული კანონზომიერების შესაბამისად. იგულისხმება, რომ ბაზარზე ჩამოყალიბებული წონასწორობის ფასის პირობებში მყიდველებმა შეიძინეს ყველაფერი, რისი ყიდვაც უნდოდათ, ხოლო გამყიდველებმა გაყიდეს ყველაფერი, რისი რეალიზაციაც ჰქონდათ დაგეგმილი ბაზარზე არსებული წონასწორობის ფასის პირობებში. ამ დებულებამ ბაზრის გაწონასწორების სახელწოდება მიიღო.** ეს დებულება უძევს საფუძვლად ჩვენ მიერ თავის დროზე (საგნის I ნაწილში)განხილულ პერანგის ბაზრის მოდელს; ამით ხელმძღვანელობენ ეკონომისტები უმეტეს საკითხებზე პასუხის ძიებისას.

მაშასადამე, ბაზარზე რომ მუდმივად იყოს შენარჩუნებული წონასწორობა, ფასები სისტემატურად უნდა რეაგირებდეს მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებებზე, სწრაფად იცვლებოდეს მათ შესაბამისად, ე.ი. იყოს მაქსიმალურად ცვალებადი (ელასტიკური).

სინამდვილეში კი ფასების და ხელფასების ცვლილებები ხშირად ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებაზე გაცილებით უფრო ნელა (ან ნაკლებ ინტენსიურად) ხდება:

- როგორც ცნობილია, შრომით კონტრაქტებს დებენ გარკვეული პერიოდისათვის, რომლის შიგნით ადმინისტრაციას არა აქვს უფლება შეცვალოს (შეამციროს) ხელფასი. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში ხელშეკრულებაში წინასწარ დათქვამენ, რომ არ უნდა შეიცვალოს **რეალური ხელფასიც** (ითვალისწინებენ მის ინდექსაციას ინფლაციის შემთხვევაში);
- ბევრი ფირმა, წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვეულებრივად არ ცვლის ფასებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (მაგალითად, გამომცემლობები ხელმოწერით გაზეთებზე, ჟურნალებზე, წიგნებზე);
- თავისთავად კონიუნქტურის ცვლილების შესაბამისად ფასების შეცვლა გულისხმობს მათ შორის დროში გარკვეული ლაგის[1] არსებობას, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ფირმები და საოჯახო მეურნეობები გაერკვნენ სიტუაციაში და შეაგუონ მას თავისი ქმედობა (პირიქითაც ხდება, როცა ფასების მატება უსწრებს შემოსავლის მატებას);
- არსებობს აგრეთვე ფირმების მონოპოლიური პირობები, რომლებიც ხელს უშლის კონიუნქტურის შესაბამისად ფასების ცვლილებას.

ზემოხსენებული დებულებიდან (ზოგიერთი ფასის არაცვალებადობის, დაბალი ელასტიკურობის შესახებ) არ უნდა გავაკეთოთ ერთნიშნა დასკვნა იმის თაობაზე, რომ გაწონასწორების მოდელები მიუღებელია. ფასები აბსოლუტურად გაყინული კი არ არის; საბოლოო ჯამში, ისინი მაინც იცვლება მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილების შესაბამისად და განაპირობებს მოთხოვნა-მიწოდების გაწონასწორებას. განონასწორების მოდელები კი ეკონომიკას ყოველი კონკრეტული მომენტისათვის კი არ ახასიათებს აუცილებლივ; ისინი გვიჩვენებენ (ხსნიან) მდგომარეობას, რომლისკენაც მიისწრაფვის ბაზარი, ე.ი. ტენდენციაზე მიანიშნებენ.

ეკონომისტების უმრავლესობა თვლის, რომ:

- მთლიანობაში ფასების ცვალებადობის ვარაუდი სრულიად გამართლებულია გრძელვადიანი მოვლენების გამოკვლევებისათვის;
- მოკლევადიანი მოვლენების გამოკვლევისას დებულება ფასების ცვალებადობის შესახებ ნაკლებად მისაღებია; დროის ასეთ მონაკვეთში ბევრი ფასი არ იცვლება, ერთ და იგივე დონეზე რჩება (ან ძალიან უმნიშვნელოდ, არაადეკვატურად იცვლება). ამიტომ, იგივე მაკროეკონომისტების აზრით, მთლიანად ეკონომიკის მოკლევადიან ასპექტში გამოკვლევისას უფრო მისაღებია დებულება ფასების არაცვალებადობის, ნაკლებად ელასტიკურობის შესახებ;

თავი 2. მაკროეკონომიკის ძირითადი მაჩვენებლები და მათი გაზომვა

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა

ეკონომიკურ სტატისტიკაში არის მიმართულება (დარგი), რომელიც ეძღვნება მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ფორმულირება — სისტემიზაცია — გაანგარიშებას, რომელიც აწარმოებს ამ მოვლენებზე დაკვირვებას. ეს არის **ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას)**, ანუ **ეროვნული ანგარიშიანობა. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა არის ქვეყნის ძირითადი, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლის — ერთობლივი ეროვნული პროდუქტის (მთლიანი შინა პროდუქტის) და მასთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური მონაცემების (მაჩვენებლების) გაზომვის სისტემა.** როგორც ეას-ში, ისე მთლიანად ეკონომიკურ მეცნიერებაში სამ ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს გამოყოფენ და სწორედ მათზე ხდება ყურადღების განსაკუთრებულად გამახვილება.

ეს მაჩვენებლებია:

- **ერთობლივი ეროვნული პროდუქტი — ეეპ (მთლიანი შინა პროდუქტი — მშპ);**
- **ინფლაცია და სამომხმარებლო ფასების ინდექსი** (ცხოვრების ღირებულების ინდექსი);
- **უმუშევრობის დონე.**

[1] **ლაგი** (*ინგლ.* Lag) — ჩამორჩენა, დაყოვნება, დახანება.

ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ) და მთლიანი შინა პროდუქტი (მშპ)

ერთობლივი ეროვნული პროდუქტის წარმოება ეკონომიკის მდგომარეობის დამახასიათებელი ყველაზე განზოგადებული მაჩვენებელია, რომელიც ერთიან ღირებულებით ფორმაში გამოსახავს ქვეყნის ეკონომიკურ სუბიექტთა (მოქალაქეთა) ეკონომიკური საქმიანობის შედეგებს (შექმნილი სიკეთის ოდენობას). ეს არის:

- ყველა ნაციონალურ (ეროვნულ) ეკონომიკურ აგენტთა ერთობლივი შემოსავალი;
- მათ მიერ საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე გაწეული ხარჯების საერთო მოცულობა.

ეეპ (ინგლ. Gross national product, G#P) არის: ქვეყნის ყველა მოქალაქის ერთობლივი შემოსავალი, მ.შ. მათ კუთვნილებაში საზღვარგარეთ მყოფი წარმოების ფაქტორებისაგან; ეს ამ ქვეყნის მოქალაქეთა ერთობლივი ხარჯებია საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე; ეს ყველა ეროვნული სამეურნეო სუბიექტის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამია.

ეეპ-თან ერთად, აქვე განვმარტავთ მის ანალოგიურ, თუმცა ერთგვარად განსხვავებულ, მაჩვენებელს — მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ).

მთლიანი შინა პროდუქტი (მშპ) არის ქვეყნის ტერიტორიაზე (ქვეყნის შიგნით) ფუნქციონირებადი ყველა სამეურნეო სუბიექტის მთლიანი (ერთობლივი) შემოსავალი, ასევე მათი ამ ტერიტორიაზე შექმნილი დოვლათ-სიკეთის წარმოებაზე გაღებული ხარჯები; ეს ყველა ამ სუბიექტის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამია.

ეს ორი მაჩვენებელი (ეეპ და მშპ) ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ერთნაირი წესით გაიანგარიშება; მათგან ეეპ-ის მაჩვენებელს უფრო მეტად აშშ-სა და იაპონიაში ეყრდნობიან, დანარჩენ სამყაროში კი — მშპ-ის მაჩვენებელს; მათ შორის განსხვავება ძირითადად უმნიშვნელოა.[1]

ეეპ ეკონომიკის დახასიათების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, იმიტომ მაინც, რომ მეტი შემოსავალი ნაკლებს ჯობია, რომ, რაც უფრო მეტია საქონელ-მომსახურების წარმოება (განსაკუთრებით მოსახლეობის ერთ სულზე), მით უფრო მაღალია პირადი, საწარმოო და სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონე.

გამოდის, რომ **ეეპ ერთდროულად ზომავს შემოსავალს ეკონომიკაში და ხარჯებს წარმოებაზე; ეს სიდიდეები, საბოლოო ჯამში, ერთმანეთის ტოლია (რაც ერთისათვის შემოსავალია, მეორისთვის ხარჯია).** ეს სურათი ნათლად ჩანს ეროვნულ ანგარიშიანობაში.


ეას-ის წესის შესაბამისად, ეეპ-ში ჩაითვლება მხოლოდ საბოლოო მოხმარების, ანუ შექმნილი და რეალიზებული, დოვლათი, მაშასადამე, პროდუქტი, რომელიც შემდგომი წარმოებისათვის არ გამოიყენება. ეეპ-ში არ შეიტანება ტრანსფერტული გადასახდელები, ფასიანი ქაღალდების გარიგებები, ნახმარი საქონლის რეალიზაციის მოცულობა.

საკითხის გამარტივებისათვის წარმოვიდგინოთ ეკონომიკა დანახარჯების ერთადერთი სახით — შრომით და წარმოებული ერთადერთი საქონლით — პურით. მაშინ ეკონომიკაში წრებრუნვა (ესეც გაუბრალოებული) მიიღებს ხასიათს, რომელიც ნაჩვენებია მომდევნო გვერდზე (ნახ. 1.5.):

ნახაზზე მოცემულია ფირმებსა და საოჯახო მეურნეობებს შორის დადებული (მომხდარი) ყველა ეკონომიკური გარიგება. პურზე ხარჯები (შრომა) მიემართება საოჯახო მეურნეობებისაგან ფირმებისაკენ. შემოსავლები ხელფასისა და მოგების სახით კი მიემართება ფირმებისაგან საოჯახო მეურნეობებისაკენ: საოჯახო მეურნეობები შეიძენენ ფირმებისაგან პურს; ფირმები კი ამონაგების ნაწილს გამოიყენებენ ხელფასის გასაცემად; დარჩენილი ნაწილი კი არის მოგება, რომელიც მეწარმეებს ეკუთვნის და ასევე საოჯახო მეურნეობისაკენ მიდის (ფირმის მფლობელები თვითონ არიან საოჯახო მეურნეობის სექტორის ნაწილი).

ერთობლივი ეროვნული პროდუქტი ახასიათებს ეკონომიკაში ფულის ნაკადებს; მისი გაანგარიშება ორი საშუალებით (ხერხით) შეიძლება (შემდგომში მესამესაც გავეცნობით) — ვი-

[1] მივანიშნებთ, რომ ეკონომიკური შინაარსით მიზანშეწონილია ძირითადად ეეპ-ზე (ქვეყნის მოქალაქეთა ხელთ არსებული წარმოების ფაქტორების გამოყენებით შექმნილი დოვლათ-სიკეთის მოცულობაზე) საუბარი — სწორედ ამის სინონიმია ეროვნული შემოსავალი პირდაპირი მნიშვნელობით — მაგრამ, ვინაიდან ხელისუფალთა მიერ ეკონომიკის მართვა შესაბამის ტერიტორიაზე ვრცელდება, უფრო ხშირად მშპ-ის მაჩვენებელს მიმართავენ.



ნახ. 1.5. წრებრუნვა. ნახაზზე ვხედავთ სიკეთეთა და შემოსავლის ნაკადებს საოჯახო მეურნეობებსა და ფირმებს შორის; აქ იგულისხმება, რომ ეკონომიკაში იწარმოება ერთადერთი საქონელი (პური) წარმოების ერთადერთი ფაქტორის (შრომის) გამოყენების საშუალებით. შინაგანი წრე გვიჩვენებს შრომის და საქონლის (პურის) ნაკადს: შრომის გამოყენებით წარმოებულ პურს ფირმები მიჰყიდიან საოჯახო მეურნეობებს. გარე წრე გვიჩვენებს ფულის ნაკადს: ფირმები აძლევენ საოჯახო მეურნეობებს ხელფასს და მოგებას, ხოლო საოჯახო მეურნეობები ფირმებს — პურის ღირებულებას. ასეთ ეკონომიკაში ეეპ არის ერთდროულად პურის შეძენის დანახარჯების საერთო მოცულობა და პურის წარმოება-რეალიზაციის შედეგად მიღებული ერთობლივი (საერთო) შემოსავალი.

საუბროთ მათზე ზემოთ მოყვანილი მაგალითის მეშვეობით: 1) პურის შესყიდვაზე გაწეული ხარჯების ჯამით (წრებრუნვის ქვედა ნახევარი); 2) პურის რეალიზაციიდან მიღებული ფულადი შემოსავლის ჯამით (წრებრუნვის ზედა ნახევარი).

მაშასადამე, ეეპ-ის შეფასებისათვის ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ: ან ფულის ნაკადები ფირმებისაგან საოჯახო მეურნეობისაკენ (შემოსავალი) ან ხარჯების ნაკადები საოჯახო მეურნეობებიდან ფირმებისაკენ. შემოსავლების და ხარჯების ტოლობა გამომდინარეობს აღრიცხვის წესიდან: **ეროვნულ ანგარიშიანობაში პროდუქციის შეძენის ყველა ხარჯი არის ამავდროულად და აუცილებლივ ამ პროდუქციის მწარმოებელთა (გამყიდველთა) შემოსავალი.** ამ წესის შესაბამისად, ხარჯების მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებული ნებისმიერი გარიგების აუცილებელი შედეგია შემოსავლების შესაბამისი ცვლილება და პირიქით.

სანამ საუბარს, რომ იტყვიან, „ჩვეულებრივ კალაპოტში" გავაგრძელებთ, ერთ გარემოებას უნდა გავუსვათ ხაზი (ამას გავიმეორებთ).

ეკონომიკაში განასხვავებენ ცვლადების ორ სახეობას: ნაკადს და მარაგს. **ნაკადი არის რაღაცის მოცულობა (ოდენობა) დროის ერთეულში; მარაგი არის რაღაცის მოცულობა გარკვეული მომენტისათვის, ანუ სიდიდე (მაჩვენებელი), რომელიც გაიზომება როგორც რაოდენობა მოცემული მომენტისათვის (თარიღისათვის).**

მაგალითები:

- წყლის მოცულობა აბაზანაში — ეს მარაგია; წყლის მოცულობა, რომელიც ონკანიდან შემოდის ან აბაზანიდან გადის — ეს ნაკადია;
- ოჯახის ქონება — ეს მარაგია; ოჯახის შემოსავალი და გასავალი — ეს ნაკადია;
- უმუშევართა რაოდენობა — მარაგია; იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც კარგავენ სამუშაოს (შემოდიან შრომის ბაზარზე) ან ღებულობენ სამუშაოს (გადიან შრომის ბაზრიდან) — ეს ნაკადია;
- ეკონომიკაში დაგროვილი კაპიტალი — მარაგია; ინვესტიციების მოცულობა და კაპიტალის ცვეთა-ნაკადი;
- სახელმწიფო ვალი-მარაგია; ბიუჯეტის შემოსავალი და ხარჯები — ნაკადი.

ეროვნულ ანგარიშიანობაში (ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში) აღირიცხება ეკონომიკაში არსებული მარაგები და ნაკადები. ავიღოთ მაგალითი.

დავუშვათ, რომ პურის მწარმოებელმა ფირმამ დამატებით დაიქირავა მუშაკები, გადაუხადა მათ დამატებითი ხელფასი. ამ უკანასკნელებმა კი გამოუშვეს მეტი პური, რომლის ნაწილი არ იქნა რეალიზებული.

როგორ იმოქმედებს ეს გაუყიდავი ნაწილი ეეპ-ის მოცულობაზე?

პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოუვა ამ დარჩენილ (არგაყიდულ) პურს (რა მიზეზებმა განაპირობა მარაგის მატება):

- ერთი მხრივ, თუ პური ვერანაირად ვერ იქნა გამოყენებული და ის გადაყრილ იქნა, ეს იმას ნიშნავს, რომ ფირმის მოგება ნაკლები იქნება იმდენით, რა თანხაც იქნა გაცემული ამ დამატებითი პურის გამოცხობაზე (წარმოებაზე). ასე რომ ამ ოპერაციამ არ იმოქმედა არც ხარჯების მოცულობაზე და არც შემოსავლების დონეზე. უცვლელი დარჩა ეეპ-ის მოცულობაც (მისი ნაწილი, რომელიც ხელფასზე მიდის, გაიზარდა მოგების ანალოგიური მოცულობით შემცირების შედეგად);
- მეორე მხრივ, თუ პური მოთავსებულ იქნა მარაგში შემდგომი რეალიზაციისათვის, ეროვნილ ანგარიშთა სისტემაში მიღებული წესის შესაბამისად, ეს ოპერაცია სხვანაირად აღირიცხება. ამ შემთხვევაში მოგება არ შემცირდება, ვინაიდან პურის მარაგში ჩადება ტოლფასია იმისა, რომ ფირმის მფლობელებმა „თვითონ შეიძინეს" მოგების ხარჯზე პური (აიღეს ის მარაგში, ნაცვლად ფულადი მოგებისა). ე.ი. ეეპ-ის მოცულობა გაიზრდება: უფრო მაღალი ხელფასის შედეგად გაიზარდა შემოსავალი, ხოლო მარაგის დაგროვების შედეგად გაიზარდა ხარჯების მოცულობა.

საერთო წესი ისეთია, რომ, როდესაც ფირმა ზრდის საქონლის მარაგს, ინვესტიცია მარაგში ჩაირთვება ხარჯების შემადგენლობაშიც და შემოსავლებშიც. მაშასადამე, თუ წარმოების შედეგად შეგნებულად იზრდება მარაგი, ერთობლივი ეროვნული პროდუქტი ამ შემთხვევაში ისევე იზრდება, როგორც უშუალოდ რეალიზაციისათვის წარმოებისას.

დავუბრუნდეთ ჩვეულებრივ მსჯელობას.

ეეპ-ის წარმოების ზემოჩატარებული ანალიზისას ჩვენ ვიგულისხმეთ (დავუშვით), რომ ეკონომიკაში ერთადერთი პროდუქტი იწარმოება — პური, სინამდვილეში კი სახალხო მეურნეობაში მილიონობით ნაწარმი მზადდება. ე.ი. ეეპ რომ გავიანგარიშოთ მთლიანად, ამ უამრავი საქონელ-მომსახურების ფასეულობა (ღირებულება) უნდა შევაჯამოთ. ეს კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ გაგვაჩნია ყველა საქონლის შეფასების ერთი საზომი.

დავუშვათ, რომ საზოგადოებაში ორი წლის განმავლობაში სამად სამ ნაწარმს ამზადებენ: ხორბალს (პურს), კარაქსა და მატყლს. პირველ წელს გამოშვებულ იქნა სულ 100 ტ. ხორბალი, 8 ტ. კარაქი და 1 ტ. მატყლი, ხოლო მეორე წელს, შესაბამისად, — 80ტ; 15ტ. და 0,5ტ.

შეიძლება კი ამ ციფრებზე დაყრდნობით გავიანგარიშოთ, თუ რამდენი ეეპ იქნა წარმოებული ჯამურად 1-ელ წელს და რამდენი მე-2 წელს და რომელი წლის ეეპ-ია მეტი? რა თქმა უნდა, არა. წარმოებული პროდუქციის ერთობლივი მოცულობის დაჯამება (1-ელ წელს 109ტ, მეორე წელს 95 ტ.) აბსურდია.

ამიტომ მთლიანად წარმოებულ ეეპ-ს ზომავენ (ანგარიშობენ) პროდუქციის ფულად გამოხატულებაში, ე.ი. საქონელ-მომსახურების საბაზრო ფასებში, მაგალითად, ასე (გავაკეთოთ დაშვება, რომ ფასები ერთ ტონა პროდუქციაზე ორივე წელს ერთნაირი, ანუ უცვლელია — ხორბალი 1 ათ. ლარი; კარაქი 5 ათ. ლარი; მატყლი 10 ათ. ლარი):

	I წელი	II წელი
ხორბალი	100ტ.=100 000 ლარი	80ტ. = 80 000 ლარი
კარაქი	8ტ.= 40 000 ლარი	15ტ. = 75 000 ლარი
მატყლი	1ტ. = 10 000 ლარი	0,5ტ. = 5 000 ლარი
სულ:	150 000 ლარი	160 000 ლარი

გადავიყვანეთ რა წარმოებული (რეალიზებული) პროდუქცია ფულად გამოხატულებაში და შევადარეთ რა ეეპ-ის ღირებულება (ფასეულობა) 1-ელ და მე-2 წელს უცვლელ (საბაზისო) ფასებში, ჩვენ დავინახეთ, რომ მე-2 წელს წარმოებულია 10 ათასი ლარით მეტი ერთობლივი პროდუქტი, ვიდრე 1-ელ წელს.

უფრო უკეთესად რომ გავერკვეთ (გავიგოთ), თუ როგორ აღირიცხება ეეპ, გავეცნოთ (ან გავიხსენოთ) კიდევ ორ კატეგორიას. ბევრი საქონლის წარმოება რამდენიმე ეტაპს გაივლის: ერთ ფირმაში (საწარმოში) ნედლეული (ნახევარფაბრიკატი და ა.შ.) **შუალედურ საქონლად** (ნაწარმად) გარდაიქმნება და ასეთი სახით გადაეცემა (მიეყიდება) მეორე ფირმას, რომელიც გამოიყენებს მას **მზა პროდუქციის** (საბოლოო მოხმარების პროდუქციის) გამოსაშვებად. გასაგებია, რომ ყოველი ასეთი ფირმა გარკვეული მოცულობის ეეპ-ს ქმნის (აწარმოებს) და უმატებს მას სხვა ფირმებისაგან მიღებულ ღირებულებას (ე.ი. იმ რესერსებს — შუალედურ პროდუქციას, რომელიც გამოიყენა მან თავისი პროდუქციის წარმოებისათვის). ამასთან დამზადებული საბოლოო მოხმარების საქონლის რეალიზაციას ის ახდენს მთლიანი ღირებულებით, ე.ი. შეძენილი და წარმოებაში გამოყენებული **შუალედური ღირებულების** ჩათვლით.

განმეორებითი ანგარიშის თავიდან ასაცილებლად ეეპ-ში ჩაითვლება (იანგარიშება) მხოლოდ ის ღირებულება, რომელიც დაუმატა (შექმნა) სამეურნეო სუბიექტმა გამოყენებულ შუალედურ პროდუქციას. ამ „დამატებას" დამატებული ღირებულება ეწოდება და ის ტოლია რეალიზებული პროდუქციის ღირებულებას გამოკლებული ფირმის მიერ შეძენილი და გამოყენებული შუალედური პროდუქციის ღირებულება. ყველა სამეურნეო სუბიექტის მიერ შექმნილი (წარმოებული) დამატებული ღირებულებების ჯამი კი არის ერთობლივი ეროვნული პროდუქტი. ე.ი. დამატებულ ღირებულებათა საერთო ჯამი ტოლია (ტოლი უნდა იყოს მთლიანად ეკონომიკისათვის) საბოლოო მოხმარების პროდუქციის ერთობლივი საბაზრო ღირებულებისა მისი წარმოებისათვის გამოყენებული შუალედური პროდუქციის ღირებულების გამოკლებით.

საბოლოო მოხმარების საქონელ-მომსახურება ეეპ-ში, როგორც აღვნიშნეთ, აღირიცხება საბაზრო (რეალიზაციის) ფასის შესაბამისად. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდება, ვინაიდან ზოგიერთი საქონელი და მომსახურება (ეეპ-ის ნაწილი) ბაზარზე არ იყიდება. ამიტომ ამ უკანასკნელთა შეფასებამ პირობითად დარიცხული ღირებულების სახელწოდება მიიღო. **პირობითად დარიცხული ღირებულება არის იმ საქონელ-მომსახურების (დოვლათ — სიკეთის) ღირებულებითი შეფასება, რომელიც არ ექვემდებარება ბაზარზე რეალიზაციას, რომელსაც არა აქვს საბაზრო ფასი (რომელთა საბაზრო ფასი უცნობია) და რომელიც (ამის გამო) აღირიცხება გაწეული ხარჯების შესაბამისად.**

ასეთია, მაგალითად, მომსახურება, რომელსაც სახელმწიფო ეწევა: პოლიციის და ჯარის მომსახურება, მეხანძრეთა მომსახურება, სახელმწიფო მოხელეების მომსახურება, აგრეთვე ხშირად განათლების და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება, როცა ისინი სახელმწიფო საწყისებზე („უფასოდ") ეწყობა. ასეთი მომსახურების პირდაპირი ღირებულებითი შეფასება შეუძლებელია, ამიტომ მიღებულია წესი, რომლის შესაბამისად ჩათვლილია პირობითად, რომ ასეთი საქონლის ფასი (ე.ი. ასე შექმნილი სიკეთის — ეეპ-ის მოცულობა) ტოლია გაწეული დანახარჯებისა.

ღირებულების პირობითი დარიცხვის წესი გამოიყენება აგრეთვე საბინაო სფეროს სპეციფიკური მომსახურების შეფასებისას (ესეც ხომ ეეპ-ის შექმნაა). ბინის დაქირავების ანაზღაურება, როგორც ყველა სხვა სახის მომსახურებისა, საბაზრო ფასით ხდება და წარმოადგენს სახლის მფლობელის შემოსავალს. ამიტომ საიჯარო გადასახდელი (ბინის ქირა) შედის ეეპ-ში როგორც დამქირავებლის ხარჯი და გამქირავებლის შემოსავალი.

მაგრამ ბევრი ადამიანი საკუთარ სახლში ცხოვრობს და საცხოვრისის ისეთივე მომსახურებით სარგებლობს, როგორც ბინის დამქირავებელი. ამიტომ ის მომსახურებაც (ის სიკეთე), რომელსაც ღებულობენ (რომლითაც სარგებლობენ) სახლის მეპატრონეები, ღირებულების პირობითად დარიცხვის მიღებული წესის შესაბამისად, ეეპ-ში შეიტანება „საიჯარო საფასურით", რომელსაც ბინის მეპატრონეები თითქოსდა უხდიან საკუთარ თავს. ეს „საიჯარო საფასური" აღირიცხება, როგორც სახლის მფლობელის შემოსავალი და მისივე ხარჯები.

საქონლის ღირებულების პირობითად დარიცხვა ეას-ის აღრიცხვიანობის ერთგვარი (მაგრამ გარდუვალი) ნაკლოვანებაა (ვინაიდან ზუსტი არ არის).

ეეპ-ის აღრიცხვის წესს, რომელიც გამოიყენება ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში, სხვა ნაკლოვანებებიც გააჩნია, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ამ მაჩვენებლის სიზუსტეზე და მიგვანიშნებს, რომ მისი შეფასებითი ხასიათის აბსოლუტიზაცია სწორი არ იქნებოდა. აი, ზოგიერთი მათგანი.

1. მომსახურების ზემოგანხილულ სახეებთან ერთად, არის ზოგიერთი სხვაც, რომელთა აღრიცხვა პრინციპში აუცილებელია (ეს ფაქტობრივად სიკეთის შექმნა — მიღებაა, ეეპ-ის წარმოებაა), მაგრამ პრაქტიკულად არ ხდება. ეს ეხება ხანგრძლივი მოხმარების ყველა საქონელს — მაცივრებს, ავტომობილებს, იახტებს, საიუველირო ნაწარმს და სხვ. თუ, მაგალითისათვის, ავტომანქანის მფლობელი (მესაკუთრე) გამოიყენებს მას კომერციული მიზნებისათვის — მგზავრების ანაზღაურებით გადასაყვანად, ეს მომსახურება აღირიცხება ეეპ-ში (როგორც მესაკუთრე მძღოლის შემოსავალი და მგზავრის ხარჯი). მაგრამ თუ ავტომობილის მფლობელი საკუთარ თავს და ახლობლებს (თუ გინდ უცხოებს) ემსახურება უსასყიდლოდ, ეს ეეპ-ში არ აღირიცხება.
2. ეეპ-ში, როგორც წესი, არ შედის (არ აღირიცხება) იმის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც წარმოებულია საკუთარ მეურნეობაში საკუთარი მოხმარებისათვის. ე.ი. ოჯახის წევრების შრომითი შენატანი საკუთარ მეურნეობაში (მ.შ. დიასახლისის მძიმე შრომა) ეეპ-ში არ შეიტანება.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ მაგალითები:

ა) იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახი ყიდულობს მაღაზიაში ხორცისაგან დამზადებულ კერძს (ვთქვათ, კატლეტს), მთელი შრომა, დახარჯული მისი წარმოების ყველა სტადიაზე, მთლიანად აღირიცხება ეეპ-ის შემადგენლობაში. მაგრამ თუ ოჯახმა მაღაზიაში შეიძინა ნედლეული (ხორცი, პური, სანელებლები), ხოლო თვით კერძი სახლში დაამზადეს და იქვე მოიხმარეს, ეეპ-ის აღრიცხვაში არაფერი იცვლება, თითქოს არავითარი დამატებითი (დამატებული) ღირებულება არ შექმნილა.

ბ) დავუშვათ, რომ ოჯახს შინამოსამსახურე ქალი ჰყავს, მისი შრომა (შრომის საფასური), ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წესის შესაბამისად, შედის ეეპ-ში. მაგრამ თუ ოჯახის ერთ-ერთი წევრი დაქორწინდა ამ პიროვნებაზე, ხოლო ეს უკანასკნელი აგრძელებს იგივე შრომას, მაგრამ უკვე ანაზღაურების გარეშე — ასეთი შრომის შედეგი ეეპ-ში უკვე არ იანგარიშება.

3. აღრიცხვის სწორად წარმოების სირთულის გამო ეეპ-ში არ ხვდება „შავ“ ბაზარზე შეძენილი საქონელ-მომსახურების (მაგალითად, შინნახადი არაყი; არარეგისტრირებული მშენებლობა) მნიშვნელოვანი ნაწილი, ე.ი. იმის გაანგარიშება, რაც ოფიციალურად არ არის რეგისტრირებული, ძალზე რთულია, შესაბამისად, მონაცემები — არაზუსტი (როგორც წესი, ისინი შემცირებულია). ე.წ. დაუკვირვებად მეურნეობაში შექმნილი სიკეთის ეეპ-ის მოცულობაში შეტანა, მიუხედავად ამის აღრიცხვის მეთოდოლოგიის არსებობისა, ძლიერ მიახლოებითია.
4. ეეპ-ის აღრიცხვის პრობლემაა ისიც, რომ ეეპ-ის გაანგარიშებისას ყოველგვარი პროდუქცია განიხილება ერთნაირად — მიღებულია ის წარმოების შედეგად თუ წარმოების დანახარჯებში შეიტანება. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, მაგალითად (და ეს მოსაზრება საყურადღებოა), რომ პოლიცია და სასამართლო „აწარმოებენ“ საზოგადოების დანარჩენი წევრების ცხოვრების შენარჩუნების დანახარჯებს. ამიტომ მათი ეს შესატანი კი არ უნდა მიემატოს წარმოების შედეგებს (წარმოებული ეეპ-ის მოცულობას), როგორც ეს კეთდება აღრიცხვის არსებული წესით, არამედ უნდა გაუტოლდეს ნულს, ან, უფრო მეტიც, უნდა გამოაკლდეს ეეპ-ის მოცულობას.
5. ეროვნული ანგარიშიანობა არ აღრიცხავს ეეპ-ის წარმოების ზემოქმედებას გარემოზე. ეს მეტად სერიოზული პრობლემაა, ვინაიდან შეიძლება მოხდეს (და ხდება კიდევაც), რომ მომავალ პერიოდებში წარმოებას აზარალებს გარემოზე დღევანდელი წარმოების უარყოფითი გავლენა (ე.ი. მიმდინარე, დღევანდელი წარმოება ხელოვნურად არის გაზრდილი).

6. ეეპ-ის და მოსახლეობის კეთილდღეობის ურთიერთკავშირზე საუბრისას (ასეთი კავშირი კი, რა თქმა უნდა, არსებობს) აუცილებელია მივიღოთ მხედველობაში, რომ ეეპ-ის განზოგადებული, გასაშუალოებული მაჩვენებელი არაფერს ამბობს არც რესურსების განაწილებაზე და არც იმაზე, თუ ვისზე მოდის (ვინ ეუფლება, ვის ერგება) ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ზრდა.

ეეპ-ის აღრიცხვაში არსებული ზემოგანხილული ნაკლოვანებები (ცდომილებები) არ ამცირებს ამ მაჩვენებლის მნიშვნელობას; ისინი იმას მოწმობენ მხოლოდ, რომ ეეპ-ის მაჩვენებელი არ არის იდეალური.

თუ აღრიცხვის სისტემა და ცდომილებათა მოცულობა მნიშვნელოვნად არ იცვლება დროთა განმავლობაში (და ეს ასეა ფაქტობრივად), ეეპ-ის მაჩვენებელი შეიძლება წარმატებით გამოყენებულ იქნეს (და გამოიყენება კიდევაც) სხვადასხვა წლებში და დროის სხვადასხვა პერიოდებში (ე.ი. დინამიკაში), ასევე სხვადასხვა ქვეყნებში ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ერთმანეთთან შედარებისათვის.

გარდა ამისა, მეტი ეეპ (ეროვნული შემოსავალი), მ.შ. განსაკუთრებით მოსახლეობის ერთ სულზე, საერთოდაც, რა თქმა უნდა, ხალხის კეთილდღეობის უფრო მაღალ დონეზე მიანიშნებს: როგორი ნაკლოვანება — ცდომილებაც არ უნდა იყოს აღრიცხვაში, თუ ერთ ქვეყანაში ეეპ-ის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე 40 ათასი დოლარია (ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ეს მეტიცაა), ხოლო მეორეში 1 ათასზე ნაკლები (ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა), ყველაფერი გასაგები ხდება.

ამასთან ეეპ-ის აღრიცხვის ზემოდასახელებული ნაკლოვანებები იმას მოწმობს, რომ ამ მაჩვენებლის გამოყენებისას, განსაკუთრებით სხვადასხვა ქვეყნების მონაცემების შედარებისას (უპირველესად ისეთების, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან წარმოებაში სასაქონლო და ნატურალური მეურნეობის ხვედრითი წონით, ჩრდილოვანი ეკონომიკის დონით, აგრეთვე განაწილების ხასიათით) აუცილებელია გარკვეული სიფრთხილე: ეეპ-ის მოძრაობის (ცვლილების) და განსაკუთრებით მოცულობის მაჩვენებელი არ შეიძლება პირდაპირ გამოვიყენოთ საზოგადოების კეთილდღეობის ტერმინებში.

ეეპ პირველ რიგში გვიჩვენებს ამა თუ იმ ეკონომიკის ძლიერებას და შესაძლებლობებს, განვითარების ტენდენციებს, და არა პირდაპირ ამა თუ იმ ქვეყნების მოსახლეობის კეთილდღეობის დონეს.

ამიტომ არის, რომ მეცნიერებაში გრძელდება კეთილდღეობის შეფასების დონის მაჩვენებლის (თუ მაჩვენებელთა სისტემის) სრულყოფის ცდები. მის შეფასებაში ხშირად იყენებენ (შეაქვთ) გაზეთებზე მოთხოვნის მოცულობებს, ტელეფონების რაოდენობას 100 კაცზე, ჯანმრთელობის მდგომარეობას (მ.შ. მოსახლეობაში კბილების საერთო მდგომარეობას) და სხვ.

დღეს კი, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის შეფასებისათვის მარტო ეეპ-ის ერთ მაჩვენებელს კი არ იყენებენ, არამედ რამდენიმეს, ე.ი. მაჩვენებელთა კომპლექსს (ცხოვრების ხანგრძლივობის, განათლების დონის, მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის), ანუ ადამიანის განვითარების ინდექსს.

არსებობს ეეპ-ის აღრიცხვის, ამ აღრიცხვის ხასიათის სხვა საკითხებიც.

დავუბრუნდეთ ადრე განხილულ მაგალითს ეკონომიკისა, რომელშიც იწარმოება მხოლოდ სამი სახის პროდუქცია. გავიხსენოთ, რომ ეეპ-ის მოცულობა ტოლი იყო წარმოებული ხორბლის, კარაქის და მატყლის უცვლელ ფასებში ღირებულების ჯამისა (I წელს 150 ათასი, II წელს 160 ათასი ლარი).

გასაგებია, რომ ეეპ-ის მოცულობის ნამდვილ ზრდას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც იზრდება იმ სიკეთეთა (**სახმარი ღირებულების**[1]) წარმოება, რომლებიც აკმაყოფილებს ადამიანების მოთხოვნილებას. მაგრამ, ვინაიდან სიკეთეთა პირდაპირი შეჯამება შეუძლებელია, ხოლო ეეპ-ის აღრიცხვა წარმოებს პირობით გამოხატულებაში — ფასებში (ფულში), ეეპ-ის მოცულობის „ზრდა“ შეიძლება განაპირობოს ფასების ცვლილებებმა (ზრდამ). თუ, ვთქვათ, ჩვენს მიერ აღებულ სამივე პროდუქტზე მე-2 წელს ფასები ორჯერ გაიზარდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ წელს წარმოებულ იქნა 320 ათ. ლარის პროდუქცია (80ტ.x2ათ.+15ტ.x10ათ.+0,5ტ.x20ათ.), ანუ

[1] **სახმარი ღირებულება** არის (ძირითადად მარქსისტულ თეორიაში) საქონლის (პროდუქტის) თვისება დააკმაყოფილოს ადამიანების მოთხოვნილება.

2,1-ჯერ მეტი. მაგრამ არავის მოუვა აზრად განაცხადოს, რომ ასევე გაიზარდა მოსახლეობის, ფირმების და სახელმწიფოს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ამ შემთხვევაში ჩვენ გავაკეთეთ ეპ-ის **მიმდინარე ფასებში** გაანგარიშება — ასე გაანგარიშებულ ეპ-ს **ნომინალური** ეწოდება. **ნომინალური ეპ არის მიმდინარე ფასებში (ანუ, შესაბამის წელს ჩამოყალიბებულ ფასებში), ე.ი. ინფლაციის გაუთვალისწინებლად გაანგარიშებული ეპ.** სწორედ ასე ხდება ეპ-ის პირველადი აღრიცხვა.

ამასთან გასაგებია, რომ ეკონომიკის მდგომარეობის, მისი განვითარების ზუსტად ასახვისათვის წარმოებული პროდუქციის (საქონელ-მომსახურების) მაჩვენებელი არ უნდა შეიცვალოს ფასების ცვლილების მიზეზით. ამისათვის არსებობს რეალური ეპ-ის მაჩვენებელი, რომელშიც საქონლის და მომსახურების ღირებულება გაიზომება (გაიანგარიშება) უცვლელ ფასებში. **რეალური ეპ არის უცვლელ (საბაზისო) ფასებში გაზომილი (ე.ი. ინფლაციის გათვალისწინებით გაანგარიშებული) ეპ-ი.**

უცვლელი ფასების პირობებში ეპ-ის მოცულობა მხოლოდ სიკეთეთა (სახმარი ღირებულებების) მოცულობის ცვლილების შემთხვევაში შეიცვლება (ჩვენ მაგალითში ხორბლის, კარაქისა და მატყლის).

ნომინალური და რეალური ეპ-ის საფუძველზე შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სტატისტიკური მაჩვენებელი — ე.წ. **ეპ-ის დეფლატორი**[1], რომელსაც ხშირად **ფასების დეფლატორსაც (ფასების ინდექსს)** უწოდებენ. ეპ-ის დეფლატორი გაიანგარიშება, როგორც ნომინალური ეპ-ის შეფარდება რეალურ ეპ-თან:

$$\text{ეპ-ის დეფლატორი} = \frac{\text{ნომინალური ეპ}}{\text{რეალური ეპ}}$$

მაშასადამე, **ეპ-ის დეფლატორი არის მისი ნომინალური მოცულობის შეფარდება რეალურთან; ფასების დეფლატორი არის ფასების საერთო დონის კრებსითი მაჩვენებელი, რომელიც იანგარიშება როგორც საქონელ-მომსახურების გარკვეული ნაკრების ფაქტობრივი (მიმდინარე) ფასების შეფარდება ამავე საქონელ-მომსახურების ნაკრების საბაზისო (უცვლელ) ფასებთან.**

დავუშვათ, რომ ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ შემთხვევაში მე-2 წელს ფასები შეიცვალა: ხორბლის ფასი გახდა 1200 ლარი ტონაში (ნაცვლად 1 ათასისა), კარაქისა — 6000 ლარი (ნაცვლად 5000), მატყლის 8000 (ნაცვლად 10000). ამ შემთხვევაში მე-2 წელს ნომინალური ეპ შეადგენს:

ხორბალი	80 ტ.X1200 ლარი=96000 ლარი
კარაქი	15 ტ.X6000 ლარი=90000 ლარი
მატყლი	0,5 ტ.X8000 ლარი= 4000 ლარი
სულ:	190000 ლარი

რეალური ეპ მე-2 წელს (საბაზისო წლის უცვლელ ფასებში) შეადგენდა, როგორც ვიცით, 160 ათ. ლარს. ე.ი:

$$\text{მე-2 წელს ეპ-ის დეფლატორი იქნება: } \frac{190000 \text{ ლარი}}{160000 \text{ ლარი}} = 1,19$$

არსებობს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სხვა მაჩვენებლები, რომლებიც უფრო დაწვრილებით ინფორმაციას მოგვცემს შესაბამისი ნაკადების განხილვით:

1. **ხარჯების კომპონენტები** (მაჩვენებლები);
2. **შემოსავლის კომპონენტები** (მაჩვენებლები).

[1] **დეფლატორი** — *ლათ.* Deflatio გამობერვა.

ეკონომისტებს აინტერესებთ არა მარტო საქონელ-მომსახურებათა წარმოების საერთო მოცულობა, არამედ წარმოებული პროდუქციის გამოყენება მისი დანიშნულების შესაბამისად.

ამ თვალსაზრისით ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში **ხარჯები ეეპ-ის შემადგენლობაში იყოფა 4 დიდ ჯგუფად:**

- **მოხმარება** ("მ" ან "C");
- **ინვესტიცია** ("ი" ან "I");
- **სახელმწიფო შესყიდვები**; („სშ" ან "G");
- **სუფთა ექსპორტი** ("სე" ან NX).

მოხმარება (C) არის საოჯახო მეურნეობების (საქონლის მომხმარებლების) მიერ უშუალოდ მოსახმარად შეძენილ საქონელთა ერთობლიობა. ეს არის საქონელ-მომსახურების გამოყენება მიმდინარე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მოხმარება თავისთავად სამ ჯგუფად იყოფა: მოკლევადიანი სარგებლობის საქონელი (საკვები პროდუქტი, ტანსაცმელი და სხვ.), ხანგრძლივი სარგებლობის საქონელი (ავტომანქანა, ავეჯი, მაცივარი და სხვ.) და მომსახურება (საპარიკმახერო, სამედიცინო მომსახურება და სხვ.).

ინვესტიცია (I), იგივე კაპიტალური დაბანდება, — ეს იმ საქონლის ღირებულებაა, რომელსაც შეიძენენ არა მიმდინარე, არამედ შემდგომი მოხმარებისათვის (წარმოების ორგანიზაციის საფუძველზე). ეს არის ხარჯების ნაკადი, რომელიც მიმართულია სიკეთეთა წარმოებისათვის, და არა უშუალო მოხმარებისათვის. ინვესტიციაც სამ ჯგუფად იყოფა: **საწარმოო კაპიტალური დაბანდება (ინვესტიცია საწარმოო ფონდებში** — ახალი საწარმოების და მოწყობილობის შეძენა), **ინვესტიცია საბინაო მშენებლობაში** (ხარჯები ახალი საცხოვრებელი სახლების შესაძენად — როგორც საკუთარ საცხოვრებლად, ისე გასაქირავებლად) და **ინვესტიცია მარაგში** (ეს ფირმათა სასაქონლო მარაგის ღირებულების გეგმური ზრდაა).

სახელმწიფო შესყიდვა (G) — ეს იმ საქონლისა და მომსახურების საერთო ღირებულებაა, რომლებსაც შეიძენენ ხალისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი სტრუქტურები: სამხედრო აღჭურვილობა, გზების მშენებლობა, სახელმწიფო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (აქ არ შედის **ტრანსფერტული გადასახდელები** — პენსიები, დახმარება სოციალური დაზღვევის ხაზით, ვინაიდან ეს გადახდები წარმოებს უნაცვალგებოდ, უკომპენსაციოდ და ეეპ-ში არ შეიტანება).

სუფთა ექსპორტი (NX) ასახავს სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის შედეგებს. ეს არის საქონელ-მომსახურების ექსპორტის და იმპორტის ღირებულებითი მოცულობების სხვაობა; ის შეიძლება იყოს დადებითი (როდესაც ექსპორტი სჭარბობს იმპორტს), უარყოფითი ან ნულის ტოლი.

შემოსავლის დახასიათებისათვის ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ყველაზე ხშირად მიმართავენ ეეპ-ის მაჩვენებელს (ამას ხშირად უწოდებენ ასევე ეროვნულ შემოსავალს); ამასთან გამოიყენება სხვა მაჩვენებლებიც. მათი დინამიკა უმნიშვნელოდ განსხვავდება ეეპ-ის დინამიკისაგან, მაგრამ ეს საჭიროა სხვადასხვა მიზნებისათვის.

შემოსავლის სხვადასხვა მაჩვენებლების ურთიერთკავშირის რაობაზე უფრო ზუსტი წარმოდგენის შექმნისათვის თანდათანობით გამოვაკლოთ ეეპ-ს მისი სხვადასხვა კომპონენტები:

თუ ეეპ-ის საერთო მაჩვენებელს გამოვაკლებთ ძირითადი კაპიტალის ცვეთის ღირებულებას[1], მივიღებთ სუფთა ეროვნულ პროდუქტს (სეპ).

სეპ = ეეპ — ძირითადი კაპიტალის ცვეთის ღირებულება.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში შემოსავლის კორექტირება ხდება ფირმებზე **არაპირდაპირი გადასახადების** ჯამის გამოკლებით (მაგალითად, აქციზი, დღგ). ეს გადასახადები წარმოადგენს სხვაობას საქონელზე მყიდველების მიერ გადახდილ და ფირმის სარეალიზაციო ფასს შორის. ე.ი. ამ თანხას ფირმები და საოჯახო მეურნეობები არ ღებულობენ, ეს არ არის მათი შემოსავალი. ამ არაპირდაპირი გადასახადის თანხის სეპ-იდან გამოკლებით ჩვენ მივიღებთ კიდევ ერთ მაჩვენებელს — **ეროვნულ შემოსავალს (ეშ).**

[1] **ძირითადი კაპიტალის ცვეთა** — ეს ამორტიზაციული დანარიცხებია, ე.ი. ფაქტობრივად წარმოების ხარჯებია.

ეროვნული შემოსავალი = სეპ — არაპირდაპირი გადასახადები.

ეროვნული შემოსავალი — ეს იმ შემოსავლების ერთობლიობაა, რომლებსაც ღებულობს ყველა ეკონომიკური აგენტი ერთად[1].

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ეროვნული შემოსავალი ხუთ კომპონენტად იყოფა იქიდან გამომდინარე, თუ რა საშუალებით არის მიღებული შემოსავალი. ეს არის (ფრჩხილებში ნაჩვენებია დაახლოებითი პროცენტები აშშ-ის ეკონომიკისათვის):

- **შრომის ანაზღაურება** (73%): მუშაკების მიერ მიღებული ხელფასები და პრემიები (არასოციალური ხასიათის);
- **კორპორაციების მოგება** (11%): მოგება, რომელიც რჩება კორპორაციებს მუშაკებისა და კრედიტორებისათვის გადასახდელის დაფარვის შემდეგ;
- **სუფთა პროცენტი** (7%): მოცემული ქვეყნის საწარმოების მიერ ფულადი კაპიტალის მსესხებლებისაგან მიღებული საპროცენტო გადასახდელების ჯამი გაცემული საპროცენტო გადასახდელების გამოკლებით;
- **მესაკუთრეთა შემოსავალი** (7%): არაკორპორირებული საწარმოების შემოსავალი (ისეთების, როგორიცაა წვრილი ფირმები, პატარა მაღაზიები, ამხანაგობები);
- **რენტული შემოსავალი** (2%): შემოსავალი, რომელსაც ღებულობენ უძრავი ქონების მფლობელები (მ.შ. ძირითადად დარიცხული საიჯარო გადასახდელი საკუთარ საცხოვრებელზე, რომელსაც ისინი თითქოსდა უხდიან საკუთარ თავს).

ზოგიერთი კორექტირების საშუალებით შეიძლება გადავიდეთ ეროვნული შემოსავლიდან **პირად შემოსავალზე (პშ)**, შემდეგ კიდევ **პირად განსაკარგავ შემოსავალზე (პგშ)**:

პირადი შემოსავალი = ეროვნულ შემოსავალს — კორპორაციების მოგება — სოციალური დაზღვევის შენატანები — შინამეურნეობების მიერ გადახდილი პროცენტი + სახელმწიფოს მიერ ფასიან ქაღალდებზე გაცემული პროცენტები + დივიდენდები + მოსახლეობისადმი სახელმწიფოს ტრანსფერტული გადასახდელები.

პირადი განსაკარგავი შემოსავალი = პირად შემოსავლებს — პირადი საგადასახადო თუ სხვა არაბეგარისებური აუცილებელი გადასახდელები.

ინფლაცია და ცხოვრების ღირებულების გაზომვა: სამომხმარებლო ფასების ინდექსი

ცნობილია, რომ დოლარი მყარი ვალუტაა. მაგრამ 2017 წელს ერთ დოლარზე არ შეიძლება იმდენი სიკეთის შეძენა, რამდენიც შესაძლებელი იყო 1967 ან 1917 წელს. პრაქტიკულად დროთა განმავლობაში ყველა ქვეყანაში აღინიშნება ფასების საერთო მატება, რასაც **ინფლაციას** უწოდებენ. ეს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა, რომელთანაც საქმე აქვს როგორც მთლიანად ეკონომისტებს, ისე ეკონომიკური პოლიტიკის ჩამომყალიბებლებს და ამ პოლიტიკის გამტარებლებს, ასევე ფაქტობრივად მთელ საზოგადოებას.

ინფლაციის დროს ფასების მატება პრაქტიკულად ყველა საქონელს ეხება, მაგრამ განსაკუთრებით აქტუალურია ფასების მატება სამომხმარებლო საქონელზე. ამიტომ იმ ფასების დონის გაზომვისათვის, რომლებიც უშუალოდ ეხება მოსახლეობის კეთილდღეობას, ძირითადად იყენებენ **სამომხმარებლო ფასების** (და არა საერთოდ ფასების) **ინდექსს**.

როგორ შეიძლება გავაერთიანოთ სამომხმარებლო საქონელთა მთელი ერთობლიობა ერთიან მაჩვენებელში, რომელიც დაახასიათებს ფასების დონეს?

რა თქმა უნდა, ამის გაკეთება შეიძლებოდა, თუ გავზომავდით (და შევადარებდით) მთლიანობაში ყველა სამომხმარებლო საქონელთა ფასებს (როგორც კეთდება ეეპ-ის გაანგარიშებისას ყველა საქონელზე). ეს მართლაც იქნებოდა სამომხმარებლო საქონელთა ფასების დონე და მასაც ანგარიშობენ ზოგჯერ. მაგრამ ასეთი მაჩვენებელი არც ისე ზუსტად ასახავს, თუ როგორ იმოქმედა სამომხმარებლო საქონელზე ფასების ზრდამ მოსახლეობის მდგომარეო-

[1] არ ვივიწყებთ, რომ ეროვნული შემოსავლის ცნება პირველ რიგში ეეპ-ის კატეგორიის სინონიმადაც გამოიყენება.

ბაზე, მის მატერიალურ კეთილდღეობაზე, ვინაიდან ადამიანთა მოხმარების სტრუქტურაში სხვადასხვა საქონელი განსხვავებული ინტენსივობით მონაწილეობს (რასაკვირველია, ჩვენ ისე ხშირად არ მოვიხმართ ხიზილალას, ანანასს, სნიკერსს, ფეხსაცმელს გველის კანიდან და მისთ., როგორც პურს, კარაქს, შაქარს, შალის იაფ ტანისამოსს, სამედიცინო მომსახურებას და ა.შ.). ამასთან **მოხმარების სტრუქტურა ერთნაირი არ არის მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის და სხვადასხვა ქვეყნებში.**

აი, რატომ არის, რომ სტატისტიკოსები ანგარიშობენ ე.წ. **შეწონილ ფასებს**[1]. ასეთი ფასები „შეწონავენ" საქონლის სხვადასხვა სახეებს იმ საქონელთა და მომსახურების გარკვეული ნაკრების ერთობლივი ფასის გაანგარიშებით, რომელსაც შეიძენს ტიპური მომხმარებელი. საქონლის ასეთმა ნაკრებმა **„სამომხმარებლო კალათის"** სახელწოდება მიიღო.

მაშასადამე, **სამომხმარებლო ფასების ინდექსი არის ფასების დონის კრებსითი მაჩვენებელი, რომელიც იანგარიშება, როგორც სამომხმარებლო კალათის გამოსაკვლევი წლის ერთობლივი ფასის შეფარდება იგივე კალათის საბაზისო წლის ერთობლივ ფასთან.** სწორედ სამომხმარებლო ფასების ინდექსი იპყრობს საზოგადოების გამახვილებულ ყურადღებას და ეს სრულიად მართლზომიერია, ვინაიდან მისი ცვლილება გვიჩვენებს ყველაზე უკეთ ცხოვრების ღირებულების რეალურ ცვლილებას.

მართლაცდა, ხომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც მთლიანობაში ფასების ინდექსი (ეეპ-ის დეფლატორი), ანუ ფასების დონე, შეიცვალა უმნიშვნელოდ, მაგრამ სამომხმარებლო ფასების ინდექსი (მ.შ. სამომხმარებლო კალათის ფასების ინდექსი) მკვეთრად გაიზარდა; შეიძლება ისეც კი მოხდეს, რომ საერთო ფასები მთლიანობაში არ შეიცვალა, ე.ი. ფასების საერთო დონე უცვლელი დარჩა, მაგრამ სამომხმარებლო ფასები (მათი დონე) მკვეთრად აინია. ეს მოხდება, მაგალითად, მაშინ, როდესაც მოხმარებაში მაღალია იმპორტული საქონლის კუთრი წონა, რომლის ფასების ცვლილებები ეეპ-ის დეფლატორში არ აღირიცხება და რომელზედაც ფასები საკვლევ პერიოდში მკვეთრად გაიზარდა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ეეპ-ის დეფლატორი და სამომხმარებლო ფასების ინდექსი შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს; ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ისინი სხვადასხვა ინფორმაციას იძლევიან ეკონომიკაში ფასების დონის თაობაზე. ამ ორ მაჩვენებელს შორის არსებობს შემდეგი სამი ძირითადი განსხვავება:

- **ჯერ ერთი, ეეპ-ის დეფლატორი ასახავს ეკონომიკაში წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების ფასებს, სამომხმარებლო ფასების ინდექსი კი მხოლოდ იმ საქონელ-მომსახურების ფასებს, რომლებსაც ტიპური მომხმარებელი შეიძენს (სამომხმარებლო კალათის ჩამონათვალი);**
- **მეორე, ეეპ-ის დეფლატორში აღირიცხება მხოლოდ ის საქონელი და მომსახურება, რომლებსაც აწარმოებენ ქვეყნის სამეურნეო აგენტები, სამომხმარებლო ფასების ინდექსში კი იმპორტული საქონლის ფასებიც მონაწილეობს;**
- **მესამე (ეს ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებაა), ამ ორ მაჩვენებელში მკვეთრად განსხვავდება სხვადასხვა ფასების აგრეგირების წესები: სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებისას სხვადასხვა საქონელს მუდმივი, ერთი და იგივე წონა (კუთრი წონა) აქვს (ეს „წონა" კი იშვიათად იცვლება — მხოლოდ მოხმარების სტრუქტურის მკვეთრი ცვლილების შემთხვევაში, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის განწყობასთან, ცალკეულ პროდუქციაზე ფასების მკვეთრ ცვლილებასთან), მაშინ როდესაც ეეპ-ის დეფლატორის გაანგარიშებისას საქონელთა კუთრი წონა სისტემატურად იცვლება, უფრო სწორად, მონაწილეობს ის, რომელიც რეალურად ჩამოყალიბდა ეკონომიკაში.**

ინდექსს, რომელიც გამოიანგარიშება საქონელთა უცვლელი ნაკრებისათვის საერთოდ, მ.შ. სამომხმარებლო კალათის საქონელთა უცვლელი ნაკრებისათვის, **ლასპაირესის ინდექსს**

[1] „შეწონვა" სტატისტიკაში არის განზოგადებული მაჩვენებლების (საშუალო მოცულობის, ვარიაციის მაჩვენებლების), ინდექსების გაანგარიშების ხერხი, რომლის საშუალებით აღირიცხება მაჩვენებლის ყოველი ვარიანტის მნიშვნელობის მოცულობა საერთო ჯამში.

უწოდებენ. ამ ინდექსში მოცულობების შეწონვა ხდება საბაზისო (გასული) წლის მოცულობების შესაბამისად. **ლასპაირესის ინდექსი არის ფასების დონის მაჩვენებელი, რომელიც იანგარიშება საქონელ-მომსახურების გარკვეული (და უცვლელი) ნაკრების ფასების ბაზაზე.**

ინდექსს, რომელიც იანგარიშება საქონელთა ცვალებადი (ფაქტობრივად ჩამოყალიბებული) ნაკრებისათვის, პააშეს ინდექსს უწოდებენ. პააშეს ინდექსი არის ფასების დონის მაჩვენებელი, რომელიც იანგარიშება საქონელთა ცვალებადი (ყოველი მომენტისთვის შესაბამისი) ნაკრების ფასების ბაზაზე. პააშეს ფასების ინდექსი არის ინდექსი, რომელიც შეწონილია მიმდინარე წლის წარმოების მოცულობებით, წინა წლისთვის აიღებენ მის შესაბამის ფასებს, მაგრამ საქონელთა შეწონვა ხდება მიმდინარე წლის წარმოების მოცულობებით.

მიუხედავად განსხვავებული შინაარსის ინფორმაციისა, საბოლოო ჯამში ორივე ინდექსის დანიშნულებაა ცხოვრების ღირებულების გაზომვა. ეკონომიკურ ლიტერატურაში განიხილავენ ყოველი მათგანის დადებით და უარყოფით მხარეებს, მაგრამ განსაკუთრებულ უპირატესობას არც ერთს არ ანიჭებენ, თუმცა, როგორც აღინიშნა, **ცხოვრების ღირებულების ცვლილების შეფასებისათვის უფრო ხშირად მაინც სამომხმარებლო კალათის ფასების ინდექსს მიმართავენ.** ამის მიზეზი შემდეგშია:

როდესაც სხვადასხვა საქონლის ფასები სხვადასხვანაირად იცვლება, ლასპაირესის ინდექსი ცხოვრების ღირებულების უფრო მეტ მატებას ან უფრო მეტად დაკლებას აჩვენებს, ვიდრე სინამდვილეშია, ჰააშეს ინდექსი კი რეალურზე ნაკლებს (ან მეტს).

ვინაიდან ლასპაირესის ინდექსი იანგარიშება საქონელ-მომსახურების გარკვეულ (მოცემულ) ნაკრებზე, მასში არ იგულისხმება (უგულებელყოფილია) ერთი, უფრო ძვირი საქონლის სხვა, უფრო იაფი ანალოგიური საქონლით (ზოგჯერ კი სრულებით ახალი საქონლით) შეცვლის შესაძლებლობა. ჰააშეს ინდექსი კი, პირიქით, ითვალისწინებს საქონელთა შენაცვლების შესაძლებლობას, მაგრამ მასში არ აისახება ასეთი შენაცვლების შედეგად მომხდარი კეთილდღეობის შეცვლა (მაგალითად, საკვების კალორიულობა და ხარისხი).

დაბოლოს, ვისაუბროთ მაკროეკონომიკის მე-3 ძირითად მაჩვენებელზე.

დაუსაქმებლობის (უმუშევრობის) გაზომვა და მისი დონე

ეკონომიკის მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად ხასიათდება იმით, თუ როგორ გამოიყენება ეკონომიკური რესურსები (წარმოების ფაქტორები), მ.შ. პირველ რიგში ძირითადი რესურსი — შრომა (სამუშაო ძალა).

დასაქმების მაქსიმალურად შესაძლებელი (ოპტიმალური) დონის უზრუნველყოფა მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა და არა მარტო იმიტომ, რომ ამასთან პირდაპირ დაკავშირებულია ეეპ-ის წარმოება, არამედ კიდევ უფრო იმის გამო, რომ უმუშევრობა საშინელი უბედურებაა საზოგადოებისათვის და ხშირად მიზეზია სოციალურ — პოლიტიკური კატაკლიზმებისა, რომლებსაც დესტაბილიზაცია შეაქვს საზოგადოების ცხოვრებაში.

ამიტომ ნებისმიერ ქვეყანაში აკვირდებიან უმუშევრობის დონეს.

უმუშევრობის დონე არის სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს (პროცენტებით) დასაქმებულთა და მუშაობის მსურველთა საერთო რიცხოვნობაში (ე.ი. სამუშაო ძალის საერთო მოცულობაში) სამუშაოს არმქონეთა კუთრ წონას.

უმუშევრობის დონის და სხვა მასთან დაკავშირებული მაჩვენებლების აღრიცხვა საშუალებას აძლევს ეკონომისტებს და ეკონომიკური პოლიტიკის ავტორებს და გამტარებლებს შეაფასონ მდგომარეობა შრომის ბაზარზე. ასეთი გაანგარიშებების გაკეთება სხვადასხვანაირად შეიძლება:

- შეიძლება დავეყრდნოთ შრომის ბაზრის (ბირჟების) მონაცემებს, რომლებიც (ბირჟები) აწარმოებენ უმუშევრების რეგისტრაციას, აგროვებენ ასევე სხვა სტატისტიკურ მაჩვენებლებს;
- ან (როგორც ეს კეთდება, მაგალითისათვის, აშშ-ში და მიჩნეულია უფრო ზუსტ საშუალებად) შეიძლება ვაწარმოოთ საოჯახო მეურნეობების გარკვეული (რეპ-

რეზენტაციული, ანუ წარმომადგენლობითი) რაოდენობის სისტემატური გამოკვლევა (აშშ-ში ასეთი დაკვირვება წარმოებს დაახლოებით 60000 ოჯახზე).

ამ ბოლო შემთხვევაში შესაბამისი ანკეტების საფუძველზე საოჯახო მეურნეობებზე დაკვირვებისას აღმრიცხველი ყოველი ოჯახის ყოველ მოზრდილ წევრს მიაკუთვნებს სამიდან ერთ-ერთ ჯგუფს: დასაქმებული, უმუშევარი და სამუშაო ძალაში არჩათვლილი.

ადამიანი დასაქმებულია (საუბარია აშშ-ზე), თუ გამოკვლევის წინა კვირის უმეტესი ნაწილი ის მუშაობდა, და არა მეცადინეობდა საოჯახო მეურნეობაში, სწავლობდა ან სხვა რამეს აკეთებდა.

ადამიანი უმუშევრად ითვლება, თუ ის არ მუშაობს ახალ სამუშაოზე გასელის მოლოდინში, არის დროებით დათხოვნილი ან ეძებს სამუშაოს ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში, მაგრამ ვერ იპოვა.

მოზრდილი ადამიანები, რომლებიც პირველ ორ კატეგორიაში არ მოხვდებიან, ე.ი. არც დასაქმებულებია და არც უმუშევრები (მაგალითად, სტუდენტები ან დიასახლისები), არ შედიან სამუშაო ძალაში: მათ არა აქვთ სამუშაო, მაგრამ ისინი არ ეძებენ მას და არ ელოდებიან ახალ სამუშაოზე გასვლას.

სამუშაო ძალა არის გარკვეული ასაკის (მოზრდილები) მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მოიცავს დასაქმებულების და უმუშევრების ერთობლიობას.

უმუშევრობის დონე არის უმუშევართა პროცენტი სამუშაო ძალის საერთო რიცხოვნობაში.

შემდეგი მაჩვენებელი, რომელსაც ანგარიშობენ შრომის სტატისტიკაში, არის **სამუშაო ძალის კუთრი წონა მოზრდილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში.**

ვინაიდან დასაქმებული მოსახლეობა მონაწილეობს ეეპ-ის წარმოებაში, ხოლო უმუშევრები — არა, უნდა ვივარაუდოთ, რომ უმუშევრობის დონის ზრდას თან ახლავს ეეპ-ის რეალური მოცულობის (ან მისი ზრდის ტემპის) შემცირება. ეს ჭეშმარიტება თითქოსდა უბრალო და აშკარაა, მაგრამ მის გარშემო დიდხანს გრძელდებოდა მწვავე დებატები — დღესაც ბევრი არამართლზომიერად თელის მტკიცებას ეეპ-ის წარმოებასა და დასაქმებას შორის პირდაპირ დამოკიდებულებაზე და წარმოების მოცულობის უკუდამოკიდებულებაზე უმუშევრობის მიმართ: ხაზს უსვამენ უმუშევრობის გარკვეული დონის არსებობის აუცილებლობას, რათა ხელი შეეწყოს მუშაკებს შორის სამუშაოსათვის კონკურენციას, მაღალი შრომითი დისციპლინის არსებობას, მაღალმწარმოებლური და მაღალხარისხიანი შრომისათვის განწყობას.

უარყოფითი (უკუ) კავშირის არსებობა უმუშევრობის დონესა და ეეპ-ის მოცულობას შორის მათემატიკურად (სტატისტიკურად) დაამტკიცა ამერიკელმა მეცნიერმა **არტურ ოუკენმა**; ამ კანონზომიერებას მის საპატივცემულოდ **ოუკენის კანონი** ეწოდა.

ოუკენის კანონი არის უარყოფითი (უკუ) დამოკიდებულება უმუშევრობის დონესა და რეალურ ეეპ-ს შორის, რომელიც გვიჩვენებს, რომ უმუშევრობის დონის შემცირება ერთი პროცენტული პუნქტით იძლევა რეალური ეეპ-ის დამატებით ზრდას დაახლოებით 2 პროცენტით.

არსებობს ოუკენის კანონის ზუსტი რაოდენობრივი (მათემატიკური) გამოსახულება, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

რეალური ეეპ-ის მოცულობის ცვლილება, გამოხატული პროცენტებში = 3% — 2 x უმუშევრობის დონის შეცვლაზე.

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ უმუშევრობის დონის უცვლელობის პირობებში არსებობს კანონზომიერება, რომლის შესაბამისად ეეპ-ის რეალური მოცულობის ზრდის ტემპი, გამოწვეული მოსახლეობის ზრდით, კაპიტალის ზრდით და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით, ტოლია 3%-ისა (ყოველ შემთხვევაში, აშშ-ში დანამდვილებით ასეა). ამავდროულად უმუშევრობის დონის ყოველი ზრდა ერთი პროცენტული პუნქტით იწვევს რეალური ეეპ-ის ზრდის ტემპის 2 პროცენტული პუნქტით შემცირებას. ე.ი. უმუშევრობის დონის გაზრდისას, ვთქვათ, 6%-იდან 8%-მდე (ე.ი. 2 პროცენტული პუნქტით) ეეპ-ის რეალური მოცულობის ზრდა შეადგენს:

3-2(8-6)=-1

მაშასადამე, 3%-ით ზრდის ნაცვლად ეეპ-ის მოცულობა 1%-ით შემცირდება.

კითხვები და სასწავლო დავალებები

1. „ეროვნული შემოსავლის (ანუ ეეპ-ის) სტატისტიკა არის ეკონომიკური აზროვნების და ანალიზის მძლავრი საშუალება". გაუკეთეთ კომენტარი ამ მოსაზრებას.
2. როგორ განმარტავთ ერთობლივ ეროვნულ პროდუქტს (ეეპ-ს), მთლიან შინა პროდუქტს (მშპ-ს), დამატებულ ღირებულებას, შუალედურ პროდუქტს?
3. „ეკონომიკაში პროდუქციის გამოშვების მოცულობა შემოსავლების ტოლია" — ეთანხმებით ამ დებულებას? ახსენით.
4. ეეპ-ში შეიტანება წლის დასაწყისთან შედარებით წლის ბოლოსათვის საწარმოო მარაგების გეგმის შესაბამისი მატება და არ შეიტანება მარაგების შემცირების მოცულობა. როგორ ფიქრობთ, რატომ?
5. ეეპ-ში არ შეიტანება ე.წ. ტრანსფერტული გადასახდელები, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების გარიგებები და ნახმარი ნივთების რეალიზაციის მოცულობა. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება ასე?
6. დაახასიათეთ ეეპ-ის აღრიცხვის ნაკლოვანებები.
7. როგორ დაუკავშირებთ ერთმანეთს ქვეყანაში ეეპ-ის წარმოებას და მოსახლეობის კეთილდღეობას? არსებობს თუ არა აქ პირდაპირი კავშირი? ახსენით თქვენი პოზიცია დაწვრილებით, ამასთან დაუკავშირეთ ის ქვეყანაში სასაქონლო და ნატურალური მეურნეობების სხვადასხვა ზომით არსებობას (დავუშვათ, რომ ერთ ქვეყანაში მოსახლეობა საერთოდ არ დადის საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, მეორეში კი მხოლოდ სასადილოებსა თუ რესტორნებში იკვებება).
8. როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა გამოაკლდეს იმპორტზე ხარჯები ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მოცულობას?
9. როგორ გესმით მაკროეკონომიკის საგანი?
10. ეკონომიკის 10 პრინციპიდან (მენქიუს მიხედვით) რომელს მიაკუთვნებდით მაკროეკონომიკას?
11. რა იცით თქვენ „საზოგადოებრივი არჩევანის" თეორიაზე?
12. როგორ გესმით მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის კავშირი?
13. რა იცით ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შესახებ?
14. რა იცით ეეპ-ის (მშპ-ის) აღრიცხვის წესებზე?
15. რა არის, თქვენი აზრით, ინფლაცია, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, სამომხმარებლო კალათა?
16. რა იცით უმუშევრობასთან დაკავშირებულ კატეგორიებზე და ამ მოვლენების აღრიცხვაზე?
17. იცნობთ პააშეს და ლასპაირესის ინდექსებს? რა განსხვავებაა მათ შორის?

სავარჯიშო ტესტები

შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი

1. მაკროეკონომიკა შეისწავლის:

1) ეკონომიკას მთლიანობაში;
2) ეკონომიკის სამივე სამეურნეო სუბიექტის (საოჯახო მეურნეობა, ფირმა, სახელმწიფო სტრუქტურა) საქმიანობას;
3) ისეთ მოვლენებს, როგორიცაა ინფლაცია, უმუშევრობა, ეკონომიკური ზრდა;
4) ერთობლივ მოთხოვნას, ერთობლივ მიწოდებას.

2. მეოცე საუკუნემდე ეკონომიკური თეორია (პოლიტიკური ეკონომია) შეისწავლიდა ძირითადად:

1) მაკროეკონომიკურ მოვლენებს;
2) მიკროეკონომიკურ მოვლენებს;
3) ეკონომიკური თეორია ერთდროულად სწავლობდა როგორც მიკროეკონომიკურ, ისე მაკროეკონომიკურ მოვლენებს;
4) ეკონომიკური თეორია ეკონომიკურ მოვლენებს კი არ სწავლობს, არამედ ადამიანების ეკონომიკურ ქცევას.

3. ეკონომისტები ძალიან ბევრს დაობენ ეკონომიკური მოვლენების განვითარებაზე და ეს დაკავშირებულია:

1) ეკონომიკური მოვლენების განვითარების სპეციფიკურობასთან;
2) ეკონომიკური მოვლენების ობიექტურ ხასიათთან;
3) იმასთან, რომ ეკონომიკური მოვლენების შესწავლის შედეგად შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკით ცდილობენ მეტი ხალხის „გულის მოგებას“;
4) იმასთან, რომ ეკონომიკური მეცნიერება არ არის ზუსტი მეცნიერება.

4. ნამდვილი ეკონომისტი:

1) ძალიან პოპულარული პიროვნებაა საზოგადოებაში (ხალხში);
2) მარტო იმას შეიძლება ვუწოდოთ, ვინც ეკონომიკურ დასკვნებს მხოლოდ შესაბამისი ცდების საფუძველზე აკეთებს;
3) არ შეიძლება პოპულარული პიროვნება იყოს საზოგადოებაში (ხალხში);
4) არასდროს არის დარწმუნებული თავისი მოსაზრების აბსოლუტურ და მუდმივ ჭეშმარიტებაში.

5. ეკონომიკური მოდელი არის:

1) ეკონომიკაზე ან მის ცალკეულ მხარეებზე სხვადასხვა მოვლენების ზეგავლენის გაუბრალოებული სქემა;
2) რეალობის გაუბრალოებული ასახვა;
3) ეკონომიკაში მოქმედი ცვლადების (მოვლენების) ურთიერთობის, მათი შეფარდების გამარტივებულად წარმოჩენა;
4) არც ერთი პასუხი სწორი არ არის.

6. ფასების ელასტიკურობის თეზა (დებულება) მისაღებია ძირითადად:

1) გრძელვადიანი მოვლენების კვლევისათვის;
2) მოკლევადიანი მოვლენების გამოკვლევისას;
3) ნებისმიერი მოვლენის კვლევისასათვის.
4) ფასების ელასტიკურობის თეზა საერთოდ მიუღებელია ეკონომიკური კვლევების დროს.

7. ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ) არის:

1) ყველა ნაციონალურ ეკონომიკურ აგენტთა ერთობლივი შემოსავალი;
2) ყველა ნაციონალურ ეკონომიკურ აგენტთა საერთო ხარჯები;
3) ყველა ნაციონალური სამეურნეო სუბიექტის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამი;
4) ქვეყანაში ფუნქციონირებადი ყველა სამეურნეო სუბიექტის ერთობლივი შემოსავალი.

8. მთლიანი შინა პროდუქტი (მშპ) არის:

1) ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებად სამეურნეო სუბიექტთა საერთო შემოსავალი;
2) ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებად სამეურნეო სუბიექტთა ერთობლივი ხარჯები;
3) ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი სამეურნეო სუბიექტების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამი;
4) ყველა ნაციონალური ეკონომიკური სუბიექტის საერთო შემოსავალი.

9. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა არის:

1) მიკროდონეზე ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის მახასიათებელი ეკონომიკური ინფორმაციის სისტემა;
2) რეგიონულ დონეზე ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის მახასიათებელი ეკონომიკური ინფორმაციის სისტემა;
3) მაკროდონეზე ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის მახასიათებელი ეკონომიკური ინფორმაციის სისტემა;
4) ეს სისტემა მეტად არაზუსტ (მიახლოებით) ინფორმაციას იძლევა ეკონომიკის მდგომარეობაზე, მის განვითარებაზე, ამიტომ მაკროდონის მოვლენების შეფასებისათვის არ გამოიყენება.

10. ინფლაცია არის:

1) ფულის კურსის (ერთი ვალუტის მეორე ვალუტასთან შეფარდების) ცვლილება;
2) დროის ერთეულში ფასების საერთო დონის ზრდის ტემპი;
3) ფასების საერთო დონის მყარი ზრდა.
4) ინფლაცია ფასების ცვლილება (ზრდა) კი არ არის, არამედ ფულის გაუფასურებაა.

11. უმუშევრობის დონე არის:

1) სამუშაოს მაძიებელთა რიცხოვნობის შეფარდება (%-ში) დასაქმებულთა რიცხოვნობასთან;
2) უმუშევართა რიცხოვნობის შეფარდება (%) დასაქმებულთა რიცხოვნობასთან;
3) სამუშაო ძალის შეფარდება (%) უმუშევართა რიცხოვნობასთან;
4) უმუშევართა რიცხოვნობის შეფარდება (%) სამუშაო ძალის რიცხოვნობასთან.

12. სამუშაო ძალა არის:

1) დასაქმებულთა და უმუშევართა რიცხოვნობის ჯამი;
2) ქვეყნის მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილი;
3) ქვეყნის მოსახლეობის შრომისასაკიანი ნაწილი;
4) ქვეყნის მოსახლეობის შრომისასაკიანი ნაწილი შრომისუუნაროთა გამოკლებით.

13. **სტუდენტი-ახალგაზრდობა (დასწრებულზე მომეცადინეები) არის:**
    1) დასაქმებული;
    2) უმუშევარი;
    3) სამუშაო ძალა.
    4) ასეთი სტუდენტობა სამუშაო ძალაში არ შედის.

14. **უმუშევარი არის:**
    1) ადამიანი, რომელმაც ხანგრძლივ პერიოდში სამუშაოს უშედეგოდ ძებნის შემდეგ თავი დაანება ასეთ მცდელობას და ოჯახის სხვა წევრების კმაყოფაზე იმყოფება;
    2) ადამიანი, რომელიც ეძებს სამუშაოს;
    3) ადამიანი, რომელიც დროებით არის დათხოვნილი სამუშაოდან;
    4) დიასახლისი.

15. **მაკროეკონომიკა როგორც მეცნიერება:**
    1) აკეთებს ეკონომიკის განვითარების პროგნოზს;
    2) ეხმარება ხელისუფლებას ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მართვაში;
    3) შეიცნობს მაკროეკონომიკურ მოვლენებს.
    4) მაკროეკონომიკას პრაგმატული ფუნქცია არ გააჩნია.

16. **მაკროეკონომიკური პროგნოზების ხშირი უზუსტობა (ზუსტ მეცნიერებასთან შედარებით) დაკავშირებულია:**
    1) ეკონომიკური მოვლენების სპეციფიკურობასთან;
    2) მაკროეკონომიკის როგორც მეცნიერების სისუსტესთან (ის შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა).
    3) როგორც ეკონომიკურ მეცნიერებაში, ასევე ზუსტ მეცნიერებებში პროგნოზები ერთნაირად არაზუსტია.
    4) მაკროეკონომიკას პროგნოზირების ფუნქცია არ გააჩნია.

17. **მაკროეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობა დაკავშირებულია:**
    1) მეცნიერების განვითარებასთან (ჯ.მ. კეინსის გენია);
    2) ეკონომიკაში მომხდარ მოვლენებთან;
    3) მსოფლიო ეკონომიკის 1917 წლიდან ორ ბანაკად (კაპიტალისტური და სოციალისტური) დაყოფასთან.
    4) მაკროეკონომიკა მეცნიერება კი არ არის, არამედ ეკონომიკური თეორიის შემადგენელი ნაწილია (დარგია).

18. **მაკროეკონომიკის და მიკროეკონომიკის კავშირი:**
    1) დიალექტიკური ხასიათისაა;
    2) ბუნდოვნად წარმოჩინდება.
    3) მიკროეკონომიკა მაკროეკონომიკის შემადგენელი ნანილია.
    4) მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა ერთმანეთთან განუწყვეტლივ ურთიერთკავშირშია.

19. **ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წესების შესაბამისად მთლიან შინა პროდუქტში ჩაითვლება:**
    1) ქვეყანაში მომხდარი ყოველგვარი ეკონომიკური გარიგების (ყიდვა-გაყიდვის) მოცულობა, მ.შ. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისა;
    2) ქვეყანაში წარმოებული ყოველგვარი პროდუქცია;
    3) ქვეყანაში წარმოებული და რეალიზებული პროდუქცია;
    4) ქვეყანაში წარმოებული და რეალიზებული საბოლოო მოხმარების პროდუქცია.

20. სახელმწიფო ვალი ეკონომიკური შინაარსით არის:

1) ნაკადი;
2) მარაგი;
3) სახელმწიფო ვალი არც ნაკადია და არც მარაგი;
4) სახელმწიფო ვალი ნაკადიც არის და მარაგიც.

21. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წესის შესაბამისად პირობითად დაირიცხება იმ საქონლის ღირებულება:

1) რომელიც ბაზარზე არ იყიდება;
2) რომელსაც შეიძენს სახელმწიფო.
3) პირობითად დაირიცხება ე.წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკის" მოცულობა.
4) ეას-ში ფასეულობის (ღირებულების) პირობითად დარიცხვის წესი გამოიყენება ყველა საქონლის მიმართ.

22. რეალური მთლიანი შინა პროდუქტი (მშპ) არის:

1) ნომინალური მშპ ინფლაციის გათვალისწინებით;
2) ის, რასაც საზოგადოება იყენებს მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის;
3) შექმნილი პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც გადაურჩა შესაბამის წელს მომხდარ ბუნებრივ კატაკლიზმებს;
4) სხვაობა შექმნილი პროდუქციის მოცულობასა და იმ ზიანს შორის, რაც პროდუქციის წარმოებამ მიაყენა გარემოს.

ერთობლივი ეროვნული პროდუქტის (მთლიანი შიდა პროდუქტის) წარმოება, გამოყენება და განაწილება



შესავალი. ფულადი სახსრების წრებრუნვა ეკონომიკაში

წინა თემაში ჩვენ გავეცანით ძირითად მაკროეკონომიკურ ცვლადებს (მაჩვენებლებს), რომლებიც საშუალებას იძლევა შევადაროთ ეკონომიკის სხვადასხვა პერიოდებში და სხვადასხვა ქვეყნებში ფუნქციონირების ასპექტები (მდგომარეობა). მაგრამ ეკონომისტების (და პოლიტიკოსების) ამოცანა მაჩვენებლების არა მარტო (არა იმდენად) გაზომვაშია, არამედ ეკონომიკური მოვლენების ახსნაში, მათი ცვლილებების პროგნოზირებაში და ამ მოვლენების მსვლელობაზე შესაძლო დადებითი ზემოქმედების უზრუნველყოფაში. ე.ი. ჩვენ ისეთი ეკონომიკური მოდელების შექმნა გვინდა, რომლებიც დაგვეხმარება ეკონომიკური პროცესების გაგებაში და ეკონომიკური პოლიტიკის სახალხო მეურნეობის მდგომარეობაზე ერთგვარი გავლენის განხორციელებაში (**ნორმატიული ეკონომიკური თეორია**).

როგორც უკვე აღინიშნა, ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელია ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ), იგივე ეროვნული შემოსავალი. ამიტომ მართლზომიერი იქნება, ალბათ, თემა ეეპ-ის წარმოების წყაროების და გამოყენების მიმართულებების შესწავლით დავიწყოთ. ამისათვის დავუბრუნდეთ მაკროეკონომიკური წრებრუნვის დიაგრამას, მაგრამ წარმოვსახოთ წრებრუნვა უფრო ზუსტი (გაფართოებული) სახით, თანაც არა მარტო ფულადი ბრუნვა. ამისათვის წარმოვადგინოთ საზოგადოებრივი წარმოების სამივე მონაწილის ფულადი კავშირები, აგრეთვე ფულადი საშუალებების ცირკულაცია სხვადასხვა ბაზრებს შორის (იხილეთ **ნახ. 2.1.** შემდეგ გვერდზე).


როგორც დიაგრამიდან ჩანს:

- **საოჯახო მეურნეობები,** ღებულობენ რა შემოსავალს წარმოების ფაქტორების რეალიზაციიდან, იყენებენ მას გადასახადების ანაზღაურებაზე, მოხმარებაზე (საქონელ — მოსახურების შეძენა) და დანაზოგებზე (ეს დანაზოგი მათ საფინანსო ბაზრებზე გააქვთ);
- **ფირმები** მიღებულ შემოსავალს (საქონელ-მომსახურების რეალიზაციის ამონაგები) გამოიყენებენ წარმოების ფაქტორების მესაკუთრეებისათვის გასაცემად; ისინი ასევე სესხს იღებენ საფინანსო ბაზრებზე და გამოიყენებენ საინვესტიციო საქონლის შესაძენად (ინვესტიციებზე);
- **სახელმწიფო,** ღებულობს რა შემოსავალს ბეგარის სახით (**T**), იყენებს მას სახელმწიფო შესყიდვებზე (**G**); თუ სახელმწიფო იმაზე მეტს ხარჯავს, ვიდრე შემოსავალი აქვს (როგორც ჩვენ მაგალითზეა), ის დეფიციტის დასაფარავად სესხს იღებს **საფინანსო ბაზრებზე**.

როგორ ხდება ეს და როგორ ყალიბდება ამ ბაზრებზე წონასწორობა?

ამაში გარკვევისათვის განვიხილოთ დაწვრილებით დიაგრამაში მოცემული ურთიერთკავშირები, უფრო სწორად, გავეცნოთ ეეპ-ის წარმოების, გამოყენების და განაწილების მიმართულებების საკითხთა შემდეგ ოთხ ჯგუფს:

1. რამდენ (რა მოცულობის) პროდუქციას უშვებენ ქვეყნის ფირმები და რა განაპირობებს ქვეყნის (ქვეყნის მოქალაქეთა) საერთო შემოსავალს?



ნახ. 2.1. ეკონომიკაში ფულადი სახსრების წრებრუნვა. ეს წრებრუნვის დიაგრამის უფრო რთული და რეალისტური ვერსიაა, ვიდრე პირველ თემაში განვიხილეთ. ნათელი მართკუთხედები ეკონომიკური აგენტებია (საოჯახო მეურნეობები, ფირმები, სახელმწიფო), ბნელი მართკუთხედები — ბაზრის ტიპები (საქონლის, წარმოების ფაქტორების, საფინანსო). ისრები გვიჩვენებს ფულადი ნაკადების მოძრაობის მიმართულებას აგენტებს შორის, რაც ამ ბაზრებზე ხდება

2. ვინ ყიდულობს ქვეყანაში შექმნილ პროდუქციას? რამდენს ყიდულობენ მას საოჯახო მეურნეობები მოხმარებისათვის, რამდენს ყიდულობენ საოჯახო მეურნეობები და ფირმები ინვესტირების მიზნით და რამდენს ყიდულობს სახელმწიფო საზოგადოებრივი საჭიროებისათვის?
3. რა აწონასწორებს საქონელ-მომსახურებაზე მოთხოვნას და მიწოდებას? რა უზრუნველყოფს მოხმარების, ინვესტიციების და სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის და წარმოების დონის ტოლობას?
4. ვის ერგება (ვინ ისაკუთრებს) წარმოების შედეგად შექმნილი ეროვნული შემოსავალი? რამდენი ეკუთვნის მუშებს და რამდენი კაპიტალის მფლობელებს?

თავი 1. საქონლის და მომსახურების წარმოება ეკონომიკაში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ **ეეპ-ის (მშპ-ის) წარმოება ორ პარამეტრზეა დამოკიდებული: წარმოების ფაქტორებზე და საწარმოო ფუნქციაზე.**

წარმოების ფაქტორები (Factor of production) არის საქონელ-მომსახურების დასამზადებლად აუცილებელი ეკონომიკური რესურსები, ეს არის საზოგადოების რესურსები, რომლებიც წარმოებისათვის გამოიყენება.

წარმოების ფაქტორებს შორის შევჩერდეთ შრომაზე და კაპიტალზე.

შრომა (Labor), როგორც ვიცით, არის საზოგადოებაში არსებული ადამიანური რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია წარმოებაში გამოსაყენებლად. ეს არის დროის მოცულობა, რომელსაც ადამიანები ანდომებენ წარმოებას.

აღვნიშნოთ შრომა "L" ასოთი.

კაპიტალი (Capital) არის წარმოების ფაქტორი, რომელიც, სხვა ფაქტორებისაგან განსხვავებით, იქმნება თვით ეკონომიკური სისტემის მიერ. ეს არის წარმოების (შრომის) იარაღები, რომლებიც გამოიყენება მუშაკების მიერ წარმოების პროცესში — ნაჯახი, ცული ან ხერხი ტყის მჩეხავისთვის, კოშკური ამწე მშენებლისათვის, წნევის გამზომი ხელსაწყო ექიმისთვის, კალკულატორი ბუღალტრისთვის, „ნოუთბუკი" ჟურნალისტისათვის და ა.შ., აგრეთვე შენობა-ნაგებობები სხვადასხვა საქმიანობისათვის. კაპიტალს უწოდებენ ასევე ფინანსურ სახსრებს, რომლებიც განკუთვნილია შენობების, მოწყობილებების და სხვა მისთანების (ე.ი. **რეალური კაპიტალის**) შესაძენად, მაგრამ ეს კაპიტალის მოცულობის გაორებაა ფაქტობრივად.

აღვნიშნოთ კაპიტალი "K" ასოთი.

წინამდებარე თემაში წარმოების ფაქტორების რაოდენობა მივიღოთ როგორც მოცემული, ე.ი. დავუშვათ, რომ შრომის და კაპიტალის რაოდენობა ფიქსირებულია (რეალურ ცხოვრებაში ისინი, რა თქმა უნდა, იცვლება). ჩავწეროთ ეს დაშვება შემდეგნაირად:

$L = \bar{L}$ და $K = \bar{K}$

(ხაზი $\bar{}$ სიდიდის ფიქსირებულ მნიშვნელობაზე მიანიშნებს).

დავუშვათ აგრეთვე, რომ წარმოების ფაქტორები გამოიყენება მთლიანად.

წარმოების ფაქტორები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საწარმოებში სხვადასხვანაირად გამოიყენება („შეერთდება") და, შესაბამისად, განსხვავებულ შედეგებს იძლევა. ეს კი დამოკიდებულია წარმოების ტექნოლოგიაზე, აგრეთვე წარმოების ფაქტორების კომბინაციაზე (წარმოების ორგანიზაციაზე). არსებული ტექნოლოგიის და წარმოების ორგანიზაციის ერთობლიობას ეკონომისტები გამოხატავენ **საწარმოო ფუნქციის** გამოყენებით.

თუ გამოშვებული პროდუქციის მოცულობას "Y" ასოთი აღვნიშნავთ, მაშინ საწარმოო ფუნქციის ჩაწერა შემდეგნაირად შეიძლება (ვაგრძელებთ ტერმინების ინგლისური აღნიშვნით სარგებლობას):

Y=f(L,K) ან **Y=f(L,K,t,etc)**, სადაც „t" ტექნიკური პროგრესია, ხოლო "etc" ნიშნავს, რომ შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სხვა რესურსებიც, მაგალითად ნედლეული, ინფორმაცია და ა.შ.

ფორმულა გვიჩვენებს, რომ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა არის შრომის და კაპიტალის ფუნქცია.

საწარმოო ფუნქცია (Production function) ასახავს მოცემული მომენტისათვის (ამჟამად) არსებულ ტექნოლოგიას (წარმოების წესს) და წარმოების ორგანიზაციის ფორმას. ეს იმას ნიშნავს აგრეთვე, რომ არსებული ტექნოლოგიური წარმოების წესების და ორგანიზაციის ფორმათა ნაკრები გამოიხატება შრომისა და კაპიტალის (საუბარია მხოლოდ ამ ორ ფაქტორზე) დანახარჯებსა და პროდუქციის გამოშვებას შორის ფუნქციურ დამოკიდებულებაში. თუ გავაუმჯობესებთ პროდუქციის წარმოების წესს ან ორგანიზაციას, ამის შედეგი იქნება პროდუქციის მოცულობის ზრდა შრომისა და კაპიტალის დანახარჯების უცვლელობის პირობებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ტექნოლოგიის და წარმოების ორგანიზაციის შეცვლა იწვევს საწარმოო ფუნქციის შეცვლას.

მაშასადამე, **საწარმოო ფუნქცია არის საქონელ-მომსახურების წარმოების მოცულობასა და წარმოების ფაქტორების დანახარჯებს შორის რაოდენობრივი დამოკიდებულება.**

ბევრ საწარმოო ფუნქციას გააჩნია ე.წ. მასშტაბიდან უცვლელი (მუდმივი) უკუგების თვისება (Constant returns to sale). ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც წარმოების ყველა ფაქტორის ერთი და იგივე შეფარდებითი მოცულობით ზრდა (ვთქვათ, 10%-ით) იწვევს პროდუქციის გამოშვების იმავე მოცულობით ზრდას (ე.ი. 10%-ით). მაშასადამე, **მასშტაბიდან უცვლელი უკუგება არის საწარმოო ფუნქციის თვისება, რომლის შესაბამისად წარმოების ყველა ფაქტორის პროპორციული ზრდა უზრუნველყოფს წარმოების მოცულობის იმავე პროპორციით ზრდას.**

მათემატიკურად საწარმოო ფუნქციას მასშტაბიდან უცვლელი უკუგება მაშინ აქვს, თუ **zxY=f(zxL,zxK)** — ნებისმიერი დადებითი „z" რიცხვისათვის.

ეს განტოლება მიგვანიშნებს, რომ, თუ ჩვენ შრომის და კაპიტალის რაოდენობას გავამრავლებთ რაღაც "z" რიცხვზე, საწარმოო ფუნქციის მოცულობაც (ე.ი. წარმოების მოცულობაც) z-ჯერ გაიზრდება.

პურის ცხობის ჩვენ მიერ ადრე განხილულ მაგალითზე ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გავაორკეცებთ პურის გამოშვებას, თუ ორჯერ გავზრდით მუშაკების რიცხოვნობას (შრომის დაქირავებას) და მოწყობილობა-ნედლეულის რაოდენობას.

ამასთან ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა საწარმოო ფუნქცია ასე როდი იქცევა:

- თუ შრომის და კაპიტალის გამოყენების ზრდა (ვთქვათ, 10%-ით) იწვევს პროდუქციის გამოშვების მასზე ნაკლებად მატებას (ვთქვათ, 8%-ით), საქმე გვაქვს **მასშტაბიდან კლებადი უკუგების ფუნქციასთან;**
- თუკი შრომის და კაპიტალის გამოყენების მომატება (ვთქვათ, 10%-ით) იწვევს პროდუქციის გამოშვების უფრო მეტად ზრდას (ვთქვათ, 12%-ით), ამბობენ, რომ საქმე გვაქვს **მასშტაბიდან მზარდი უკუგების ფუნქციასთან.**

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ერთად აღებული წარმოების ფაქტორები და საწარმოო ფუნქცია განაპირობებს ბაზარზე საქონელ-მომსახურების მიწოდებას და ეს არის მოცემული ეკონომიკის მიერ წარმოებული პროდუქციის (ან პროდუქციის შესაძლო წარმოების) მოცულობა. მათემატიკურად ეს შეიძლება შემდეგნაირად გამოვხატოთ:

$$Y=\overline{f}(\overline{L},\overline{K})=\overline{Y}$$

ეს კი იმას ნიშნავს, რომ დროის ყოველ კონკრეტულ (მოცემულ) მომენტში პროდუქციის წარმოება (ამის შესაძლებლობა) ფიქსირებულია, ვინაიდან უცვლელია შრომის და კაპიტალის მიწოდება, აგრეთვე საწარმოო ფუნქცია. წარმოების მოცულობის ცვლილება მხოლოდ მათი ცვლილების შემთხვევაში ხდება.

თავი 2. ერთობლივი მოთხოვნა საქონელ-მომსახურებაზე: მშპ-ის გამოყენება მოხმარებაზე – „C"; ინვესტიციაზე – „I" და სახელმწიფო შესყიდვაზე – „G"

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა განაპირობებს წარმოების მოცულობას. ახლა ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ გამოიყენება წარმოებული პროდუქცია. ამისათვის განვიხილოთ **მშპ-ის კომპონენტები: მოხმარება (C), ინვესტიციები (I), სახელმწიფო შესყიდვები (G) და სუფთა ექსპორტი (NX),**

ანუ Y=C+I+G+NX.

ანალიზის გაუბრალოებისათვის უარი ვთქვათ სუფთა ექსპორტზე და წარმოვიდგინოთ, რომ თითქოს დახურულ (ჩაკეტილ) ეკონომიკაში ვცხოვრობთ, სადაც შექმნილი პროდუქციის გამოყენების მხოლოდ სამი მიმართულება არსებობს.

მშპ-ის გამოყენების ეს სამი მიმართულება ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში წარმოჩინდება შემდეგ იგივეობაში **(ეროვნულ ანგარიშთა იგივეობა)**:

Y=C+I+G.

ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკაში წარმოებული პროდუქცია გამოიყენება შემდეგნაირად (ერთობლივი მოთხოვნა):

- ნაწილი მოიხმარება საოჯახო მეურნეობების მიერ;
- ნაწილი გამოიყენება ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების მიერ ინვესტიციებისათვის;
- დაბოლოს, ნაწილს ყიდულობს ხელისუფლება საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავერკვეთ, თუ როგორ ნაწილდება მშპ ამ სამი მიმართულებით (როგორ ნაწილდება ამ მიზნებზე).

დავიწყოთ მოხმარებით (**C**).

სწორედ მოხმარებაზე ხარჯავს საზოგადოება შექმნილი ეეპ-ის მეტ ნაწილს (დაახლოებით 2/3). იღებს რა შემოსავალს შრომისა და საკუთრებისაგან და დაფარავს რა გადასახადებს (აღვნიშნოთ ისინი „**T**" ასოთი — Tax), საოჯახო მეურნეობები წყვეტენ საკითხს, თუ რა პროპორციებში გამოიყენონ შემოსავლის დარჩენილი ნაწილი[1] მოხმარებაზე და დანაზოგებზე.

როგორც ადრე აღინიშნა, საოჯახო მეურნეობების მთელი შემოსავალი უდრის ეკონომიკაში შექმნილ ერთობლივ პროდუქტს ("**Y**"-ს). მაშასადამე განსაკარგავი შემოსავალი ტოლია (**Y-T**)-სი.


მიჩნეულია (რეალურადაც ეს ასეა), რომ მოხმარების მოცულობა პირდაპირ დამოკიდებულია განსაკარგავ შემოსავალზე, ე.ი. მოხმარება განსაკარგავი შემოსავლის ფუნქციაა:

C=C(Y-T)

მოხმარების ფუნქცია (Consumption function) — არის კავშირი, რომელიც განაპირობებს მოხმარების დამოკიდებულებას განსაკარგავ შემოსავალთან.

როგორც ჯ.მ. კეინსმა დაასაბუთა **მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება (Marginal propensity to consume – MPC)** — ეს ის სიდიდეა, რომლითაც იცვლება (იზრდება) მოხმარების მოცულობა **განსაკარგავი შემოსავლის** ფულის ერთი ერთეულით გაზრდის გამო (ვთქვათ, ერთი დოლარით ან ერთი ლარით). **MPC** შეიძლება შეიცვალოს 0-დან 1-მდე (1-ის ჩათვლით), თუმცა რეალურ ცხოვრებაში შემოსავლის 1 დოლარით გაზრდა მოხმარების 1 დოლარზე ნაკლები სიდიდით მომატებას იწვევს. ეს საშუალო შემოსავლის მქონე მოსახლეობისათვის დაახლოებით 0,7-ია (ე.ი. ერთი დოლარიდან მოხმარებაზე 70 ცენტი მიდის; 30 ცენტი კი დანაზოგებზე გამოიყენება).

გამოვხატოთ მოხმარების ფუნქცია გრაფიკულად (**ნახ. 2.2.**).



ნახ. 2.2. მოხმარების ფუნქცია. მოხმარების ფუნქცია შეაფარდებს ერთმანეთს მოხმარების მოცულობას („C") და განსაკარგავ შემოსავალს (Y-T). მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება (MPC), როგორც ითქვა, არის სიდიდე, რომლითაც იზრდება მოხმარების მოცულობა განსაკარგავი შემოსავლის ერთი დოლარით (ერთი ლარით) მომატების კვალობაზე.

[1] შემოსავლის ნაწილს, რომელიც რჩება აუცილებელი გადასახადელების დაფარვის შემდეგ, პლუს ტრანსფერტები, **განსაკარგავი შემოსავალი** ეწოდება.

გრაფიკის (მოხმარების ფუნქციის მრუდის) დახრილობის კუთხე (კუთხე შეეულ ღერძსა და მოხმარების ფუნქციის მრუდს შორის) გვიჩვენებს, თუ რა ზომით (როგორი ინტენსივობით) იზრდება მოხმარების მოცულობა (ზღვრული მოხმარება — **MPC**), როდესაც განსაკარგავი შემოსავალი ერთი დოლარით (ლარით) მატულობს და პირიქით. გასაგებია, რომ განსაკარგავი შემოსავლის მთლიანად მოხმარების პირობებში მოხმარების ფუნქციის მრუდი ვერტიკალური იქნებოდა (ე.ი. რაც უფრო დიდია ფუნქციის გრაფიკის დახრილობის კუთხე, შემოსავლის მით უფრო ნაკლები ნაწილი მიდის მოხმარებაზე და პირიქით).

აქედან დასკვნა: ***მოხმარების (C) მოცულობას განაპირობებს MPC (მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება).***

გადავიდეთ ინვესტიციაზე.

ინვესტიციის წყარო დანაზოგია.

ინვესტიციურ საქონელს შეიძენენ როგორც ფირმები, ისე საოჯახო მეურნეობები. ფირმებისთვის ეს ახალი საწარმოო ნაგებობები, მანქანები და მოწყობილობაა (ე.ი. კაპიტალის გაზრდა ან გაცვეთილის აღდგენა-შეცვლაა); საოჯახო მეურნეობებისთვის ეს ახალი საცხოვრებელი სახლებია, ახალი ავტომობილებია.

აქ ერთი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ, რომელიც დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ რა არის ინვესტიცია მაკროეკონომიკური თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ ის, რასაც ცალკეული ადამიანები (ინდივიდები) და ფირმები ინვესტიციად თვლიან, ინვესტიცია არ არის ყოველთვის მაკროეკონომიკური თვალსაზრისით. საერთო პრინციპი (წესი) აქ ასეთია: ის შეძენა (შესყიდვა), რომელიც არსებულ კაპიტალურ აქტივებს სხვადასხვა ფირმებსა და ადამიანებს (სამეურნეო სუბიექტებს) შორის უბრალოდ გადააადგილებს, არ არის ინვესტიცია ეკონომიკაში. მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ინვესტიციის ქვეშ მხოლოდ ახალი კაპიტალის შექმნა (შეძენა) იგულისხმება:

ეს კი იმას ნიშნავს, რომ, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით:

- თუ თქვენ ძველი სახლი იყიდეთ, ეს ინვესტიცია არ არის საერთო მნიშვნელობით (ეს ინვესტიციაა თქვენთვის, მაგრამ უკუპროცესია, კაპიტალის შემცირებაა გამყიდველისათვის);
- თუ თქვენ ახალი სახლი იყიდეთ, ეს ინვესტიციაა (ვინაიდან ეს მთლიანობაში კაპიტალის ზრდაა).

საინვესტიციო მოთხოვნა არის საფინანსო ბაზარზე საინვესტიციო საქონელზე (უფრო სწორად, მის შესაძენ სესხზე) მოთხოვნა; მიწოდება კი სესხად გასაცემი სახსრებია, ე.ი. დანაზოგებია.

საინვესტიციო საქონელზე (სესხზე) მოთხოვნა დამოკიდებულია მის (სესხის) ფასზე, ე.ი. საფინანსო ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთის დონეზე; ინვესტიცია (საინვესტიციო პროექტი) მოგებიანი რომ იყოს, მისი განხორციელების შედეგად მიღებული შემოსავალი გაწეულ ხარჯებს უნდა აღემატებოდეს. ე.ი. იმაზე მეტი უნდა იყოს, რაც ჩვენ დავკარგეთ, ვინაიდან ფული (დანაზოგი) არ შევიტანეთ ბანკში (გავიხსენოთ ალტერნატიული დანახარჯები).

სწორედ საპროცენტო განაკვეთი ზომავს საინვესტიციო პროექტების ღირებულებას, ჩვენი გადაწყვეტილებების ფასეულობას, იმისდა მიუხედავად, ვსესხულობთ ჩვენ სახსრებს თუ საკუთარ საშუალებებს ვიყენებთ. საპროცენტო განაკვეთის მომატება საინვესტიციო მოთხოვნის შემცირებას განაპირობებს (იწვევს) და პირიქით.

თუ ფირმა წყვეტს, მაგალითად, საკითხს იმის თაობაზე, ააშენოს თუ არა 1 მლნ. ლარის ღირებულების ქარხანა, რომელიც წელიწადში უზრუნველყოფს 10%-იან შემოსავალს (100 ათ. ლარს), ის შეადარებს ამ შემოსავალს ერთი მილიონი ლარის სესხად აღების ხარჯებს (ან 1 მლნ. ლარის გასესხების შემოსავალს). თუ საპროცენტო განაკვეთი (ფულის სესხების ფასი) 10%-ზე ნაკლებია, ის წავა ქარხნის მშენებლობაზე (ააგებს მას საკუთარი ან ნასესხები სახსრებით). თუ განაკვეთი 10%-ზე მეტია, საინვესტიციო პროექტი გამოუსადეგარად უნდა ჩაითვალოს.

ასევე მოქმედებს საცხოვრებელი სახლის მშენებელი (მყიდველი): ის შეადარებს საინვესტიციო პროექტის სარგებლობას (უპირატესობას) **იპოთეკური სესხის**[1] განაკვეთს (ქონების დაგირავების ქვეშ სესხის ღირებულებას).

განასხვავებენ პროცენტის ნომინალურ და რეალურ განაკვეთებს. საუბარია (როგორც ნომინალური და რეალური ხელფასების შემთხვევაში) პროცენტზე ინფლაციის ზეგავლენის თაობაზე (კრედიტის გაცემის შემოსავალზე ან სესხის აღების ხარჯებზე). პროცენტის ქვეშ ჩვეულებრივ გულისხმობენ პროცენტის ნომინალურ განაკვეთს.

პროცენტის ნომინალური განაკვეთი არის განაკვეთი, რომელზედაც (რომლის გადახდა-აღებაზე) შეთანხმდებიან ინვესტორები (მსესხებლები) და კრედიტორები სესხის გაფორმებისას; ეს არის პროცენტი, რომელსაც იღებენ ფულის გამსესხებლები; ეს სესხის ფასია საფინანსო ბაზარზე, რომელსაც იხდის მსესხებელი. პროცენტის ნომინალური განაკვეთი არის დანაზოგებზე მოგება და სესხის მომსახურების (სესხით სარგებლობის) ხარჯები ინფლაციაზე გადაანგარიშების გარეშე.

პროცენტის რეალური განაკვეთი არის ინფლაციის ზემოქმედებით კორექტირებული (გადაანგარიშებული) პროცენტის ნომინალური განაკვეთი (ანუ ნომინალური განაკვეთი ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ინფლაციის გამოკლებით).

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ შემდეგი მაგალითი.

თუ პროცენტის ნომინალური წლიური განაკვეთი 10%-ია, ეს იმას ნიშნავს, რომ ფირმის ვალი კრედიტორისადმი ყოველწლიურად იზრდება 10%-ით. მაგრამ თუ ბაზარზე საქონელ-მომსახურების ფასები იზრდება (ინფლაცია) 6%-ით წელიწადში, მაშინ ის ფულადი ერთეული, რომლითაც ფირმა დაუბრუნებს ვალს კრედიტორს (ბანკს), ყოველწლიურად დაკარგავს თავისი ღირებულების (ფასეულობის) 6%-ს. ე.ი. ყოველწლიურად ფირმის ვალი კრედიტორისადმი ნომინალურად 10%-ით გაიზრდება, მაგრამ ეს ფული ყოველწლიურად ეღირება 6%-ით ნაკლები. მაშასადამე, განაკვეთი, რომელსაც რეალურად მიიღებს კრედიტორი მსესხებლისაგან, იქნება 10%-6%=4%.

ინვესტიციები ფაქტობრივად სწორედ პროცენტის რეალურ განაკვეთზეა დამოკიდებული (რეალურ განაკვეთზე იანგარიშება), და არა ნომინალურზე. ამიტომ არის, რომ მაღალი ინფლაციის დროს კრედიტის გაცემის ვადები კლებულობს (ძნელია პროგნოზირება).

კავშირი პროცენტის რეალურ განაკვეთსა (აღვნიშნოთ ის "r" ასოთი) და ინვესტიციებს შორის (I), ანუ ინვესტიციური ფუნქცია, შეიძლება გამოვხატოთ შემდეგნაირად:

$$I=I(r)$$

ეს განტოლება ამტკიცებს, რომ ინვესტიციების მოცულობა (საინვესტიციო მოთხოვნა) დამოკიდებულია პროცენტზე, ე.ი. ინვესტიცია არის რეალური პროცენტის ფუნქცია. შეიძლება ეს დამოკიდებულება გრაფიკზე გამოვსახოთ (იხილეთ მომდევნო გვერდზე **ნახ. 2.3.**).

საინვესტიციო ფუნქცია აკავშირებს ინვესტიციების სასურველ მოცულობას (I) პროცენტის რეალური განაკვეთის მოცულობას (r). ინვესტიციები დამოკიდებულია პროცენტის რეალურ განაკვეთზე, ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელია მოსესხობის ნამდვილი ღირებულება. საინვესტიციო ფუნქციის მრუდი დახრილია დაბლა; ეს იმას ნიშნავს, რომ, რაც უფრო მაღალია (დაბალია) პროცენტის განაკვეთი, მით უფრო ნაკლები (მეტი) საინვესტიციო პროექტია მოგებიანი. ე.ი. პროცენტის განაკვეთსა (r) და ინვესტიციური პროექტების მოცულობას შორის უკუდამოკიდებულება არსებობს.

ზემოგამართული მსჯელობიდან **დასკვნა**: ***ინვესტიციების მოცულობა (საინვესტიციო მოთხოვნა) ეკონომიკაში დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე, ანუ ინვესტიციები საპროცენტო განაკვეთის ფუნქციაა.***

ახლა განვიხილოთ საქონელ-მომსახურებაზე მოთხოვნის მესამე კომპონენტის საკითხი — მოთხოვნა **სახელმწიფო შესყიდვაზე** (G).

---

[1] იპოთეკა (ბერძნ. Hipotheke; ინგლ. Mortgage გირაო) — ხელშეკრულების ფორმა, რომლის შესაბამისად მსესხებელი ზოგიერთ თავის აქტივზე საკუთრების უფლებას გადასცემს კრედიტორს გარანტიის სახით, ანუ სესხის უზრუნველყოფისათვის.



ნახ. 2.3. საინვესტიციო ფუნქცია.

ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება ყიდულობს იარაღს და სახელმწიფო მოხელეთა მომსახურებას; მართვის ადგილობრივი ორგანოები (ზოგჯერ კი ცენტრალურიც) ინახავენ ბიბლიოთეკებს, ყიდულობენ მათთვის წიგნებს, ქირაობენ მასწავლებლებს და ექიმებს. ყველა დონის ხელისუფლება აშენებს გზატკეცილებს, ასრულებს სხვა საზოგადოებრივ სამუშაოებს. აშშ-ში, მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვაზე მოდის ეეპ-ის დაახლოებით 20%.

სახელმწიფო ხარჯები სახელმწიფო შესყიდვებზე მეტია: მასში შედის ღარიბებისათვის სოციალური უზრუნველყოფის გადახდები, ხანდაზმულთა სოციალური დაზღვევის გადახდები და სხვ. მაგრამ ეს უნაცვალგებო გადახდებია და არ არის პირდაპირ საქონელ-მომსახურების მოთხოვნის ნაწილი. ისინი მოსახლეობის განსაკარგავ შემოსავალში შედის და ირიბად (როგორც გადასახადების საწინააღმდეგო მოვლენა) მოქმედებს ერთობლივ მოთხოვნაზე; ტრანსფერტული გადახდების თანხით იზრდება განსაკარგავი შემოსავალი. მიუხედავად ამისა, რაკი ტრანსფერტული გადახდების დაფინანსება ხდება გადასახადის ხარჯზე, ისინი არ ცვლიან განსაკარგავ შემოსავალს (რამდენიც აკლდება მას ბეგარის სახით, იმდენივე ემატება ტრანსფერტული გადახდით).

ასე რომ „**T**", რომელიც მოხმარების საკითხის განხილვისას ჩვენ განვსაზღვრეთ როგორც გადასახადი (ბეგარა), შეიძლება ახლებურად განვმარტოთ — როგორც სხვაობა გადასახადსა და ტრანსფერტულ გადახდებს შორის. ე.ი. განსაკარგავი შემოსავალი (**Y-T**) შეიცავს როგორც ბეგარის უარყოფით გავლენას, ისე ტრანსფერტული გადახდების დადებით ზემოქმედებას ერთობლივ მოთხოვნაზე.

ეს მოვლენა სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსებასთანაა კავშირში: **თუ სახელმწიფო შესყიდვების მოცულობა ტოლია გადასახადების მოცულობას გამოკლებული ტრანსფერტული გადახდები, მთავრობას დაბალანსებული ბიუჯეტი გააჩნია. თუ G>T, ბიუჯეტი დეფიციტურია და დეფიციტი, როგორც წესი, იფარება სახელმწიფო ვალის ზრდით. თუ G<T, ადგილი აქვს ბიუჯეტის დადებითი ნაშთით (ნარჩენით, პროფიციტით) დამთავრებას,** რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადრინდელი სახელმწიფო ვალის დასაფარავად.

კონკრეტულ **საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას**[1] განაპირობებს ხშირად ქვეყ-

[1] აქ საჭიროა გავაკეთოთ შემდეგი შენიშვნა."Fiscal policy" (ინგლ.) შეიცავს ხელისუფლების გადაწყვეტილებებს როგორც სახელმწიფო შემოსავლების, ისე ხარჯების მოცულობების დაწესების თაობაზე (იხ. განმარტება ოქსფორდის ლექსიკონში „Финансы"). რუსულ ენაზე, ასევე ქართულში კი „ფისკალური პოლიტიკის" ქვეშ პირველ რიგში იგულისხმება გადაწყვეტილებები გადასახადის მოცულობაზე და სტრუქტურაზე. ამიტომ ინგლისური "Fiscal policy" ყოველთვის არ უნდა გავიგოთ ან ვთარგმნოთ როგორც ფისკალური პოლიტიკა.

ანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ხელისუფლების სურვილი-განწყობა, თუმცა მათი შინაარსობრივი ახსნა არ შედის ამ შემთხვევაში ჩვენ ამოცანაში. ამიტომ სახელმწიფო შესყიდვებს და გადასახადელებს ჩვენ ავიღებთ, როგორც ეგზოგენურ ცვლადებს (ისინი წინასწარ ცნობილია, წინასწარ მოიცემა):

$G=\bar{G}$ და $T=\bar{T}$

როგორ მოქმედებს ეს ეგზოგენური ცვლადები (საბიუჯეტო და საგადასახადო ზომები) მოხმარების მოცულობაზე, ინვესტიციის მოცულობაზე და პროცენტის განაკვეთზე (ანუ მოდელის ენდოგენურ ცვლადებზე)?

ამაში რომ გავერკვეთ, განვიხილოთ ამ ცვლადების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემები, რაც დაგვეხმარება ეკონომიკაში ეეპ-ის გამოყენების პროცესში წონასწორობის ჩამოყალიბების საკითხის გაგებაში.

თავი 3. წონასწორობა საერთო-ეკონომიკურ ბაზარზე და პროცენტის განაკვეთი

თემის წინა განყოფილებებში საქონელ-მომსახურების წარმოების და საქონელ-მომსახურებაზე მოთხოვნის წარმოქმნის განხილვით ჩვენ გავიარეთ ეკონომიკაში ფულადი სახსრების წრებრუნვის (**დიაგრამის, ნახ. 2.1.**) მთლიანი წრე. მაგრამ შეიძლება, აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვიყოთ, რომ ეს ნაკადები დაბალანსებულია? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა გვაძლევს ჩვენ იმის გარანტიას, რომ მოხმარების, ინვესტიციების და სახელმწიფო შესყიდვების ჯამი ტოლია ერთობლივად წარმოებული პროდუქციის მოცულობისა?

ჯერჯერობით არაფერი. მაგრამ პროცენტის განაკვეთის და მისი ცვლილებების განხილვა დაგვანახებს, რომ სწორედ საპროცენტო განაკვეთი ასრულებს გადამწყვეტ როლს ეკონომიკაში ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების გაწონასწორებაში.

გავიხსენოთ ტოლობები, რომლებითაც დავამთავრეთ საქონელ-მომსახურებაზე მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზი.

$Y=C+I+G$

$C=C(Y-T)$

$I=I(r)$

$G=\bar{G}$

$T=\bar{T}$

ისინი მოწმობენ, რომ:

- **ეკონომიკის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა წარმოჩინდება როგორც მოხმარების, ინვესტიციის და სახელმწიფო შესყიდვის ჯამი;**
- **მოხმარება დამოკიდებულია განსაკარგავ შემოსავალზე;**
- **ინვესტიცია დამოკიდებულია პროცენტის რეალურ განაკვეთზე;**
- **სახელმწიფო შესყიდვა ("G") და ბეგარა ("T") საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ეგზოგენური ცვლადებია და ჩვენ მათ ვიღებთ, როგორც მოცემულს.**

გავაერთიანოთ განტოლებები, რომლებიც აღწერს (ასახავს) წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნას და მის მიწოდებას. თუ ეროვნულ ანგარიშთა იგივეობაში ($Y=C+I+G$) ჩავსვამთ მოხმარების ფუნქციის გამოსახულებას $C(Y-T)$ და საინვესტიციო ფუნქციას $I(r)$, მივიღებთ შემდეგ განტოლებას:

$Y=C(Y-T)+I(r)+G$

შევავსოთ საქონელ-მომსახურებაზე მოთხოვნის ანალიზი მიწოდების განხილვით. ამისათვის გავიხსენოთ, რომ წარმოების ფაქტორები და საწარმოო ფუნქცია განაპირობებს პროდუქციის გამოშვების (მიწოდების) მოცულობას $Y=f(L,K)$.

მაგრამ ესენი ჩვენს ანალიზში მოცემულია, ანუ:

$$Y=\overline{f}(\overline{L},\overline{K})=\overline{Y}$$

ე.ი. მოცემული საწარმოო ფუნქციის და წარმოების ფაქტორების პირობებში მიწოდებაც მოცემულია. ჩვენ ადრე აღვნიშნეთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების („G“) და გადასახადების („T“) მნიშვნელობა მოიცემა სახელმწიფოს (მთავრობის) ეკონომიკური პოლიტიკით. მაშასადამე, შეგვიძლია ჩავწეროთ:

$$\overline{Y}=\overline{C}(\overline{Y}-\overline{T})+I(r)+\overline{G}$$

აქედან კი ნათელია, რომ სწორედ **საპროცენტო განაკვეთი ასრულებს საკვანძო (გადამწყვეტ) როლს ეკონომიკის (ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების) გაწონასწორებაში**: ვინაიდან ნებისმიერი ბაზარი წონასწორობას ესწრაფვის, საპროცენტო განაკვეთი უნდა შეიცვალოს (და იცვლება კიდეც) ისე, რომ საინვესტიციო მოთხოვნის ცვლილების შედეგად გარანტირებულ იქნეს საქონელზე მოთხოვნის და მისი მიწოდების (განტოლების ორი მხარის) წონასწორობა.

რაც უფრო მაღალია (დაბალია) პროცენტის განაკვეთი, მით ნაკლებია (მეტია) ინვესტიციები (მოთხოვნა საინვესტიციო საქონელზე), მაშასადამე, მით უფრო ნაკლებია (მეტია) ერთობლივი მოთხოვნა საქონელ-მომსახურებაზე (ე.ი. მით უფრო ნაკლებია ან მეტია მთლიანობაში **C+I+G**).

საქმე ისაა, რომ ჩვენი განტოლების მარჯვენა მხარეს მოხმარება და სახელმწიფო შესყიდვა მოცემულია (ფიქსირებულია), ე.ი. წონასწორობის უზრუნველსაყოფად (დასაცავად) პროცენტი მანამდე იცვლება, სანამ ეს წონასწორობა არ დამყარდება.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ:

- თუ პროცენტის განაკვეთი ძალზე მაღალია, მოგებიანი ინვესტიციების რაოდენობა დაბალი იქნება, საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნა კი მიწოდებაზე ნაკლები. ე.ი. ინვესტიციებზე მოთხოვნა მათთვის საჭირო სახსრების მიწოდებაზე ნაკლები იქნება, მაშასადამე, შემცირდება საპროცენტო განაკვეთი (შემცირდება წონასწორობის განაკვეთამდე);
- თუ პროცენტის განაკვეთი ძალზე დაბალია, მოგებიანი ინვესტიციების რაოდენობა ძალიან ბევრი იქნება, ე.ი. ინვესტიციებზე მოთხოვნა — საინვესტიციო საქონლის მიწოდებაზე მაღალი; მაშასადამე, პროცენტი გაიზრდება წონასწორობის განაკვეთამდე.

საპროცენტო განაკვეთის წონასწორობის პირობებში საქონელ-მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნა ტოლია მათი ერთობლივი მიწოდებისა.

ზემოთქმული იმას ნიშნავს, რომ სწორედ **საპროცენტო განაკვეთი აწონასწორებს ერთობლივ მოთხოვნას და ერთობლივ მიწოდებას საქონელ-მომსახურების ბაზარზე**.

პროცენტის განაკვეთი კრედიტის (სესხის) მოსესხობის საფასურია, კრედიტის ფასია. ეს კრედიტორის შემოსავალია, რომელსაც იღებს გამსესხებელი საფინანსო ბაზარზე სესხების თაობაზე დადებული გარიგების შედეგად. საპროცენტო განაკვეთის როლში რომ უკეთ გავერკვეთ, განვიხილოთ **საფინანსო ბაზრები**, სადაც მოთხოვნა სასურველი საინვესტიციო სახსრებია, მიწოდება კი დანაზოგი. ამისათვის ეროვნული ანგარიშების ძირითადი იგივეობა (**Y=C+I+G**) წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

$$Y-C-G=I$$

(**Y-C-G**) — ეს წარმოებული პროდუქციის (ეროვნული შემოსავლის) ის ნაწილია, რომელიც რჩება მოსახლეობის მოხმარების და მთავრობის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ. ეს არის **ეროვნული დანაზოგები**, ანუ უბრალოდ დანაზოგები.

ეროვნული დანაზოგი (National saving) არის ეროვნული შემოსავლის ნაწილი, რომელიც რჩება მისგან მოხმარებისა და სახელმწიფო შესყიდვების მოცულობების გამოკლების შემდეგ; ეს არის კერძო და სახელმწიფო დანაზოგების ჯამი (**S**). ზემოაღნიშნული ფორმით (**Y-C-G=I**) ეროვნულ ანგარიშთა ძირითადი იგივეობა ამტკიცებს, რომ დანაზოგი ტოლია ინვესტიციების:

S=Y-C-G=I.

განვაცალკევოთ ერთმანეთისაგან მოსახლეობის დანაზოგი და მთავრობის დანაზოგი. ამისათვის იგივეობის განტოლება გარდავქმნათ შემდეგნაირად: მის მარცხენა მხარეს მივუმატოთ „T"-ს დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობები:

Y-C-G+T-T=I, ანუ

(Y-T-C)+(T-G)=I

გამოსახულება **(Y-T-C)** — ეს მოსახლეობის განსაკარგავი შემოსავალია მოხმარების გამოკლებით, ანუ კერძო დანაზოგი. გამოსახულება **(T-G)** — ეს არის სახელმწიფოს შემოსავალს გამოკლებული სახელმწიფოს ხარჯები, ანუ სახელმწიფო დანაზოგი (თუ ხარჯები შემოსავალზე მეტია, მაშინ ხელისუფლება ბიუჯეტს ამთვრებს დეფიციტით და სახელმწიფო დანაზოგი უარყოფითი მაჩვენებელია). მაშასადამე, **სახელმწიფო დანაზოგი არის სხვაობა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალსა და ხარჯებს შორის; ეს ბიუჯეტის დადებითი სალდოა**[1].

ეროვნული დანაზოგი არის კერძო და სახელმწიფო დანაზოგების ჯამი.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო უკეთ გავიგოთ პროცენტის განაკვეთის როლი საფინანსო ბაზრების გაწონასწორებაში, ჩავსვათ მოხმარების ფუნქცია **C(Y-T)** და საინვესტიციო ფუნქცია **I(r)** ჩვენ მიერ გარდაქმნილ ეროვნულ ანგარიშთა იგივეობაში **(Y-C-G=I)**-ში:

Y-C(Y-T)-G=I(r)

შემდგომ კი დავაფიქსიროთ **"G"** და **"T"** მოცემული ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში, ხოლო "Y" დავაფიქსიროთ არსებული წარმოების ფაქტორებით და საწარმოო ფუნქციით:

$\overline{Y}-\overline{C}(\overline{Y}-\overline{T})-G=I(r)$

განტოლების მარცხენა მხარე გვიჩვენებს, რომ ეროვნული დანაზოგი დამოკიდებულია შემოსავალ **"Y"**-ზე და ეკონომიკური პოლიტიკის **"T"** და **"G"** ცვლადებზე. მაგრამ უცვლელი **„Y"**, **„C"**, და „T" მაჩვენებლებისთვის (ცვლადებისთვის) ეროვნული დანაზოგიც უცვლელია (მოცემულია):

$\overline{S}=I(r)$

გადავიტანოთ ეს მოსაზრება გრაფიკზე (იხილეთ **ნახ. 2.4.** შემდეგ გვერდზე).


2.4. ნახაზზე ინვესტიციების გრაფიკი (მრუდი) წარმოდგენილია როგორც რეალური საპროცენტო განაკვეთის ფუნქცია. დანაზოგი **"S"**-იც ფაქტობრივად საპროცენტო განაკვეთის ფუნქციაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ის მოცემულია; ე.ი. ამ მოდელში დანაზოგი ვერტიკალური ხაზია, ვინაიდან საპროცენტო განაკვეთზე დამოკიდებული არ არის.

საინვესტიციო ფუნქციის გრაფიკი (მრუდი) დაბლაა დახრილი: რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, საინვესტიციო პროექტების მით უფრო ნაკლები რიცხვია მოგებიანი (და პირიქით).

2.4. ნახაზის თვალის ერთი გადავლებით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს არის კონკრეტულ საქონელზე მოთხოვნის და მიწოდების დიაგრამა (გრაფიკი). და ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ინვესტიციის და დანაზოგის საერთოდ მოთხოვნის და მიწოდების პოზიციიდან ფაქტობრივი ინტერპრეტირება (ახსნა, განმარტება) მართლზომიერია. ჩვენ შემთხვევაში „საქონელია" ნასესხები (გასასესხებელი) საშუალება (დანაზოგი), ხოლო მისი ფასი — საპროცენტო განაკვეთი. ე.ი. დანაზოგი ნასესხები (გასასესხებელი) საშუალების მიწოდებაა: ადამიანები პირდაპირ აძლევენ ინვესტორებს თავიანთ დანაზოგს (იძენენ ობლიგაციებს) ან შეაქვთ იგი ბანკში, რომელიც გასცემს სესხს. ინვესტიცია კი გასასესხებელ საშუალებებზე მოთხოვნაა: ინვესტორები იღებენ სესხს მოსახლეობისაგან, ჰყიდიან რა უშუალოდ **ობლიგაციებს**, ან სარგებლობენ შუამავლების მომსახურებით (იღებენ სესხს ბანკში).

ვინაიდან ინვესტიციები დამოკიდებულია პროცენტის განაკვეთზე, საკრედიტო რესურსებზე მოთხოვნაც საპროცენტო განაკვეთზეა დამოკიდებული.

[1] როცა სახელმწიფო ხარჯები შემოსავალზე მეტია (ბიუჯეტის დეფიციტი) სახელმწიფო „დანაზოგები" უარყოფითი რიცხვია.



ნახ. 2.4. დანაზოგი, ინვესტიცია და საპროცენტო განაკვეთი. პროცენტის განაკვეთი ისე იცვლება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დანაზოგების ტოლობა დაგეგმილ ინვესტიციებთან, ვერტიკალური ხაზი დანაზოგებს გვიჩვენებს, ანუ სასესხო სახსრების მიწოდებას (ეს მოცემულია). დაბლამავალი (კლებადი) მრუდი I(r) კი სასესხო საშუალებებზე მოთხოვნაა, ის გვიჩვენებს, რომ ინვესტიციების მოცულობა და საპროცენტო განაკვეთი უკუდამოკიდებულებაში იმყოფება. ეს ორი მრუდი ერთმანეთს ჰკვეთს წერტილზე (B), რომელიც შეესაბამება მაწონასწორებელ (წონასწორობის) საპროცენტო განაკვეთს (ე.ი. ინვესტიციის და დანაზოგის ტოლობას).

აქედან დასკვნა: ***საპროცენტო განაკვეთი მანამდე იცვლება საფინანსო ბაზარზე, სანამ ინვესტიციები (საინვესტიციო მოთხოვნა, მოთხოვნა გასასესხებელ სახსრებზე) არ გაუტოლდება დანაზოგებს (ე.ი. გასასესხებელი სახსრების მიწოდებას), სანამ წონასწორობა არ იქნება უზრუნველყოფილი მთელ ეკონომიკაში.***

თუ პროცენტის განაკვეთი მეტისმეტად დაბალია, ინვესტორები ეკონომიკაში წარმოებულ საინვესტიციო პროდუქციაზე იმაზე მეტ მოთხოვნას წარადგენენ ბაზარზე, ვიდრე ადამიანები აპირებენ დანაზოგების გაკეთებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნასესხებ (გასასესხებელ) საშუალებებზე მოთხოვნა მიწოდებაზე მეტი იქნება. ამ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება. სხვა, საწინააღმდეგო შემთხვევაში, ე.ი. როდესაც პროცენტის განაკვეთი მეტისმეტად მაღალია, დანაზოგების მოცულობა (გასასესხებელი სახსრების მიწოდება) ინვესტიციებზე მეტი იქნება; ამ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი დაბლა დაიწევს.

პროცენტის მაწონასწორებელი მნიშვნელობა იმყოფება ამ ორი მრუდის (დანაზოგის და ინვესტიციის) გადაკვეთაზე. **წონასწორობის საპროცენტო განაკვეთის პირობებში დანაზოგი ტოლია ინვესტიციებისა, გასასესხებელი სახსრების მიწოდება უდრის მათზე მოთხოვნას.** საფინანსო ბაზარიც წონასწორობისაკენ მიისწრაფვის.

ცნობილია, რომ **სახელმწიფოს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა (ბიუჯეტის ხარჯების და გადასახადების შეცვლა) ზემოქმედებს ეკონომიკაში შექმნილ საქონელ-მომსახურების მოთხოვნაზე. ის ზემოქმედებს აგრეთვე ეროვნულ დანაზოგზე და, შესაბამისად, ინვესტიციაზე და პროცენტის განაკვეთზე.**

აქ ერთ საინტერესო მოვლენაზე გვინდა შევჩერდეთ, რომელიც ეხება საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებების ზეგავლენას დანაზოგებზე და ინვესტიციებზე. ამისათვის განვიხილოთ ორი მაგალითი.

1. დავიწყოთ სახელმწიფო შესყიდვების ცვლილებების ზეგავლენით და დავუშვათ, რომ ის გაიზარდა გარკვეული მოცულობით. ეს გამოიწვევს (ანუ ნიშნავს) საქონელ-მომსახურებაზე მოთხოვნის მყისვე მომატებას იგივე მოცულობით (უფრო სწორად, სახელმწიფო შესყიდვების მატება არის ძირითადად სასაქონლო ბაზარზე მოთხოვნის მატება).

ვინაიდან არსებული (მოცემული) წარმოების ფაქტორების და საწარმოო ფუნქციის პირობებში წარმოების (მიწოდების) საერთო მოცულობა ფიქსირებულია, სახელმწიფო შესყიდვის ზრდა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მოთხოვნის სხვა ელემენტის შემცირების ხარჯზე, ვთქვათ, მოხმარების ხარჯზე. მაგრამ ეს არ მოხდება, ვინაიდან უცვლელია განსაკარგავი შემოსავალი (Y-T), ანუ უცვლელია მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება (MPC), და, შესაბამისად, მოხმარების მოცულობა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვის მომატება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ინვესტიციის მოცულობის (საინვესტიციო მოთხოვნის — I) ანალოგიური შემცირების შედეგად.


იმისათვის კი, რომ შემცირდეს ინვესტიციები, უნდა გაიზარდოს (და იზრდება კიდევაც) საპროცენტო განაკვეთი. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ **სახელმწიფო შესყიდვების ზრდა იწვევს სახელმწიფო დანაზოგის (და საერთოდ დანაზოგის) შემცირებას. ეს კი იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას და (ამის მეშვეობით) განაპირობებს ინვესტიციების შემცირებას და წონასწორობის ახალ (სხვა) დონეზე უზრუნველყოფას. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ ადგილი აქვს ინვესტიციების სახელმწიფო შესყიდვებით განდევნას.**

ინვესტიციების განდევნა არის ინვესტიციების შემცირება მასტიმულირებელი საბიუჯეტო პოლიტიკის შედეგად, რომელიც (პოლიტიკა) განაპირობებს ერთობლივი დანაზოგის შემცირებას და საპროცენტო განაკვეთის მომატებას.

ამ მოვლენის მექანიზმის მოქმედების უკეთ გაგებისათვის განვიხილოთ სახელმწიფო შესყიდვის მოცულობის გაზრდის ზემოქმედება დანაზოგზე და ინვესტიციაზე. ამისათვის გავიხსენოთ, რომ ეროვნული დანაზოგი (S) არის კერძო და სახელმწიფო დანაზოგების ჯამი.

ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვების (G) ზრდას თან არ ახლავს გადასახადების (შემოსავლის) მატება, მთავრობა დამატებით ხარჯებს აფინანსებს სახსრების სხვა საკუთარი საშუალებებიდან „მოსესხობით", ე.ი. ამცირებს სახელმწიფო დანაზოგებს. ეს მოსესხობა კი იწვევს, თავის მხრივ, მთლიანობაში ეროვნული დანაზოგის შემცირებას.

წარმოვსახოთ ეს დებულება გრაფიკულად (ნახ. 2.5.).



ნახ. 2.5. დანაზოგის შემცირება. დანაზოგის ნებისმიერი შემცირება, რომელიც შედეგია საბიუჯეტო პოლიტიკისა, დანაზოგის ვერტიკალურ ხაზს მარცხნივ გადაწევს (გადააადგილებს). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დანაზოგის შემცირება საკრედიტო რესურსების მიწოდების შემცირებას ნიშნავს. წონასწორობის ახალი წერტილი (A2) იქ აღმოჩნდება, სადაც დანაზოგის მარცხნივ გადაწეული მრუდი (ჩვენთან ის კვლავინდებურად ვერტიკალურია) გადაკვეთს ინვესტიციის მრუდს. დანაზოგის შემცირება ადიდებს საპროცენტო განაკვეთს და ამცირებს ინვესტიციის მოცულობას. მიჩნეულია (გავიმეოროთ), რომ საბიუჯეტო პოლიტიკა, რომელიც იწვევს დანაზოგის შემცირებას, განაპირობებს ინვესტიციების განდევნას.

ეროვნული დანაზოგის შემცირება წარმოდგენილია იმ ნასესხები სახსრების მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაწევით, რომლებიც (სახსრები) ხელმისაწვდომია ინვესტორებისათვის. თავიდან საპროცენტო განაკვეთის დონე ისეთია, რომ გასასესხებელ სახსრებზე მოთხოვნა მათ მიწოდებაზე მეტია, შედეგად ამისა ჩნდება მოსასესხებელი სახსრების დეფიციტი. ამის გამო საპროცენტო განაკვეთი იწყებს მატებას, ხოლო საინვესტიციო მოთხოვნა — შემცირებას. და ეს პროცესი გაგრძელდება წონასწორობის ახალ წერტილამდე (**A2**) — უფრო მაღალი გაწონასწორების საპროცენტო განაკვეთით და ნაკლები ინვესტიციებით. ე.ი. **სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის ზრდა ადიდებს საპროცენტო განაკვეთს და ამცირებს ინვესტიციებს.**

სახელმწიფო შესყიდვების ზრდის კვალობაზე (შედეგად) პროცენტის განაკვეთის ზრდის ტენდენცია განსაკუთრებით ნათელი ხდება ომის პერიოდში.

2. ახლა კი განვიხილოთ, თუ როგორ მოქმედებს ეროვნულ დანაზოგზე (და, შესაბამისად, ინვესტიციებზე და პროცენტის წონასწორობის განაკვეთზე) გადასახადის მოცულობის შემცირება.

დავუშვათ, რომ გადასახადები შემცირდა გარკვეული(**ΔT**) მოცულობით. ამ ფაქტის უშუალო ზემოქმედება უნდა გამოვლინდეს (და ვლინდება) განსაკარგავი შემოსავლის მომატებაში და, შესაბამისად, მოხმარების ზრდაში: განსაკარგავი შემოსავალი გაიზრდება იმავე (**ΔT**) მოცულობით, აქედან კი მოხმარებაზე წავა **ΔTxMPC** მოცულობა. ეს იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო ძლიერია მოხმარებისადმი მიდრეკილება, შემცირებული გადასახადების მით უფრო ნაკლები მოცულობა დაიზოგება (ე.ი. მთლიანი დანაზოგი **S** შემცირდება **ΔT** მოცულობით, ამავდროულად გაიზრდება **ΔTxMPC** მოცულობით, ე.ი. ნაკლებად).

როგორც ცნობილია, წარმოების ფაქტორების უცვლელობის პირობებში ფიქსირებულია პროდუქციის გამოშვება; სახელმწიფო შესყიდვების მოცულობას კი აფიქსირებს ხელისუფლება. მაშასადამე, **მოხმარების ზრდა, დაკავშირებული გადასახადების შემცირებასთან, შეიძლება მოხდეს (და ხდება) ინვესტიციების შემცირების ხარჯზე; ინვესტიციების შემცირებისათვის კი უნდა გაიზარდოს (და იზრდება) საპროცენტო განაკვეთი.**

როგორც ზემომოყვანილი (**ნახ. 2.5.**) გრაფიკიდან ჩანს, დანაზოგის შემცირება გადაწევს გასასესხებელი სახსრების (**S** დანაზოგის) მრუდს მარცხნივ; ანუ გაიზრდება საპროცენტო განაკვეთი და შემცირდება ინვესტიციები.

აქედან დასკვნა: ***გადასახადის შემცირება, ისე როგორც სახელმწიფო შესყიდვის გაზრდა, ზრდის საპროცენტო განაკვეთს და განდევნის ინვესტიციებს.***

აქამდე ჩვენ ვიხილავდით საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ზემოქმედებას ეროვნულ დანაზოგებზე (საინვესტიციო საქონლის მიწოდებაზე). ჩვენი მოდელი შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე ბაზრის მეორე მხრიდან შესწავლისათვის — საინვესტიციო მოთხოვნის მხრიდან.

განვიხილოთ საკითხი იმის თაობაზე, თუ რატომ იცვლება ბაზარზე მოთხოვნა ინვესტიციებზე და როგორია ამ ცვლილებების შედეგები.


ერთ-ერთი მიზეზი, რომლის შედეგიც შეიძლება იყოს ინვესტიციების ცვლილება, არის ტექნოლოგიური სიახლეები. დავუშვათ, რომ ვიღაცამ გამოიგონა ტექნოლოგიური სიახლე (ვთქვათ, ახალი სახის პერსონალური კომპიუტერი), რომელიც გახდის ინვესტიციურ პროექტს მოგებიანს. სანამ ფირმები თუ საოჯახო მეურნეობები შეძლებენ ამ სიახლის გამოყენებას, მათ უნდა შეიძინონ ეს ინვესტიციური საქონელი, ეს სიახლე; მაშასადამე, ის გამოშვებული უნდა იქნეს (სანამ კომპიუტერი არ იქნა გამოშვებული, კომპიუტერების იდეა არ იყო პროდუქტიული). მაშასადამე, **ტექნოლოგიური სიახლეები იწვევს საინვესტიციო მოთხოვნის ზრდას.**

საინვესტიციო მოთხოვნა შეიძლება შეიცვალოს აგრეთვე იმის შედეგად, რომ სახელმწიფო წაახალისებს ანდა ამუხრუჭებს ინვესტიციებს, იყენებს რა ამისათვის საგადასახადო კანონმდებლობის ბერკეტებს. დავუშვათ, რომ ამოღებული გადასახადის ნაწილს სახელმწიფო იყენებს იმათთვის საგადასხადო შეღავათების დასაწესებლად, ვინც ახალ

კაპიტალში აწარმოებს სახსრების ინვესტირებას. დაბეგვრის ასეთი ცვლილება მეტ საინვესტიციო პროექტს ხდის მოგებიანს ამ ინვესტორებისათვის, ტექნოლოგიური სიახლეების ანალოგიურად ის ზრდის მოთხოვნას ამ საინვესტიციო საქონელზე.

მაგრამ რა მოუვა მთლიანად საინვესტიციო მოთხოვნას?

2.6. გრაფიკზე ნაჩვენებია ინვესტიციების წახალისებით საინვესტიციო მოთხოვნის ზრდის შედეგები.




ნახ. 2.6. გეგმური ინვესტიციების ზრდა. ტექნოლოგიური სიახლეების ან საგადასახადო სტიმულირების შედეგად ინვესტიციურ საქონელზე მოთხოვნის ზრდა გადააადგილებს (გადაწევს) ივესტიციური ფუნქციის გრაფიკს (მრუდს) ზევით. საქმე ის არის, რომ ნებისმიერი განონასწორების პროცენტის განაკვეთის პირობებში მეტი ხდება გეგმური (ხელსაყრელი) ინვესტიციების რიცხვი. მაგრამ ვინაიდან დანაზოგის მოცულობა ფიქსირებულია, საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა არ იწვევს მთლიანად ინვესტიციების ზრდას, არამედ ადიდებს მხოლოდ საპროცენტო განაკვეთს; ე.ი. ინვესტიციების წონასწორობის მოცულობა (გრაფიკზე OD) უცვლელი რჩება. ახალი წონასწორობა ყალიბდება წერტილზე, სადაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი (r2) და სადაც ინვესტიციების ახალი გრაფიკი (ახალი მრუდი) გადაკვეთს დანაზოგების ვერტიკალურ ხაზს (E2). ე.ი. ხდება ინვესტიციების მხოლოდ დარგთაშორისი გადაადგილება (გადანაწილება), და არა მათი მოცულობის საერთო ზრდა (ხდება ინვესტიციების გადაადგილება ეკონომიკურ სუბიექტებს შორის).


2.6. გრაფიკიდან ის საკვირველი დასკვნაც გამოდის, რომ წონასწორობის ახალ წერტილზე (E2) ინვესტიციების მოცულობა უცვლელი რჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაზოგის ფიქსირებული მოცულობა განსაზღვრავს ინვესტიციების წონასწორობის მოცულობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გასასესხებელი სახსრების ფიქსირებული მიწოდებისას საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა მხოლოდ ადიდებს წონასწორობის საპროცენტო განაკვეთს.

მაგრამ ჩვენ სხვა **დასკვნას** მივიღებთ (გავაკეთებთ), თუ შევცვლით ჩვენს უბრალო მოხმარების ფუნქციას და დავუშვებთ მის საპროცენტო განაკვეთზე დამოკიდებულების არსებობას. ეს დაშვება კი მართლზომიერია: ვინაიდან საპროცენტო განაკვეთი დანაზოგიდან მიღებული შემოსავალია (როგორც მოსესხობის ფასი), უფრო მეტი საპროცენტო განაკვეთი გამოიწვევს მოხმარების შემცირების და დანაზოგის გაზრდის სურვილს (მისწრაფებას). ე.ი. შემცირდება **MPC** (მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება) და გაიზრდება

მისი საპირისპირო **MPS (დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება)**. ამ შემთხვევაში დანაზოგის გრაფიკი ვერტიკალური კი არ დარჩება, არამედ გადაიხრება (წარიმართება) მარჯვნივ, როგორც ეს წარმოდგენილია **2.7. ნახაზზე.**



ნახ. 2.7. დანაზოგი როგორც საპროცენტო განაკვეთის ფუნქცია.



ნახ. 2.8. ინვესტიციების სასურველი მოცულობის ზრდა იმ შემთხვევაში, როდესაც დანაზოგი დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე.

დანაზოგსა და საპროცენტო განაკვეთს შორის პირდაპირი კავშირი (დამოკიდებულება) იმ შემთხვევაში ჩნდება, როდესაც უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი ასტიმულირებს (განაწყობს) ადამიანებს ნაკლები მოიხმარონ და მეტი დაზოგონ. ამ შემთხვევაში დანაზოგის გრაფიკი (**S**) მარჯვნივ და მაღლა მიემართება (დახრილია ზევით, **ნახ. 2.7.**). თუ დანაზოგი დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე **(ნახ. 2.8.)**, მაშინ ინვესტიციების გრაფიკის მარჯვნივ — ზევით გადაწევა (საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა) ერთდროულად ზრდის პროცენტის განაკვეთს და ინვესტიციების მოცულობას. უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი წააქეზებს (შეაგულიანებს, უბუძგებს) ადამიანებს გაზარდონ დანაზოგი, რაც, თავის მხრივ, ინვესტიციების ზრდის საშუალებას იძლევა.

დანაზოგის ზევით მიმართულ გრაფიკზე საინვესტიციო მოთხოვნის მატება გაზრდის როგორც წონასწორობის საპროცენტო განაკვეთს, ისე ინვესტიციების წონასწორობის მოცულობას, **2.8. ნახაზი** სწორედ ასეთი ცვლილების ილუსტრაციაა. **საპროცენტო განაკვეთის ზრდა განაწყობს საოჯახო მეურნეობებს ნაკლები მოიხმარონ და მეტი დაზოგონ. მოხმარების შემცირება გამოათავისუფლებს სახსრებს ინვესტირების გაზრდისათვის.**

იდენტიფიცირების პრობლემა

ჩვენ მოდელზე ინვესტიციები დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე: **რაც უფრო მაღალია პროცენტის განაკვეთი, მით უფრო ნაკლები საინვესტიციო პროექტი ხდება მოგებიანი და მით უფრო ნაკლებია ინვესტიციების მოცულობა (სიდიდე) და პირიქით.** ე.ი. ინვესტიციების გრაფიკი დახრილია დაბლა.

მაგრამ მაკროეკონომიკური მონაცემების განხილვისას ყოველთვის როდია შესაძლებელი ინვესტიციებსა და საპროცენტო განაკვეთს შორის ასეთი აშკარა კავშირის დადგენა (მიგნება-გამოვლენა).

როგორ შეიძლება ამის ინტერპრეტირება? ნიშნავს კი ეს იმას, რომ ინვესტიციები არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე?

შეიძლება კი აქედან დავასკვნათ, რომ ჩვენი მოდელი არაადეკვატურად ასახავს ეკონომიკის ფუნქციონირებას?

არა, არ ნიშნავს და ასეთი დასკვნის გაკეთება არასწორი იქნებოდა.


საქმე ის არის, რომ ჩვენი უუნარობა დავადგინოთ ემპირიული კავშირი ინვესტიციებსა და საპროცენტო განაკვეთს შორის დაკავშირებულია ე.წ. **იდენტიფიცირების პრობლემასთან**. ეს პრობლემა მაშინ ჩნდება, როდესაც ცვლადებს შორის არსებობს ერთი ტიპის კავშირზე მეტი. ასე რომ, როდესაც ჩვენ მონაცემებს ვიხილავთ, საქმე გვაქვს არა ერთ კავშირთან, არამედ სხვადასხვა სახის (ტიპის) კავშირების კომბინაციასთან (ამ კომბინაციის ზეგავლენის შედეგთან) და ძნელი ხდება ერთი მათგანის იდენტიფიცირება (დადგენა).

პრობლემას უფრო კონკრეტულად რომ გავეცნოთ, განვიხილოთ დანაზოგის, ინვესტიციის და საპროცენტო განაკვეთის ურთიერთდამოკიდებულება და გადავიტანოთ ეს გრაფიკზე.


დავუშვათ, ერთი მხრივ, რომ საპროცენტო განაკვეთის ყველა ცვლილება გამომდინარეობს (დაკავშირებულია) დანაზოგების ცვლილებებიდან, ე.ი. დანაზოგის გრაფიკის გადაწევიდან (ჩვენს შემთხვევაში დანაზოგის ზრდიდან, ე.ი. დანაზოგის მრუდის მარჯვნივ გადაწევა, ვთქვათ, საგადასახადო პოლიტიკის შედეგად). მაშინ, როგორც ეს ნაჩვენებია **2.9. ნახაზზე** — სქემა "**A**", ყველა ცვლილება იქნებოდა (წარმოჩინდებოდა) როგორც დანაზოგის მრუდის მოძრაობა საინვესტიციო მრუდის გასწვრივ. ე.ი. ჩვენ დავინახავდით ინვესტიციებსა და საპროცენტო განაკვეთს შორის უარყოფით კავშირს. როგორც სქემის მარჯვენა გრაფიკზეა ნაჩვენები, მონაცემთა განაწილება მოგვაგონებდა ინვესტიციების გრაფიკს; ე.ი. ჩვენ გავაკეთებდით ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდის „იდენტიფიცირებას".

საინვესტიციო ფუნქციის იდენტიფიცირებისას, როდესაც ჩვენ ვიხილავთ საპროცენტო განაკვეთ **r**-ის და **I** ინვესტიციების მონაცემებს, შედეგი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი ეგზოგენური ცვლადები იცვლება. "**A**" სქემაზე დანაზოგი იზრდება საგადასახადო პოლიტიკის შეცვლის შედეგად: ჩვენ ვხედავთ უარყოფით კავშირს **r**-ისა და **I**-ს შორის. "**B**" სქემაზე კი ადგილი აქვს ტექნოლოგიური სიახლის შედეგად ინვესტიციებზე მოთხოვნის გადაწევას: ჩვენ ვხედავთ დადებით კავშირს **r**-სა და **I**-ს შორის. უფრო რეალისტურ სიტუაციაში, რომელიც მოცემულია "**C**" სქემაზე, ადგილი აქვს ორივე გრაფიკის (მრუდის) გადაწევას: ჩვენ აქ უკვე ვერ ვამჩნევთ ვერავითარ კავშირს **I**-სა და **r**-ს შორის და სწორედ ამას აწყდებიან ჩვეულებრივად მკვლევარები.


დავუშვათ, მეორე მხრივ, რომ საპროცენტო განაკვეთის ყველა ცვლილება გამოწვეულია ტექნოლოგიური სიახლეებით, ე.ი. ინვესტიციური მოთხოვნის მრუდის გადაწევით. მაშინ, როგორც სქემა „**B**"-დან ჩანს, ყველა ცვლილება წარმოჩინდება როგორც საინვესტიციო გრაფიკის (მრუდის) გადაადგილება დანაზოგის მრუდის გასწვრივ. ამ შემთხვევაში ჩვენ დავინახავდით



სქემა A. დანაზოგის მრუდის გადაწევა (ვთქვათ, საგადასახადო პოლიტიკის შედეგად)



სქემა B. საინვესტიციო მრუდის გადაწევა ტექნოლოგიური სიახლის შედეგად



სქემა C. დანაზოგის მრუდის და ინვესტიციის მრუდის გადაწევა

ნახ. 2.9. ურთიერთდაკავშირებული ცვლილების მოქმედების შედეგის იდენტიფიცირების პრობლემა.

ინვესტიციების მოცულობასა და საპროცენტო განაკვეთს შორის პირდაპირ დამოკიდებულებას (კავშირს). „B" სქემის მარჯვენა გრაფიკზე წერტილები მოგვაგონებს დანაზოგის გრაფიკს. როდესაც ჩვენ მიღებულ წერტილებს შევაერთებთ ხაზით, ამით დანაზოგის ფუნქციის „იდენტიფიცირებას" გავაკეთებთ.

უფრო რეალური მდგომარეობა კი ის არის, რომ პროცენტის განაკვეთი ზოგიერთ შემთხვევაში იცვლება ინვესტიციების (საინვესტიციო მოთხოვნის) მრუდის გადაწევით, ზოგჯერ დანაზოგის მრუდის გადაადგილების შედეგად, ხოლო ზოგჯერ კიდევ (უფრო სწორად, ხშირად) როგორც ერთი, ისე მეორე ფაქტორის ზეგავლენით; ამ შერეულ შემთხვევაში, როგორც ეს ნაჩვენებია "C" სქემაზე, მონაცემთა განაწილება (გრაფიკზე წერტილებით გამოსახვა), ვერ გამოამჟღავნებს (ვერ გამოავლენს) ვერც ერთ ცნობილ კავშირს პროცენტის განაკვეთსა და ინვესტიციებს შორის; სწორედ ამას ხედავენ ეკონომისტები ჩვეულებრივ ფაქტობრივ მონაცემებთან მუშაობისას. ამასთან ამ ანალიზის მორალი უბრალოა და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბევრ სიტუაციაში: **ემპირიული ურთიერთკავშირი, რომელიც ჩვენ გვინდა დავინახოთ, ძირითადად იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი ეგზოგენური ცვლადი იცვლება ჩვენივე ვარაუდით.**

ე.ი. მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი განწყობა, ჩვენი უნარი გავაკეთოთ მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის (დამოკიდებულების) იდენტიფიცირება. თუ ამას სწორად მოვახერხებთ, ჩვენი დასკვნაც (ანალიზის, კვლევის შედეგი) სწორი იქნება.

თავი 4. მოხმარება, დანაზოგი (ინვესტიციები) და ეკონომიკური ზრდა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **შექმნილი ეროვნული პროდუქტი საბოლოო ჯამში ორ ნაწილად იყოფა (გამოიყენება): მოხმარება და დანაზოგი (დაგროვება).** მათ შორის შეფარდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებელია, რომელიც საზოგადოების თანამედროვე (მიმდინარე) და მომავალ კეთილდღეობას განსაზღვრავს. **დღეს შექმნილის რაც უფრო მეტს დაზოგავს საზოგადოება და დააბანდებს წარმოების განვითარებისათვის, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო მეტის მოხმარების საშუალება ექნება მას შემდგომში (მომავალში). და, პირიქით, რაც უფრო მეტ რესურსებს მოვიხმართ ჩვენ დღესვე, წარმოების მატებისა (ეკონომიკის ზრდისა) და კეთილდღეობის ზრდის მით უფრო ნაკლები შანსი გვექნება მომავალში.**

ეკონომიკური რესურსების დანაზოგებს, რომლებიც საზოგადოების რეალური კაპიტალის ზრდისკენ წარიმართება (ე.ი. საწარმოო პოტენციალის გაფართოებაზე და მოდერნიზაციაზე), როგორც ვიცით, ინვესტიციები ეწოდება. ეს შეიძლება იყოს ახალი მანქანა-დანადგარების და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა, შენობების, გზების, ხიდების და სხვა საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა, მინის მოსავლიანობის გაზრდის ღონისძიებები. ამასთან ეკონომიკური შინაარსით, ალბათ, ამაშივე უნდა ჩაითვალოს (თუმცა სტატისტიკაში ეს ასე არ კეთდება) ხარჯები განათლებაზე და მეცნიერულ გამოკვლევებზე: ეს ხომ **„ადამიანის კაპიტალში" ინვესტიციებია**, რომლებიც მნიშვნელოვნად ზრდის ეკონომიკის საწარმოო პოტენციალს.


ინვესტიციების წყალობით მზარდი **საწარმოო აპარატი** (წარმოების საშუალებები) ხელს უწყობს და განაპირობებს შრომის ნაყოფიერების ზრდას. შრომის ნაყოფიერება კი (პროდუქციის ოდენობა, რომელსაც ადამიანი აწარმოებს დროის გარკვეულ მონაკვეთში მუშაობის შედეგად) ჩვეულებრივად მაშინ იზრდება, როდესაც გამოიყენებენ (მოქმედებაში შედის) ახალ ტექნოლოგიებს, სრულყოფილ მანქანებს — მეტს, უფრო რთულს და მაღალმწარმოებლურს. ამ მხრივ დღევანდელი ჩვენი კეთილდღეობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ადრინდელი ინვესტიციებით, დღევანდელი ინვესტიციები კი განსაზღვრავს შრომის მწარმოებლურობის და, შესაბამისად, კეთილდღეობის შემდგომში გაზრდას. ამიტომ გასაგები უნდა იყოს, რომ დღევანდელ დაბალ დანაზოგებს (შესაბამისად, ინვესტიციებს) შეიძლება მომავალში სერიოზული პრობლემები მოჰყვეს.

ინვესტიციების და შრომის მწარმოებლურობის ზრდა აუცილებელია იმისთვისაც, რომ ქვეყნის ეკონომიკამ გაუძლოს მსოფლიო ბაზარზე არსებულ მწვავე კონკურენციას. **საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში დადებითი შედეგების მიღწევისათვის ექსპორტიორი საწარმოები ტექნიკურ განვითარებაში სისტემატურად ლიდერთა რიგებში უნდა იყვნენ. ეს კი სერიოზულ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს პერმანენტულად.**


ზემოთქმულს გავუკეთოთ ილუსტრირება გრაფიკზე — ჩვენთვის უკვე ცნობილ საწარმოო შესაძლებლობათა მრუდზე.

ავიღოთ ორი პირობითი ქვეყანა — ალფანია და ბეტანია, რომელთა ეკონომიკები საწყისი პერიოდისათვის აბსოლუტურად იდენტურია (ერთნაირი შესაძლებლობებისაა) — იხილეთ მომდევნო გვერდზე **ნახ. 2.10.** და **2.11.**

გრაფიკების ღერძებზე მოვათავსოთ საქონელი მომავლისათვის (შვეულ ღერძზე) და საქონელი აწმყოსათვის (თარაზულ ღერძზე). საქონელი მომავლისათვის არის კაპიტალური საქონელი (მანქანა-დანადგარები და ა.შ.), მეცნიერული კვლევები და განათლება, პროფილაქტიკური მედიცინა. საქონელი აწმყოსათვის კი ის საქონელ-მომსახურებაა, რომელიც მოიხმარება მიმდინარე პერიოდში; ეს არის საქონელი საბოლოო პირადი და საზოგადოებრივი მოხმარებისათვის.



ნახ. 2.10. ალფანიის საზოგადოების ეკონომიკური ქცევა და მისი შედეგები.



ნახ. 2.11. ბეტანიის საზოგადოების ეკონომიკური ქცევა და მისი შედეგები.

როგორც 2.10. და 2.11. ნახაზებიდან ჩანს (**A** და **B** წერტილები საწარმოო შესაძლებლობების მრუდებზე), 2006 წელს ალფანიაში აწმყოსათვის საქონლის წარმოებას უფრო მეტ უპირატესობას აძლევდნენ, ვიდრე ბეტანიაში.

დავუშვათ, რომ დაახლოებით ასეთივე შეფარდებას ჰქონდა ადგილი 10 წლის განმავლობაში. გასაგებია, რომ, თუ სხვა რამე მოვლენებმა არ შეცვალა ტენდენციები და შედეგები, ათი წლის თავზე, 2016 წელს, ბეტანიის საწარმოო შესაძლებლობები მეტი იქნება, ვიდრე ალფანიისა, მისი (ბეტანიის) საწარმოო შესაძლებლობების მრუდი უფრო საგრძნობლად გადაინევს მარჯვნივ (და მაღლა), ვიდრე ალფანიისა, მან უფრო მეტ ეკონომიკურ ზრდას მიაღწია და ათწლეულის ბოლოს ის შეძლებს მეტი გამოუშვას მთლიანი შინა პროდუქტი, ე.ი. როგორც ერთი, ისე მეორე სახის საქონელი.

ეკონომიკური ზრდა კი არის პროდუქციის (საქონელ-მომსახურების) მეტი მოცულობის წარმოების უნარი (შესაძლებლობა), რაც საწარმოო შესაძლებლობების მრუდის მარჯვნივ გადაადგილებაში გამოიხატება; ეს კაპიტალდაბანდებაზე, ეკონომიკის განვითარებაზე მეტი რე-

სურსების მიწოდების (გაღების) და მიღწეული ტექნიკური პროგრესის შედეგია. ეკონომიკური ზრდის რეზულტატი კი არის ეკონომიკის უნარიანობა (შესაძლებლობა) რესურსების მთლიანად გამოყენების (მათ შორის მთლიანი დასაქმების) პირობებში უზრუნველყოს ორივე კონკურირებადი პროდუქციის (აწმყოსათვის და მომავლისათვის) გაზრდილი გამოშვება, მაშინ როდესაც **სტატიკური ეკონომიკა** იძულებულია ცხოვრების მინიმალური დონის უზრუნველყოფისათვის ერთი პროდუქტის წარმოება ანაცვალოს (შეწიროს) მეორეს წარმოებას.

მაშასადამე, ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, როგორც წესი, აუცილებელია, რომ ინვესტიციებს ზრდის ტენდენცია ახასიათებდეს.

როგორც ვიცით, ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ყველა რესურსი, რომელიც არ იქნება მოხმარებული, გაერთიანებულია დანაზოგებში, ე.ი. მთლიანი შინა პროდუქტი (გავმეორდებით) ორ ნაწილად იყოფა:

მშპ = მოხმარება + დანაზოგი.

ამავდროულად თუ გახსნილ (და არა ჩაკეტილ) ეკონომიკაზე გავაგრძელებთ საუბარს,

მშპ= მოხმარება + ინვესტიცია + სუფთა ექსპორტი.

ეს იმას ნიშნავს, რომ დანაზოგის ქვეშ იგულისხმება:

დანაზოგი = ინვესტიციები + (ექსპორტი-იმპორტი).

მაშასადამე, **დანაზოგი არის ინვესტიციების და საგარეო ვაჭრობის სალდოს ჯამი.**

აქედან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს, რომ სახალხო მეურნეობაში დანაზოგის შემცირება ინვესტიციების შემცირებას ან საგარეო ვაჭრობის პირობების გაუარესებას ნიშნავს; შეიძლება ერთდროულად ერთსაც და მეორესაც ჰქონდეს ადგილი; დანაზოგის ზრდა კი ნიშნავს ინვესტიციების მატებას და საგარეო ვაჭრობაში დეფიციტის შემცირებას ან, თუ ექსპორტის გადამეტებას ჰქონდა ადგილი, ამ მეტობის კიდევ უფრო გაზრდას.

ეკონომიკური ზრდა, როგორც ვიცით, შეიძლება მიღწეულ იქნეს წარმოების ფაქტორებში დაბანდების გაზრდით და წარმოებაში ჩაბმული (ჩართული) რესურსების გამოყენების გაუმჯობესებით.

ინვესტიციების ქვეშ, როგორც აღვნიშნეთ, იმ რესურსებს გულისხმობენ, რომელბიც საზოგადოების რეალური კაპიტალის მატებაზე წარიმართება; ამასთან არსებობს „ახალი" („სუფთა") ინვესტიციები და „ინვესტიციები მოდერნიზაციაში".

„სუფთა" („ახალი") ინვესტიციები ნიშნავს, რომ რესურსები გამოიყენება ძირითადი კაპიტალის მოცულობის ზრდისთვის. „ინვესტიციები მოდერნიზაციაში" კი არის რესურსების გამოყენება კაპიტალის ცვეთის დასაფარავად (ე.ი. კაპიტალის მოდერნიზებულად აღსადგენად).

„სუფთა" ინვესტიციების და „მოდერნიზაციის" (აღდგენის, ანაზღაურების) ინვესტიციების ჯამი შეადგენს „ერთობლივ ინვესტიციებს". როდესაც ერთობლივი ინვესტიციები ამორტიზაციაზე მიმართულ კაპიტალურ დაბანდებებზე მეტია, ეს ეკონომიკის აღმავლობის მაჩვენებელია იმ მნიშვნელობით, რომ იზრდება მისი საწარმოო სიმძლავრეები. ასეთ ეკონომიკას მზარდ ეკონომიკას უწოდებენ. თუ ერთობლივი ინვესტიციები ამორტიზაციის ტოლია, ეს ეკონომიკური ზრდის შეჩერებას (უძრაობას) ნიშნავს; ასეთ ეკონომიკას სტატიკურ ეკონომიკას უწოდებენ. თუკი ერთობლივი ინვესტიციები ამორტიზაციაზე ნაკლებია (როგორც ეს იყო საქართველოში 90-იან წლებში), ასეთ ეკონომიკას კლებადი საქმიანი აქტივობის ეკონომიკა ჰქვია.

ინვესტიციებს ადგილი აქვს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში. მათი უმეტესი ნაწილი ეკონომიკის მშენებლობის სექტორზე მოდის. გარდა იმისა, რომ ინვესტიციები მეურნეობის საერთო ეფექტიანობაზე და ზრდის პერსპექტივებზე მოქმედებს, ისინი ამავდროულად პირდაპირ და სწრაფად ზემოქმედებენ მოსახლეობის დასაქმებაზე და შემოსავალზე, თანაც არა მარტო კონკრეტულ დარგში. თუ ინვესტიციები შემცირდება, ვთქვათ, მშენებლობაში, ეს იმას ნიშნავს, რომ:

- შემცირდება მშენებლების დასაქმება, გაიზრდება მათში უმუშევრობა;
- შემცირდება მშენებლების შემოსავალი;
- როგორც შედეგი, შემცირდება მათი (მშენებელთა) მოთხოვნა სხვა დარგებში შექმნილ საქონელ-მომსახურებაზე;
- მაშასადამე, ამ სხვა დარგებშიც შემცირდება შემოსავალი და გაიზრდება უმუშევრობა;
- მშენებლობაში ინვესტიციების შემცირება ნიშნავს, რომ ბაზარზე შემცირდება აგრეთვე მოთხოვნა იმ პროდუქციაზე, რომელსაც მშენებლობის დარგი გამოიყენებს.

ასე რომ ინვესტიციების ცვლილებები მარტო წარმოების შესაძლებლობების შორეულ პერსპექტივებზე კი არ მოქმედებს, არამედ მნიშვნელოვანწილად იმასაც განაპირობებს, თუ როგორ გამოიყენება უკვე არსებული სიმძლავრეები. ეს იმას ნიშნავს, რომ ინვესტიციების ცვლილებები ეკონომიკური ზრდის ტემპების ცვლილებების სერიოზული ფაქტორია როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

თავი 5. ცოდნა-განათლება და ეკონომიკური ზრდა

როგორც ვიცით, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფასებისათვის გამოიყენება სტატისტიკურ მაჩვენებელთა ერთობლიობა, რომელშიც უდიდესი როლი (ძირითადი დატვირთვა) ეეპ-ზე (მშპ-ზე) მოდის — გადამწყვეტია მისი წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე. ამ მაჩვენებლით დღეს-დღეობით საქართველო ქვეყნებს შორის მოწინავეთა რიგებში ნამდვილად არ არის. ამასთან **1990 – 2015 წლებში მშპ-ის (და არა ეეპ-ის, თუმცა მ.შ. განსხვავება უმნიშვნელოა) წარმოება ჩვენ ქვეყანაში (გავიმეორებთ), 15 პროცენტული პუნქტით შემცირდა.** მაშასადამე, ამოცანა ის არის, რომ ეკონომიკური ზრდის მიღწევაში უპირველესად მის უზრუნველმყოფ იმ ფაქტორების ამოქმედებაზე და უკუგებაზე უნდა წარიმართოს ძალისხმევა, რომლებიც, როგორც რესურსები, შედარებით ნაკლებად შეზღუდული და ამავდროულად მაღალშედეგიანია.

როგორც ითქვა, მშპ-ის წარმოება გამსხვილებულად ორ პარამეტრზეა დამოკიდებული: წარმოების ფაქტორებზე (მ.შ. პირველ რიგში — შრომასა და კაპიტალზე) და საწარმოო ფუნქციაზე. ამ დამოკიდებულებას შემდეგი მათემატიკური განტოლება წარმოგვიდგენს (ამასაც გავიმეორებთ):

Y=f(L,K),

სადაც იგივეობის მარცხენა მხარეს მშპ-ის წარმოებაა მოცემული, ხოლო მარჯვენა მხარეს — მისი შექმნის განმაპირობებელი პარამეტრები, მათ შორის: **L** — შრომა, **K** -კაპიტალი, **f** — საწარმოო ფუნქცია.

გასაგებია, რომ ამ იგივეობაში ჩვენი ამ თავში მსჯელობის თემა (ცოდნა) ეხება შრომის ფაქტორს. მასში ჩვეულებრივად დაქირავებულ მუშაკთა შრომა იგულისხმება. ჩვენ კი ამ შემთხვევაში გვაინტერესებს, ამასთან ერთად, მთელი საზოგადოება როგორც მწარმოებლური (სარგებლიანი) საქმიანობის სუბიექტი; ჩვენი მსჯელობის თემაა ასევე წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა ზრდა (რიცხოვნობის მატება), რომელიც რეალურ ეკონომიკურ ზრდას მხოლოდ ამ ერთეულების კაპიტალშეიარაღების შენარჩუნების პირობებში უზრუნველყოფს. მხედველობაში გვაქვს აგრეთვე შრომის ყოველი ერთეული და მისი მწარმოებლურობა, ანუ ეკონომიკური ზრდის მიღწევა მთელი საზოგადოების შრომის, როგორც წარმოების ფაქტორის, რიცხოვნობის უცვლელობის პირობებში. ამასთან ასეთი დაშვების დროსაც (როცა **L** არ მატულობს) ადამიანში კაპიტალის ჩადების შედეგად მისი ცოდნა-განათლების გაღრმავების კვალობაზე იზრდება შრომის მწარმოებლურობა და მისი მონაწილეობა მშპ-ის წარმოებაში.

ცნობილია ასევე დებულება, რომ ხანგრძლივი პერიოდისათვის ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას წარმოების ფაქტორების ზრდა კი არ განაპირობებს,

არამედ წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფა. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ეკონომიკაში კაპიტალის ზრდას თან ახლავს მისი გადინების (ცვეთის) მატება, რის შედეგად, საბოლოო ანგარიშით, ამ ორი ცვლადის გატოლება ხდება (**მდგრადი კაპიტალშეიარაღება**), ამ პირობებში კი **შრომის კაპიტალშეიარაღება**, როგორც ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი პარამეტრი, პრაქტიკულად წყვეტს თავის მოქმედებას (**ეკონომიკური ზრდის სოლოუს მოდელი**). ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ შრომის უფრო მაღალი კვალიფიკაცია (მაღალი განათლების დონე), არსებული დანარჩენი რესურსების (მ.შ. თვით შრომის რიცხოვნობის) უცვლელობის პირობებშიც მწარმოებლურობის თავისთავადი ზრდის განმსაზღვრელი ატრიბუტია მნიშვნელოვანწილად. ამ თვალსაზრისით, წარმოებაში მუშაკთა კვალიფიკაცია-განათლების ზრდა ერთგვარად წააგავს თვით წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ მთლიანობაში საზოგადოების განათლებულობის ზრდა-გაღრმავებაც დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ საქმიანობაზე, შეზღუდული რესურსების გამოყენების შედეგიანობაზე.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ინვესტიციები ეკონომიკაში არის ხარჯების (ეროვნული შემოსავლის ნაწილის) მიმართვა არა უშუალოდ მოსახმარად, არამედ დოვლათ-სიკეთის წარმოებისათვის. ამ თვალსაზრისით, ინვესტიციების ცნებაში იგულისხმება არა მარტო ფიზიკური, არამედ ადამიანური კაპიტალის ზრდაც (**ინვესტიციები ადამიანებში**). საქმე ის არის, რომ მშპ-ის ზრდას განაპირობებს არა მარტო შრომის კაპიტალშეიარაღების გადიდება, არამედ თვით შრომის კაპიტალისაგან დამოუკიდებლად მწარმოებლური შესაძლებლობების, ასე ვთქვათ, შინაგანად (დამოუკიდებლად) მატება. ეს კი დაკავშირებულია ადამიანის ცოდნა-განათლებასთან, მის კომპეტენტურობა-გამოცდილებასთან. გასაგებია, რომ სპეციალურ ცოდნას დაუფლებული და, მით უმეტეს, საქმეს უფრო მაღალ დონეზე ჩაწვდომილი ადამიანის მწარმოებლურობა, სხვა თანაბარ პირობებში, უფრო მაღალი იქნება: ერთი და იგივე მწარმოებლურობის რეალური კაპიტალი სხვადასხვა შედეგ-ეფექტიანობას იძლევა განსხვავებული ცოდნა-გამოცდილების მქონე ადამიანის (მშრომელის, დაქირავებული მუშაკის) ხელში. ამიტომაა, რომ საქმეში სათანადოდ გარკვეული, წარმატებული ბიზნესმენები წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მისაღწევად სერიოზულ ხარჯებს ეწევიან ხოლმე არა მარტო რეალური კაპიტალის განახლებისათვის, არამედ წარმოების პერსონალის ცოდნა-კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მათი დახელოვნება -დაოსტატებისათვის.

ტერმინში „კაპიტალი", როგორც ვიცით, ჩვეულებრივად საგნობრივი, შეხებით შესაგრძნობი დოვლათის შემქმნელი წარმოების საშუალება იგულისხმება. მაგრამ არსებობს კაპიტალის მეორე სახეობაც — ნაკლებად ხელშესახები, მაგრამ მშპ-ის წარმოებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ადამიან-კაპიტალი, რომლის ძირითადი ფორმაა საზოგადოების ცოდნა-განათლებულობა. ეს კაპიტალი იმიტომაა „ადამიანური", რომ მის შესაქმნელად ინვესტიციების ჩადება ადამიანში ხდება, ამ კაპიტალის მატება-დაგროვება (ცოდნის მიღება-გაღრმავება-გაფართოება) ზრდის შრომის ერთეულის გამოყენების ეფექტიანობას.

ეკონომისტები ცდილობენ ციფრობრივი მახასიათებლებით და სხვადასხვა მიდგომის გამოყენებით წარმოადგინონ ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი ფაქტორების რეალური წილი ეეპ-ის მოცულობაში. ამერიკელი ეკონომისტის **ედვარდ დენისონის** გაანგარიშებით, მთლიანობაში ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის შრომითი დანახარჯების (დასაქმებულთა რიცხოვნობა და მათ მიერ გამომუშავებული საათების საერთო რაოდენობა) ზრდაზე მოდის ეეპ-ის 32%, ხოლო დანარჩენი 68% — შრომის მწარმოებლურობის მატებაზე. საინტერესოა, რომ ამ „დანარჩენი" 68%-დან 14% სწორედ განათლების და პროფესიული მომზადების წილია. ეს მნიშვნელოვანი ციფრი უეჭველად ახლოსაა რეალობასთან, ვინაიდან სხვა გამოკვლევების შედეგებიც დაახლოებით ასეთია. ამან კი სერიოზულად უნდა დაგვაფიქროს საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ, ჯერ ერთი, ჩვენი ქვეყანა არ არის მაინცდამაინც მდიდარი ბუნებრივი რესურსებით და, მეორე, მთლიანობაში უკანასკნელი 3-4 ათეული წლის განმავლობაში ჩვენი მოსახლეობის განათლებულობა და პროფესიული მომზადება მკვეთრად დაეცა.

ეკონომიკური კვლევა-ანალიზის ობიექტი ჩვეულბერივად ეკონომიკურ ადამიანთა იმ უმეტესობის ქცევაა, რომელთა სამეურნეო (და საერთოდ ყოველგვარ) საქმიანობას მაქსიმალური სარგებლიანობის მიღების სურვილი განსაზღვრავს; ასეთი ადამიანების მოქმედებას ნაკლები დანახარჯებით მეტი სიკეთის დაუფლების პერმანენტული სწრაფვა ახასიათებს. ამასთან ერთია სურვილი-მოტივაცია და მეორეა ის, თუ რამდენად რაციონალური და მიზანსწრაფულია ფაქტობრივად მათი ქმედობა. რაციონალური ქცევის უზრუნველყოფა ყოველთვის მოითხოვდა საქმეში გარკვევის მაღალ უნარ-ჩვევებს, საჭირო ცოდნას. დღევანდელ უსაზღვროდ გართულებულ სიტუაციაში კი, როდესაც თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სამეურნეო გარიგება (ყიდვა-გაყიდვა), ყოველი საქმის დაწყება-წარმართვა უამრავი (მ.შ. ხშირად რთული) ინფორმაციის მოპოვება-გადახარშვას, ურთულესი ტექნოლოგიების და წარმოების ორგანიზაციის ხერხების შეფასებას და სწორ შერჩევა-გამოყენებას მოითხოვს; ამიტომ ეკონომიკური ადამიანის (წარმოებაში ფიზიკური და გონებრივი შრომით დასაქმებულის, ასევე წარმოების ორგანიზატორის — ბიზნესმენის, მენეჯერის) შესაძლებლობები მთლიანობაში გაცილებით უფრო მაღალი უნდა იყოს, რათა მიღწეული იქნეს როგორც ინდივიდის, ისე მთლიანად საზოგადოების საქმიანობის რაციონალურობა. ეს კი დროის მოთხოვნის შესაბამისი განათლების გარეშე შეუძლებელია.

მატერიალურ კაპიტალსა და ადამიან-კაპიტალში ინვესტიციის საერთო მახასიათებელი არის ის, რომ სახსრების ორივე მიმართულებით ჩადება მწარმოებლურობის გაზრდისთვის ხდება. ამასთან ამ ორი ახალი (უკვე შექმნილი) კაპიტალის გამოყენება თვისებრივი სპეციფიკურობით გამოირჩევა: ძირითადი კაპიტალის გამოყენება იწვევს მისი მოცულობის შემცირებას (კაპიტალის ცვეთა); ადამიან-კაპიტალის გამოყენებისას მისი მოცულობა კი არ კლებულობს, არამედ მთლიანობაში შეიძლება გაიზარდოს კიდევაც, თუ ამით მიღებული გამოცდილება გადაფარავს დროში ცოდნის დანაკარგებს (მეხსიერება). ეს მოსაზრებაც (რომ ადამიანური კაპიტალი პირდაპირ არ კლებულობს გამოყენების შედეგად) გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ, **სხვა თანაბარ პირობებში, განათლებაში ხარჯების ჩადება, მათი ეფექტიანობის თვალსაზრისით, ხშირად უფრო პერსპექტიულია, ვიდრე წარმოების ძირითად საშუალებებში.**

კიდევ ერთ საკითხს უნდა გაესვას ხაზი ამასთან მიმართებით. შრომის მწარმოებლურობა, ეკონომიკური ზრდა დაკავშირებულია არა მარტო ადამიანების ცოდნა-განათლებასთან; მეტად სერიოზულია მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების და ტალანტის (ნიჭის) როლი. ამასთან ძალზე საყურადღებოა და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შრომის მწარმოებლურობის, დოვლათ-სიკეთის წარმოების გაზრდის, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების უზრუნველმყოფი ეს რესურსი (ნიჭი, ტალანტი), თუ მისი მატარებელი (ადამიანი) საჭირო ცოდნას არ დაეუფლა, ფაქტობრივად უნაყოფოა („მკვდარია“), მისი საქმეში ჩართვა-ამოქმედება მხოლოდ სათანადო განათლების კვალობაზე ხდება შესაძლებელი. თანაც საინტერესო ის არის, რომ ამ რეზერვის „გაცოცხლებას“ დამატებითი ხარჯები არ სჭირდება, ეს ცოდნა-განათლებაზე გაღებული ინვესტიციების თანმდევი მოვლენაა, ეკონომიკური ზრდის უზრუნველმყოფი რესურსის, რომ იტყვიან, მუქთად დაუფლებაა; რომ არა ცოდნაზე კაპიტალდაბანდება, ის უკვალოდ დაიკარგებოდა.

ცოდნა-განათლებას რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამეურეო-კომერციული საქმიანობის მაღალშედეგიანად ორგანიზებისათვის (მაშასადამე, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის), ამას ცალსახად ადასტურებს მსოფლიო პრაქტიკა, განსაკუთრებით განვითარებული ქვეყნების მაგალითი. დღეს ძალიან ბევრ ქვეყანაში მოქმედებს საყოველთაო უფასო საშუალო განათლების სისტემა (ზოგან ასევე უმაღლესი განათლებისა) და ეს პირდაპირ კავშირშია არა მარტო ხელისუფალთა (სახელმწიფოს) სოციალურ-ჰუმანურ პოლიტიკასთან — აღზარდონ განათლებული და კულტურული თაობა; ამას სერიოზული პრაგმატული მნიშვნელობა აქვს მომავალში ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც. გამოკვლევები მეტყველებს, რომ იმ მოსწავლეების შრომის მწარმოებულობა (და, შესაბამისად, შრომის ანაზღაურება), რომლებმაც მეტი დრო დაჰყვეს სასწავლებლებში (სადაც უფრო ხანგრძლივი სწავლა იყო), შედარებით უფრო მაღალია.

საზოგადოების ცოდნა-განათლებულობის დონეს აქვს სწორედ გადამწყვეტი მნიშვნელობა მეცნიერული აღმოჩენებისა და პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება- დანერგვის აქტივიზაციაში.

მაღალი დონის ცოდნა-განათლება განსაკუთრებით საჭიროა როგორც ბიზნესის წარმართვაში საერთოდ, ისე კაპიტალდაბანდების მიმართულებების საკითხის გადაწყვეტისას, რა დონეზეც არ უნდა წყდებოდეს ის. ყოველგვარი ინვესტიცია არ შეიძლება სიკეთის მომტანი (მამრაველებელი) იყოს; ინვესტიციების გაღებისას შეიძლება შეცდომები იქნეს დაშვებული. გამორიცხული არ არის, რომ ფირმამ (თუ ინდივიდმა), სახელმწიფო სტრუქტურამ ინვესტიციების მიმართულებების განსაზღვრისას არასწორი გადაწყვეტილება მიიღოს, ისეთ სფეროში (ტექნოლოგიაში, საქმეში) ჩადოს კაპიტალი, რომელიც უპერსპექტივოა; ასეთი ქმედობა ეკონომიკურ ზრდას ხელს არ შეუწყობს, ინვესტორს კი, მოგების გაზრდის ნაცვლად, ბევრ უსიამოვნებას მიაყენებს და შეიძლება გააკოტროს კიდევაც.

ეს იმიტომ ხდება მნიშვნელოვანწილად, რომ გადაწყვეტილების მიმღებს არასაკმარისი ან არასწორი ინფორმაცია ჰქონდა ეკონომიკის (დარგის თუ კონკრეტულად საქმიანობის) პერსპექტივაზე, ტექნოლოგიის ნამდვილ სარგებლიანობაზე, ალტერნატიულ შესაძლებლობებზე. ამასთან (და ეს განსაკუთრებით ხაზგასასმელია) მას არ აღმოაჩნდა ასეთი ინფორმაციის მოპოვების, მასში კვალიფიკაციურად გარკვევისა და სწორი (რაციონალური) გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარი. **შეცდომით გაღებული ინვესტიციები კი ეკონომიკური ზრდის საწინააღმდეგო ქმედობაა, ეს ფაქტობრივად რესურსების უთავბოლოდ ხარჯვა და განიავებაა,** ბედოვლათობაა, ვინაიდან ისინი უკვე დაბმულია ისეთ პროექტებში, რომლებიც დაგეგმილ-განსაზღვრულ შედეგებს არ მოგვცემს.

ასე რომ **ეკონომიკურ ცოდნას და საერთოდ მეცნიერულ ცოდნას — ახალ ტექნოლოგიებზე, სამეურნეო კონიუნქტურის პერსპექტივებზე, მოთხოვნის მომავალ ცვლილებებზე და ა.შ. — უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდის და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების უზრუნველყოფისათვის.** ეს ეხება როგორც უშუალოდ მენეჯერებს (რომლებსაც უნდა გააჩნდეთ შესაბამისი ცოდნა და უნარი, რომ სწორი, ოპტიმალური და საუკეთესო გადაწყვეტილება მიიღონ ინვესტიციების გაღებისას და შეაგუონ ეს მომავალში ახალი პროდუქციის გასაღების შესაძლო პირობებს), ისე საწარმოების მთელ პერსონალს: რაც უფრო კვალიფიციური და ახალი ტექნიკის ათვისებისათვის მომზადებული, კომპეტენტური სამუშაო ძალა იქნება მოზიდული ფირმაში, მით უფრო გარანტირებული და მყარი იქნება სიახლეების სწორად (შედეგიანად) გამოყენება, შრომის მწარმოებლურობის ზრდა და წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი და რეალური მოთხოვნისადმი შესაბამისობა, ფირმის და ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური წარმატებები. გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცოდნას და პროფესიონალიზმს მაკროეკონომიკური პოლიტიკის სწორად განსაზღვრა-გატარებისათვის.

ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ორ, ჩვენი აზრით, საყურადღებო მაგალითს.

მე-20 საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს სსრ კავშირის მაშინდელმა ლიდერმა იოსებ სტალინმა ფინანსთა მინისტრ ა. ზვერევს დაავალა დაემუშავებინა ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირების წინადადებები. მინისტრმა მოამზადა და წარუდგინა მთავრობის თავმჯდომარეს გეგმა, რომლის ერთ-ერთ მიმართულებად შემოთავაზებული იყო მეცნიერებაზე ხარჯების მნიშვნელოვანი შეკვეცა.

სტალინმა ამ მოსაზრების დასაბუთება მოითხოვა, რაზეც მინისტრმა უპასუხა, რომ ჩატარებული სპეციალური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ათი მეცნიერი მუშაკიდან საშუალოდ მხოლოდ ერთი იძლევა სერიოზულ უკუგებასო. ამაზე სტალინმა იკითხა, თუ როგორ აპირებდა მინისტრი „ამ ერთი მეცნიერის გამონახვას, თუ კი მეცნიერებაში ათივეს არ მოიწვევდა?“ — მეცნიერებაზე ხარჯები უცვლელი დარჩა.

მეცნიერებისა და განათლებისადმი ასეთი ცხოველი ყურადღება იყო უეჭველად ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ სწორედ სსრ კავშირმა გაუშვა კოსმოსში ჯერ პირველი ხომალდი, შემდეგ კი ადამიანი. ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ სპეციალურ სამთავრობო კომისიას დაავალა გაერკვია, როგორ შეძლო ქვეყანამ, რომლის პოტენციალი რამდენიმეჯერ ნაკლები იყო აშშ-ის მწარმოებლურობისა, კოსმოსური სივრცის ამერიკელებზე ადრე დაპყრობა. კომისიის დასკვნა კატეგორიული იყო: *„ამის მიზეზი საბჭოური განათლების სისტემაში ძევსო“.*

კიდევ ერთი მაგალითი. 2008 წლის საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა ძალიან დააზიანა ისლანდიის და ირლანდიის ეკონომიკა. ამ ქვეყნების ხელისუფლებებმა მკვეთრად შეამცირეს ბიუჯეტის ხარჯები ყველა მიმართულებით, მაგრამ მეცნიერებაზე ხარჯების მუხლისათვის ხელი არ უხლიათ.

ამ თავში გამართული საუბარი იმიტომ დაგვჭირდა, რომ სტუდენტებისთვის (ქვეყნის მომავალი მმართველებისთვის), ყველა მკითხველისათვის გვეთქვა: ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად აუცილებელია, რომ შექმნილი ეროვნული შემოსავლის გამოყენებისას (და ეს ეხება როგორც კერძო სექტორს, ისე სახელმწიფოს — მის ბიუჯეტს) სახსრების გამოყოფას მეცნიერებაზე, განათლებაზე, სპეციალისტების მომზადებაზე უნდა ჰქონდეს პრიორიტეტული ხასიათი, რაც, სამწუხაროდ, საქართველოს რეალობაში ჯერჯერობით არ შეინიშნება.

აქ კიდევ ერთ რამეს გავუსვამდით ხაზს. რა თქმა უნდა, ეკონომიკის დარგებს შორის კაპიტალის და შრომის გადანაწილება, უპირველეს ყოვლისა, თავისუფალი კონკურენციისა და არჩევანის შედეგად უნდა ხდებოდეს. ამასთან, მაკროეკონომიკური საზოგადოებრივი ეფექტის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, რომ **საწარმოო ინვესტიციებზე, ალტერნატიულ დაბანდებებთან** (მაგალითად, ანტიკვარიატში, ბრილიანტებში, ფუფუნების ნაწარმზე) **შედარებით, მეტი და ზრდადი ხარჯები მოდიოდეს.** მაღალი გამომუშავებისა და სხვა ეკონომიკური უპირატესობების წყალობით სასარგებლო უნდა იყოს ცოდნის გაღრმავება და საკუთარ სამუშაო ადგილზე წარმოების ახალი, უკეთესი მეთოდების მოძებნა-დანერგვა. ამას კი ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა შეუწყოს ხელი.

თავი 6. საზოგადოებრივი მენტალიტეტი და ეკონომიკური ზრდა

საბაზრო ურთიერთობების საწყისებზე მრავალი ათეული წლის განმავლობაში ფუნქციონირებადი ქვეყნები დღეს განვითარების სხვადასხვა, მკვეთრად განსხვავებულ დონეზე არიან და ამის მიზეზები მარტო ისტორიული წარსულის სირთულეებში და ბუნებრივი რესურსების არათანაბარ განაწილებაშია უეჭველად. დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის, ერის შემართებას, უნარს, ტრადიციებს, მეწარმეობრივი და საერთოდ შრომითი საქმიანობისადმი განწყობას, რაც საზოგადოებრივი მენტალიტეტის ერთ-ერთი სერიოზული შემადგენელი ნაწილია.

ამ მხრივ საქართველოს მომავლისადმი ოპტიმისტურად უნდა ვიყოთ განწყობილი. ოდითგან ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ცნობილია, როგორც შრომისმოყვარე, მაღალინტელექტუალური შესაძლებლობებით დაჯილდოვებული ხალხი, რომლის ურთულეს ისტორიულ წარსულში ფიზიკური გადარჩენის მთავარი პირობა სწორედ მუყაითი შრომა და გარჯა იყო. სხვათა შორის, შრომის თავისებური ფეტიშიზება, შრომისადმი სიყვარული, შრომის შედეგებისადმი დაინტერესება და მშრომელი კაცის, საქმიანი ადამიანის პატივისცემა საქართველოში მნიშვნელოვანწილად გავრცელებული იყო კაცობრიობისათვის ცნობილი ყოფის იმ პერიოდებშიც კი, როდესაც საზოგადოებაში (ან მის გარკვეულ ფენებში) შრომისადმი, საქმისადმი დამოკიდებულება ერთობ ნეგატიური იყო, ხოლო შრომა (განსაკუთრებით ფიზიკური), როგორც იძულებითი საქმიანობა, მიმზიდველობას მოკლებული, სათაკილო. ასე რომ შრომისმოყვარეობა და საქმიანობისადმი მიდრეკილების თვისება, რომელიც აუცილებელია ნორმალური საბაზრო ეკონომიკისათვის, საკმარისად გააჩნია ქართველ ხალხს, ჩვენი ქვეყნის მთელ მოსახლეობას და, შესაბამისი პირობების შემთხვევაში, უეჭველად მოიტანს შედეგს.

ამ თავში კი უპირატესად ჩვენი მენტალიტეტის იმ პრობლემებზე შევჩერდებით, რომლებიც, უარყოფითი ხასიათის გამო, უეჭველად ანგარიშგასაწევია. ზოგი მათგანი ჩვენ ტრადიციებში ძევს, ზოგი კიდევ 70 წლის განმავლობაში არსებული მნიშვნელოვანწილად ფსევდოსოციალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური წესრიგის გავლენის ქვეშ ჩამოყალიბდა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საბაზრო ეკონომიკა უპირატესად თვითრებულირებადია, მისი წარმატებები დამოკიდებულია პირველ რიგში ადამიანების, მეწარმეობრივი სტრუქტურების

ინიციატივიანობაზე. საქართველოს რეალობაში კი დღესაც მეტად სერიოზული პრობლემაა საზოგადოების ნაწილში არსებული ხელისუფლების როლის გადამეტება-გაზვიადების და რეალური პროცესების ობიექტური ხასიათის ერთგვარი შემცირება-შეუფასებლობის, ეკონომიკური (და სხვა) პრობლემების ნებელობით (მოვლენების ობიექტური ხასიათის გაუთვალისწინებლად) გადაწყვეტაზე დაყრდნობის განწყობა-მენტალიტეტი. ეს განწყობა (ხელისუფლებისაგან დოვლათ-სიკეთის მიღების მოჭარბებული იმედი) კი ნამდვილად არ უწყობს ხელს ქვეყნის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფას.

ჩვენთან ეკონომიკური პოლიტიკის დამუშავება-გატარებისას გასათვალისწინებელია, რომ დღეს მშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, სამწუხაროდ, კვლავინდებურად შიშობს და შინაგანად ერიდება კომერციულ საქმიანობას, ვინაიდან დამოუკიდებლობასა და ინიციატივას მიჩვეული არ არის; ამავდროულად ისიც ფაქტია, რომ მოსახლეობას არ სურს მონაწილეობდეს ქართულ ბიზნესში არსებულ, რბილად რომ ვთქვათ, ეკონომიკური განვითარების საწინააღმდეგო უნარ-ჩვევების რეალიზაციაში (ე.წ „გადაგდება“ და სხვა კანონდარღვევებისადმი მიდრეკილება).

ხელს არ უწყობს უეჭველად ეკონომიკურ განვითარებას ის გარემოებაც, რომ ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი ისევ და ისევ უნდობლობით უყურებს არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებს. ჩვენ გვაღიზიანებენ, მაგალითად, „საქმოსნები“, მაგრამ მათში არა ის, რის წინააღმდეგ მართლაც უნდა ვიყოთ ქმედითად განწყობილი (რომ ისინი არღვევენ კანონს, თავს არიდებენ ხშირად ბიუჯეტისადმი კანონიერ გადასახადებს), არამედ მათი საქმიანობა საერთოდ და ის, რომ ისინი... მდიდრდებიან. ისე გამოდის, რომ უზნეობა და ბოროტება ქონებაა, დიდი მოცულობის სიკეთის ფლობაა თავისთავად, და არა მისი უკანონო გზით დაუფლება-მოხვეჭა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ საზოგადოებაში მეწარმეობრივი საქმიანობისადმი გარკვეულწილად დღესაც ორმაგი დამოკიდებულებაა, ამასთან ორივე უარყოფითი: ერთი მხრივ, ეს არის ღია, აგრესიული შური იმათ მიმართ, ვინც თავისი კომერციული საქმიანობით სერიოზულ მატერიალურ დოვლათს ეუფლება; მეორე მხრივ, ეს არის ასეთი საქმიანობისადმი ქართულ საზოგადოებაში ტრადიციულად არსებული აგდებული დამოკიდებულება.

ამგვარ განწყობა — აზროვნებას, რა თქმა უნდა, შორეულ წარსულში აქვს საფუძველი, მაგრამ მისი „გაფურჩქვნა — აყვავება“, ეტყობა, მაინც საბჭოურ ათწლეულებზე მოდის. სწორედ ულტრასოციალისტური იდეულოგიის ზემოქმედების შედეგია ის, რომ სიტყვა „ქონება“ მნიშვნელოვანწილად უარყოფითად აღიქმება, მას მხოლოდ სიტყვა „მოხვეჭას“ ვუსადაგებთ ხშირად (ქონების მოხვეჭა), ხოლო „ქონების მონაგრებას“ (ე.ი. გარჯით შეძენას) თითქმის არ ვხმარობთ.

მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა. საზოგადოებაში კომერციული საქმიანობისადმი გარკვეულად უარყოფითი დამოკიდებულების მთავარი მიზეზი თვით ამ საქმიანობის ხასიათში და ქართველი ბიზნესმენების, როგორც აღვნიშნეთ, ქცევა-მოქმედებაში ძევს. შურისადმი მიდრეკილების მქონე მოსახლეობის ნაწილი ანტიმეწარმეობრივი განწყობის გაღვივება-განმტკიცებას ხელს უწყობს ქართველი ბიზნესმენებისათვის (ისე როგორც მთელი ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის) დამახასიათებელი სიმდიდრის ხაზგასმით (დემონსტრაციულად) წარმოსახვის (წარმოჩენის) მიდრეკილება: ჩვენი ბიზნესმენები და მაღალანაზღაურებადი ჩინოვნიკები ფულს (სიკეთეს) ხშირად, უპირველეს ყოვლისა, უყურებენ არა როგორც კაპიტალს (ე.ი. მეტი სიკეთის შექმნის წყაროს), არამედ როგორც ცხოვრებისეული სიამოვნების დაუყოვნებლივ მიღების და ერთგვარად გამომწვევ ფუფუნებაში ცხოვრების საშუალებას.

ქართველი ბიზნესმენებისათვის უპირობო პატიოსნება, პარტნიორებთან (უპირველესი პარტნიორი კი მყიდველია) კეთილსინდისიერი დამოკიდებულება არ გამხდარა ქცევის ნორმად. დღევანდელ ქართულ ბიზნესში თანამედროვე მეწარმეობრივი საქმიანობის ჩვევების სერიოზული დეფიციტია, ამავდროულად ჭარბად არის წარმოსახული კანონსაწინააღმდეგო ქმედობის ელემენტები.

ეკონომიკური განვითარების (ზრდის) სერიოზული საწინააღმდეგო ფაქტორია ისიც, რომ საერთოდ ეკონომიკური ურთიერთობების მიმართ ჩვენი საზოგადოების, მისი პოლიტიკური ძალების მენტალიტეტში, დოვლათის შექმნა-გამრავლების ნაცვლად, გარკვეულწილად გავრ-

ცელებულია **შექმნილის გაყოფა-გადანაწილების** გაუმჯობესების საჭიროების განწყობა (ეს განსაკუთრებით გამოიკვეთება ხოლმე არჩევნების წინ). საგანგებო, განსაკუთრებულ სიტუაციაში ჩვენ ვცდილობთ (სურვილი გვაქვს) ვიპოვოთ რაღაც ერთი ყოვლისმომცველი ზომა (გზა), თავისებური ტალკვესი, რომელიც თითქოსდა ყოველგვარ უბედურებას აგვარიდებს, ყველა პრობლემას მოხსნის. ეს კი საქმიანობის კამპანიურობას განაპირობებს და ხელს უწყობს ღონისძიებების ერთმიმართულებრივი ხასიათის აბსოლუტიზაციას, არსებული ცოდნა-გამოცდილების უკუგდებას და იგნორირებას. ეს ეკონომიკური განვითარების ხელის შემშლელი, ძნელად გარდასატეხი განწყობაა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთან არსებული **დირიჟისტული მენტალიტეტი** (ხელისუფლების ქმედობაუნარიანობის გადაჭარბებული იმედი) მნიშვნელოვანწილად წინააღმდეგობრივია. ამით და ქართული ხასიათის ტრადიციული ნიჰილიზმით არის, ალბათ, განპირობებული (სხვანაირად ვერ აიხსნება), რომ ხელისუფლების მიერ რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე სწორი გადაწყვეტილებები და ქმედობაც ზოგჯერ საზოგადოების (ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის, პოლიტიკური ძალების) მხარდაჭერას კი არ პოულობს, რაც მას, რომ იტყვიან, გაანოყიერებდა და ხორცს შეასხამდა, არამედ მის გადაულახავ ნეიტრალობას და ინდიფერენტულობას აწყდება, ხანდახან კი პირდაპირ წინააღმდეგობასაც;

ჩვენ ზემოთ ხაზი გავუსვით ქართველი კაცის ტრადიციულ შრომისმოყვარეობას. ეს რეალობაა, მაგრამ ასეთი საერთო მიდგომა და განსაზღვრა საკმარისი არ არის. შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობა კაპიტალიზმამდე მთლიანობაში გარკვეულწილად „ზარმაცი" იყო და ეს არც არის გასაკვირი. მისი უდიდესი ნაწილისათვის შრომა მანამდე მეტწილად იძულებითი (დაძალებითი წესით) იყო ორგანიზებული; საქმიანობის შედეგებს კი მწარმოებლის მდგომარეობისათვის, მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ძირითადად მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ თვით ეს მოთხოვნილებები ძალზე შეზღუდული იყო, უპირველეს ყოვლისა, ადგილი ჰქონდა მეტად პრიმიტიული, ფიზიკური არსებობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. თვითდამკვიდრებისა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიღწევის თვალსაზრისით, შრომის (მეწარმეობრივი საქმიანობის) მოტივაცია ჩანასახ მდგომარეობაში იყო.

ეს არის, ალბათ, იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ კაპიტალიზმამდე საზოგადოების აზროვნებაში (მ.შ. რელიგიურ მოძღვრებებშიც) შრომის შედეგების განაწილებისადმი გათანაბრებითი მიდგომის სამართლიანობის კონცეფცია სჭარბობდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა: ვინაიდან შრომა, მიუხედავად საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი ხასიათისა, მხოლოდ დაძალებითი საშუალებებით შეიძლებოდა ორგანიზებულიყო, სამართლიანობის პოზიციიდან (ეს გრძნობა კი ადამიანს თანდაყოლილად ახასიათებს) აქცენტი შრომის შედეგების საზოგადოების წევრებს შორის გათანაბრების საწყისებზე განაწილების აუცილებლობაზე კეთდებოდა.

კაპიტალიზმმა კი, დაამკვიდრა რა მეტ-ნაკლებად ადამიანის პიროვნული თავისუფლება და მოამწყვდია რა იგი ამავდროულად კერძო კაპიტალისტურ ეკონომიკურ ურთიერთობებში, ერთი მხრივ, გააღვიძა და გააღვივა მასში პოტენციურად არსებული შრომისა და საერთოდ მეწარმეობრივი საქმიანობის მოტივაცია და, მეორე, ჩაუნერგა და განუმტკიცა მას მაღალმწარმოებლური შრომის ჩვევები, მეტოქეობისა და შეჯიბრების ჟინი, შრომის დისციპლინა.

სამწუხაროდ, ჩვენთან, ყოფილ რუსეთის იმპერიაში, კაპიტალიზმმა, განვითარების ადრინდელ სტადიაზე შეწყვეტის გამო, ვერ მოასწრო შრომის (და მეწარმეობის) მტკიცე ჩვევების საჭირო დონეზე დამკვიდრება, შრომისადმი (და მეწარმეობისადმი) ადამიანის ფსიქიკაში საკმარისი პოზიტიური განწყობის დამყარება. ოქტომბრის რევოლუციის შედეგად შემოღებულმა განაწილების ფსევდოსოციალისტურმა (ფაქტობრივად კი გათანაბრებითმა) პრინციპმა საერთოდ დაამახინჯა ის და საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ისეთი მოსაზრება-განწყობა ჩაუნერგა ან აღუდგინა ადრე არსებული, როდესაც შრომისა (საქმიანობისა) და ადამიანის (პიროვნების) მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონეს ურთიერთგანმაპირობებელი უშუალო კავშირი არა აქცს.

სტაბილური ეკონომიკური განვითარებისათვის ეროვნული შემოსავლის განაწილებაში გათანაბრების წესის მიუღებლობაზე ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ; მაშასადამე, ამ მიმართებითაც რომ პრობლემა არსებობს, გასაგები უნდა იყოს.

ზემოთქმული მიგვანიშნებს, რომ **ეკონომიკის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფისათვის ქართველ ხალხს, საქართველოს საზოგადოებას ჩვეულებრივი ეკონომიკური ღონისძიებების (მ.შ რეფორმების) გაგრძელებასთან ერთად, მოუწევს ზოგიერთი მიმართულებით თავისი განწყობა-ქცევის საბაზრო ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მოთხოვნილებების შესაბამისად ერთგვარი კორექტირება.** ამას დრო და სახელმწიფოსა და თვით ამ საზოგადოების სერიოზული ძალისხმევა სჭირდება. მაგრამ თუ ეს არ გაკეთდა, შედეგები სასურველ-შესაძლებელზე ნაკლები იქნება.

დაბოლოს, კიდევ ერთი, ისევ მენტალიტეტთან და ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც დაჩქარებულად გადაწყვეტას მოითხოვს.

თემის მე-5 თავში („ცოდნა და ეკონომიკური ზრდა") ჩვენ შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სტაბილური ეკონომიკური განვითარების (ე.ი. ადამიანების კეთილდღეობის ამაღლების) საქმეში მოსახლეობის ცოდნა-განათლების დონეს და ამაზე ზრუნვას. აქ კი ამასთან დაკავშირებულ იმ პრობლემას შევეხებით, რომელიც ამ ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში თავისებური მენტალური ავადობა-სენივით მოედო ქართულ საზოგადოებას და რომელსაც **„დიპლომომანია"** ჰქვია. საქმე ის არის, რომ **საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილში ცოდნა-განათლების მიღების პროგრესული, ცივილიზებული და ეკონომიკური განვითარების უზრუნველმყოფი, ადრე შესამჩნევად არსებული განწყობა (განათლების მიღების წყურვილი) ჩაანაცვლა ფაქტობრივად ამის საწინააღმდეგოდ მოქმედმა „განათლების" დამადასტურებელი საბუთის დაუფლების წადილმა; უმაღლესი განათლების დიპლომის კანონიერი თუ უკანონო გზით მიღება თავისებური აკვიატებული იდეაფიქსი გახდა.**

დღესდღეობით საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა, როგორც არაერთხელ ითქვა, მძიმეა და ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, უმუშევრობის მაღალ დონესთან (და სხვა მიზეზებთან) ერთად, სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულების (და ასევე დაუსაქმებლების) დაბალი პროფესიონალიზმი უნდა ვაღიაროთ. კერძო თუ სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში კი, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ცოდნის დაბალი დონის მიუხედავად, ატესტატების და დიპლომების მასობრივად გაცემა წლიდან წლამდე მიმდინარეობს. თუ ეს ასე გაგრძელდა, ქვეყანას კიდევ უფრო არასახარბიელო პერსპექტივა ელოდება.

საყურადღებოა, რომ მდგომარეობის სიმძიმე თითქოს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ამ მიმართულებით საუბარსაც კი ვერიდებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანიის დროს განათლების გაუმჯობესების აუცილებლობაზე მასში მონაწილე უკლებლივ ყველა პოლიტიკური ძალა საუბრობდა, მაგრამ ასევე ყველა მარტო ცოდნა-განათლებაზე მეტი სახსრების გაღების აუცილებლობას უსვამდა ხაზს.

ეს არც არის გასაკვირი. საქმე ისაა, რომ ამ ავადმყოფური მოვლენის ნეიტრალიზებისათვის საჭიროა ძალზე არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა, ვინაიდან არსებული მდგომარეობის უცვლელად გაგრძელება მთლიანად საზოგადოებას (ქვეყანას) ღუპავს, მაგრამ პრაქტიკულად თითქმის ყველას აწყობს (პარადოქსი). ჩამოვთვლით ამის მიზეზებს:

1. სტუდენტი ახალგაზრდობის იმ ნაწილს ვინც ცოდნის მიღებას და დასპეციალიზებას ესწრაფვის, მიუხედავად სწავლისათვის არაჯანსაღი საერთო ფონისა, პრინციპში შეუძლია მიიღოს საჭირო ცოდნა. ამიტომ ეს ნაწილი განსაკუთრებით არ აქტიურობს, არსებულ სიტუაციას ძირითადად შემრიგებლურად უყურებს (იმ იმედითაც, რომ მომავალში ნაკლები სერიოზული კონკურენტი ეყოლება საქმიანობის ასპარეზზე);
2. იმათ კი, ვინც თანახმაა (სურვილი აქვს) მიიღოს დიპლომი ცოდნის გარეშე, წადილის ასრულება პრაქტიკულად გარანტირებული აქვთ;
3. ერთგვარი უხერხულობის მიუხედავად, კმაყოფილი არიან სტუდენტთა მშობლებიც: ისინი ქართველებისთვის დამახასიათებელი შვილების მიმართ ტრადიციული მომატებული ზრუნვის განწყობას პირნათლად ასრულებენ, მატერიალურად მათ განათლების მიღებისათვის საჭირო პირობებს უქმნიან, შვილები რომ არ სწავლობენ და მათი მატერიალური შემწეობა სახსრების უაზრო, უპერსპექტივო ხარჯვაა, ამას თითქოს ვერ ხვდებიან;

4. უმაღლესი (და სხვა) სასწავლებლების მაღალზნეობრივი ლექტორ-მასწავლებლები კი განიცდიან სინდისის ქენჯნას, ვინაიდან ბევრი მოსწავლე თუ სტუდენტი იმდენ ცოდნას ვერ იღებს, რამდენის საფასური გაიღო სახელმწიფომ თუ მოსწავლემ, მაგრამ თავს იმით იმშვიდებენ, რომ თვითონ მაქსიმალურად იხარჯებიან. გარდა ამისა, ქვეცნობიერად ყველა გრძნობს: რომ არა ასეთი სისტემა, მათი დიდი ნაწილი უმუშევართა რიცხვს მიემატებოდა;
5. მშვიდად არის ხელისუფლებაც: რომ არა ეს სისტემა, რამდენი ასეთი „სწავლით დაკავებული“ ახალგაზრდა აღმოჩნდებოდა უმუშევართა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით უკმაყოფილოთა რიგებში?!

ზემოჩამოთვლილ მიზეზებთან ერთად, პრობლემას მნიშვნელოვანწილად ამძიმებს სიტუაცია, როდესაც (იგივე ჩვენში გავრცელებული ნეპოტიზმის და „ბლატის“ გამო) ზოგიერთი (არც თუ ცოტა) უვიცი დიპლომიანი „უმაღლესდამთავრებული“ პირი ცხოვრებაში დაუმსახურებლად ეუფლება კარიერულ თუ სხვა სიკეთეს; ეს კი კიდევ უფრო ასუსტებს ახალგაზრდებში რეალური ცოდნის მიღებისათვის გარჯა — საქმიანობის სურვილს, ამკვიდრებს ნიჰილიზმს და აღვივებს უსამართლობის გარდუვალობის საზოგადოებისათვის მიუღებელ მოსაზრება-განწყობას.

ბოლო წლებში ზემოგანხილული მდგომარეობა (ცოდნა-განათლებულობისადმი მენტალური დამოკიდებულება და მისი შედეგები) კიდევ უფრო დამძიმდა: კომერციულ საწყისებზე (უბრალოდ რომ ვთქვათ, შემოსავლის მიღებაზე, ფულის კეთებაზე) აეწყო მნიშვნელოვანწილად მეცნიერების (ანუ იმათი, ვინც, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოსთან ერთად, მომავალში უმაღლესი კვალიფიკაციის კადრები უნდა აღზარდონ) მომზადების თავისებური კონვეირული სისტემა. შედეგად ამისა ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლები ყოველწლიურად ასობით აკადემიური ფსევდო დოქტორებით ავსებენ საქართველოს ისედაც გაჯერებულ ბაზარს.

რა გამოდის? გამოსავალი არ არის? არის და არ შეიძლება არ იყოს. მაგრამ სანამ მასზე ვისაუბრებთ, გავიხსენოთ წიგნის პირველივე თემაში გაჟღერებული დებულება: **ეკონომისტი არ შეიძლება იყოს პოპულარული პიროვნება.**

ჩვენ შემთხვევაში აუცილებელია არაპოპულარული ღონისძიების შემოთავაზება-გატარება. ამის გაკეთება კი მთავრობამ უნდა იკისროს, ვინაიდან ამ კონკრეულ შემთხვევაში მხოლოდ მას ძალუძს არაორდინალური და რთული (მისთვის ერთგვარად საშიში), მაგრამ გარდუვალ-აუცილებელი ღონისძიების გატარება: **საჭიროა ხელისუფლებამ ხელში აიღოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში (სახელმწიფოებრივი იქნება ეს თუ კერძო) კურსდამთავრებულებისთვის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) გაცემის საკითხი. ამისათვის უნდა დამუშავდეს სპეციალისტისათვის აუცილებელი ცოდნის სახელმწიფო სტანდარტი და მკაცრი, ობიექტური სახელმწიფო გამოსაშვები გამოცდების ჩატარების გზით მიღწეულ იქნეს იმის საერთაშორისო აღიარება, რომ ქართული უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების ყოველი დიპლომი (გამონაკლისის გარეშე) ნიშნავს, რომ მისი წარმომდგენი მართლაც უმაღლესი დონის სპეციალისტია.**

რაც შეეხება მეცნიერული ხარისხის მქონე კადრების მომზადებას, ამ პროცესში სახელმწიფოს რადიკალური ჩარევა კიდევ უფრო აქტუალური და სასწრაფოა. საწყის ეტაპზე (შემდგომში კი ეს საკითხი უფრო ძირეულად უნდა დამუშავდეს) ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების და კვლევითი ინსტიტუტების მხოლოდ გარკვეულ (მცირე) ნაწილს მიეცეს ასეთი საქმიანობის უფლება, დაუწესდეს აკადემიური დოქტორების მომზადების მაქსიმალური (ძალიან შეზღუდული) დონის ლიმიტები და აეკრძალოს განსაზღვრულზე მეტი დიპლომის გაცემა.


თუ ასეთი კარდინალური ღონისძიებები არ გატარდა და მარტო დამატებითი სახსრების გამოყოფით და ჩვეულებრივი, ორდინალური რეფორმებით შემოვიფარგლეთ, ბევრს ვერაფერს მივაღწევთ, ხოლო ცოდნა-განათლებაზე ხარჯების გაზრდა (რომლის აუცილებლობას ჩვენ, ამ წიგნის ავტორებიც, ვუსვამთ ხაზს) მხოლოდ ამ სახსრების უშედეგო გამოყენება-გაფლანგვა იქნება.

თავი 7. ეროვნული შემოსავლის განაწილება

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ **ეკონომიკაში საერთო წარმოების მოცულობა ტოლია საერთო შემოსავლისა.** რაკი საქონელ-მომსახურების წარმოების მოცულობას წარმოების ფაქტორები და საწარმოო ფუნქცია განაპირობებს, ისინი ამავდროულად ეროვნული შემოსავლის მოცულობასაც განაპირობებენ. **2.1. ნახაზზე** (დიაგრამაზე) ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ მიემართება შემოსავლები (ეროვნული შემოსავალი) ფირმებიდან საოჯახო მეურნეობებისაკენ წარმოების ფაქტორების ბაზრების გავლით. მაგრამ მასზე არ ჩანდა, თუ რა პროპორციებით (რა მოცულობებით) ნაწილდება ეროვნული შემოსავალი ამ ფაქტორებს (კონკრეტულ სუბიექტებს) შორის.

ეს საკითხი კი ყოველთვის აწუხებდა (აინტერესებდა) მეცნიერ ეკონომისტებს. ჩვენ ამ თემაში განვიხილავთ **ეროვნული შემოსავლის განაწილების თანამედროვე თეორიას**[1], რომელსაც **განაწილების ნეოკლასიკური თეორია** ეწოდება და რომელიც დღეს აღიარებულია ეკონომისტების დიდი უმრავლესობის მიერ.

ამ თეორიის შესაბამისად ეროვნული შემოსავლის განაწილებას განაპირობებს (განსაზღვრავს) წარმოების ფაქტორების ფასები *(საუბრის დასასრულს ჩვენ დავინახავთ, რომ თვით ამ ფასებს წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობა განსაზღვრავს).* **წარმოების ფაქტორების ფასი (Factor price) არის ფულის რაოდენობა, რომელსაც იხდიან ბაზარზე წარმოების ფაქტორის ერთეულისათვის (ხელფასი შრომის ერთეულზე, პროცენტი — კაპიტალზე, რენტა — მიწაზე).** განვიხილოთ მისი ჩამოყალიბების პროცესი **2.12. ნახაზზე** (დიაგრამაზე).



ნახ. 2.12. წარმოების ფაქტორზე ფასის ჩამოყალიბება (წარმოქმნა). ნებისმიერი წარმოების ფაქტორის ფასი დამოკიდებულია მის მიწოდებაზე და მასზე მოთხოვნაზე. დავთქვათ, რომ წარმოების ფაქტორების მიწოდება ფიქსირებულია — მაშინ მიწოდების მრუდი ვერტიკალური ხაზის ხასიათს მიიღებს. წონასწორობის ფასი კი დაწესდება იმ წერტილზე, სადაც მიწოდების ვერტიკალურ მრუდს გადაკვეთს მარჯვნივ დაბლა დახრილი მოთხოვნის მრუდი (მის დაბლა დახრას კი განაპირობებს ის, რომ ამა თუ იმ მოცულობის ფაქტორის ყიდვა მის ფასზეა დამოკიდებული: რაც უფრო მაღალია ფასი, მით უფრო ნაკლებს შეიძენენ მას და პირიქით).

წარმოების ყოველი ფაქტორის ფასს განაპიროებებს ამ ფაქტორზე ბაზარზე არსებული მოთხოვნა. იმისათვის, რომ გავიგოთ, როგორ ხდება ამ ფასების ჩამოყალიბება, უნდა გავერკვეთ მომხმარებლების (მყიდველების) ქცევაში, ე.ი. უნდა შევისწავლოთ წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნის ფორმირება. ამოცანის შემსუბუქების მიზნით გავაკეთოთ ძალზე უბრალო დაშვება, რის გაკეთებაც შეიძლება ჩვეულებრივი ფირმის მიმართ — რომ ის კონკურენციულია.

[1] უფრო სწორად, როგორც შეგახსენებთ წიგნის პირველ ნაწილში, გავაგრძელებთ საუბარს და განვიმტკიცებთ, გავიღრმავებთ ამ რთული საკითხის ცოდნას.

კონკურენციული ფირმა — ეს ისეთი ფირმაა, რომელიც მცირეა იმ ბაზრებთან შედარებით, სადაც ის ვაჭრობს, და ამიტომ პრაქტიკულად ვერ ახდენს გავლენას ფასებზე, რომლებიც ამ ბაზარზე ყალიბდება; ის ბაზრის ფასს იღებს როგორც მოცემულს. ამასთან დაკავშირებით: ზოგადად კონკურენცია შეიძლება განვმარტოთ როგორც საქონელ-მომსახურების მიმწოდებლებს შორის ბაზრის წილისათვის მეტოქეობა; თავისუფალი კონკურენცია კი როგორც პირობები, როდესაც ბაზარზე გამოსული (ფუნქციონირებადი) პირების და ფირმების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ყოველი ამ აგენტის ქცევა ვერ მოქმედებს ფასების დონეზე.

ფირმის კონკურენციული ხასიათი ნიშნავს, რომ მისი ქცევა საკუთარი ნაწარმის რეალიზაციის და, შესაბამისად, შემოსავლის მოცულობის გაზრდისათვის პრაქტიკულად არ მოქმედებს ამ ნაწარმის ფასზე, ბაზარზე მასზე ფასის ჩამოყალიბებაზე; ეს ფირმა გავლენას ვერ ახდენს ასევე გამოყენებული რესურსების ფასზე, აგრეთვე შრომის ფასზე, მ.შ. საკუთარი მუშაკების ხელფასის დონეზეც: მას არ გააჩნია მიზეზები, რომ გაუზარდოს ხელფასი თავის თანამშრომლებს საბაზრო დონეზე მაღლა, ამასთან ის ვერ შეუმცირებს მათ შრომის ანაზღაურებას, რადგან მუშაკები სხვა ფირმაში გადავლენ.

მაშასადამე, გავიმეოროთ, კონკურენციული ფირმა ბაზრის ფასებს თავის პროდუქციაზე და გამოყენებულ რესურსებზე იღებს როგორც მოცემულ, არსებულ რეალობას.

დავუშვათ, რომ პროდუქციის წარმოების ორგანიზებისათვის ფირმას სჭირდება წარმოების ორი ფაქტორი — შრომა და კაპიტალი. როგორც ჩვენ ამას ზევით მთელი ეკონომიკისათვის ვაკეთებდით, ფირმის საწარმოო ფუნქცია წარმოვსახოთ, როგორც **Y= f(L,K)**, სადაც **„Y"** იქნება ფირმის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა, **„L"** — მუშაკების მიერ გამომუშავებული საათები (შრომა), **"K"** — გამოყენებულ მანქანათა და ნედლეულის რაოდენობა (კაპიტალი). ფირმა მეტ პროდუქციას აწარმოებს, თუ მეტ შრომას და მეტ კაპიტალს გამოიყენებს.

ვთქვათ, ფირმა თავისი პროდუქციის ერთეულს ყიდის **"P"** ფასით, მუშაკებს უხდის დროის ერთეულში შრომისათვის ხელფასს **"W"** და **"R"** იჯარით (პროცენტით) იღებს კაპიტალს (დანახარჯი კაპიტალის ერთეულის გამოყენებისათვის). წარმოების ორივე ფაქტორს ჩვენ პირობებში ფირმა საოჯახო მეურნეობებიდან იღებს, თუმცა რეალურ ცხოვრებაში ადგილი აქვს კაპიტალის განპირობებულ ფლობას, ვინაიდან **ფირმები ფლობენ კაპიტალს, ხოლო საოჯახო მეურნეობები ფლობენ ფირმებს.** ეს იმას ნიშნავს, რომ ფირმები ორმაგ როლს ასრულებენ: კაპიტალის მესაკუთრეების და პროდუქციის მწარმოებლების.

უკეთ რომ გავერკვეთ, თუ როგორ ნაწილდება წარმოების ფაქტორებზე შემოსავალი, ჩვენ აქვე ვგულისხმობთ (დაშვებას ვაკეთებთ), რომ წარმოების ფუნქცია გამოცალკევებულია კაპიტალის ფლობის ფუნქციისაგან და მთელი კაპიტალი საოჯახო მეურნეობებს ეკუთვნის.

როგორც ვიცით, **ფირმის მიზანი მოგების მაქსიმიზაციაა. მოგება კი არის ამონაგები დანახარჯების გამოკლებით. ამონაგები კი არის პროდუქციის გასაყიდი ფასი, გამრავლებული ფირმის მიერ წარმოებული და რეალიზებული საქონლის რაოდენობაზე** (ე.ი. **PxY**).

დანახარჯები ჩვენ შემთხვევაში მოიცავს შრომაზე და კაპიტალზე გაწეულ ხარჯებს. **შრომაზე დანახარჯები ტოლია ხელფასისა ("W"), გამრავლებულის დაქირავებული შრომის რაოდენობაზე ("L"), ე.ი. WxL. კაპიტალზე დანახარჯები ტოლია კაპიტალის ერთეულის გამოყენების ხარჯისა ("R"), გამრავლებულის კაპიტალის რაოდენობაზე ("K"), ე.ი. RxK.**

ამის შემდეგ მოგების მიღების განტოლების ჩაწერა შემდეგნაირად შეიძლება:

მოგება = ამონაგები — (დანახარჯი შრომაზე + დანახარჯი კაპიტალზე) = PxY–(WxL+RxK).

იმისათვის, რომ დავინახოთ, თუ რა დამოკიდებულებაშია მოგება წარმოების დანახარჯებთან, გამოვიყენოთ ჩვენთვის უკვე ცნობილი საწარმოო ფუნქცია **Y=f(L,K)**, ჩავსვათ ის ზემოთ მოცემულ ფორმულაში **"Y"**-ის ნაცვლად და მივიღებთ, რომ

მოგება=PxF(L,K)–(WxL+RxK).

ეს განტოლება გვიჩვენებს, რომ მოგება დამოკიდებულია პროდუქციის ფასზე (**„P"**) და წარმოების ფაქტორების ფასზე (**"W"** და **"R"**), აგრეთვე წარმოების ფაქტორების რაოდენობაზე. ჩვენი კონკურენციული ფირმა ფასებს გამოშვებულ პროდუქციაზე და წარმოების ფაქტორებზე იღებს როგორც მოცემულს, მისგან დამოუკიდებელს (ე.ი. $P=\bar{P}$, $W=\bar{W}$ და $R=\bar{R}$) და ისეთი რაოდენობის შრომას და კაპიტალს ირჩევს (გამოიყენებს), რაც უზრუნველყოფს მისთვის მოგების მაქსიმიზაციას.

ე.ი. მოგება=P x f(L,K)–(W x L + R x K)

ახლა კი დავსვათ კითხვა: როგორ წყვეტს ფირმა საკითხს, თუ რამდენი შრომა და რამდენი კაპიტალი გამოიყენოს წარმოებაში (როგორი უნდა იყოს მათ შორის შეფარდება)?

დავიწყოთ შრომით.

უნდა ვივარაუდოთ, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, რაც უფრო მეტ შრომას გამოიყენებს ფირმა წარმოებაში, მით უფრო მეტ პროდუქციას გამოუშვებს. აქ ჩვენ უნდა გავიხსენოთ ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორია — ზღვრული პროდუქტი (ამ შემთხვევაში შრომის ზღვრულ პროდუქტი).

შრომის ზღვრული პროდუქტი (Marginal product of labor — MPL) არის პროდუქციის რაოდენობა, მიღებული შრომის დამატებითი ერთეულის გამოყენების შედეგად კაპიტალის უცვლელობის პირობებში. ე.ი. ეს არის წარმოების მოცულობის ზრდა მხოლოდ შრომის დანახარჯის ერთეულების ზრდის შედეგად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ფირმა დამატებით შეისყიდის შრომის ერთ საათს, პროდუქციის გამოშვება გაიზრდება MPL ერთეულით.

საწარმოო ფუნქციის გამოყენებით მათემატიკურად ეს მოვლენა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვსახოთ:


MPL=f(L+1,K)-f(L,K)

განტოლება გვიჩვენებს, რომ შრომის ზღვრული პროდუქტი არის წარმოების მოცულობის სხვაობა შრომის „L+1“ და „L“ ერთეულების სხვაობის (ე.ი. ერთი ერთეულის) გამოყენების პირობებში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ (და ესეც ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულებაა), რომ საწარმოო ფუნქციათა უმეტესობას აქვს კლებადი ზღვრული პროდუქტის (უკუგების) ხასიათი. კლებადი ზღვრული პროდუქტი (Diminishing marginal product), გავიხსენოთ, არის საწარმოო ფუნქციის თვისება, რომლის შესაბამისად წარმოების რომელიმე ფაქტორის დანახარჯების ზრდისას, თუ სხვა ფატორებზე დანახარჯები უცვლელია (არ იზრდება), ადგილი აქვს ამ ფაქტორის ზღვრული პროდუქტის შემცირებას (კლებას).

შრომის ფაქტორის მიმართ ზემოხსენებული დებულება იმას ნიშნავს, რომ კაპიტალის უცვლელობის პირობებში, რაც უფრო იზრდება შრომის გამოყენება, მით უფრო ნაკლებია შრომის ყოველი დამატებითი ერთეულის ზღვრული პროდუქტი (მით უფრო ნაკლებია ყოველი დამატებითი ერთეულის უკუგება).

ქვემოთ მოყვანილ ნახაზზე წარმოდგენილია საწარმოო ფუნქციის გრაფიკი. აქ ნათლად ჩანს, თუ როგორ იქცევა შრომის ზღვრული პროდუქტი (MPL) შრომის მოცულობის ზრდის კვალობაზე.



ნახ. 2.13. საწარმოო ფუნქცია. გრაფიკზე საწარმოო ფუნქციის მრუდი გვიჩვენებს, თუ რა დამოკიდებულებაშია პროდუქციის გამოშვება გამოყენებული შრომის მოცულობასთან კაპიტალის უცვლელი ოდენობის პირობებში: წარმოება მატულობს შრომის გამოყენების ზრდის კვალობაზე, ამასთან საწარმოო ფუნქციის დამრეცი ხასიათი მიანიშნებს MPL-ის თანდათანობით კლებაზე.

გრაფიკი გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება წარმოების მოცულობა შრომის გამოყენების ზრდის კვალობაზე უცვლელი (ფიქსირებული) კაპიტალის პირობებში. აქ ზღვრული პროდუქტი წარმოსახულია საწარმოო ფუნქციის გრაფიკის (მრუდის) დახრილობით: შრომის გამოყენების ზრდის კვალობაზე მრუდი სულ უფრო დამრეც ხასიათს იღებს, რაც ზღვრული პროდუქტის კლებადობაზე მიანიშნებს.

როდესაც კონკურენციული ფირმა, ცდილობს რა მიაღწიოს მოგების მაქსიმუმს და წყვეტს რა საკითხს, დაიქირავოს თუ არა დამატებითი მუშაკი (გამოიყენოს თუ არა დამატებითი შრომა), პირველ რიგში იმაზე ფიქრობს, თუ როგორ იმოქმედებს ეს მის მოგებაზე. ის ადარებს დამატებითი შრომის ერთეულის გამოყენების შედეგად გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციით მიღებულ დამატებით ამონაგებს შრომის ამ დამატებით ერთეულზე გაცემული ხელფასის მოცულობას.

ვინაიდან შრომის დამატებითი ერთეული პროდუქციის **MPL** ერთეულს აწარმოებს, ხოლო პროდუქციის ყოველი ერთეული ერთნაირი „**P**“ ფასით იყიდება (ფასი არ იცვლება), ფირმის დამატებითი შემოსულობანი (ამონაგები) შეადგენს

Px**MPL**.

შრომის დამატებით ერთეულზე დანახარჯი კი ტოლია დამატებითი ხელფასისა (“**W**”). მაშასადამე, შრომის დამატებითი ერთეულის მოზიდვით (გამოყენებით) გამოწვეული მოგების ცვლილება შეადგენს:

Δმოგების[1]**=Δამონაგების-Δდანახარჯების=P**x**MPL−W**

ამჯერად კი ჩვენ უკვე შეგვიძლია ვუპასუხოთ ადრე დასმულ კითხვას: რამდენ შრომას გამოიყენებს ფირმა?

ფირმის მმართველს, რა თქმა უნდა, ესმის, რომ სანამ დამატებითი პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი (ამონაგები), ანუ დამატებითი პროდუქციის ღირებულება (რეალიზაციის ფასი, საბაზრო ფასი) – **P**x**MPL** მეტია ხელფასის განაკვეთისა (ხელფასზე დანახარჯებისა) – **W**-ზე (ე.ი. დამატებითი შრომის გამოყენების ხარჯებისა), შრომის დამატებითი ერთეული ადიდებს მოგებას. მაშასადამე ფირმის მმართველი მანამდე გააგრძელებს მუშაკების დაქირავებას, სანამ **MPL**-ის ზრდის შედეგად მიღებული დამატებითი ამონაგები არ გაუტოლდება დამატებით ხელფასს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფირმის მოთხოვნას შრომაზე განსაზღვრავს ტოლობა:

Px**MPL=W**

ჩავწეროთ ეს განტოლება შემდეგნაირად:

MPL=W/P

W/P — ეს არის რეალური ხელფასი, ანუ შრომის ანაზღაურება, გამოხატული არა ფულში, არამედ გამოშვებული პროდუქციის ერთეულში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **შრომის რეალური ფასი — ეს ის ხარჯებია, რომლებსაც ეწევა ფირმა შრომის ერთეულის დაქირავებისათვის და რომლებიც გამოხატულია არა ფულში, არამედ იმ საქონლის ერთეულებში, რომლის გამოშვებასაც უზრუნველყოფს შრომის ამ ერთეულის გამოყენება.**

რეალური ხელფასი — ეს საკუთარი წარმოების საქონელ-მომსახურების რაოდენობაში გამოხატული მყიდველობითი უნარია, რომელსაც იხდის ფირმა შრომის ერთეულის დასაქირავებლად. მოგების მაქსიმიზაციისათვის ფირმა მანამდე გააგრძელებს მუშაკთა დაქირავებას, სანამ შრომის ზღვრული პროდუქტი არ გაუტოლდება რეალურ ხელფასს.


გამოვსახოთ გრაფიკზე **MPL** — ის მრუდი (იგივე შრომაზე მოთხოვნის მრუდი) — იხილეთ მომდევნო გვერდზე **ნახ. 2.14**.

გამოშვებული პროდუქციის ღირებულება (ფასი) ტოლია გამოყენებული შრომის ფასისა (ხელფასისა), **OA=OB**, გამოხატულის გამოშვების ერთეულებში.

გადავიდეთ ფირმის მიერ **კაპიტალის** გამოყენებაზე.

კაპიტალის გამოყენების მოცულობის საკითხის გადაწყვეტისას ფირმა იგივე პრინციპით ხელმძღვანელობს, როგორც შრომის დაქირავებისას — მიიღოს მაქსიმალური მოგება. ეს კი და-

[1] სიმბოლო **Δ** — **დელტა** ნიშნავს ცვლადის მატების მოცულობას.



ნახ. 2.14. შრომის ზღვრული პროდუქტის (MPL-ის) გრაფიკი. MPL დამოკიდებულია გამოყენებული შრომის რაოდენობაზე. MPL-ის გრაფიკი (მრუდი) დახრილია დაბლა, ვინაიდან მისი მოცულობა მცირდება შრომის ზრდის კვალობაზე. ფირმა კი მანამდე დაიქირავებს დამატებით მუშაკებს, სანამ რეალური ხელფასი (W/P) არ გაუტოლდება MPL-ს. მაშასადამე, ეს გრაფიკი ამავდროულად შრომაზე მოთხოვნის მრუდიცაა.

კავშირებულია კაპიტალის საწარმოო ფუნქციასთან — კაპიტალის გამოყენების ზრდის კვალობაზე იზრდება პროდუქციის გამოშვება. მაშასადამე, **კაპიტალის ზღვრული პროდუქტი** (Marginal product of capital — MPK) (ესეც გავიმეოროთ), არის გამოშვებული პროდუქციის დამატებითი მოცულობა, რომელიც მიღებულია კაპიტალის დამატებითი ერთეულის გამოყენებით შრომის დანახარჯის უცვლელობის პირობებში. ეს არის წარმოების მოცულობის ზრდა კაპიტალზე დანახარჯის ერთეულების ზრდის შედეგად. მათემატიკურად ეს შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ:

MPK=f(L,K+1)-f(L,K)

ე.ი. კაპიტალის ზღვრული პროდუქტი არის სხვაობა **K+1** ერთეულის კაპიტალის გამოყენების შედეგად მიღებული პროდუქციის მოცულობასა და კაპიტალის **"K"** ერთეულის გამოყენებით მიღებული პროდუქციის მოცულობას შორის. კაპიტალის ზღვრული პროდუქტი, როგორც შრომის ზღვრული პროდუქტი, კლებულობს.

კაპიტალის დამატებითი ერთეულის (ვთქვათ, საკერავი მანქანის) გამოყენებით მიღებული მოგების ზრდა უდრის იმ დამატებითი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებულ ამონაგებს, რისი გამოშვებაც უზრუნველყო ამ დამატებითმა მანქანამ, გამოკლებული მის გამოყენებაზე გაწეული დანახარჯები:

Δმოგების=Δამონაგების-Δდანახარჯების=PxMPK-R.

მოგების მაქსიმიზაციისათვის ფირმა მანამდე გამოიყენებს (შეიძენს) დამატებით მოწყობილობას, სანამ **PxMPK** არ გაუტოლდება **"R"**-ს, ე.ი. სანამ **MPK** არ შემცირდება კაპიტალის რეალურ ფასამდე (შრომის რეალური ფასის ანალოგიურად):

PxMPK=R; MPK=R/P.

R/P — ეს კაპიტალის რეალური ფასია. **კაპიტალის რეალური ფასი არის კაპიტალის გამოყენების ხარჯი, გამოხატული არა ფულში, არამედ ამ ერთეულის გამოყენების შედეგად გამოშვებული საქონლის ერთეულებში.**

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მოგების მაქსიმიზაციისაკენ განწყობილი კონკურენციული ფირმა იმ საკითხის გადაწყვეტისას, თუ რამდენი უნდა გამოიყენოს წარმოე-

ბის პროცესში შრომა და რამდენი კაპიტალი, უბრალო წესს მისდევს: წარმოების ყოველ ფაქტორზე ის მანამდე წარადგენს (წააყენებს) მოთხოვნას, სანამ ამ ფაქტორის ზღვრული პროდუქტი არ გაუტოლდება მის რეალურ ფასს.

გავაანალიზეთ რა წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნის ფორმირების საკითხი, ჩვენ უკვე შეგვიძლია ავხსნათ, თუ როგორ ნაწილდება ეროვნული შემოსავალი მთლიანად ეკონომიკაში.

თუ ეკონომიკაში ფუნქციონირებადი ფირმები კონკურენციულია და ისინი მოგების მაქსიმიზაციას ესწრაფვიან, მაშინ წარმოების ყოველ ფაქტორზე ზუსტად იმდენი შემოსავალი მოდის, რამდენ ზღვრულ პროდუქტსაც ქმნის ეს ფაქტორი პროდუქციის საერთო გამოშვებაში.

ეს იმას ნიშნავს (სხვა სიტყვებით), რომ ყოველი მუშაკის რეალური ხელფასი (შრომის ერთეულის ანაზღაურება) ტოლია **MPL**-ისა (შრომის ზღვრული პროდუქტისა), ხოლო მოწყობილობაზე (კაპიტალზე) ხარჯების კომპენსაცია (ეს რენტული შემოსავალია), რომელიც ეძლევა კაპიტალის მესაკუთრეს (შემოსავალი კაპიტალის ერთეულზე), ტოლია **MPK**-სი (კაპიტალის ზღვრული პროდუქტისა). მაშასადამე, ხელფასზე საერთო რეალური ხარჯები (ანუ დაქირავებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება) შეადგენს **MPLxL**-ს, ხოლო კაპიტალის მესაკუთრეთა რეალური საერთო შემოსავალი **MPKxK**-ს.

შემოსავალი (ამონაგების ნაწილი), რომელიც ფირმის განკარგულებაში რჩება მას შემდეგ, რაც მან გაისტუმრა ყველა ფაქტორზე გაწეული ხარჯები (მ.შ. ე.წ. შინაგანი, ანუ ალტერნატიული, დანახარჯები), არის წარმოების (ფირმის) მესაკუთრის (ბიზნესმენის) ეკონომიკური მოგება.

საქმე ისაა, რომ მეწარმე შეიძლება მთლიანად ნასესხები კაპიტალური აქტივებით სარგებლობდეს, მაგრამ ის მაინც წარმოების (ფირმის) მესაკუთრეა, წარმოების ორგანიზატორია (შესაბამის შრომას ეწევა), მეწარმეობრივი უნარის მატარებელი და გამომხატველია და ამაზე თავისებურ „ზღვრულ შემოსავალს", ანუ რეალურ მოგებას იღებს.

რეალური ეკონომიკური მოგება, ანუ ეკონომიკური მოგება=Y-(MPLxL+MPKxK)

ჩვენი ამოცანა კი, როგორც აღინიშნა, იმაში მდგომარეობს, რომ შევისწავლოთ ეროვნული შემოსავლის განაწილება. ამიტომ გადავაჯგუფოთ ტოლობის წევრები შემდეგნაირად:

Y=MPLxL+MPKxK+ეკონომიკური მოგება

როგორც ვხედავთ, **ეროვნული შემოსავალი იყოფა დაქირავებულ მუშაკთა შემოსავალზე, კაპიტალის მესაკუთრეთა შემოსავალზე და ეკონომიკურ მოგებაზე** (ფირმის მესაკუთრეთა მოგება, იგივე მეწარმეობრივი უნარ-საქმიანობის ანაზღაურება).

აქ ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას უნდა გაესვას ხაზი განსაკუთრებით: ეროვნული შემოსავლის საბაზრო ეკონომიკაში განაწილების ნეოკლასიკური კონცეფცია ამტკიცებს (და ეს ძალზე საგულისხმოა), რომ ეროვნული შემოსავლის წარმოება და განაწილება ერთდროული და ურთიერთგანმაპირობებელი პროცესია; ის ფაქტობრივად ეკონომიკური კვლავწარმოების შინაგანი მექანიზმების მოქმედებით რეგულირდება.

ეროვნული შემოსავლის ზემოხსენებული განაწილება თეორიული კონცეფციაა, თეორიული მოდელია. რეალურ ცხოვრებაში შემოსავლის ასეთი განაწილება-დაყოფა გართულებულია. ამიტომ არის, რომ **მოგების ცნება მისი ჩვეულებრივი გაგებით არ არის იგივე, რაც ეკონომიკური მოგება.**

ეკონომიკაში სამი სახის მონაწილე ფუნქციონირებს: **დაქირავებული მუშაკები** (მშრომელები), **კაპიტალის მესაკუთრეები** (ამ შემთხვევაში, როგორც ითქვა, დაშვება გვაქვს გაკეთებული, რომ ეროვნული შემოსავალი იქნება მხოლოდ შრომის — **L** და კაპიტალის — **K** გამოყენებით) და **ფირმის მესაკუთრეები** (წარმოების ორგანიზატორები — **მეწარმეები**). ასეთ შემთხვევაში მთელი შემოსავალი სამ ნაწილად უნდა გაიყოს: ხელფასზე, კაპიტალის შემოსავალზე (პროცენტზე, რენტაზე) და ეკონომიკურ მოგებაზე. ეს მესამე ნაწილი მეწარმეობრივი უნარის, როგორც წარმოების ფაქტორის, ანაზღაურებაა, ეს **მეწარმის ინტელექტუალური კაპიტალის საფასურია.** წარმოების ორგანიზატორი თავის წილ „ზღვრულ პროდუქტს" ეკონომიკური მოგების სახით იღებს. განსხვავება იმაშია, რომ შემოსავლის მის ნაწილზე აისახება

როგორც წარმატებები, ისე წარუმატებლობა (ბედი და უბედობა, თუ გნებავთ), რომლებიც განსაკუთრებულად არის დაკავშირებული ბაზრის კონიუნქტურასთან, მეწარმეობრივ რისკთან.

როგორც ადრე აღინიშნა, ჩვენ დაშვება გვქონდა გაკეთებული ანალიზში, რომ წარმოებაში გამოყენებული აქტივები მთლიანად ნასესხებია. რეალურ ცხოვრებაში კი უმეტეს შემთხვევაში ფირმები თვითონ ფლობენ კაპიტალს ან მის მნიშვნელოვან ნაწილს (თვითონ არიან გამოყენებული კაპიტალის მესაკუთრეები). ამ შემთხვევაში მოგებაში, რომელსაც იღებს მეწარმე როგორც ფირმის მესაკუთრე (წარმოების ორგანიზატორი), ეკონომიკურ მოგებასთან ერთად, შედის აგრეთვე შემოსავალი იმ კაპიტალზე, რომელიც თვით მეწარმეს ეკუთვნის.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ეკონომიკური მოგების და მეწარმის (წარმოების ორგანიზატორის) საკუთრებაში არსებული კაპიტალის შემოსავლის ჯამს ბუღალტრული მოგება ეწოდება და ის ტოლია:

ბუღალტრული მოგება=ეკონომიკურ მოგებას+MPKxK *(K — მეწარმის საკუთარი კაპიტალი).*

ბუღალტრული მოგება არის ამონაგების ნაწილი, რომელიც რჩება ფირმის მესაკუთრის განკარგულებაში წარმოების ყველა მოზიდული ფაქტორის დანახარჯების ანაზღაურების შემდეგ.

მაგრამ ვინაიდან ბუღალტრულ მოგებაში პირდაპირ არ ჩანს, თუ რა ეკუთვნის წარმოების მესამე ფაქტორს (ანუ მეწარმე კაპიტალისტს მისი მეწარმეობრივი საქმიანობის ასანაზღაურებლად), მთელი მოგება წარმოჩინდება როგორც წარმოების მესაკუთრის კაპიტალის შემოსავალი.

ზემომოტანილი მოსაზრებები გვაძლევს საშუალებას ვუპასუხოთ ადრე დასმულ კითხვაზე: როგორ მიემართება ეკონომიკაში შექმნილი ეროვნული შემოსავალი ფირმებიდან საოჯახო მეურნეობებში, ანუ როგორ ნაწილდება ის საბაზრო ეკონომიკაში.

წარმოების ყოველი ფაქტორი (მისი მესაკუთრე) იღებს კომპენსაციას, რომელიც ტოლია მისი ზღვრული პროდუქტისა და წარმოების ფაქტორების ასეთი სახით ანაზღაურება ამოწურავს მთელ შემოსავალს.

მაშასადამე, მთელი შემოსავალი ნაწილდება შრომის ანაზღაურებაზე, კაპიტალის ანაზღაურებაზე და მეწარმის ანაზღაურებაზე (მაგრამ ყოველთვის გვახსოვს, რომ მეწარმის, ბიზნესმენის შემოსავალში, საკუთარი კაპიტალის რენტულ შემოსავალთან ერთად, მუდამ აისახება, „ზის" წარმოების მესამე ფაქტორის — მეწარმეობრივი უნარ-ჩვევების ანაზღაურებაც), მათი ზღვრული მწარმოებლურობის შესაბამისად.

ეროვნული შემოსავლის განაწილების სამართლიანობა

ეროვნული შემოსავლის ასეთი პრინციპით განაწილება (ფაქტორების მწარმოებლურობის შესაბამისად) სამართლიანია ეკონომიკური თვალსაზრისით: შექმნილი ეროვნული შემოსავლიდან ყოველი ფაქტორის მესაკუთრე იმ წილს ეუფლება, რამდენის შექმნაც უზრუნველყო წარმოებაში გამოყენებულმა მისმა ფაქტორმა. ლიტერატურაში ფართოდ არის აღიარებული (და სწორია უდავოდ), რომ ეროვნული შემოსავლის განაწილებაში გამოთანაბრების მცდელობა უარყოფითად მოქმედებს მწარმოებლურობაზე (ეცემა მოტივაცია და ეკონომიკური ზრდა). ამასთან, **ეკონომიკურ სამართლიანობასთან** ერთად, არსებობს **ზნეობრივი სამართლიანობა.** მართალია, ეს უკანასკნელი ძირითადად ეკონომიკურ მოვლენებს მიღმა იმყოფება და თითქოს ჩვენი მსჯელობის საგანი არ უნდა იყოს, მაგრამ შევეცდებით საპირისპირო დავასაბუთოთ: ამ საკითხის ეკონომიკური მეცნიერების პოზიციიდან გააზრების აუცილებლობის მიზეზებიც არსებობს, მ.შ. ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც.

შევეხოთ მათ მოკლედ.

1. ფირმების მიერ წარმოების ფაქტორების გამოყენებისათვის საზღაურის გაღება უპირველესად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია ამ ფაქტორების პროდუქტიულობა: **წარმოების (შესაბამისად, მოგების) რაც უფრო მეტად გაზრდას ან გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს დამატებითი კაპიტალის ან შრომის მოზიდვა, მით უფრო მეტის გადახდაზე იქნებიან საწარმოები თანახმა.**

ბაზარზე წარმოების ფაქტორებზე ფასების ჩამოყალიბებაზე კი, ამ ფაქტორების მწარმოებლურობასთან ერთად, მათი არსებობაც (მათი მიწოდებაც), ანუ ბაზარზე მათზე მოთხოვნის გაჯერებაც ზემოქმედებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **წარმოების ფაქტორებს შორის შემოსავლის განაწილებას, მათ მწარმოებლურობასთან ერთად, ამ ფაქტორებზე არსებული მოთხოვნა და მათი მიწოდება განაპირობებს:**

- თუ კაპიტალი და ბუნებრივი რესურსები არასაკმარისია საწარმოების (ფირმების) მოთხოვნასთან შედარებით, კაპიტალის გამოყენების და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის ფასი გაიზრდება, გაიზრდება კაპიტალის შემოსავლისადმი მოთხოვნები, მისი მესაკუთრეები კაპიტალის გამოსაყენებლად დათმობისათვის მეტ ანაზღაურებას (რენტული შემოსავლის ნაწილს) მოითხოვენ (საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება), მაშასადამე, საწარმოებმა კაპიტალის სესხად აღებისათვის მოგებიდან მეტი სახსრები უნდა გაიღონ. ეს ეროვნულ შემოსავალში (მის განაწილებაში) კაპიტალის მესაკუთრეთა კუთრი წონის ზრდას გამოიწვევს მეწარმეებისა და მუშაკების ხარჯზე;
- თუ ბაზარზე სამუშაო ძალის დეფიციტი არსებობს (რეალურადაა მუშახელის ნაკლებობა თუ ხელოვნურად — პროფკავშირების ზემოქმედების შედეგად), დაქირავებული მუშაკები შრომის მეტ ანაზღაურებას მოითხოვენ; ამის შედეგად კი ეროვნულ შემოსავალში მათი კუთრი წონის ზრდას ექნება ადგილი (წარმოების სხვა ფაქტორების მესაკუთრეთა ხარჯზე).

2. **ეროვნულ შემოსავალში ხელფასის, მოგების და პროცენტის შეფარდებას შემოსავლის ფუნქციური განაწილება ეწოდება.** ეს შეფარდება ეროვნული შემოსავლის ფაქტორებს შორის განაწილების მაჩვენებელია, იმის მიმანიშნებელია, როგორც ვიცით, თუ რამდენი ერგო შრომას და რამდენი სხვა ფაქტორებს. შემოსავლის ასეთი განაწილება „სუფთა" საბაზრო ურთიერთობებს ეხება, როდესაც ეროვნული შემოსავალი პირდაპირ იმის შესაბამისად იყოფა წარმოების პროცესში მონაწილეებზე, თუ რა ფასები წესდება ბაზარზე წარმოების ფატორებზე თავისუფალი კონკურენციის პირობებში (ე.ი. მოთხოვნისა და მიწოდების ისეთი შეფარდება-შეჯერების შესაბამისად, რაზედაც სხვა გარე ძალები არ მოქმედებს). ამასთან ისიც ხომ ვიცით, რომ ასეთი „სუფთა" საბაზრო ურთიერთობები თითქმის არ არსებობს.
3. ეკონომიკური სამართლიანობის პრინციპის მთლიანი აბსოლუტიზაცია სწორი არ იქნებოდა, ჩვენი აზრით, ვინაიდან, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საზოგადოებაში (ადამიანებში) არსებობს ისეთი ნაწილი, რომელიც „წარმოების ფაქტორების" აბსტრაქტულ ცნებაში საერთოდ ვერ ეტევა (ვერ ექცევა). ეს ეხება ფიზიკურად უძლურებს (ავადმყოფებს, პატარებს, ხანდაზმულებს), რომლებსაც წარმოების ფაქტორების ბაზარზე არაფერი ესაქმებათ, ვინდაინად ხშირად არც ერთ ფაქტორს არ ფლობენ.
4. ამას, ვფიქრობთ, ისიც უნდა დაემატოს, რომ წარმოების ფაქტორების მესაკუთრეთა შორის **ბაზრის კონიუნქტურა** მუშებისათვის მეტ-ნაკლებად თითქმის ყოველთვის უფრო არახელსაყრელია, მათ მიერ თავიანთი საკუთრების (შრომის) გაყიდვის მუხტი (შიმშილის და სხვა პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება) კაპიტალის რეალიზაციის (ასევე მიწის იჯარით გაცემის) მუხტზე ძლიერია (ერთგვარი ექსპლუატაციის მიზეზი). ამ მიმართულებით მოქმედებს ასევე შრომის და კაპიტალის ფაქტორების სპეციფიკურობა, მათი თვისებრივი განსხვავებულობა: მაშინ **როდესაც კაპიტალი (ფული) ყველაზე ლიკვიდური საქონელია, შრომა ნაკლებლიკვიდურია, შრომის მიწოდება დაბალი ელასტიკურობით ხასიათდება ფასის მიმართ, სამუშაო ძალა ნაკლებად მოძრავია, მ.შ. ტერიტორიულად ნაკლებად მობილურია.**

შემოსავლის განაწილება, წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობასა და მათზე მოთხოვნა-მიწოდების კონიუნქტურასთან (მდგომარეობასთან) ერთად, დაქირავებულ მუშაკთა ორგანიზებულობაზე და პროფკავშირების ძლიერებაზეც (მათ შესაძლებლო-

ბაზეც) არის დამოკიდებული. პროფკავშირების მოქმედებას შეუძლია შეცვალოს შემოსავლის როგორც **ფუნქციური**, ისე **„ვერტიკალური" განაწილება**; ეს იქნება ბაზრის კონიუნქტურის მასში მონაწილე წარმოების ფაქტორების მესაკუთრეთათვის ერთგვარი გამოთანაბრება, „სპეციფიკურობის" მოხსნა. დაქირავებულ მუშაკებს ძალუძთ გარკვეულწილად ერთობლიობაში გაზარდონ ეროვნულ შემოსავალში თავიანთი ხვედრითი წონა კაპიტალის კუთრი წონის ხარჯზე. თუ მუშაკთა პროფესიული ორგანიზების ხარისხი მაღალია და პროფკავშირული მოძრაობა ერთიანია (დაქსაქსული არ არის), **ხელფასის პოლიტიკაში** (მ.შ. მინიმალური ხელფასის დაწესებით, სხვადასხვა პროფესიის მუშაკებს შორის ანაზღაურების მეტ-ნაკლები გამოთნაბრების გზით) შეიძლება მიღწეულ იქნეს ეროვნული შემოსავლის გარკვეული გადანაწილება დაქირავებულ მუშაკთა სასარგებლოდ, აგრეთვე მათი სხვადასხვა ჯგუფების ხელფასების ერთგვარი მოსწორება. თუ პროფკავშირებში ერთიანობა არ არის, მათ თავკერძა ინტერესების დაკმაყოფილებისათვის საქმიანობას შეიძლება ხელფასებში განსხვავების გაღრმავება და უსამართლობის გაზრდა მოჰყვეს.

5. ეროვნული შემოსავლის განაწილებაში პრობლემა, ჩვენი აზრით, მარტო კუთვნილზე ნაკლები შემოსავლის მიმღებთა სიდუხჭირეს კი არ ეხება, არამედ მნიშვნელოვანწილად მთელი საზოგადოების მომავალს. საქმე ისაა, რომ ეროვნული შემოსავლის განაწილებას წარმოებაში მონაწილე სუბიექტებს შორის (თანაც როგორც „ეკონომიკური სამართლიანობის", ისე მორალური სამართლიანობის თვალსაზრისით) დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური განვითარებისთვის. თუ ეს განაწილება მთლიანად ბაზარს მიენდო, ეროვნული შემოსავალი წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობის შესაბამისად მოხდება; მაგრამ ამას, როგორც ცნობილია (და ამაზე არ დაობენ), საზოგადოების ძალიან მდიდრებად და ძალიან ღარიბებად დაყოფის ტენდენცია ახასიათებს. ეს კი წარმოების განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედებს:
   - ჯერ ერთი, ამ პირობებში „ძალიან მდიდრების" ქცევისათვის სულ უფრო დამახასიათებელი ხდება მიღებული შემოსავლის ფუფუნებაზე და ახირებაზე, ანუ უსარგებლოდ, არამწარმოებლურად გამოყენება; ე.ი. კაპიტალის მეწარმოებრივად გამოყენების ნდომა-განწყობა (ეკონომიკური განვითარების უზრუნველმყოფი მუხტი) ერთგვარად ეცემა, შესაბამისად, დაბალია ეკონომიკური ზრდა;
   - მეორე მხრივ, ღარიბად ქცეულები თუ დარჩენილები (ეს პირველ რიგში წარმოების ძირითად ფაქტორს — შრომას ეხება) კი მიღებული დაბალი შემოსავლიდან ნაკლებს ზოგავენ და ნაკლებ სახსრებს მიმართავენ თავიანთი მწარმოებლურობის გაზრდის უზრუნველმყოფ ცოდნა-განათლების მისაღებად, ჯანმრთელობის შენარჩუნება-გაუმჯობესებისათვის. ასე რომ **ეროვნული შემოსავლის პირვანდელი განაწილება (საბაზრო მექანიზმებზე დაყრდნობით, ანუ წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობიდან გამომდინარე) შემდგომში ხელისუფლებამ (საზოგადოებამ) ერთგვარად უნდა მოასწოროს არა მარტო მორალური სამართლიანობის პოზიციიდან (რომ დაბალშემოსავლიანებს დაეხმაროს კეთილდღეობის ამაღლების თვალსაზრისით), არამედ იმისათვისაც, რომ ასეთი გადანაწილება გახდეს თვით ეკონომიკური განვითარების, სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევის განმაპირობებელი ფაქტორი.**

ეროვნული შემოსავლის გადანაწილება

ზემოგანხილული (და სხვა) მიზეზები იწვევს იმის აუცილებლობას, რომ ეროვნული შემოსავლის პირვანდელ განაწილებაში სახელმწიფომ (საზოგადოებამ) შეიტანოს გარკვეული კორექტივები (გადანაწილება). სამეურნეო სტრუქტურები და მოქალაქეები თავიანთი შემოსავლიდან იხდიან სხვადასხვა გადასახადს (ბეგარას), რომლის მოცულობა ძირითადში უკავშირდება მათი შემოსავლის ოდენობას. სამაგიეროდ, მოსახლეობა სარგებლობს საზოგადოებრივი მომსახუ-

რებით („უფასო" თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და სხვა) ან იღებს სხვადასხვა სახის შემწეობას (დახმარებას) — ე.წ. ტრანსფერტებს.

ტრანსფერტი, ანუ „დაუბრუნებელი გადასახდელი, არის რესურსების (ფულის, საქონლის, მომსახურების) ისეთი გადაცემა (მიღება), რომელსაც შესაბამისი ანაზღაურება (ან კომპენსაცია) არ მოჰყვება. ტრანსფერტების განსხვავებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მათი მიმღები პირები არ მონაწილეობენ (ან მათი მონაწილეობა შეზღუდულია) ერთობლივი ეროვნული პროდუქტის (მთლიანი შინა პროდუქტის) მიმდინარე მოცულობის შექმნაში. ეს არის, მაგალითად, დახმარება ბავშვებზე და უმუშევრებზე, პენსიები და სხვა.

ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილების მოცულობების (პროპორციების) ჩამოყალიბებაში ხელისუფლება ზოგ შემთხვევაში გარკვეულ ადმინისტრაციულ (არასაბაზრო) მეთოდებსაც მიმართავს. ეს არის, მაგალითად, ხელფასის მინიმუმის და სამუშაო დროის ზედა ზღვარის დაწესება.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში როგორც ჩვეულებრივი (ტრადიციული) სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულებისათვის, ისე მთელი რიგი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის ფართოდ გამოიყენება **სახელმწიფო ფინანსები**. დღეს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების ქვეყნებში სახელმწიფო გავლენას ახდენს როგორც ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილებაზე, ისე მის წარმოებაზე, მოხმარების სფეროზე, წარმოების სტრუქტურის ცვლილებაზე, საერთოდ წარმოების დინამიკურობაზე და ტემპებზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ფინანსების როლი სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

ასე რომ საზოგადოების წევრების მიერ ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება საგრძნობლად განსხვავდება მისი წარმოების ფაქტორებზე პირველადი (ფაქტორების მწარმოებლურობის და მათი ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნის შესაბამისი) განაწილებისაგან.

თუ ინდივიდთა სხვადასხვა შემოსავალს მივუმატებთ მათ მიერ მიღებულ სხვადასხვა სახის დახმარებას და გამოვაკლებთ გადასახადებს (აუცილებელ გადასახდელებს), მივიღებთ (ამას კიდევ ერთხელ გავიმეორებთ) ე.წ. „განკარგულებაში არსებულ (განსაკარგავ) შემოსავალს". ეს ის შემოსავალია, რაც ფაქტობრივად გააჩნია ინდივიდს საგადასახადო ვალდებულებების და დოტაციების გათვალისწინებით. ეს არის ნამდვილი შემოსავალი, რომელსაც ფაქტობრივად ფლობს და იყენებს ინდივიდი თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ყველა განვითარებულ ქვეყანაში განკარგულებაში არსებული შემოსავალი უფრო გამოთანაბრებულია, ვიდრე შემოსავალი ფაქტორების შესაბამისად პირველადი განაწილების დროს. პროფკავშირების საქმიანობა და საზოგადოებრივი სექტორი ამცირებენ წარმოების ფაქტორების შესაბამისად შემოსავლის განაწილებით წარმოქმნილ გადამეტებულ (სოციალურად მიუღებელ) განსხვავებასა და უსამართლობას.

არც ერთ ინდუსტრიულად განვითრებულ ქვეყანაში არ ითვლება უსათუოდ მისაღებად შემოსავლის იმ სახით საბოლოო განაწილება, როგორც ეს ჩამოყალიბდებოდა აბსოლუტურად თვითრეგულირებად ეკონომიკაში. ყველა ქვეყანაში არსებობს შემოსავლის მეტ-ნაკლები საზოგადოებრივი გადანაწილება — იმათგან, ვისაც მაღალი შემოსავალი აქვს, იმათ სასარგებლოდ, ვისაც დაბალი შემოსავალი გააჩნია ან საერთოდ არა აქვს იგი. მაშასადამე, მეტი შემოსავლის მფლობელები გაზრდილ გადასახადს იხდიან, ნაკლები შემოსავლის მქონენი კი მეტ დახმარებას იღებენ.

იმის აღიარება-კონსტატაცია, რომ შემოსავლის პირველადი განაწილების შედეგების სხვადასხვა საშუალებებით გადანაწილებით შეცვლა ყველგან ხდება, არ ნიშნავს, რომ ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილების პრობლემა გადაწყვეტილია ეკონომიკურ თეორიაში და რომ შემუშავებულია რაღაც ყველასათვის და ყოველი შემთხვევისათვის მისაღები მოდელი. არა, რეალობაში ყველაფერი პირიქით არის: შემოსავლის გადანაწილების და ერთგვარად გამოთანაბრების პრობლემა სისტემატური დებატების საგანია როგორც საერთოდ, ისე ყველა ქვეყანაში. უპირველეს ყოვლისა, **სადავოა გამოთანაბრების დონის საკითხი, ვინაიდან ძნელია, უფრო სწორად, პრაქტიკულად შეუძლებელია მისი განსაზღვრის ყველგან და ყოველთვის ობიექტური კრიტერიუმების დადგენა.**

შედარებით კონსერვატიულად განწყობილ ეკონომისტებს და პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ შემოსავლის გამოთანაბრება ძალზე უმნიშვნელო (მინიმალურად აუცილებელ დონეზე) უნდა იყოს, ვინაიდან მას შეიძლება შრომისა და მეწარმეობრივი მოტივაციის შენელება და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის დაცემა მოჰყვეს.

უფრო რადიკალურად მოაზროვნენი კი თვლიან, რომ შემოსავლის საბაზრო განაწილებაში შედარებით უფრო ფართო ჩარევაც კი მისაღებია, თანაც არა მარტო ზნეობრივი სამართლიანობის პოზიციებიდან, არამედ, როგორც უკვე ითქვა, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც კი. ისინი მიიჩნევენ, რომ ამ განაწილებაში გარკვეული ჩარევა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, და მოჰყავთ ამ დებულების შემდეგი, უაღრესად საყურადღებო დასაბუთება:

- თუ დახმარებების (გადანაწილების) წყალობით მიღწეული იქნება, რომ ღარიბები (ღატაკები) სამედიცინო მომსახურებას ეღირსებიან, განათლების საშუალება და სურვილი გაუჩნდებათ, ეს, საბოლოო ჯამში, ეკონომიკურ ზრდაზე დადებითად იმოქმედებს;
- შემოსავლის მეტ-ნაკლები გამოთანაბრება გარკვეულ შემთხვევაში ხელს უწყობს წარმოების პროგრესულ სტრუქტურულ გარდაქმნას, ვინაიდან მაღალმწარმოებლური საწარმოები უფრო მაღალ მოგებას მიიღებენ, ვიდრე სხვა პირობებში, ამავდროულად მოხდება დაბალპროდუქტიული საწარმოების გამოდევნა;
- ადამიანებს მარტო მატერიალური ანაზღაურება კი არ ამოძრავებთ და არ ასულდგმულებთ. ჩვენ სამუშაო განწყობას განაპირობებს აგრეთვე „მორალური სტიმულები", შეგნება (მენტალიტეტი).

თეორიულად ძნელია ასეთი მოსაზრებების უკუგდება; მართლზომიერია, ალბათ, შეხედულება, რომ შეიძლება არსებობდეს სახალხო მეურნეობა, სადაც ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი რესურსების გადაადგილება შეიძლება მიღწეულ იქნეს დაბალი გასამრჯელოს პირობებშიც. მაგრამ ეკონომიკურ ზრდაში განვითარებული ქვეყნების მიღწევები და ფაქტობრივად გათანაბრებით განაწილებაზე დამყარებული ფსევდოსოციალისტური ქვეყნების მნიშვნელოვანწილად ეკონომიკური სტაგნაცია მაინც იმის დამადასტურებელი ფაქტებია, რომ **შემოსავლის ზედმეტი გამოთანაბრება ვნებს წარმოების სტიმულებს, ამუხრუჭებს ეკონომიკურ ზრდას. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამონახული იქნეს ის ზღვარი (დონე), რომელიც იძლევა სოციალური სიმშვიდისა და მყარი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის საშუალებას. ეს ზღვარი (შეფარდება, ოპტიმალური გადანაწილების დონე), მისი მიღწევის შემთხვევაშიც, არ შეიძლება ჩაითვალოს მუდმივად გამოსაყენებელ ჭეშმარიტებად.**

ზემოთქმული მიანიშნებს, რომ ეროვნული შემოსავლის გადანაწილების წესს, მ.შ. გასამრჯელოს სისტემას, პრინციპული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის ზრდისათვის: საუკეთესო (უმაღლესი, მაქსიმალურად შესაძლებელი) ეკონომიკური ზრდა რომ იყოს უზრუნველყოფილი, რესურსები იქით უნდა წარიმართოს (იქ უნდა იქნეს მიზიდული), სადაც ისინი ყველაზე მეტ უკუგებას იძლევა. როგორც შრომის, ისე კაპიტალის ბაზარი მოძრავი უნდა იყოს, სამუშაო ძალა და კაპიტალი ეკონომიკურად (გასამრჯელოს, შემოსავლის საფუძველზე) დაინტერესებული უნდა იყვნენ გადაადგილდნენ სტაგნირებადი დარგებიდან და რეგიონებიდან იქ, სადაც უფრო კარგი პერსპექტივებია. სწორედ გასამრჯელო — შემოსავალმა (ხელფასმა, მოგებამ) უნდა განაწყოს ადამიანები და საწარმოები (ფირმები), რომ მეტი გაიხარჯონ, სისტემატურად დანერგონ წარმოების ახალი მეთოდები, იდეები, ტექნიკური მიღწევები, წამოაყენონ და განახორციელონ სხვადასხვა პროგრესული ინიციატივები, აიმაღლონ კვალიფიკაცია. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფულადი გასამრჯელო ყოველთვის — სხვადასხვა მასშტაბით და საკმარისად მნიშვნელოვანი ვარიაციით და თითქმის ყველგან კარგი მუშაობისა და შემოქმედებითი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი სტიმულია.

დამატებითი კითხვის მასალა

იოზეფ შუმპეტერი

ეკონომიკურ პროცესებზე ინსტიტუციური და პოლიტიკური ვექტორების ზეგავლენის დადგენის ფუნდამენტური კვლევებით მეცნიერებაში ფაქტობრივად ახალი ერა შექმნა ცნობილმა ეკონომისტმა იოზეფ შუმპეტერმა.

ი. შუმპეტერი (1883-1950), წარმოშობით ავსტრიელი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. მან განსაკუთრებული სილრმისეულობით გამოიკვლია კონიუნქტურის, ბიზნესის თეორიის, ეკონომიკური ზრდის, ეკონომიკურ მენციერებათა ისტორიის და ეკონომიკური სისტემის პრობლემები. ის თავის ნაშრომებში ცდილობდა ეჩვენებინა ეკონომიკური ცხოვრების მთლიანობა და ურთიერთკავშირი.

შუმპეტერი დიდად აფასებდა მათემატიკური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობებს თანამედროვე ეკონომიკაში, თუმცა ეკონომიკური ცხოვრება გრაფიკებამდე და განტოლებების სისტემებამდე არასოდეს დაჰყავდა.

მისთვის ეკონომიკაში მთავარი ფიგურაა წარმოების მეპატრონე — მეწარმე; სწორედ მისი რისკის გაწევის უნარზე და ახალი, სხვადასხვანაირი კომბინაციების გამომგონებლობა — შექმნაზეა დამოკიდებული პირველ რიგში ეკონომიკური ზრდა.

ამასთან შუმპეტერი თვლიდა, რომ ეკონომიკური პროგრესისათვის მოცულობით ზრდაზე უფრო მნიშვნელოვანია ცვლილებები და ინოვაციები, ე.ი. ისეთი რამ, რაც „თავისუფალი შემოქმედების" პროცესში ძველის ახლით შეცვლას განაპირობებს.

მისი ყველაზე პოპულარული წიგნია „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია" (1942 წ.), რომელშიც მან, მარქსივით, კაპიტალიზმის დასასრული იწინასწარმეტყველა, მაგრამ სულ სხვა მიზეზების გამო, ვიდრე მარქსმა. მიზეზი, მისი აზრით, ის არის, რომ კაპიტალიზმს იმდენად ცნობილი და ძლიერი უპირატესობები გააჩნია, რომ ის „სასიკვდილოდ იმარჯვებს" თავის თავზე: „მეწარმეები სულ უფრო აწყდებიან მტრული განწყობის ატმოსფეროს, სადაც არ იცნობენ (არ სურთ გაითვალისწინონ) ფხიანობის მოთხოვნას; ამ უარყოფით ქმედობაში ყველაზე დიდს არა, მაგრამ არც ყველაზე ნაკლებ როლს ითამაშებენ ეკონომისტები, რომლებიც ბეცებივით მიაშტერდებიან „სუფთა" კონკურენციის მოდელებს და რომლებსაც დაავიწყდათ რეალობა და ფხიანობის ნამდვილი მნიშვნელობა".

კეინსთან ერთად, ი. შუმპეტერს ბევრი XX საუკუნის ყველაზე გავლენიან ეკონომისტად თვლის.

კითხვები და სასწავლო დავალებები

1. ახსენით, რას ნიშნავს წარმოების ფაქტორების და წარმოების მოცულობის ფუნქციური დამოკიდებულების დებულება. რა არის საწარმოო ფუნქცია?
2. ახსენით და შეაფასეთ საბაზრო ეკონომიკაში ეროვნული შემოსავლის განაწილების პრინციპი (ნეოკლასიკური კონცეფცია).
3. დაახასიათეთ საფინანსო ბაზარზე ინვესტიციური მოთხოვნა და საინვესტიციო რესურსების მიწოდება.
4. დაახასიათეთ: ინვესტიციების და საპროცენტო განაკვეთის ურთიერთქმედება (წონასწორობა საფინანსო ბაზარზე); პროცენტის ნომინალური და რეალური განაკვეთები.
5. განმარტეთ, როგორ ყალიბდება წონასწორობა საქონელ-მომსახურების ბაზარზე.
6. ახსენით, როგორ მოქმედებს საბიუჯეტო — საგადასახადო პოლიტიკა (შესყიდვების გაზრდა, გადასახადების შემცირება) დანაზოგებზე და ინვესტიციების მოცულობაზე.
7. ახსენით, როგორ მოქმედებს საინვესტიციო მოთხოვნის ცვლილებები (ტექნოლოგიური სიახლეები, სახელმწიფოს მიერ ბიზნესის რომელიმე მიმართულების წახალისება) ინვესტიციების მოცულობაზე: ა) დანაზოგის უცვლელობის პირობებში; ბ) როდესაც დანაზოგი საპროცენტო განაკვეთის ფუნქციაა.
8. დაუკავშირეთ ერთმანეთს ეროვნული შემოსავლის განაწილების სამართლიანობა — უსამართლობა და ეკონომიკური ზრდა.
9. რა დამოკიდებულებაა ინვესტიციის მოცულობასა და საპროცენტო განაკვეთს შორის და რომელ საპროცენტო განაკვეთს ვგულისხმობთ ამ დამოკიდებულებაზე საუბრისას?
10. როგორ დაუკავშირებთ ერთმანეთს მოხმარებასა და დანაზოგს შორის შეფარდებას და ეკონომიკურ ზრდას?
11. დაუკავშირეთ ერთმანეთს ქვეყნის ეკონომიკის ზრდა და მოსახლეობის ცოდნა-განათლება. დაასაბუთეთ დებულება დანაზოგ-ინვესტიციების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის პოზიციიდან.
12. როგორ მიგაჩნიათ, რატომ არის რთული ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილების პრობლემის სწორად გადაწყვეტა როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად?
13. ბერნარდ შოუ წერდა, რომ ქვეყანა, რომელიც „ფულს შამპანურზე ხარჯავს მაშინ, როდესაც ჯერ თავისი ბავშვები რძით არ დაუკმაყოფილებია, — ეს ცუდი მართვის, ამაოების, უგუნური, სულელური, უვიცი ქვეყანაა... ერთადერთი საშუალება, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ეს ქვეყანა გამდიდრდეს და აყვავდეს, იმაში მდგომარეობს, რომ უკეთ წარმართოს თავისი საოჯახო მეურნეობა, ე.ი. უზრუნველყოს თავისი მოთხოვნილებები მათი მნიშვნელობის შესაბამისად და არ დაუშვას ფულის ხარჯვა ახირებაზე და ფუფუნების საგნებზე, სანამ ხალხი სათანადოდ არ იქნება უზრუნველყოფილი პირველი საჭიროების საგნებით“. გაუკეთეთ კომენტარი ბ. შოუს მოსაზრებას ამ თემისა და განვლილი მასალის გამოყენებით.
14. როგორ გესმით ეროვნული შემოსავლის ფუნქციური და ვერტიკალური განაწილება?
15. როგორ ურთიერთობაშია ერთმანეთთან დღევანდელი საწარმოო და სამომხმარებლო ალტერნატივები და წარმოების მომავალი ზრდა?
16. როდესაც თქვენ უმაღლეს სკოლაში სწავლის დროს მნიშვნელოვან შრომისა და ფულად დანახარჯებს აწარმოებთ და ამ ინვესტიციების საკუთარ თავში დაბანდების წყალობით შესაბამის ცოდნას ღებულობთ, როგორ ფიქრობთ, ეს ქონებაა თუ შემოსავლის წყარო? როგორ შეიძლება მისი რაოდენობრივ მახასიათებლებში გადაყვანა და გაწეულ ხარჯებთან შედარება?

17. დაახასიათეთ ეეპ-ის (მშპ-ის) ბალანსი.

18. დავუშვათ, რომ პურის მწარმოებელმა ფირმამ დაიქირავა დამატებითი სამუშაო ძალა, გასცა მუშაკებს მეტი ხელფასი, მათ კი გამოუშვეს მეტი პური, მაგრამ მისი რეალიზაცია არ მოხდა. ახსენით, როგორ იმოქმედებს ეს ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ეეპ-ის მოცულობაზე: ა) თუ პურის გამოყენება საერთოდ ვერ მოხერხდა და ის გადაყრილ იქნა; და ბ) თუ პური, როგორც თავიდან იქნა დაგეგმილი, მოთავსებულ იქნა მარაგებში შემდგომი რეალიზაციისათვის.

19. 1968 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობისათვის იბრძოდა სენატორი რობერტ კენედი. ერთ-ერთ თავის სიტყვაში მან განაცხადა: „ერთობლივი ეროვნული პროდუქტი ვერ უზრუნველყოფს ჩვენი შვილებისათვის ჯანმრთელობას, მაღალხარისხოვან განათლებას და მხიარულ თამაშებს. ის არ გამოხატავს ჩვენი პოეზიის სილამაზეს, ჩვენთან ცოლ-ქმრობის სტაბილურობას, ჩვენი საზოგადოებრივი დებატების მაღალ ინტელექტუალურ დონეს და ჩვენი თანამდებობრივი პირების პატიოსნებას. ის ვერ ზომავს ვერც ჩვენ სიმამაცეს, ვერც ჩვენ სიბრძნეს, ვერც ჩვენ ერთგულებას ქვეყნისადმი. მთლიანობაში ის ყველას და ყველაფერს ზომავს (აფასებს), გარდა იმისა, რაც ცხოვრებას ღირსეულს (დასაფასებელს) ხდის; ის ამერიკაზე ყველაფერს მოგვითხრობს (გვიყვება), გარდა იმისა, რაც გვაიძულებს ჩვენ ვიამაყოთ იმით, რომ ამერიკელები ვართ.“ იყო თუ არა სწორი რ. კენედი და, თუ სწორი იყო, რისთვის გვჭირდება მაშინ ეეპ-ის მაჩვენებელი?

20. ახსენით ცნება „განსაკარგავი შემოსავალი“. რა მნიშვნელობა აქვს ამ მაჩვენებლს? ისაუბრეთ მოხმარებაზე, როგორც განსაკარგავი შემოსავლის ფუნქციაზე, ასევე მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებაზე.

სავარჯიშო ტესტები

შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი

1. წარმოების მოცულობას (საწარმოო შესაძლებლობებს) ქვეყანაში განაპირობებს:
   1) მოსახლეობის რიცხოვნობა;
   2) წარმოების ფაქტორების ერთობლიობა;
   3) საწარმოო ფუნქციის და წარმოების ფაქტორების ერთობლიობა;
   4) ქვეყნის ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე.

2. მოხმარებაზე ერთობლივ მოთხოვნას ეკონომიკაში განაპირობებს:
   1) მოსახლეობის რიცხოვნობა;
   2) ეროვნული შემოსავლის მოცულობა;
   3) მოსახლეობის დაზოგვისადმი მიდრეკილება;
   4) მოსახლეობის მოხმარებისადმი მიდრეკილება.

3. საქონელ-მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნის კომპონენტებია:
   1) მოხმარება;
   2) ინვესტიციები;
   3) სუფთა ექსპორტი;
   4) სახელმწიფო შესყიდვები.

4. თუ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთი დაბალია:
   1) მოგებიანი ინვესტიციების რაოდენობა ცოტაა;
   2) მოგებიანი ინვესტიციების რაოდენობა ბევრია;
   3) საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნა მიწოდებაზე მეტია;
   4) საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნა მიწოდებაზე ნაკლებია.

5. ეროვნული დანაზოგი არის:
   1) ეროვნული შემოსავლის ნაწილი მისგან მოხმარების მოცულობის გამოკლებით;
   2) კერძო და სახელმწიფო დანაზოგების ჯამი;
   3) ეროვნული შემოსავლის ნაწილი ინვესტიციების მოცულობის გამოკლებით;
   4) ეროვნული შემოსავლის ნაწილი მოხმარების და სახელმწიფო შესყიდვების გამოკლებით.

6. ეროვნული შემოსავალი საბაზრო ეკონომიკაში ნაწილდება, როგორც წესი:
   1) ისე, როგორც ამას ხელისუფლება გადაწყვეტს;
   2) წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობის შესაბამისად;
   3) სამუშაო ძალის სასარგებლოდ;
   4) დამქირავებელთა (კაპიტალისტთა) სასარგებლოდ.

7. ბუღალტრული მოგება არის:
   1) ერთობლივ ამონაგებს გამოკლებული ბუღალტრული (ხილული) ხარჯები;
   2) ერთობლივ ამონაგებს გამოკლებული უხილავი ხარჯები;
   3) ეკონომიკურ მოგებას გამოკლებული საკუთარი კაპიტალის დანახარჯები;
   4) ეკონომიკურ მოგებას გამოკლებული ნასესხები კაპიტალის დანახარჯები.



თემა III საბაზრო ეკონომიკა და სახელმწიფო

შესავალი

თემის სათაური ცალსახად მიგვანიშნებს, რომ მისი განხილვის შედეგად უნდა გავითავისოთ სახელმწიფოს (სახელმწიფო სექტორის) როლი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში, გავერკვეთ ამ ეკონომიკაში თვითრეგულირებისა და რეგულირების შეფარდებაში, გარკვეული რეგულირების აუცილებლობის მიზეზებში და ფარგლებში. ამისათვის კი მიზანშეწონილია პირველ რიგში აღვიდგინოთ და კიდევ უფრო განვიმტკიცოთ ჩვენი ცოდნა თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირების ძირითად მექანიზმებზე.

თავი 1. კონკურენცია როგორც „ბაზრის სული"

ჩვენ უკვე ვიცით, რომ შრომის დანაწილება, ადამიანის მეწარმეობრივი საქმიანობისადმი და მის საფუძველზე გაცვლისადმი მიდრეკილება ობიექტურად აქცევს მას საზოგადოებრივ არსებად — სხვებთან ურთიერთობების გარეშე ის ამ თავის ჟინს ბოლომდე ვერ დაიკმაყოფილებს. ამავდროულად სხვა ადამიანებთან კავშირის ამ სურვილს უპირველესად ადამიანის ეგოიზმი უძევს საფუძვლად: სხვებთან ურთიერთობებს ის მომავალი პარტნიორისადმი ლოიალობის გულისათვის კი არ ამყარებს, როგორც წესი, არამედ თავკერძობით ხელმძღვანელობს — რომ ამ კავშირის (გაცვლის) შედეგად თავისი პირადი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს, თანაც თავისთვის რაც შეიძლება უფრო სასარგებლოდ. საქონლის (მომსახურების) გაცვლის დროს მას ოპერაციის კონტრაჰენტი იმდენად აინტერესებს, რამდენადაც შესაძლებელი იქნება დაითანხმოს ის თავისთვის გამოსადეგ წამოწყებაზე. ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის მოძალებას ბევრი უკეთურება და უბედურება მოუტანია (და მოაქვს) კაცობრიობის ისტორიაში როგორც ცალკეული პიროვნებებისათვის, ისე ადამიანთა ერთობლიობისათვის, სანამ, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასა და სასაქონლო წარმოებასთან ერთად, არ წარმოჩინდა განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი, რომელიც ცალკეული ადამიანების (და ჯგუფების) ამ თავკერძა მიდრეკილებებს (საუბარია უპირატესად მატერიალურ ინტერესებზე) ერთმანეთს არ შეაჯერებდა და თითქმის ყველა მონაწილისათვის სასარგებლოს არ გახდიდა, ხოლო უარყოფით მოვლენებს მეტ-ნაკლებად არ მოასწორებდა და გაანეიტრალებდა. ეს არის **ბაზარი, საქონელთა თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის (ე.ი. ამ ოპერაციის მონაწილეთა მოტივაციის დაკმაყოფილების) ადგილი და პირობები.**

ბაზარი, საბაზრო ეკონომიკა დამყარებულია კერძო საკუთრებაზე და სასაქონლო წარმოებაზე.

სასაქონლო წარმოება (ე.ი. პროდუქციის გასაყიდად, გასაცვლელად და არა მოსახმარად დამზადება) და კერძო საკუთრება, ერთი მხრივ, განაცალკევებს მწარმოებლებს, გარკვეულწილად უპირისპირებს მათ ერთმანეთს, და, მეორე მხრივ, აუცილებელს ხდის მათ ურთიერთობებს, ვინაიდან ერთმანეთთან კავშირებისა და ურთიერთგაცვლის გარეშე მათ საქმიანობას აზრი არა აქვს. საქონელმწარმოებელთა ეს ურთიერთკავშირი ბაზარზე ხდება, სადაც

მწარმოებლები და მომხმარებლები (გამყიდველები და მყიდველები) მოთხოვნა-მიწოდების კანონების მოქმედების საფუძველზე საქონელთა (მომსახურების) გაცვლას ახდენენ. თუ ბაზარზე გასვლამდე წარმოებას (მიწოდებას) და მოხმარებას (მოთხოვნას) ერთმანეთთან, ასე ვთქვათ, იდეალური (წარმოსახვითი, განყენებული) კავშირ-ნაცნობობა აქვთ (მოხმარება-მოთხოვნაზე გარკვეული ინფორმაციის და პროგნოზის გარეშე სასაქონლო წარმოება უაზრობაა საერთოდ), ბაზარზე მათი პირდაპირი შეხვედრა ხდება და აქვე წყდება წარმოების შემდგომი ბედიც: საქონლის შეძენით ან მასზე უარის თქმით მომხმარებელი წყვეტს მისი შემდგომში გამოშვება-არგამოშვების საკითხს.

მაგრამ ეს კავშირი სასიკეთოდ მხოლოდ მაშინ იმუშავებს, როდესაც ბაზარზე ურთიერთობები თავისუფალია, როდესაც მომხმარებელს არჩევანის საშუალება აქვს, როდესაც თავისუფალი მეწარმეები ბაზრისაკენ მიილტვიან და მეტოქეობენ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაში, მომხმარებლის უკეთ მომსახურებაში და მის გადმობირება — მოზიდვაში. ე.ი. საბაზრო ურთიერთობები მაშინაა ნორმალური, როდესაც მარტო მომხმარებელი კი არ ეძებს მწარმოებელს (მის მიერ შექმნილ ნაწარმს), არამედ ეს უკანასკნელია კიდევ უფრო აქტიური; საქონლის (მომსახურების) დეფიციტი კი დამახინჯებულად წარმოაჩენს ამ ურთიერთკავშირს. საქონელ-მომსახურების მასობრივი დეფიციტი ართულებს მდგომარეობას, ძალზე ძაბავს და აუკუღმართებს კონკურენციას მომხმარებლებს შორის, მწარმოებლებს და გამყიდველებს კი (თითქმის ყველას) ბაზარზე მონოპოლიურ (გაბატონებულ) მდგომარეობას უქმნის. მაშასადამე, ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას მასში მოთხოვნაზე მიწოდების პერმანენტულად ერთგვარი მეტობის, ბევრი მომწოდებლის არსებობა წარმოადგენს, რაც (საქონლის მეტობა, ბევრი მომწოდებელი) მწარმოებლებს (გამყიდველებს) შორის საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ეკონომიკურ ბრძოლას (კონკურენციას) აფართოებს და აღრმავებს. სწორედ კონკურენცია განაპირობებს ეკონომიკური რესურსების ოპტიმალურად განაწილება-გადანაწილება-გამოყენებას, მათ ეფექტიან ალოკაციას და წარმოების მოცულობის გაფართოება — შეკვეცას. ასე რომ **თავისუფალი კონკურენცია საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების საფუძველია, „ბაზრის სულია“.**

ბაზრის ორივე მხარისათვის იქ არსებულ კონკურენციულ მდგომარეობაში გარკვევის და მის შესაბამისად საკუთარი ქცევის (მეწარმეობრივი, შრომითი საქმიანობის) განსაზღვრის მთავარი და შეუცვლელი სიგნალი — ინფორმაცია თავისუფალი ფასებია. ბაზარი სისტემატურად აწვდის სამეურნეო სუბიექტებს მოთხოვნისა და მიწოდების კანონებიდან გამომდინარე სამეურნეო საქმიანობაში გასათვალისწინებელ ეკონომიკურ სიგნალ-საზომებს (ფასების ცვლილება), რომლებიც საშუალებას აძლევს (და უბიძგებს ამავდროულად) მათ საზოგადოებრივი მოთხოვნის შესაბამისად მიმართონ წარმოება, საუკეთესოდ და ყველაზე ეფექტიანად ააწყონ წარმოების ფაქტორების კომბინაცია. **ფასების მეშვეობით ბაზარი წარმოების სტიმულირებისა და რეგულაციურ — საკონტროლო ფუნქციას ასრულებს:** მათი საშუალებით დგინდება წარმოებული პროდუქციის და მასზე დახარჯული შრომის და წარმოების სხვა ფაქტორების საზოგადოებრივი მნიშვნელობა, წესდება კვლავწარმოებითი პროპორციები, ხდება ეკონომიკის დაბალანსება. კონკურენციის მეშვეობით საბაზრო ურთიერთობები აქტიურად ზემოქმედებს საქონლის წარმოების დანახარჯებზე (მათ დონეზე), მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე, მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

თავიდან ბაზარს, ისე როგორც საქონელწარმოებას, სპორადული (ერთჯერადი, შემთხვევითი, არამუდმივი, არასაყოველთაო) და შეზღუდული ხასიათი ჰქონდა და, შესაბამისად, ბაზრისა და მისი კანონების მოქმედების არეალი, შეიძლება ითქვას, უპირველესად მიმოქცევის სფეროთი შემოიფარგლებოდა. ამასთან მასში თანდათანობით ექცეოდა (და ის თვითონაც ქმნიდა) ადამიანთა საქმიანობის ახალ — ახალი სფეროები, სანამ ფაქტობრივად მთელი საზოგადოების სამეურნეო (და არამარტო სამეურნეო) საქმიანობამ საბაზრო ეკონომიკის ხასიათი არ მიიღო და მისი კანონების მოქმედებით არ გაიმსჭვალა, სანამ ამ კანონების ზემოქმედება გადამწყვეტი და განმსაზღვრელი არ გახდა საზოგადოების თითქმის მთელი ყოფისათვის, სანამ (შეიძლება, ალბათ, ასეც ვთქვათ) საზოგადოებრივ კვლავწარმოებაში ბაზრის, მიმოქცევის (მომხმარებლის, მყიდველის) თაყვანისცემა (კულტი) არ დამკვიდრდა და მთელმა სამეურნეო

წესრიგმა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ხასიათი არ მიიღო, ე.ი. სანამ ამ ეკონომიკის საერთო განვითარება შინაგანი (ენდოგენური) მოთხოვნილობების საფუძველზე თვითრეგულირების პრონციპებს არ დაეყრდნო თითქმის მთლიანად.

საბაზრო ეკონომიკა არის კვლავწარმოების სისტემა, რომლის ყველა რგოლი განუწყვეტლივ იმყოფება (და რეაგირებს) ბაზრის გადახდისუნარიანი მოთხოვნის და მიწოდების ზემოქმედების ქვეშ. საბაზრო ეკონომიკა (საბაზრო სისტემა) არის ისეთი ეკონომიკა, რომელშიც მხოლოდ (თითქმის მთლიანად) მომხმარებლების და მიმწოდებლების (საოჯახო მეურნეობების, ფირმების) თავისუფალი (დამოუკიდებელი) გადაწყვეტილებები განსაზღვრავს რესურსების განაწილების სტრუქტურას. ეს არის საზოგადოების წინაშე არსებული ეკონომიკური პრობლემების ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების სუბიექტების ქცევის შედეგად მოგვარება-გადაწყვეტის ასპარეზი.

ამასთან ეს პირდაპირ ისე არ უნდა გავიგოთ და საკითხი ისე არ უნდა გავაუბრალოოთ, თითქოს ყველაფერი მყიდველისა და გამყიდვლის ბაზარზე უშუალო შეხვედრის დროს წყდება, ხოლო მანამდე ორივე მხარე აბსოლუტურ გაურკვევლობაშია, თითქოს კონკრეტულ კონტრაჰენტთა შეხვედრამდე საქონლის რეალიზაცია მეტად პრობლემატურად ჩანს, ხოლო მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს „არ იცნობენ", ერთმანეთს არ ემთხვევა და საქონელი ხშირად გასაღებას ვერ პოულობს. არა, უფრო პირიქით ხდება. სასაქონლო ურთიერთობების განვითარების საწყისი პერიოდისაგან განსხვავებით, დღევანდელი თავისუფალი ბაზარი და მასზე თავისუფალი (სრულყოფილი) კონკურენცია გაცილებით უფრო ორგანიზებულია, მასზე მოთხოვნის შესწავლა და პროგნოზირება ჩვეულებრივად ისეთ დონეზე დგას და წარმოებაში ცვლილებები მასთან ისეთ შესაბამისობაში მიმდინარეობს, რომ თანამედროვე ბაზარზე მნიშვნელოვანწილად საქონლის გარანტირებულ რეალიზაციაზე შეიძლება საუბარი. ყოველ შემთხვევაში, აქ საქონლის მოძრაობა მთლიანობაში გაცილებით უფრო ადვილად და გააზრებულად მიმდინარეობს (ბაზრის მუდმივად საქონლით გაჯერების პირობებში), ვიდრე ეს დაძალებით მართვად ეკონომიკაში იყო (პერმანენტულად საყოველთაო დეფიციტის არსებობისა და ეკონომიკის ცენტრალიზებულად დაგეგმვისას). ამას მოწმობს ის, რომ საბჭოურ ეკონომიკაში ე.წ. ძნელად სარეალიზაციო, არალიკვიდური რესურსები (მარაგები), საბაზრო ეკონომიკისაგან განსხვავებით, სისტემატურად დიდი მოცულობით არსებობდა როგორც ვაჭრობის საცალო და საბითუმო ქსელში, ისე თვით საწარმოებშიც ერთობლივი მოთხოვნის პერმანენტულად დაუკმაყოფილებლობის პირობებში.

მაშასადამე, გამოდის, რომ **სწორედ ბაზრის მექანიზმებზე (პირველ რიგში კერძო საკუთრებაზე, კონკურენციაზე და თავისუფალ ფასებზე) დაყრდნობით ხდება შესაძლებელი მთლიანად საზოგადოების თუ მისი ცალკეული სტრუქტურების და ინდივიდების ხელთ არსებული შეზღუდული რესურსების საუკეთესოდ გამოყენება და მათი ეფექტიანი განაწილება.** საკითხში ბოლომდე რომ გავერკვეთ და მასზე საუბარი დავასრულოთ, საჭიროდ მიგვაჩნია დავსვათ კითხვა და ვუპასუხოთ მას:

საერთოდ რა შეუძლია ბაზარს?

მიწოდების გადახდისუნარიან მოთხოვნასთან შეგუებით (ეს შეგუება კი ძირითადად ფასების ზეგავლენით და ნაწილობრივ წარმოების უკუზემოქმედებით ხდება) ბაზარი:

- ეკონომიურად ანაწილებს შეზღუდულ რესურსებს და ოპერატიულად აგზავნის იქ, სადაც ისინი ყველაზე მეტადაა საჭირო საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით;
- აძალებს მომხმარებელს შეარჩიოს, ძირითადად ასევე საზოგადოებრივი თვალსაზრისით, მოხმარების ყველაზე რაციონალური სტრუქტურა, უბიძგებს რა მას რეალური დანახარჯების შესაბამისი ფასებისაკენ.

ბაზრის ძირითადი მამოძრავებალი ძალა, როგორც დავასაბუთეთ, კონკურენციაა. აქ ამ მოსაზრებას იმასაც დავუმატებთ, რომ დღევანდელ ბაზარზე მიმდინარე პროცესების (განსაკუთრებით შრომის დამქირავებლებსა და დაქირავებულებს შორის ურთიერთობების) მარტო ჩვეულებრივი საქონლის მიმწოდებელთა (ასევე მომხმარებელთა) შორის თავისუფალი მეტოქეობით ახსნა სწორი არ იქნებოდა. მეტად მნიშვნელოვანია მუშებსა (მათ ორგანიზაციებსა) და

მეწარმეებს შორის არსებული ურთიერთზემოქმედება. ეს ურთიერთდაწოლა (მარქსისტული ტერმინოლოგიით კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი გამოვლენა) დღევანდელი კაპიტალიზმის ფუნქციონირებაში, როგორც ხატოვნად ამბობენ, გარკვეულწილად „ჩაშენებულ ბერკეტად" გვევლინება, რომელიც აიძულებს მეწარმეებს მოგების საერთოდ შენარჩუნებისათვის, ერთი მხრივ, ნავიდნენ ხელფასების ერთგვარ მომატებაზე (პრეტენზია არ განაცხადონ და არ დაეუფლონ დაქირავებულთა შემოსავლის წილს), ამასთან აქტიურად ეძებონ და გამოიყენონ შრომის ანაზღაურების მატებაზე გაღებული ხარჯების სხვა საშუალებებით გადაფარვის წყაროები (მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების დანერგვით დანახარჯების ნივთობრივი ნაწილის შემცირება, შრომის ნაყოფიერების გადიდება და სხვ.), მეორე მხრივ, სამუშაო ძალის გამოყენების შემცირებით ეცადონ არ გაიზარდოს შრომაზე დანახარჯები.

თავი 2. ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს გარკვეული ჩარევის აუცილებლობა

დავსვათ კიდევ ერთი კითხვა: ხომ არა აქვს ბაზარს ნაკლოვანებები, რომელთა გადალახვა მას არ ძალუძს შინაგანი (თვითრეგულირების) მექანიზმების გამოყენებით? სხვაგვარად — ხომ არ ახლავს ბაზარს იმანენტური ჩავარდნები, რომელთა მოგვარება-მოსწორება მხოლოდ გარეშე ძალის ჩარევა-ჩართვით შეიძლება?

საბაზრო ეკონომიკის ისტორიული განვითარების ანალიზი ცალსახა პასუხს იძლევა: **ბაზრის შესაძლებლობები საქმიანობის ზოგიერთი მიმართულებით შეზღუდული, უშედეგო და უარყოფითიც კია. ამას მეცნიერებაში „ბაზრის მტყუნებას" უწოდებენ. საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მისი მაქსიმალური შედეგიანობის უზრუნველყოფისათვის, საზოგადოების ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ბაზარს სახელმწიფოს (საზოგადოების) ერთგვარი დახმარება-შეწევნა სჭირდება.**

როდის, რა ვითარებაში და რომელი პრობლემის გადაწყვეტაში ვერ ამართლებს საბაზრო ეკონომიკა, რა პირობებშია მოსალოდნელი (თუ გარდუვალი) ბაზრის უკმარისობა და, შესაბამისად, აუცილებელი სახელმწიფოს გარკვეული ჩარევა მის ფუნქციონირებაში (სახელმწიფო რეგულირება)?

ასეთი სიტუაციის შემდეგ მიმართულებებს დავასახელებდით:

1) საზოგადოებრივი მოხმარების სიკეთეზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება;
2) თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობის თანმხლები და თანმდევი გარე ეფექტების (ექსტერნალების, ინგლ. Externalies) აღმოფხვრა — აცილება;
3) ეკონომიკური გარიგებების მონაწილეთათვის ასიმეტრიულ (არათანაშეზომილ) ინფორმაციასთან დაკავშირებული პრობლემების (ინტერნალიური ეფექტის) გადაწყვეტა;
4) ზოგიერთ დარგში კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის (მიგრაციის) თარჯის არსებობა;
5) მონოპოლიური ტენდენციები და საბაზრო მექანიზმების ჩახშობის, მათი მოქმედების შეკვეცა-ლიკვიდაციის საშიშროება;
6) ბაზრის მიერ ზოგიერთი სიკეთის (დოვლათის) სარგებლიანობის საზოგადოების კეთილდღეობის თვალსაზრისით არასწორად შეფასება;
7) საზოგადოების ძალიან მდიდრებად და ძალიან ღარიბებად დაყოფის ტენდენციის მიუღებლობა.

დავახასიათოთ ბაზრის ეს ნაკლოვანებები.

1) ისეთ საზოგადოებრივ სიკეთეს, რომლის რეგულირებას ბაზარი ვერ ახერხებს, ეკუთვნის ქვეყანაში წესრიგის დაცვა, სახელმწიფოს თავდაცვა, ეკოლოგიაზე კონტროლი,

გარკვეულწილად განათლება და პროფილაქტიკური მედიცინა, ასევე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გლობალური მიმართულებები. ეს უპირველესად ისეთი საქონელ მომსახურებაა, რომლითაც საზოგადოების თითქმის ყველა წევრი ერთნაირად სარგებლობს (ან სარგებლობის საშუალება აქვს) და რომლის ერთის მიერ მოხმარება მეორეს (შემდგომს) არ უშლის ხელს დაიკმაყოფილოს ანალოგიური სურვილი (**გამორიცხვის შეუძლებლობის თვისება**). ამ შემთხვევაში მენარმე კონკრეტულ მყიდველს ვერ პოულობს, ასეთი ხასიათის საქონელ-მომსახურების საჭირო ოდენობის დადგენა საბაზრო თვითრეგულირების ბერკეტებით ვერ მოხერხდება; ამიტომ ბაზარი ასეთ საქმიანობაზე არ მიდის და მისი მოცულობის განსაზღვრა და შესაბამისი სიკეთის წარმოება-მიწოდების ორგანიზაცია სახელმწიფომ (საზოგადოებამ) უნდა იკისროს.

2) ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ამოცანაა აგრეთვე ზემოხსენებული **ექსტერნალიების** ნეიტრალიზება-ბლოკირება. საქმე ეხება ისეთ მოვლენებს, რომლებიც მენარმე კონტრაჰენტების უშუალო ეკონომიკური ურთიერთობების მიღმა არსებობს და მოქმედებს, ამიტომ მათი რეგულირება ამ ურთიერთობების მექანიზმებით (მ.შ. კონკურენციით, ფასებით) შეუძლებელია. ამავდროულად ისინი კონკრეტული სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის შედეგებზე უარყოფითად (ან დაუმსახურებლად დადებითად) მოქმედებენ.

რაზეა საუბარი?

ავიღოთ **მაგალითი**. ***როდესაც ბიზნესმენი ქვეყანაში არსებული წესების სრული დაცვით ხმის ჩამწერ ფირმას ხსნის, ის ადგილს („ოფისს“) იმისდა მიხედვით არჩევს, რომ ირგვლივ რაიმე ისეთი ხმაურიანი საწარმო ან დაწესებულება არ ფუნქციონირებდეს, რომელიც ხელს შეუშლის მის საქმიანობას. შემდგომში რომ ამ მენარმეს ასეთი ხელის შემშლელი გარე პირობები არ შეექმნას, მისი ინტერესები სწორედ სახელმწიფომ უნდა დაიცვას (მენარმე ამის საწინააღმდეგოდ კონკურენციის და თავის საქონელზე დანახარჯების და ფასების ცვლილებების ღონისძიებებს ვერ გამოიყენებს). ამიტომ კანონმდებლობით (ე.ი. სახელმწიფო რეგულირებით) შეიძლება შემოღებულ იქნეს (და შემოიღებენ კიდევაც) ექსტერნალიების შემქმნელი სუბიექტების მიერ დაზარალებული სამეურნეო სუბიექტებისათვის ზიანის არმიყენების უზრუნველყოფის წესებს. ე.ი. სახელმწიფო არ მისცემს სხვა ვინმეს უფლებას გახსნას ამ ფირმის გვერდით, ვთქვათ, ხე-ტყის სახერხი საწარმო.***

3) ასევე აუცილებელია სამეურნეო (მენარმეობრივი) საქმიანობის შედეგების ე.წ. ინტერნალიური (უარყოფითი და დადებითი) ეფექტის გამო მიღებული სარგებლის და ზარალის „გასუფთავება“, ამ ეფექტის მოხსნა. სამეურნეო სუბიექტების ურთიერთობებში არც ისე იშვიათია შემთხვევები, რომლებიც მენარმეობრივ კონტრაჰენტებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში არ ყოფილა (ვერ იქნა) გათვალისწინებული, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში მოხდა (მაგალითად, უხარისხო საქონელი, კონტრაქტის ერთი მხარის მიერ დარღვევა და სხვა). ეს შედეგები ხშირად გამოწვეულია ე.წ. **ასიმეტრიული ინფორმაციით**, როდესაც ერთ-ერთი მხარე სამეურნეო გარიგებაზე თანახმაა რეალური (ნამდვილი) ინფორმაციის გარკვეული ნაკლებობის პირობებში, ვინაიდან მთლიანი ინფორმაციის მოპოვება (მიუხედავად ამის თეორიული შესაძლებლობისა) მას უფრო მეტი დაუჯდება, ვიდრე თვით გარიგების შედეგი. ამ შემთხვევაში ინტერნალიური უარყოფითი ეფექტი რეალური ხდება. მისი შეკვეცა-მოცილება (აცილება) შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოს საშუალებით (დახმარებით), როდესაც ხელისუფლება შემოიღებს ხელშეკრულებების დასადებად აუცილებელ სტანდარტულ ფორმებს, იკისრებს და მოაწყობს ფასებზე ინფორმაციის შეგროვება-სისტემატიზება-გავრცელებას, დააწესებს ხელშეკრულებების დარღვევებზე სანქციებს თუ სხვა სახის პასუხისმგებლობას და ა.შ.

4) და 5) კაპიტალის მოძრაობის ბარიერების მოხსნა, მისი ახალ დარგებში შეღწევისათვის ხელის შეწყობა, მონოპოლიური ტენდენციების მოხსნა.

სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში საჭიროა ზოგჯერ კაპიტალის და საერთოდ წარმოების ფაქტორების თავისუფალი მიგრაციის (გადაადგილების) თარჯის ლიკვიდაციისათვის, მ.შ. პირველ რიგში საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მონოპოლიური ტენდენციების შეკვეცა-აღკვეთისათვის და თავისუფალი კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის, რომლებიც კაპიტალს თავისუფალი მიგრაციის ფართო შესაძლებლობებს მისცემს. ამას ისიც ემატება, რომ თავისუფალი კონკურენციის როგორი პირობებიც არ უნდა არსებობდეს, ბაზარზე კაპიტალისათვის ყოველთვის გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს ახალი სფეროს ათვისება. ამიტომ **ხელისუფლება შეღავათიანი გადასახადებით, კრედიტით, სუბსიდიებით უნდა ეცადოს ხელი შეუწყოს ბიზნესს (კაპიტალს)** ამ წინააღმდეგობის გადალახვაში, სხვადასხვა სფეროებში ადვილად შეღწევაში და იქ კონკურენციის უზრუნველყოფის საქმეში;

6) ბაზარი ზოგჯერ ზუსტად ვერ აფასებს დანახარჯების უკუგებას და, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს ზოგიერთი სიკეთის იმ მოცულობით შექმნას, რაც სასარგებლო იქნება საზოგადოებისათვის. ასეთ სიკეთეს ეკუთვნის მნიშვნელოვანწილად საზოგადოების განათლებულობა და ჯანმრთელობა: რაც უფრო განათლებული და ჯანმრთელია მოსახლეობა, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო მწარმოებლურია ის საბოლოო ჯამში, მით უფრო უსაფრთხო და კომფორტულია ასეთ საზოგადოებაში ადამიანების ცხოვრება;

7) საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი და გარკვეულწილად სოციალურად მიუღებელი ნაკლია მისთვის დამახასიათებელი შემდეგი ტენდენცია: დაიყოს საზოგადოება ძალიან მდიდრებად და ძალიან ღარიბებად. ეს რომ მეტად აქტუალური პრობლემაა, შემდეგი შემაშფოთებელი ფაქტი მოწმობს: 2015 წლის ბოლოსათვის კაცობრიობის 1%-ის ხელში აღმოჩნდა დედამიწაზე არსებული სიკეთის (დოვლათის) 50%. ამიტომ აუცილებელია, რომ ხელისუფლება შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის გამოყენებით შეეცადოს ამ ტენდენციის შერბილებას, რომ მას ასეთი, ფაქტობრივად სოციალურად მიუღებელი შედეგები არ მოჰყვეს.

რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ ზემოთქმულიდან?

გამოდის, რომ ისტორიულად ეკონომიკის ფუნქციონირება-განვითარებას ორი ტენდენცია ახასიათებდა: თვითრეგულირება და რეგულირება, ამასთან პირველი, სხვა თანაბარ პირობებში, ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანი, შედეგიანი და ეფექტიანი იყო დოვლათ-სიკეთის წარმოების, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ბოლო ასწლეულებში დასავლეთის ქვეყნებში ეკონომიკის განვითარების ტენდენციებიც ნათლად მოწმობს, რომ სახალხო მეურნეობის საკუთრების თავისუფლებაზე და ძირითადად თვითრეგულირებაზე დამყარებული ფუნქციონირება განაპირობებს კონკურენციის ბაზისა და მისი მოქმედების სფეროების განმტკიცება-გაფართოების ხელშემწყობი ახალი ფაქტორების წარმოქმნას. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად აღმოცენებული ახლებური საშუალებები მცირე საწარმოების განვითარებისათვის, მათი კონკურენტუნარიანობის განმტკიცებისათვის; მანვე განაპირობა ადრე არნახული და უცნობი სატრანსპორტო და საინფორმაციო საშუალებების აღმოჩენა-გამოყენება. ასე რომ მეურნეობრივი განვითარების ტენდენციების ორ ზემოხსენებულ მიმართულებაში (რეგულირება და თვითრეგულირება) თვითრეგულირების გაფართოება-გაღრმავების ტენდენცია სჭარბობდა დიდი ხნის პერიოდში, ხოლო ბოლო ათეულ წლებში მან (ამ ტენდენციამ), რომ იტყვიან, თავისუფალი კონკურენციის და ბაზრის თვითრეგულირების თავისებური რენესანსის ხასიათი მიიღო.

ამასთან აუცილებელია აქვე გავუსვათ ხაზი ერთ მეტად სერიოზულ გარემოებას: საბაზრო ურთიერთობების თავისუფალი ხასიათის სიკეთის აბსოლუტიზაციაც არ შეიძლება. ბაზარზე მიმდინარე ეკონომიკური პროცესების გარკვეული რეგულირება რომ არა, ეს პროცესები ნებისმიერ საზოგადოებაში გარდუვლად ქაოსს და ანარქიას გამოიწვევდა, ბაზრის „უსაზღვრო თავისუფლება“ საბოლოო ჯამში მისი თვითუარყოფის მიზეზი იქნებოდა. ამ პროცესებს სახელმწიფო რეგულირება სჭირდება, მ.შ. ისეთ განსაკუთრებულ საკითხებში, როგორიცაა ეკონომიკური კონტრაჰენტების გარიგებები, სხვა სუბიექტების ინტერესების დაცვა, მონოპოლიური

ტენდენციების შეკვეცა და კონკურენციის შეუზღუდაობის უზრუნველყოფა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა (ვთქვათ, საქონლის ხარისხში გარკვევის სირთულეებთან დაკავშირებით), ეკოლოგიის საკითხები, კეთილსინდისიერება ურთიერთობებში და სხვა. ამიტომ **ეკონომიკური კანონმდებლობა და მისი ხელისუფლების ორგანოების მიერ უცილობელი გატარების უზრუნველყოფა (საერთოდ ქვეყანაში კანონის უზენაესობა) თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების მაღალი შედეგიანობის მტკიცე საფუძველია.**

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვითრეგულირების ქმედობიანობის გააქტიურების ზემოაღნიშნულმა შესამჩნევმა ტენდენციამ არ გარიყა სახელმწიფო საბაზრო ურთიერთობებიდან. უფრო პირიქით. სახელმწიფოს მაღალკვალიფიციური, ყოველმხრივ გააზრებული და მიზანმიმართული მონაწილეობის გარეშე თანამედროვე ეკონომიკური კვლავწარმოება შეუძლებელია. ამასთან სახელმწიფოს ეს მონაწილეობა არ ნიშნავს მის ჩარევას მეწარმეობრივი სტრუქტურების კომეციულ საქმიანობაში. არა, ნებისმიერი ფირმა საბაზრო ეკონომიკაში თითქმის აბსოლუტურად თავისუფალია თავის მეურნეობრივ ქცევაში. სახელმწიფო კი უპირველესად იმას ადევნებს თვალყურს, რომ ბაზარზე დაცული იქნეს ყველა მომხმარებლის (მყიდველის) და მწარმოებლის (გამყიდვლის) ინტერესები, უზრუნველყოფილი იქნეს სამეურნეო სუბიექტების თანაბარი უფლებების დაცვა, სხვა სუბიექტების (ზოგჯერ სახელმწიფო ჩინოვნიკების) არამართლზომიერი ზემოქმედების აცილება, შეიქმნას და ცხოვრებაში გატარდეს თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების ფუნქციონირებისათვის საჭირო სამეურნეო თუ სხვა ნორმატიული აქტები, ხელი შეეწყოს საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირებას. ამასთან ერთად, ის კვლავინდებურად წყვეტს საზოგადოების წინაშე მდგარ მნიშვნელოვან, სასიცოცხლო სპეციფიკურ პრობლემებს, ეწევა საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელ ისეთ საქმიანობა-მომსახურებას, რაც ბაზარს ნაკლებად ხელეწიფება.

ზემოთქმული იმის დასაბუთებაა, რომ ეკონომიკაში სახელმწიფოს ერთგვარი ჩარევა აუცილებელი და სასარგებლოა.

თავი 3. სახელმწიფოს ფუნქციები ეკონომიკაში და მასში ჩარევის ინტენსივობა

ფართო გაგებით, **მთელი სახელმწიფო საქმიანობა, სახელმწიფო ფუნქციების (პოლიტიკური, ადმინისტრაციული თუ სამეურნეო) შესრულება ფაქტობრივად ეკონომიკის ფუნქციონირებაში ჩარევაა, ვინაიდან ამ საქმიანობის ანაზღაურება ეკონომიკას ეკისრება.** უფრო კონკრეტულად კი საბაზრო ეკონომიკის მართვაში, მისი შედეგიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო გარემოს შექმნაში და პირდაპირი (უშუალო) ეკონომიკური საქმიანობის წარმართვაში სახელმწიფოს მონაწილეობა — ჩარევის შემდეგი ოთხი განზოგადებული მიმართულება შეიძლება დავასახელოთ (მართლზომიერია მათ დავარქვათ **სახელმწიფოს ფუნქციები ეკონომიკაში**):

1. ქვეყანაში მეწარმეობრივი (სამეურნეო) თუ სხვა საქმიანობისათვის **ნორმალური პოლიტიკურ-ადმინისტრაციული გარემოს შექმნა**. ეს სუფთა ეკონომიკური ფუნქცია არ არის, მაგრამ მის გარეშე ეკონომიკური საქმიანობა თითქმის შეუძლებელია;
2. **სტაბილიზაციური ფუნქცია**. მისი შინაარსი — დანიშნულება ეკონომიკურ კანონშემოქმედებაში და მის განხორციელებაში, დასაქმების მაღალი დონის, ფასების სტაბილურობის მხარდაჭერაში, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაში და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარებაში მდგომარეობს;
3. **განაწილებითი ფუნქცია**. მისი მიზანია საზოგადოებაში შემოსავლების განაწილებისას, სოციალური თვალსაზრისით, შესაძლებლად მეტი სამართლიანობის მიღწევა;
4. **ალოკაციური ფუნქცია**. ესეც განაწილებითი ფუნქციაა ფაქტობრივად, მაგრამ მისი ამოცანაა საბაზრო ეკონომიკაში რესურსების ეფექტიანი გამოყენება-განლაგებისათვის ხელშეწყობა.

შეიძლება ჩამოვთვალოთ განზოგადებულად ამ ფუნქციების შესრულების კონკრეტული ამოცანები (მიმართულებები):

- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;
- ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკუთრების დაცვა;
- ბაზრის თვითრეგულირებისა და თავისუფალი კონკურენციისათვის ხელის შეწყობა;
- ანტიმონოპოლიური პოლიტიკა;
- მომხმარებელთა ინტერესების დაცვა;
- მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა;
- შრომის დაქირავების წესების შემუშავება და დაცვა;
- გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების რეგულირება;
- სამეურნეო გარიგებების წესების დამუშავება-დაცვა;
- საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების მოგვარება;
- ფულის მიმოქცევის რეგულირება;
- ეკონომიკის დინამიკური განვითარების უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი საქმიანობა (მეცნიერება, კადრების მომზადების საკითხები, საქონელ-მომსახურების ზოგიერთი სახის წარმოების სტიმულირება ან სახელმწიფო საწყისებზე ორგანიზება).

სახელმწიფო ეკონომიკური საქმიანობა ბაზრის ნაკლოვანებების მოსწორება-გადალახვისათვის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაა, ეკონომიკური პოლიტიკაა. ეს არის სახელმწიფოს ქცევა (მისი მოქმედება) ქვეყნის ეკონომიკის მიმართ.

თავის ფუნქციებს ეკონომიკაში (და მთლიანად საზოგადოებაში) სახელმწიფო შესაბამისი ორგანოების საქმიანობით და მის ხელთ (მის ფლობა-განკარგვაში) არსებული საკუთრების გამოყენებით ახორციელებს. **ეკონომიკის იმ ნაწილს, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებობს, იმ ნაწილისაგან განსხვავებით, რომელიც კერძო საკუთრებაში იმყოფება, სახელმწიფო სექტორი ეწოდება;** მისი ძირითადი მახასიათებელი საკუთრების ფორმაა. ამასთან სახელმწიფო სექტორი არ უნდა განვმარტოთ მხოლოდ როგორც საზოგადოებრივი სიკეთის მწარმოებელი სექტორი, თუმცა სწორედ აქ იქმნება ჩვეულებრივად ასეთი დოვლათი. **სახელმწიფო სექტორის მოცულობას ხელისუფლებაში მყოფი მთავრობის იდეოლოგია განსაზღვრავს.** ასე მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვა ინგლისში თითქმის მთლიანად სახელმწიფო სექტორშია, მაშინ როდესაც აშშ-ში ასევე თითქმის მთლიანად კერძო სექტორშია მოქცეული.

ეკონომიკაში ჩარევას და მის შესაძლო რეგულირება — მართვას სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით ახორციელებს. **ეკონომიკური პოლიტიკა** არის ხელისუფლების ღონისძიებათა სისტემა ეკონომიკის მართვის სფეროში, რომელიც მოიცავს საფინანსო-საკრედიტო, სოციალურ, საგარეო-ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკას. ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება ფართო დიაპაზონში განვიხილოთ როგორც სახელმწიფოს ეკონომიკაში აბსოლუტური ჩაურევლობიდან (Laissez faire) მის მკაცრად (მთლიანად) მართვამდე, როგორც ეს იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში (საგეგმო ეკონომიკა).

ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება ორ ნაირსახეობად დაიყოს, ანუ როგორც:

- **მიკროეკონომიკური პოლიტიკა, რომლის მიზანია ქვეყნის შეზღუდული რესურსების განაწილების ეფექტიანობის სრულყოფა;**
- **მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს რესურსების (პირველ რიგში შრომის) მეტი (მაღალი) დატვირთვა და ფასების სტაბილიზაცია.**

ამ ფართო კლასიფიკაციის ფარგლებში არსებობს ეკონომიკური პოლიტიკის უფრო მეტი დანაწევრება მისი ამოცანებისა და გადასაწყვეტი მიზნების თვალსაზრისით. მიკროეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში შეიძლება, მაგალითად, გამოიყოს **რეგიონული პოლიტიკა, კონკურენციის მხარდაჭერის პოლიტიკა** (რომელიც აგვარიდებს ეფექტიანობის შემცირების გამომწვევ ისეთ მოვლენებს, როგორიცაა მონოპოლია და კონკურენციის თავისუფლების დარღვევა) და **პოლიტიკა სამუშაო ძალის მიმართ.**

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში შეიძლება გამოიყოს **საბიუჯეტო პოლიტიკა, სავალუტო კურსის პოლიტიკა და შემოსავლების პოლიტიკა** — პოლიტიკის ყველა ამ მიმართულებას შეიძლება ამოცანად ჰქონდეს ეკონომიკის სტაბილიზაცია. თეორიულ დონეზე, როგორც **ი. ტინბერგერმა**[1] დაასაბუთა, არსებობს საერთო წესი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკის ყოველი მიზანი მოითხოვს მართვის სისტემაში შესაბამისი ინსტრუმენტალური ცვლადის შეყვანას.

საბაზრო ეკონომიკის და სახელმწიფოს ურთიერთობაზე, სახელმწიფოს ფუნქციებზე საუბრისას მიზანშეწონილად (უფრო სწორად, აუცილებლად) მიგვაჩნია შევეხოთ საკითხს, რომელიც, ერთი შეხედვით, პირდაპირ არ ეხება ეკონომიკურ პრობლემებს, ფაქტობრივად კი, ჩვენი აზრით, მათი უშუალო შემადგენელია. ეს არის ეკონომიკური და პოლიტიკური დემოკრატიის შეფარდების, ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების საკითხი.

ეკონომიკური დემოკრატია და **პოლიტიკური დემოკრატია** ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთგანმაპირობებელი მოვლენებია. რეალური (ნამდვილი) დემოკრატია და პოლიტიკური თავისუფლება არ არსებობს საკუთრების თავისუფლების, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის გარეშე. ისტორიულად ასე ჩამოყალიბდა, რომ ბაზრის თვითრეგულირებადი საფუძვლების ურყევობის გარანტად ამ საწყისებზე აღმოცენებული დემოკრატიული სახელმწიფო გვევლინება და პირიქით: პოლიტიკურ დემოკრატიას ბაზრის სუბიექტების ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების თავისუფალი გადაწყვეტის (ე.ი. ეკონომიკური დემოკრატია) პირობები განსაზღვრავს; სახელმწიფოში პოლიტიკური თავისუფლების ხარისხი ძირითადად შეესაბამება ბაზარზე ეკონომიკური თავისუფლების დონეს. ამასთან მათ შორის არსებული კავშირი ორმხრივია და, მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივ პერსპექტივაში და საბოლოო ჯამში ეკონომიკური თავისუფლება (თავისუფალი ბაზარი) პოლიტიკური თავისუფლების დამყარება-განმტკიცების წარმართველი და გადამწყვეტი ძალაა (უფრო ზუსტი იქნება ვთქვათ — ეს არის პოლიტიკური თავისუფლების საფუძველი), ხშირად თვით პოლიტიკური პირობები განსაზღვრავს ბაზარზე ამა თუ იმ ურთიერთობების დამყარებას (კიდევ უფრო სწორად — **საზოგადოებაში პოლიტიკური თავისუფლების არარსებობა, სახელმწიფოს ტოტალიტარული თუ ავტორიტარული ხასიათი ბაზრის „გასახელმწიფოვების“, ეკონომიკის მართვის ცენტრალიზებული სისტემის დამკვიდრების მიზეზი ხდება**). მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების განვითარებამ XIX – XXI საუკუნეებში ამ მოსაზრების დამადასტურებელი ბევრი მაგალითი მოგვცა.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის არსებობა და მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური ურთიერთობები საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითრების ცენტრში აქცევს პიროვნებას, ინტელექტუალური და მატერიალური სიკეთის ინდივიდუალურ მესაკუთრე — შემქმნელს. პიროვნება და მისი ინტერესების რეალიზაცია კი ამ განვითარების შინაგანი წყარო და გასაღები (ინდიკატორი) ხდება: **თუ ქვეყანაში უპირველესად ეკონომიკური (და პირველ რიგში საკუთრებრივი) ურთიერთობების თავისუფლება არ დამყარდა, მასში პიროვნების თავისუფლება და პოლიტიკური დემოკრატია გარდუვლად შეზღუდული იქნება.** განვმეორდებით: ეს მოვლენები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია. ამიტომ ზემომოტანილ მოსაზრებასავით კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ, თუ ქვეყანაში რეალური პოლიტიკური დემოკრატია არ დამყარდა, მასში **ეკონომიკური თავისუფლებაც** არ იქნება ფაქტობრივად, ხოლო წარმოების საშუალებებზე დამკვიდრებული საზოგადოებრივი (თუ საერთო-სახალხო) საკუთრება ფიქცია გახდება; არც კერძო საკუთრება იქნება ბოლომდე შედეგიანი. საზოგადოებრივი ქონება-ფასეულობა და მნიშვნელოვანწილად კერძო საკუთრებაც ასეთ შემთვევაში ფაქტობრივად სახელმწიფოში გაბატონებული ძალების (პარტია, ადამიანთა ჯგუფი, დიქტატორი, კლანი, მაფიოზური ფორმირება) განკარგვა-სარგებლობის ობიექტად გადაიქცევა, ხოლო ადამიანის (პიროვნების) თავისუფლება ფეხქვეშ გაითელება. ასე მოხდა ეს ძირითადად ყოფილ სსრ კავშირში, სადაც პოლიტიკური და სამეურნეო დემოკრატიის არარსებობის გამო ნაციო-

[1] **ტინბერგენი იან** (1903–1994), ჰოლანდიელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი 1969 წელს (რ. ფრიშთან ერთად) ეკონომეტრიკაში ფუძემდებლური ნაშრომებისათვის. წიგნში „ეკონომიკური პოლიტიკის თეორია“ მან დაასაბუთა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების რიცხვი ამ პოლიტიკის მიზნების რიცხვის ტოლი უნდა იყოს.

ნალიზაციის შედეგად საზოგადოებრივად გამოცხადებული საკუთრება სახელმწიფო — მონოპოლისტურ საკუთრებაში გადაიზარდა ფატობრივად; ასე იყო ფაშისტურ გერმანიაშიც, სადაც ტოტალიტარული ხელისუფლება განაგებდა არა მარტო სახელმწიფოს საკუთრებას, არამედ მნიშვნელოვანწილად კერძო მფლობელობაში არსებულ ქონება-დოვლათსაც.

შეიძლება **დავასკვნათ**, *რომ, თუ დემოკრატიის პოლიტიკური საფუძველი ამის დღევანდელი გაგებით ადამიანის (პიროვნების) თავისუფლებაა, მისი ეკონომიკური ბაზა პიროვნების მეურნეობრივი თვითგამორკვევის თავისუფალი რეალიზაციის უზრუნველყოფა უნდა იყოს.* ეს კი მხოლოდ საკუთრების შეუზღუდაობის, საკუთრების პლურალიზმის, მეწარმეობრივი საქმიანობის თავისუფლების პირობებში შეიძლება. **თუ პიროვნება მესაკუთრე არ არის, ის თავისუფალი ვერ გახდება**[1]. ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს ჩარევამ არ უნდა უგულებელყოს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ეს ფუძემდებლური პრინციპები.

ამასთან იმის მტკიცებაც სამართლიანი იქნება, რომ საბაზრო ეკონომიკის წარმართვაში, მისი უპირველესად თვითრეგულირების საწყისებზე ფუნქციონირებაში სახელმწიფო გარკვეულ როლს თავისი წარმოშობის დღიდან ასრულებდა. საკუთრებრივი ურთიერთობების ცვლილებებთან ერთად, იცვლებოდა საბაზრო ეკონომიკა, ბაზარი და კონკურენცია, ბაზრის თვითრეგულირებით ფუნქციონირების პირობებში გარდაიქმნებოდა სახელმწიფოს როლიც. ერთი მხრივ, ეკონომიკურ ურთიერთობებში მონოპოლიური ტენდენციების განმტკიცებასთან (განსაკუთრებით XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეში) ერთად, მიმდინარეობდა თავისუფალი კონკურენციის ერთგვარი დეფორმაცია, მტკიცდებოდა მისი შეზღუდვა-დამახინჯების ტენდენციები. მეორე მხრივ, ბაზარი და კონკურენცია თანდათანობით სრულყოფილი ხდებოდა, ახალ-ახალ სფეროებში იჭრებოდა (და ქმნიდა ამ სფეროებს), სულ უფრო ცივილიზებულ ხასიათს იღებდა: მათში თავის დროზე ფაქტობრივად გამეფებული „ჯუნგლის კანონების“ ნაცვლად, სამეურნეო კონტრაჰენტ-პარტნიორებისათვის ქცევის ნორმა და წარმატების პირობა მიღებული „თამაშის წესების“ უცილობელი შესრულება ხდებოდა ძირითადად. ამას კი ხელს უწყობდა თვით დემოკრატიზებადი სახელმწიფოს მიზანმიმართული მეცადინეობა — სისტემატურად სრულყოს სამეურნეო კანონმდებლობა, განამტკიცოს ბაზრის თვითრეგულირების პრინციპებზე ფუნქციონირების პარამეტრები, აკონტროლოს ამ ფუნქციონირებაში თავისი ჩარევის სარგებლიანობა.

ზემოთქმული ნიშნავს, რომ დღევანდელ ბაზარს (საბაზრო ეკონომიკას) წარმოების და მიმოქცევის (და მთლიანად ქვეყნის, მისი რეგიონების, სამეურნეო დარგების და ორგანიზაციების) ეკონომიკური საქმიანობის ერთადერთ რეგულატორს უკვე ვერ ვუწოდებთ. ის (საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება) ფაქტობრივად ყველა განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფოს გარკვეული შეგნებული რეგულირების ობიექტია. აქვე შევნიშნავთ, რომ ეკონომიკური ურთიერთობების ტოტალიტარული (ავტორიტარული) სახელმწიფოს მიერ რეგულირებას თითქმის არაფერი აქვს საერთო საბაზრო ეკონომიკის დემოკრატიული სახელმწიფოების მიერ რეგულირებასთან: ამ უკანასკნელს უფრო გამოკეთება-მოწესრიგების ხასიათი აქვს, როდესაც სახელმწიფო სხვადასხვა ეკონომიკური (საფინანსო-საკრედიტო) ბერკეტების და ადმინისტრაციული საშუალებების (იშვიათად) გამოყენებით ფაქტობრივად ხელს უწყობს ბაზრის თვითრეგულირებას.

ე.ი. თუ ტოტალიტარული და ავტორიტარული სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება ზღუდავს ბაზრის თვითრეგულირებას და, როგორც წესი, მისი საწინააღმდეგო ქმედობაა, **დემოკრატიული სახელმწიფოს მიერ საბაზრო მექანიზმების მოქმედების მოწესრიგება-მოსწორება ჩვეულებრივად მისი თვითრეგულირების გაგრძელება-განმტკიცებაა.**

მაშასადამე, სახელმწიფოს გარკვეული ჩარევა ეკონომიკის ფუნქციონირებაში აუცილებელი და სასარგებლოა საბაზრო ეკონომიკის შინაგანი, ობიექტური ნაკლოვანებების ლიკვიდაცია-მოსწორებისათვის და ამას ყველგან აქვს ადგილი; ამასთან ამ ჩარევის ინტენსივობა სხვადასხვანაირია თვით დემოკრატიულ ქვეყნებშიც. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის კრიტერიუმების გამოყენებით მეწარმეობის ევროპული სახელმწიფო ცენტრი შემდეგნაირად

[1] როგორც ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი **როი ჰაროდი** (1900-1978) აღნიშნავდა, „სადაც ბანკში ანგარიში არ არის, იქ თავისუფლება მჭლე და ბეჩავია“.

განალაგებდა XX საუკუნის 90-იან წლებში ევროპის გაერთიანების ქვეყნებს: სახელმწიფო სექტორის ყველაზე მაღალი როლის პოლუსზე საფრანგეთი იყო, მეორე პოლუსზე კი — ლუქსემბურგი, სადაც საჯარო სექტორის გავლენა (ადგილი) ყველაზე უმნიშვნელოა. მათ შორის კი ქვეყნები ამ როლის კლების მიხედვით ასე განლაგდა: გერმანია, იტალია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ნიდერლანდები, ბელგია, საბერძნეთი, დანია, ირლანდია. მთლიანად კი განვითარებულ ქვეყნებს სახალხო მეურნეობის ფუნქციონირება-მართვაში სახელმწიფოს ჩარევის ინტენსივობის თვალსაზრისით ეკონომისტები შემდეგ სამ ჯგუფად ყოფენ: ქვეყნები, სადაც ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის სარგებლიანობა-აუცილებლობის კონცეფციას მისდევენ (საფრანგეთი, იაპონია); ქვეყნები, სადაც მკვეთრად გამოხატულია ძირითადად საბაზრო ურთიერთობებზე დაყრდნობის კონცეფცია (აშშ, ინგლისი), და ქვეყნები, რომლებიც, შეიძლება ასე ითქვას, შუალედურ პოზიციას ემხრობიან. განსხვავებული მიდგომების (ეკონომიკის აბსოლუტური თვითრეგულირება და მთლიანად სახელმწიფო რეგულირება) შუალედურ ვარიანტებად შეიძლება დავასახელოთ საბაზრო და სახელმწიფო რეგულატორების შეთავსება — შეხამების ჩინური ვარიანტი, გერმანიის და ავსტრიის ე.წ. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა, შერეული ეკონომიკის შვედური მოდელი.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის სხვადასხვაგვარი ინტენსივობის მიზეზი ძირითადად ხელისუფლების მიერ აღიარებულ იდეოლოგიაში (მსოფლმხედველობაში) ძევს, მაგრამ არა მარტო ამაში; ბევრია დამოკიდებული თვით ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე: როგორც წესი, ჩარევის ინტენსივობა მატულობს ეკონომიკის კრიზისულ მდგომარეობაში, პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმების დროს, რათა ამ სიტუაციიდან მისი გამოყვანა მიღწეულ იქნეს შედარებით მოკლე დროში. ეს ჩარევა (რა თქმა უნდა, მისი მაღალპროფესიულობის და ნორმალური, მაღალზნეობრივი და ქმედობაუნარიანი ხელისუფლების არსებობისას) ერთგვარად არბილებს მოსახლეობაზე ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ზეწოლას.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ჩარევის შედეგად იკვეცება კრიზისული მდგომარეობის გამომწვევი სიღრმისეული, შინაგანი მიზეზების ლიკვიდაციის და კრიზისიდან რეალური გამოსვლის შიგა (ე.ი. თვითრეგულირების) ბერკეტების „ჩართვა“, რაც, თუ ეკონომიკის განვითარებაზე სახელმწიფო ზემოქმედება სასარგებლოზე (ოპტიმალურზე) მეტია ან აუცილებელზე დიდ ხანს გაგრძელდა, ამ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს დამატებით სიძნელეებს შეუქმნის, მნიშვნელოვნად დაახანებს მას. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ სახელმწიფო სექტორის კერძო სექტორთან შედარებით ჩვეულებრივად ნაკლები ეფექტიანობა მოითხოვს თვით სახელმწიფო საწარმოების ფუნქციონირებაში და ამ სექტორის მართვაში კონკურენციული, საბაზრო პრინციპების მაქსიმალურად შესაძლებელ ჩართვას, სახელმწიფო რეგულირების უფრო მოქნილი, არაპირდაპირი ფორმების გამოყენებას (მაგალითად, სახელმწიფო სასწავლებლებში და სამედიცინო დაწესებულებებში მაღალშედეგიანი საქმიანობის უზრუნველყოფისათვის დასაქმებულებს შორის მეტოქეობა-კონკურენციის დანერგვას).

გამოდის, რომ სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის დონე არა მარტო განსხვავებული, არამედ მოძრავიცაა. სახელმწიფოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში ჩართვის აქტუალურობა და აქტიურობა დაკავშირებულია როგორც საწარმოო ძალების საერთო თვისებრივ განვითრებასთან და მისგან გამომდინარე ეკონომიკური მექანიზმების ცვლილებებთან, გლობალური პრობლემების გართულებასთან, ისე ეკონომიკის, მისი დარგების (აგრეთვე რეგიონების, ქვეყნების), საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითრების დინამიკურობის განმტკიცება-გაღრმავებასთან; ამ პროცესებს ამავდროულად შინაგანი წინააღმდეგობრიობა ახასიათებს.

ასევე წინააღმდეგობრივია ეკონომიკის მართვის კანონზომიერებების განვითარებაც:

- ერთი მხრივ, მისი საბაზრო მექანიზმები თვისებრივად განსხვავებულ და პრინციპულად შეცვლილ პირობებში თვითრეგულირების სრულიად ახლებურ ცხოველმყოფელ თვისებებს ამჟღავნებს და ახალ სიტუაციაშიც წარმატებით „ართმევს თავს საქმეს“;
- მეორე მხრივ, ზოგ შემთხვევაში ის ყველა ახალ მოვლენაზე შესაბამისად ვერ რეაგირებს ან მისი „გამოხმაურება“ და განვითარების ხელშემწყობი ან სტაბილიზა-

> ციის უზრუნველმყოფი ადეკვატური „გამოძახილი“ იგვიანებს; ამ დაყოვნებას კი საზოგადოების ნორმალური (უკონფლიქტო) ფუნქციონირების ამოცანები ვერ ითმენს ან ძნელად იტანს, ე.ი. მდგომარეობის გამოსწორების დაჩქარებისათვის თვით ამ საზოგადოების (ხელისუფლების) გონიერი ჩარევა ხდება საჭირო.

ამასთან არც თეორიაში და, მით უმეტეს, არც პრაქტიკაში არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ეკონომიკის თვითრეგულირებაში ყოველგვარი ასეთი ჩარევა-არჩარევის, ჩარევის ინტენსივობის შეცვლის საკითხის გადაწყვეტა უდიდეს სიფრთხილესა და მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების განჭვრეტის უნარს მოითხოვს; ამავდროულად ასეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის სათანადო სიმტკიცე და გამბედაობაა საჭირო (რომ არაფერი ვთქვათ მაღალზნეობრიობის აუცილებლობაზე). საქმე ისაა, რომ თავისთავად ხელისუფლებას ჩვეულებრივად ეკონომიკის მართვაში იმაზე მეტი ჩარევის იმანენტური განწყობა ახასიათებს (და სჯერა კიდევაც ამ ჩარევის აუცილებლობა-სარგებლობის), რამდენიც საჭიროა რეალურად, თავის თავზე იმაზე მეტის აღების და გაკეთების მისწრაფება აქვს, ვიდრე ნამდვილად შეუძლია.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ამის მეტ-ნაკლებად მარეგულირებელი ინსტრუმენტი დემოკრატიული მართვაა, სახელმწიფოზე დემოკრატიული კონტროლია, ეკონომიკის სახელმწიფო მართვაში მაქსიმალური საჯაროობის (გახსნილობის) უზრუნველყოფაა. მეცნიერების მიერ საკითხის დამუშავებისა და ბევრი ქვეყნის მრავალათეული წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ჩარევა (მისი ინტენსივობა) დემოკრატიულ ქვეყნებში მაინც ოპტიმალურისაკენ მიისწრაფვის, თუმცა იქაც სხვადასხვა ქვეყნებში და ცალკეულ პერიოდებში სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მართვა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ყოველთვის არ იძლევა ერთნაირად დადებით შედეგს.

თავი 4. ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის ინტენსივობის გაზომვა. საგადასახადო ტვირთი

ზემოგანხილულ საკითხებზე საუბრისას ჩვენ რამდენჯერმე გავუსვით ხაზი იმას, რომ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში უნდა იყოს მოზომილი და ოპტიმალური, ე.ი. მხოლოდ აუცილებელი ზომის, ანუ იმდენი, რაც საჭიროა ბაზრის ჩავარდნის შესაძლო რეგულირება-მოგვარებისათვის.

მაგრამ რამდენია ეს „ოპტიმალური“ მოცულობა და როგორ გაიზომება ის? როგორ მივაგნოთ ჩარევის ყველაზე მისაღებ მოცულობას?


ცალსახად უნდა ითქვას, რომ ძალზე რთულია როგორც ამ ჩარევის გაზომვა, ისე მისი ოპტიმალურობის განსაზღვრა-დადგენა, თანაც როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის (ან მიუღებლობის) მოსაზრების დასასაბუთებლად ხშირად მოჰყავთ ციფრები სხვადასხვა ქვეყნების სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო სექტორის კუთრი წონის თაობაზე და ამას უკავშირებენ ეკონომიკის განვითარებაში არსებულ მიღწევებს და ნაკლოვანებებს. პრინციპში ასეთი მიდგომა მართლზომიერია, მაგრამ ამ რთული მოვლენის შესაფასებლად მისი აბსოლუტიზაციაც სწორი არ იქნებოდა.

სახელმწიფოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში ჩარევა შეიძლება გავზომოთ ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის დონით და ეროვნული შემოსავლის სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილების კუთრი წონით. ეს უკანასკნელი კი (ანუ სახელმწიფოს შენახვა, მისი ორგანოების მიერ შექმნილი საზოგადოებრივი მოხმარების საქონელ-მომსახურების ანაზღაურება) ძირითადად გადასახადების ამოღებით ხორციელდება.

სწორედ **გადასახადებია** სახელმწიფო ხარჯების დაფარვის (სახელმწიფო მომსახურების ანაზღაურების) ძირითადი წყარო. გამოდის, რომ სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირება პირდაპირ კავშირშია გადასახადების მოცულობასთან; ამავდროულად ბეგარის ამოღება არის მეწარმეობრივი საქმიანობის შესაძლებლობების შეზღუდვა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ოპტიმალური სახელმწიფო ხარჯების და, შესაბამისად, ეკონომიკაზე საგადასახადო დატვირ-

თვის (წნეხის) მისაღები (დასაშვები) მოცულობის განსაზღვრა — დადგენა უმნიშვნელოვანესი და, ამავდროულად, ურთულესი მმართველობითი და ეკონომიკური პრობლემაა (ამოცანაა). **არც ეკონომიკის გადასახადებით გადატვირთვა ვარგა და არც ეკონომიკიდან სახელმწიფოს შენახვისათვის ოპტიმალური (აუცილებელი) მოცულობის საჭიროზე ნაკლების ამოღება იქნება სწორი.**

ამერიკელმა მეცნიერმა **ა. ლაფერმა** დამაჯერებლად დაასაბუთა, ერთი მხრივ, საგადასახადო წნეხის და, მეორე მხრივ, ეკონომიკის განვითარების და ბიუჯეტის შემოსავლის კავშირი: ბიზნესის შემოსავლის ზედმეტი (გადამეტებული) მოცულობის გადასახადით დაბეგვრა კაპიტალდაბანდებების სტიმულს უკარგავს მას, ე.ი. ანელებს კომერციულ მოტივაციას, მაშასადამე, ამუხრუჭებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ზღუდავს ეკონომიკურ ზრდას, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითად მოქმედებს წარმოების მოცულობაზე და თავად სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალზეც. ამიტომ ზოგჯერ სასარგებლო და აუცილებელია ბეგარის განაკვეთის შემცირება: ამას ეკონომიკური ზრდა და ბიუჯეტის შემოსავლის მატება მოჰყვება. მეცნიერმა ეს კანონზომიერება გრაფიკზე გამოხატა, რომელსაც **ლაფერის მრუდს** უწოდებენ (**ნახ 3.1.**).



ნახაზი 3.1. ლაფერის მრუდი. გრაფიკის აბსცისაზე (თარაზულ ღერძზე) განლაგებულია გადასახადის მოცულობა (T), ორდინატაზე (შვეულ ღერძზე) კი — ბიუჯეტის შემოსავალი (Y).

როგორც გრაფიკზე ვხედავთ, გადასახადის განაკვეთის (მოცულობის) გარკვეულ დონემდე მომატება (T1-მდე) ბიუჯეტის შემოსავლის ზრდას იწვევს (M წერტილი, OY1 მოცულობა), ამის შემდეგ კი უკუპროცესს ვხედავთ: ბეგარის მომატება განაპირობებს ბიუჯეტის შემოსავლის კლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ეკონომიკის თვითრეგულირების საწყისებზე ფუნქციონირებას, არ დაუშვას თავისი საქმიანობის (მომსახურების) გაბერვა და ეკონომიკის საგადასახადო დატვირთვის შესაძლებელზე (დასაშვებზე) მაღლა გაზრდა.

გადასანაწილებელი სახსრების „მინიმალურობა" შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ შეგნებული გათვლა-გააზრების საფუძველზე, ამასთან ამის თაობაზე წინადადებების მომზადება ძალუძს მხოლოდ ყოველგვარი იდეოლოგიზაციისაგან თავისუფალ ეკონომიკურ მეცნიერებას (რა თქმა უნდა, ცოდნის სხვა დარგებთან კავშირში).

გადასახადის მნიშვნელობა-რაობაზე საუბრისას საჭიროა აღინიშნოს, რომ არასწორმა საგადასახადო პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს ე.წ. „დაუბრუნებელი დანაკარგები". მოვიყვანოთ უბრალო **მაგალითი:**

ლევანი თანახმაა მწვადის შესაძენად გადაიხადოს 8 ლარი, ელენე — 6 ლარი. დავუშვათ, რომ ერთი ულუფა მწვადის ფასი ჩამოყალიბდა 5 ლარის ოდენობით. ეს ნიშნავს იმას, რომ ლევანი ერთი ულუფა მწვადის შეძენისას მიიღებს ე.წ. „სამომხმარებლო ნამეტს" 3

ლარის ოდენობით (8-5), ხოლო ელენე ერთ ლარს (6-5). მთლიანად სამომხმარებლო ნამეტი იქნება 4 ლარი (3+1);

ახლა დავუშვათ, რომ სახელმწიფომ დააწესა ერთ ულუფა მწვადზე გადასახადი 2 ლარის ოდენობით. ეს კი, სხვა თანაბარ პირობებში, გამოიწვევს მწვადის ფასის გაზრდას 7 ლარამდე. ამ შემთხვევაში ლევანი მიიღებს სამომხმარებლო ნამეტს 1 ლარის ოდენობით (ნაცვლად 3 ლარისა), ელენე კი საერთოდ უარს იტყვის მწვადის შეძენაზე (ანუ დაიკარგება 1 ლარის სამომხმარებლო ნამეტი). ე.ი. მთლიანად სამომხმარებლო ნამეტის დანაკარგი იქნება 3 ლარი;

მთავრობამ კი მიიღო შემოსავალი 2 ლარი და მისი გონივრულად გამოყენების შემთხვევაში საზოგადოება მიიღებს 2 ლარის მოცულობის სიკეთეს;

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასეთი საგადასახადო პოლიტიკის შედეგად ადგილი ჰქონდა 1 ლარის ე.წ. „დაუბრუნებელ დანაკარგებს“ 4-(1+2)=1.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს და ეკონომიკის ურთიერთობების საკითხი დღეს არ დამდგარა მეცნიერებაში და პრაქტიკაში. მაგრამ ის დღეს, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო აქტუალურია. სწორედ ამით არის, ალბათ, განპირობებული, რომ სპეციალისტები სახელმწიფოს ეკონომიკის მართვაში ჩარევა-არჩარევის პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა, ზოგ შემთხვევაში საწინააღმდეგო მოსაზრებებზე დგანან.

სახელმწიფოს ეკონომიკის მართვაში ჩარევა-მონაწილეობის თვალსაზრისით, შეიძლება შემდეგი (გარკვეულწილად უხეში) სქემა წარმოვადგინოთ:

- ე.წ. **ლიბერტანიალები (თანამედროვე ეკონომიკური სკოლა — საპლაი-საიდერები)** დასაშვებად თვლიან სახელმწიფოს ეკონომიკის მართვაში მეტად უმნიშვნელო ჩარევას. ეს არის გადასახადების დაწესება, აკრება და გამოყენება სახელმწიფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ფუნქციების შესასრულებლად, მესაკუთრეთა უფლებების დასაცავად, აგრეთვე უკიდურესი მონოპოლიზაციის აცილებისათვის. ზოგიერთი ლიბერტანიალი თვლის, რომ საჭიროა ჯარის, პოლიციის, სახანძრო რაზმების, ციხეების, ფოსტის პრივატიზება; დასაშვებია, მათი აზრით, რომ ფულის ემისიის უფლება გადაეცეს კერძო ბანკებს; ისინი საერთოდ უარყოფენ მონოპოლიური ტენდენციების არსებობას და მათთან ბრძოლის აუცილებლობას;
- **მონეტარისტები** ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს შედარებით მეტ ჩარევას თვლიან დასაშვებად. ტრადიციულ ფუნქციებთან ერთად (ჯარი, საზოგადოებრივი წესრიგი, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, სოციალური დაზღვევა), სახელმწიფომ, მათი აზრით, უნდა აიღოს ფულის მიმოქცევაზე პასუხისმგებლობა;
- **კეინსელებს** მიაჩნიათ, რომ საბაზრო ეკონომიკა ბოლომდე და ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს თვითრეგულირების საწყისებზე მაკროეკონომიკურ წონასწორობას და ვერ აღწევს მთლიან დასაქმებას. ამიტომ სახელმწიფო უნდა წაეშველოს მას შესაბამისი საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის საშუალებით წონასწორობის შენარჩუნებაში და ამ მწვავე სოციალური პრობლემის მოგვარებაში;
- თუ საბაზრო ეკონომიკის თეორიული მოდელების ჩამოთვლას გავაგრძელებთ მის მართვაში სახელმწიფოს ჩარევის დონის ზრდის მხარდაჭერის პოზიციიდან, უნდა დავასახელოთ ე.წ. **სამრეწველო სტრატეგიის სკოლის** წარმომადგენლები. მათი აზრით, საბაზრო ეკონომიკა თვითრეგულირების მეთოდებით ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს არა მარტო მაკროეკონომიკურ, არამედ დარგებს შორის წონასწორობასაც. ამიტომ საჭიროა, რომ გადასახადების, სუბსიდიების, კრედიტის საშუალებით სახელმწიფომ გარკვეულწილად მიმართოს მეწარმეობა (ბიზნესი) ამა თუ იმ დარგში (მ.შ. მეცნიერების განვითარებაზე), რეგიონში და, შესაბამისად, შეკვეცოს მეწარმეობრივი აქტიურობა სხვა მიმართულებებით. ეს კონცეფცია ფაქტობრივად თეორიული საფუძველია **ინდიკატიური დაგეგმვის** პრაქტიკისა, რომელსაც ამ ბოლო დრომდე იყენებედნენ ზოგიერთ ქვეყანაში (მ.შ. საფრანგეთში);

- ზოგ ქვეყანაში ცალკეულ შემთხვევაში მიმართავდნენ (და ამის მხარდამჭერი თეორიული მოსაზრებებიც არსებობს) აგრეთვე ბაზრის უფრო ძლიერი რეგულირების მეთოდებს — **ფასებზე (პირველ რიგში ხელფასზე) ინტენსიური კონტროლის მეთოდს** სპეციალური კონტრაქტების (პროფკავშირებსა და მეწარმეებს შორის) ან ყველასათვის შესასრულებლად აუცილებელი მთავრობის გადაწყვეტილებების საშუალებით (ეს არის ფასების და ხელფასის ზრდის საერთო საზღვრები, და არა ცალკეულ საქონელზე ფასები ან ხელფასის ტარიფები).

მიუხედავად აზრთა მნიშვნელოვანი განსხვავებულობისა, ყველა ზემოხსენებული მიმართულება აღიარებს საბაზრო ეკონომიკის უპირატესად თვითრეგულირების საწყისებზე ფუნქციონირების სარგებლიანობას. ეს იმ დებულებას ეყრდნობა, რომ, როგორც **სტატისტიკურ-მათემატიკურად არის დასაბუთებული, ყოველი დოლარი, გამოყენებული კერძო სექტორის მიერ, სხვა თანაბარ პირობებში, უფრო მეტ უკუგებას იძლევა, ვიდრე საზოგადოებრივ (სახელმწიფო) სექტორში მოქცეული.** ამას ისიც ემატება, რომ (და ესეც დასაბუთებულია მართვის თეორიაში), **რომ როგორც კი სახელმწიფოს მოცულობა რაღაც კრიტიკულ ზომას მიაღწევს, მისი თვითზრდა იწყება, ის თავის თავზე იმაზე მეტის აღებას იწყებს, ვიდრე საჭიროა და რეალურად შეუძლია (თვითდაჯერებულობა);** ყოველთვის არსებობს ხელისუფლების მიერ ბაზრის ზედმეტად, ასე ვთქვათ, შერცხვენის (მტყუნების), მისი ზემოგანხილული ნაკლოვანებების გაზვიადების და, შესაბამისად, სახსრების უმართებულოდ დიდი ოდენობით გადანაწილების მცდელობის საშიშროება, რამაც არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს ეკონომიკის განვითარებაზე, მის საერთო მდგომარეობაზე. ასეთ ქმედობას გარდუვლად მოჰყვება ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელი საბაზრო სტიმულების არასწორი მიმართება ან მათი საერთოდ ჩახშობა-ჩაკვლა (მოსპობა).

ამ დებულების მართლზომიერებას განამტკიცებს ის ფართოდ აღიარებული მეცნიერული აღმოჩენაც პოლიტოლოგიისა და ეკონომიკური თეორიის შესაყარზე, რომელიც გაკეთებული იქნა გასული საუკუნის 80-იან წლებში. ამ აღმოჩენამდე (პრაქტიკულად დღემდეც) სახელმწიფოს ეკონომიკის მართვაში ჩარევის ანალიზი, როგორც წესი, იმ მოსაზრებიდან, იმ მეთოდოლოგიური მიდგომიდან გამომდინარეობდა, რომლის შესაბამისად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მხოლოდ იმის სურვილი განაპირობებს (პოლიტიკოსების მოტივაცია), რომ მოუტანონ საზოგადოებას რაც შეიძლება მეტი სარგებლიანობა. პოლიტიკის ასეთი იდეალიზების მართლზომიერება ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული: **თუ პოლიტეკონომიური ანალიზი თვლის (და ეს სამართლიანია), რომ ფირმების, მეწარმეების კომერციულ ქცევას მოგების მაქსიმიზაციისადმი სწრაფვა განსაზღვრავს, რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ (ვივარაუდოთ), რომ პოლიტიკოსებიც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარეობენ, მათი ქმედობა — საქმიანობაც ასევე ამომრჩეველთა რაც შეიძლება მეტი ხმის მიღებას (ბიზნესმენისთვის მაქსიმალური მოგების მიღების ანალოგიური მოტივაცია) ან სხვა პოლიტიკური მიზნების მიღწევას გულისხმობს, ხოლო სახელმწიფო (ხელისუფლება) კი — თავისი მოცულობის (მისი საზღვრების) პერმანენტულად ზრდას ესწრაფვის.**

ეკონომიკური ანალიზის ამ ტიპმა (ვიმეორებთ), რომლის მიმდევრებმა სპეციალური სკოლაც კი შექმნეს, რომელმაც **„საზოგადოებრივი არჩევანის"** (ინგლ. Public choice) სახელწოდება მიიღო. საზოგადოებრივი არჩევანის სკოლის წამყვანმა ფიგურამ **ჯეიმს ბიუკენენმა** (მომავალში ნობელის პრემიის ლაურეატი), რომელმაც თავის კოლეგა **გორდონ ტალოკთან** ერთად პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესი ეკონომიკური თეორიის მეთოდების გამოყენებით გააანალიზა და ამით პოლიტიკის ანალიზი ბაზრის ანალიზის ნაირსახეობად აქცია. ამ ბაზარზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას (მ.შ. სახელმწიფო სექტორის მოცულობაზე) განაპირობებს, ერთი მხრივ, შეთანხმება ლობისტურ ორგანიზაციებსა და ამომრჩეველთა გარკვეულ ჯგუფებს შორის (რომლებიც თავისთვის სასარგებლო რეფორმებს მოითხოვენ) და, მეორე მხრივ, ხმების მაქსიმუმის მიღებისათვის მოწადინე პოლიტიკოსებს შორის შეწყობილობა (სამეურნეო ბაზრის ანალოგიური წონასწორობა). ეს კი ყოველთვის ოპტიმალური როდია ეკონომიკის განვითარებისათვის (მ.შ. ეკონომიკაში ჩარევის ინტენსივობის საკითხის გადაწყვეტისას).

ასე რომ დღეს ეკონომიკურ თეორიაში ობიექტურ რეალობად არის აღიარებული, რომ **სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირებაში მონაწილეობის იმაზე მეტ მონდომებას იჩენს, მეტ ჩარევას ცდილობს, ვიდრე ეს რეალურად არის საჭირო ბაზრის უკმარისობის შესავსებად, და ეს ზედმეტმოწადინება მით უფრო შესამჩნევია (და ამბიციურამდეც კი მიდის), რამდენადაც ნაკლებდემოკრატიულია ქვეყნის პოლიტიკური მართვა.** ამიტომ აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს ხელისუფლების მიერ ეკონომიკის მართვაზე საზოგადოებრივი ან სხვა სახის ფართო კონტროლი, მ.შ. მის საქმიანობაში მაქსიმალური საჯაროობა. თუ ეს კონტროლი არ არსებობს ან საკმარისი და კვალიფიციური არ არის, სახელმწიფოს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე ზეგავლენა, მისი თვითრეგულირების შეშველების ნაცვლად, შეიძლება ეკონომიკური ზრდის მუხრუჭი გახდეს (და ხდება კიდევაც). ამას, თავის მხრივ („ბაზრის უკმარისობის" ანალოგიურად), **„სახელმწიფოებრივ არასაკმარისობას"** უწოდებენ.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ იმის დასამტკიცებლად, რომ ეკონომიკის სპეციალისტებს შორის იმის თაობაზე კი არ მიმდინარეობს დისკუსია-კამათი ძირითადად, ჩაერიოს თუ არა სახელმწიფო ეკონომიკის მართვაში, არამედ ამ ჩარევის ინტენსივობაზე, ხასიათზე (ავტორიტარულ — ტოტალიტარული სახელმწიფოების ჩარევის მეთოდებს ყველა უარყოფს) და ოპტიმალურობაზე. თვალსაჩინო გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, გამოჩენილი მეცნიერი ეკონომისტი და უბადლო პრაქტიკოსი, სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის ერთ-ერთი ფუძემდებელი **ლუდვიგ ერჰარდი (1897-1977 წ.წ.)** საბაზრო ურთიერთობების თავისუფლების, ნეოკლასიკური სკოლის მიმდევარი და ეკონომიკის სახელმწიფო მართვასთან შედარებით თვითრეგულირების უპირატესობის თანმიმდევრული და პრინციპული მომხრე იყო. მაგრამ, როგორც დიდი მეცნიერი, გერმანიის ომისშემდგომ წლებში აღორძინებისას (რაც მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა და მისი ეკონომიკის მართვისადმი ასეთი მიდგომის პრაქტიკულად რეალიზება-დასაბუთება იყო) მაინც არ აკეთებდა ჩაურევლობის სარგებლიანობის დებულების აბსოლუტიზაციას. აი, რას წერდა ის: *„რასაკვირველია, მეწარმეობრივი თავისუფლება სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მოხსნილია ყველა მუხრუჭი და გზა გახსნილია ანარქიისათვის. სახელმწიფოს მიერ გაცემული უშუალო ბრძანების ან ყოველგვარი ჩარევის შესახებ უარის თქმის ნაცვლად, — და ეს მეორე მიზანდასახულობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პირველი, — მეურნეობის მიმართ თანამედროვე სახელმწიფო პოლიტიკა ეფუძნება ხელისუფლების ხელში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების ისეთი გამოყენების მისწრაფებას, რომელიც გამოათავისუფლებს ახალ ძალებს, ხსნის ახალ შესაძლებლობებს და გადაკეტავს უნაყოფო გზებს. ეს იმას ნიშნავს, რომ შერჩევისა და კომბინაციის საშუალებებით მიმართო ეკონომიკა წინ, ახალი პროგრესისაკენ".*[1]

მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების და მისი განვითარების კანონზომიერებების განხილვისას აუცილებელია ხაზი გაესვას მის შერეულ ხასიათს: ერთი მხრივ, ეს არის თვითრეგულირებადი ეკონომიკა, სადაც ბაზარს და თავისუფალ კონკურენციას გადამწყვეტი როლი ეკუთვნის; მეორე მხრივ, ამ ბაზრის ფუნქციონირებაში პერმანენტულად (მაგრამ ყოველთვის შეზღუდულად, მოზომილად) მონაწილეობს დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც ფაქტობრივად ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის და მისი (ბაზრის) თვითრეგულირების გარანტად გვევლინება.

ეს იმას ნიშნავს, რომ, მისთვის თვითრეგულირების დამახასიათებელ და გადამწყვეტ პრინციპებთან ერთად, ბაზარი ეგუება და გარკვეულწილად საჭიროებს სახელმწიფოს ოპტიმალურ ჩარევა — ჩართვას, ზოგიერთი პრობლემის სახელმწიფო რეგულირებას და სახელმწიფო საკუთრების საფუძველზე გადაწყვეტას. ე.ი. დღევანდელი (და არც ადრინდელი) ბაზარი აბსოლუტურად თვითრეგულირებადი („სუფთა") კი არ არის, არამედ შერეული. ამასთან საბაზრო ეკონომიკა ფუნქციონირებს როგორც **ერთიანი სისტემა**, თანაც ის სტატიკურ მდგომარეობაში კი არ იმყოფება, არამედ განუწყვეტლივ მოძრაობაშია, დინამიკურია. **ოპტიმალური შეფარდების პირობებში სახელმწიფო და კერძო სექტორი ერთმანეთს ავსებენ, ყოველი მათგანი, გამომდინარე ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის კრიტერიუმებიდან, თავის ნიშს იკავებს ინდივიდთა და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში.**

[1] Эрхард Л. Благосостояние для всех. – М.: Начала-Пресс. – 1991. – стр. 135-136.

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ, იგივე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, კვლავწარმოების კონკრეტულ პირობებში შეიძლება მოხდეს საბაზრო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილების, კანონზომიერებების და მოთხოვნების, ასე ვთქვათ, ინტენსივობა — მოცულობის ერთგვარი შეცვლა, წარმოების, განაწილების ან მოხმარების, ეკონომიკაში საკუთრების ნაირსახეობათა, ეკონომიკის განვითარებაში თვითრეგულირების და სახელმწიფო მართვის კონკრეტულ ამოცანათა ჩვეულებრივ (ნორმალურ) ან ადრინდელ პირობებთან შედარებით ერთგვარად წინ წამოწევა ან უკან დახევა (გავიმეორებთ: მთლიანობაში, საერთო ჯამში თავისუფალი ბაზრის კანონზომიერებების, საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების მოთხოვნების, კერძო საკუთრების უცილობელი პრიორიტეტულობის ქვეშ).

როგორც გავარკვიეთ, გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფო და კერძო სექტორების საზღვრები მოძრავია; ამასთან აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს ჩარევა (მ.შ. მაკროეკონომიკური დაგეგმვის გამოყენება) ყოველთვის ამ პროცესის პროპორციულად (უფრო მეტიც, იგივე მიმართულებით) იცვლება. სახალხო მეურნეობის თვითრეგულირება — რეგულირების დონის დახასიათებისას მარტო რაოდენობრივი კრიტერიუმების გამოყენების შემთხვევაში შეიძლება არასწორი დასკვნა იქნეს გაკეთებული (მაგალითად, იმის თაობაზე, თითქოს იაპონიის ეკონომიკის მართვაში ხელისუფლების ჩარევა ძალზე უმნიშვნელოა). ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის დონე და ინტენსივობა განისაზღვრება აგრეთვე ამ ჩარევის ხარისხით, პროფესიულობით, ზნეობრიობა-წესიერებით, გამოყენებული ხერხებისა და საშუალებების მრავალფეროვნება-სარგებლიანობით და, რაც მთავარია, იმით, თუ რამდენად ადეკვატურად პასუხობენ ისინი (ეს საშუალებები) კონკრეტულ ეკონომიკაში და კონკრეტულ პერიოდში არსებულ მოთხოვნებს.

ეს იმას ნიშნავს, რომ, როდესაც ქვეყანაში რაიმე ეკონომიკურ გართულებას აქვს ადგილი, მთავარი ამოცანა იმაში კი არ არის ძირითადად, რომ შერჩეულ იქნეს ეკონომიკური მართვის (რეფორმის, დაგეგმვის) რაღაც გლობალური და ხანგრძლივი მოქმედების სისტემა ან მოდელი (მ.შ. **ჩარევა — არჩარევის**, სახელმწიფო სექტორის მოცულობების ზუსტი აუცილებელი კრიტერიუმები), არამედ იმაში, რომ დეტალურად და მაღალ მეცნიერულ დონეზე გავერკვეთ სიტუაციაში, შევისწავლოთ მიმდინარე კონკრეტული პროცესები და გამოვიმუშაოთ შესაბამისი ღონისძიებები. საკითხს თუ ასე მივუდგებით, მაშინ იმავე იაპონიის გამოცდილებაზე დავინახავთ, თუ რამდენად ეფექტიანი შეიძლება იყოს ხელისუფლების ეკონომიკაში ჩარევა სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო საკუთრების და სახელმწიფო ინვესტიციების შედარებით დაბალი დონის პირობებშიც. სწორი იყო, ალბათ, შერეული ეკონომიკის ცნობილი ინგლისელი თეორეტიკოსი **ე. შონფილდი**, რომელიც მთავარ მნიშვნელობას სახელმწიფოს ფუნქციებს ანიჭებდა და არა საჯარო (სახელმწიფო) სექტორის მოცულობას და სახელმწიფოს კუთრ წონას ქვეყნის ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში. ასე რომ ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს ჩარევის შედეგიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სახელმწიფო ინსტიტუტების ხასიათზე და ორგანიზაციაზე, მათი ფუნქციონირების წესებზე და ხერხებზე, მთლიანად სახელმწიფო იდეოლოგიაზე, ე.ი. უპირველესად იმაზე, თუ როგორია და რა პრინციპებზე ფუნქციონირებს თვითონ სახელმწიფო. საკმარისია აღინიშნოს, რომ საბჭოურ სინამდვილეში კომუნისტური პარტია თითქოსდა საერთოდ არ ფლობდა საკუთრებას, მაგრამ მისი სახალხო მეურნეობის მართვაში ჩარევა განუსაზღვრელი და გადამწყვეტი იყო.

თავი 5. სახელმწიფო ფინანსები როგორც სახელმწიფო ფუნქციების შესრულების ეკონომიკური უზრუნველყოფა

სახელმწიფოს საქმიანობა, მ.შ. მის მიერ ეკონომიკის ფუნქციონირებაში ჩარევა, საბოლოო ჯამში, ძირითადად შექმნილი მთლიანი შინა პროდუქტის გადანაწილებაში და ამ გადანაწილებული და სახელმწიფოს ხელში თავმოყრილი სახსრების (სახელმწიფო ფინანსები) ხელისუფლების მიერ გამოყენებაში პოულობს ასახვას. **სახელმწიფო ფინანსების ტერმინის ქვეშ გულისხ-**

მობენ ცნებას, რომელიც დაკავშირებულია ფულადი ურთიერთობების სისტემასთან, იმ ფულადი რესურსების შექმნა — გამოყენებასთან, რომელთა მობილიზაციასაც ახდენს ხელისუფლება თავისი პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ეკონომიკური ფუნქციების რეალიზაციისათვის. **ფინანსები**[1] არის ფულადი სახსრების (ფულადი რესურსების) შექმნასთან, განაწილებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა სისტემა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის განსაკუთრებული ფონდების მეშვეობით ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებული ურთიერთობები: 1) ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და, მეორე მხრივ, იურიდიულ და ფიზიკურ პირთა შორის; 2) ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შორის; 3) ფიზიკურ პირთა შორის; 4) იურიდიულ პირთა შორის; 5) სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის.

თუ თავიდან სახელმწიფო უპირატესად პოლიტიკურ — ადმინისტრაციული ამოცანების შესასრულებლად წარმოიშვა (გავიმეორებთ), ხანგრძლივი განვითარების შედეგად მისი საქმიანობის ქვეშ სულ უფრო ექცეოდა (და ექცევა) ქვეყნის ეკონომიკური მართვის, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ზეგავლენის საკითხები. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ტენდენცია ისე განვითარდება, რომ დროთა განმავლობაში ეკონომიკის მართვა მთლიანად სახელმწიფოს ფუნქცია გახდება (როგორც ეს ფსევდოსოციალისტურ ქვეყნებში განხორციელდა). არა, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეკონომიკის თვითრეგულირების ბერკეტებს („უხილავი ხელი") ფაქტობრივად გარდუვალი, მუდმივი და მყარი ხასიათი აქვს. ამასთან ისიც ცხადია, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების მკვეთრად გართულებულ პირობებში აუცილებელი გახდა მაკროეკონომიკურ დონეზე და განსაზღვრულ სფეროებში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვა ისევე ეკონომიკური (პირველ რიგში ფინანსური) საშუალებებით. ამიტომ ადრინდელ ტრადიციულ ამოცანასთან ერთად — ფულადი სახსრებით უზრუნველყოს სახელმწიფოს პოლიტიკურ-დმინისტრაციული საქმიანობა — დროთა განმავლობაში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის არეალში სულ უფრო ექცევა მის ხელში თავმოყრილი საფინანსო საშუალებების ეკონომიკის რეგულირების ინსტრუმენტებად გამოყენების ამოცანა.

სახელმწიფოს მმართველობითი, გარკვეულწილად მარეგულირებელი ფუნქცია ეკონომიკაში, რომელიც ძირითადად **ფინანსურ პოლიტიკაში** პოულობს გამოხატულებას, ეხება როგორც განაწილებასა და მოხმარებას, ისე (მათი მეშვეობით) თვით წარმოებასაც. სახელმწიფო ფინანსები დღეს ფართოდ გამოიყენება როგორც საზოგადოებრივ კვლავწარმოებაზე ზემოქმედების (ეკონომიკური ზრდის საჭირო ტემპების უზრუნველყოფა-შენარჩუნებაზე, მეურნეობრიობის გადამწყვეტი დარგების განვითარებაზე, ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაზე, მეცნიერულ კვლევებზე, კადრების მომზადებაზე და სხვა), ისე მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაწყვეტის აქტიური საშუალება. ფინანსების მეშვეობით (საგადასახადო, მონეტარული და საინვესტიციო პოლიტიკა) სახელმწიფო გავლენას ახდენს დღეს არა მარტო ეროვნული შემოსავლის გადანაწილებაზე (ამას ის ყოველთვის აკეთებდა), არამედ მის წარმოებაზე, კაპიტალის დაგროვებაზე, მოხმარების სფეროზე, წარმოების სტრუქტურაზე, საერთოდ წარმოების განვითარების დინამიკურობაზე და ტემპებზე. ამიტომ არის, რომ ფინანსების ერთ-ერთ ფუნქციად დღეს ეკონომიკის მართვა-რეგულირებაა აღიარებული. გაიზარდა მათი როლი სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის, ასევე საგარეო-ეკონომიკური ურთიერთკავშირების სტრატეგიის გატარებაში.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავლენის თვალსაზრისით, მეცნიერებაში ჩვეულებრივად განიხილავენ სახელმწიფო ფინანსების (საფინანსო პოლიტიკის) როლს და მათ ზემოქმედებას:

- ა) საზოგადოებრივ კვლავწარმოებაზე,
- ბ) მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე,
- გ) კადრების კვალიფიკაციაზე და
- დ) მოსახლეობის მწვავე სოციალური პრობლემების რეგულირებაზე.

რა თქმა უნდა, ყველა ამ მიმართულებით წარმატებების მიღწევაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ფინანსების ტრადიციული და უმთავრესი ფუნქციის — სახელმწიფოებ-

[1] **Financia** (*ლათ.*) — შემოსავალი, ნაღდი ფული.

რიობის არსებობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის-შესრულებას. ფინანსების სოციალურ-ეკონომიკური როლის ზემოჩამოთვლილ მიმართულებებად დაყოფა მნიშვნელოვანწილად პირობითია, ვინაიდან საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება ერთიანი კომპლექსია, ხოლო სახელმწიფო ფინანსების სხვადასხვა ასპექტებით გამოყენება — ურთიერთგადახლართული პროცესი, სადაც საზღვრები ხშირად მეტად მობილური, ცვალებადი და ძნელად მისანიშნებელია. ამასთან ასეთი დაყოფა მაინც საჭირო და მართლზომიერია, ვინაიდან საშუალებას იძლევა უფრო კონკრეტულად წარმოჩინდეს მაკროეკონომიკურ დონეზე საფინანსო-საკრედიტო რესურსების შეგნებულად (სახელმწიფოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ამოცანებიდან გამომდინარე) დამისამართება.

ეკონომიკაზე ზემოქმედების საფინანსო პოლიტიკაში განზოგადებულად ორ ძირითად მეთოდს გამოვყოფდით: ეს არის უშუალოდ ბიუჯეტური ზემოქმედების მეთოდი და საგადასახადო (ბეგარისებური) მეთოდი.

საფინანსო პოლიტიკის **ბიუჯეტური მეთოდი** დაკავშირებულია სახელმწიფო ხარჯებთან, სახელმწიფო სახსრების გამოყენებასთან და სხვადასხვა საშუალებებსა და ფორმებს გულისხმობს, იქნება ეს სახელმწიფო კაპიტალდაბანდებები უშუალოდ წარმოებაში, ინფრასტრუქტურაში თუ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებაში, კადრების მომზადებაში, სუბსიდიები და სახელმწიფო დახმარება, დეფიციტური დაფინანსება და სხვა. სახელმწიფო კაპიტალინვესტიციები ხელს უწყობს წარმოების ზრდას არა მარტო იმ დარგებში, საითაც მიმართულია ისინი უშუალოდ, არამედ ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნის გადიდებით გარკვეულ პერიოდში სტიმულს აძლევს კერძო ინვესტიციების ზრდას და საერთო სამეურნეო კონიუნქტურის გამოცოცხლებას. სახელმწიფო ინვესტიციების წყალობით ინფრასტრუქტურის განვითარებით (რაც მეწარმეობაში ზედნადები ხარჯების შემცირებას, კაპიტალის ბრუნვის დაჩქარებას და, შესაბამისად, მოგების ნორმის ზრდას განაპირობებს) ხელისუფლება ხელს უწყობს იმას, რომ კერძო მეწარმეებმაც გაზარდონ კაპიტალის დაგროვება. **ამერიკელმა ეკონომისტებმა გაიანგარიშეს, რომ სახელმწიფო ინვესტიციების ერთი დოლარი ჩვეულებრივ პირობებში (ე.ი. ოპტიმალური მოცულობისა და სწორი გამოყენების დროს) იძლევა კერძო სექტორისათვის ორი დოლარის კუმულაციურ (მასტიმულირებელ) ეფექტს.**

სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკა (გადასახადის მეთოდი) არის საზოგადოებრივ კვლავწარმოებაზე ზემოქმედების და ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის სახელმწიფოებრივი გადაწყეტა-მოწესრიგების მეორე ძირითადი მეთოდი. სამეურნეო სუბიექტების მეწარმეობრივ (ინვესტიციურ) მოტივაციაზე ზემოქმედების მიზნით სახელმწიფო მიმართავს საგადასახადო პოლიტიკის სხვადასხვა ღონისძიებებს: თავისი ხარჯების შემცირების შედეგად მიღებული რესურსების გამოყენებით ის ამცირებს მოგებაზე და შემოსავალზე გადასახადს, შემოიღებს სხვადასხვა შეღავათებს, განავადებს ბეგარას, ამცირებს დასაბეგრ მოგებას, აბრუნებს ადრე ამოღებულ გადასახადს, მიმართავს **დაჩქარებული ამორტიზაციის პოლიტიკას** და სხვა. **გადასახადის შემცირება (თუ ის ერთდროულად სახელმწიფო ხარჯების შემცირებას გულისხმობს) ზრდის ბაზარზე მეწარმეობრივ მოტივაციას.** თუ ეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით მიზანშეწონილია, ბეგარის მომატებით შეიძლება საწინააღმდეგო მოვლენების მიღება (კონიუნქტურის შეკავება-დაქვეითება და წარმოების ზრდის ტემპების შენელება) და ამისთვისაც იყენებენ ზოგჯერ საგადასახადო პოლიტიკას.

ზემოგამოთქმულ მოსაზრებებთან ერთად (ეკონომიკური კონიუნქტურის გამოცოცხლება-დაქვეითებისათვის და სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის ბიუჯეტური და საგადასახადო მეთოდების გამოყენების თაობაზე), აუცილებელია აქვე ხაზი გავუსვათ შემდეგ ყურადსაღებ ფაქტს: კვლავწარმოებაზე სახელმწიფო ზეგავლენის არც ერთ ბერკეტს არა აქვს აბსოლუტურად აუცილებელი და, მით უმეტეს, მუდმივად მასტიმულირებელი მნიშვნელობა.

სახელმწიფო ფინანსების ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია სახელმწიფო ბიუჯეტი. ეს არის სახელმწიფოს (ფართო გაგებით კი აგრეთვე მისი ადმინისტრაციული დანაყოფების — ე.წ. მუნიციპალური ბიუჯეტი) ფულადი შემოსავლის და გასავლის (ხარჯების) ნუსხა (განაწესი) განსაზღვრული პერიოდისათვის (როგორც წესი, წლისათვის). სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითდი წყაროა გადასახადები.

გადასახადი (ბეგარა) არის თანხა, რომელსაც სახელმწიფო „შეაწერს" და რეგულარულად ან ერთჯერადად ახდევინებს იურიდიულ ან ფიზიკურ პირებს და გამოიყენებს თავისი ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად. ეს ძირითადად საზოგადოების სახელმწიფოებრივი მომსახურების საფასურია. არსებობს **პირდაპირი გადასახადები** (რომელთაც ამოიღებენ შემოსავლიდან და ქონებიდან) და **არაპირდაპირი გადასახადები** (რომელთაც აკრებენ საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის დროს — **აქციზი, დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი**). განასხვავებენ **პროპორციულ** (მყარ, როდესაც ბეგარის განაკვეთი — პროცენტი შემოსავლის ოდენობაზე დამოკიდებული არ არის) და **პროგრესიულ** (როდესაც გადასახადის განაკვეთი იზრდება შემოსავლის ზრდის კვალობაზე) გადასახადებს. ბეგარასთან ერთად ბიუჯეტში სხვა სახის შემოსავლებიც არსებობს (**ბაჟი**, ჯარიმები და სხვა).

ბიუჯეტში მიღებულ შემოსავალს სახელმწიფო იყენებს სახელმწიფო აპარატის, ჯარის, პოლიციის შენახვის ხარჯების დასაფინანსებლად, აგრეთვე საერთო — ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად.

მაშასადამე, ზოგადი გამოხატულებით ბიუჯეტი სახელმწიფოს ფულადი შემოსავლის და გასავლის ბალანსია. **შემოსავლის გასავალზე (ხარჯებზე) გადამეტება ქმნის ბიუჯეტის დადებით ნაშთს (ნარჩენს) — პროფიციტს, ხოლო ხარჯების შემოსავალზე გადამეტება გამოხატავს ბიუჯეტის დეფიციტს.** ე.ი. ბიუჯეტის დეფიციტი არის წლის განმავლობაში ცენტრალური მთავრობის ხარჯების მეტობა მის შემოსავალზე. ბიუჯეტის დეფიციტი ნიშნავს, რომ სახელმწიფომ შემოსავალზე მეტი დახარჯა (დახარჯავს), ხოლო ამ ზედმეტი ხარჯების დასაფარავად მან წინა წლიდან გადმოსული ნარჩენი გამოიყენა (გამოიყენებს) ან ვალი აიღო (აიღებს).

აუცილებელია განვასხვავოთ ქვეყნის საგარეო (უცხოური) ვალი და სახელმწიფოს ვალი. **საგარეო ვალი არის ის, რაც ქვეყანამ (სახელმწიფომ და კერძო სექტორმა ერთად) ვალად აიღო საზღვარგარეთ. სახელმწიფო ვალი კი არის ის, რასაც ხელისუფლება სესხად იღებს ძირითადად ქვეყნის შიგნით მოსახლეობისაგან და მეწარმეობრივი სტრუქტურებისაგან (აგრეთვე იშვიათად სახელმწიფო ბანკისაგან), ზოგჯერ კი საზღვარგარეთაც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად.** მოცულობით ეს არის ცენტრალური ხელისუფლების დავალიანება **სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების** მფლობელებისადმი, რომელიც ტოლია წინა პერიოდებში ბიუჯეტის დეფიციტისა (ბიუჯეტის ნარჩენის და გადახდილი თანხების გამოკლებით). სახელმწიფო ვალის შემცირებისათვის აუცილებელია მიღებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის დადებითი სალდო; სანამ ბიუჯეტი დეფიციტურია, სახელმწიფო ვალი იზრდება.[1]

სახელმწიფო ვალის ზრდას შეიძლება საზოგადოებაში მთლიანი შინა პროდუქტის არასასურველი გადანაწილება მოჰყვეს; ის აყენებს აგრეთვე ეროვნული შემოსავლის თაობებს შორის განაწილების პრობლემას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალური ხდება, თუ ვალად აღებული სახსრები სახელმწიფომ მიმდინარე მოხმარებისათვის გამოიყენა, ნაცვლად ბიზნესისთვის ხელშეწყობისა და ინვესტიციების მეშვეობით საწარმოო ძალების გაფართოება-მოდერნიზაციისა, რომლის შედეგები შეიძლებოდა შემდგომში ვალის გადასახდელად გამოყენებული ყოფილიყო[2]. ე.ი. თუ **სახელმწიფო ვალის და მასზე პროცენტის ზრდას თან არ ახლავს ინვესტიციების შესაბამისი ზრდა, ეს გამოიწვევს ვალის გადახდის უბრალოდ შემდგომი თაობებისათვის გადაკისრებას,** მათი მოხმარების ფონდის შემცირებას. სახელმწიფო ვალის ჩქარი ტემპით ზრდამ შეიძლება ისიც განაპირობოს, რომ ხელისუფლება დაკარგავს ბიუჯეტის მოძრაობაზე კონტროლს და მივიღებთ ე.წ. **დეფოლტს** (გადახდების შეწყვეტას).

---

[1] საუბარია ნორმალური საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებზე და სახელმწიფოს ნორმალურ საბაზრო ქცევაზე, თორემ საქართველოში 1991-1994 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტი ძირითადად სახელმწიფო ვალად კი არ ჩამოყალიბდა, არამედ მიმოქცევაში ფულის ნარმოუდგენლად დიდი ოდენობით ემისიისა და ჰიპერინფლაციის შედეგად მოსახლეობასა და სამეურნეო სტრუქტურებს გადაეკისრა. ფულის ზღვარგადასაული გამოშვება, ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვასთან ერთად (მასზე უფრო მეტად), სხვადასხვა სახელმწიფო და საფინანსო-საკრედიტო სტრუქტურებში მოკალათებული ნუეორიშების კანონსაწინააღმდეგო ქმედობის შედეგი იყო.

[2] ასე ხდებოდა საქართველოში 1992-1996 წლებში, როდესაც ქვეყნის მხოლოდ საგარეო ვალმა 1 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, მაგრამ ამ ნასესხები სახსრების გამოყენების შედეგი შეუმჩნეველი დარჩა.

კითხვები და სასწავლო დავალებები

1. როგორ ფიქრობთ, რა კავშირი არსებობს ეკონომიკურ დემოკრატიასა და პოლიტიკურ დემოკრატიას (პიროვნების თავისუფლებას) შორის? დაწვრილებით დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
2. როგორ გესმით ტერმინი „საბაზრო (ბაზრის) არასაკმარისობა"? თუ ამ მოვლენას რეალურად აქვს ადგილი, რა გადაწყვეტილება უნდა გამოვიტანოთ აქედან?
3. როგორ გესმით ეკონომიკის „შერეული" ხასიათი? რა პარამეტრებით შეიძლება ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ინტენსივობის შეფასება?
4. რაში ხედავთ განსხვავებას ეკონომიკის დემოკრატიული სახელმწიფოს მიერ და ავტორიტარული (ტოტალიტარული) სახელმწიფოს მიერ მართვაში?
5. როგორ გესმით სახელმწიფოს ფუნქციები საერთოდ და მათ შორის ეკონომიკაში?
6. როგორ გესმით სახელმწიფო ფინანსების მნიშვნელობა (როლი)?
7. როგორ ფიქრობთ, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებისას სახელმწიფო ვალი მცირდება თუ არა?
8. როგორ ფიქრობთ, რა პრინციპზე დაყრდნობით ანაწილებენ მშობლები სადილის დროს ბავშვებს შორის შეზღუდული ოდენობის ხენდროს? ალბათ, სამართლიანად, როგორც ეს მათ ესმით, და ეს გადაწყვეტილება მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს.
   მაშინ რატომ არ შეიძლება, რომ ხელისუფლებამაც სამართლიანობის თავისი პოზიციიდან გამომდინარე გაანაწილოს მოქალაქეებს შორის ქვეყანაში არსებული (შექმნილი) დოვლათის უმეტესი ნაწილი? რაშია აქ განსხვავება?
9. 1967 წელს ამერიკის სამედიცინო ასოციაციის პრეზიდენტი აცხადებდა, რომ სამედიცინო დახმარება პრივილეგიაა, და არა უფლება. ბოლო დროს კი იგივე ასოციაცია თვლის, რომ „ყველას აქვს უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე". როგორ ფიქრობთ, სხვადასხვა მოცულობის და ხარისხის სამედიცინო მომსახურებაზეა აქ საუბარი თუ შეიცვალა საზოგადოების შესაძლებლობები და პრობლემისადმი მიდგომა?
10. გელაპის ინსტიტუტი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სოციოლოგიური სამსახურია აშშ-ში, რომელიც მუდმივად სწავლობს საზოგადოების აზრს. მისი მონაცემებით, 1985 წელს საშუალო ამერიკულ ოჯახს გადასახადების დაფარვის შემდეგ „ნორმალური ცხოვრებისათვის" კვირაში სჭირდებოდა 252 დოლარი, მ.შ. ვისაც კოლეჯი ჰქონდა დამთავრებული — 307 დოლარი, ხოლო საშუალო სკოლადამთავრებულებს ჰყოფნიდათ 250 დოლარი. ამ დროს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ მათ შეუძლიათ იკმარონ 251 დოლარი, რესპუბლიკელები კი თვლიდნენ, რომ საჭიროა 298 დოლარი. როგორ ფიქრობთ, რესპუბლიკელებს და კოლეჯდამთავრებულებს მართლაც უფრო მრავალფეროვანი და ძვირი მოთხოვნილებები ჰქონდათ, ვიდრე საშუალო სკოლადამთავრებულებს და დემოკრატებს? რაშია აქ საქმე?
11. ერთ დროს თბილისში ძლიერ მომრავლდა ავტოგასამართი კუსტარული დანადგარები, ბინძურდებოდა ქუჩები, ზიანი ადგებოდა ეკოლოგიას, ამავდროულად ხშირად მოისმენდით და წაიკითხავდით, რომ ბენზინით ვაჭრობას ქალაქში ძირითადად რომელიღაც ერთი, ძლიერშეკავშირებული სტრუქტურა (ერთგვარი კლანი) აკონტროლებსო. 1995 წლის თებერვალში ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით ბენზინით ვაჭრობა, გარდა სპეციალური რამდენიმე გასამართი სადგურისა, ყველგან აიკრძალა. როგორ ფიქრობთ, აწყობს თუ არა ეკოლოგიის დაცვის ეს ღონისძიება ამ „სტრუქტურას"? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

12. ახსენით და შეაფასეთ შემდეგი მოსაზრებები:
    ა) „ეროვნული (სახელმწიფო) ვალი შეიძლება დავახასიათოთ როგორც მარცხენა ხელის ვალი მარჯვენა ხელისადმი";
    ბ) „დიდი სახელმწიფოებრივი ვალის ყველაზე სავარაუდო შედეგი შეიძლება იყოს მთავრობის ბანკროტობა";
    გ) „ჩვენი სახელმწიფოს მზარდი ვალის ძირითადი მიზეზები პოლიტიკურ გაუბედაობაშია".
13. როგორ ფიქრობთ, დიდია საქართველოში შინაგანი სახელმწიფო ვალი? ახსენით თქვენი შეფასება.
14. ბევრი ეკონომისტი თვლის, რომ სახელმწიფო ვალის სიმძიმე — ოპტიმალურობის შეფასების ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელია მისი მოცულობის პროცენტული შეფარდება მთლიან შინა პროდუქტთან. როგორ ფიქრობთ, რატომ? თქვენი აზრით, როგორ უნდა შეფასდეს სახელმწიფო ვალის სიმძიმე?
15. საქართველოში 2006 წელს სახელმწიფო აპარატის კორუფციულობის მიზეზით გაუქმდა სახსტანდარტის უწყება, რომელიც აწარმოებდა ვაჭრობაში რეალიზებადი საქონლის (პროდუქტების) ხარისხის კონტროლს. ერთ-ერთმა პარლამენტარმა განაცხადა, რომ ამ პრობლემებს სახელმწიფო სტრუქტურაზე უკეთესად თავად ბაზარი (იქ მიმდინარე კონკურენცია) მოაგვარებსო. როგორი მოსაზრებისა ხართ თქვენ ამ საკითხზე?
16. როგორ ფიქრობთ, ინტენსიურია საქართველოს ეკონომიკაში მონოპოლიური ტენდენციები? როგორია სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი?
17. როგორ ფიქრობთ, იყენებს თუ არა სახელმწიფო შრომის უუნარო ადამიანების შესანახად დაძალებას?
18. მოყევით, რა რესურსებით ხდება სახელმწიფოს შენახვა.
19. როგორ მიგაჩნიათ, აქვს თუ არა საბაზრო ეკონომიკას ნაკლოვანებები?
20. რას ნიშნავს ცნებები „საზოგადოებრივი მოხმარების სიკეთე" და „მოხმარებაში გამორიცხვის შეუძლებლობა"?
21. რა იცით სახელმწიფოს ფუნქციების შესახებ ეკონომიკაში?
22. როგორ დაახასიათებთ სახელმწიფო სექტორს ეკონომიკაში?
23. რას ნიშნავს ცნება „საგადასახადო დატვირთვა"?
24. რა იცით სახელმწიფო ეკონომიკურ (ფინანსურ) პოლიტიკაზე, მის საგადასახადო და საბიუჯეტო მეთოდებზე?
25. რა გსმენიათ ჯეიმს ბიუკენენის „საზოგადოებრივი არჩევანის თეორიაზე" და როგორ დაუკავშირებთ მას სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის საკითხს?

სავარჯიშო ტესტები

შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი

1. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და სასაქონლო წარმოება:

1) განაცალკევებს საზოგადოების წევრებს და გარკვეულწილად უპირისპირებს მათ ერთმანეთს;
2) აუცილებელს ხდის საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობებს;
3) ზრდის შრომის მწარმოებლურობას.
4) აუმჯობესებს წარმოებული პროდუქციის ხარისხს.

2. თავისუფალი კონკურენცია და თავისუფალი ფასები:

1) ასრულებს ეკონომიკის სტიმულაციისა და რეგულატორულ-საკონტროლო ფუნქიას;
2) ზღუდავს ეკონომიკის დინამიკურ განვითარებას;
3) არ მოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე;
4) საერთოდ არ არსებობს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში.

3. საბაზრო ეკონომიკა არის კვლავწარმოების სისტემა:

1) რომლის ფუნქციონირების ყველა რგოლი განუწყვეტლივ იმყოფება და რეაგირებს ბაზრის გადახდისუნარიანი მოთხოვნის და მიწოდების ზემოქმედების ქვეშ;
2) რომელშიც რესურსების განაწილების სტრუქტურას ძირითადად განსაზღვრავს კერძო მომხმარებლების და მიმწოდებლების თავისუფალი გადაწყვეტილებები;
3) რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების ბაზარზე მოთხოვნის და მიწოდების კანონების მოქმედების შედეგად გადაწყვეტას;
4) რომელსაც არ გააჩნია ისეთი ნაკლოვანებები (ჩავარდნები), რომელთა გადაწყვეტა არ შეიძლება თვითრეგულირების საწყისებზე.

4. სახელმწიფო სექტორის არსებობას საბაზრო ეკონომიკაში განაპირობებს ძირითადად:

1) საზოგადოების გარკვეული ნაწილის (პოლიტიკური ძალის) სურვილი-მოწადინება იყოს ამ საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმართავი ძალა;
2) საზოგადოებისათვის ისეთი საქონელ-მომსახურების წარმოების აუცილებლობა, რომელსაც არა აქვს მოხმარებისაგან გამორიცხვის ხასიათი;
3) ის, რომ კერძო სექტორი მთლიანობაში სახელმწიფო სექტორზე ნაკლებეფექტიანია;
4) ის, რომ ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება, უფრო სიზარმაცისაკენ არის მიდრეკილი, ვიდრე შრომისა და აქტიური საქმიანობისაკენ.

5. სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის ინტენსივობა გამოიანგარიშება ძირითადად:

1) როგორც ეკონომიკიდან ამოღებული ბიუჯეტის შემოსავლის შეფარდება მშპ-ის მოცულობასთან;
2) როგორც სახელმწიფო ვალის შეფარდება მშპ-ის მოცულობასთან;
3) როგორც ბიუჯეტის ხარჯების შეფარდება მშპ-ის მოცულობასთან.
4) ჩარევის ინტენსივობა არ არის ძირითადად დამოკიდებული ბიუჯეტის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

6. სახელმწიფო ფინანსები არის ძირითადად:

1) ფულადი რესურსების შეგროვება-ხარჯვის ტრადიციული სამთავრობო საქმიანობა;
2) სახელმწიფო ფუნქციების შესრულების რესურსული უზრუნველყოფა;
3) ფულადი ურთიერთობები, დაკავშირებული სახელმწიფო საქმიანობასთან;
4) კერძო სექტორის მაღალშედეგიანი ფუნქციონირების უზრუნველმყოფი ცენტრალიზებული რესურსები.

ბუნებრივი უმუშევრობა და მისი მიზეზები

თემა IV



შესავალი. უმუშევრობა როგორც უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა

უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის ის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა, რომელიც ყველაზე პირდაპირ და ყველაზე ძლიერ მოქმედებს ადამიანებზე. **სამუშაოს დაკარგვა არა მარტო შემოსავლის და, შესაბამისად, კეთილდღეობის, მოხმარების მკვეთრი შემცირებაა, არამედ უდიდესი ფსიქოლოგიური ტრავმა.** ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სწორედ უმუშევრობა ხდება ხშირი პოლიტიკური დისკუსიების საგანი. ეკონომიკის მდგომარეობისა და ეკონომიკური პოლიტიკის შედეგის (მისი წარმატების) შეფასებისათვის ბევრი პოლიტიკური მოღვაწე (და ეკონომისტი) იყენებს ე.წ. **„სიღატაკის (სიღარიბის) ინდექსს“**, რომელიც წარმოადგენს უმუშევრობის და ინფლაციის დონეების ჯამს.

ამიტომ არის ასევე, რომ უმუშევრობის კვლევის საკითხი მეტად აქტუალურია ნებისმიერ საზოგადოებაში; მის ამოცანას (მიზანს) კი წარმოადგენს უმუშევრობის იმ მიზეზებში გარკვევა, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულობის დონეზე, და, ამის კვალობაზე, სახელმწიფო პოლიტიკის ღონისძიებების შემუშავება — სრულყოფა — გატარება.

ზოგიერთი სახელმწიფო პროგრამა (მაგალითად, უმუშევართა პროფესიულ გადამზადებაზე) უადვილებს დაუსაქმებლებს სამუშაოზე მოწყობას, ზოგიერთი კი (მაგალითად, სოციალური დაზღვევა) უმსუბუქებს მათ უმუშევრობით გამოწვეულ ეკონომიკურ პრობლემებს. ამასთან ზოგიერთი პროგრამის მოქმედებას (მუშაობას) ერთმნიშვნელოვნად ვერ შეაფასებ; ბევრი მეცნიერი ეკონომისტი (უფრო სწორად, მათი უმეტესობა) თვლის, მაგალითად, რომ **კანონი მინიმალურ ხელფასზე** ხელს უწყობს უმუშევრობის მაღალი დონის არსებობას.

ამ პრობლემის შემსწავლელ ეკონომისტთა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც იტყვიან, ცივი გონებით (იდეოლოგიზაციის გარეშე) გაერკვნენ მოვლენის არსსა და მიზეზებში, გამოავლინონ ამა თუ იმ პროგრამის დადებითი და არასასურველი შედეგები და დაეხმარონ ხელისუფლებას და პროფკავშირებს არსებული ამოცანის გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტების შერჩევა — შეფასებაში.

ვიხილავდით რა საგნის პირველ ნაწილში წარმოების ფაქტორების ბაზარს, ჩვენ უგულებელვყოფდით (აბსტრაჰირებას ვუკეთებდით) უმუშევრობას და ვვარაუდობდით, რომ ეკონომიკაში ადგილი აქვს მთლიან (სრულ) დასაქმებას. ეს მაშინ, როდესაც შრომისუნარიანი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მუდმივად არა აქვს სამუშაო და ეძებს მას; ნებისმიერი საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია უმუშევრობის ესა თუ ის ბუნებრივი დონე, რომ არაფერი ვთქვათ პერიოდულ ციკლურ უმუშევრობაზე. ამასთან უმუშევრობის ბუნებრივი დონეც იცვლება და ამას ბევრი მიზეზი განაპირობებს.

აქ, ამ თემაში, ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ **უმუშევრობის ბუნებრივი დონის** პრობლემებს. რაც შეეხება **უმუშევრობის პერიოდულ (ციკლურ) რყევას**, ესეც მაკროეკონომიკის საკითხია და ჩვენ მას მაკროეკონომიკური წონასწორობის თემის განხილვისას შევეხებით.

თავი 1. უმუშევრობის ბუნებრივი დონე და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები

უმუშევრობის ბუნებრივი დონე (ინგლ. Natural rate of unemployment) არის უმუშევრობის დონე, რომელიც შეესაბამება ეკონომიკის მდგრად მდგომარეობას; ეს უმუშევრობის ის დონეა, რომლისკენაც მიისწრაფვის ის გრძელვადიან პერიოდში; ეს უმუშევრობის საშუალო დონეა, რომლის ირგვლივაც ხდება ეკონომიკური რყევები. მაკმილანის ლექსიკონში უმუშევრობის ბუნებრივი დონე შემდეგნაირადაა განმარტებული: *„ეს არის უმუშევრობის დონე, რომელიც ჩადებულია ეკონომიკის არსებულ სტრუქტურაში. ეს დონე განისაზღვრება სტრუქტურული და ფრიქციული ფაქტორებით და არ შეიძლება შემცირდეს ერთობლივი მოთხოვნის გაზრდის შედეგად. ის შეიძლება განვიხილოთ როგორც უმუშევრობის დონე, რომელიც შემორჩება სრული დასაქმების პირობებშიც...მას შეიძლება ვუწოდოთ „სრული დასაქმების პირობების უმუშევრობის ნორმა!"*.

უმუშევართა რიცხოვნობა (შრომის ბაზარზე) და შედგენილობა მოძრავია, სისტემატურად იცვლება: ზოგი ტოვებს სამუშაოს, ზოგს დაითხოვენ, ზოგი კიდევ პოულობს სამუშაოს და იწყებს საქმიანობას. დაუსაქმებლებს (უმუშევრებს) შორის სამუშაო ძალის ეს გადინება და შემოდინება განაპირობებს უმუშევართა რაოდენობას და მათ ხვედრით წონას სამუშაო ძალის საერთო რიცხოვნობაში. ამ თემაში ჩვენ განვიხილავთ სამუშაო ძალის დინამიკის მოდელს, რომელიც გვიჩვენებს უმუშევრობის ბუნებრივი დონის განმსაზღვრელ ფაქტორებს.

L-ით აღვნიშნოთ სამუშაო ძალა, **E**-თი — დასაქმებულთა (მომუშავეთა) რიცხვი, ხოლო **U**-თი — უმუშევართა რიცხვი. მაშინ

$$L=E+U$$

ე.ი. ერთობლივი სამუშაო ძალა არის დასაქმებულთა და უმუშევართა რიცხოვნობის ჯამი. უმუშევრობის დონე განისაზღვრება შეფარდებით: **U/L**, ხოლო დასაქმებულთა დონე — **E/L**.

ანალიზის გაადვილებისათვის ჩავთვალოთ, რომ ერთობლივი (მთლიანი) სამუშაო ძალის რიცხოვნობა უცვლელია. ასევე მივიღოთ, რომ:

s — არის იმ მუშაკთა დათხოვნის მაჩვენებელი, რომლებიც ყოველთვიურად კარგავენ სამუშაოს და გადიან შრომის ბაზარზე;

f — არის შრომითი მოწყობის (სამუშაოზე მოწყობის) მაჩვენებელი (ე.ი. იმ უმუშევართა კუთრი წონა, რომლებიც ყოველთვიურად პოულობენ სამუშაოს).

ე.ი. **Exs** — გვიჩვენებს, თუ რამდენმა დასაქმებულმა დაკარგა სამუშაო, ხოლო **Uxf** — რამდენი უმუშევარი მოეწყო სამუშაოზე.

მომუშავეთაგან (დასაქმებულთაგან) უმუშევართა ჯგუფში და პირიქით გადასვლას გავუკეთოთ ილუსტრაცია **4.1. ნახაზზე** (იხილეთ მომდევნო გვერდზე).

დროის ყოველ გარკვეულ პერიოდში დასაქმებული მოსახლეობის ნაწილი კარგავს (ან ტოვებს) თავის სამუშაო ადგილს (**s**), უმუშევრების ნაწილი კი პოულობს მას (**f**). სამუშაოზე მოწყობის და სამუშაოდან დათხოვნის მაჩვენებლები განაპირობებს უმუშევრობის დონეს (მის ცვლილებას).

თუ უმუშევრობის დონე გარკვეულ პერიოდში არ იცვლება (ე.ი. თუ შრომის ბაზარი მდგრად მდგომარეობაშია), მაშინ ამ პერიოდში დაქირავებულთა (სამუშაოზე მოწყობილთა) რიცხოვნობა უნდა უდრიდეს დათხოვნილთა რიცხვს. ვინაიდან **Uxf** არის გარკვეულ პერიოდში დაქირავებულ ადამიანთა რიცხვი, ხოლო **Exs** — ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც დაკარგეს ამ პერიოდში სამუშაო, ეს ორი სიდიდე მდგრად ეკონომიკაში ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს.

ე.ი. **Uxf=Exs.**


ადრე მოყვანილი ტოლობიდან გასაგებია, რომ **E=L-U** (დასაქმებულთა რიცხოვნობა ტოლია მთლიანი სამუშაო ძალისა უმუშევართა რიცხოვნობის გამოკლებით). მდგრადი წონასწორობა რომ ვიპოვოთ, ჩავსვათ "**E**"-ს მნიშვნელობა ზემომოყვანილ ფორმულაში:

$$Uxf=(L-U)xs.$$

განტოლების ორივე მხარის **L**-ზე გაყოფით ვღებულობთ:

$$fxU/L=sx(1-U/L)$$

[1] Словарь современной экономической теории Макмиллана. М.: ИНФРА-М. 1997, გვ. 349.



ნახ. 4.1. მომუშავეთა შემადგენლობიდან უმუშევართა შემადგენლობაში და პირიქით გადასვლა.

U/L-ის გამოტანით კი ვღებულობთ:

U/L=s/(s+f)

ეს განტოლება გვიჩვენებს, რომ უმუშევრობის დონე (**U/L**) დამოკიდებულია სამუშაოზე მოწყობისა და სამუშაოდან დათხოვნის დონეებზე: რაც უფრო მაღალია დათხოვნის დონე, მით უფრო მაღალია უმუშევრობა; რაც უფრო მაღალია სამუშაოზე მოწყობის დონე, მით უფრო დაბალია უმუშევრობა.

განვიხილოთ ციფრობრივი მაგალითი.

დავუშვათ, რომ ყოველთვიურად სამუშაოს კარგავს დასაქმებულთა 1% (s=0,01), რაც იმას ნიშნავს, რომ დასაქმებულთა შორის ყოფნის საშუალო პერიოდი უდრის 100 თვეს, ანუ დაახლოებით 8 წელს.

დავუშვათ შემდეგ, რომ უმუშევართა 20% ყოველთვიურად პოულობს სამუშაოს (f=0,20). ეს იმას ნიშნავს, რომ უმუშევრად ყოფნის საშუალო პერიოდი 5 თვე გაგრძელდება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უმუშევრობის მდგრადი დონე იქნება:

U/L = s/(s+f) = 0,01/(0,01 + 0,2) = 0,048

მაშასადამე, უმუშევრობა ამ შემთხვევაში იმყოფება დაახლოებით 5%-ის დონეზე.

ზემომოყვანილი მოდელიდან გამოდის შემდეგი უბრალო, მაგრამ მნიშვნელოვანი დასკვნა:

ნებისმიერი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია უმუშევრობის ბუნებრივი დონის შემცირებისაკენ, ხელს უნდა უწყობდეს ან დათხოვნის დონის შემცირებას, ან შრომითი მოწყობის დონის ზრდას. შესაბამისად, ნებისმიერი პოლიტიკა, რომელიც ზემოქმედებს აღნიშნულ მაჩვენებლებზე, ცვლის უმუშევრობის ბუნებრივ დონეს.

ეს მოდელი გვიჩვენებს კავშირს, ერთი მხრივ, უმუშევრობის დონის მაჩვენებელსა და, მეორე მხრივ, დათხოვნისა და სამუშაოზე მოწყობის მაჩვენებლებს შორის, მაგრამ ის ვერ ხსნის მთავარს (არ გვაძლევს პასუხს საკვანძო კითხვაზე): რატომ არსებობს საერთოდ ასეთი მოვლენა, როგორც უმუშევრობა?

ადამიანს სამუშაოს სწრაფად (მყისვე) პოვნის საშუალება რომ ჰქონდეს, სამუშაოზე მოწყობის დონე მაღალი იქნებოდა, ხოლო უმუშევრობისა — უმნიშვნელო (ნულს მიახლოებული). ჩვენ მიერ განხილული მოდელი გულისხმობს (გვიჩვენებს), რომ შრომით მოწყობას გარკვეული დრო სჭირდება, მაგრამ ვერ ხსნის, რატომ ხდება ეს ასე.

გადავიდეთ უმუშევრობის ძირითადი მიზეზების განხილვაზე: სამუშაოს დაკარგვა-ძებნა-პოვნის და მტკიცე (მკაცრი) ხელფასის პრობლემებზე.

თავი 2. ფრიქციული უმუშევრობა

შრომის ბაზრის წონასწორობის მოდელი გულისხმობს, რომ ყველა მუშაკთა ხარისხი — სპეციალობა და კვალიფიკაცია (როგორც საერთოდ, ისე ყველა რეგიონში) ზუსტად ემთხვევა არსებულ სამუშაო ადგილებს, ე.ი. ნებისმიერი მუშაკი ერთნაირად კარგად გამოდგება ნებისმიერ სამუშაო ადგილზე. ასე რომ იყოს საქმე, შრომის ბაზრის წონასწორობის მდგომარეობაში ყოფნის პირობებში სამუშაოს დაკარგვა პრაქტიკულად არ გამოიწვევდა უმუშევრობას: შრომის ბაზარზე გასული მუშაკი (უმუშევარი) მაშინათვე იპოვიდა ახალ სამუშაო ადგილს იმ ხელფასით, რასაც ბაზარი აწესებს. სინამდვილეში კი ბაზარზე სამუშაო ძალის სტრუქტურასა და თავისუფალ სამუშაო ადგილებს შორის შესაბამისობის დამყარებას გარკვეული დრო სჭირდება და სწორედ ეს არის უმუშევრობის ერთ-ერთი მიზეზი.

საქმე ისაა, რომ მუშაკებს სხვადასხვა მიდრეკილება, უნარი (ნიჭი) და ცოდნა (პროფესიონალიზმი) გააჩნიათ, ყოველ კონკრეტულ სამუშაო ადგილზე კი გარკვეული პროფესიული მოთხოვნები წარედგინება (არსებობს), რომლებსაც შეიძლება არ შეესაბამებოდნენ სამუშაოს მაძიებლები. გარდა ამისა, სამუშაო ადგილების პრეტენდენტებზე და ვაკანსიებზე ინფორმაციის არსებული სისტემა ხშირად არასრულყოფილია; ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ადამიანების ტერიტორიული გადაადგილება (ადგილმონაცვლეობა) სწრაფად ვერ ხერხდება. ამასთან, რაკი სხვადასხვა სამუშაო ადგილები განსხვავდება როგორც სირთულით (დატვირთვით), ისე შრომის ანაზღაურების პირობებით, უმუშევარმა შეიძლება უარი თქვას პირველ შეთავაზებულ სამუშაოზე იმ იმედით, რომ შეძლებს მოეწყოს სამუშაოზე უფრო ხელსაყრელი პირობებით.

უმუშევრობას, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ მუშაკებისა და სამუშაო ადგილების შესაბამისობის დადგენისათვის საჭიროა გარკვეული დრო, ფრიქციული უმუშევრობა ეწოდება. ფრიქციული უმუშევრობა (Frictional unemployment) არის იმ პირთა უმუშევრობა, რომლებისთვისაც მათი კვალიფიკაციის და მიდრეკილების შესაბამისი სამუშაოს მოძებნას გარკვეული დრო სჭირდება. ფრიქციული უმუშევრობა არის *„უმუშევრობა სამუშაოს ძებნის დროს — მუშა რომ თავის სამუშაოს შეხვდეს, საჭიროა დრო"* (მაკმილანის ლექსიკონი). მიჩნეულია, რომ ფრიქციული უმუშევრობა ტოლია ადგილობრივ ბაზარზე არსებული ვაკანსიებისა სპეციალობების მიხედვით.

ფრიქციული უმუშევრობის გარკვეული დონე გარდუვალია სისტემატურად ცვალებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში: სხვადასხვა საქონელზე მოთხოვნის ცვლილებები და წარმოებაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენა ცვლის სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სტრუქტურას; ვინაიდან სხვადასხვა რეგიონები სხვადასხვა საქონელ — მოსახურებას აწარმოებენ, შრომაზე მოთხოვნა შეიძლება გაიზარდოს ქვეყნის ერთ რეგიონში, მეორეში კი შემცირდეს. დარგებსა და რეგიონებში შრომაზე მოთხოვნისადმი ასეთ ცვლილებებს ეკონომისტები **სტრუქტურულ ძვრებს** უწოდებენ. **ეკონომიკის სტრუქტურული ძვრები (Sectoral shift) არის მისი დარგობრივი და რეგიონალური ცვლილებები.** ვინაიდან სტრუქტურული ძვრები ეკონომიკაში სისტემატურად მიმდინარეობს, ხოლო მუშაკებს სამუშაოს შეცვლისათვის და შესაბამისი ცოდნა — უნარის მიღებისათვის გარკვეული დრო სჭირდებათ, ფრიქციულ უმუშევრობას მყარი (მდგრადი) ხასიათი აქვს.

ამასთან ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ძვრები ერთადერთი მიზეზი არ არის მუშაკთა სისტემატური გამონთავისუფლებისა და ფრიქციული უმუშევრობისა. ფქტობრივად ამასვე იწვევს ის, რომ:

1. მუშაკები თავისთვის მოულოდნელად სამუშაოდან დათხოვნილები ხდებიან:
   - თუ ფირმა გაკოტრდა;
   - თუ მათი მუშაობის ხარისხი არადამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული დამქირავებლის მიერ;
   - თუ მათი კონკრეტული კვალიფიკაცია უკვე არ არის საჭირო;
2. მუშაკები სამუშაოს ტოვებენ აგრეთვე საკუთარი ინიციატივით, როდესაც იცვლება მათი პროფესიული ინტერესები, ისინი იცვლიან საცხოვრებელ ადგილს და სხვ.

ბევრ ქვეყანაში (პრაქტიკულად ყველგან) არსებობს დაუსაქმებლობის დონის შემცირების სხვადასხვა პროგრამები, რომლებიც ფრიქციული უმუშევრობის შემცირებას გულისხმობს:

- დასაქმების სახელმწიფო სამსახურები ამზადებენ (მოიპოვებენ) და ავრცელებენ ინფორმაციას არსებულ ვაკანსიებზე, რაც უადვილებს დაუსაქმებლებს სამუშაოს პოვნას;
- პროფესიული გადამზადების პროგრამები მოწოდებულია გაუადვილონ მუშაკებს ერთი (შემცირებადი, შეკვეცადი) დარგიდან მეორეში (განვითარებადში, გაფართოებადში), ერთი პროფესიიდან მეორეზე გადასვლა.

ერთნიშნად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი საქმიანობა (თუ ეს პროგრამები თანმიმდევრულად და სწორად ხორციელდება) ხელს უწყობს უმუშევრობის ბუნებრივი დონის შემცირებას.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით უმუშევრობისაგან სოციალური დაზღვევის სისტემაზე. **უმუშევრობისაგან დაზღვევა (ინგლ. Unemployment insurance) არის უმუშევრებისათვის სამუშაოს დაკარგვიდან გარკვეულ პერიოდში დახმარების გაცემის სახელმწიფო პროგრამა.** უმუშევრობისაგან სოციალური დაზღვევის სისტემაც სხვადასხვა ფორმით პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში არსებობს და გამოიხატება სამუშაო დაკარგულთათვის ხელფასის ნაწილის დროის გარკვეულ მონაკვეთში გაცემაში (აშშ-ში, მაგალითად, უმუშევარი ღებულობს უკანასკნელი სამუშაო ადგილის ხელფასის 50%-ს 26 კვირის განმავლობაში).

ეს სისტემა, პირიქით, ზრდის (ადიდებს) ფრიქციული უმუშევრების რიცხოვნობას. საქმე ისაა, რომ, არბილებს რა სამუშაოს დაკარგვის (უმუშევრად ყოფნის) ეკონომიკურ (ფინანსურ) შედეგებს, უმუშევრობისაგან სოციალური დაზღვევის სისტემა იწვევს იმას, რომ დახმარების მიმღები უმუშევრები ისე აქტიურად არ ეძებენ ახალ სამუშაოს და ხშირად უარს ამბობენ წინადადებებზე, რომლებიც არც ისე მიმზიდველია, მათი აზრით. ასე რომ ეს სისტემა ამცირებს სამუშაოზე მიღების (დაქირავების) მაჩვენებელს.

გარდა ამისა, უმუშევრობისაგან დაზღვევის სისტემის არსებობა, ალბათ, განაწყობს მეწარმეებს უფრო ადვილად წავიდნენ მუშაკთა დათხოვნაზე, ე.ი. იზრდება დათხოვნის ტემპის მაჩვენებელიც.

ის, რომ უმუშევრობისაგან დაზღვევის სისტემა იწვევს დაუსაქმებლობის ბუნებრივი დონის ზრდას, არ ნიშნავს, რომ ასეთი პოლიტიკა არასასურველია (მიუღებელია). ეს სისტემა ამსუბუქებს უმუშევართა მდგომარეობას, ამაგრებს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის სტატუსს, აძლევს რა მუშაკებს საშუალებას უარი თქვან არამიმზიდველ სამუშაოებზე; ეს სისტემა, ეტყობა, ხელს უწყობს ასევე იმას, რომ ეკონომიკაში დამკვიდრდეს სამუშაო ძალის მახასიათებლებსა და სამუშაო ადგილების სტრუქტურებს შორის უფრო ზუსტი (მუშაკებისათვის მისაღები, სამართლიანი) შესაბამისობა.

უმუშევრობისაგან დახმარების გასაცემი სახსრების ნაწილს იმ საწარმოებისაგან ამოიღებენ, რომლებმაც დაითხოვეს მუშაკები; ე.ი. არსებობს ნაწილობრივი კომპენსაციის სისტემა. ზოგიერთი ეკონომისტი, აყენებს რა უმუშევრობისაგან სოციალური დაზღვევის სისტემის რეფორმირების აუცილებლობის (მიზანშეწონილობის) საკითხს, საჭიროდ მიიჩნევს შემოღებულ იქნეს ასპროცენტიანი (მთლიანი) კომპენსაციის სისტემა.

მოვიყვანთ მაღალი უმუშევრობის და მისი ახსნის კონკრეტულ მაგალითს.

დიდ ბრიტანეთში 1920-1938 წლებში უმუშევრობის დონე ძალზე მაღალი იყო — საშუალოდ 14% და არ ჩამოდიოდა 9%-ზე დაბლა. ზოგიერთმა ეკონომისტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამის მიზეზი მნიშვნელოვანწილად უმუშევრობისაგან ხელგაშლილ (გულუხვ) დახმარებაში უნდა ვეძებოთო:

- მეცნიერებმა შენიშნეს, რომ დახმარების გაზრდას (მომატებას) თან სდევდა უმუშევრობის დონის ზრდა (ანუ მის პარალელურად მიმდინარეობდა უმუშევრობის დონის მატება);
- მათ მიაქციეს ყურადღება, რომ მოზარდთა შორის, რომლებიც ნაკლებ დახმარებას იღებდნენ, უმუშევრობის დონე გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე მოზრდილთა შორის;

- მათ აჩვენეს, რომ, როდესაც გათხოვილ ქალებს შეუმცირეს დახმარება, უმუშევრობის დონე მათ შორის საგრძნობლად შემცირდა მამაკაცებში უმუშევრობასთან შედარებით.

უმუშევრობის მაღალი დონის ეს ახნა, მიუხედავად თითქოსდა ცხადი, აშკარა დასაბუთებულობისა, დღემდე დისკუსიის საგნად რჩება. საქმე ისაა, რომ დახმარების ოდენობისა და უმუშევრობის დონის ფაქტობრივი მონაცემები შეიძლება ასახავდეს სრულიად სხვა მიზეზობრივ-შედეგობრივ ურთიერთკავშირს:

- ჯერ ერთი, რაც უფრო დიდია დახმარების ოდენობა, მით უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ უმუშევარმა შეიძლება უარი თქვას შედარებით მიმზიდველ სამუშაო ადგილზეც, რაც ზრდის ფრიქციულ უმუშევრობას;
- ამასთან (მეორე), რაც უფრო მაღალია უმუშევრობის დონე, მით უფრო ზემოქმედებს ეს მოვლენა პოლიტიკოსებზე (ხელისუფლებაზე) და მით უფრო მაღალი დახმარების გაცემაზე მიდის მთავრობა.

ასე რომ გამორიცხული არ არის, რომ სწორედ მაღალმა უმუშევრობამ გამოიწვია დახმარების ზრდა (შესაბამისად, უმუშევრობის მატება), და არა პირიქით.

აქ კიდევ ერთი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ იმის თაობაზე, თუ როგორ მოქმედებს სოციალური დაზღვევა უმუშევრობის დონეზე. როგორც დაკვირვებები გვიჩვენებს (განსაკუთრებით ინდივიდებზე, და არა მთლიანად უმუშევართა ერთობლიობაზე), დახმარების მიღების ვადის გასვლის მოახლოებასთან ერთად მნიშვნელოვნად მატულობს უმუშევრის მიერ სამუშაო ადგილის პოვნის ალბათობა.


აშშ-ში საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს (ილინოისის შტატი, 1985). დახმარების მიღების თავისუფლად შერჩეულ პრეტენდენტებს 500 დოლარის გასამრჯელო შესთავაზეს იმ შემთხვევაში, თუ ისინი 11 კვირის განმავლობაში იპოვიდნენ სამუშაოს. შემდეგ მათ მიერ მუშაობის ძებნაში გამოვლენილი აქტივობა შეადარეს იმ საკონტროლო ჯგუფის ანალოგიურ მოქმედებას, რომლის წევრებისთვის გასამრჯელო არ შეუთავაზებიათ. იმ პირთა სამუშაოს გარეშე (უმუშევრად) ყოფნის საშუალო პერიოდმა, რომლებსაც გასამრჯელოს გაცემას შეჰპირდნენ, შეადგინა 17 კვირა, ნაცვლად 18,9 კვირისა ჩვეულებრივ საკონტროლო ჯგუფში.

თავი 3. ლოდინის უმუშევრობა

ბუნებრივი უმუშევრობის მეორე მნიშვნელოვანი მიზეზია ხელფასის სიმტკიცე — მისი სუსტი ელასტიკურობა. **ხელფასის სიმკაცრე** (ინგლ. Wage rigidity) არის ხელფასის უუნარობა შეასრულოს შრომის ბაზარზე მოთხოვნის და მიწოდების გაწონასწორების ფუნქცია არასაკმარისი (დაბალი) ელასტიკურობის გამო. შრომის ბაზრის წონასწორობის მოდელი გულისხმობს, რომ რეალური ხელფასი თითქოსდა სისტემატურად იცვლება და აწონასწორებს შრომაზე მოთხოვნას და მის მიწოდებას. სინამდვილეში კი ხელფასი ყოველთვის როდია ასეთი ცვალებადი; ზოგჯერ ის გაჩერდება, თითქოს გაიჩხირება წონასწორობის დონეზე მაღლა, როგორც ეს გამოსახულია **4.2. ნახაზზე** (იხილეთ მომდევნო გვერდზე).

როდესაც რეალური ხელფასი იმყოფება მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის შესაბამის დონეზე მაღლა (**W2**), შრომის მიწოდება აღემატება მასზე მოთხოვნას, ანუ შრომაზე მოთხოვნა მის მიწოდებაზე ნაკლებია. ხელფასის სიმტკიცე ამცირებს შრომითი მოწყობის მაჩვენებელს და ადიდებს უმუშევრობის დონეს.

უმუშევრობა, როგორც მტკიცე ხელფასის და, აქედან გამომდინარე, სამუშაო ადგილების უკმარისობის შედეგი, არის **ლოდინის უმუშევრობა** (ინგლ. Wait unemployment). ამ შემთხვევაში მუშაკები მარტო იმიტომ კი არ ხდებიან უმუშევრები, რომ ეძებენ მათი კვალიფიკაციისათვის უფრო მისაღებ (შესაფერის) სამუშაოს, არამედ იმიტომაც, რომ ხელფასის ამ დონის პირობებში



ნახ. 4.2. რეალური ხელფასის სიმტკიცე (უცვლელობა) იწვევს შრომაზე მოთხოვნის შემცირებას, ანუ სამუშაო ადგილების უკმარისობას. *თუ რეალური ხელფასი წონასწორობის დონეზე მაღლა შეჩერდა (W2), მაშინ შრომის ბაზარზე მიწოდება მოთხოვნას აღემატება (OA2>OA1). ამის შედეგი კი უმუშევრობაა.*

შრომის მიწოდება აღემატება მასზე ფირმების მოთხოვნას. უმუშევრები ელოდებიან უბრალოდ რეალური წონასწორობის დონეზე მაღლა ანაზღაურებადი სამუშაოს მიღების (პოვნის) შესაძლებლობას.

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ მტკიცე ხელფასის და ლოდინის უმუშევრობის კატეგორიებში, უნდა ვუპასუხოთ კითხვას:

რატომ არ მოდის შრომის ბაზარი წონასწორობის მდგომარეობაში?

როდესაც რეალური ხელფასის დონე წონასწორობის წერტილზე მაღლა იმყოფება, ლოგიკური იქნება ვიფიქროთ, რომ მეწარმეები შეამცირებენ შრომის ანაზღაურებას წონასწორობის დონემდე და დამკვიდრდება ახალი წონასწორობა ნაკლები ანაზღაურებით და მეტი დასაქმებით. სინამდვილეში კი უმუშევრობა რჩება, ვინაიდან ფირმებს არ ძალუძთ (ან არ სურთ) ამის გაკეთება, მათ არ შეუძლიათ შეამცირონ ხელფასი წონასწორობის დონემდე; მათ ურჩევნიათ ზოგჯერ არ შეამცირონ ხელფასი წონასწორობის დონემდე.

საკითხავია, რატომ?

განვიხილოთ ხელფასის სიმტკიცის (უცვლელობის) სამი მიზეზი:

- მინიმალურ ხელფასზე კანონის მიღება;
- პროფკავშირების გარკვეული მონოპოლიური ძალის არსებობა;
- ფირმების მიერ მასტიმულირებელი ხელფასების დაწესება.

ბევრ ქვეყანაში მთავრობები აწესებენ შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონეს, რომელზე დაბლა არ შეიძლება იყოს დაქირავებული მუშაკის ხელფასი. აშშ-ში, მაგალითად, 1938 წელს მიღებულ იქნა კანონი შრომის პირობების სამართლიანობის თაობაზე, რომლის შესაბამისად შრომის მინიმალური ანაზღაურება წესდება მრეწველობაში არსებული საშუალო ხელფასის 30-დან 50 პროცენტამდე.

დაქირავებულ მუშაკთა უმეტესობისათვის ასეთ წესს პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს — მათი ხელფასი მინიმუმზე ისედაც მეტია. მაგრამ ეს წესი მეტად მნიშვნელოვანია გამოცდი-

ლების არმქონე და არაკვალიფიციური მუშაკებისათვის: ხელფასის მინიმუმის დაწესება ზრდის (ადიდებს) მათი შრომის ანაზღაურებას წონასწორობაზე მაღლა; ეს კი ამავდროულად ამცირებს ფირმების მოთხოვნას ასეთი კატეგორიის მუშაკებზე.

მიჩნეულია, რომ მინიმალური ხელფასის დაწესება ყველაზე მეტად მოზარდთა შრომის ანაზღაურებაზე მოქმედებს და ამის შესაბამისი მიზეზები არსებობს:

1. ვინაიდან მოზარდები სამუშაო ძალის ყველაზე დაბალკვალიფიციურ და ნაკლები გამოცდილების ნაწილს ეკუთვნიან, მათი შრომის ზღვრული პროდუქტი (**MPL**) უმნიშვნელოა (სხვებზე ნაკლებია);
2. მოზარდები თავიანთ სამუშაო ადგილებზე ხშირად ღებულობენ გარკვეულ კომპენსაციას უფასო სწავლების სახით, და არა ფულად ხელფასს (მოწაფეობის სისტემა).

ამასთან, როგორც გამოკვლევები მეტყველებს, მინიმალური ხელფასის დაწესება უმუშევრობის მაღალ დონეს პირველ რიგში სწორედ ახალგაზრდებში განაპირობებს: მათ უბრალოდ არ ღებულობენ ამ ხელფასზე. ხელფასის მინიმუმის ახალგაზრდა მუშაკებზე ასეთი უარყოფითი ზემოქმედების შერბილების მიზნით ზოგიერთი ეკონომისტი და პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ საჭიროა შემოღებულ იქნეს წესი, რომლის შესაბამისად მინიმალური ხელფასის შესახებ კანონი არ ვრცელდებოდეს ახალგაზრდობაზე: ეს შეამცირებდა (არ გაზრდიდა) მოზარდთა შრომის ანაზღაურებას და მათ შორის უმუშევრობის დონეს და მისცემდა მათ საშუალებას ამავდროულად (პარალელურად) ესწავლათ და მიეღოთ შრომითი გამოცდილება.

ამ მოსაზრებას საკმაოდ ჰყავს მოწინააღმდეგეები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ასეთი სისტემა განაწყობს ფირმებს, რომ ახალგაზრდებით შეცვალონ მოზრდილი არაკვალიფიციური მუშაკები, რაც გაზრდის უმუშევრობას მუშაკთა ამ ნაწილში.

· მინიმალური ხელფასის და მისი დონის საკითხი ძალზე სადისკუსიოა. ბევრ ეკონომისტს და პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ მომუშავე დაბალხელფასიანებისთვის დახმარების უკეთესი საშუალება იქნებოდა საგადასახადო შეღავათები (შეღავათი ხელფასის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისას). ეს არ გაზრდის ფირმების დანახარჯებს შრომაზე, გარდა ამისა, ასეთი დახმარება უფრო დამისამართებული იქნება. ეს მიდგომა თითქოს მისაღებია (წიგნის ავტორებიც ამ პოზიციაზე ვდგავართ), მაგრამ აქ ბიუჯეტის შემოსავლის შემცირების პრობლემა წარმოჩინდება.

როგორც აღვნიშნეთ, ხელფასის სიმტკიცის (უცვლელობის) მეორე მიზეზად მიჩნეულია **პროფკავშირების ძალაუფლება.** პროფკავშირის წევრი მუშების ხელფასს შრომის ბაზარზე მოთხოვნის და მიწოდების წონასწორობა კი არ განაპირობებს მარტო, არამედ მისი დონე წესდება პროფკავშირის ლიდერებისა და ფირმის ხელმძღვანელობის შეთანხმების შედეგად. ასეთი მოლაპარაკებების დროს დადებული ხელშეკრულება ხელფასს ზოგჯერ წონასწორობის დონეზე მაღლა ასწევს, ამავდროულად უფლებას აძლევს ფირმას თვითონ (დამოუკიდებლად) განსაზღვროს მისთვის საჭირო მუშაკთა რიცხოვნობა. ამის შედეგად კი დაქირავებულ მუშაკთა შემცირებას და უმუშევრობის ზრდას ვღებულობთ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ აშშ-ის იმ შტატებში, სადაც უფრო განვითარებულია პროფკავშირული მოძრაობა (მთლიანად კი აშშ-ში პროფკავშირებში გაერთიანებულია მუშაკთა დაახლოებით ერთი მეხუთედი) უმუშევრობის დონე ჩვეულებრივად უფრო მაღალია.

პროფკავშირებს ხელფასის დონეზე (მოცულობაზე) იმ ფირმებშიც შეუძლიათ იმოქმედონ, სადაც არ არსებობს პროფკავშირული მოძრაობა. საქმე ის არის, რომ ფირმების უმეტესობა უარყოფითად არის განწყობილი პროფკავშირების მიმართ; ამიტომ იმის საშიშროებამ, რომ მუშები შესაძლოა გაერთიანდნენ პროფკავშირებში, შეიძლება განაწყოს ისინი თავისი მუშაკებისთვის ხელფასის წონასწორობის დონეზე ერთგვარად მაღლა დაწესებისაკენ (რომ ეს უკანასკნელნი კმაყოფილად გრძნობდნენ თავს და არ შეეცადონ გაერთიანდნენ პროფკავშირებში).

უმუშევრობა, რომელიც გამოწვეულია პროფკავშირების საქმიანობით ან პროფკავშირებში შესაძლო გაერთიანების საფრთხით, მიზეზია ზოგჯერ მუშაკთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის კონფლიქტებისა:

- **ინსაიდერები**[1] ესწრაფვიან შეინარჩუნონ ხელფასის მაღალი დონე;
- **აუტსაიდერები**[2], ანუ უმუშევრები, რომელთა ნაწილს შეიძლება მიეღო სამუშაო, გარკვეულწილად თავის თავზე იღებენ ამ მაღალი ხელფასის შედეგების ტვირთს.

მიჩნეულია, რომ მუშაკთა ამ ორ ჯგუფს შორის წინააღმდეგობა (კონფლიქტი) გარდუვალია და ეს სხვადასხვანაირად წყდება (გადაიჭრება) სხვადასხვა ქვეყანაში. აშშ-ში ხელფასზე მოლაპარაკებები ფირმის დონეზე ხდება, შვეიცარიაში კი ხელფასის მოცულობა განისაზღვრება ეროვნულ დონეზე, ამასთან ხშირად მთავრობა ამ საქმეში წამყვან როლს ასრულებს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა პროფკავშირებში გაერთიანების მაღალი დონის მიუხედავად, შვეიცარიაში ჩვეულებრივად უმუშევრობის დაბალი დონეა. ამის ერთ-ერთი შესაძლო ახსნა, როგორც ლიტერატურაში მიანიშნებენ, ის არის, რომ ხელფასის დონის შესახებ ცენტრალიზებული მოლაპარაკებები და მათში მთავრობის როლი ამაგრებს აუტსაიდერების პოზიციას და ამით ინარჩუნებენ ისინი ხელფასს წონასწორობასთან მიახლოებულ დონეზე (წონასწორობის დონეზე არც ისე მნიშვნელოვნად მომატებულად).

რეალური ხელფასის სიმტკიცის მესამე მიზეზი დაკავშირებულია ზოგიერთი ფირმის მისწრაფებასთან დაუნიშნოს თავის მუშაკებს ე.წ. **მასტიმულირებელი ხელფასი** (ე.ი. წონასწორობის დონეზე ერთგვარად უფრო მაღალი ხელფასი). **მასტიმულირებელი ხელფასი — ეს წონასწორობის დონეზე მაღალი ის ანაზღაურებაა, რომელსაც უწესებენ თავის მუშაკებს ფირმები შრომის მწარმოებლურობის გაზრდის მიზნით.**

ამასთან დაკავშირებით არსებული **ეფექტიანი ხელფასის თეორიები** იქიდან გამომდინარეობენ, რომ მაღალი ხელფასი ადიდებს მუშაკთა მონადინებას და, შესაბამისად, შრომის ნაყოფიერებას. თუ ეს ასეა, ხელფასის შემცირება, ამცირებს რა ფირმის დანახარჯებს შრომის ანაზღაურებაზე, ამავდროულად ამცირებს შრომის უკუგებას — მის მწარმოებლურობას (თანაც უფრო ინტენსიურად), მაშასადამე, ფირმის მოგებას, და ამიტომ არ აწყობთ ეს ფირმებს.

რა მიმართულებებში ვლინდება ხელფასის ზემოქმედება შრომის ნაყოფიერებაზე? არსებობს **შრომის ეფექტიანი ანაზღაურების** რამდენიმე თეორია:

1. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც გამოიყენება დაბალგანვითარებული ქვეყნებისათვის, ამტკიცებს, რომ ხელფასი მოქმედებს მუშათა კვებაზე, მათ ჯანმრთელობაზე; ჯანმრთელი მუშების შრომა კი უფრო მწარმოებლურია. ასე რომ ასეთ ქვეყნებში ფირმებისათვის ზოგჯერ აზრი აქვს გადაუხადონ მუშებს წონასწორობის დონეზე ერთგვარად უფრო მაღალი ხელფასი (მით უმეტეს, რომ ამ ქვეყნებში შრომის ანაზღაურების დონე შედარებით დაბალია);
2. შრომის ეფექტიანი ანაზღაურების მეორე თეორია, რომელიც უფრო მისაღებია განვითარებული ქვეყნებისათვის, ამტკიცებს, რომ მაღალი გასამრჯელო ამცირებს სამუშაო ძალის დენადობას და, შესაბამისად, დროსა და სახსრებს, რომლებიც იხარჯება ახალი მუშაკების მიღებაზე და სწავლებაზე; ეს თეორია ამტკიცებს, რომ ფირმაში მომუშავე პერსონალის საშუალო ხარისხი (კვალიფიკაცია) დამოკიდებულია მათ ხელფასზე: თუ ფირმა ამცირებს ხელფასს, უკეთესი მუშაკები შეიძლება გადავიდნენ სხვა სამუშაოზე, საწარმოში კი უარესები დარჩებიან. მოხდება ის, რასაც ეკონომისტები **უარყოფით სელექციას** უწოდებენ. წონასწორობის დონეზე უფრო მაღალი ხელფასის გაცემით ფირმამ შეიძლება აიცილოს უარყოფითი სელექცია, გააუმჯობესოს მომუშავეთა ხარისხობრივი შემადგენლობა და გაზარდოს ამით შრომის მწარმოებლურობა;
3. მესამე თეორია ამტკიცებს, რომ მაღალი ხელფასი ამაღლებს მუშაკთა მუყაითობას (გულმოდგინებას, მონდომებას). ეს თეორია იქიდან გამოდის, რომ ფირმას არ ძალუძს გააკონტროლოს ყოველთვის და ყველა დასაქმებულის კეთილსინდისიერება და მონა-

[1] **ინსაიდერი** (*ინგლ.* Insiders) — მუშაკები, რომლებიც მოცემულ საწარმოში მუშაობენ და შეუძლიათ ხელფასზე მოლაპარაკების შედეგებზე ზეგავლენის მოხდენა.

[2] **აუტსაიდერი** (ინგლ. Outsiders) — მუშაკები, რომლებიც არ არიან დასაქმებული მოცემულ მომენტში და ამიტომ ვერ ზემოქმედებენ შრომის ანაზღაურების შესახებ მოლაპარაკებებზე.

დინება; ბევრი მუშაკი ფაქტობრივად თვითონ განსაზღვრავს, თუ რა ინტენსივობით იმუშავებს; მათ შეუძლიათ იმუშაონ ინტენსიურად ან თავი აარიდონ დამღალავ შრომას სამუშაოდან დათხოვნის რისკის გარეშე. უპატიოსნო საქციელის ასეთ შესაძლებლობას ეკონომისტები **მორალურ რისკს** ეძახიან. მაღალი გასამრჯელოს გაცემით ფირმა აქეზებს (შეაგულიანებს) მუშაკებს, რომ არ აარიდონ თავი სამუშაოს, და ამით აღწევს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას.

როგორც ვხედავთ, ყველა ზემოჩამოთვლილი თეორია თვლის, რომ ფირმა უფრო ეფექტიანად მუშაობს, თუ ის თავის მუშაკებს ერთგვარად უფრო მაღალ ხელფასს უხდის, ვიდრე ბაზარზე არსებული წონასწორობის ანაზღაურებაა, რომ ხელფასის დონის წონასწორობაზე მაღლა შენარჩუნება (დაწესება) ზოგჯერ ფირმის ინტერესებშია. მაგრამ ხელფასის ასეთი ხასიათის სიმტკიცის (უცვლელობის) შედეგი მთლიანობაში ლოდინის უმუშევრობაა.

შრომის ეფექტიანი ანაზღაურების პრაქტიკული (ისტორიული) მაგალითი აჩვენა თავის დროზე (1914 წ.) ბიზნესმენმა ფორდმა, დაუნიშნა რა „ფორდ მოტორ კომპანის“ მუშებს 5 დოლარი საათში, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი ხელფასი სხვა ანალოგიურ საწარმოებში შეადგენდა 2-3 დოლარს.

თავი 4. უმუშევრობის სპეციფიკური მაჩვენებლები

სამუშაოდაკარგულისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს უმუშევრობის ხანგრძლივობას. იმაზე პასუხი, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება უმუშევრობა, საჭიროა იმისათვის, რომ გავერკვეთ უმუშევრობის მიზეზებში და დამუშავდეს სახელმწიფო პოლიტიკის ყველაზე მისაღები ზომები:

- ერთი მხრივ, თუ უმუშევრობას მოკლევადიანი ხასიათი აქვს, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ საქმე გვაქვს ფრიქციულ (ბუნებრივ) უმუშევრობასთან და ეს, ალბათ, გარდუვალია და ძალიან მწვავე პრობლემა არ უნდა იყოს. როგორც აღვნიშნეთ, **ადამიანებს გარკვეული დრო სჭირდებათ, რომ იპოვონ თავიანთი კვალიფიკაციის, მიდრეკილების და ფინანსური მოთხოვნის შესაბამისი სამუშაო;**
- მეორე მხრივ, ხანგრძლივი უმუშევრობა პრინციპულად განსხვავებული და დაუშვებელი მოვლენაა, ვინაიდან შესაფერი სამუშაოს პოვნას არ უნდა სჭირდებოდეს მრავალი თვე. **ხანგრძლივ უმუშევრობას, ეტყობა, უფრო ღრმა ფესვები აქვს, ეს უფრო ლოდინის უმუშევრობაა.**

უმუშევრობის პრობლემა მეტად რთული პრობლემაა მისი რეალური სიმწვავის შეფასების თვალსაზრისითაც, ვინაიდან უმუშევრობის მთლიანობაში (საშუალოდ) მოკლევადიანი ხასიათის პირობებშიც ცალკეული ადამიანების დაუსაქმებლობის პერიოდი შეიძლება მრავალი თვე გაგრძელდეს: იმისდა მიხედვით, თუ რა საკითხს ვიხილავთ (ცალკეული პირების ცალკეულ პერიოდში უმუშევრად ყოფნას თუ უმუშევრობის ერთობლივ საერთო-საშუალო ხანგრძლივობას), უმუშევრობა შეიძლება იყოს ხანგრძლივი და მოკლევადიანი.

უმუშევრობის ხანგრძლივობის მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო პოლიტიკის დამუშავებისათვის: თუ ამოცანა ხანგრძლივი უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებაში მდგომარეობს, მაშინ პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს უმუშევრობის ხანგრძლივობის მიზეზების წინააღმდეგ; ამასთან ეს პოლიტიკა მაქსიმალურად უნდა დამისამართდეს, ვინაიდან ხანგრძლივად უმუშევრები ჩვეულებრივად უმუშევართა უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენენ.

უმუშევრობის დონე სერიოზულად განსხვავდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში; ჩვეულებრივად ის მაღალია ახალგაზრდებში. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ მაღალი დონის უმუშევრობის ჯგუფებს ასევე მაღალი აქვთ ჩვეულებრივად სამუშაოს დაკარგვის ალბათობა; შრომითი მოწყობის მაჩვენებლით კი ჯგუფები ასე მკვეთრად არ განსხვავდებიან. აშშ-ში, მაგალითად, იმის ალბათობა, რომ თეთრკანიანი მუშა დაკარგავს სამუშაოს, 4-ჯერ უფრო მაღალია

მოზარდებში, ვიდრე საშუალო ასაკის მამაკაცებში; უმუშევრებისათვის სამუშაოს პოვნის ალბათობა კი ასე მკვეთრად (მჭიდროდ) არ არის დამოკიდებული ასაკთან.

ამ მხრივ მოზარდებში უმუშევრობის შედარებით მაღალი დონე არ უნდა იყოს ძალზე გულსატკენი (იქნებ, ეს სასურველიცაა): როდესაც ახალგაზრდები შრომის ბაზარზე გამოდიან, ისინი ხშირად არ არიან დარწმუნებული პროფესიის სწორად შერჩევაში; მათთვის ოპტიმალური შეიძლება იყოს „მოსინჯვისა და შეცდომის“ მეთოდი.

აშშ-ის შავკანიან მოსახლეობაში აღინიშნება როგორც სამუშაოს შესაძლო დაკარგვის მაღალი მაჩვენებელი, ისე შრომითი მოწყობის დაბალი დონე. ამ უკანასკნელს ამერიკელი მეცნიერები ხსნიან ვაკანსიების თაობაზე არაფორმალურ ინფორმაციაში შეზღუდული წვდომით და დამქირავებელთა მხრიდან დისკრიმინაციით.

XX საუკუნის მეორე ნახევარში აშშ-ში უმუშევრობის დონე თანდათანობით იზრდებოდა: 4,4% 50-იან წლებში, 4,7% 60-იანში, 6,1% 70-იანში, 7,3% 80-იან წლებში... აი, როგორ ხსნიან ამის მიზეზებს თვით ამერიკელი მეცნიერები:

1. სამუშაო ძალის რიგებში ბევრი ქალის და დიდძალი ახალგაზრდობის შესვლა (ეს უკანასკნელი უფრო დაკავშირებული იყო ომის შემდგომ წლებში შობადობის ბუმთან). ეს ორივე კატეგორია კი ეკუთვნის უმუშევრობის შედარებით უფრო მაღალი დონის ჯგუფს;
2. დასაქმებულებში ქალების კუთრი წონის ზრდამ (1960 წ. 33%, ხოლო 1980 წ. 43%) და შემოსავლის ორი წყაროს მქონე ოჯახების მატებამ განაპირობა უმუშევრობის ზრდა ვაჟებში (მამაკაცებში): ისინი უფრო მომთხოვნი გახდნენ სამუშაო ადგილის არჩევაში (ეს ახსნა ლოგიკურია, მაგრამ ფაქტობრივი მონაცემებით არ დასტურდება);
3. ეკონომიკაში მომხდარი სტრუქტურული ძვრები (მ.შ. 70-იანი წლების ნავთობის კრიზისთან დაკავშირებით), რომლებიც იწვევს ფრიქციული უმუშევრობის ზრდას.

მიუხედავად ასეთი ახსნისა, როგორც თავად ამერიკელი მეცნიერები აღნიშნავენ, უმუშევრობის დონის ასეთ ხანგრძლივ პერიოდში ზრდა საბოლოო ჯამში ჯერჯერობით გამოცანად რჩება.

აქამდე ჩვენს ანალიზში უგულებელყოფილი გვქონდა შრომის ბაზრის დინამიკის მნიშვნელოვანი მახასიათებელი — მასში ახალ მუშაკთა შესვლა და სამუშაო ძალის რიგებიდან შრომითი რესურსების გარკვეული ნაწილის გასვლა. უმუშევრობის ბუნებრივი დონის მოდელში ჩვენ გაკეთებული გვქონდა დაშვება, რომ სამუშაო ძალის შემადგენლობა უცვლელია.

სინამდვილეში კი სამუშაო ძალის შემადგენლობის შეცვლას სერიოზული მნიშვნელობა აქვს (აშშ-ში, მაგალითად, უმუშევართა თითქმის მესამედი ისინია, ვინც მხოლოდ ახლახან შევიდა სამუშაო ძალის რიგებში). უმუშევრებს შორის მნიშვნელოვანი ნაწილი ის ახალგაზრდობაა, რომელიც თავის პირველ სამუშაო ადგილს ეძებს, აგრეთვე ის პირები, რომლებიც ადრე მუშაობდნენ, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო დროებით გავიდნენ სამუშაო ძალის რიგებიდან და ხელახლა დაბრუნდნენ ამ რიგებში. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობის ყოველი პერიოდი როდი მთავრდება სამუშაოზე მოწყობით: იგივე აშშ-ში უმუშევრად ყოფნის შემთხვევათა თითქმის ნახევარი უმუშევრის შრომის ბაზრიდან უბრალო გასვლით მთავრდება, და არა სამსახურში დასაქმებით (!).

ასეთი ცვლილებები ართულებს უმუშევრობაზე სტატისტიკურ მონაცემთა ინტერპრეტაციას: ისინი არც ისე ზუსტად ასახავენ საქმის რეალურ მდგომარეობას, შრომის ბაზარზე არსებულ სოციალურ პრობლემათა ნამდვილ სიმწვავეს. საქმე ის არის, რომ, ერთი მხრივ, ზოგიერთი პირი, რომელიც თავის თავს უმუშევრად თელის (და ირიცხება უმუშევართა რიგებში), სინამდვილეში აქტიურად არ ეძებს სამუშაოს და არ უნდა მიეკუთვნოს უმუშევართა რიცხვს; მათი „უმუშევრობა“ არ შეიძლება ჩაითვალოს სერიოზულ სოციალურ პრობლემად.

მეორე მხრივ, ზოგიერთს მართლა სურს დაიწყოს მუშაობა, მაგრამ ბევრი უშედეგო (ზოგჯერ სასოწარკვეთილი) მცდელობის შემდეგ დაკარგა წარმატების იმედი და შეწყვიტა სამუშაოს ძებნა, ოფიციალურად (აღრიცხვის მონაცემების შესაბამისად) „გავიდა“ უმუშევართა რიგებიდან (შესაბამისად, სამუშაო ძალის შემადგენლობიდან). ეს არის სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი შრომისუნარიანი მოსახლეობა. ლიტერატურაში მათ **გულგატეხილ (სასოწარკვეთილ) მუშაკებს** (ინგლ. Discouraged workers) უწოდებენ, ანუ მუშაკებს, რომლებმაც დაკარგეს სამუშაოს შოვნის იმედი და გავიდნენ სამუშაო ძალის შემადგენლობიდან. ეს კი შეიძლება იყოს სერიოზული სოციალური პრობლემა.

კითხვები და სასწავლო დავალებები

1. როგორ დაახასიათებთ უმუშევრობას როგორც სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას?
2. ვინ არის უმუშევარი, დაუსაქმებელი?
3. რა არის სამუშაო ძალა?
4. რა არის უმუშევრობის ბუნებრივი დონე და რა მიზეზები განაპირობებს მას?
5. რა არის „ლოდინის უმუშევრობა“ და რა განაპირობებს მას?
6. როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა ადგილი (ან სისტემატური ხასიათი) დამქირავებლების მიერ მუშაკებისთვის ფაქტობრივი ხელფასის საბაზრო წონასწორობის ხელფასზე მაღლა დაწესებას, და, თუ აქვს, რა არის ამის მიზეზი?
7. რა არის თქვენთვის ფრიქციული უმუშევრობა და მისი მიზეზები?
8. რა ღონისძიებებს უნდა მიმართოს ხელისუფლებამ ბუნებრივი უმუშევრობის დონის შემცირებისათვის?
9. რა არის უმუშევრობის დონე?
10. ვინ არიან „სასოწარკვეთილი მუშაკები“?
11. როგორ მოქმედებს, თქვენი აზრით, უმუშევრობის დონეზე სოციალური დაზღვევის სისტემა?
12. რას ნიშნავს თქვენთვის ტერმინი „შრომის ეფექტიანი ანაზღაურება“?

სავარჯიშო ტესტები

შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი

1. უმუშევრობის ბუნებრივი დონე არის დონე:

1) რომელიც ჩადებულია ეკონომიკის არსებულ სტრუქტურაში;
2) რომელსაც განაპირობებს სტრუქტურული და ფრიქციული ფაქტორები;
3) რომელიც შეიძლება შემცირდეს ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით;
4) რომელიც შეესაბამება ეკონომიკის მდგრად დონეს.

2. უმუშევრობის ბუნებრივი დონის განმსაზღვრელი ფაქტორებია ძირითადად:

1) ეკონომიკის სიმძლავრე (მშპ-ის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე);
2) დასაქმებულების სამუშაოდან დათხოვნა;
3) უმუშევრების სამუშაოზე მოწყობა;
4) მოსახლეობაში შობადობის დონე.

3. ბუნებრივი უმუშევრობის მიზეზებია ძირითადად:

1) სამუშაო ძალის სტრუქტურის და სამუშაო ადგილების შეუსაბამობა;
2) ინფორმაციის არასრულყოფილება;
3) ადამიანების ტერიტორიული (გეოგრაფიული) გადაადგილების სირთულე;
4) უფრო ხელსაყრელი სამუშაო პირობების ძებნა.

4. ბუნებრივ უმუშევრობას ძირითადად იწვევს:


1) ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ძვრები;
2) ხელფასის სიმკაცრე (არაელასტიკურობა);
3) ბიზნესმენების სურვილი წარმოების ფაქტორების მოზიდვისას ცოცხალ შრომას ჩაანაცვლონ კაპიტალი;
4) შრომაზე ეროვნული შემოსავლის განაწილების უსამართლობა.

5. ფრიქციული უმუშევრობის შემცირების სახელმწიფო პოლიტიკის ელემენტები (მიმართულებები) შეიძლება იყოს:

1) უმუშევრების პროფესიული გადამზადება;
2) უმუშევრობისაგან სოციალური დაზღვევა;
3) გადასახადების შემცირება;
4) შრომის ბაზრის მახასიათებელი სრულყოფილი ინფორმაციის მომზადება.

6. ხელფასის სიმტკიცის (დაბალი ელასტიკურობის) და, შესაბამისად, ლოდინის უმუშევრობის მიზეზებია ძირითადად:

1) საბაზრო ეკონომიკაში შრომის მწარმოებლურობის განუხრელი ზრდა;
2) პროფკავშირების მონოპოლიური ძალის არსებობა;
3) მინიმალურ ხელფასზე კანონის არსებობა;
4) ფირმების მიერ მასტიმულირებელი ხელფასების დაწესება.



თემა V ფული და ინფლაცია. საბანკო საქმე


თავი 1. ფული როგორც „ბაზრის ენა". საფინანსო ბაზრები

ჩვენ მიერ აქამდე განხილულ თემებში (მიკროეკონომიკა იქნებოდა ეს თუ მაკროეკონომიკა) ფაქტობრივად ყველგან ფულის ფუნქციონირება იგულისხმებოდა. ფულის არსი და დანიშნულება თითქოსდა ყველასათვის გასაგებია: საზოგადოების უდიდესი ნაწილი ეკონომიკურ თეორიას არც კი იცნობს, მაგრამ ფულის მნიშვნელობა ყველამ იცის, მის სარგებლიანობაში ყველა ერკვევა და მეტ-ნაკლები წარმატებით იყენებს მას. ადამიანები ავტომატურად, თითქმის უშიშრად ერთვებიან ეკონომიკის ურთულეს ფუნქციონირებაში, რომლისთვისაც ფული, შეიძლება ითქვას, თავისებური სისხლძარღვთა სისტემაა. ამას, ალბათ, ის განაპირობებს, რომ ფული ადამიანის მთელი ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტია, საქონელწარმოების პირობებში ადამიანების ფიზიკური და სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უპირველესი საშუალებაა, ამიტომ მისი დაუფლება — მოხმარება-გამოყენების კანონზომიერებებს ჩვენ ბავშვობიდანვე ვეჩვევით და ვითვისებთ.

ასე რომ ფულს, ერთი მხრივ, ყველა კარგად იცნობს, ამავდროულად (მეორე მხრივ) ფული ყველასათვის გამოცანად რჩება. მისი იდუმალი ხასიათის გამო ადამიანები მოჯადოებული არიან ფულით, მაქსიმალურად იღწვიან მისთვის და უმაღლეს ნიჭს, შემართებას და მონდომებას იჩენენ ფულის მონაგრებისათვის, ხშირად კი ქცევის აღიარებულ ნორმებსაც გადაუხვევენ ხოლმე მის მოსახვეჭად. ფული განაპირობებს (და ემსახურება) ყველა დანარჩენი საქონელ-მომსახურების შეძენა — მოხმარებას, ამიტომ ის უპირველესია საქონელთა მასაში, სწორედ მას გააჩნია ყველაზე დიდი (საყოველთაო) სარგებლიანობა, ის ყველაზე ლიკვიდურია. ამასთან (და ესეც, ალბათ, ამტკიცებს მის საიდუმლო ხასიათს), ფული ერთადერთი საქონელია, რომელსაც ისე ვერ მოიხმარ (რომელიც ისე არ მოგიტანს ტკბობას), თუ არა მისი მოშორებით, მისგან გათავისუფლებით, მისი გასხვისებით: ფული არც გვაჭმევს, არც გვათბობს და არც გაგვართობს, თუ არ დავხარჯეთ ან საქმეში არ დავაბანდეთ.[1]

ფული კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი გამოგონებაა. თუ საბაზრო ეკონომიკა თანამედროვე საზოგადოების ნორმალური მეურნეობრივი ფუნქციონირების საფუძველია, **ფული, როგორც მას ხატოვნად უწოდებენ, „ბაზრის ენაა"**, საბაზრო ეკონომიკის სამეურნეო სუბიექტების ურთიერთობების უსათუო საშუალებაა. ეს გასაგებია, ვინაიდან იურიდიულ თუ ფიზიკურ პირთა შორის რეალური სამეურნეო კავშირები ძირითადად სხვადასხვა ფულადი გადახდებისაგან შედგება, რაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შეფარდებითი ღირებულებების გამომხატველი ფასები და მომავალი **საფინანსო ვალდებულებები**, რომლებიც ასევე ფულში გამოიხატება. ეს რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, გავიხსენოთ ერთ-ერთ თემაში განხილული მაკროეკონომიკური წრებრუნვა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გავითვალისწინოთ მასში საფინანსო ბაზარი, გამოვრიცხოთ სახელმწიფო და გამოვიყენოთ ზოგიერთი უკვე ათვისებული ცნება-კატეგორია **(ნახ. 5.1.)**.

[1] *აქ საუბარი არა გვაქვს იმ სიამოვნებაზე, რომელსაც გრძნობს ფულის შემგროვებელი დაგროვილი განძის პერიოდულად დათვალიერებისას, თუმცა ეს ტკბობაც ისეთი საქონლის ფლობის შედეგია, რომელსაც ყველა დანარჩენ საქონელზე მეტი სიამოვნების მოტანა შეუძლია მისი შესაბამისი გამოყენების შემთხვევაში.*



ნახაზი 5.1. საქონლისა და შემოსავლის ძირითადი წრებრუნვა. დიაგრამის გარე წრეზე საქონლისა და მომსახურების ნაკადი მიედინება საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით, შინა წრეზე კი საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით ფულადი გადასახდელების მოძრაობაა ნაჩვენები.

ნახაზზე გადმოცემული გაუბრალოებული წრებრუნვა გვიჩვენებს ფირმებსა და საოჯახო მეურნეობებს შორის მოძრავი საქონლისა და მომსახურების ნაკადს, რომელიც გაწონასწორებულია მათი საკომპენსაციო ფულადი გადასახდელების ნაკადით. ე.ი. ფული კლავწარმოების ყველა სტადიის უშუალო მონაწილეა. როგორც ჩვენ ნახაზზეა, როდესაც წრებრუნვას დანაზოგები და ინვესტიციები დავუმატეთ (ამის გარეშე კი კლავწარმოება ფაქტობრივად არ არსებობს), ორი ნაკადი, ორი გზა მივიღეთ, რომლებითაც შეიძლება სახსრები მიემართოს საოჯახო მეურნეობებიდან ფირმებისაკენ: პირველი გზა ჩვეულებრივია — ეს არის პირდაპირი დანახარჯები მოხმარებაზე (ე.ი. პროდუქციის ფირმებისაგან შეძენა სამომხმარებლო საქონლის ბაზარზე); მეორე გზა ირიბია — ეს არის სახსრების მოძრაობა საფინანსო ბაზრების გავლით, ე.ი. დანაზოგების და ინვესტიციების საშუალებით.

ვინაიდან დანაზოგების უმეტესობას საოჯახო მეურნეობები აკეთებენ, ხოლო ინვესტიციებს — ფირმები, საჭიროა ისეთი მექანიზმების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს ფულადი ფონდების (დანაზოგების) ნაკადების ზემოგანსაზღვრულ გადაადგილებას. ასეთ მექანიზმებს ქმნის საფინანსო ბაზრები.

მაშასადამე, **საფინანსო ბაზრები არის საბაზრო ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც წარმართავს დაზოგილი ფულადი სახსრების ნაკადებს სუფთა მესაკუთრეებისაგან სუფთა მსესხებლებისაკენ (ინვესტორებისაკენ).**

დაზოგილი ფულადი სახსრების გადაადგილების არხები შეიძლება ორ ნაირსახეობად დავყოთ:

ა) **პირდაპირი დაფინანსების არხები** ის არხებია, რომლებითაც სახსრები პირდაპირ მიემართება დანაზოგების მესაკუთრეებისაგან ინვესტორ-მსესხებლებისაკენ. ასეთი დაფინანსებაც ორ ჯგუფად იყოფა: 1) როდესაც ინვესტიციებისათვის საჭირო ფულს ფირმა ღებულობს დანაზოგის მესაკუთრისაგან ამ უკანასკნელისათვის ფირმის საკუთ-

რებაში წილობრივი მონაწილეობის უფლების გაცემის სანაცვლოდ. ამის ყველაზე ცნობილი მაგალითია ფირმის მიერ **აქციების** გაყიდვა; 2) როდესაც დაფინანსება ხდება ფირმის მიერ სესხის პირდაპირი აღებით. სახსრების ასეთი (მეორე) წარმართვის (დამისამართების) კატეგორიას ეკუთვნის ნებისმიერი შეთანხმება, რომლის შესაბამისად ინვესტიციებისათვის მიღებული ფულადი სახსრების სანაცვლოდ ფირმა იძლევა ვალდებულებას, რომ მომავალში დაფარავს მათ (აღებულ ვალს) დათქმული პროცენტის გადახდით; ამასთან კრედიტორი ფირმის საკუთრებაზე წილობრივი მონაწილის უფლებას (ე.ი. დივიდენდის მიღების უფლებას) არ ღებულობს. ასეთ შემთხვევაში ფართოდ მიმართავენ **ობლიგაციების**[1] გაყიდვის პრაქტიკას. **ჩვეულებრივი აქციები**, ობლიგაციები, **თამასუქები**[2], აგრეთვე ზოგიერთი სხვა საფინანსო ინსტრუმენტი შეადგენს ერთობლიობაში **ფასიან ქაღალდებს**. ფასიანი ქაღალდები მთლიანობაში კაპიტალის, ინვესტიციების მოზიდვის საშუალებაა;

ბ) **ირიბი დაფინანსების არხები** (საფინანსო ბაზრის არხების მეორე ჯგუფი). ასეთი დაფინანსების დროს სახსრები საოჯახო მეურნეობებიდან ფირმებისაკენ მიემართება არა პირდაპირ, არამედ სპეციალური ინსტიტუტების (ბანკები, სადაზღვევო ფონდები და სხვ.), ე.ი. საფინანსო შუამავლების მეშვეობით.

ფულის მნიშვნელობა, როგორც აღინიშნა, სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური ურთიერთობების მომსახურებაში მდგომარეობს. ამასთან ფული ეკონომიკური სისტემის პასიური კომპონენტი (მონაწილე) როდია. ნორმალურად ფუნქციონირებადი ფულადი სისტემა ცხოველმყოფლად ზემოქმედებს შემოსავლების და ხარჯების წრებრუნვაზე, მთლიანად ეკონომიკაზე. კარგად მოქმედი **ფულადი სისტემა** ხელს უწყობს რესურსების სრულად (ოპტიმალურად) გამოყენებას, სამუშაო ძალის მაქსიმალურ დასაქმებას; მისი მოშლა კი, პირიქით, შეიძლება გახდეს ეკონომიკაში წარმოების, დასაქმების და ფასების მკვეთრი რყევა-ცვალებადობის მიზეზი.

თავი 2. ფულის რაობა, ფულის ფუნქციები

ფულის არსი (რაობა) მის ფუნქციებში გამოიხატება და მის სტანდარტულ განმარტებაში აისახება: **ფული არის საქონელ-მომსახურების შეძენის ანაზღაურების, მისი ფასეულობის გაზომვის და ღირებულების შენახვის საშუალება. ეს არის განსაკუთრებული საქონელი, სხვა საქონელთა საყოველთაო ეკვივალენტი.**

ფართოდ არის ცნობილი ფულის შემდეგი განმარტებები:

- ფული არის მიმოქცევის საშუალება, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც აღრიცხვის ერთეული და დანაზოგის საშუალება;
- ყველაფერს, რაც ფართოდ გამოიყენება საქონელზე გასაცვლელად ან ვალის დასაფარავად, — ამასთან არა საკუთრივ მოხმარებისათვის, არამედ შემდგომი ანალოგიური გაცვლისათვის, — ფულის ხასიათი აქვს, ვინაიდან მის პირველად (საწყის) ფუნქციას ასრულებს — არის მიმოქცევის საშუალება.

ფულს სამი ფუნქცია აქვს: 1) ფული როგორც ღირებულების (ფასეულობის) საზომი; 2) ფული როგორც მიმოქცევის საშუალება და 3) ფული როგორც დაგროვების (დაზოგვის) საშუალება.

განვიხილოთ ისინი.

1) **ფული როგორც ფასეულობის (ღირებულების) საზომი.** მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ისტორიაში შრომის საზოგადოებრივი დანაწილება წარმოიქმნა და ნა-

[1] **ობლიგაცია** (*ლათ.* Obligatio სერტიფიკატი) — ვალდებულება, რომელიც ადასტურებს, რომ მისი გამომშვები გადაუხდის ობლიგაციის ღირებულებას (აუნაზღაურებს აღებულ ვალს) მის მფლობელს გარკვეული პერიოდის შემდეგ დათქმული პროცენტის დამატებით.

[2] **თამასუქი** — კანონით დადგენილი წესით შედგენილი საავალო ვალდებულება მისი გამცემის მხრიდან თამასუქის მფლობელის (შემძენის) მიმართ.

ტურალური მეურნეობა სასაქონლო წარმოებამ შეცვალა, რაც საქონელ — მომსახურების ურთიერთგაცვლა საზოგადოების ფუნქციონირების აუცილებელი ატრიბუტი გახდა და რაც უთუო შეიქნა მათი შეთანაზომვა, დროთა განმავლობაში საზოგადოებამ (ხელისუფლებამ) ეს ფუნქცია ფულს დააკისრა. ფული მეტად მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური გამოგონებაა, რომელიც საშუალებას აძლევს საზოგადოებას და მის წევრებს გამოიყენონ ის როგორც ნებისმიერი სიკეთის გაზომვის, ფასეულობათა შეფარდების და გაცვლის საშუალება.

სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შეფარდებითი ღირებულების (სარგებლიანობის) ერთმანეთთან შეთანაზომვის დროს ფულს ჩვენთვის ისეთივე მასშტაბის მნიშვნელობა აქვს, როგორც წონის საზომს სხვადასხვა ნივთის (საგნის) სიმძიმის განსაზღვრისას. ფულის ამ საზომის მასშტაბს, ე.ი. ფულის სხვა ფასეულობებთან, აგრეთვე სხვა ქვეყნების ფულის ერთეულებთან შეფარდებას მთავრობა აწესებს.


საქონლის ფულით შეფასება საშუალებას გვაძლევს ადვილად გავერკვეთ, თუ რომელ საქონელს (მომსახურებას) რა შეფარდებითი ღირებულება (ფასეულობა) გააჩნია. სწორედ ფული განაპირობებს იმას, რომ ჩვენ ხელთ არსებული ფასეულობის სხვა ფასეულობაზე გაცვლის გადაწყვეტილების მიღებისას იძულებული არა ვართ ჩვენი საქონლის ღირებულება შევაფასოთ ყველა იმ საქონლის ღირებულებაში (ყველა იმ დოვლათის ფასეულობაში), რაზედაც შეიძლება ის გაიცვალოს. **ფული გვევლინება საქონელ-მომსახურებათა შეფარდებითი ღირებულების გაზომვის და რაციონალური გადაწყვეტილების მიღების თავისებურ საერთო მნიშვნელად.** მისი ფასეულობის საზომის ფუნქცია იმას ნიშნავს, რომ ფულის ერთეულებში შეიძლება ნებისმიერი საქონლის ფასის (ფასეულობის) გამოხატვა. ამ ფუნქციის მეშვეობით ფული ქმნის აღრიცხვის ერთეულთა სისტემას, რომელიც გამოხატავს ფასებს და დაგროვილი სიკეთის და გადადებული გადასახდელების მოცულობას, მაგალითად — ვალს.

2) **ფული როგორც მიმოქცევის საშუალება.** ფულის როგორც ღირებულების (ფასეულობის) საზომის ფუნქცია შესაძლებელს ხდის, რომ მან შეასრულოს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ყველაზე აქტუალური სამსახური — ხელი შეუწყოს საქონელთა და მომსახურებათა გაცვლას, მათ ყიდვა-გაყიდვას (აგრეთვე ვალების დაფარვას). სწორედ ამ ფუნქციის შესრულებისათვის წარმოიშვა ფული უპირატესად. ფული შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების შესაძენად, ამიტომ ფაქტობრივად ყოველი სამეურნეო გარიგების დროს ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ ფულის მიღებას ჩვენი მომსახურების თუ საქონლის საზღაურად. ფეხსაცმლის საწარმოს მუშამ კარგად უწყის, რომ მისი ფაბრიკის ნაწარმი (მის მიერ შეკერილი ფეხსაცმელი) ფასეულობაა, მაგრამ არა მისთვის. ამიტომ მას ურჩევნია (და ამ პირობების გათვალისწინება ხდება ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურეთა შორის დადებულ ხელშეკრულებებში), რომ დახარჯული შრომა ფულით აუნაზღაურონ. ასევე ითქმის წარმოების სხვა ფაქტორების მესაკუთრეებზეც — ისინიც თავიანთი საკუთრების დათმობის საფასურად ფულს მოითხოვენ. იგივე მოსაზრებით ხელმძღვანელობენ მწარმოებლებიც, რომლებსაც თავიანთი საქმიანობის შედეგი (საქონელი, მომსახურება) გამოაქვთ ბაზარზე — ისინიც, წარმოების გაგრძელების განზრახვის მიუხედავად, თავიანთ ნაწარმს უშუალოდ წარმოების ფაქტორებზე კი არ ყიდიან (ცვლიან), არამედ ფულზე. საქმე ისაა, რომ ბაზრის ყველა კონტრაჰენტისათვის საკუთარი საქონლის რეალიზაციის შედეგად უფრო სასარგებლოა ფულის მიღება, რითაც მას საშუალება ეძლევა ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას შეიძინოს სასურველი საქონელი, წარმოების ფაქტორი იქნება ეს თუ სამომხმარებლო პროდუქტი. როგორც მიმოქცევის საშუალება ფული ათავისუფლებს საზოგადოებას საქონელთა გაცვლის ბევრი უხერხულობისაგან, მისი წყალობით ადამიანები ფართოდ სარგებლობენ შრომის საზოგადოებრივი (მ.შ. საერთაშორისო) დანაწილების სიკეთით.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფული მით უფრო წარმატებით ასრულებს მიმოქცევის საშუალების ფუნქციას (ე.ი. მით უფრო სიამოვნებით მიმართავენ მის მომსახურებას), რაც უფრო მყარია ის როგორც ფასეულობის საზომი. თუ ფული ძლიერ გაუფასურებას განიცდის (როგორც ჩვენთან იყო 1991-1995 წ.წ.), ხშირად მიმართავენ

სხვა ფულს როგორც ფასეულობის საზომს და მიმოქცევის საშუალებას (ან საქონელთა უშუალო გაცვლასაც — ბარტერს).

როგორც მიმოქცევის უნივერსალური საშუალება, ფული უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოებრივ კვლავწარმოებაში. მისი წყალობით წარმოების რესურსები იქ მიემართება, სადაც ისინი ყველაზე ეფექტიანად და რაციონალურად გამოიყენება. თუ როგორ უწყობს ფული, როგორც გაცვლის მოსახერხებელი საშუალება, სპეციალიზაციის გაღრმავებას და მისი სიკეთის გამოყენებას ხელს, შეიძლება შემდეგი მაგალითით განვმარტოთ (**ნახ. 5.2.**).



ნახაზი 5.2. ფულის საშუალებით საქონლის რეგიონთაშორისი გაცვლის უზრუნველყოფა.

დავუშვათ, რომ არსებული სპეციალიზაციის შედეგად საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში (სამცხე-ჯავახეთში) არსებობს კარტოფილის სიჭარბე, კახეთის რეგიონში — მარცვლისა, ხოლო აჭარაში — მანდარინისა. ამავდროულად: კახეთს სჭირდება მანდარინი, აჭარას კარტოფილი, სამცხე-ჯავახეთს კი ხორბალი. ე.ი. ამ სამ რეგიონს შორის საქონელთა გაცვლის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა, ბარტერული (პირდაპირი) გაცვლა ვერ მოხერხდება. ამავდროულად ჩვენ გაკეთებული გვაქვს დაშვება, რომ ვცხოვრობთ ჩაკეტილ ეროვნულ ეკონომიკაში. ფულის საშუალებით კი ეს ოპერაცია ადვილად ხორციელდება: აჭარა გაყიდის მანდარინს კახეთში და ამის შედეგად მიღებულ ფულზე იყიდის კარტოფილს სამცხე-ჯავახეთში; სამცხე-ჯავახეთი, თავის მხრივ, კარტოფილის რეალიზაციით მიღებულ ფულზე შეიძენს ხორბალს კახეთში, რომლისთვისაც ხორბლის სამცხე-ჯავახეთში გაყიდვით მიღებული ფული იქნება აჭარაში შესყიდული მანდარინის საფასურის ანაზღაურების საშუალება.

3) **ფული როგორც დაგროვების (დაზოგვის) საშუალება.** საზოგადოება, მისი წევრები გარკვეულ პერიოდში მეწარმეობრივი (და საერთოდ შრომითი) საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავალს ხშირად იმავე პერიოდში კი არ მოიხმარენ მთლიანად. მათ ქცევას, ამჟამინდელი მოხმარების გაუმჯობესების სურვილთან ერთად, შემოსავლის დაზოგვის (მომავალი მოხმარებისათვის გადადების) მოტივაციაც ახასიათებს, თანაც, როგორც უკვე ვიცით, ეს მოტივაცია, ცხოვრების დონის ამაღლებასთან ერთად, უფრო ინტენსიური ხდება. გარდა ამისა, სახსრებს გარკვეულ პერიოდში ადამიანები ზოგავენ (აგროვებენ) შემდგომში ძვირად ღირებული საქონლის შესაძენად. რა თქმა უნდა, ქონების (სიკეთის) დაგროვება სხვადასხვა ფასეულობის (დოვლათის, აქტივის) საშუალებითაც შეიძლება, მაგრამ ადამიანები ამის ფულის სახით გაკეთებას აძლევენ უპირატესობას. საქმე ისაა, რომ, თუმცა ფულის უბრალო შენახვა, მისი სხვანაირად გამოყენებისაგან განსხვავებით (მაგალითად, აქციების, ობლიგაციების შეძენა), არ იძლევა მისი მოცულობის ზრდას (პირიქით, თუ ინფლაციას ექნა ადგილი, მისი ფასეულობა

შემცირდება, ე.ი. ფულის სახით დანაზოგის გადანახვისას დაკისრებული დანახარჯების, ანუ დაკარგული შესაძლებლობების, პრობლემა ჩნდება), ასეთ ქმედობას (დანაზოგის ფულის სახით გადადებას) ის უპირატესობა აქვს, რომ **ფული ყველა დანარჩენ ფასეულობაზე უფრო ლიკვიდურია,** მისი გამოყენება საჭიროების შემთხვევაში მყისვე შეიძლება ნებისმიერი საფინანსო ვალდებულების გასასტუმრებლად, ნებისმიერი ეკონომიკური გარიგების გასატარებლად.

თავი 3. ფულის მოცულობის გაზომვისა და შეზღუდვა-რეგულირების აუცილებლობა

როგორც ყველა სხვა საქონელს (აქტივს), ფულს იმიტომ აქვს ღირებულება, რომ მას სარგებლიანობა გააჩნია, ის ფასეულობაა, დოვლათია და, როგორც ყოველი ეკონომიკური სიკეთე, შეზღუდულია. ფულის სარგებლიანობა და მისი დოვლათის ხასიათი ფულის მიერ ზემოჩამოთვლილი ფუნქციების შესრულებაში მდგომარეობს. თუ ქაღალდის ნიშანი (ან ფულის სხვა სახე) ამ ფუნქციებს ვერ ასრულებს, მაშინ მას ღირებულება არ გააჩნია და ის ფული არ არის. ე.ი. ფული რომ ფასეულობას წარმოადგენდეს, მისი სხვა საქონელთან შეფარდება რომ შეიძლებოდეს (ე.ი. ფულს რომ სარგებლიანობა ჰქონდეს), ფულის რაოდენობა შეზღუდული უნდა იყოს.

ამასთან თეორიულად დასაბუთებული, პრაქტიკულად დამტკიცებული და საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეკონომიკურ სისტემაში ფუნქციონირებადი ფულის მასა მნიშვნელოვნად ზემოქმედებს პროდუქციის რეალურ გამოშვებაზე, ფასების დონეზე, დასაქმებაზე და სხვა ეკონომიკურ მოვლენებზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საჭიროა მიმოქცევაში არსებული ფულის მოცულობის გაზომვა და მასზე კონტროლი, მისი მასის შეზღუდვა — მართვა; **ბაზარზე ფულის საჭირო მოცულობასა და მის ფაქტობრივ ოდენობას შორის შეგნებულად დაცული წონასწორობა უნდა არსებობდეს.** ეს პრობლემა მას შემდეგ წარმოიქმნა, რაც ბაზარზე ქაღალდის ფულმა შეცვალა ოქრო და ვერცხლი, რომლებიც მანამდე ფულად საშუალებად გამოიყენებოდა და რომელთა (როგორც თავად ღირებულების მატარებელ სიკეთეთა) ბაზარზე საჭირო მოცულობის არსებობას თვითონ საბაზრო ეკონომიკის მექანიზმები ავტომატურად განაპირობებდა.

სანამ სათაურში გამოტანილი პრობლემის ინტენსიურ განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა გავერკვეთ, თუ რა შედის (რა პარამეტრებია) ფულის ცნებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში (როგორც მეცნიერ ეკონომისტებში, ისე სახელმწიფო მოხელეებში) დღესაც (მიუხედავად იმისა, რომ ფულის ფუნქციონირება ათასეულ, ხოლო მისი პრობლემის ინტენსიური კვლევა ასეულ წლებს მოიცავს) არ არსებობს ერთიანი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა ელემენტებისაგან შედგება ზუსტად ფულის მიწოდება ეკონომიკაში. ეს, ჯერ ერთი, განპირობებულია პრობლემის განსაკუთრებული სირთულით, მეორე, იმით, რომ ფულის მიწოდების შედგენილობა იცვლება ეკონომიკაში (განსაკუთრებით კი ფულად-საკრედიო სისტემაში) მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების შედეგად. ისტორიულად ფულის სახით სხვადასხვა ნივთები და საქონელი გამოიყენებოდა, მ.შ. ადამიანიც კი. დღესაც ძალზე ძნელია იმ აქტივების, ნივთების ზუსტი ჩამოთვლა, რომლებიც ფულად გამოიყენება. ამიტომ ფულთან მიმართებაში ეკონომისტები **ფუნქციურ მიდგომას** აძლევენ უპირატესობას: ფულია ყველაფერი, რასაც მიმოქცევის საშუალებად გამოიყენებენ; როგორც ფულის ერთ-ერთ განმარტებაშია მოცემული (რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ), ყველაფერს, რასაც ფართოდ მიმართავენ (ღებულობენ) შეძენილი საქონლის ასანაზღაურებლად (არა საკუთარი მოხმარებისათვის, არამედ შემდგომი ანალოგიური გაცვლისათვის), ფულის ხასიათი აქვს (ფულია).

ფულის მასის გაზომვისა და მასზე ზემოქმედების (მისი კონტროლის) მიზნით **ფულის ელემენტებს** (ამა თუ იმ დონით ფულის სამივე ფუნქციის შემსრულებელი აქტივების[1]) შემდეგ კლასიფიკაციას იყენებენ ძირითადად:

[1] აქტივი (ლათ. Activus მოქმედი) — ყველაფერი ის, რასაც ღირებულება აქვს და რაც ფირმის ან ინდივიდის საკუთრებას წარმოადგენს: საკუთარი ქონება, დავალიანების გადასახდელად განკუთვნილი სახსრები და მარაგი.

1. **ფულის აგრეგატი** ვიწრო გაგებით (**„ნამდვილი ფული“**). ფულის ეს მოცულობა გამოიყენება როგორც მიმოქცევის საშუალება და მას "**M1**" სიმბოლოთი აღნიშნავენ;
2. **„თითქმის ფული“**, რომლის აღსანიშნავად გამოიყენებენ "**M2**" სიმბოლოს;
3. სხვა ფულადი აგრეგატები (პარამეტრები"**M3**" და „**L**").

1. **ფულის აგრეგატში** ვიწრო გაგებით („ნამდვილ ფულში"), ანუ პარამეტრ "M1"-ში, იგულისხმება: ა) „სუფთა" ნაღდი ფული, რომელიც მიმოქცევაშია; ბ) ტრანსაქციური დეპოზიტები (ანაბრები).

   ა) „სუფთა" ნაღდი ფული მოიცავს **ლითონის ფულს და ქაღალდის ფულს.** ლითონის ფულის ოდენობა მიმოქცევაში უმნიშვნელოა (აშშ-ში ეს დაახლოებით 2-3 პროცენტია ვიწრო გაგებით ფულის აგრეგატში). ეს არის სპილენძის, ვერცხლის, ალუმინის ან ნიკელის მონეტები, რომელთა ნომინალური ღირებულება (ე.ი. ის, რაც მათ მიკუთვნებული აქვს ხელისუფლების მიერ და აწერია) შემადგენელი ლითონის ფასეულობაზე გაცილებით მეტია[1]. ეს ფაქტობრივად სიმბოლური ფულია. ლითონის ფული არის სახელმწიფოს და სახელმწიფო აგენტების ვალდებულებები, მიმოქცევის მოხერხებული საშუალება, რომლის მეშვეობით შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი წვრილი შესყიდვა.

   ქაღალდის ფული მოცულობით მიმოქცევაში ლითონის ფულზე გაცილებით მეტია და მთლიანად **M1** აგრეგატის დაახლოებით 25 პროცენტს შეადგენს. ეს არის ქვეყნის **ცენტრალური (ეროვნული) ბანკის** მიერ გამოშვებული **ბანკნოტები**[2].

   ბ) მთლიანად ნაღდი ფულის შემადგენლობაში საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ე.წ. **ტრანსაქციურ დეპოზიტებს**[3]. ეს ის **ანაბრებია (დეპოზიტებია)**, რომლებიდანაც პრაქტიკულად დაუბრკოლებლად ხდება სახსრების გადახდა ელექტრონული ფულადი გზავნილებით და ჩეკებით. ტრანსაქციურ დეპოზიტებს ღებულობენ როგორც კომერციული, ისე შემნახველი ბანკები. თავისთავად ტრანსაქციური დეპოზიტები ორ კატეგორიად იყოფა: ეს არის **ანაბრები მოთხოვნამდე (ანაბრები, რომლებზეც, როგორც წესი, პროცენტი არ დაირიცხება და რომელთა მფლობელებს შეუძლიათ გამოიყენონ ელექტრონული გზავნილები და ჩეკები)** და სხვა დეპოზიტები (ამათზე პროცენტები გაიცემა).

ერთი შეხედვით, უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს, თუ რატომ აერთიანებენ ფულის ერთ აგრეგატში ნაღდ ფულსა და მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ სახსრებს, რომელთა გამოყენება უმეტესად უნაღდო ანგარიშსწორებით ხდება. საქმე შემდეგშია: ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სუფთა ნაღდი ფულის გამოყენება საერთოდ მინიმუმამდეა დაყვანილი, მ.შ. განსაკუთრებით მსხვილი გარიგებების დროს; აქ ცოტა ვინმეს თუ მოუვა აზრად რაიმე კანონიერი გარიგების დროს ნაღდი ფულით გადაიხადოს დიდი თანხა. ამის მაგივრად უბრალოდ საგადახდო დავალება ან ჩეკი გამოიწერება (ეს კი ის სპეციალური დოკუმენტია, რომელიც შეიცავს წერილობით განკარგულებას ბანკისადმი გასცეს ან გადარიცხოს დოკუმენტზე ხელმომწერის განკარგულებაში არსებული გარკვეული თანხა).

თავად **ჩეკი (ინგლ. Cheque), რომელიც მიმოქცევაში საკმაოდ ცოტაა (ფაქტობრივად გაბატონებულია უნაღდო ანგარიშსწორება) სხვა არაფერია, თუ არა ფასეულობის ერთი მფლობელისაგან მეორისადმი გადაცემის საშუალება.** ჩეკების გამოყენების უფლების მქონე ანგარიშებზე არსებული სახსრები პირველივე მოთხოვნისთანავე გადაიქცევა ფულად (ან მოემსახურება ეკონომიკურ გარიგებას), ე.ი. ანაბრებზე გამოწერილი ჩეკები პრაქტიკულად ნებისმიერი გამოყენების დროს თავისუფლად ცვლის

---

[1] *ასე რომ არ იყოს და უშუალოდ ლითონის ღირებულება ნომინალურზე მეტი აღმოჩნდეს, მაშინ მოსახლეობა მას მიმოქცევის საშუალებად კი არ გამოიყენებდა, არამედ მიმოქცევიდან ამოიღებდა და წონით გაყიდიდა რეალურ ფასებში როგორც ლითონს.*

[2] **ბანკნოტი** (*ინგ.* Bank-note ბანკის ბილეთი) — ცენტრალური ბანკის მიერ გამოშვებული ფულის ნიშანი.

[3] **ტრანსაქცია** (*ლათ.* Trans - გავლით, *ფრანგ.* Action - მოქმედება) — საბანკო ოპერაცია, ფულის გადაგზავნა რაიმე მიზნისათვის; **დეპოზიტი** (ლათ. Deposit შესანახად გაცემული ნივთი) — ფულადი სახსრები ან ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შესანახად (აგრეთვე გარკვეული სარგებლის მისაღებად) ჩაბარებულია საკრედიტო დაწესებულებაში.

ნაღდ ფულს. ამიტომ სრულებით მართლზომიერია ფულის M1 აგრეგატში ნაღდი ფულისა და ტრანსაქციური დეპოზიტების გაერთიანება[1], ასევე ფულის შემდეგი განმარტება, რომელიც ბოლო წლებში გვხვდება ეკონომიკურ ლიტერატურაში: ფული არის „ნაღდ ფულს მიმატებული ყველა საჩეკო ანაბრები"[2].

2. **„თითქმის ფული", ანუ ფულის აგრეგატი M2.** ეს აგრეგატი აერთიანებს ფულის აგრეგატს ვიწრო გაგებით (M1) და იმ შედარებით მაღალლიკვიდურ აქტივებს, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული **ნომინალური ღირებულება** და რომლებიც გადახდის წარმოებისათვის შეიძლება შედარებით ადვილად გადაიქცეს ნაღდ ფულად ან ტრანსაქციურ დეპოზიტად, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მათი ერთი პირისაგან მეორეზე უშუალოდ (როგორც ელექტრონული გზავნილით, ისე ჩეკით) გადაყვანა არ შეიძლება. ეს აქტივებია:

   ა) **ფულის ბაზრის სანაცვლაგებო ფონდები.** ამ ტერმინის ქვეშ გულისხმობენ საფინანსო შუამავლებს, რომლებიც საკუთრების ტიტულებს მიჰყიდიან მოსახლეობას, ხოლო მიღებულ ამონაგებს გამოიყენებენ ფიქსირებული პროცენტის მქონე მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების შესასყიდად. ამ ფასიანი ქაღალდებისაგან მიღებული მოგება თითქმის მთლიანად (მომსახურებისათვის მცირე გადასახდელის გამოკლებით) საკუთრების ტიტულების მფლობელთა ხელში გადადის. ვინაიდან შეძენილ ფასიან ქაღალდებს ძალზე მყარი ნომინალური ღირებულება გააჩნიათ, ამ ფონდებს იმის გარანტირება ძალუძთ, რომ საკუთრების ერთი ტიტულის ღირებულება უცვლელი (ვთქვათ, ერთი დოლარის ტოლი) იქნება. ფულის ბაზრის სანაცვლაგებო ფონდები აძლევს თავიანთ აქციონერებს ელექტრონული გზავნილების და ჩეკების გამოყენების შეზღუდულ შესაძლებლობებს, მაგრამ პრაქტიკაში გადახდის საშუალებად ისინი გაცილებით უფრო იშვიათად გამოიყენება, ვიდრე ჩვეულებრივი ტრანსაქციური დეპოზიტები;

   ბ) **ფულის ბაზრის დეპოზიტური ანგარიშები.** ეს სადეპოზიტო ინსტიტუტებში (ბანკებში) შენახული სპეციალური ფულის ბაზრის სანაცვლაგებო ფონდების მსგავსი ანაბრებია. ამ ანგარიშებზე შენახული სახსრები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ჩეკების ასანაზღაურებლად;

   გ) **ანაბრები შემნახველ ინსტიტუტებში (საშემნახველო ანაბრები).** ეს არის ანაბრები სადეპოზიტო ინსტიტუტებში, რომლებსაც პროცენტი დაერიცხებათ; სახსრების ასეთი ანაბრებიდან მოხსნა (გამოტანა) შეიძლება ყოველგვარი ჯარიმის გარეშე, მაგრამ ეს ანაბრები მათ მფლობელებს ჩეკების გამოყენების უფლებას არ აძლევს. ბოლო წლებში საბანკო ავტომატების („ბანკომატების") დანერგვამ, რომლებიც საშუალებას აძლევს ანაბრების მფლობელებს დღე — ღამის განმავლობაში შეაღწიონ ანგარიშებში და გამოიყენონ შენახული სახსრები, გაზარდა ამ აქტივების ლიკვიდურობა;

   დ) **ვადიანი ანაბრები.** ეს სადეპოზიტო ინსტიტუტებში შენახული ანაბრებია, რომლებსაც პროცენტი დაერიცხება. ასეთი ანგარიშებიდან სახსრების უჯარიმოდ გამოტანა მხოლოდ გარკვეული დროის (მაგალითად, ექვსი თვის, ერთი წლის და ა.შ.) გასვლის შემდეგ შეიძლება. ჯარიმები სახსრების ვადაზე ადრე გამოტანისათვის პრაქტიკულად არც ისე დიდია, ამიტომ ლიკვიდურობის თვალსაზრისით ეს ანაბრები საშემნახველო ანაბრებს უახლოვდება;

   ე) **ერთდღიანი შეთანხმებები უკუგამოსყიდვაზე (RP).** ეს მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივებია, რომლებიც წარმოადგენს ფირმის ან კერძო პირის ხელშეკრულებას, რომ ის თანახმაა საფინანსო დაწესებულებისაგან შეიძინოს ფასიანი ქაღალდები, რომლებიც უკანვე გაიყიდება მეორე დღეს წინასწარ დათქმულ (შეთანხმებულ) ფასში. გაყიდვების ფასებს შორის სხვაობა სახსრების გამოყენებისათვის გასაღები პროცენტის ტოლია (მისი ოდენობა შეთანხმების დადების დროს

---

[1] *ეს პირველად კეინსმა მიანიშნა.*

[2] *ანგარიშის გამეორების და ფულის მიწოდების ოდენობის ხელოვნურად ანევის თავიდან აცილების მიზნით ამაში არ შეაქვთ ანაბრები და ნაღდი ფული, რომლებიც სახელმწიფოს, ცენტრალურ ბანკს და კომერციულ ბანკებს ეკუთვნით.*

განისაზღვრება). უკუგამოსყიდვის ერთდღიან შეთანხმებებს ჩვეულებრივად 100 000 — დოლარიანი ან მეტი ნომინალური ღირებულება აქვს; ამ აქტივებს ძირითადად ფირმები და საფინანსო შუამავლები გამოიყენებენ;

ვ) **ერთდღიანი სესხები ევროდოლარებში**. ეს უკუგამოსყიდვის შეთანხმების (RP) ანალოგიური ლიკვიდური აქტივებია, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების გარეთ მყოფი სადეპოზიტო ინსტიტუტების ბალანსზე დოლარებში არსებული ფონდების ოპერაციებში გამოიყენება.

ფულის ფუნქციების შემსრულებელი აქტივების მოცულობების შეფარდებაზე ზემომოტანილი მოსაზრებების საილუსტრაციოდ მოგვყავს აშშ-ის ეკონომიკაში ფულის ორი აგრეგატის (M1 და M2) პარამეტრები.

ნაღდი ფული	**232 (29,5%)**
ტრანსაქციური დეპოზიტები (ანაბრები)	**563 (70,5%)**
სულ M1	**795**
მათ შორის:	
ანაბრები მოთხოვნამდე	*277*
სხვა საჩეკო დეპოზიტები	*286*
ფულის ბაზრის სანაცვლოებო ფონდები	**318**
ფულის ბაზრის დეპოზიტური ანგარიშები	**485**
საშემნახველო ანაბრები	**410**
ვადიანი ანაბრები	**1143**
ერთდღიანი შეთანხმებები უკუგამოსყიდვაზე	**64**
ერთდღიანი სესხები ევროდოლარებში და სხვ.	**17**
სულ M2	**3232**

ცხრილი. M1 და M2 პარამეტრები აშშ-ის ეკონომიკაში. 1991 წ. იანვარი (მლრდ. დოლარებში)

3. **სხვა ფულადი აგრეგატები (პარამეტრები M3 და L).** M2 პარამეტრში შემავალი აქტივების გარდა, არსებობს სხვა, შედარებით კიდევ უფრო დაბალი ლიკვიდურობის აქტივები. მაგალითად, ფულადი სახსრების შემნახველი ბევრი ინსტიტუტი ყიდის ე.წ. **სადეპოზიტო (დეპოზიტურ) სერტიფიკატებს**[1]. ეს არის დიდთანხიანი ვადიანი ანაბრების სერტიფიკატები, რომლებიც ჩვეულებრივ იყიდება 100 000 — დოლარიან და უფრო მეტი ნომინალის ერთეულით; ამ აქტივების ძირითადი მყიდველები ფირმებია. მათ მფლობელებს შეუძლიათ გაყიდონ დეპოზიტური სერტიფიკატები მათი განაღდების ვადის დადგომამდე (ჩვეულებრივი ვადიანი ანაბარის მფლობელი კი თავის სახსრებს იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ წინასწარ დაფარავს ანგარიშს ემიტენტ — ბანკში). ვინაიდან სადეპოზიტო სერტიფიკატის რეალიზაციის ფასი გარკვეულად ცვალებადია, მისი ნომინალური ფასი განაღდებამდე ფიქსირებული არ არის. ამ თვალსაზრისით, დეპოზიტური სერტიფიკატი თავისი შინაარსით ფასიან ქაღალდებთან უფრო ახლოა, ვიდრე ანაბრებთან.

ევროდოლარებში ერთდღიან სესხებთან ერთად, რომლებზეც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, არსებობს ე.წ. ვადიანი შეთანხმებები უკუშესყიდვაზე და სესხები ევროდოლარებში. ეს აქტივები ერთდღიანებისაგან იმით განსხვავდება, რომ მათი მოქმედების ვადა ჩვეულებრივად 24 საათზე მეტია, ზოგჯერ რამდენიმე თვეც კი გრძელდება.

[1] სერტიფიკატი (ლათ. certum სწორია და facere გაკეთება) — ამა თუ იმ ფაქტის წერილობითი დამოწმება. სერტიფიკატი ეწოდება (როგორც ჩვენს შემთხვევაშია) ასევე ფულადი ნიშნების სახესხვაობებს და მათ შემცვლელებს, აგრეთვე (საგარეო ვაჭრობაში) დოკუმენტს საქონლის ხარისხის თაობაზე და ა.შ.

M2 პარამეტრის, დეპოზიტური სერტიფიკატების, უკუგამოსყიდვაზე ვადიანი შეთანხმებების, ევროდოლარებში ვადიანი სესხების და ფულის ბაზრის სანაცვალგებო ფონდების საკუთრების ტიტულების ჯამი წარმოადგენს **M3** პარამეტრს.

M3 პარამეტრში შემავალი აქტივები ვერ ამონურავს ყველა ლიკვიდურ აქტივს. ფასიანი ქაღალდების ზოგიერთი სახეებიც, ისეთები, როგორიცაა საბანკო აქცეპტები, კომერციული ქაღალდები, ხაზინის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები (მოკლევადიანი სახაზინო თამასუქები) და საშემნახველო ობლიგაციები, გარკვეულწილად ლიკვიდურია. ამ აქტივების და **M3** პარამეტრის ჯამს **L** პარამეტრს უწოდებენ; ეს დღეს გამოყენებად ფულის აგრეგატებში ყველაზე ვრცელია.

ახლა კი, როდესაც გავარკვიეთ[1], ფულის თუ რა ნაირსახეობები ემსახურება მიმოქცევას, დროა შევუდგეთ თავის დასაწყისში ჩამოყალიბებული ამოცანის განმარტებას — ფულს რომ ღირებულება (ფასეულობა) ჰქონდეს, აუცილებელია მისი მოცულობის გაზომვა-შეზღუდვა. მაგრამ რამდენია მაინც ოპტიმალურად ეს შეზღუდული მოცულობა დროის გარკვეულ პერიოდში (ვთქვათ, საშუალოდ წლის განმავლობაში) და რა განაპირობებს ამას?

გასაგები უნდა იყოს, რომ **ფულის მოცულობის ოპტიმალურ ხასიათში** უნდა იგულისხმებოდეს ის, რომ ყველა ეკონომიკურ გარიგებაში, სადაც ფულია საჭირო, ის უნდა მონაწილეობდეს შეუფერხებლად. მაშასადამე, ფულის საჭიროებას განაპირობებს იმ ეკონომიკური გარიგებების მოცულობა (ე.ი. მთლიანი შინა პროდუქტის ოდენობა), რომლებიც აღნიშნულ პერიოდში შეიძლება განხორციელდეს ქვეყანაში მხოლოდ ფულის გადახდის პირობებში. ისიც გასაგებია, რომ ამ გარიგებების ოდენობას განსაზღვრავს იმ საქონელთა (და მომსახურების) ფასებში გამოხატული მოცულობა, რომელთა მოძრაობას ემსახურება ეს გარიგებები. მაშასადამე, რაც უფრო მეტია საქონელ-მომსახურება (მშპ) და რაც უფრო მაღალია საქონელ-მოსახურების ფასები, მით უფრო მეტი ფულია საჭირო.

ფულზე მოთხოვნა ფორმირდება ფულზე როგორც მიმოქცევის საშუალებაზე (სხვადასხვა გარიგებების და ოპერაციების ჩასატარებლად) და ფულზე როგორც ღირებულების შენახვის საშუალებაზე (ე.ი. ფულზე მოთხოვნა როგორც აქტივზე და როგორც სათადარიგო ღირებულებაზე) მოთხოვნის საფუძველზე.

ე.ი. ფულზე როგორც მიმოქცევის საშუალებაზე მოთხოვნას განაპირობებს მთლიანი შინა პროდუქტის მოცულობა: რაც მეტია ქვეყანაში მშპ-ის წარმოება (რაც მეტი გარიგებები ხდება) და რაც უფრო მაღალია ფასები, მით უფრო მეტია საჭირო ფული მიმოქცევაში.

ფულზე როგორც ღირებულების შენახვის საშუალებაზე მოთხოვნა დამოკიდებულია აგრეთვე საფინანსო ბაზარზე პროცენტის ნომინალური განაკვეთის მოცულობაზე. აქ კი უკუკავშირი გვაქვს: საქმე ისაა, რომ სახსრების ნაღდი ფულის და საჩეკო დეპოზიტის სახით შენახვის დროს, დანაზოგების ფასიანი ქაღალდების სახით შენახვა-გამოყენებასთან შედარებით, იქმნება გარკვეული ალტერნატიული დანახარჯები. მაგალითად, რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო დაბალია ფასიანი ქაღალდების კურსი და მაღალია მათზე მოთხოვნა, შესაბამისად, დაბალია ნაღდ ფულზე მოთხოვნა.

მაშასადამე, ეკონომიკის ფუნქციონირების ყოველ მომენტში მიმოქცევაში უნდა იყოს ფულის განსაზღვრული მოცულობა და ამას რეგულირება სჭირდება.

ამასთან ფულის ერთი და იგივე ერთეული წლის განმავლობაში შეიძლება მოემსახუროს რამდენიმე ოპერაციას (გარიგებას). ამას ფულის მიმოქცევის სიჩქარეს უწოდებენ. **ფულის მიმოქცევის სიჩქარე ნიშნავს, თუ რამდენჯერ მონაწილეობდა ფულის ყოველი ერთეული გარკვეული პერიოდის (წლის) განმავლობაში სამეურნეო გარიგებების უზრუნველყოფაში (რამდენჯერ იქნა მიმოქცევაში არსებული ფულის ერთეული გამოყენებული საქონელ-მომსახურების შესაძენად).** მისი საშუალო მაჩვენებელი ტოლია (დაახლოებით) ამ პერიოდში გახარჯული ფულის მასისა, გაყოფილის მიმოქცევაში არსებული ფულის მასაზე.

წელიწადში ფულის ერთეულის მიერ რამდენიმე გარიგების მომსახურება იმას ნიშნავს, რომ, შესაბამისად ამ სიჩქარისა, მიმოქცევაში მეტი ან ნაკლები იქნება ფულის საჭიროება.

ფულის ერთეულის სხვადასხვა გარიგებებში მრავალჯერ მონაწილეობას ჩვენ სისტემატურად ვაწყდებით ყოველდღიურ საქმიანობაში. დავუშვათ (**მაგალითი**), რომ *ჩვენი თვიური ხელფასი არის 1000 ლარი, ხელფასის გაცემა კი ხდება თვეში ორჯერ: 500 – 500 ლარი. თუ ჩვენ მიღებულ ხელფასს არ დავხარჯავთ და მთლიანად შევინახავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ წელიწად ზე*

[1] ან ჩამოვთვალეთ მაინც, ვინაიდან ამის გაკეთება, უნდა ვაღიაროთ, რთულია და საბანკო საქმის უშუალო სპეციალისტებს მივანდოთ.

გათვლით ჩვენთვის ხელფასის გასაცემად მიმოქცევაში გამოშვებული უნდა იქნეს 12000 ლარი (24X500). რეალურად კი ჩვენ ხელფასის ძირითად ნაწილს იმავე პერიოდში ვხარჯავთ, ე.ი. ფული ტრიალებს. ასე რომ ჩვენთვის წლის განმავლობაში 12000 ლარის ხელფასის შეუფერხებლად გასაცემად საკმარისია 500 ლარზე ცოტათი მეტი (იმდენით მეტი, რამდენიც არ დავხარჯეთ)[1].

ლიტერატურაში ცნობილია ამერიკელი ეკონომისტისა და სტატისტიკოსის **ირვინგ ფიშერის** მიერ შექმნილი **გაცვლის განტოლება** (მიმოქცევაში საჭირო ფულის მოცულობის გაანგარიშება):

MV=PQ ან **M=PQ/V**, სადაც:

- **"M"** არის ფულის საერთო მასა, რომელიც საჭიროა ქვეყანაში ნორმალური ფულადი მიმოქცევისათვის;
- **"P"** არის იმ საქონელთა და მომსახურების ფასების საშუალო დონე, რომლებიც წელიწადში იყიდება ქვეყანაში;
- **"Q"** არის იმ საქონელთა და მომსახურების საერთო რაოდენობა, რომლებიც ამ ქვეყანაში იყიდება;
- **"V"** არის ფულის მიმოქცევის სიჩქარე (რამდენჯერ ბრუნავს ფული წლის განმავლობაში).

ფორმულა, როგორც ვხედავთ, მარტივია, მაგრამ მისი გამოყენება (მისი პარამეტრების გაანგარიშება და ფორმულაში ჩასმა) რთულ გაანგარიშებებს მოითხოვს.

ამ ფორმულიდან ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ, ერთი მხრივ:

- მიმოქცევაში არსებული ფულის მოცულობა არ შეიძლება იყოს თვითნებური;
- თუ ქვეყანაში ფასები იზრდება, იგივე მოცულობის წარმოებისა და ფულის მიმოქცევის უცვლელი სიჩქარის პირობებში უნდა გაიზარდოს ფულის ოდენობა;
- თუ ფულის მიმოქცევა დაჩქარდა, ხოლო ფასები და წარმოების მოცულობა უცვლელია, ეკონომიკას ნორმალური ფუნქციონიერებისათვის ნაკლები ფული დასჭირდება, ფულის გარკვეული ნაწილი ამოღებული უნდა იქნეს მიმოქცევიდან.

მეორე მხრივ, თუ ეკონომიკაში წარმოების მოცულობა და ფულის ბრუნვის სიჩქარე უცვლელია, ფულის ოდენობის გაზრდა ფასების მატებას განაპირობებს. მაშასადამე, ეკონომიკის ფუნქციონირების ყოველ მომენტში მიმოქცევაში უნდა იყოს ფულის განსაზღვრული მოცულობა და ამას რეგულირება სჭირდება. თუ ეს შეგნებულად არ გაკეთდა, ფულის ბაზარი საკუთარ თავს თვითონ დაირეგულირებს და ეს ფულის კურსის (და ფასების) ცვლილებებში იჩენს თავს.

მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში მიმოქცევაში ფულის რეგულირების შემდეგ სამ ღონისძიებას მიმართავენ:

1. **ოპერაციები ღია ბაზარზე** (სახაზინო ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე). ეს მიმოქცევაში ფულის მასის რეგულირების ძირითად საშუალებად არის აღიარებული. ამ ბაზარზე სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით ცენტრალურ ბანკს შეუძლია მოახდინოს ქვეყნის საკრედიტო სისტემაში ფულის ზრდა („ფულის შეშხაპუნება") ან შემცირება („ფულის გამოდევნა");
2. **ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკებისთვის აუცილებელი რეზერვების ნორმის** შეცვლა: ამ ნორმის მომატება იწვევს ბანკების რეზერვების (შესაძლებლობების) შემცირებას და მიმოქცევაში ფულის მიწოდების (ფულის მოცულობის) მულტიპლიცირებად კლებას; მისი შემცირება კი საწინააღმდეგო შედეგს იძლევა;
3. **სადისკონტო განაკვეთის (პროცენტის) პოლიტიკა**, ანუ სადისკონტო პოლიტიკა. სადისკონტო განაკვეთის (სარეზერვო სესხების პროცენტის) შემცირება ან მომატება, რომელსაც ცენტრალური ბანკი ახორციელებს, შესაბამისად აიაფებს ან აძვირებს (მიმზიდველს ან არასასურველს ხდის) კომერციული ბანკებისათვის სა-

[1] *აქ უნდა აღინიშნოს, რომ ფულის მიმოქცევის სიჩქარე მართვას ექვემდებარება და საბანკო სისტემის მუშაობაზე, მისი და სხვა ფულის მიმოქცევასთან დაკაშირებული დანესებულებების ტექნიკურ აღჭურვილობაზეა დამოკიდებული მნიშვნელოვანწილად. ამ მხრივ სერიოზული თვისებრივი მიღწევებია ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, როდესაც ქვეყნების შინა და საერთაშორისო ანგარიშსწორების ავტომატიზებული სისტემები ჩამოყალიბდა, რომლებიც მნიშვნელოვნად აჩქარებს ფულადი ოპერაციების წარმოებას, მაშასადამე, ფულის ბრუნვას.*

რეზერვო სესხებს (ცენტრალურ ბანკში აკუმულირებული აუცილებელი რეზერვების ხარჯზე), რის შედეგადაც: ა) პირველ შემთხვევაში (განაკვეთის შემცირება) იზრდება კომერციული ბანკების შესაძლებლობები (რეზერვები) და ადგილი აქვს მიმოქცევაში ფულის მოცულობის მულტიპლიცირებად მატებას; ბ) მეორე შემთხვევაში კი (განაკვეთის მომატება), პირიქით, — მცირდება კომერციული ბანკების შესაძლებლობები და ეს იწვევს ფულის მიწოდების მულტიპლიცირებად შემცირებას.

თავი 4. ინფლაცია და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის თაობაზე, რომ მიმოქცევაში არსებული ფულის მოცულობა არ შეიძლება იყოს თვითნებური, რომ ფულის რაოდენობა უნდა იყოს იმდენი, რამდენიც საჭიროა, არც მეტი და არც ნაკლები. მაგრამ რა მოხდება, თუ დაირღვა ფულის მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობა?

დავუშვათ, რომ მოხდა მიმოქცევაში გაუმართლებლად ბევრი ფულის გამოშვება ან ეკონომიკაში მიმდინარე რაღაც პროცესების შედეგად მიმოქცევაში საჭიროსთან შედარებით ფულის ზედმეტი მოცულობა აღმოჩნდა. ეს იმას ნიშნავს, რომ **MV=PQ** ფორმულაში მოხდება განტოლების მარცხენა მხარის (ე.ი. ფულის მასის) ისე ზრდა (მაგალითად, ხელისუფლების მიერ ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად მიმოქცევაში ფულის გამოშვება — ემისია), რომ არ მომატებულა წარმოების მოცულობა (ე.ი. არ გაზრდილა გარიგებათა რაოდენობა) და არ შენელებულა ფულის ბრუნვა (ე.ი. არ გაზრდილა განტოლების მარჯვენა მხარე). განტოლებაში უწონასწორობის მიზეზი შეიძლება იყოს აგრეთვე ბაზარზე მყიდველების და გამყიდველების ქცევის რაღაც მიზეზებით შეცვლა: როდესაც, ჩვეულებრივთან შედარებით, მყიდველები მეტი საქონლის შეძენას დააპირებენ ან გამყიდველები ნაკლები პროდუქციის გამოტანას გადაწყვეტენ. ფულის ბაზრის, ანუ გაცვლის კანონის (ფიშერის კანონის) შესაბამისად კი განტოლების ფორმულაში (ანუ ბაზარზე) ტოლობა ავტომატურად ყალიბდება. ე.ი. თუ წონასწორობა (ტოლობა) დაირღვა — მიმოქცევაში ფულის მოცულობა გაიზარდა, ხოლო წარმოების მოცულობა და ფულის ბრუნვის სიჩქარე უცვლელია, — ის (წონასწორობა) შეიძლება დამყარდეს მხოლოდ ფასების ზრდის საფუძველზე. ასეც ხდება ხშირად რეალურ ცხოვრებაში (უმეტეს ქვეყნებში ფასების ზრდას ბოლო ათეული წლების განმავლობაში მკვეთრად გამოკვეთილი ტენდენციის ხასიათი აქვს). ფასების ასეთ საერთო მატებას ინფლაციას უწოდებენ.

ინფლაცია (იტალ. Inflatio — გაბერვა) არის ეკონომიკაში ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების (აგრეთვე სხვა მაკროეკონომიკური პროპორციების) დისბალანსი, რომელიც ფასების საერთო დონის მატებაში პოულობს ასახვას; ეს არის ეკონომიკაში ფასების და გასამრჯელოს (შრომის ანაზღაურების) მყარი ზრდა. ინფლაცია იწვევს ფულის გაუფასურებას, რაც დაკავშირებულია ძირითადად მიმოქცევაში ფულის მნიშვნელოვნად მეტი მოცულობის არსებობასთან, ვიდრე ეს საჭიროა რეალურად. ინფლაციის მაჩვენებელს ჩვეულებრივ ფასების ინდექსით ზომავენ.

ინფლაციის მიზეზი შეიძლება იყოს ქვეყნის ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად მიმოქცევაში ზედმეტი ფულის გამოშვება[1], თუმცა ამას, მიუხედავად ფულის ღირებულების ოქროსთან მიბმის მოშლისა, განვითარებული (ცივილიზებული) ქვეყნები (რომელთა ფულადი სისტემები ძირითადად ერთმანეთთან არის დაკავშირებული) დღეს იშვიათად თუ მიმართავენ[2].

---

[1] *ამის შედეგად ხელისუფლება ღებულობს ე.წ. სენიორაჟს — მოგებას, რომლის მოცულობა ტოლია მიმოქცევაში გამოშვებული ფულის მოცულობას გამოკლებული ფულის ემისიის ხარჯები.*

[2] მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მეცნიერი ეკონომისტი დღესაც მეტად აქტუალურად მიიჩნევს პრობლემას და თვლის, რომ, ხელისუფლებისათვის ამ საქმეში ხელ-ფეხის შეკვრის აუცილებლობის და სხვა მიზნების გათვალისწინებით, სასარგებლო იქნება აღდგეს ქაღალდის ფულის ოქროთი უზრუნველყოფის პრინციპი. აშშ-ში რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის დროს სპეციალური სამთავრობო კომისია სწავლობდა ამ საკითხს, თუმცა მისი დასკვნა უარყოფითი იყო.

ეკონომიკურ სისტემებში კი, სადაც მიმოქცევაში ფულის განსაზღვრული (კონტროლირებადი) მოცულობა ტრიალებს, **ხელისუფლებას ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის (შემოსავლის დამატებით მოზიდვის) ორი ტრადიციული საშუალება გააჩნია: სახელმწიფო სესხი და დაბეგვრის გამკაცრება.**

ინფლაცია სერიოზულ პრობლემებს ქმნის საზოგადოების ფუნქციონირებაში. განასხვავებენ მის შემდეგ ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს:

1) ინფლაცია იწვევს ფულადი შემოსავლის (როგორც მოსახლეობის, ისე ფირმების და სახელმწიფოს) გაუფასურებას (ფაქტობრივ შემცირებას) — ჩნდება და ღრმავდება განსხვავება ნომინალურ და რეალურ შემოსავალს შორის. ამის შედეგად განსაკუთრებით ზარალდება **ფიქსირებული შემოსავლის** მქონე მოსახლეობა თუ სამეურნეო სუბიექტები;
2) ინფლაციას უცილობლად თან სდევს შემოსავლის და ქონების გადანაწილება. მისი შედეგებით სარგებლობენ ყველა დონის **დებიტორები** (მოვალეები), ვინაიდან სესხი აღებული იყო უფრო მაღალი მყიდველობითი უნარის პირობებში, ვიდრე მისი დაფარვის დროს არის. ინფლაციის შედეგად ზოგჯერ მოგებაში რჩება ხელისუფლება, რომელიც ადრე აღებულ ვალს ნაკლები მყიდველობითი უნარის მქონე ვალუტით ფარავს. ასე რომ **ინფლაცია გადაანაწილებს შემოსავალს და ქონებას იმათ ხარჯზე, ვინც ფულს იძლევა (ვინც ფული გაასესხა), იმათ სასარგებლოდ, ვისაც ვალი აქვს გადასახდელი.** ინფლაცია ამრავლებს (ზრდის) უძრავი ქონების ღირებულებას; შესაბამისად, შენობების, ბინების და მიწების მესაკუთრეები მდიდრდებიან;
3) ინფლაციის დროს ადგილი აქვს გაუფასურებული ფულადი საშუალებების დაჩქარებულ მატერიალიზაციას, აჟიოტაჟურ შესყიდვებს; შესაბამისად, იზრდება სასაქონლო-მატერიალური სიკეთის ფასი (და კიდევ უფრო მატულობს ინფლაცია);
4) ინფლაცია იწვევს გრძელვადიანი ეკონომიკური მიზნებისადმი ინტერესის დაცემას (დაკარგვას), ვინაიდან ინვესტირება ხდება ერთი ფასეულობის ფულისა, შედეგი კი სხვა, უფრო დაბალი მყიდველობითი უნარის ფულით მიიღება. ამიტომ მიზანშეწონილი (სასარგებლო) ხდება მხოლოდ ისეთი პროგრამების განხორციელება, რომლებიც მოსალოდნელ ინფლაციაზე მაღალ რენტაბელობას იძლევა (ამის პროგნოზირება კი ძნელია). ამიტომ მთლიანობაში ეცემა **ინვესტიციური აქტივობა;**
5) უფასურდება ფულადი დანაზოგები, დაზღვევის და სხვა ფონდები, ნაღდი ფული; შესაბამისად, მცირდება ახალი დანაზოგები (მაშასადამე, კაპიტალდაბანდების რესურსები) და ეცემა წარმოება;
6) ინფლაციის დროს ადგილი აქვს ფულადი სახსრების ფარულ კონფისკაციას და რეალური საპროცენტო განაკვეთის დაცემას. საქმე ის არის, რომ ინფლაციის პირობებში ბეგარაგადამხდელები (პროგრესიული საგადასახადო სისტემის არსებობისას) ავტომატურად ექცევიან უფრო მაღალი განაკვეთებით დაბეგვრის ჯგუფებში (რადგანაც მათი ნომინალური შემოსავალი იზრდება). ასე რომ ფაქტობრივად ფირმებისა და მოსახლეობისაგან გადასახადის სახით შემოსავლის (მოგების) იმ ნაწილის ამოღებაც ხდება, რომელსაც ისინი ჩვეულებრივ (ინფლაციის არარსებობის) პირობებში არ გადაიხდიდნენ. ამის თავიდან აცილებისათვის ზოგჯერ მიმართავენ დაბეგვრის განაკვეთების შეცვლას (ინდექსაციას) ინფლაციის ტემპის გათვალისწინებით. მაგრამ ეს ღონისძიება ნაკლებად ეფექტიანია, ვინაიდან ფასების დაუბალანსებელი (არაერთგვაროვანი) ზრდა იწვევს ქონების გადანაწილებას; ზარალდება სახელმწიფოც, ვინაიდან გადასახადის ამოღებასა და ბიუჯეტში მოხვედრას (გამოყენებას) შორის პერიოდში მისი რეალური ღირებულება ეცემა;
7) ინფლაცია ართულებს ეკონომიკის მართვას. საქმე ის არის, რომ არასტაბილური და ცვალებადი ხდება მართვისათვის საჭირო ინფორმაცია: ფასების სისტემატური ცვლილებების შედეგად მწარმოებელს და მომხმარებელს უძნელდებათ სწორი

გადაწყვეტილების გაკეთება (ვინაიდან იცვლება ფულის როგორც სიკეთის საზომის მნიშვნელობა), ეცემა მომავალი შემოსავლის მიღების რწმენა, გაძნელებულია ხარჯების და მოგების გათვლა — პროგნოზირება — შედარება. ყველაფერი ეს კი ამცირებს მეწარმეობრივი საქმიანობის სტიმულს, ეკონომიკურ აქტივობას.

როგორც აღვნიშნეთ, ინფლაციას უმეტესად უფრო ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე მიმოქცევაში პირდაპირ ზედმეტი ფულის შეგნებულად გამოშვებაა. არსებობს ე.წ. **მოთხოვნის ინფლაცია, როდესაც მოსახლეობა, კომერციული სტრუქტურები და სახელმწიფო რაღაც მიზეზების გამო თანახმა არიან, ჩვეულებრივთან შედარებით, მეტი საქონელ-მომსახურება შეიძინონ და მეტი გადაიხადონ მათ საზღაურად, ვიდრე რეალურად ღირს ისინი.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთლიანად მოთხოვნა მიწოდებაზე მეტია, ეს კი, როგორც ვიცით, ფასების ზრდას (ე.ი. ინფლაციას) იწვევს. ამ შემთხვევაში, როგორც ეკონომისტები ამბობენ, მეტად ბევრი ფული ნადირობს საქონელთა მეტად მცირე მოცულობაზე.

არსებობს აგრეთვე (და ამ მოვლენის ხშირი და მძიმე მიზეზია) ე.წ. **დანახარჯების ინფლაცია, რომლის შემთხვევაში ფასების მატებას წარმოების ხარჯების (ე.ი. წარმოების ფაქტორების ფასის) ზრდა განაპირობებს.** ეს პროცესი შემდგომში ისეთ თავისებურ თვითმართვად მოვლენებში გადაიზრდება, რომ საწარმოო რესურსების ფასების წინანდელი ზრდა მათ შემდგომ მატებას განაპირობებს[1].

ასე რომ ფასების მომატება და მიმოქცევაში ზედმეტი ფულის გამოჩენა ძირითადად ინფლაციის მხოლოდ გარე მოვლენაა, მისი სიღრმისეული მიზეზები კი მეურნეობრიობის მაკროეკონომიკური პროპორციების დარღვევაშია. ეკონომიკურ ლიტერატურაში ეროვნული მეურნეობის დისბალანსის და ინფლაციის გამომწვევ სამ ძირითად ძალას ასახლებენ ხოლმე:

1) სახელმწიფო მონოპოლია ფულის ემისიაზე, საგარეო ვაჭრობაზე და იმ არასაწარმოო (უპირველესად სამხედრო და სხვა მისთ.) ხარჯებზე, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე სახელმწიფოს ფუნქციებთან;
2) პროფკავშირების მონოპოლია, რაც განაპირობებს ხელფასის ამა თუ იმ დონის განსაზღვრას და მისი ელასტიკურობის შემცირებას;
3) მსხვილი ფირმების (კორპორაციების) მონოპოლია დანახარჯების და ფასების განსაზღვრაში[2].

ინფლაცია, როგორც აღინიშნა, მეტად უარყოფითი მოვლენაა ქვეყნისათვის, გარდა უშუალო, პირდაპირი სამეურნეო ნეგატიური ზემოქმედებისა (შემოსავლის, მოგების, აქტივების გაუფასურება და სხვა), განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებს მის მიერ გამოწვეული **ინფლაციური ფსიქოლოგია,** როდესაც მომავალში ფულის გაუფასურების და ფასების მატების გაღრმავების მოლოდინში (შიშით) მუშაკები წინასწარ მოითხოვენ ხელფასის მომატებას, მეწარმეები კი ფასებში თავიდანვე დებენ შემდგომში რესურსების უფრო გაძვირებულად შეძენის საფასურს და ა.შ. ე.ი. ინფლაცია თავის თავს თვითონვე „მიერეკება“, ინფლაციის დროს ფულის მფლობელი ცდილობს მოიშოროს ის და შეიძინოს რეალური ფასეულობა; ეს კი, თავის მხრივ, იწვევს აჟიოტაჟს სამომხმარებლო ბაზარზე მყიდველობითი მოთხოვნის დეფორმაციის სახით: საქონელს ასეთ შემთხვევაში ყიდულობენ არა მოსახმარად ან მეწარმეობაში გამოსაყენებლად, არამედ იმისათვის, რომ როგორმე ფულად ფორმაში დაგროვილი დანაზოგები გადაარჩინონ გაუფასურებას. როგორც აღინიშნა, **ინფლაციის დროს სასარგებლოა მოვალე იყო, მაგრამ არახელსაყრელია ფულის გასესხება და დაგროვება.** განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია იქმნება ეკონომიკაში, როდესაც ინფლაცია **ჰიპერინფლაციაში** გადაიზრდება.

---

[1] XX საუკუნის ბოლოს ასეთი პროცესების ეკონომიკაზე ზემოქმედება ნათლად გამოჩნდა ბევრ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში, როდესაც ენერგორესურსებზე ფასების და, შესაბამისად, წარმოების ხარჯების ზრდას ინფლაცია მოჰყვა (საქართველოში კი, როგორც აღვნიშნეთ, ჰიპერინფლაციის მიზეზები ძირითადად მაინც სახელმწიფოს მიერ მიმოქცევის ფულით გაბერვაში იყო და პირდაპირ უკავშირდებოდა სახელმწიფო სტრუქტურებში და საბანკო სისტემაში მოკალათებული თაღლითების კრიმინალურ საქმიანობას).

[2] ეს საერთოდ. საქართველოში კი დღესდღეობით მონოპოლიზმი (მონოპოლიური ქცევა) პრაქტიკულად მეურნეობის ყველა მიმართულებით ყვავის.

ფასების ზრდის ტემპების პოზიციიდან გამომდინარე, განასხვავებენ ინფლაციის შემდეგ სახეებს:

- **ზომიერი ინფლაცია**, როდესაც ფასების ზრდა წელიწადში 10%-ზე დაბალია, ფულის ღირებულება ძირითადად შენარჩუნებულია და არ არსებობს კონტრაქტების ნომინალურ ფასებში დადების რისკი;
- **ჭენებადი ინფლაცია**, როდესაც ფასები წელიწადში ათობით და ასობით პროცენტებში მატულობს, კონტრაქტების დადებას კი „მიაბამენ" ფასების მოსალოდნელ (შესაძლო) ზრდას და ადგილი აქვს ფულის დაჩქარებულ მატერიალიზაციას;
- **ჰიპერინფლაცია**, როდესაც ფასები ასტრონომიული ტემპებით იზრდება (როგორც, მაგალითად, გერმანიაში 1920-იან წლებში, საქართველოში 1990-იან წლებში და სხვ.). ეს დამანგრეველად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე, ახშობს მეწარმეობრივ მუხტს, უბიძგებს კაპიტალის ქვეყნიდან გადინებას, იწვევს მოსახლეობის გაღატაკებას და უმუშევრობის სწრაფ ზრდას.

თავი 5. ფულის მიმოქცევის სტაბილიზაცია

როგორც ითქვა, ინფლაციის (ფასების საერთო ზრდის და ფულის გაუფასურების) სხვადასხვა მიზეზები და წყაროები არსებობს, რაც პირველ რიგში მთლიანად ეკონომიკის არადამაკმაყოფილებელ ფუნქციონირებაზე მიუთითებს. ამიტომ **ინფლაციის ლიკვიდაციის, ფულის მიმოქცევის სტაბილიზაციის გზები უპირველესად თავად ეკონომიკის გაჯანსაღებაში ძევს. ამასთან ისიც ფაქტია, რომ, მიუხედავად მიზეზებისა, ინფლაცია, ფასების ზრდა და ფულის მყიდველობითი უნარის დაცემა, საბოლოო ჯამში, იმაში გამოიხატება, რომ მიმოქცევაში იმაზე მეტი ქაღალდის ფული და სხვა საბრუნავი საშუალება იყრის თავს, ვიდრე ეს საჭიროა.** ამიტომ, ფულის მიმოქცევის გაჯანსაღების საერთო ეკონომიკურ ღონისძიებებთან ერთად, არსებობს ინფლაციის შეჩერება — ლიკვიდაციის კონკრეტული, უშუალოდ ფულთან დაკავშირებული ღონისძიებები: ესაა მთლანობაში ფულის რეფორმები და ფულის მიმოქცევის სტაბილიზაციის ცალკეული ღონისძიებები. შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე ინფლაციის არა შემცირება-ლიკვიდაციის, არამედ მის პირობებში ეკონომიკის მართვის ადაპტაციური პოლიტიკა, როდესაც საბაზრო ეკონომიკის სუბიექტები (საოჯახო მეურნეობები, ფირმები, სახელმწიფო) ანგარიშს უწევენ თავიანთ საქმიანობაში ინფლაციის პროცესს: ინდექსაცია; კონტრაქტებში მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებლის ჩადება; მოკლევადიან პროექტებზე გადასვლა; სპეკულაციური მარაგების შექმნა; სახსრების შენახვის მინიმიზაცია და სხვა. საბოლოო ჯამში, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ინფლაცია მაინც უნდა მოითოკოს.

მივყვეთ ინფლაციის შეკვეცა-ლიკვიდაციის ფულთან დაკავშირებული ღონისძიებების განხილვას.

1. **ფულის რეფორმები. ფულის რეფორმა არის ფულის მიმოქცევის სფეროში გარდაქმნის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია ფულადი სისტემის მოწესრიგება და განმტკიცება, ეროვნული ფულადი ერთეულის სტაბილიზაცია.** ფართო გაგებით, ფულის რეფორმა არის ფულის ერთი ერთეულიდან მეორეზე გადასვლა, ვიწრო გაგებით — ფულადი სისტემის ნაწილობრივი შეცვლა.

   ფულის რეფორმები სხვადასხვა საშუალებებით ტარდება, მათი გამოყენება პირველ რიგში დამოკიდებულია ეკონომიკის მდგომარეობაზე. ფულის რეფორმას შეიძლება თან ახლდეს მიმოქცევიდან გაუფასურებული ფულის ნიშნების მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღება ან მათი სხვა ფულით შეცვლა, ფულის კურსის შეცვლა, საემისიო კანონმდებლობის გამოცვლით ფულის სისტემის გარდაქმნა.

   ფულის მიმოქცევის ისტორიაში ცნობილია ფულის რეფორმის შემდეგი სახეები:

ა) ერთი ტიპის ფულადი სისტემიდან მეორეზე გადასვლა ან ერთი ფულადი საქონლის მაგივრად მეორეს შემოღება. ეს არის ლითონის ფულის მეორე ლითონის ფულით შეცვლა, ბიმეტალიზმიდან მონომეტალიზმზე და ამ უკანასკნელიდან ოქროზოდურ და ოქროდევიზიურ სტანდარტებზე გადასვლა;

ბ) არასრულფასოვანი მონეტების სრულფასოვანით ან არაკონვერტირებადი ფულის ნიშნების ფულის შექცევადი (კონვერტირებადი, კონვერტაბელური) ნიშნებით შეცვლა. ასეთი რეფორმები ხშირად ტარდებოდა XIX – XX საუკუნეებში;

გ) ფულის ემისიის სისტემაში ცვლილებების შეტანა. ასე მოხდა აშშ-ში 1913 წელს, როდესაც: ბანკნოტების გამოშვების უფლება მიეცა 12 ფედერალურ სარეზერვო ბანკს; შეიცვალა აგრეთვე ბანკნოტების უზრუნველყოფის წესი; მათი გამოშვება ხდებოდა არა სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების ქვეშ, არამედ ოქროსა (40%) და კომერციული თამასუქების (60%) ქვეშ;

დ) ახალი ფულადი სისტემის შექმნა. ეს ხდება სახელმწიფოებრივ გარდაქმნებთან დაკავშირებით, ქვეყნის დაშლის ან ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის დროს.

2. **ფულის მიმოქცევის სტაბილიზაციის სხვა ღონისძიებები.** ეს ღონისძიებები ზოგჯერ წინ უსწრებს ფულის საერთო რეფორმას, ზოგჯერ კი ფულის მიმოქცევის მოწესრიგების (ანუ ფულის თავისებური რეფორმის) ნაირსახეობაა. შევჩერდეთ ამ ღონისძიებებიდან ყველაზე გავრცელებულებზე, ყველაზე ტიპურებზე.

ა) **დეფლაცია (ლათ. Deflatio — გამობერვა) არის მიმოქცევიდან ინფლაციის დროს გამოშვებული ზედმეტი ფულადი მასის ამოღება (ზოგ შემთხვევაში ამ ღონისძიების აღსანიშნავად ხმარობენ აგრეთვე „დეზინფლაციის" ტერმინს).**

ამას სახელმწიფოები მიმართავენ ინფლაციის შეჩერების, არაჯანსაღი კონიუნქტურული ბუმის ლიკვიდაციის (ჩახშობის) მიზნით, აგრეთვე საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის ლიკვიდაციის დროს.

დეფლაციის პოლიტიკის გატარებისას ძირითადად მიმართავენ ფისკალურ (სახაზინო) და ფულად-საკრედიტო ბერკეტებს. ესენია:

- გადასახადების გადიდება მოსახლეობის მყიდველობითი უნარის შემცირების მიზნით;
- ბიუჯეტის ხარჯების შემცირება (შესაბამისად, სახელმწიფო მოთხოვნის შეკვეცა);
- ბანკის პროცენტის (დისკონტის) მომატება, კრედიტზე მოთხოვნის შემცირება და დანაზოგების ზრდა.

ამ ღონისძიებებს (ბერკეტებს) მიეკუთვნება აგრეთვე:

- იმ აუცილებელი რეზერვების ნორმების მომატება, რომელთაც კომერციული ბანკები ინახავენ ცენტრალურ ბანკში (რაც ამცირებს მათ მიერ კრედიტების გაცემის შესაძლებლობას);
- ცენტრალური ბანკის მიერ იმ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია, რომლებიც ფიქსირებულ შემოსავალს იძლევა (ზემოაღნიშნული ოპერაციები ღია ბაზარზე) და ამით ფულის ბაზარზე სასესხო კაპიტალის საერთო მასის შემცირება;
- ცენტრალური ბანკის მიერ კომერციულ ბანკებში იმის პირდაპირი კონტროლი, თუ როგორ ასრულებენ ეს უკანასკნელნი კრედიტის გაცემის „რეკომენდებულ" ზღვრებს (ფარგლებს).

კრედიტის პროცენტის გაზრდას შეიძლება ამოცანად ჰქონდეს აგრეთვე ქვეყანაში საზღვარგარეთის კაპიტალის მოზიდვა საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის შემცირების მიზნით. ამ შემთხვევაში დეფლაციის პოლიტიკა ზოგჯერ არ ემთხვევა ქვეყნის შიგნით ეკონომიკის განვითარების ინტერესებს, რომელიც (ქვეყანა) თვითონ განიცდის საგადასახდელო საშუალებების უკმარისობას.

ბ) **ნულიფიკაცია (ლათ. Nullus — არავითარი და Facio — ვაკეთებ) არის სახელმწიფოს მიერ მკვეთრად გაუფასურებული ქაღალდის ფულის ბათილად (გაუქმებულად, ძალადაკარგულად) გამოცხადება და ახალი ფულის გამოშვება.** ნულიფიკაციას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როდესაც მძიმე ინფლაციის შედეგად ფულის მყიდველობითი უნარის დაცემამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ღირებულება, რომელსაც ფული წარმოადგენს, პრაქტიკულად ნულს უტოლდება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლასთან დაკავშირებით ამოღებული უნდა იქნეს კანონიერი საგადასახდელო საშუალების ძალადაკარგული ფული.

გ) **დენომინაცია (ლათ. Denominatio — სახელის გადარქმევა) არის ქვეყნის ფულადი ერთეულის გამსხვილება (სახელის გადარქმევის გარეშე).** ე.ი. ფულის ნიშნის ნომინალური ღირებულების შეცვლა და მისი ახალ, უფრო მსხვილ ფულად ერთეულებზე გარკვეული შეფარდებით გაცვლა, ამასთან ერთად, იგივე შეფარდებით ფასების, ტარიფების, ხელფასის და სხვ. გადაანგარიშება. ე.ი. იცვლება ფასების მასშტაბი, რაც აადვილებს საგადასახდელო ბრუნვას, აღრიცხვას, ანგარიშსწორებას. უმეტეს შემთხვევაში გამსხვილება ხდება ერთი ან რამდენიმე ნულით (10, 100 და ა.შ.). ამ კოეფიციენტით ადრე გამოშვებული ფულის ნიშნებს გაცვლიან ფულის ახალ ნიშნებზე.

ფულის დენომინაცია ჩატარდა საფრანგეთში 1960 წ., როდესაც 100 ძველი ფრანკი შეიცვალა 1 ახალი ფრანკით, სსრკ-ში 1961 წელს (შეფარდება 10:1), რუსეთის ფედერაციაში 1998 წელს (1000:1).

დ) **დევალვაცია (ლათ. Devalvatio — de ნიშნავს ძირს მოძრაობას და valeo – „ვღირვარ") არის ეროვნული ვალუტის კურსის კლება (დაცემა) ოქროსთან (ოქროს სტანდარტის პირობებში) ან სხვა უცხოურ კონვერტირებად ვალუტასთან შედარებით.** დევალვაცია ოფიციალურად ამტკიცებს ინფლაციის შედეგად ქაღალდის ფულის ფაქტობრივ გაუფასურებას. ის გამოიყენება როგორც ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციის მეთოდი; მას მიმართავენ, როგორც წესი, მაშინ, როდესაც საბოლოოდ შეწყდება ფულის გაუფასურების პროცესი და განმტკიცდება (დაწესდება) მისი მეტ-ნაკლებად მყარი ახალი კურსი.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში ფულის დევალვაცია არაერთხელ განხორციელებულა და ხორციელდება ბევრ ქვეყანაში, თუმცა, ადრინდელთან შედარებით, ეს პირდაპირი ოქროშედგენილობის შემცირების გზით კი არ ხდება ძირითადად, არამედ მნიშვნელოვანწილად ამერიკულ დოლართან კურსის შემცირებით.

ე) **ფულის რევალვაცია (ლათ. Revalvatio — re ნიშნავს ზევით მოძრაობას და valeo – „ვღირვარ"), იგივე რევალორიზაცია, არის ვალუტის ღირებულების გაზრდა, რაც გამოიხატება ფულადი ერთეულის ოქროს შედგენილობის (ოქროს სტანდარტის პირობებში) ან სავალუტო პარიტეტის გადიდებაში.** რევალვაცია სერიოზულ გავლენას ახდენს ქვეყნის საგადასახდელო და სავაჭრო ბალანსზე, შინაგან კონიუნქტურაზე, შინაგანი ფასწარმოქმნის სისტემაზე და სხვა.

გასაგებია, რომ რევალვაციას საკუთარი ფულის გაუფასურებასთან კი არა აქვს საქმე. პირიქით, მას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნის ფულის კურსი უცხო ქვეყნების ვალუტებთან შეფარდებაში უფრო მაღალ დონეზეა ჩამოყალიბებული, ვიდრე ეს ოფიციალურად არის მიჩნეული. ამიტომ ეკონომიკაზე ზემოქმედების მექანიზმით რევალვაცია დევალვაციის საწინააღმდეგო ქმედობაა. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებამდე რევალვაციას იშვიათად მიმართავდნენ. საქმე ისაა, რომ საკუთარი ფულის რევალვაციის შედეგად ქვეყანა, საგარეო ვაჭრობის, საზღვარგარეთის კაპიტალის მოზიდვის, საზღვარგარეთული ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, თავის თავს უარეს მდგომარეობაში (ნაკლებსარგებლიან სიტუაციაში) აყენებს:

- ადიდებს რა თავისი ვალუტის კურსს სხვა ვალუტებთან შედარებით, რევალვაცია იწვევს გასატანი საქონლის ფასის ზრდას საზღვარგარეთულ ვალუტებში, მაშასადამე, ამცირებს სამამულო საქონლის საზღვარგარეთ კონკურენტუნარიანობას, ზღუდავს ექსპორტს. ამავდროულად, ამცირებს რა ეროვნულ ვალუტაში უცხოური (შემოტანილი) საქონლის ფასს, რევალვაცია ხელს უწყობს იმპორტის გაზრდას (იმპორტულ საქონელზე მოთხოვნის მატებას);
- რევალვაციის შედეგად ჩამოყალიბებული შეფარდებები ეროვნულ და უცხოურ ვალუტებს შორის ინვესტორებისათვის არახელსაყრელს ხდის ამ ქვეყანაში კაპიტალის დაბანდებას (ვინაიდან ვალუტების გაცვლისას უცხოური ინვესტორები ადგილობრივ ვალუტაში ნაკლებ თანხას მიიღებენ). იმ ქვეყნის მესაკუთრეებისათვის კი, რომელმაც ფულის რევალვაცია მოახდინა, უფრო ხელსაყრელი ხდება კაპიტა-

ლის გატანა, ვინაიდან იქმნება უცხოური ვალუტის უფრო იაფად შეძენის შესაძლებლობა;

- საერთაშორისო ტურიზმის თვალსაზრისით, რევალვაცია იწვევს ამ დარგიდან შემოსავლის შემცირებას, ვინაიდან ტურისტებს ამ ქვეყანაში მოგზაურობა უკვე უფრო ძვირი უჯდებათ; ამავდროულად ამ ქვეყნის მოქალაქეებს საზღვარგარეთ ტურიზმის სტიმული ემატებათ, ვინაიდან ასეთი მოგზაურობა იაფდება.

მაშ რაშია საქმე? რატომ მიდის ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლება ფულის რევალვაციაზე, როგორც ეს უკანასკნელ ათწლეულებში გააკეთეს, მაგალითად, გერმანიამ, იაპონიამ, ნიდერლანდებმა, შვეიცარიამ, ავსტრიამ და ზოგმა სხვა ქვეყანამ?

ამ ღონისძიების (რევალვაციის) ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მაინც ინფლაციასთან (უფრო მის შესაძლებლობებთან) ბრძოლაა. ზღუდავს რა ქვეყანაში საზღვარგარეთის კაპიტალის შემოტანას (განსაკუთრებით იმ სპეკულაციური კაპიტალისა, რომელიც დაყიალობს სხვადასხვა ბაზრებზე სხვადასხვა გზით — მ.შ. კანონის გვერდის ავლით მეტი მოგების მისაღებად), რევალვაცია საშუალებას იძლევა შეზღუდოს გარკვეულწილად მიმოქცევაში ფულადი მასის ზრდა, რომ ამის საფუძველზე არ მოხდეს შინაგანი ფასების მომატება.

რევალვაცია იწვევს სავაჭრო ბალანსის აქტიური სალდოს შემცირებას, ე.ი. ქვეყნისათვის საზიანოა. ამიტომ რევალვაცია ზოგ შემთხვევაში განპირობებულია საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო ორგანიზაციების დანოლით (დაძალებით). ეს კი კანონზომიერ დაძალებად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ვალუტის რეალურ კურსთან შედარებით ოფიციალური დაბალი კურსი უარყოფითად მოქმედებს თავისუფალ კონკურენციაზე, შეიძლება ითქვას, თავისებური **უკუდემპინგი** და მონოპოლიაა.

განვითარებული ქვეყნების სავალუტო სისტემის ფარგლებში რევალვაციის მექანიზმმა მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია განიცადა XX ს. 70-იან წლებში. ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრმა ქვეყნებმა შემოიღეს სავალუტო კურსების „მცურავი" სისტემა, უარი თქვეს ოქროს ოფიციალურ ფასზე და მის საფუძველზე ფონდის წევრი ქვეყნების ვალუტათა ოფიციალურ პარიტეტზე. ამჯერად რევალვაცია შეიძლება ჩატარდეს როგორც სავალუტო პარიტეტის მატება ერთი (გარკვეული) ვალუტის ან ვალუტების იმ ჯგუფის მიმართ, რომლებთანაც ერთად „ცურავს" ეს ვალუტა.

ფულის რევალვაციის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ იაპონიის იენას რევალვაცია მთელი რიგი ვალუტის (მათ შორის დოლარის) მიმართ, რის შედეგადაც ამერიკის ერთ დოლარს 1978 წლის 1 მარტიდან შეეფარდა 233 იენა, ნაცვლად ადრინდელი 340 იენისა.

თავი 6. სახელმწიფოს მონეტარული პოლიტიკა (კეინსელების და მონეტარისტების მიდგომა)

ჯ. მ. კეინსის თეორიის შესაბამისად მაკროეკონომიკური უწონასწორობის მიზეზი არის ეკონომიკაში ერთობლივი მოთხოვნის შემცირება, შესაბამისად, წარმოების დაცემა, მაღალი უმუშევრობა; აქედან გამომდინარე, მისი „რეგულირებადი ვალუტის" თეორიაში ასეთი უწონასწორობის მოგვარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა „საქმიან მიმოქცევაში" ფულის ოდენობის ერთგვარი გაზრდა ერთობლივი მოთხოვნის მომატებისათვის. ამისთვის კი კეინსი ორ გზას გვთავაზობდა:

- **ფულის რაოდენობის აბსოლუტური ზრდა რეგულირებადი ინფლაციის საშუალებით;**
- **ფულის რაოდენობის შეფარდებითი ზრდა ხელფასის შემცირების გზით.**

რეგულირებადი ფულის (ვალუტის) ამ ღონისძიებებმა უნდა გაზარდოს (აწიოს) კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობა, მეწარმეების საქმიანი აქტივობა და, ამასთან ერთად, მოსახლეობის დასაქმება. ამას თუ დაემატება სახელმწიფოს (საზოგადოე-

ბის) მიერ მეწარმეობრივი აქტივობის ამაღლების და ინვესტირების გააქტიურების ხელის შეწყობის სხვა ღონისძიებები (ვთქვათ, სასესხო პროცენტის განაკვეთის შემცირება, თავად სახელმწიფოს ინვესტიციების სახალხო მეურნეობაში განლაგება და ამით ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა), ეს ყველაფერი „წამახალისებელ“ („გამამხნევებელ“) ზეგავლენას მოახდენს ეკონომიკაზე. ეს პოლიტიკა მით უფრო შედეგიანი იქნება, კეინსის აზრით, რაც უფრო დროულად განხორციელდება სამეურნეო კონიუნქტურის დაცემის თუ მისი „გადახურების“ საწინააღმდეგო ფულად-საკრედიტო ღონისძიებები.

ფულის (მონეტარული) პოლიტიკის ასეთმა კეინსურმა ინტერპრეტაციამ (რეგულირებადი ვალუტის თეორია) მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თავის დროზე საბაზრო ქვეყნების ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკაზე და სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტი გახდა. ღია ბაზარზე ოპერაციების, აუცილებელი რეზერვების ნორმების, დისკონტის პოლიტიკის შეცვლის (პროცენტის განაკვეთის შეცვლა) და სელექციური (შერჩევითი) კონტროლის საშუალებით ცენტრალური საემისიო ბანკები და მათი სტრუქტურები სერიოზულ ზემოქმედებას ახდენდენ წარმოების, ფასების და დასაქმების დინამიკაზე, ქვეყნების საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობაზე და სამეურნეო კონიუნქტურის სხვა მაჩვენებლებზე.

მაგრამ 60-70-იან წლებში რეგულირებადი ფულის (ვალუტის) კეინსურ კონცეფციას სერიოზული ბრძოლა გამოუცხადეს (და ოპოზიციაში ჩაუდგნენ) **ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის** წარმომადგენლებმა. **„ჩიკაგოელები“ სახელმწიფოს ეკონომიკაში ფართო ჩარევას მხოლოდ უარყოფითად აფასებენ, ამტკიცებენ რა, რომ თავისუფალ მეწარმეობრივ ურთიერთობებს განსაკუთრებული შინაგანი მდგრადობა ახასიათებს, რაც არასასურველს ხდის მათში მიმდინარე პროცესების სახელმწიფოს მიერ (გარეშე ძალის მიერ) კორექტირებას.** პირიქით, ის უარყოფითი მოვლენები, რომლებიც თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში გვხვდება, მ.შ. ინფლაცია, სწორედ ამ შინაგანი მდგრადობის გარე ძალების ჩარევის შედეგად დარღვევაში უნდა ვეძებოთო.

ჩიკაგოს სკოლის სქემის თეორიული საფუძველია ადრე გავრცელებული ფულის რაოდენობრივი თეორიის მოდიფიცირებული ვარიანტი, რომლის შესაბამისად მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა არის როგორც ფასების საერთო დონის ცვლილების, ისე ერთობლივი ეროვნული პროდუქტის შეფასების მთავარი და განმსაზღვრელი ფაქტორი. ფულის ექსტრაორდინალურ როლზე განსაკუთრებული აქცენტის გამო ჩიკაგოს სკოლის კონცეფციამ მეორე სახელიც მიიღო ეკონომიკურ ლიტერატურაში — **მონეტარიზმის დოქტრინა.**

მონეტარიზმი არის თეორიული ეკონომიკური სკოლა, რომელიც განსაკუთრებით უსვამს ხაზს მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის მნიშვნელობას ეკონომიკაში წარმოების რეალური მოცულობის და ფასების დონის ფორმირების საქმეში. ამ კონცეფციის მამამთავრად აღიარებულია ნობელის პრემიის ლაურეატი, პროფესორი **მილტონ ფრიდმენი.** ფრიდმენმა და ჩიკაგოს სკოლის სხვა წარმომადგენლებმა ერთგვარად შეცვალეს ფულის რაოდენობრივი თეორიის თავიანთი წინამორბედების **ი. ფიშერისა და ა. მარშალის კონცეფცია**[1]. მათ დაუშვეს ფულის ბრუნვადობის სიჩქარის რყევის შესაძლებლობა როგორც შორეულ პერსპექტივაში, ისე კვლავწარმოების ცალკეულ ფაზაში. ამასთან მონეტარისტები მიმოქცევაში ფულის რაოდენობასა და ფულადი ხარჯების ჯამს შორის შეფარდებას (ეს კი ფაქტობრივად ფულის ბრუნვის სიჩქარის მაჩვენებელია) განიხილავენ შედარებით სტაბილურ და, მაშასადამე, პროგნოზირებად მაჩვენებლად.

სალაროს ნაშთების სტაბილური ფუნქციის საფუძველზე მონეტარიზმის თეორიის მიმდევრები აყენებენ დარღვეული ეკონომიკური წონასწორობის აღდგენის მექანიზმის თეზას, სადაც მთავარ როლს ფულის მიმოქცევის სფეროში ცვალებადი პირობებისადმი ეკონომიკური აგენტების შეგუება თამაშობს. დავუშვათ, რომ რაღაც მიზეზების გამო მიმოქცევაში არსებული

[1] ეს უკანასკნელნი გამოდიოდნენ იქიდან, რომ ფულის მიმოქცევის სიჩქარე უცვლელია და რომ საქონელთა ფასების ცვლილებების დონესა და მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობას შორის არსებობს პირდაპირპროპორციული ურთიერთდამოკიდებულება.

ფულის რაოდენობის ზრდამ გამოიწვია სალაროს ნაშთებსა და ფულად ხარჯებს შორის „ჩვეული" პროპორციების შეცვლა (ე.ი. სალაროს ნაშთები საჭიროზე მეტი აღმოჩნდა); მაშინ, ისევ მონეტარისტების აზრით, ამ პროპორციების აღსადგენად სამეურნეო სუბიექტები დაიწყებენ ფულის გაძლიერებულ ხარჯვას, რაც გამოიწვევს სასაქონლო ბაზრებზე მოთხოვნის ზრდას და ფასების მატებას. ფულის გაუფასურების შედეგად ეკონომიკა ახალ წონასწორობამდე მიდის, სადაც სალაროს გაზრდილი ნაშთები შეესაბამება გაზრდილ, უფრო მაღალ ფასებს (მაშასადამე, კვლავ დგინდება მყარი პროპორციები).

ეს იმას ნიშნავს, რომ, მონეტარისტული თეორიის მიმდევრების აზრით, სალაროს ნაშთებზე მყარი მოთხოვნა თამაშობს იმ ძირითადი ღერძის (მამოძრავებელი ძალის) როლს, რომელიც განსაზღვრავს კვლავწარმოების პროცესების დინამიკას. ეს მოთხოვნა ეკონომიკის თვითრეგულირების საწყისებზე ყალიბდება, მის მისაგნებად გარედან ჩარევა საჭირო არ არის, მხოლოდ **თარგეტირების** წესების დაცვაა აუცილებელი. მონეტარიზმის მთავარი ლოზუნგია: **„ფულს მნიშვნელობა აქვს"** ("Money maters").

მაშ რაშია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საკითხში კეინსელების და მონეტარისტების დავის არსი?

ერთნიც და მეორენიც აღიარებენ, რომ ფულის მიწოდების ცვლილებები ზემოქმედებს ნომინალურ ერთობლივ ეროვნულ პროდუქტზე. ამასთან ისინი სხვადასხვანაირად აფასებენ ამ ზემოქმედების როგორც მნიშვნელობას, ისე მექანიზმს: **თუ კეინსელები თვლიან, რომ ეკონომიკის ნორმალურად ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის ფულის პოლიტიკას საფუძვლად უნდა დაედოს პროცენტის განაკვეთის შეგნებულად მართვა, მონეტარისტები ასეთ როლს თვით ფულის მიწოდების დონის თვითრეგულირების საწყისებზე ჩამოყალიბება-ცვლილებას ანიჭებენ. ერთადერთი, რაც, მათი აზრით, ხელისუფლებას მოეთხოვება: დაიცვას მონეტარისტების მიერ დამუშავებული ე.წ. თარგეტირების წესი. ამ წესის შესაბამისად მიმოქცევაში ფულის გამოშვება უნდა ხდებოდეს ეკონომიკაში მწარმოებლურობის ზრდიდან გამომდინარე: მისი 1%-ით მატებისას ფულის მოცულობა უნდა გაიზარდოს 1-2 პროცენტული პუნქტით.**

მონეტარიზმი XX საუკუნის 70-80-იან წლებში ეკონომიკური აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება გახდა. მონეტარისტების რეკომენდაციების ზეგავლენით 70-იან წლებში ბევრ ქვეყანაში შემოღებულ იქნა ზემოხსენებული **თარგეტირება** (ინგლ. **Target** — მიზანი), **ანუ მიმოქცევაში ფულადი მასის ზრდისათვის „მიზნობრივი ორიენტირის" დაწესება.** ამ შემთხვევაში ორიენტირად იღებენ მიმოქცევაში ფულის დასაშვებ მყარ ციფრს, ანუ „ჩანგალს", რომელშიც უნდა ჩაეტიოს საგადასახდელო საშუალებათა (ფულის მასის) მატების ტემპი. ფულადი ემისიის ასეთი შეზღუდვის პრაქტიკას იყენებენ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკები. ასე რომ მონეტარისტების რეკომენდაციებს ხშირად მიმართავენ თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის დამუშავება-გატარების დროს. მიუხედავად ამისა, ამ კონცეფციამ ვერ ჰპოვა საყოველთაო აღიარება. აი, მაგალითად, როგორ განმარტავენ მონეტარიზმს „ეკონომიკის" ცნობილი სახელმძღვანელოს ამერიკელი ავტორები **კ. რ. მაკონელი და ს. ლ. ბრიუ:** *„ეს არის ამერიკელი ეკონომისტების უმცირესობის (ხაზგასმა ჩვენია — ავტორები) კეინსელობის ალტერნატიული ფილოსოფიური, იდეოლოგიური და ანალიტიკური შეხედულებები; ეს არის რესურსების გამოყენების და ეკონომიკის სტაბილიზაციის პოლიტიკა, რომლის საყრდენად მიჩნეულია ფულის როლი".*

ამასთან თვითონ ეს თეორიაც გარკვეულ ცვლილებებს განიცდის, ამიტომ სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მონეტარული (ფულის) პოლიტიკის თანამედროვე თეორია ფაქტობრივად (რეალურად) არის სინთეზირებული მოდელი, რომელიც ეყრდნობა როგორც კეინსურ, ისე მონეტარისტების მიდგომებს, ითვალისწინებს აგრეთვე ფულის თეორიაში არსებულ სხვა თვალსაზრისსაც. მთლიანობაში მიღებულია, რომ:

- გრძელვადიან ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში უპირატესობა მონეტარისტულ მიდგომას უნდა მიეცეს;
- ამასთან მოკლევადიან პერიოდში სახელმწიფომ გონივრულად უნდა გამოიყენოს პროცენტზე ზემოქმედება, რომ მიღწეულ იქნეს სწრაფი ეკონომიკური მანევრირება.

თავი 7. საბანკო საქმე

ჩვენს მსჯელობა-საუბრებში ეკონომიკურ გარიგებებზე, ფულზე და სხვ. ყველგან იგულისხმებოდა (და ხშირად ვახსენებდით კიდევაც) ბანკები, ვინაიდან ეკონომიკური ოპერაციების დიდი ნაწილის ძირითადი მონაწილე და მოქმედი პირი სწორედ ბანკია. სწორედ ბანკების საშუალებით ხდება სამეურნეო გარიგებების ფულით მომსახურება, ბანკებია ფულადი ნაკადების მიმმართველი შუამავალი. ამიტომ ბანკებზე საუბარი უპრიანი იქნება გავმართოთ ფულისადმი მიძღვნილ თემაში, ეს მით უფრო მართლზომიერია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბანკები ქმნიან (ხელისუფლებასთან ერთად) ფულს, სწორედ ბანკები გადააქცევენ ფულს საქონლად და ამით ეხმარებიან ეკონომიკას განვითრებაში, მაშასადამე, ხელს უწყობენ საზოგადოების, ქვეყნის გამდიდრებას. ბანკებს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვთ დღევანდელ ეკონომიკაში, რომ ყოველგვარი ნაკლოვანებები და ჩავარდნები მათ საქმიანობაში მეტად უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე.

საქართველოს ეკონომიკის 1991-1995 წლების უმძიმეს მდგომარეობას ბევრი მიზეზი განაპირობებდა. მთავარს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ უეჭველად ამ მიზეზებს შორის ბოლო ადგილზე არ იყო ის, რომ საქართველოში დროულად ვერ შეიქმნა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება-ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კერძო და სახელმწიფო ბანკების ერთობლივი მწყობრი სისტემა. წლების განმავლობაში რომ საქართველოს ბიუჯეტში ცოტა სახსრები შედიოდა, ესეც ცნობილია და ამის მიზეზებიც ბევრია, მაგრამ მათ შორისაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბანკების გაუმართავი მუშაობა გახლდათ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამის გამო ბიუჯეტში თვეების განმავლობაში ვერ ხვდებოდა (ან საერთოდ „იკარგებოდა“) ხშირად სხვადასხვა გადასახდელები, რომ არაფერი ვთქვათ სამეურნეო გარიგებების ბანკების მიერ მომსახურების სრულიად არადამაკმაყოფილებელ დონეზე. **უდიდესი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებას ამ წლებში გატარებულმა ფსევდოლიბერალურმა საკრედიტო პოლიტიკამაც, რომლის შედეგად მიმოქცევაში ტრილიონობით ე.წ. კუპონი იქნა გამოშვებული, ეკონომიკა შეგნებულად იქნა ჰიპერინფლაციაში შეყვანილი და ხელისუფლებაში, ბანკებსა და სხვა კომერციულ სტრუქტურებში მოკალათებულმა კრიმინალურმა ელემენტებმა სარფიანად მოითბეს ამით ხელი.**

ბოლოს და ბოლოს, ეს პროცესი, როგორც იქნა, შეჩერდა, მაგრამ ნორმალური საბანკო სისტემის ჩამოყალიბების საქმეს მაინც დიდხანს არ ეშველა. უფრო მეტიც, ფულის უკანონოდ მოხვეჭის შესაძლებლობებით პროვოცირებულმა **კერძო ბანკებმა, გამოიყენეს რა საზოგადოების მოუმზადებლობა საბაზრო ურთიერთობებისათვის, წამოიწყეს უპოვარი მოსახლეობის ხელთ არსებული სახსრების არარეალურად მაღალი საპროცენტო განაკვეთებით (20-35% თვეში) ვითომ ანაზღაურების დაპირებით თაღლითური მოზიდვა, რაც, საბოლოო ჯამში, ამ სახსრების მითვისებით (მეანაბრეების გაყვლეფით), კომერციული ბანკების ერთბაშად მასობრივი გაკოტრებით და საბანკო საქმისათვის დიდი ხნით სახელის გატეხით დამთავრდა** და არც კი შეიძლებოდა სხვანაირად დასრულებულიყო. აქ იმის ხაზგასმა მიგვაჩნია აუცილებლად, რომ ყველაფერი ეს ხდებოდა მთელი საზოგადოების თვალწინ, ხმაურიანი რეკლამის თანხლებით, მაგრამ ვერც ხელისუფლებას (და მის ეკონომიკურ სტრუქტურებს), ვერც ეროვნულ ბანკს ვერ აღმოაჩნდათ მოვლენების ასე განვითარების ადვილად შესაძლებელი წინასწარმეტყველების უნარი[1]. სამწუხაროდ, ვერც ქართველმა ეკონომისტებმა გავაკეთეთ დროულად შესაბამისი პროგნოზი და არ ავტეხეთ საკმარისი განგაში. საბედნიეროდ, მდგომარეობა შეიცვალა. დღესდღეობით საბანკო სისტემა ერთ-ერთ განვითარებულ და აწყობილ სტრუქტურად არის აღიარებული, თუმცა მონოპოლიზმის მანკი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას ახასიათებს, მის ფუნქციონირებაშიც ფართოდ ფეხმოკიდებულია, რაც ნამდვილად არ უწყობს ხელს ეკონომიკის ნორმალურ განვითარებას.

ბანკი (ფრანგ. Banque) სპეციალური ეკონომიკური ინსტიტუტია, ფინანსური შუამავალია, რომლის ფუნქციაა ფულადი სახსრების აკუმულაცია, კრედიტის გაცემა, ფულადი ანგარიშსწორების წარმოება, ფულის და სხვა საკრედიტო საშუალებების ემისია, სხვადასხვა ფასიანი

[1] პირიქით, თვით ხელისუფლებამაც გაატარა უზნეო ღონისძიება, მოუწოდა რა საზოგადოებას სახსრების ბანკებში განთავსებისაკენ წლის განმავლობაში მათი გაორმაგების დაპირებით.

ქაღალდების გამოშვება და ა.შ. ეს კომერციული საქმიანობის საწარმოების განსაკუთრებული ნაირსახეობაა, რომელიც სასესხო კაპიტალის მოძრაობას არეგულირებს. ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს ბანკის ანალოგიური ბევრი სხვა სამეურნეო სტრუქტურა ეწევა. საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებათა ერთობლიობას კი, რომელიც ქმნის, აკუმულაციას უწევს და გასცემს ფულად სახსრებს ვადიანობის, ანაზღაურების და დაბრუნებადობის საწყისებზე (დაკრედიტების პრინციპები), საკრედიტო სისტემა ეწოდება.

ფუნქციებისა და ოპერაციების შესაბამისად განასხვავებენ ცენტრალურ საემისიო ბანკებს, კომერციულ (სადეპოზიტო) ბანკებს, საინვესტიციო ბანკებს, შემნახველ ბანკებს და სპეციალური დანიშნულების (საიპოთეკო, საგარეო ვაჭრობის და სხვ.) ბანკებს.

ცენტრალური (საემისიო) ბანკი (აშშ-ში მას „ფედერალური სარეზერვო სისტემა" ეწოდება, საქართველოში ეროვნული ბანკი) — ეს „ბანკთა ბანკია", რომელიც მონოპოლიურად ეწევა საერთო-სახელმწიფოებრივ საკრედიტო ღონისძიებებს — ფულის (ბანკნოტის) გამოშვებას; ის ხელმძღვანელობს და ზედამხედველობს ქვეყნის მთელ საბანკო სისტემას, ინახავს სხვა ბანკების დროებით თავისუფალ სახსრებს და მათ აუცილებელ რეზერვებს, აძლევს მათ კრედიტებს, აკრედიტებს ზოგჯერ სახელმწიფოსაც. სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უპირველესად სწორედ ცენტრალური (ეროვნული) საემისიო ბანკის მეშვეობით ტარდება,

ქვეყნის საკრედიტო სისტემის ბირთვი კომერციული ბანკებია, მათ ხელშია მთელი საკრედიტო სისტემის ძირითადი რესურსები.

კომერციული ბანკების (ისევე როგორც სხვა ბანკების) ოპერაციები იყოფა პასიურ და აქტიურ ოპერაციებად. პასიური ის ოპერაციებია, რომელთა საშუალებით ბანკები ქმნიან ფულადი კაპიტალის რესურსებს. ბანკების საქმიანობაში, შეიძლება ითქვას, მთავარი მიმართულება სწორედ პასიური ოპერაციებია: საკუთარი კაპიტალის შექმნა (პირველადი სააქციო კაპიტალი და დაგროვილი მოგება) და დეპოზიტების (ანაბრების) მიღება.

დეპოზიტები იყოფა ვადიან ანაბრებად (მათი გამოტანა განსაზღვრულ პერიოდამდე არ შეიძლება გარკვეული პროცენტის დაკარგვის გარეშე) და მიმდინარე ანაბრებად (ამ ანგარიშებიდან სახსრები გაიცემა ან უნაღდო ანგარიშსწორებით გადაირიცხება საგადასახდელო მოთხოვნის და ჩეკების საშუალებით პირველივე მოთხოვნისთანავე). მიმდინარე ანგარიშებზე შენახულ სახსრებს, როგორც წესი, დაბალი პროცენტი დაერიცხება ან მათი შენახვა საერთოდ უპროცენტოდ ხდება (როგორც აშშ-ში და ჩვენთან); სამაგიეროდ ბანკები კლიენტებს უფასოდ ემსახურებიან მათი მიმდინარე ანგარიშებით კონტრაჰენტებთან ანგარიშსწორებაში. ამ უნაღდო ანგარიშსწორებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისათვის.

კომერციული ბანკების აქტიური ოპერაციები დაკავშირებულია სესხის (კრედიტის) გაცემასთან. კომერციულ კრედიტს ახასიათებს დაბრუნებადობა (ის აუცილებლივ უნდა იქნეს დაბრუნებული), ვადიანობა (გაიცემა გარკვეული ვადით) და ანაზღაურება (სესხის ამღებმა კრედიტით სარგებლობის ფასი უნდა გადაიხადოს). ბანკები კრედიტის ამღებს (მოვალეს) ახდევინებენ სასესხო პროცენტს (კრედიტის საფასურს). ვადების თვალსაზრისით, სესხები შეიძლება იყოს მოთხოვნამდე (როდესაც კრედიტის დაფარვა უნდა მოხდეს კრედიტორის პირველივე მოთხოვნისთანავე), მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი; არსებობს აგრეთვე უვადო დაბანდებები ფასიან ქაღალდებში. სესხების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განასხვავებენ სესხების შემდეგ ნაირსახეობებს: თამასუქების დისკონტი (შესყიდვა) და სესხები თამასუქების ქვეშ; სესხები საქონლის ქვეშ (მ.შ. სამომხმარებლო დანიშნულების საქონლის ქვეშ); სესხები უძრავი ქონების ქვეშ; სესხები განსაზღვრული უზრუნველყოფის გარეშე (ე.წ. საბლანკო სესხები).

ბანკის საბალანსო ანგარიშგებაში მარცხენა მხარეს (კრედიტი) აჩვენებენ ბანკის აქტივს, რომელიც შეიცავს სალაროს ნაშთს (მონეტა და ქაღალდის ფული სეიფებში და სხვა საცავებში, ბანკის დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები, უძრავი ქონება და სხვა რეალური საკუთრება, რომელსაც ფლობს ბანკი). ბანკის აქტივებში შედის აგრეთვე მის მიერ გაცემული სესხები, რომლებიც, დათქმული ვალდებულებების შესაბამისად, დაბრუნებას ექვემდებარება.

ბანკის პასივი კი ბალანსის მარჯვენა მხარეს (დებეტი) აღირიცხება — ბანკისადმი წარდგენილი ფულადი მოთხოვნები (გარდა ბანკის მეპატრონეთა მოთხოვნებისა). პასივის მუხლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დეპოზიტებს (ანაბრებს).

თუ გარკვეული თარიღისათვის ბანკის ერთობლივი აქტივები ერთობლივ პასივებზე მეტია, ეს მისი მაღალი გადახდისუნარიანობის (ლიკვიდურობის, კრედიტუნარიანობის) მაჩვენებელია. აქტივებსა და პასივებს შორის დადებითი სხვაობა არის ბანკის კაპიტალის რეალური მოცულობა, რომელიც აქციების სახით წარმოჩინდება. ამ ნაშთს ბანკის საკუთარ კაპიტალს უწოდებენ. ბანკის პასივების და აქტივების ერთობლიობას საბანკო (ბანკის) პორტფელი ჰქვია, ხოლო პორტფელის მართვას — აქტივების და პასივების მართვა.

ბანკების პასიურ და აქტიურ ოპერაციებს შორის კავშირი რთული და თავისებურია. ერთი მხრივ, პასიური ოპერაციების მეშვეობით მოზიდული რესურსების ხარჯზე ბანკები სესხად გასცემენ ფულად კაპიტალს. მეორე მხრივ, თავად საბანკო სისტემას გააჩნია „ანაბრების შექმნის" მნიშვნელოვანი უნარი, როდესაც ბანკები „საკუთარ სესხებს" (ე.ი. სახსრებს, რომლებიც მათ სინამდვილეში არ გააჩნიათ) ჩაურიცხავენ კლიენტებს ანგარიშებზე. მათი ეს შესაძლებლობები იზღუდება იმის აუცილებლობით, რომ შენარჩუნებულ იქნეს ბანკების ლიკვიდურობა. ამას კი ბევრ ქვეყანაში აღწევენ იმით, რომ შესაბამისი ნორმატიული აქტებით კომერციულ ბანკებს ევალებათ შეინახონ ცენტრალურ ბანკებში გარკვეული (აუცილებელი) რეზერვები. ეს ე.წ. სარეზერვო მოთხოვნებია.

სარეზერვო მოთხოვნები ბანკის სახსრების ის აუცილებელი პროპორციაა (ის რეზერვია), რომელსაც ცენტრალური ბანკი უწესებს კომერციულ ბანკებს და რომელიც (სახსრების ნაწილი) მათი (კომერციული ბანკების) საკუთრებაში რჩება, მაგრამ ცენტრალური ბანკის გამგებლობაშია. ეს არის საკრედიტო ემისიის შეზღუდვა, რომელიც ნიშნავს, რომ ბანკს შეუძლია გასცეს კრედიტად მის ხელთ არსებული რესურსების მხოლოდ ნაწილი — აუცილებელი რეზერვის გამოკლებით.

სხვანაირად ამას ნაწილობრივი საბანკო რეზერვების სისტემა ეწოდება. ეს არის საბანკო სისტემის მდგრადობის (ლიკვიდურობის უზრუნველყოფის) და მის მიერ კლიენტების დაკრედიტების შესაძლებლობების გაფართოების საშუალება, რომელიც, როგორც აღინიშნა, ბანკების ფულადი სახსრების სპეციალურ ფონდებში ცენტრალიზაციას და მათი (ფონდების) ცენტრალური ბანკის განკარგულებაში არსებობას გულისხმობს.

რა არის ეს კონკრეტულად და რატომ კეთდება?

საქმე ისაა, რომ კომერციული ბანკები სესხად იმაზე მეტ თანხას გასცემენ (აქტიური ოპერაციები), ვიდრე მათ გააჩნიათ საკუთრებაში, და ამის საფუძველს ის იძლევა, რომ მოზიდული სახსრების (პასიური ოპერაციები) მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველთვის ნაშთად არსებობს ბანკში კლიენტების ანგარიშებზე. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი უპირობოდ ასრულებს კლიენტის მოთხოვნას მიმდინარე ანგარიშებიდან სახსრების გამოტანაზე, ამ ნაშთებს მეტად მყარი ხასიათი აქვს, ვინაიდან რეალურ ცხოვრებაში და ნორმალური ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში ისე არ ხდება, რომ ყველა კლიენტმა (ან მათმა უმეტესმა ნაწილმა) ერთდროულად გადაწყვიტოს ბანკიდან თავისი სახსრების (დანაზოგის) გატანა.

ეს ასეა, მაგრამ ისიც ხომ რეალობაა, რომ სახსრების გატანის სურვილი (მ.შ. განსაკუთრებით კონკრეტულ ვადებში და კონკრეტული ბანკიდან) მერყეობია, იცვლება; ამიტომ ბანკის ლიკვიდურობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია სპეციალური რეზერვის არსებობა. თუ ასეთ რეზერვს ყველა ბანკი დამოუკიდებლად შექმნის, ეს, ჯერ ერთი, მნიშვნელოვანი თანხის „გაყინვას" გამოიწვევს, გარდა ამისა, ბანკის მდგომარეობა რესურსების შედარებით შეზღუდულობის გამო მაინც მერყეევი იქნება; მეორე, კლიენტების მასობრივი სურვილი ნაღდ ფულად აქციონ ან, გნებავთ, უნაღდოდ გამოიყენონ ანგარიშებზე არსებული სახსრები (ანაბრები) ბანკის გაკოტრებას გამოიწვევს. ამიტომ კომერციული ბანკები მიხვდნენ, რომ ყველასათვის უფრო სასარგებლო იქნება, თუ ცენტრალიზებულად, ეროვნული ბანკის განკარგულებაში იმავე კომერციული ბანკების სახსრებიდან შეიქმნება **ერთიანი სარეზერვო სისტემა (ფონდები).**

სარეზერვო მოთხოვნებს აწესებენ პროცენტებში ფულის (პასივის) იმ საერთო მოცულობიდან, რაც მიღებული აქვს ბანკს დამფუძნებლებისაგან და მეანაბრეებისაგან (კლიენტებისაგან), აგრეთვე მონაგრებული აქვს თავისი საქმიანობისაგან და გამოიყენება დაკრედიტებისათვის.

სარეზერვო სისტემას ის დადებითი თვისება გააჩნია, რომ ის ხელს უწყობს ფულის მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსის შენარჩუნებას: ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ქვეყნის ყველა ბანკებში კლიენტებმა ერთდროულად გადაწყვიტონ იმაზე მეტი ფულის აღება (გამოყენება), ვიდრე ყველა ბანკს ერთად აქვს ცენტრალიზებულ რეზერვებში (ერთ ბანკში მოთხოვნა შეიძლება რეზერვზე მეტი იყოს, მაგრამ მეორეში ნაკლები იქნება). ცენტრალურ ბანკს კი (რომლის განკარგულებაშიც არის ეს რეზერვები) შეუძლია ფული (სახსრები) იქ გადაისროლოს, სადაც კრიტიკული სიტუაცია შეიქმნება. უნაღდო ანგარიშსწორების პრევალირებისას სიტუაციის ეს განმუხტვა კიდევ უფრო ადვილდება: აქ ფულის „გადასროლა“ მხოლოდ ბანკების სააღრიცხვო ჩანაწერების შეცვლაში გამოიხატება. სარეზერვო ნორმების გაზრდით და შემცირებით, როგორც უკვე ითქვა, სახელმწიფო ასტიმულებს ან ზღუდავს ბანკების აქტიურ საკრედიტო ოპერაციებს და ამით ზეგავლენას ახდენს ფულის მიმოქცევაზე, მთლიანად ეკონომიკის კონიუნქტურაზე (საქმიან აქტივობაზე).

თანამედროვე ბანკების ოპერაციებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ე.წ. ბალანსგარეშე ოპერაციებს; ესენი ბანკის არც აქტიური და არც პასიური ოპერაციებია, ამიტომ ბანკის საბალანსო ანგარიშგებაში არ პოულობენ ასახვას. ასეთი ოპერაციებია: საფინანსო და საბირჟო მომსახურება (აქციების პაკეტების მართვა, კონსულტაციები, საბიუჯეტო და საგადასახადო დაგეგმვა, ფირმების ერთმანეთთან გაერთიანებაში დახმარება და სხვ.); ე.წ. **სატრასტო**[1] შეთანხმება, ანუ ქონებისა და საფონდო ფასეულობათა მიმნდობი მართვა (ფირმასა და ბანკს შორის დადებული სატრასტო შეთანხმების შესაბამისად, ბანკი იღებს ვალდებულებას გონივრულად და პატრონისათვის მოგებიანად მართოს მისთვის მინდობილი სახსრები; ასეთი მომსახურებისთვის ბანკი იღებს გარკვეულ საზღაურს); ოპერაციები, რომლებშიც ბანკი გამოდის თავისი კლიენტის გარანტად; ბროკერული მომსახურების ანალოგიური ოპერაციები (ბანკები ყიდულობენ და ყიდიან თავიანთი კლიენტებისათვის ფასიან ქაღალდებს); ვადიანი გარიგებები და სხვა.

საინვესტიციო ბანკები (ინგლისში მათ ბანკირების სახლებს, ხოლო საფრანგეთში საქმიან ბანკებს უწოდებენ) ეწევიან უმეტესად საემისიო — სადამფუძნებლო ოპერაციებს, ყიდიან და ყიდულობენ ფასიან ქაღალდებს როგორც **საფონდო ბირჟებზე**[2], ისე მათ გარეთაც. კომერციული ბანკებისაგან ისინი იმით განსხვავდებიან, რომ ჩვეულებრივად არ იღებენ (ან თითქმის არ იღებენ) დეპოზიტებს, არ ანარმოებენ საანგარიშსწორებო ოპერაციებს და არ გასცემენ მოკლევადიან სესხებს.

შემნახველი ბანკები ჩვეულებრივ შემნახველ სალაროებზე უფრო ფართო წრის ოპერაციებს ეწევიან და ამით კომერციულ ბანკებს უახლოვდებიან.

სპეციალური ბანკების (**საიპოთეკო, კოოპერაციული** და სხვ.) ქსელი განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში განვითარდა.

საკუთრების ფორმიდან გამომდინარე, ბანკები შეიძლება შემდეგნაირად გავანაწილოთ: 1) **არასააქციო ბანკები** (ინდივიდუალური მესაკუთრეების ხელში არსებული ბანკები), 2) **აქციონერული (სააქციო) ბანკები**, 3) **კოოპერაციული ბანკები**, 4) **მუნიციპალური და კომუნალური ბანკები** (ის ბანკები, რომლებიც ადგილობრივი ორგანოების საკუთრებაში იმყოფება), 5) **სახელმწიფო ბანკები**, 6) **ერთობლივი ბანკები** (შერეული ბანკები სახელმწიფოს მონაწილეობით), 7) **სახელმწიფოთაშორისო ბანკები** (**მსოფლიო ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი** და სხვ.).

დიდი იყო **ბანკების ეკონომიკური როლი** დღიდან მათი წარმოშობისა, მაგრამ დროთა განმავლობაში ის კიდევ უფრო განმტკიცდა. დღევანდელი ეკონომიკა კი წარმოუდგენელია გაშლილი საბანკო სისტემის ფუნქციონირების გარეშე. ბანკები ხელს უწყობენ საწარმოო ძალების

---

[1] **ტრასტი** (*ინგლ.* Trust) — ნდობა, ხელშეკრულება მესაკუთრის მიერ ამა თუ იმ ქონების მართვაში თავისი უფლებების სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ.

[2] **საფონდო ბირჟა** — დანესებულება, სადაც ხდება ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა. აქ ანარმოებენ სამამულო და უცხოური ფასიანი ქაღალდების კოტირებას — მათი საბირჟო ფასების, კურსის დადგენას, რომლის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენას ახდენს დივიდენდისა და პროცენტის ოდენობა, აგრეთვე ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნა-მიწოდების მდგომარეობა.

განვითარებას, წარმოების გაფართოებას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას. ბანკების როლი თანამედროვე ეკონომიკაში პირველ რიგში იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, შეეწევნონ ფულადი კაპიტალის დაგროვებას მეურნეობრიობის იმ სფეროებში, სადაც ამის საშუალება და აუცილებლობა არსებობს, და, მეორე მხრივ, უზრუნველყონ ამ კაპიტალის იმ სფეროებში გადაადგილება, სადაც მასზე მოთხოვნილება არსებობს და სადაც ის გამოიყენება. მაშასადამე, ბანკების წყალობით სახალხო მეურნეობაში მოქმედებს კაპიტალის ერთი სფეროდან მეორეში გადაადგილების, სხვადასხვა დარგებისა და რეგიონების განვითარების დაჩქარების უზრუნველმყოფი მექანიზმი.

სერიოზული მნიშვნელობა აქვს ბანკების საქმიანობას მიმოქცევის ხარჯების შემცირების და საქონლისა და კაპიტალის მოძრაობის მთელი პროცესის რაციონალიზაციაში. ეს მიიღწევა მიმოქცევიდან ლითონის ფულის ბანკნოტებით განდევნით, ნაღდი ანგარიშსწორების შემცირებით და უნაღდო ანგარიშსწორების გაფართოებით, მთლიანად ანგარიშსწორების პროცესის გამარტივება-დაჩქარებით.

დიდი ისტორიული როლი შეასრულეს ბანკებმა თანამედროვე მეწარმეობრივი სტრუქტურების — სააქციო საზოგადოებების (კორპორაციების) შექმნაში; ისინი დღესაც ხელს უწყობენ მათი საქმიანობის გაფართოება-სრულყოფას. ხელსაყრელი სამეურნეო კონიუნქტურის პირობებში ფირმები დაუბრკოლებლად ღებულობენ ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიებისაგან მნიშვნელოვან სესხებს. ამ სესხების რესურსებად, ისევ ბანკების საქმიანობის წყალობით, დღევანდელ ეკონომიკაში ფართოდ გამოიყენება არა მარტო მსხვილი მესაკუთრეების თავისუფალი კაპიტალი, არამედ საზოგადოების სხვადასხვა ფენების დანაზოგები და უფრო გვიან დასახარჯად გადადებული სახსრები.

მნიშვნელოვანია ბანკების როლი სახელმწიფოებრივი ანტიკრიზისული პოლიტიკის (ეკონომიკის ციკლური განვითარების მოსწორება-შერბილების პოლიტიკის) გატარებაში. **ცენტრალური ბანკების ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საბანკო ოპერაციებზე, სასესხო კაპიტალის ბაზარზე და ფულის მიმოქცევაზე უშუალო ზემოქმედებით უზრუნველყოფილ იქნეს საბოლოო ჯამში წარმოებაზე, დასაქმებაზე, ფასების დონეზე და საგადასახდელო ბალანსზე სასურველი ზემოქმედება.** ასეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად იარაღად კი, როგორც აღინიშნა, გამოიყენება: ცენტრალური ბანკის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები; ოპერაციები ღია ბაზარზე; მინიმალური სარეზერვო ნორმების დაწესება და მათი ცვლილებები. გარდა ამისა, ზოგჯერ მიმართავენ კონტროლის უფრო პირდაპირ და მკაცრ ზომებს (ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების მსხვილი სესხების კონტროლი, სამომხმარებლო კრედიტის პირობების რეგულირება და სხვ.).

დამატებითი კითხვის მასალა

მილტონ ფრიდმენი

მილტონ ფრიდმენი (1912 – 2006 წ.წ.), ჩიკაგოს სკოლის უდავო ლიდერი. დაიბადა იმიგრანტების ღარიბ ოჯახში. ახალგაზრდობიდანვე გამოამჟღავნა ბრწყინვალე ნიჭირება, თავიდან მათემატიკაში. რუტგერის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მეცნიერულ საქმიანობას მოჰკიდა ხელი. კოლუმბიის უნივერსიტეტში 1946 წელს მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი, შემდეგ გადავიდა ჩიკაგოს სკოლაში. ფრიდმენს სახელი პირველად მოუტანა წიგნმა „პოზიტიური ეკონომიკის ნარკვევები", რომელიც 40 წლის ასაკში გამოაქვეყნა, ხოლო ნამდვილი აღიარება — წიგნმა „გამოკვლევები ფულის რაოდენობრივი თეორიის დარგში". 1967 წელს მ. ფრიდმენი ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს, 1976 წელს მას ნობელის პრემია მიენიჭა.

*ფრიდმენის მოძღვრების მთავარი თეზა იმაში მდგომარეობს, რომ **საბაზრო ეკონომიკა საუკეთესოდ სწორედ მაშინ ფუნქციონირებს, როდესაც მას თავს დაანებებენ** (როდესაც მის მართვას არ ცდილობენ). ფრიდმენის აზრით, 30-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიზეზი ეკონომიკის თვითრეგულირების შეზღუდულობაში კი არ ძევს, არამედ, პირიქით, მის ფუნქციონირებაში უმართებულო ჩარევის (მ.შ. ფულის ცუდი პოლიტიკის) შედეგია. ის თვლიდა, რომ ეკონომიკური პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს ფულის მასის შეზღუდვა-სტაბილიზაციისაკენ. ბანკებისა და ხელისუფლების ერთადერთი ამოცანა (და ესაა სწორი ეკონომიკური პოლიტიკა) იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკაში ფულის ზრდა შრომის ნაყოფიერების ზრდის შესაბამისად ხდებოდეს. თუ ხელისუფლება (და ბანკები) ამას უზრუნველყოფენ, მაშინ თავისუფალი ბაზარი (რომელიც სხვა არაფერმა არ უნდა შეაკავოს) თვითონ დაარეგულირებს ეკონომიკაში ყველა დანარჩენ პროპორციებს და უზრუნველყოფილი იქნება მისი ნორმალური განვითარება.*

მილტონ ფრიდმენი „ადამიანური კაპიტალის" კონცეფციის დამუშავების პიონერია, მისი ძირითადი შრომებია (ზემოდასახელებულებთან ერთად) „დაბეგვრა ინფლაციის თავიდან აცილებისათვის" (1943 წ.), „სამომხმარებლო ფუნქციის თეორია" (1957 წ.), „ფასის თეორია" (1962 წ.), „ინფლაციის მიზეზები და შედეგები" (1963 წ.).

მ. ფრიდმენი ითვლება ჩილეში პინოჩეტის სამხედრო ხუნტის დიქტატურის პერიოდის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ავტორად, რომლის გატარების შედეგი აღიარებულია როგორც „ეკონომიკური სასწაული".

ჩიკაგოს სკოლის თეორიის მომხრეები ბოლომდე იცავენ კვლავწარმოების ციკლების მონეტარისტული თეორიის თანამედროვე ვარიანტს, რომლის შესაბამისად კვლავწარმოების ციკლური ხასიათი დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, მიმოქცევაში ფულის რაოდენობის ცვლილებებთან. ასე მაგალითად, ფრიდმენისა და შვარცის ნაშრომში („შეერთებული შტატების ფულადი ისტორია 1867-1960 წლებში") თითქმის ასი წლის განმავლობაში აშშ-ის ეკონომიკაში მომხდარი წარმოების შემცირების (კრიზისების) ფაქტები ახსნილია ცენტრალური ბანკის და ხაზინის წინდაუხედავი პოლიტიკის შედეგად მიმოქცევაში ფულის რაოდენობის შემცირებით.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური მონაცემების ანალიზისას ავტორები წააწყდნენ ისეთ მოვლენებს, როდესაც მიმოქცევაში ფულის რაოდენობის და ერთობლივი ეროვნული პროდუქტის დინამიკა ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგრამ ეს მათ ახსნეს არა მათ შორის ურთიერთკავშირის სისუსტით და არაპირდაპირობით, არამედ იმით, რომ ამ მოვლენებს შორის არსებობს ხანგრძლივი და წინასწარ განუჭვრეტელი ლაგები (ე.ი. დაგვიანება, დახანება). ფრიდმენის გაანგარიშებით, ასეთი ლაგები ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებისას შეადგენს:

- *წარმოების ციკლური შემცირების (ტემპის დაცემის) პირობებში 5-21 თვეს;*
- *წარმოების ზრდის პირობებში 13-24 თვეს.*

ასე რომ, ჩიკაგოს სკოლის თეორიის მიმდევრების აზრით, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, „კორექტირების" იარაღის მაგივრად, ხშირად დესტაბილიზაციის ფაქტორად გადაიქცევა. ამიტომ ისინი წინააღმდეგი არიან ეკონომიკის რეგულირების კეინსისა და სხვების მიერ შემოთავაზებული ღონისძიებებისა.

რაც შეეხება მიმოქცევაში ფულის მასის ცვლილებას (რასაც მონეტარისტები კონიუნქტურის ცვლილების მთავარ ფაქტორად თვლიან), ისინი გვთავაზობენ ფულის ემისიის განსაკუთრებულ პროცედურას — ფულადი მასის ზრდის მუდმივი (უცვლელი) ტემპების წესს. ფრიდმენი თვლიდა, რომ ფულის რაოდენობა მიმოქცევაში უნდა გაიზარდოს თანაზომიერად და განუწყვეტლივ ისეთი ტემპით, რომელიც 1-2 პროცენტული პუნქტით მეტი იქნება შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპისა. მონეტარისტების აზრით, მიმოქცევაში ფულის რაოდენობის თანაზომიერი ზრდა უზრუნველყოფს ეკონომიკის სტაბილურობას და აგვაცილებს წარმოების ციკლურ რყევას.

თავისუფალი მეწარმეობრივი პრინციპის აბსოლუტიზაციიდან გამომდინარე, ფრიდმენი და მონეტარიზმის სხვა მიმდევრები პრინციპულად წინააღმდეგი არიან ბიუჯეტის ხარჯზე თითქმის ყოველგვარი სოციალური ღონისძიების გატარებისა (მ.შ. უმუშევრობის შემცირების თაობაზე), ვინაიდან ეს გამოიწვევსო ინფლაციას და, შესაბამისად, ეკონომიკის განვითრებაში დესტაბილურობას.

კითხვები და სასწავლო დავალებები

1. როგორ ფიქრობთ, რატომ ამბობენ ხშირად, რომ ფული დღესაც მნიშვნელოვანწილად საიდუმლოებით მოცული საქონელია?
2. რა განაპირობებს, თქვენი აზრით, ფულის ღირებულებას (ფასეულობას)?
3. ფული მიმოქცევის საყოველთაო და მოხერხებული საშუალებაა. მაშინ რატომ არის, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ბარტერული გარიგებები?
4. დაასახელეთ, ბარტერული გარიგებების რა შემთხვევები გქონდათ ცხოვრებაში და რით ხელმძღვანელობდით მაშინ?
5. როგორ განასხვავებთ ფულის ფუნქციებს ერთმანეთისაგან?
6. როგორ მიგაჩნიათ, რა მიზეზები განაპირობებდა ინფლაციას საქართველოში 1991-1994 წლებში?
7. როგორ ფიქრობთ, მოქმედებს თუ არა ინფლაცია (და, თუ მოქმედებს, როგორ):
   - ფულის მიმოქცევის საშუალებად გამოყენებაზე?
   - ფულზე როგორც ღირებულების საზომზე?
   - ფულზე როგორც დაგროვების (დაზოგვის) საშუალებაზე?
8. როგორ დაახასიათებთ ფულის მიწოდების (ფულის მოცულობის გაზომვის) ელემენტებს?
9. მოიფიქრეთ და გააანალიზეთ (კონკრეტული რიცხვების მოშველიებით) ი. ფიშერის გაცვლის განტოლების ელემენტების ცვლილებების შედეგები.
10. დიდი ბრიტანეთის ფულის ერთეულს ფუნტი სტერლინგი ეწოდება, ამავდროულად ინგლისში ფუნტი წონის საზომია. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ამ ორ ტერმინს შორის რამე საერთო?
11. ვინ იგებს და ვინ აგებს, თქვენი აზრით:
    - ინფლაციის დროს?
    - დეფლაციის დროს?
12. როგორ ფიქრობთ, რატომ აწყობს ქვეყანას ზოგჯერ, რომ ფულს რეალურად (ბაზარზე) მეტი ღირებულება ჰქონდეს, ვიდრე მას ოფიციალურად აქვს მინიჭებული, და რატომ ცდილობენ ასეთ შემთხვევაში სხვა სახელმწიფოები, რომ ქვეყანამ მოახდინოს თავისი ფულის რევალვაცია?
13. რა განსხვავებას ხედავთ კეინსელების და მონეტარისტების ფულის პოლიტიკაში?
14. თქვენი აზრით, რაში გამოიხატება აქტივების (ასევე ბანკების) ლიკვიდურობა?
15. სიღარიბესა და სიმდიდრეს ხშირად საკუთრებაში ფულის მოცულობას უკავშირებენ. დღეს საქართველოში მოსახლეობა ძირითადში ღარიბად ცხოვრობს. როგორ ფიქრობთ, რა მოხდება, თუ ქვეყნის მთავრობა სიღარიბესთან ბრძოლის მიზნით დაბეჭდავს მეტ ფულს და ხელგაშლილად გაანაწილებს მას ღარიბ მოსახლეობაში?
16. ბერნარდ შოუ წერდა: „ფული — ეს მხოლოდ ცოტა ქაღალდი ან ლითონია, რომლებიც მის მფლობელს მრავალ (სხვადასხვა) საქონელზე აძლევს კანონიერ უფლებას. ჩვენ არ შეგვიძლია შევჭამოთ, შევსვათ ან ჩავიცვათ ფული. მაგრამ ფულზე საქონლის შეძენა შეიძლება.“
    როგორ და რატომ ხდება ეს ასე, თქვენი აზრით?
17. ამბობენ, რომ „ფული არის ის, რაც საზოგადოებამ ფულად გამოაცხადა“.
    გაუკეთეთ კომენტარი ამ მოსაზრებას.

18. როგორ ფიქრობთ, რა თანაფარდობაში უნდა იყოს ერთმანეთთან ინფლაციის გამო ფულის გაუფასურების ტემპი და პროცენტი, რომელსაც უხდის ბანკი მეანაბრეებს?
19. რატომ არის, თქვენი აზრით, რომ მაღალი ინფლაციის დროს ბანკები ცდილობენ გასცენ სესხები ძალზე მოკლე ვადით?
20. ამბობენ, რომ „ბუნებამ ცოტა ოქრო შექმნა, მაგრამ იშვიათობად ადამიანებმა აქციესო".

    გაუკეთეთ კომენტარი ამ მოსაზრებას.
21. როგორ გესმით ბანკების ეკონომიკური როლი? რაში ხედავთ მათ ფუნქციებს?
22. რა არის ბანკების აქტიური და პასიური ოპერაციები? რა საშუალებას მიმართავენ ბანკები რესურსების მოსაზიდად?
23. არსებობს ასეთი მოსაზრება: „სასესხო პროცენტი — ეს ფულის გამოყენების საფასურია, ამ გამოყენების ფასია. მაგრამ ფული ეკონომიკური რესურსი არ არის". როგორ შეათანხმებთ ერთმანეთს ამ ორ მტკიცებას?
24. როგორ ფიქრობთ, რატომ არის აუცილებელი (და სასარგებლო) საბანკო რეზერვების შექმნა?
25. აი, რას წერდა ვაჟა-ფშაველა 1910 წელს: „ხევსურეთში ფული არ იშოვება, ფულად იანგარიშება ყველაფერი: ხალიჩა, ფარდაგი, სპილენძის ქვაბები, იარაღი, თვით ოთხფეხი საქონელი და სხვ."

რა კომენტარს გაუკეთებთ ამ ციტატას (რატომ იყო ასე)?

26. ჯ.მ. კეინსი წერდა: „ამბობენ, ლენინს მიაჩნდაო, რომ ფულის მიმოქცევის სისტემის მოშლა არის კაპიტალისტური წყობის მოსპობის საუკეთესო საშუალება.[1] ლენინი უეჭველად მართალი იყო. არსებული საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლების დამხობის ყველაზე ნაღდი და ქმედითი საშუალება სწორედ ფულადი სისტემის შერყევაა. ეს პროცესი აღვიძებს ყველა დამანგრეველ ძალას, რომელიც დამალულია ეკონომიკურ კანონებში, ხოლო თუ ავადმყოფობა ასე მიმდინარეობს, სწორ დიაგნოზს მილიონებიდან ვერც ერთი ადამიანი ვერ დასვამს".

    რა კომენტარს გაუკეთებთ ამ მოსაზრებას?
27. უილიამ მაკ ჩესნი მარტინი (ამერიკელი ეკონომისტი) წერდა: „ფედერალური სარეზერვო სისტემის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სასმელი ზუსტად იმ მომენტში გადამალოს, როდესაც წვეულება თავის პიკს აღწევს".

    გაუკეთეთ კომენტარი ამ სახუმარო მოსაზრებას.
28. როგორ ფიქრობთ, მეურნეობაში, სადაც ყველა გარიგება ნატურალური გაცვლით ხდება, შესაძლებელია თუ არა ინფლაცია (ფასების საერთო ზრდა)?
29. რაში მდგომარეობს, თქვენი აზრით, ბანკების ფუნქციები ეკონომიკაში?
30. დაახასიათეთ კომერციული ბანკების პასიური და აქტიური ოპერაციები.
31. რაშია, თქვენი აზრით, ცენტრალური ბანკის როლი ქვეყნის ეკონომიკაში?
32. როგორ გესმით ბანკის მაღალი კრედიტუნარიანობა, ლიკვიდურობა?
33. დაასაბუთეთ ცენტრალურ ბანკში ე.წ. სარეზერვო მოთხოვნების (ფონდის) არსებობის სარგებლიანობა (აუცილებლობა).

[1] ვ. ლენინის ნაშრომებში ასეთი მოსაზრება არ გვხვდება.

სავარჯიშო ტესტები

შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი

1. **ფულის ღირებულებას:**
   1) მისი ოქროს შედგენილობა განაპირობებს;
   2) სახელმწიფო აწესებს (განსაზღვრავს);
   3) ის განაპირობებს, თუ რამდენი შრომაა დახარჯული მისი გამოშვებისათვის;
   4) სამივე პასუხი არასწორია.

2. **ეროვნულ ფულზე მოთხოვნას განაპირობებს:**
   1) ფასების დონე ეკონომიკაში;
   2) ეროვნული ბანკის მუშაკების პროფესიონალიზმი;
   3) ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსივობა;
   4) მიმოქცევაში ფულის ბრუნვის სიჩქარე.

3. **ეროვნულ ფულზე მოთხოვნის განმაპირობებელი ფაქტორებია:**
   1) სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შედეგიანობა;
   2) ეროვნული ბანკის სავალუტო და ოქროს რეზერვები;
   3) ეროვნული ბანკის პროფესიონალიზმი მონეტარული პოლიტიკის გატარებაში;
   4) ქვეყანაში მთლიანი შინა პროდუქტის მოცულობა.

4. **მიმოქცევაში ფულის მოცულობის რეგულირების ღონისძიებებია:**
   1) ოპერაციები ცენტრალური ბანკის სავალუტო და ოქროს რეზერვებით;
   2) ოპერაციები ღია ბაზარზე;
   3) ცენტრალური ბანკის საპროცენტო პოლიტიკა;
   4) ცენტრალურ ბანკში კომერციული ბანკების აუცილებელი რეზრვების ნორმის ცვლილებები.

5. **სენიორაჟი არის:**
   1) სხვაობა ეროვნული ვალუტის ყიდვის და გაყიდვის ფასებს შორის;
   2) სხვაობა ცენტრალური ბანკის შემოსავალსა და ხარჯებს შორის;
   3) სახელმწიფოს მიერ მიმოქცევაში ფულის გამოშვების შედეგად მიღებულ შემოსავალსა და ამაზე გაწეულ ხარჯებს შორის;
   4) სხვაობა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალსა და ხარჯებს შორის.

6. **ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციის დროს მოგებაში რჩებიან:**
   1) სესხის გამცემი სუბიექტები (კრედიტორები);
   2) სესხის ამღები სუბიექტები (დებიტორები);
   3) უცხოური ინვესტორები;
   4) სახელმწიფო.

7. **ინფლაციის მიზეზებია:**
   1) ქვეყანაში პროფესიული კავშირების სისუსტე;
   2) სახელმწიფოს მონოპოლია ფულის ემისიაზე;
   3) სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ფასების ყოველგვარ კონტროლზე უარის თქმა;
   4) სახელმწიფოს მონოპოლია არასაწარმოო (სამხედრო) ხარჯებზე.

8. ბანკის (საბანკო სისტემის) ფუნქციებია:

1) ეკონომიკისათვის შესაძლო კრიზისის აცილება;
2) ფინანსური სახსრების აკუმულაცია;
3) სამეურნეო (კომერციული) სუბიექტების დაკრედიტება;
4) ფულადი ანგარიშსწორების წარმოება.

9. საბანკო კრედიტის მახასიათებლებია:

1) დაბრუნებადობა;
2) კლიენტის (მსესხებლის) რისკებისაგან დაცვა;
3) ანაზღაურება;
4) ვადიანობა.

მაკროეკონომიკური წონასწორობა და ეკონომიკური პოლიტიკა (კეინსის მოდელი)



თავი 1. მაკროეკონომიკური წონასწორობა როგორც ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების იგივეობა (ტოლობა)

სახელმძღვანელოს მიკროეკონომიკის ნაწილში ჩვენ ვისაუბრეთ იმის თაობაზე, თუ როგორ აწონასწორებს ბაზარზე ერთმანეთს საქონელ-მომსახურებაზე მოთხოვნა და მიწოდება და, შესაბამისად, როგორ ყალიბდება საბაზრო წონასწორობა. მაგრამ ეს იყო მსჯელობა წონასწორობის ცალკეულ, ლოკალურ ბაზრებზე დამყარების თაობაზე; ანალოგიური საუბარი გავმართეთ წარმოების ფაქტორების სპეციფიკურ ბაზრებზე წონასწორობის დამყარების საკითხებზეც. წინამდებარე თემაში კი ვისაუბრებთ საერთო წონასწორობაზე, ე.ი. მთელი ეკონომიკის ყველა ბაზრის დაბალანსებულ, „შეთანხმებულ“ ფუნქციონირებაზე.

ამისათვის კი საჭიროა ჩვენ მიერ ადრე განხილული მოთხოვნის და მიწოდების მოდელი, რომელიც ცალკეულ საქონელთა ბაზრებისთვის იყო განკუთვნილი, ავიყვანოთ (გავაფართოოთ) მაკროეკონომიკურ დონეზე. ამასთან, თუ ცალკეული ბაზრების ანალიზისას ვიყენებდით ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა ამა თუ იმ საქონლის ფასი და მოცულობა, და ერთმანეთს ვადარებდით ბაზარზე ამ საქონელზე წარმოქმნილ მოთხოვნას და მის მიწოდებას, ბაზრის მაკროდონეზე ანალიზისათვის უნდა გამოვიყენოთ აგრეგირებული საერთო მაჩვენებლები: საქონელ-მომსახურების მთლიანი (ერთობლივი) გამოშვება (მშპ) და ერთობლივი ფასი (ანუ ერთობლივი საქონელ-მომსახურების ფასების საშუალო დონის მაჩვენებელი), ერთმანეთს უნდა შევადაროთ ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება.

ერთობლივი მოთხოვნა (AD — ინგლ. Agregate demand) არის საქონელ-მომსახურების ის მოცულობა, რომლის შეძენას აპირებენ მომხმარებლები (მოსახლეობა, ფირმები, სახელმწიფო) ფასების ყოველი გარკვეული საერთო დონის პირობებში.

ერთობლივი მიწოდება (AS — ინგლ. Agregate supply) არის საქონელ-მომსახურების მთელი მოცულობა, რომელსაც აწარმოებს ქვეყნის ეკონომიკა (რომელიც შეიძლება მიწოდებულ იქნეს ბაზარზე), ანუ წარმოების რეალური მოცულობა ფასების ყოველი შესაძლო (ამა თუ იმ) დონის პირობებში.

ცალკეულ საქონელზე მოთხოვნისა და მიწოდების მოდელის ანალოგიურად:

- ერთობლივი მოთხოვნის მრუდი ასახავს უკუ (ანუ უარყოფით) ფასობრივ კავშირს, ე.ი. ისეთ კავშირს, როდესაც უფრო მაღალი ფასების დონეს ნაკლები ერთობლივი მოთხოვნა შეესაბამება;
- ერთობლივი მიწოდების მრუდი კი ასახავს პირდაპირ (დადებით) ფასობრივ კავშირს — მაღალი ფასების პირობებში მეტია წარმოება და მიწოდება.

ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების მრუდებზე იგივე მიზეზები მოქმედებს, რაც ცალკეული საქონლის (მომსახურების) მოთხოვნა-მიწოდების მრუდებზე, მაგრამ არა მარტო ისინი. მომხმარებელთა შემოსავლის (მყიდველობითუნარიანობის) და (ზოგჯერ) ლოდინის გარდა, ერთობლივ მოთხოვნაზე მოქმედებს ისეთი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ინვესტიციურ ხარჯებზე; ეს არის სადისკონტო განაკვეთი (პროცენტი), გადასახადი და სხვ.;

ერთობლივ მიწოდებაზე მოქმედი ფაქტორები ასე თუ ისე[1] დაკავშირებულია წარმოების დანახარჯებთან (შინა რესურსების არსებობა და მათზე ფასების ცვლილება, წარმოების მონოპოლიზაცია, ფასები იმპორტულ რესურსებზე, შრომის ნაყოფიერების ცვლილებები და სხვ.).

ეკონომიკაში საერთო წონასწორობის საკითხი პირველად დაამუშავა ცნობილმა შვეიცარიელმა ეკონომისტმა **ლეონ ვალრასმა (1834-1910)**, დაისახა რა თავისი მოდელის შექმნისას ამოცანა გამოეყვანა ბევრი ბაზრის პირობებში ფასების სისტემის მოქმედების საერთო კანონები. ლ. ვალრასის განმარტებით, საერთო წონასწორობა არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც:

- მომსახურების ბაზარზე ხდება საწარმოო მომსახურებაზე ეფექტიანი მიწოდებისა და ეფექტიანი მოთხოვნის გაწონასწორება;
- სურსათის ბაზარზე ხდება სურსათზე ეფექტიანი მიწოდებისა და ეფექტიანი მოთხოვნის გაწონასწორება;
- სარეალიზაციო ფასი ტოლია წარმოების დანახარჯებისა, რომლებიც საწარმოო მომსახურებაში გამოიხატება.

ლ. ვალრასის მოდელს სრულყოფილი კონკურენციის არსებობა ჰქონდა პირობად, როდესაც არც ერთ მწარმოებელს (გამყიდველს) და არც ერთ მომხმარებელს (მყიდველს) არ ძალუძს მოახდინოს პირდაპირი ზემოქმედება ბაზარზე.

შემდგომმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა გაამდიდრა ლ. ვალრასის ეს ფუძემდებლური მოსაზრება, მ.შ. ისეთი პრინციპული დებულებით, რომ ეკონომიკურ თეორიას აბსოლუტურად სტაბილურ წონასწორობასთან კი არა აქვს საქმე, არამედ აქეთკენ მიმართულ ამ ტენდენციის მქონე მის პერმანენტულ დარღვევა-მოშლასთან (ამიტომ საერთო წონასწორობას ხატოვნად „წონასწორობა-უწონასწორობას“ უწოდებენ). აქედან კი სამი მნიშვნელოვანი **დასკვნა** გამომდინარეობს:

- *ჯერ ერთი, წონასწორობა უნდა განვიხილოთ, როგორც აბსტრაქტული, იდეალური მოდელი. მისი აბსოლუტური ხასიათი არც არსებობდა და არც შეიძლება არსებობდეს, მაგრამ გამოკვლევები ამით უნდა დავიწყოთ (ამის თეორიული არსებობის დაშვება უნდა გავაკეთოთ);*
- *მეორე, წონასწორობა დინამიკურ-ოპტიმალური უწონასწორობაა, რომელიც (ეს უკანასკნელი) იმანენტურად ახასიათებს საბაზრო ეკონომიკას და პოზიტიურ როლს ასრულებს მის ფუნქციონირება-განვითარებაში;*
- *დაბოლოს (მესამე), წონასწორობა, როგორც მუდმივი უწონასწორობა, თუ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანია, ნეგატიურ, დამანგრეველ როლსაც თამაშობს, აძალებს რა ეკონომიკურ სუბიექტებს იმოქმედონ როგორც მათი სიღრმისეული მისწრაფებების, ისე მთლიანად საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ.*

მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე საუბრის დროს კიდევ ერთ სერიოზულ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. საქმე ისაა, რომ ცალკეულ ბაზრებთან დამოკიდებულებაში წარმოჩინდება საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად ეფექტიანად ნაწილდება და გამოიყენება კონკრეტული რესურსები ამა თუ იმ კონკრეტული მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის; მაკროდონის ბაზრისათვის კი ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები:

- **რამდენად სრულად (მთლიანად) გამოიყენება ერთობლივი რესურსები?**
- **შრომითი რესურსების დასაქმების და საწარმოო პოტენციალის დატვირთვის რა დონეს შეესაბამება წარმოების მოცულობის არსებული (წონასწორობის) დონე?**

კლასიკური მაკროეკონომიკური მოდელის საფუძველია კონცეფცია (ეს უნდა გავიმეოროთ) იმის თაობაზე, რომ: **ერთობლივი მიწოდება (სიკეთეთა წარმოების მოცულობის ზრდა) თავის ტოლდიდ მოთხოვნას განაპირობებს, ვინაიდან წარმოების ზრდა მომხმარებელთა შემოსავლის ანალოგიური მატებაა (ეროვნულ ანგარიშთა სისტემაც მიგვანიშნებს, რომ ეროვნული პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი ერთმანეთის ტოლია); ერთობლივ მოთხოვნასა (ხარჯებსა) და ერთობლივ მიწოდებას შორის წონასწორობა ავტომატურად მყარდება, თუ საზოგადოება მთლიანად ხარჯავს ეროვნულ შემოსავალს (ამას კი, და მთლიანად მაკროეკონომიკური წონასწო-**

[1] ამ ფაქტორების მოქმედებაზე ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არის

რობის დამყარებას, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმები განაპირობებს).

როგორია ამ მექანიზმების მოქმედება?

ამის სამი ასპექტი (პრინციპი) შეიძლება დავასახელოთ.

1. მაკროეკონომიკური წონასწორობის დამყარების (არსებობის) აუცილებელი პირობაა, როგორც ითქვა, რომ შექმნილი ეროვნული შემოსავალი მთლიანად იმავე პერიოდში იქნეს დახარჯული. ამ დანახარჯებში კი იგულისხმება **მოხმარება და დანაზოგი,** თუ ეს უკანასკნელი მთლიანად იქნა გამოყენებული ინვესტიციებზე. ე.ი. **დანაზოგის მოცულობის ინვესტიციებთან ტოლობა მაკროეკონომიკური წონასწორობის აუცილებელი პირობაა;** ამას კი, იმავე კლასიკოსების აზრით, ფულის ბაზრის მექანიზმი უზრუნველყოფს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებით: ის მანამდე იცვლება, სანამ მთელი დანაზოგი არ იქნება მიმართული ინვესტიციებზე.
2. კლასიკური მოდელის შესაბამისად, ფასების ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს წონასწორობას ეკონომიკაში, ავტომატურად და უცილობლივ მოქმედებს არა მარტო სასაქონლო და სასესხო ბაზრებზე, არამედ რესურსების ბაზრებზეც, მ.შ. შრომის ბაზარზეც. დაბალი კონიუნქტურის პირობებში საქონელზე ფასების შემცირება გამოიწვევს ხელფასის შემცირებას ან შრომაზე მოთხოვნის კლებას (უმუშევრობას), თუკი შრომის ანაზღაურება ჩვეულებრივ (ადრინდელ) დონეზე რჩება (ე.ი. ხელფასი იმაზე მაღალია, ვიდრე ეს ჩამოყალიბდებოდა ბაზარზე შრომის მიწოდებისა და შრომაზე მოთხოვნის თავისუფალი კონკურენციის საწყისებზე). ეს იმას ნიშნავს, რომ **უმუშევრობა ბაზარზე შრომის მიწოდების გადამეტების მაჩვენებელია და მას მაღალი ხელფასის არსებობა განაპირობებს. სამუშაოს ყველა მიმცემს არ ძალუძს გადაუხადოს დაქირავებულ მუშაკებს ასეთი ხელფასები, ისინი უარს ამბობენ მუშების ასეთ პირობებში დაქირავებაზე და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ იქმნება უმუშევრობა:** შრომის მიწოდება მასზე არსებულ მოთხოვნაზე მეტია.

   ამ შემთხვევაში მუშაკები უმუშევრობის შიშით იძულებული ხდებიან დათანხმდნენ ნაკლებ ანაზღაურებაზე; ე.ი. შრომის მიწოდების გადამეტება იწვევს მასზე ფასის (ანაზღაურების) დაცემას, ეს კი, თავის მხრივ — მისი მიწოდების შემცირებას და მასზე მოთხოვნის მატებას. ხელფასის განაკვეთის შემცირება კი მანამდე გაგრძელდება, სანამ მეწარმეებისათვის სასარგებლო (მოგებიანი) არ გახდება მთელი სამუშაო ძალის დაქირავება, სანამ შრომის ბაზარზე წონასწორობა არ აღდგება. მაშასადამე, საბაზრო მექანიზმები შრომის ბაზარზე წონასწორობის დამყარების მიმართულებით მოქმედებს, ე.ი. ავტომატურად უზრუნველყოფს მთლიან დასაქმებას.
3. დაბოლოს, კიდევ ერთი ასპექტი კლასიკოსების პოზიციიდან საბაზრო მექანიზმის მოქმედებისა მაკროეკონომიკური წონასწორობის დამყარების თვალსაზრისით — ეს არის ეკონომიკაზე ფულის ზემოქმედების ანალიზი. ვინაიდან მოთხოვნის საერთო დონე ფულად გამოხატულებაში იგივე მიმართულებით იცვლება, როგორც მიმოქცევაში ფულის მოცულობა, **ერთობლივი მიწოდების განსაზღვრულ (მოცემულ) დონეზე მაღლა მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გაზრდა ერთობლივი მოთხოვნის მომატებას (ინფლაციას) გამოიწვევს;** ეს კი იმას ნიშნავს, რომ სისტემაში წონასწორობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია ფულის მიწოდებაზე კონტროლი; ეს არის ფასების და ერთობლივი მოთხოვნის სტაბილურობის საფუძველი.

საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ავტომატური თვითრეგულირების ზემოჩამოთვლილი პრინციპებიდან გამომდინარეობდა კლასიკოსების კონცეფციური დასკვნა ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ნეიტრალობის აუცილებლობა — სარგებლიანობის თაობაზე, რომლის შესაბამისად ხელისუფლება უნდა ეცადოს მინიმუმამდე დაიყვანოს საკუთარი საქმიანობა ეკონომიკის მიმართ და მისი ნეგატიური შედეგები.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე პოლიტეკონომიაში (ეკონომიკურ თეორიაში) გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ ეკონომიკა თავისუფალი

ფასწარმოქმნის და კონკურენციის საფუძველზე ავტომატურად მიისწრაფვის წონასწორობისაკენ (ე.ი. ისეთი მდგომარეობისაკენ, როდესაც ერთობლივი მოთხოვნა ერთობლივი მიწოდების ტოლია) და აღწევს მას. ამ მოსაზრების შესაბამისად ეკონომიკის განვითარებაში ხანგრძლივი კრიზისები და მაღალი უმუშევრობა არ უნდა მოხდეს. ეს დებულება დღესაც არ არის უარყოფილი, ეკონომიკურ თეორიას კვლავინდებურად მიაჩნია, რომ საბაზრო ეკონომიკა მიილტვის მაკროეკონომიკური წონასწორობისაკენ და მის ამ შინაგან (იმანენტურ) მისწრაფებას მოთხოვნის და მიწოდების კანონზომიერებებზე და შეუზღუდავი კონკურენციის საფუძველზე ფასების თავისუფალი ჩამოყალიბება — ცვლილებები განაპირობებს. მაგრამ ამ მოსაზრებამ გარკვეული მოდიფიკაცია განიცადა.

1929-1933 წლების ხანგრძლივმა მძიმე კრიზისმა, რომელმაც ბევრი ქვეყანა მოიცვა (მ.შ. განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები) ზემოდასახელებული იდეალური ჰარმონიის ეს დებულება ერთობ შეარყია: გაჩნდა მოსაზრებები, რომ მაკროეკონომიკური უწონასწორობისათვის დამახასიათებელი ისეთი მწვავე პრობლემა, როგორიცაა უმუშევრობა, ეკონომიკის თვითრეგულირების საწყისებზე ძნელად ან საერთოდ ვერ წყდება. ფართო გავრცელება მიიღო ალტერნატიულმა მოსაზრებამ, რომელიც ინგლისელმა **ჯონ მეინარდ კეინსმა და სტოკჰოლმის სკოლის** წარმომადგენლებმა (**ულინი, ლინდალი, მიურდალი და ლუნდბერგი**) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოაყალიბეს.

ამ დებულების შესაბამისად არარეალისტურად იქნა მიჩნეული იმის ვარაუდი — მტკიცება, რომ ფასები (მ.შ. ხელფასი) იმდენად მოძრავი და ელასტიკურია[1], რომ მათ ძალუძთ სწრაფად აღადგინონ მთლიანი დასაქმება. გარდა ამისა, ამ მოსაზრების მიმდევრებს მიაჩნდათ, რომ არამართლზომიერი იყო ტრადიციული თეორიის მტკიცება, რომ მიწოდება (წარმოება) თვითონ ბადებს თავის ტოლდიდ მოთხოვნას. კეინსი თვლიდა, რომ არსებობს აგრეთვე მიზეზობრივ — შედეგობრივი უკუკავშირი: ერთობლივი მოთხოვნა თვითონ განაპირობებს გარკვეული მიწოდების წარმოქმნას და, როდესაც ეს საკმარისი არ არის, წარმოების მოცულობა პოტენციური შესაძლებლობების ტოლი არ იქნება (ეკონომიკური კრიზისი); წარმოიქმნება უმუშევრობა; ნაწილობრივ იქნება გამოყენებული სხვა ეკონომიკური რესურსებიც. კეინსელებს არასწორად მიაჩნდათ აგრეთვე იმის უგულებელყოფა, რომ ხელფასი დაქირავებულ მუშაკთა მყიდველობით უნარსაც განაპირობებს; მათი აზრით, ხელფასის შეკვეცა (დაცოტავება) ამცირებს საზოგადოებაში არსებულ ერთობლივ მოთხოვნას და ამით უზღუდავს საწარმოებს საქონლის რეალიზაციის შესაძლებლობებს, რასაც შეიძლება უმუშევრობის უფრო მეტი გაზრდა მოჰყვეს.

ასეთი მიდგომით (რომ დაქირავებულ მუშაკთა მყიდველობითი უნარის დაცემას შეიძლება ჭარბწარმოების კრიზისი მოჰყვეს) კეინსური ანალიზი ახლო იყო კარლ მარქსის მიერ კრიზისების (მაკროეკონომიკური უწონასწორობის) მიზეზის ახსნის უმნიშვნელოვანეს ელემენტებთან. ამასთან, თუ მარქსს მიაჩნდა, რომ ჭარბწარმოების კრიზისების მოსპობა მხოლოდ თვით კაპიტალიზმის ლიკვიდაციის შედეგად შეიძლება, კეინსი თვლიდა და ასაბუთებდა, რომ კაპიტალიზმს ხელისუფლების დახმარებით შეუძლია გარდაიქმნას (და გარდაიქმნება კიდევაც) ისე, რომ აიცილოს კრიზისები.

კეინსი ამტკიცებდა, რომ, ვინაიდან ფასები შედარებით ნაკლებმოძრავია (ნაკლებელასტიკურია), განსაკუთრებით მოკლევადიან პერიოდში, ეკონომიკა შეიძლება აღმოჩნდეს დეპრესიულ მდგომარეობაში მაღალი უმუშევრობით. მოთხოვნისა და მიწოდების გაწონასწორება ამ შემთხვევაში უპირატესად ფასების ცვლილებების მეშვეობით კი არ მოხდება, არამედ იმის საფუძველზე, რომ საქონელთა რეალიზაციის მოცულობა და მარაგის ცვლილებები აძლევს საწარმოებს ინფორმაციას, თუ რა საქონელი და რამდენი სურთ (ან არ სურთ) მომხმარებლებს.

კეინსის დებულების თანახმად:

- ერთობლივი მოთხოვნა სამომხმარებლო და ინვესტიციურ საქონელზე მოთხოვნის ტოლია;

[1] ელასტიკურობა (შეგახსენებთ) არის ერთი მოვლენის უცილობელი შეცვლა მეორე მოვლენის შეცვლისას პროცენტულ გამოხატულებაში; თუ ერთი მოვლენის ცვლილებას მეორის ზუსტად ისეთივე ცვლილება მოჰყვება, ამბობენ, რომ ადგილი აქვს ტოლდიდ (ერთეულოვან) ელასტიკურობას.

- ერთობლივი მიწოდება კი ეროვნული პროდუქტის ტოლია (მისი წარმოებაა).
- ესენი კი ბაზრის აბსოლუტური თვითრეგულირების საწყისებზე ფუნქციონირებისას შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს და ეს იქნება სწორედ მაკროეკონომიკური უწონასწორობა (კრიზისი).

როგორც აღინიშნა, კლასიკური თეორიის შესაბამისად, ბაზარზე გამყიდველი იმიტომ ყიდის თავის საქონელს, რომ სხვა საქონლის შეძენა სურს, ე.ი. ყოველი გამყიდველი შემდგომში მყიდველი ხდება, თანაც იმავე მოცულობის საქონლისა, რაც თვითონ გაყიდა. ასე რომ მიწოდება თვითონვე ქმნის თავის შესაბამის (ტოლდიდ) მოთხოვნას.

კეინსი ამ მოსაზრებას არ იზიარებდა და თვლიდა, რომ ბაზარზე მარტო საქონლის საქონელზე გაცვლა კი არ მიმდინარეობს, არამედ ეს ყიდვა-გაყიდვა ფულის გაცვლით არის განპირობებული, ფულს კი, როგორც აქტივებს შორის ყველაზე ლიკვიდურს, აქტიური დამოუკიდებელი როლი აქვს.

კეინსმა ეკონომიკურ თეორიაში შემოიღო და ბაზარზე წონასწორობა — უწონასწორობის პრობლემის ანალიზისათვის გამოიყენა ე.წ. **„ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი", რომლის შესაბამისად, შემოსავლის ზრდასთან ერთად, ეცემა პირადი (უშუალო) მოხმარებისადმი მიდრეკილება და იზრდება დაზოგვისადმი მისწრაფება** (ე.ი. უშუალო, იმავდროული პირადი მოხმარებაც იზრდება, მაგრამ შემოსავლის ზრდაზე ნაკლები ტემპით). ამ მიდრეკილება-განწყობას კი განამტკიცებს ფულის როლი (ფული როგორც დაგროვების საშუალება), მისი სხვა დოვლათ — სიკეთესთან შედარებით უფრო ლიკვიდური ხასიათი. ამას ისიც ემატება, რომ, შემოსავლის ზრდასთან ერთად, მისი სულ უფრო დიდი ნაწილი გადაიდება ხანგრძლივი სარგებლობის საგნების შესაძენად. ე.ი. **შემოსავლის ზრდის კვალობაზე დანაზოგები, მოხმარებასთან შედარებით, უფრო ჩქარი ტემპით იზრდება.**

იმისათვის კი, რომ მაკროეკონომიკური წონასწორობა არსებობდეს (ე.ი. **AD AS**-ის ტოლი იყოს), ის, რაც, პირადი მოხმარების ნაცვლად, დანაზოგში წავიდა, ინვესტიციებმა უნდა შთანთქას. კლასიკოსების აზრით, ეს ავტომატურად ხდება და ამას საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები განაპირობებს. ამიტომ ამ საკითხში ისინი პრობლემას ვერ ხედავდნენ და თვლიდნენ, რომ დაზოგვის აქტი იმავდროულად ინვესტირების აქტში გადაიზრდება (დანაზოგი ინვესტიციების ტოლია).

კეინსის აზრით, საპროცენტო განაკვეთის იმანენტური, შინაგანი (ე.ი. მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე) ცვლილებები დანაზოგის ინვესტიციაში მთლიანად გადაქაჩვას (გადართვას) ვერ უზრუნველყოფს, მისი არსებული ნორმა ყოველთვის როდია ყველა დანაზოგის ინვესტიციად გარდაქმნის უზრუნველმყოფი ფაქტორი.

გარდა ამისა (ისევ კეინსის აზრით), საპროცენტო განაკვეთზე მარტო ინვესტიციებზე მოთხოვნა-მიწოდება კი არ მოქმედებს, არამედ, პირიქით, ის თვითონ ახდენს უკუზემოქმედებას მოთხოვნაზე, განაპირობებს რა ინვესტიციის საბოლოო მოცულობას. ზემოაღნიშნული იმას ნიშნავს, რომ კეინსის თეორიაში პროცენტი **ავტონომიურ მონეტარულ ფენომენს** წარმოადგენს.


ასე რომ, კეინსელების აზრით, თანამედროვე ეკონომიკაში მაკროეკონომიკური წონასწორობა, ადრინდელთან შედარებით, მნიშვნელოვანწილად სხვანაირად, სხვა მოვლენებზე დაყრდნობით მყარდება, თანაც ეს შესაძლებელია ისეთ დონეზე მოხდეს, როდესაც წარმოების ფაქტორები (მათ შორის შრომა) მთლიანად არ იქნება გამოყენებული.

კეინსის აზრით, მაკროეკონომიკურ წონასწორობას ეკონომიკაში განაპირობებს ადამიანების მიდრეკილება მოხმარებისადმი, დაზოგვისადმი და ინვესტიციებისადმი.


დავსვათ კითხვა: კეინსელების ეს თვისებრივად, პრინციპულად ახლებური მიდგომა მაკროეკონომიკური წონასწორობის დამყარებისადმი, როდესაც ამის მიზეზად, მანამდე არსებულ მოსაზრებებთან შედარებით, ზოგი სხვა სერიოზული (ქმედითი) პარამეტრიც იქნა დასახელებული, იმის შედეგია, რომ კლასიკოსებმა ეს კანონზომიერებები ვერ შენიშნეს (ვერ აღმოაჩინეს) თუ თვით ეკონომიკაში მოხდა რაიმე ცვლილებები?

მართალი არიან, ჩვენი აზრით, ის ავტორები, რომლებიც თვლიან, რომ პრობლემის ახლებური გადაწყვეტა გამოიწვია უპირველესად თავად ეკონომიკაში მომხდარმა თვისებრივმა ცვლილებებმა. მართლზომიერია უეჭველად მოსაზრება, რომ XIX-XX საუკუნეებში ეკონომიკაში მონოპოლიის განმტკიცებამ, მინიმალური ხელფასების შემოღებამ და სხვა ფაქტორებმა შეასუსტა ფასების და ხელფასის ელასტიკურობა. ამასთან გასაგებია, რომ ეს სრულებითაც არ აკნინებს კეინსის (და სხვების) უდიდეს ნიჭსა და მეცნიერულ დამსახურებას ამ მოვლენების აღმოჩენაში.

კეინსელების დებულების შესაბამისად შედგენილი ერთობლივი მოთხოვნის, ერთობლივი მიწოდების და მაკროეკონომიკური წონასწორობის გრაფიკები შემდეგნაირად გამოიყურება:



ნახ. 6.1. ერთობლივი მოთხოვნა (AD)



ნახ. 6.2. ერთობლივი მიწოდება (AS)


6.1. ნახაზზე გრაფიკის ერთობლივი მოთხოვნის მრუდის დასაწყისი ნულ წერტილზე ერთობ მაღლა ძევს და ეს გასაგებიცაა: დაბალი (ნულოვანი) ეროვნული შემოსავლის პირობებშიც კი მოსახლეობამ, რომ არ ამოწყდეს, მაინც უნდა მოიხმაროს რაღაცა. აქედან დაწყებული, ერთობლივი მოთხოვნა ეროვნული შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება. ამასთან შემოსავლის ზრდის გარკვეულ ნაწილს მოსახლეობა გადადებს (დაზოგავს და ეს მთლიანობაში მოთხოვნად არ გარდაიქმნება), ამიტომ ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მკვეთრი (ეროვნული შემოსავლის პირდაპირპროპორციული) ზრდა არ ახასიათებს.

ერთობლივი მიწოდების გრაფიკზე ასახვა კი (**ნახ. 6.2.**) ძალზე გაიოლებულია: ვინაიდან ეროვნული შემოსავლის მოცულობა ეროვნული პროდუქტის ტოლია, ეროვნული შემოსავალი მთლიანი მიწოდების ადეკვატური იქნება; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთობლივი მიწოდების მრუდი ნული წერტილიდან დაიწყება და შემდგომ 45 გრადუსის კუთხის ქვეშ პირდაპირი ხაზით (ბისექტრისაზე) წარიმართება ზევით (ე.ი. ერთობლივი მიწოდებისა და ეროვნული შემოსავლის ზრდა პირდაპირპროპორციულია).

თუ ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ზემომოტანილ გრაფიკებს შევათავსებთ, როგორც ეს **6.3. ნახაზზეა** (იხილეთ მომდევნო გვერდზე), შევძლებთ ვიპოვოთ ის წერტილი (ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მრუდების გადაკვეთა), სადაც მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთის ტოლი იქნება (წერტილი "**A**").

ე.ი. როდესაც ეროვნული შემოსავლის მოცულობა N_1-ია (**ნახ. 6.3.**), ეროვნული პროდუქტი (ეროვნული შემოსავალი) ზუსტად უდრის სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონელზე ერთობლივ მოთხოვნას. მაშასადამე, **O** — N_1 არის ეროვნული შემოსავლის მოცულობა, რომელიც შეესაბამება **AD**-სა და **AS**-ის წონასწორობის დონეს.

აქ ჩვენ დავინახავთ, რომ თავისუფალი (არარეგულირებადი) ეკონომიკა თავისთავად მიისწრაფვის ამ დონისაკენ (**A** წერტილისაკენ). თუ ეროვნული შემოსავალი (ეშ) ამ დონეზე მეტია (გრაფიკზე მარჯვნივ — N_2), ერთობლივი მიწოდება ერთობლივ მოთხოვნაზე მეტი იქნება. კეინსური ანალიზის პირობებით მიწოდების გადამეტება არ გამოიწვევს ფასების შემცირებას — ამ ანალიზში ჩადებულია (დაშვებულია), რომ ფასები არაელასტიკურია (ნაკლებად ელასტიკურია). მიუხედავად



ნახ. 6.3. მაკროეკონომიკური წონასწორობა.

ამისა, საწარმოები ამ შემთხვევაშიც იძულებული გახდებიან შეამცირონ წარმოება და მიწოდება, ვინაიდან მათ არა მარტო არ ძალუძთ გაყიდონ მთელი პროდუქცია, არამედ ისინი დამატებით ხარჯებს ეწევიან გაუყიდავი საქონლის მარაგის არსებობის (ან საერთოდ გაფუჭების) გამო.

ეკონომიკაში ასევე იმოქმედებს წარმოების (მიწოდების) ზრდის სტიმულები, თუ ეროვნული შემოსავალი წონასწორობის წერტილზე უფრო დაბალ დონეზე იქნება (როცა ერთობლივი მოთხოვნა ერთობლივ მიწოდებაზე მეტია), მაგალითად, N_3. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში იმაზე მეტი საქონლის რეალიზაციის საშუალება იქმნება, ვიდრე მეწარმეები ელოდებოდნენ; მაშასადამე, საქონლის მარაგები მცირდება, მასზე რიგები დგება. გასაგებია, რომ ეს წარმოების გაზრდისაკენ უბიძგებს ბიზნესს. ე.ი. თვითრეგულირებადი ეკონომიკა ამ შემთხვევაშიც წონასწორობისაკენ მიიღტვის.

ასე რომ კეინსურ ანალიზშიც ეკონომიკა წონასწორობისაკენ მიისწრაფვის, თუმცა ამ შემთხვევაში ფირმებისათვის წარმოების გაზრდა-შემცირების სარგებლიანობის სიგნალი ფასების ცვლილებები კი არ არის მარტო, არამედ საქონლის რეალიზაციის მოცულობა. ამასთან (და ეს არის მთავარი), კეინსის თეორიის შესაბამისად, ასეთი **მაკროეკონომიკური წონასწორობა შეიძლება ისეთ დონეზე აღმოჩნდეს, როდესაც წარმოების ფაქტორები ვერ იქნება გამოყენებული მთლიანად, ამიტომ მდგომარეობის გაუმჯობესების (პრობლემის გადაწყვეტის) მიზნით აუცილებელი ხდება სახელმწიფოს ჩარევა.**

თავი 2. ციკლური უმუშევრობა და ინფლაცია. ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები


გასაგებია, რომ ნორმალური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისათვის ეროვნული შემოსავლის წარმოების დონე უნდა იყოს ისეთი, რაც მთლიან დასაქმებას უზრუნველყოფს. კეინსური ანალიზის შესაბამისად, როგორც უკვე აღინიშნა, წონასწორობის დონეს ეკონომიკაში განაპირობებს ადამიანების მიდრეკილება მოხმარებისადმი, დაზოგვისადმი და ინვესტირებისადმი. მაგრამ ამ საფუძველზე დამყარებული წონასწორობა არაფერს ამბობს იმის თაობაზე, რომ ამ გეგმების ფორმირება ისე ხდება, რომ წარმოებაში ჩართული იქნეს ყველა რესურსი (მ.შ. უპირველესად შრომა).

მაშასადამე, აღნიშნავდა კეინსი, **სრულიად დასაშვებია (შესაძლებელია), რომ წარმოების საჭირო მოცულობა, რომლის დროსაც ყველა ეკონომიკური რესურსი იქნება გამოყენებული,**

ფაქტობრივი მაკროეკონომიკური წონასწორობის დონეზე მაღლა აღმოჩნდეს (უფრო მაღლა იყოს). ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ფაქტობრივი სტაბილიზაცია ეროვნული შემოსავლის წარმოების იმ დონეზე მოხდა (ხდება), რომელიც საკმარისი არ არის (დაბალია) სამუშაო ძალის მთლიანად დასაქმებისათვის, რესურსების სრულად გამოყენებისათვის.

განვიხილოთ **6.4. ნახაზზე** მოცემული გრაფიკი. დავუშვათ, რომ მთლიანი დასაქმების[1] უზრუნველყოფისათვის ეროვნული შემოსავლის წარმოების დონე უნდა იყოს N_2 წერტილზე. თუ ეკონომიკაში ეროვნული შემოსავლის წარმოება N_1 წერტილზეა ან ამ წერტილისაკენ მიისწრაფვის, ეს იმას ნიშნავს, რომ თვითრეგულირების შედეგად ეკონომიკაში წონასწორობა ისეთ დონეზე აღმოჩნდა (ისეთი დონისაკენ მიისწრაფვის) — N_1, სადაც ეროვნული შემოსავალი (მისი წარმოება) დაბალია იმისათვის, რომ ყველა მშრომელი (მუშაობის ყველა მსურველი) უზრუნველყოფილ იქნეს სამუშაო ადგილით (ამისათვის კი საჭიროა, რომ მშპ-ის წარმოების მოცულობა N_2 წერტილზე იყოს).

აქ ჩვენ საქმე გვაქვს **„უმუშევრობის გარღვევასთან"**, რაც იმის მაუწყებელია, რომ მუშაობის მსურველ ადამიანთა ნაწილს სამუშაო არ გააჩნია და არსებული საწარმოო კაპიტალი მთლიანად არ გამოიყენება.




ნახ. 6.4. უმუშევრობა. თუ მთლიანი დასაქმების უზრუნველყოფისათვის საჭირო ეროვნული შემოსავლის დონე N_2 წერტილზეა (ე.ი. ის ფაქტობრივი წონასწორობის N_1 დონეზე მაღლა ძევს), ეკონომიკაში ყველა რესურსის გამოყენება არ მოხდება და შეიქმნება უმუშევრობის „გარღვევა".

ავიღოთ საწინააღმდეგო შემთხვევა (იხილეთ მომდევნო გვერდზე **ნახ. 6.5.**). თუ რესურსების მთლიანი გამოყენების შესაბამისი ეროვნული შემოსავლის მოცულობა (N_3) ფაქტობრივ წონასწორობაზე (N_1-ზე) დაბლაა, ეკონომიკა რეალურ (ხანგრძლივ) გაწონასწორებას ვერ მიაღწევს, ვინაიდან აქ ერთობლივი მოთხოვნა არსებულ (შესაძლო) ერთობლივ მიწოდებაზე მეტია; მაშასადამე, წარმოიქმნება „ინფლაციის გარღვევა", რომლის დროსაც არსებული დისპროპორცია ფასების გაზრდას (ინფლაციას) გამოიწვევს.

მთლიანი დასაქმების (ანუ არსებული სამუშაო ძალის — შრომის მიწოდების) დონე შეიძლება ეკონომიკის ფაქტობრივი წონასწორობის დონეზე (უფრო სწორად, შექმნილი კონიუნქტურის პოზიციიდან ეკონომიკურ რესურსებზე არსებულ მოთხოვნაზე) დაბლაც (მისგან მარცხნივ) მოექცეს, როგორც ეს **6.5. ნახაზზეა** მოცემული (N_3 წერტილი). ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკა მიუღწეველი დონისკენ მიისწრაფვის (წარმოება არ შეიძლება იმ დონეზე მაღალი იყოს, რასაც წარმოების ფაქტორების მთლიანად გამოყენება უზრუნველყოფს). ასეთ პირობებში ეკონომიკაში ადგილი ექნება მოთხოვნის მიწოდებაზე გადამეტებას, ე.ი. სამუშაო ძალის (ასევე რეალური კაპიტალის) პერმანენტულ დეფიციტს. ასეთ შემთხვევაში კეინსის გაუბრალოებულ მოდელშიც (რომელიც ფასების ძირითადად სტაბილურობას გულისხმობს) დაიწყება ფასების მომატება და მოვექცევით ე.წ. **„ინფლაციის გარღვევაში"**.

[1] მთლიანი დასაქმება, როგორც უკვე ვიცით, ისე არ უნდა გავიგოთ, როგორც აბსოლუტურად ყველას დასაქმება. საუბარია ეფექტიან დასაქმებაზე, როდესაც მუშაობის ყველა მსურველი სამუშაოს პოვნაზე ხარჯავს გონივრულ დროს და მას აქვს კვალიფიკაციის შეცვლის (გადამზადების) საშუალება.



ნახ. 6.5. ინფლაციის გარღვევა.

მაშასადამე, **კეინსური ანალიზის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბედის ანაბარა მიტოვებული და აბსოლუტურად თავის ნებაზე მიშვებული ეკონომიკა შესაძლებელია მოექცეს უმუშევრობის ან ინფლაციის სიტუაციაში და რომ ის ამ პრობლემებს თავისი ძალებით (თვითრეგულირების საფუძველზე) ვერ გადაწყვეტს ან დიდ ხანს ვერ მოაგვარებს.**


კეინსის აზრით, არსებობს ამ პრობლემებისაგან თავის დაღწევის რეცეპტი და ეს სწორ სახელმწიფოებრივ ეკონომიკურ პოლიტიკაში ძევს. შესაძლებელი და საჭიროა ერთობლივ მოთხოვნაზე სახელმწიფოს ზემოქმედება: მოთხოვნის შეგნებულად გაზრდა-გაფართოებით შესაძლოა უმუშევრობის გარღვევის ლიკვიდაცია, ერთობლივი მოთხოვნის შემცირებით კი — ინფლაციის გარღვევის მოსპობა; შედეგად ამისა მოხერხდება ეკონომიკის მთლიანობაში რეცესიისაგან (ციკლური კრიზისისაგან) თავის დაღწევა, სახალხო მეურნეობის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა.

განვიხილოთ **6.6. ნახაზზე** (იხილეთ შემდეგი გვერდი) მოცემული გრაფიკი. მასზე ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების ფაქტობრივი წონასწორობის წარმოება N_1 წერტილზე იმყოფება, ეროვნული შემოსავლის დონე კი, რომელიც მთლიან დასაქმებას უზრუნველყოფდა, N_2 წერტილს შეესაბამება, ე.ი. ადგილი აქვს ბუნებრივზე მაღალ უმუშევრობას. ზემოხსენებული კეინსური რეცეპტის შესაბამისად, სახელმწიფომ წონასწორობის დონე ისე უნდა გადააადგილოს, ერთობლივი მოთხოვნის მომატებით წარმოების მოცულობა ისე გაზარდოს, რომ ის მთლიანი დასაქმების დონეს დაემთხვეს. ეს კი საზოგადოებაში ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით, მისი მრუდის ზევით გადაადგილებით მიიღწევა, როგორც ეს გრაფიკზეა.

რა უნდა მოიმოქმედოს სახელმწიფომ, რომ ერთობლივი მოთხოვნა გაიზარდოს ეკონომიკაში?

ეს, უპირველეს ყოვლისა, კეთდება ე.წ. **გაფართოების ექსპანსიონისტური პოლიტიკის მეშვეობით, როდესაც იზრდება სახელმწიფოს ხარჯები ან მცირდება გადასახადები და საპროცენტო განაკვეთი.** სახელმწიფო ხარჯების გაზრდა (სახელმწიფო სექტორის გაფართოება ან კერძო პირებისათვის **დოტაციების** გადიდება — პენსიები, დახმარებები, სტიპენდიები და სხვა) ზრდის ეკონომიკაში მყიდველობით უნარს, მაშასადამე, ერთობლივ მოთხოვნას. მყიდველობითი უნარის ზრდა, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ საწარმოებს მეტის გაყიდვა შეუძლიათ, ე.ი. მათ მეტის გამოშვება მოუნდებათ და მეტი სამუშაო ძალა დასჭირდებათ (მეტ მუშებს დაიქირავებენ). მაშასადამე, გაფართოების ექსპანსიონისტური პოლიტიკა **უმუშევრობაზე ზემოქმედების რეცეპტად** გვევლინება.

ასეთი პოლიტიკა ზრდის მოსახლეობის მყიდველობით უნარს, გაზრდილი მყიდველობითი უნარი კი, თავის მხრივ, მოხმარების და ინვესტიციების დამატებითი ზრდის წყარო ხდება, ეს უკანასკნელი კი მყიდველობითი უნარის ახალ მომატებას იწვევს და ა.შ. საბოლოო ჯამში, მოთხოვნის ერთგვარი სტიმულირება წარმოების უფრო მეტ ზრდას უზრუნველყოფს, ვიდრე ის, რომელმაც პირვანდელი ბიძგი გამოიწვია. ამ ეფექტს ჩვეულებრივად **„მულტიპლიკატორის ეფექტს“** უწოდებენ, ვინაიდან თავდაპირველი სტიმული „თავის თავს ამრავლებს“.



ნახ. 6.6. ექსპანსიის პოლიტიკა უმუშევრობის შემცირების მიზნით. ექსპანსიის პოლიტიკის შედეგად იზრდება მოსახლეობის მყიდველობითი უნარი და ერთობლივი მოთხოვნა. ეს კი სპობს უმუშევრობის გარღვევას.

ზემომოცემულ გრაფიკზე მულტიპლიკატორის (ლათ. Multiplicator — გამამრავლებელი) ეფექტი, იგივე **კუმულაციური** (ლათ. Cumulatio — დაგროვება) **ეფექტი**, იმაში გამოიხატება, რომ მთლიანად ეროვნული შემოსავალი უფრო დიდი მოცულობით იზრდება, ვიდრე ერთობლივი მოთხოვნა, რომლის მომატება განაპირობა საეხლმწიფო ჩარევამ: N_1 წერტილიდან N_2 წერტილამდე ზრდა (მანძილი) მეტია, ვიდრე E_1-დან E_2-მდე.

გადასახადების შემცირებაც შემოსავლის (და, შესაბამისად, მოთხოვნის) ზრდის ტოლფასია. **ეკონომიკაში წარმოების ზრდის მისაღწევად და უმუშევრობის შესამცირებლად ზემოქმედების შესაძლო გზაა აგრეთვე ინვესტიციების სტიმულირება, მაგალითად, პროცენტის შემცირებით და წარმოების გაფართოებისათვის საჭირო კრედიტის გაიაფებით.**


როგორ უნდა მოვიქცეთ მაღალი ინფლაციის პირობებში? განვიხილოთ ეს **6.7. ნახაზზე** (იხილეთ შემდეგი გვერდი).

ინფლაციაზე ზემოქმედება უმუშევრობაზე ზეგავლენის საწინააღმდეგო უნდა იყოს: **ინფლაციაზე ზემოქმედების რეცეპტი არის ეკონომიკის შეკავების რესტრიქციული (ლათ. Restrictio — შეზღუდვა) პოლიტიკა, რომელსაც ხანდახან კონტრაქციულს (ლათ. Contractio — შეკუმშვა) უწოდებენ. ასეთი პოლიტიკა, რომელიც უპირველესად სახელმწიფო ხარჯების შეკვეცაში და ბეგარის გაზრდაში ჰპოვებს გამოხატულებას, იწვევს მოსახლეობის მყიდველობითი უნარის შემცირებას. ეს პოლიტიკა შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე ინვესტიციების შემცირების მიზნით პროცენტის გაზრდაში.**

ასეთი პოლიტიკა ამცირებს მოთხოვნის საერთო მოცულობას; წონასწორობის მდგომარეობა კი (ორივე მრუდის გადაკვეთის წერტილი), როგორც ეს გრაფიკზეა, დაბლა გადაადგილდება.

შეკავების პოლიტიკასაც მულტიპლიცირებადი ეფექტი აქვს:

- მყიდველობითი უნარის დაცემის შედეგად მოსახლეობას უკვე არა აქვს საშუალება იმდენივე საქონელი შეიძინოს, რამდენსაც ის ადრე ყიდულობდა;
- ამის გამო იმათი შემოსავალიც მცირდება, ვინც საწარმოებში მუშაობს და ვისაც ბაზარზე საქონელი გააქვს. ზოგიერთმა მათგანმა შეიძლება საერთოდ დაკარგოს სამუშაო (შემოსავალი);
- ეს კი მყიდველობითი უნარის კიდევ უფრო დაქვეითებას იწვევს და ა.შ.



ნახ. 6.7. კონიუნქტურის შეკავების პოლიტიკა ინფლაციის შეზღუდვის მიზნით. შეკავების პოლიტიკა (სახელმწიფო ხარჯების შეკვეცა, პროცენტის განაკვეთის გაზრდა ან გადასახადების მომატება) იწვევს იმას, რომ მყიდველობითი უნარი და, მასთან ერთად, ერთობლივი მოთხოვნა მცირდება. ეს კი სპობს ინფლაციის გარღვევას.

გრაფიკზე ეს იმაში პოულობს გამოხატულებას, რომ ეროვნული შემოსავლის მოცულობა მოთხოვნის მოცულობაზე უფრო მეტად მცირდება (მანძილი N_1 წერტილიდან N_3 წერტილამდე მეტია E_1 წერტილიდან E_3 წერტილამდე მანძილისა).

თავი 3. სახელმწიფოებრივი უკუქმედება კონიუნქტურის კრიზისული (ციკლური) ცვალებადობისადმი

ეკონომიკის განვითარება ხშირად (როგორც წესი) ტალღისებურად მიმდინარეობს — ე.წ. კონიუნქტურული ციკლების სახით; ე.ი. **ეკონომიკის განვითარებაში ერთმანეთს ცვლის ჩქარი და უმნიშვნელო ზრდის (ან საერთოდ დაცემის) ფაზები**. საზოგადოებას ყოველთვის აწუხებდა ეს პრობლემა, მისი განსაკუთრებულად მოაზროვნე წარმომადგენლები კი ცდილობდნენ ეკონომიკის ციკლისებური განვითარების მიზეზების ახსნას, აყენებდნენ მისი მოსწორება-განეიტრალების თავისებურ წინადადებებს. ეკონომიკურ თეორიაში ფართოდ არის ცნობილი, მაგალითად, კრიზისების მარქსისებური ახსნა, რომლის შესაბამისად მათი მიზეზი მუშაკთა შემოსავლის შემცირებაში ძევს.


ჩვენ ამჯერად ეკონომიკური სტაბილიზაციის კეინსურ წესს ვიხილავთ, რომელიც, მიუხედავად გარკვეული კრიტიკისა (ზოგჯერ კი მწვავესი), კარგა ხანია ფართოდ არის აღიარებული და გამოიყენება კიდეც.

ბაზრის კონიუნქტურაზე (მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე) სახელმწიფო სექტორის და ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების ილუსტრირება შეიძლება გავაკეთოთ მაკროეკონომიკური წრებრუნვის სქემაზე. ამისათვის დაგეჭირდება მისი ერთგვარი გამარტივება — წრებრუნვიდან ამოვიღოთ საქონელ-მომსახურების ნაკადები. ე.ი. წრებრუნვაში დაგვრჩება მარტო გადახდის ნაკადები, ამასთან მასში უნდა შევიტანოთ სახელმწიფოს ხარჯები და შემოსავალი (იხილეთ შემდეგ გვერდზე **ნახ. 6.8.**).

როგორც სქემიდან ჩანს, მოთხოვნაზე სახელმწიფო ორი სახის დანამატს აკეთებს: ჯერ ერთი, თვითონ ყიდულობს ბაზარზე საქონელს, მეორე, საოჯახო მეურნეობებისათვის სხვა-

დასხვა დოტაციების (ტრანსფერტების) გაცემითაც (პენსიები, დახმარება და სხვა) ის ზრდის ბაზარზე მოთხოვნას. ჩვეულებრივად ამ ორივე დანამატის თაობაზე ამბობენ, რომ ეს არის ეკონომიკაში მყიდველობითი უნარის „ინიექციები".

ეს „ინიექცია" სახელმწიფო ხარჯებია და მას დაფარვა სჭირდება, რაც საოჯახო მეურნეობებისაგან სხვადასხვა გადასახადის ამოღებით ხდება; ეს კი ამცირებს მოსახლეობის მყიდველობით უნარს.



ნახ. 6.8. სახელმწიფო შემოსავლის და ხარჯების ზემოქმედება მაკროეკონომიკურ წრებრუნვაზე და წარმოების მოცულობაზე. სახელმწიფო სექტორი ბეგარის საშუალებით (N6) ამცირებს საოჯახო მეურნეობების მყიდველობით უნარს. ეს წრებრუნვიდან მოთხოვნის „გაპარვაა" („გადინებაა"). ამასთან საზოგადოებრივი სექტორი (სახელმწიფო) ზრდის მყიდველობით უნარს იმის შედეგად, რომ თვითონ ყიდულობს საქონელს და მომსახურებას (N4), აგრეთვე იმით, რომ ტრანსფერტებს (N5) გასცემს საოჯახო მეურნეობებს; ეს ბრუნვაში „მყიდველობითი უნარის ინიექციებია". თუ გადინება ინიექციაზე მეტია N6>(N4+N5), ეროვნული პროდუქტი (ეროვნული შემოსავალი) შემცირებას იწყებს, ხოლო თუ, პირიქით, „ინიექცია" გადინებას სჭარბობს N6<(N4+N5), წარმოება გაიზრდება.

თუ მაკროეკონომიკური ბრუნვიდან სახელმწიფოს მიერ მეტი იქნება ამოღებული (მოთხოვნის გადინება), ვიდრე სახელმწიფოს მიერ გაღებული „ინიექციებია" (ე.ი. თუ მთლიანობაში ბაზარზე მოთხოვნა შემცირდა), ეს გამოიწვევს ეროვნული შემოსავლის და ეროვნული პროდუქტის შემცირებას. თუ პირიქით ხდება და სახელმწიფო სექტორში დეფიციტი წარმოიშვა (შემოსავალი ხარჯებზე ნაკლებია), ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნის „ინიექციები" მოთხოვნის გადინებაზე მეტია. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მყიდველობითი უნარი იზრდება, მაშასადამე,

გაიზრდება ეროვნული შემოსავალი და ეროვნული პროდუქტი (საუბარია, რა თქმა უნდა, უმნიშვნელო, დასაშვებ და მართვად, კონტროლირებად დეფიციტზე).

ის, რაზედაც ჩვენ აქამდე ვისაუბრეთ, არის ფუძემდებლური წესი კეინსური ეკონომიკური სტაბილიზაციისა, ე.ი. ეკონომიკური პოლიტიკისა, რომლის ამოცანაა წინააღმდეგობა გაუწიოს (გაანეიტრალოს) ეკონომიკაში მნიშვნელოვან ცვალებადობას, კონიუნქტურის საშიშ მერყეობას. იმისდა მიხედვით, თუ რა მოვლენას აქვს ადგილი, ეს ამოცანა ორი მიმართულებით წარიმართება (აქ წინა თავში გამოთქმული მოსაზრების გამეორება მოგვიწევს):

1. **უმუშევრობის შემცირებისათვის.** გადასახადის შემცირებით და სახელმწიფო ხარჯების გაზრდით, აგრეთვე პროცენტის განაკვეთის შემცირებით (კრედიტის გაიაფებით) უზრუნველყოფილ იქნეს ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა;
2. **კონიუნქტურის „გადახურების" ლიკვიდაციისა და ინფლაციის მოსპობისათვის (შემცირებისათვის).** გადასახადის მომატებით, სახელმწიფო ხარჯების შემცირებით, აგრეთვე პროცენტის გაზრდით (კრედიტის გაძვირება) უზრუნველყოფილ იქნეს მოთხოვნის შემცირება.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა (და საჭიროც) აღინიშნოს, რომ ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილებების მიზეზების კეინსური კონცეფციის შესაბამისად ახსნა 30-იან წლებში პირველად ახალგაზრდა ამერიკელმა მკვლევარმა პოლ **სამუელსონმა** მოგვცა, რომელიც შემდგომში XX საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი გახდა და რომლის სახელმძღვანელოს („ეკონომიკა") არაერთხელ მივმართეთ ჩვენს წიგნში.

ეკონომიკის განვითარების ციკლური ხასიათი, სამუელსონის აზრით, ხშირად იმასთან არის დაკავშირებული, რომ გარკვეულ პერიოდებში საწარმოები შედარებით აქტიურად აბანდებენ ინვესტიციებს და ქმნიან მნიშვნელოვან სიმძლავრეებს. შემდგომში კი ისინი დიდ დროს ანდომებენ ამ სიმძლავრეების „ათვისებას" და ძნელად მიდიან ახალი სერიოზული ინვესტიციების გაღებაზე, მაშასადამე, ახალი კაპიტალდაბანდებები მცირდება. მათემატიკური მოდელის გამოყენებით მეცნიერმა გვიჩვენა, თუ როგორ შეუძლია მყიდველობითი უნარის შეცვლას ახალი ციკლური პროცესის მიზეზი გახდეს. აი, როგორ ხდება ეს:

- მყიდველობითი უნარის ერთჯერადი ზრდა (ინიექციები) შემდგომში თავისთავად ძლიერდება — ეს **მულტიპლიკატორის ეფექტია;**
- ეს კი ბიძგს აძლევს ინვესტიციებს, მაშასადამე, ჩქარდება წარმოების ზრდა;
- გარკვეული დროის შემდეგ წარმოება დისპროპორციის უარყოფით გავლენას იგრძნობს: ის სიმძლავრეების შეზღუდულობას (საზღვრებს) მიადგება;
- როდესაც ამასთან დაკავშირებით ზრდა შემცირდება, ინვესტიციებიც იკლებს;
- მულტიპლიკატორული ეფექტი კი ამჯერად ერთობლივი მყიდველობითი უნარის შემცირებას განაპირობებს;
- ამის შედეგად წარმოება კვლავ მცირდება, რაც კიდევ უფრო ამცირებს ინვესტიციებს;
- მაგრამ წარმოების გარკვეულ პერიოდში (დროებით) შემცირების შემდეგ აუცილებელია ინვესტიციები გაკეთდეს კაპიტალის ცვეთის აღდგენაში (ანაზღაურებაში) და მარაგებში;
- ეს კი ახალი აღმავლობის დასაწყისი იქნება და ა.შ.


პრაქტიკაში (და თეორიაში), რა თქმა უნდა, კონიუნქტურის ცვალებადობის არაერთი სხვა მიზეზი და, შესაბამისად, ახსნა გვხვდება. არის მსჯელობა მისი გარე ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვევაზე. თანამედროვე ეკონომისტები ხშირად ხაზს უსვამენ ლოდინის როლს: ფასების და მოგების დინამიკის შეფასების მოსალოდნელმა (საპროგნოზო) ცვლილებებმა შეიძლება აიძულოს საწარმოები გააფართოონ ან შეკვეცონ წარმოება. ამასთან, აუცილებელია კონსტატირებულ იქნეს, რომ, მიუხედავად ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებების მიზეზებისა, **ჩვეულებრივად ინფლაცია მაღალია მაღალი კონიუნქტურის დროს, უმუშევრობა კი პრობლემა ხდება კონიუნქტურის შემცირებისას (დაცემისას).**

სხვა მიზეზებთან ერთად, ეს იმითაც არის განპირობებული, რომ მაღალი კონიუნქტურის დროს სიმძლავრეების მაქსიმალური გამოყენების პირობებში დისპროპორციები ჩნდება, ხოლო რესურსების უკმარისობა ფასების მომატებას იწვევს; დაბალი კონიუნქტურის დროს კი სიმძლავრეების გამოყენების დაბალი დონე ამცირებს სამუშაო ძალაზე მოთხოვნას.

აქედან გამომდინარე, ადვილად შეიძლება ჩამოყალიბდეს კეინსური მოდელის შესაბამისი კონიუნქტურის სტაბილიზაციის ეკონომიკური პოლიტიკა (**დასკვნა**):

მთავარია, რომ სახელმწიფოს შეუძლია და უნდა შეეწინააღმდეგოს კონიუნქტურის მნიშვნელოვან რყევას (ცვალებადობას). მისი „ანტიციკლური" პოლიტიკა უნდა წარიმართოს მიმდინარე კონიუნქტურის საწინააღმდეგოდ: როცა მდგომარეობა ცუდადაა (დაბალი კონიუნქტურა), სახელმწიფომ შეგნებულად უნდა გაზარდოს („დატუმბოს", „გაბეროს") მყიდველობითი მოთხოვნა ექსპანსიონისტური პოლიტიკის გატარებით; მაღალი კონიუნქტურის დროს, პირიქით, ის შეკავების პოლიტიკას უნდა დაადგეს და წარმოების შემდგომი დაცემისათვის მოემზადოს.

ასეთი პოლიტიკაც შეიძლება გრაფიკულად გამოვსახოთ (**ნახ. 6.9.**).



ნახ. 6.9. ანტიციკლური პოლიტიკა. ექსპანსიის პოლიტიკის (ხარჯების გაზრდა ან გადასახადების და საპროცენტო განაკვეთის შემცირება) საშუალებით — დაბალი კონიუნქტურის დროს და შეკავების პოლიტიკის (ბეგარის და საპროცენტო განაკვეთის მომატება, ხარჯების შემცირება) მეშვეობით — მაღალი კონიუნქტურის პირობებში შეიძლება შენელდეს („ჩაქრეს") პირველი პირობისთვის დამახასიათებელი ინფლაცია და შემცირდეს მეორის თანმდევი უმუშევრობა. ამით ხდება ცვალებადი კონიუნქტურის მოსწორება.

როცა 30-იან წლებში წარმოდგენილ და შემდგომ შემოღებულ იქნა ეკონომიკურ პრაქტიკაში ზემომოყვანილი კეინსური ანალიზი, ეს ეკონომიკური თეორიის (ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება-გატარების) გადატრიალებად იქნა აღიარებული; მას ხშირად „კეინსურ რევოლუციას" უწოდებენ. ამის შემდეგ პრინციპულად შეიცვალა ეკონომიკის ფუნქციონირებისადმი და ეკონომიკური პოლიტიკისადმი მიდგომა: უკვე თითქმის შეუძლებელი გახდა იმის მტკიცება, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ყოველთვის თვითონვე წყვეტს უკეთესად ყველა პრობლემას და ჩარევას საერთოდ არ საჭიროებს. სწორედ ამის შემდეგ დამკვიდრდა ლიტერატურაში ცნება **„ბაზრის ფიასკო"**. პირიქით, კეინსის ანალიზი ამტკიცებს, რომ „სუფთა" საბაზრო ეკონომიკას, თუ ის, როგორც ადრეც აღინიშნა, ბედის ამარაა მიშვებული, ხშირად ექნება საქმე მაკროეკონომიკურ უწონასწორობასთან, უმუშევრობის და ინფლაციის მძიმე და მტკივნეულ პრობლემებთან; მათი ნაკლებ მტკივნეულად და ნაკლები დანახარჯებით გადაწყვეტისათვის აუცილებელია მიზანმიმართული სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა. თუ ეს არ გაკეთდა, ბაზრის თვითაწყობა — თვითმომართვის იდეების აბსოლუტიზაციამ შეიძლება კითხვის ქვეშ დააყენოს სისტემის არსებობაც კი. როგორც შვედი მეცნიერი **კლას ეკლუნდი** აღნიშნავს, *„კეინსური პოლიტიკა ალმოცენებადი ფართო საზოგადოებრივსექტორიანი შერეული ეკონომიკის თავისებური მეცნიერული აღიარება გახდა. კეინსელებმა ეს საზოგადოებრივი სექტორი და ეკონომიკური პოლიტიკა გარკვეული წესებით მოამარაგეს იმ გადაწყვეტილებების მიღებაზე, თუ როგორ და როდის უნდა გაფართოვდეს ან შემცირდეს ეს სექტორი"*[1]. თეორიულ ასპექტში სწორედ კეინსის იდეებმა განაპირობა ეკონომიკური მეცნიერების ისეთი მსხვილი მიმართულება-დისციპლინის წარმოშობა, როგორიცაა მაკროეკონომიკა.

[1] Клас Эклунд. Эффективная экономика. Шведская модель. М.:, *Экономика*, 1991, გვ. 128.

თავი 4. კეინსური ანალიზის გადაუწყვეტელი პრობლემები

მიუხედავად უდიდესი მნიშვნელობისა და საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე ზეგავლენისა, ეკონომიკური სტაბილიზაციის კეინსური კონცეფციაც არ იქნა აღიარებული როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტება. მის მიერ შემოთავაზებული წესების სარგებლიანობა ზოგიერთმა ეჭვის ქვეშ დააყენა. უფრო მეტიც, დღეს პრაქტიკულად სუფთა კეინსურ სტრატეგიას ბევრი ეკონომისტი და პოლიტიკოსი არ იზიარებს და ამის მიზეზებიც არსებობს. აი ზოგიერთი მათგანი:

1) ჯერ ერთი, საქმე ისაა, რომ **კეინსის ანალიზი პირდაპირ უპირისპირებს ერთმანეთს ინფლაციის და უმუშევრობის მიზეზებს და მიიჩნევს, რომ ერთდროულად არ შეიძლება ხანგრძლივ პერიოდში არსებობდეს უმუშევრობა და ინფლაცია.** რეალურ ცხოვრებაში კი ასეთ მოვლენებს ჰქონდა ადგილი, მაგალითად, XX საუკუნის 70-იან წლებში (ასევე საქართველოში და ზოგიერთ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 1990-2015-იან წლებში). ეკონომიკის ასეთ მდგომარეობას **სტაგფლაციას**[1] უწოდებენ: **ესაა ინფლაციის და ეკონომიკური დაცემის შეხამება, ერთდროულად არსებობა;**
2) მეორე ასპექტი პრობლემისა იმაში მდგომარეობს, რომ კეინსის თეორიაში იგულისხმება, რომ გადაწყვეტილების მიმღებს და გამტარებელს (ხელისუფლებას) სრული, ამომწურავი ინფორმაცია გააჩნია, მაღალპროფესიულად არის გარკვეული მდგომარეობაში და რომ ის იმდენად კვალიფიციურია, რომ არ დაუშვებს შეცდომას საჭირო რეგულაციებში. პრაქტიკულად კი კეინსური პოლიტიკის გატარებაში ზოგჯერ მეტად სერიოზულ შეცდომებს აქვს ადგილი, რომლებიც, გამოსწორების ნაცვლად, კიდევ უფრო ამწვავებს მდგომარეობას;
3) კეინსური ანალიზის შემდეგი პრობლემა იმაშიცაა, რომ ის ეკონომიკური მდგომარეობის და კონიუნქტურის ცვალებადობის მიზეზებს მხოლოდ ქვეყნის შიგნით ეძებს, გარე ეკონომიკური მოვლენები (მიზეზები) კი თითქმის იგნორირებულია. მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის და გლობალიზაციის დღევანდელი მაღალი დონის პირობებში კი ეს უეჭველად მნიშვნელოვანი ნაკლოვანებაა.

[1] **სტაგფლაცია** (სტაგნაცია + ინფლაცია) — უმუშევრობის დაცემის (კლების) და მისი ზრდის პერიოდი, რომელსაც თან ახლავს ინფლაციის დაჩქარება (მაკმილანის ლექსიკონი).

დამატებითი კითხვის მასალა

ჯონ მეინარდ კეინსი

ჯ. მ. კეინსი (1883-1946 წ.წ.). დაიბადა ცნობილი მეცნიერის, ლოგიკისა და ეკონომიკის პროფესორის ჯონ ნევილ კეინსის ოჯახში. დაამთავრა იტონის ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა და კემბრიჯის უნივერსიტეტის სამეფო კოლეჯი. მისი მასწავლებლის ა. მარშალის მიწვევით 1909-1915 წ.წ. ლექციებს კითხულობდა ამავე უნივერსიტეტში.

ჯ. კეინსი რჩეული ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება იყო. მისი ნიჭიერება მათემატიკაშიც გამოჩნდა, სადაც მან არაერთი პრესტიჟული პრიზი დაიმსახურა. ის წარმატებით თამაშობდა ბირჟაზე და რიგიანი სიმდიდრე მოაგროვა. მისი იქ ხაზინადრად მუშაობის დროს მნიშვნელოვნად განმტკიცდა თავად კემბრიჯის კოლეჯის ფინანსური მდგომარეობა. კეინსი ცნობილი იყო როგორც სურათების სერიოზული კოლექციონერი; მან გამოაქვეყნა მემუარული, ბიოგრაფიული ხასიათის რამდენიმე ესე, ის ეწეოდა გამოკვლევებს ლოგიკაში. კეინსს პირადი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მთელ რიგ გამოჩენილ პიროვნებასთან, მ.შ. ბერნარდ შოუსთან. რუს ბალერინა ლიდია ლოპოკოვაზე დაქორწინების შემდეგ ის სპონსორობას უწევდა ბალეტს. სიკვდილის წინ ეკონომიკური თეორიის წინაშე დამსახურებისათვის მას ლორდის წოდება მიენიჭა.

1912 წელს ჯ. კეინსი „ეკონომიკური ჟურნალის“ რედაქტორად დაინიშნა (ამ პოსტზე მან შეცვალა გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტი და სტატისტიკოსი ფრენსის ეჯუორთი) და სამეცნიერო წრეებში ამ მეტად გავლენიან და მსოფლიოში ცნობილ ჟურნალს 33 წელიწადი ხელმძღვანელობდა.

1913 წელს გამოვიდა კეინსის პირველი წიგნი „ინდოეთის ვალუტა და ფინანსები“, სადაც ის როგორც ინგლისური ვალუტის ოქროს სტანდარტის მკაცრი დამცველი და მართლმორწმუნე ნეოკლასიკოსი გვევლინება.

წიგნში „ვერსალის ხელშეკრულების ეკონომიკური შედეგები“ (1919 წ.) კეინსმა პირველად წამოაყენა მნიშვნელოვანი მოსაზრებები შემოსავლის, დანაზოგსა და მოხმარებაზე გავლენის თაობაზე. „რეფორმის თაობაზე ტრაქტატში“ (1923 წ.) მან განავითარა იდეა საზოგადოებაში სამი სოციალური ჯგუფის (რანტიე, ფუნქციური მეწარმეები და მუშაკები, რომლებიც ხელფასზე ცხოვრობენ) არსებობის თაობაზე და ასაბუთებდა დებულებას, რომ ინფლაცია უარყოფითად, უპირველეს ყოვლისა, რანტიეზე მოქმედებს, მაშინ როდესაც დეფლაცია მისთვის სასარგებლოა, მაგრამ ძალზე საზიანოა ორი დანარჩენი ჯგუფისათვის.

აქედან გამომდინარე, კეინსი აღნიშნავდა, რომ ინფლაცია ყველაზე ნაკლები ბოროტებაა, ვინაიდან „გაღატაკებულ ქვეყანაში უმუშევრობის პროვოცირება გაცილებით უფრო უარესია, ვიდრე რანტიეს უკმაყოფილების გამოწვევა“; მაშასადამე, დასაქმების ინტერესები პირველ ადგილზეა წამოსაწევი. ამავდროულად ის უკვე ოქროს სტანდარტის წინააღმდეგ ილაშქრებდა და „მართვადი ვალუტის“ იდეას აყენებდა. კეინსი თვლიდა, რომ ცენტრალურმა ბანკმა ბანკნოტების ემისიის მოცულობა ოქროს მარაგისაგან დამოუკიდებლად უნდა აკონტროლოს. ე.ი. ფულში ის უკვე ეკონომიკური პროცესის აქტიურ ფაქტორს ხედავდა.

უკვე 1924 წელს კეინსმა აღიარა, რომ ნეოკლასიკური თეორიის პოზიციიდან მისი მოსაზრებები ერეტიკულად გამოიყურება: „მე სახელმწიფოს ვენდობი; მე ვტოვებ „laissez faire“-ს თვალსაზრისს — მართალია, ენთუზიაზმით კი არა და არა იმიტომ, რომ ამ ძველი კეთილი დოქტრინის მიმართ უპატივცემულოდ ვარ განწყობილი, არამედ იმიტომ, რომ, მოგვწონს თუ არა ეს ჩვენ, მისი წარმატებების დრო უკვე უკან დარჩა“.

*30-იან წლებში კეინსი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ **კაპიტალიზმის (საბაზრო ეკონომიკის) ავტომატური თვითრეგულირების დრო უკვე გავიდა და ამიერიდან ჯანმრთელი ეკონომიკის მუდმივი თანამგზავრი უნდა იყოს სახელმწიფო ზემოქმედება.***

1930 წელს გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ ორტომეულ ნაშრომში „ტრაქტატი ფულის თაობაზე“ ჯ.მ. კეინსმა თითქმის დასრულებულად ჩამოაყალიბა თავისი დებულება იმის თაობაზე, რომ ინვესტიციები მნიშვნელოვანია არა მარტო ეროვნული შემოსავლის შექმნის პოზიციიდან; ისინი შეიძლება შეეფარდოს და უნდა შეეფარდოს დანაზოგების (დაგროვების) მოცულობას. ამასთან პროცენტის არსებული ნორმა ყოველთვის როდია ყველა დანაზოგის ინვესტიციებად გარდამქმნელი ფაქტორი; ამიტომ მომჭირნეობა (დამზოგველობა), როგორც ასეთი, ყოველთვის კი არ ნიშნავს ეკონომიკურ სათნოებას.

კეინსის აზრით, დანაზოგის ინვესტიციებზე გადამეტება საქმიანი აქტივობის მზარდ შემცირებას იწვევს; მათ უკუშეფარდებას კი მზარდი ექსპანსიისაკენ მივყავართ. აქედან ის ასკვნიდა, რომ დანაზოგის და ინვესტიციების ტოლობა მაკროეკონომიკური წონასწორობის აუცილებელი პირობაა.

1936 წელს გამოვიდა ჯ. კეინსის მთავარი ნაშრომი „დასაქმების, პროცენტის და ფულის საერთო თეორია“. ამ წიგნში ავტორის კრიტიკის მახვილი მიმართულია ძირითადად ნეოკლასიკოსთა ორთოდოქსული მოსაზრების წინააღმდეგ, რომლის შესაბამისად ეკონომიკური თეორიის მთავარი ამოცანა და მიზანი მდგომარეობს შეზღუდული იშვიათი რესურსების გამოყენების საუკეთესო ვარიანტის შერჩევაში (შესაბამისად ზღვრული სარგებლიანობის და ზღვრული მწარმოებლურობის კანონებისა).

საკითხის ასეთი დაყენება, აღნიშნავდა კეინსი, იშვიათობას ეკონომიკური ანალიზის ამოსავალ პუნქტად აღიარებს. ეს მაშინ, როდესაც რეალური ცხოვრება იმდენად შეზღუდულობას კი არ გვიჩვენებს, რამდენადაც რესურსების ზედმეტობას — მასობრივი უმუშევრობის, დაუტვირთავი საწარმოო სიმძლავრეების, დაუსაქმებელი („ფუჭად დაყრილი“) კაპიტალის, გაუყიდავი საქონლის და სხვა სახით. მაშასადამე, მიუთითებდა კეინსი, სანამ ეკონომისტი იშვიათი რესურსების გამოყენების ოპტიმალური ვარიანტის ძებნას დაიწყებდეს, მან პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვას: როგორ შეიძლება არამთლიანი დასაქმებიდან მთლიან დასაქმებაზე გადავიდეთ?

კეინსი თვლიდა, რომ, ნეოკლასიკოსთა კერძო თეორიასთან შედარებით, მან სწორედ საერთო ეკონომიკური თეორია გადმოსცა, ვინაიდან ეკონომიკურ თეორიაში დეპრესიული ეკონომიკის ჩართვით შეძლო მნიშვნელოვნად გაეფართოებინა ეკონომიკური მეცნიერების საგნის გაგება.

სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ეკონომიკური წონასწორობის ახალი, კეინსისებური ფორმულირება: კეინსი თვლიდა, რომ მოთხოვნისა და მიწოდების ტოლობა შეიძლება დამყარდეს სიმძლავრეების არა მარტო მთლიანი, არამედ ნაწილობრივი დატვირთვის დროსაც.

ამ და ამის ანალოგიურმა სხვა მოსაზრებებმა „საერთო თეორიის“ ავტორი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ კაპიტალიზმის განვითარება შეუძლებელია მიზანმიმართული სახელმწიფო ჩარევის გარეშე.

კეინსის საერთო თეორიის ძირითადი დებულებები

კეინსამდე ეკონომიკურ თეორიაში (მ.შ ნეოკლასიკოსების მოძღვრებაში) გაბატონებული იყო ჟან ბატისტ სეის ე.წ. ბაზრის კანონი. სეის მოსაზრების შესაბამისად, საქონელმწარმოებელი თავის საქონელს იმიტომ ყიდის, რომ სხვა საქონლის შეძენა სურს. ე.ი. ყოველი გამყიდველი შემდგომში აუცილებლივ მყიდველი ხდება. რაკი ასეა, მიწოდება ავტომატურად ქმნის შესაბამის მოთხოვნას, მაშასადამე, საერთო ჭარბწარმოება შეუძლებელია.

კეინსი ამ პოზიციას უარყოფდა და მიიჩნევდა, რომ ეკონომიკა მარტო საქონელზე გაცვლას კი არ ეყრდნობა; გაცვლა ამავდროულად ფულის გაცვლით არის განპირობებული. ფული კი ბარტერული გარიგებების ვუალი კი არ არის, მის ფაქტორს აქტიური დამოუკიდებელი როლი ენიჭება: ფულის დაგროვებით და დანაზოგის ფუნქციის

განხორციელებით ეკონომიკური აგენტები ამცირებენ მყიდველობითი მოთხოვნის ერთობლივ მოცულობას. მაშასადამე, შეიძლება ადგილი ჰქონდეს და რეალურად იქმნება საერთო ჭარბწარმოება.

აქედან კეინსმა მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთა: **ეროვნული შემოსავლის წარმოების მოცულობას და მის დინამიკას უშუალოდ მიწოდების ფაქტორები (გამოყენებული შრომა, კაპიტალი, მათი მწარმოებლურობა) კი არ განაპირობებს, არამედ ეფექტიანი (გადახდისუნარიანი) მოთხოვნა.**

სეი და ნეოკლასიკოსები თვლიდნენ, რომ ერთობლივი მოთხოვნის (საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაციის) პრობლემა უმნიშვნელოა და თავისთავად წყდება; კეინსმა კი ის თავისი გამოკვლევების ცენტრში დააყენა და მაკროანალიზის ამოსავალი მნიშვნელობა მიანიჭა. ამიტომ არის, რომ კეინსის თეორიას **მოთხოვნის ეკონომიკურ თეორიას** უწოდებენ.

როგორც ნეოკლასიკოსები, კეინსიც თვლიდა, რომ ეკონომიკაში არსებობს ფრიქციული და ნებაყოფლობითი უმუშევრობა, მაგრამ 30-იანი წლების უღრმესმა დეპრესიამ ის იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ამავდროულად არსებობს მნიშვნელოვანი **იძულებითი (არანებაყოფლობითი) უმუშევრობა**. ამას კი ის განაპირობებს, რომ დასაქმებულები ხელფასების შემცირების დროსაც არ ტოვებენ სამუშაოს, ხოლო უმუშევრები არ ამცირებენ შრომის მიწოდებას.

რეალური ხელფასი კი, კეინსის აზრით, დამოკიდებულია შრომაზე მოთხოვნაზე, მაგრამ, რაკი ის (მოთხოვნა) შეზღუდულია, ძალაუნებურად არსებობენ უმუშევრები.

რატომ არის, რომ მაინცდამაინც მოთხოვნა და არა რომელიმე სხვა ფაქტორია გადამწყვეტი უმუშევრობის დონის განსაზღვრისას?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კეინსმა შემოიღო ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ფუნქციების ცნებები. პირველ ფუნქციას განსაზღვრავს მეწარმეთა მოსალოდნელი შემოსავლისა და დასაქმების მოცულობის თანაფარდობა, მეორე ფუნქციას — ერთობლივი დანახარჯების და ერთობლივი უმუშევრობის თანაფარდობა. მათი გადაკვეთის წერტილი (რომელსაც კეინსმა „ეფექტიანი მოთხოვნის წერტილი" უწოდა) განსაზღვრავს სწორედ დასაქმების მოცულობას მთელი საზოგადოების მასშტაბით. მაგრამ ვინაიდან მოკლე პერიოდში მიწოდების ფუნქცია უცვლელია, დასაქმება ძირითადად მოთხოვნის ფაქტორებზეა დამოკიდებული.

ეფექტიანი მოთხოვნა — ეს, კეინსის აზრით, ერთობლივი მოთხოვნაა, რომელიც დასაქმების მოცულობას განსაზღვრავს. ეფექტიანი ერთობლივი მოთხოვნის მთავარი კომპონენტები კი სამომხმარებლო საქონელზე და ინვესტიციებზე მოთხოვნაა.

იმ სახსრების მოცულობის ზრდას, რომლებიც პირადი მოხმარებისათვის გამოიყენება, კეინსი შემოსავლის მატების მყარ ფუნქციად მიიჩნევდა.

ამასთან:

თუ "C" მოხმარების მოცულობაა,

ხოლო "Y" — შემოსავალი,

მაშინ $\Delta C/\Delta Y$ ნულზე მეტია, მაგრამ ერთზე ნაკლები და, Y-ის ზრდასთან ერთად, თანმიმდევრულად კლებულობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **შემოსავლის ზრდის კვალობაზე მოხმარებაც იზრდება, მაგრამ შემოსავალზე ნაკლები ინტენსივობით.**

მოხმარების ფუნქციის ასეთ ხასიათს, როგორც ითქვა, კეინსი უკავშირებდა ე.წ. **„ძირითად ფსიქოლოგიურ კანონს"**, რომლის შესაბამისად, **შემოსავლის ზრდასთან ერთად, მოხმარებისადმი მიდრეკილება ეცემა, ხოლო დაზოგვისადმი მისწრაფება იზრდება (ე.ი. მოხმარება კი იზრდება, მაგრამ შემოსავლის ზრდაზე ნაკლები ტემპით).** ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი იმ რეალურ ვითარებას ასახავს, რომ, მოსახმარებლად განკუთვნილი შემოსავლის ზრდასთან ერთად, მისი (შემოსავლის) სულ უფრო მეტი ნაწილი იხარჯება ე.წ. ხანგრძლივი სარგებლობის ძვირად ღირებულ ნაწარმზე; მაშასადამე, აუცილებელია ამ ნაწილის გარკვეულ პერიოდში დაგროვება.

გარდა ამისა, აღნიშნავდა კეინსი, **შემოსავლის ერთგვარი ზღურბლის ზევით ზრდასთან ერთად, მისი მფლობელები სულ უფრო შორდებიან დაქირავებული მუშაკების კატე-**

გორიას, რომელთა ხელფასი ფაქტობრივად პირდაპირ პირად მოხმარებაზე მიდის, და უახლოვდებიან კაპიტალისტის მდგომარეობას, რომლის საზოგადოებრივი ფუნქცია კაპიტალის დაგროვებაშია.

ასეა თუ ისე, კეინსის „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონიდან" გამოდის, რომ შემოსავლის ზრდის დროს ეფექტიანი მოთხოვნის კუთრი წონა, რომელსაც პირადი მოხმარება უზრუნველყოფს, სისტემატურად კლებულობს; ამიტომ, არსებული რესურსები (და პირველ რიგში შრომა) მთლიანად რომ იქნეს გამოყენებული, მზარდი დანაზოგები განუწყვეტლივ უნდა გამოიყენოს და შთანთქას ინვესტიციებზე მზარდმა მოთხოვნამ.

ნეოკლასიკოსები აქ პრობლემას ვერ ხედავდნენ (და ვერ ხედავენ), ვინაიდან, მათი აზრით, დაზოგვის აქტი ამავდროულად ინვესტირების აქტში გადაიზრდება. ასეთი მოსაზრება კეინსს არარეალისტურად მიაჩნდა. მის თეორიაში სრული დასაქმებისათვის აუცილებელი ინვესტიციური მოთხოვნის (ინვესტიციების) შექმნა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ვინაიდან ეკონომიკის თვითრეგულირების საწყისებზე ფუნქციონირება ამას ვერ უზრუნველყოფს.

რა განსაზღვრავს ინვესტიციების რეალურ მოცულობას?

კეინსის აზრით, ის ორ სიდიდეზეა დამოკიდებული:

1) *კაპიტალდაბანდებებისაგან მოსალოდნელ შემოსავალზე ან მათ ზღვრულ ეფექტიანობაზე: ე.ი. კაპიტალის უკანასკნელი ინვესტირებული ერთეულისაგან მისაღებ შემოსავალზე;*
2) *პროცენტის ნორმაზე.*

მეწარმეები აგრძელებენ კაპიტალის ინვესტირებას, სანამ კაპიტალდაბანდების ზღვრული ეფექტიანობა პროცენტზე მაღალია. ამასთან ინვესტიციებისაგან მოსალოდნელი შემოსავალი (ზღვრული ეფექტიანობა) ძალზე მგრძნობიარეა პესიმისტური განწყობილების და პანიკის მიმართაც. მისი პროცენტის ნორმამდე მოულოდნელი დაწევა შეიძლება ღრმა დეპრესიის მიზეზი გახდეს.

ნეოკლასიკოსები თვლიდნენ, რომ პროცენტის ნორმა იმყოფება (განისაზღვრება) დაგროვების და ინვესტიციების გრაფიკების გადაკვეთის წერტილზე (აქედან მათ გამოჰყავდათ ინვესტიციების და დანაზოგების ავტომატურად მუდმივი ტოლობა). კეინსი კი თვლიდა, რომ პროცენტი თვითონ განაპირობებს ინვესტიციების საბოლოო მოცულობას და მარტო მათ მიერ კი არ განისაზღვრება.

როგორც უკვე აღინიშნა, კეინსის თეორიაში პროცენტი უპირველესად ფსიქოლოგიური ხასიათის მოვლენაა, ფულის ლიკვიდურ ხასიათზე უარის თქმის საფასურია. არამყარი კონიუნქტურა განამტკიცებს ფულის ბაზარზე „ლიკვიდურობისადმი მიდრეკილებას"; ფულის ბაზრის სტიმულირება კი ამცირებს (ასუსტებს) „ლიკვიდურობის მჯობინებას" და, მასთან ერთად, დაბლა სწევს პროცენტის განაკვეთს.

კეინსის თეორიაში პროცენტი ავტონომიურ „მონეტარულ ფენომენს" წარმოადგენს. ის სტიქიურად დგინდება ფულზე (კაპიტალზე) მოთხოვნისა და ფულის მიწოდების შეჯერების შედეგად (მოთხოვნას „ლიკვიდურობის მჯობინების" კანონი არეგულირებს, მიწოდებას — მიმოქცევაში ფულის ოდენობა).

კითხვები და სასწავლო დავალებები

1. თემაში საუბარი გვქონდა „ექსპანსიაზე" და„შეკავებაზე". თემის გაცნობის შემდეგ უპასუხეთ, როდის უნდა გატარდეს ერთი ან მეორე პოლიტიკა.
2. ახსენით ან შეაფასეთ შემდეგი მტკიცება: „XXI საუკუნის ეკონომიკურ რეალობაში „უხილავი ხელი" უკვე ძველებურად ვერ მოქმედებს".
3. რა საშუალებების გამოყენებას გულისხმობს ეკონომიკური სტაბილიზაციის კეინსური მეთოდი:
   ა) უმუშევრობის შემცირებისათვის?
   ბ) კონიუნქტურის გადახურების ლიკვიდაციისა და ინფლაციის მოსპობისათვის (შემცირებისათვის)?
4. როგორ გესმით მოთხოვნის სტიმულირების და შეკავების პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი?
5. დაახასიათეთ მაკროეკონომიკური წრებრუნვიდან მოთხოვნის გადინების და ბრუნვაში ინიექციების ეფექტი.
6. როგორ ფიქრობთ, შეიძლება არსებობდეს მაღალი უმუშევრობა, თუ თავისუფალი სამუშაო ადგილების რაოდენობა უმუშევართა რაოდენობაზე მეტია. შეეცადეთ გასცეთ ამ კითხვაზე პასუხი კლასიკოსებისა და კეინსელების პოზიციებიდან.
7. რა დამოკიდებულებაშია, თქვენი აზრით, ეკონომიკის კონიუნქტურასთან ინფლაცია და უმუშევრობა და როგორი პოლიტიკა უნდა გაატაროს ხელისუფლებამ მაღალი და დაბალი კონიუნქტურის დროს?
8. აქვს თუ არა ადგილი მოთხოვნის ზრდას ინფლაციის პირობებში? ასტიმულებს თუ არა ინფლაციური ფასები საქონლის წარმოებას და მიწოდების ზრდას?
9. ეთანხმებით თუ არა დებულებას: „ეკონომიკის განვითარებას ციკლური ხასიათი აქვს. ამის საზოგადოების ფუნქციონირებაზე უარყოფითი მოქმედების შემცირებისათვის აუცილებელია მიზანმიმართული სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა". დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
10. რაში ხედავთ ძირითად განსხვავებას ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებისადმი ნეოკლასიკურ და კეინსურ მიდგომებში?
11. რა არის მაკროეკონომიკური წონასწორობა?
12. როგორ განასხვავებთ თქვენ მაკროეკონომიკური წონასწორობის დამყარების კლასიკურ და კეინსურ მიდგომებს?

სავარჯიშო ტესტები

შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი

1. გაფართოების ექსპანსიონისტური პოლიტიკა (უმუშევრობის შემცირების პოლიტიკა) გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას:
   1) გადასახადების შემცირება;
   2) სახელმწიფო ხარჯების შემცირება;
   3) საპროცენტო განაკვეთის შემცირება;
   4) ბაზარზე ზოგიერთ საქონელზე ფასის სახელმწიფო რეგულირება.

2. რესტრიქციული (შეზღუდვითი) ეკონომიკური პოლიტიკა, ანუ ინფლაციაზე ზემოქმედების რეცეპტი, გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას:
   1) სახელმწიფო ხარჯების გაზრდა;
   2) საპროცენტო განაკვეთის გაზრდა;
   3) გადასახადების გაზრდა;
   4) იმპორტის გაზრდა.

3. ეკონომიკური თეორიის კლასიკოსები (კლასიკური თეორია) თვლიდნენ, რომ:
   1) საბაზრო ეკონომიკაში მაკროეკონომიკური წონასწორობის საკითხი არ არის აქტუალური, ვინაიდან ის ავტომატურად, თვითრეგულირების საწყისებზე ყალიბდება;
   2) მაღალი უმუშევრობის თავიდან ასაცილებლად ეკონომიკაში სახელმწიფოს ერთგვარი ჩარევაა საჭირო;
   3) ეკონომიკაში პერმანენტულად აქვს ადგილი დანაზოგების და ინვესტიციების ტოლობას;
   4) არც ერთი აქ ჩამოთვლილი მოსაზრება არ ეკუთვნის კლასიკურ ეკონომიკურ თეორიას.

4. ეკონომიკური თეორიის კლასიკოსების აზრით, საბაზრო ეკონომიკა სტაბილურად განწონასწორებულია და ეს უკავშირდება შემდეგს:
   1) ერთობლივი ხარჯები იმავდროულად ერთობლივი (ეროვნული) შემოსავალია;
   2) დანაზოგები ინვესტიციების ტოლია და ამას საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ავტომატურად განაპირობებს;
   3) ყველა ბაზარზე ფასები ელასტიკურია;
   4) ხელისუფლება ფულად-საკრედიტო პოლიტიკით ხელს უწყობს ბაზარზე წონასწორობის დამყარებას.

5. კეინსის აზრით, მაკროეკონომიკურ წონასწორობას ეკონომიკაში განაპირობებს ადამიანების მიდრეკილება:
   1) მოხმარებისადმი;
   2) მოგებისადმი;
   3) დაზოგვისადმი;
   4) ინვესტიციებისადმი.

6. კეინსის თეორიის შესაბამისად ციკლური უმუშევრობის შემცირების მიზნით საჭიროა:
   1) გაიზარდოს სახელმწიფო ხარჯები;
   2) შემცირდეს სახელმწიფო ხარჯები;
   3) გაიზარდოს გადასახადები;
   4) შემცირდეს გადასახადები.

7. კეინსის თეორიის შესაბამისად ინფლაციის შესამცირებლად ხელისუფლებამ (ცენტრალურმა ბანკმა):
   1) უნდა შეამციროს სახელმწიფო ხარჯები;
   2) უნდა გაზარდოს სახელმწიფო ხარჯები;
   3) უნდა შეამციროს საპროცენტო განაკვეთი;
   4) უნდა გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი.

თემა VII



ღია ეკონომიკა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები

თავი 1. შრომის საერთაშორისო დანაწილება და ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები

შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას, რომელიც ძირითადი მიზეზია ადამიანებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების აუცილებლობის და წარმოების სასაქონლო ხასიათისა, ადგილი აქვს არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნებს შორისაც. კაპიტალისტური წარმოების წესის დამყარებასთან ერთად, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ მსოფლიო ბაზრის შექმნა განაპირობა. ამავდროულად მსოფლიო ბაზარი ფაქტობრივად კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური წესრიგის წინაპირობა (წანამძღვარი) იყო. განვითარების მანქანურ სტადიამდე შრომის საერთაშორისო დანაწილება თავის ბუნებრივ საფუძველს ეყრდნობოდა — თუ როგორია ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობები, გეოგრაფიული მდებარეობა, ენერგეტიკული რესურსები. სამრეწველო რევოლუციიდან დაწყებული, სპეციალიზაციის და კოოპერირების ბუნებრივ პირობებთან კავშირი მეტ-ნაკლებად სუსტდება; ინდუსტრიული ზრდის სტადიისათვის კი დამახასიათებელია სპეციალიზაციის უპირველესად ტექნიკურ ფაქტორებთან კავშირი, აქედანვე იწყება მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობების სიმძიმის ცენტრის, მიმოქცევის სფეროსთან ერთად, წარმოების სფეროში გადანაცვლება.

დღევანდელი მსოფლიო მეურნეობა ინტეგრირებული ერთობლივი კომპლექსია, რომლის შემადგენელი ნაწილები (ეროვნული ეკონომიკები) მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. ამ ერთობლიობაში სხვადასხვა ქვეყნების ჩართვის ინტენსივობა დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, მათი მწარმოებლური ძალების განვითარებაზე. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მჭიდრო და ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთობები აქვს მას გარე სამყაროსთან.

ამასთან ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაცია, მათი საწარმოო ძალების ინტერნაციონალიზაცია სასარგებლოა როგორც მთლიანად ამ ურთიერთკავშირებით მოცული სახელმწიფოებისათვის, ისე თითოეული მათგანისათვის. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა ხელს უწყობს და უზრუნველყოფს მასში მონაწილე ქვეყნების საწარმოო შესაძლებლობების მაღალი ეფექტიანობით გამოყენებას, ე.ი. მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღებას. საწარმოო ძალების განვითარების ამჟამინდელი დონე, **შეზღუდული რესურსების უკეთესად, მეტი უკუგებით გამოყენების აუცილებლობა განაპირობებს იმას, რომ დღევანდელ პირობებში არც ერთი ქვეყნისათვის არ არის მიზანშეწონილი „ყველაფერი თავისი ჰქონდეს“**. ეკონომიკური ინტეგრაცია და ქვეყნებს შორის თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობები უზრუნველყოფს მათში ჩართულ ქვეყნებში მატერიალური და ადამიანური რესურსების, მთლიანად წარმოების ფაქტორების (ეკონომიკური რესურსების) რაციონალურად გამოყენებას. ამასთან აუცილებელია, რომ ეს ურთიერთობები მაქსიმალურად დეპოლიტიზებული იყოს და მათში მონაწილე ყველა ქვეყანა განუხრელად იცავდეს, ასე ვთქვათ, თამაშის ერთიან ცივილიზებულ წესებს, მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებულ **საერთაშო-**

რისო ეკონომიკური უშიშროების (უსაფრთხოების) კონცეფცია. ამ კონცეფციის ძირითადი პრინციპებია:

- ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში არ უნდა ჰქონდეს ადგილი რომელიმე მათგანის ეკონომიკის ზარალიანობას სხვათა გამიზნული მიზეზით;
- სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილი უთანხმოებების მოწესრიგება-მოგვარება უნდა მოხდეს მშვიდობიანი გზით, ძალის რეალური გამოყენების თუ გამოყენების საშიშროების (მუქარის) გარეშე;
- საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები არ უნდა იყოს გამოყენებული არც ერთი ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნების ეკონომიკის დასუსტების მიზნით (ვთქვათ, ეკონომიკური ბლოკადა, თუ კი ეს არ არის დაწესებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, როგორც იყო, მაგალითად, 90-იან წლებში ერაყის და იუგოსლავიის მიმართ);
- დაუშვებელია ეკონომიკური ურთიერთობების გამოყენება სხვა ქვეყნების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში ჩარევის მიზნით (აქაც გამონაკლისები შეიძლება დაშვებულ იქნეს გაეროს გადაწყვეტილებით, თუკი ადგილი აქვს ადამიანის უფლებების მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებული ნორმების დარღვევას, მაგალითად, ხალხის გენოციდს).

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ავკარგიანობის საკითხი ყოველთვის ეკონომიკური კვლევის ცენტრში იყო. მნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ მას მერკანტილისტები. დიდია ამ პრობლემის კვლევაში **დევიდ რიკარდოს** როლი, რომელსაც საერთოდ ბევრი ნოვატორული ღვაწლი მიუძღვის პოლიტიკურ ეკონომიაში. რიკარდომ პირველად ჩამოაყალიბა **„შედარებითი უპირატესობის" თეორია, რომლის თანახმად ორმა ქვეყანამ იმ შემთხვევაშიც კი შეიძლება ერთმანეთთან ვაჭრობისაგან სარგებლობა მიიღოს, როდესაც ერთ-ერთ მათგანში ყველა საქონელთა წარმოება უფრო ეფექტიანია, ვიდრე მეორეში. ამ თეორიის შესაბამისად ყოველი ქვეყანა იმ საქონლის წარმოებაზე უნდა დასპეციალიზდეს, რომლის შექმნა (გამოშვება) ყველაზე ნაკლებ დანახარჯებს (რესურსს) მოითხოვს და ყველაზე უკეთეს ხარისხს უზრუნველყოფს.** ამით ის შეძლებს მიაღწიოს საზოგადოებრივი წარმოების ზრდას, ხოლო სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის შედეგად მომხმარებლები მიიღებენ საშუალებას დაეუფლონ უფრო მეტ სიკეთეს და უკეთ დაიკმაყოფილონ მოთხოვნილებები, ვიდრე ამას შეძლებდნენ ასეთი სპეციალიზაციისა და ვაჭრობის გარეშე.

შეფარდებითი უპირატესობის დასაბუთება (დ. რიკარდოს მაგალითი).

ავიღოთ ორი ქვეყანა — ინგლისი და პორტუგალია და ორი საქონელი — ღვინო და მაუდი. მათი წარმოების დანახარჯები გავზომოთ სამუშაო დროით. დავუშვათ, რომ ასეთი დანახარჯი შესაბამისი საქონლის წარმოებაზე არის:

საქონელი	ინგლისი	პორტუგალია
ღვინის ერთი ერთეული	3 სამუშაო დღე	1 სამუშაო დღე
მაუდის ერთი ერთეული	4 სამუშაო დღე	2 სამუშაო დღე

როგორც მაგალითიდან ჩანს, ორივე საქონლის წარმოება პორტუგალიაში აბსოლუტურად უფრო მოგებიანია (სასარგებლოა), ვიდრე ინგლისში. კეთილგონიერების (რაციონალური) პოზიციიდან გამომდინარე, პორტუგალიისათვის თითქოსდა აზრი არა აქვს აქ დასახელებულ საქონელთა ინგლისში შეძენას (ე.ი. ინგლისთან ვაჭრობას).

მაგრამ დ. რიკარდო აბსოლუტურ კი არა შეფარდებით ეფექტს მისდევდა. ასეთი მიდგომის პირობებში კი პორტუგალიის დანახარჯები მაუდზე შეადგენს 2:1 ღვინის წარმოების დანახარჯებთან მიმართებაში, ინგლისში კი, შესაბამისად, 4:3; ე.ი. ინგლისში მაუდის შეფარდებითი ხარჯები პორტუგალიაში გასაწევ ხარჯებზე ნაკლებია (4/3<2/1).

ღვინოსთან მიმართებაში საპირისპირო მოვლენას ვხედავთ: მისი პორტუგალიაში წარმოება უფრო ეფექტიანია, ვიდრე ინგლისში, ანუ შეფარდებითი ხარჯები უფრო დაბალი (1/2<3/4).

გამოდის, რომ პორტუგალიის ეროვნული ეკონომიკისათვის უფრო მაღალი ეფექტიანობის მისაღებად მიზანშეწონილია მთლიანად შრომის (ასევე სხვა საჭირო რესურსის) ღვინის წარმოებაზე გამოყენება, ხოლო მაუდის ინგლისიდან შემოტანა. იგივე მიზეზებით ინგლისისათვის სასარგებლოა რესურსების მთლიანად მაუდის წარმოებისათვის გამოყენება, ხოლო ღვინის პორტუგალიიდან შემოტანა.

თუ მაუდის და ღვინის წარმოება ამ პრინციპებზე დაყრდნობით მოეწყობა ორივე ქვეყანაში და ეს ქვეყნები ერთმანეთთან ივაჭრებენ, ორივე ქვეყანა მოგებული დარჩება (ჯამში ინგლისში და პორტუგალიაში მეტი იქნება წარმოებული და მოხმარებული როგორც ღვინო, ისე მაუდი).

მე-20 საუკუნეში საგარეო ვაჭრობის (**საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების**) თეორიის დამუშავება-სრულყოფაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ცნობილი შვედური ეკონომიკური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელს **ბერტილ ულინს (1899-1979)**. მის მთავარ ნაშრომში „რეგიონთაშორისო და საერთაშორისო ვაჭრობა“ გადმოცემულია შედარებითი (შეფარდებითი) უპირატესობის თანამედროვე თეორია (**ჰეკშერ-ულინის მოდელი**). მის შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების შედეგად სხვადასხვა ქვეყნები ბოლოს და ბოლოს იმ საწარმოო ფაქტორებზე ჩერდებიან (სპეციალიზდებიან), რომლებიც მათ გააჩნიათ. იმ ქვეყანაში, სადაც სამუშაო ძალის შეფარდებითი ზედმეტობაა, შრომის შედარებით დაბალი ანაზღაურების შედეგად იაფდება შრომატევადი საქონელი და ის კონკურენტუნარიანი ხდება მსოფლიო ბაზარზე. კაპიტალტევადი ეკონომიკის ქვეყანაში სწორედ ასეთი საქონელია კონკურენტუნარიანი. ამ ქვეყნებს შორის ვაჭრობა კი წარმოების ფაქტორების (ე.ი. ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობების) განსხვავების გამოთანაბრების საშუალება ხდება. ამ თეორიის შექმნისათვის ბ. ულინს 1977 წელს ნობელის პრემია მიენიჭა.

თავი 2. საერთაშორისო (საგარეო) ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი ფორმები

ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები მრავალფეროვანია, ჩვენ კი მათ სამ ძირითად (ტრადიციულ) ფორმაზე შევჩერდებით. ესენია **საგარეო ვაჭრობა, კაპიტალის გატანა და საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები**. ამასთან აღვნიშნავთ, რომ დღევანდელ პირობებში მეტად აქტუალურია აგრეთვე სამუშაო ძალის მიგრაციასთან, ქვეყნებს შორის წარმოების კოოპერაციასთან, მეცნიერების და ტექნიკის მიღწევების გაცვლასთან დაკავშირებული ურთიერთობები.

საგარეო ვაჭრობა

საგარეო ვაჭრობა არის ამა თუ იმ ქვეყნის (მისი სამეურნეო სუბიექტების) ვაჭრობა სხვა სახელმწიფოებთან (მათ სამეურნეო სუბიექტებთან), რომელიც საქონლის გატანით (**ექსპორტი**) და შემოტანით (**იმპორტი**) ხორციელდება. ის გამოხატავს მოცემული ქვეყნის მონაწილეობას მსოფლიო საქონელბრუნვაში; ერთობლიობაში ეს არის **საერთაშორისო ვაჭრობა**, რომელსაც საფუძვლად **შრომის საერთაშორისო დანაწილება** უძევს.

საგარეო ვაჭრობა, როგორც ქვეყნის საგარეო კავშირების სისტემის ერთ-ერთი ძირითადი რგოლი, ეკონომიკის განსაკუთრებული დარგია. მას შეუძლია არსებითი როლი შეასრულოს სახალხო მეურნეობის ტექნიკურ გადაიარაღებასა და ეკონომიკის დარგების მოდერნიზაცია-

ში, ხელი შეუწყოს მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილებას. საგარეო ვაჭრობის ხასიათსა და დონეს ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება განსაზღვრავს.

საგარეო ვაჭრობა ჯერ კიდევ მონათმფლობელური წარმოების წესის პირობებში წარმოიქმნა, მაგრამ კაპიტალიზმის დამყარებამდე ის მოიცავდა წარმოებული პროდუქციის უმნიშვნელო ნაწილს და ემსახურებოდა (აკმაყოფილებდა) საზოგადოების მეტად მცირე ნაწილის (უპირველესად გაბატონებული წრეების) პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

კაპიტალიზმის ეპოქაში კი (და განსაკუთრებით მე-20 საუკუნეში) საგარეო ვაჭრობა მკვეთრად გაიზარდა, ამ ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად აღემატებოდა სამრეწველო წარმოების (და საერთოდ ერთობლივი, მთლიანი პროდუქტის წარმოების) ტემპებს. შესაბამისად, იზრდებოდა საიმპორტო და საექსპორტო კვოტები[1], ექსპორტის და იმპორტის ხვედრითი წონა მთლიან შინა პროდუქტში (ის განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, 10%-ზე მეტია). ეს მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ინტერნაციონალიზაციის ტენდენციის მნიშვნელოვან განმტკიცებაზე მიანიშნებს.

საგარეო ვაჭრობის (და საერთოდ საგარეო ურთიერთობების) გაფართოება შედეგია ქვეყნებსა და ტერიტორიებს (მათ სამეურნეო სუბიექტებს) შორის წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაღრმავებისა, მათ მიერ სხვადასხვა საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმებების გატარებისა, რაც ხელს უწყობს მეწარმეობრივი საქმიანობის ეფექტიანობის საერთო ზრდას, ეკონომიკური ფაქტორების გამოყენებაში უფრო მაღალი შედეგების მიღებას. ასეთ შემთხვევაში წარმოება ჯამურად ყველა ქვეყანაში უფრო მეტი იქნება, ვიდრე მაშინ, თუ ყოველი მათგანი გადაწყვეტდა ყველა პროდუქციის წარმოებას. **მსოფლიო ეკონომიკისათვის უფრო სასარგებლოა (იაფია), თუ ყოველი ქვეყანა იმ პროდუქციაზე დასპეციალიზდება, რომლისთვისაც მას ყველაზე მეტი საწარმოო უპირატესობები გააჩნია.**

აღსანიშნავია, რომ საგარეო-ეკონომიკური (მ.შ. სავაჭრო) კავშირების განმტკიცებას განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი აქვს განვითარებულ ქვეყნებს შორის ურთიერთობებში. ამასთან ვაჭრობაში მკვეთრად გამოკვეთილია მზა პროდუქციის და სხვადასხვა სახის მომსახურების შემოტანა — გატანის კუთრი წონის ზრდის ტენდენცია (გაეროს მონაცემებით, მომსახურების ხვედრითი წონა მსოფლიო ეეპ-ში 46%-ის ტოლია); ასე რომ საგარეო ვაჭრობა დღევანდელ პირობებში განვითარებული ქვეყნების ერთობლივი ეროვნული პროდუქტის წარმოების და რეალიზაციის (და საერთოდ საზოგადოებრივი კვლავწარმოების) სერიოზულ მასტიმულირებელ და უზრუნველმყოფ ფაქტორად გვევლინება. ვაჭრობის გაფართოება და გაღრმავება ხელს უწყობს, ერთი მხრივ, წარმოების მასშტაბის და ეფექტიანობის ზრდას, მეორე მხრივ, ამტკიცებს და ამაგრებს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულება-თანამშრომლობას.

კაპიტალის გატანა

კაპიტალიზმის დროს (მ.შ. უპირატესად მე-20 საუკუნეში), საგარეო ვაჭრობასთან ერთად, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა კაპიტალის გატანამ. **კაპიტალის გატანა არის სამეურნეო სუბიექტების ან სახელმწიფოს მიერ ქვეყანაში შექმნილი ღირებულების (ფასეულობის) სხვა ქვეყანაში გატანა ფულად ან საქონლო ფორმაში მეწარმეობრივი საქმიანობის ორგანიზაციისა და შინა სახელმწიფოებრივ შესაძლებლობებთან შედარებით მეტი მოგების მისაღებად ან დახმარების მიზნით. ქვეყნების ეკონომიკების ინტეგრაცია, მათ ურთიერთდამოკიდებულებაში თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების გაფართოება-განმტკიცება ხელს უწყობს კაპიტალის სახელმწიფოებს შორის მიგრაციას.** მსოფლიო მეურნეობის განვითარებაში (ისევე როგორც თვით ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირებაში) პერმანენტულ ხასიათს ატარებს ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილებები, როდესაც სხვადასხვა რეგიონებში, დარგებში და სტრუქტურებში ყალიბდება მოგების სხვადასხვა (ამასთან ზოგჯერ მნიშვნელოვნად განსხვავებული) ნორმები. კაპიტალი კი იქ მიისწრაფვის, სადაც მეტ მოგებას ელოდება.

[1] კვოტა (ლათ. Quota - თითოეულის წილი) — წილი, რომლის გადამეტება არ შეიძლება.

ამ მხრივ საყურადღებოა კაპიტალის მიგრაციის შემდეგი საერთო ტენდენცია, რომელიც მე-20 საუკუნეში აღინიშნა: თუ საუკუნის პირველ ნახევარში კაპიტალი ძირითადად განვითარებული ქვეყნებიდან სუსტად განვითარებულ ქვეყნებში მიემართებოდა, სადაც მას შედარებით უფრო იაფი ბუნებრივი რესურსები და სამუშაო ძალა იზიდავდა, საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალმა პირი მნიშვნელოვანწილად განვითარებული ქვეყნებისაკენ იბრუნა, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია დაჩქარებულ მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან (მის მიერ ეკონომიკაში გამოწვეულ სტრუქტურულ ცვლილებებთან), აგრეთვე განვითარებულ ქვეყნებში არსებულ უფრო სტაბილურ პოლიტიკურ მდგომარეობასთან და ნაკლებ რისკთან.[1]

პირდაპირი საგარეო ინვესტიციების მატების ტემპები განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, უფრო მაღალია, ვიდრე მთლიანი შინა პროდუქტის წარმოების ზრდის ტემპები. ბოლო პერიოდში საფრანგეთში და ინგლისში უცხოური ინვესტიციების წყალობით იწარმოება გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ერთი მეხუთედი, იტალიაში — ერთი მეოთხედი, გერმანიაში თითქმის ერთი მესამედი. კაპიტალის ტრადიციული ექსპორტიორები — ინგლისი და აშშ დღეს მის მთავარ იმპორტიორებად გამოდიან. გასაკვირი არ არის, რომ ქვეყნებს შორის კაპიტალის მოზიდვისათვის სერიოზული კონკურენცია არსებობს.

კაპიტალის მიგრაციის ინტენსივობის გაღრმავებას, გარდა ზემოაღნიშნული სუფთა ეკონომიკური მიზეზებისა, მე-20 საუკუნეში (ესეც განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში) და 21-ე საუკუნის დასაწყისში ისიც განაპირობებდა, რომ განვითარებული ქვეყნები, სხვადასხვა საერთაშორისო ეკონომიკური სტრუქტურები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვა) განვითარებადი ქვეყნებისადმი ფართო მასშტაბების დახმარების ღონისძიებებს ახორციელებდნენ. ასეთი დახმარების ერთ-ერთი მიზანია (გარდა ზოგ შემთხვევაში პირდაპირი შიმშილისაგან თუ სხვა კატაკლიზმებისაგან გადარჩენისა), როგორც წესი, ამ ქვეყნებში დემოკრატიის განმტკიცებისათვის და თავისუფლების განმტკიცება-დაცვისათვის, ეკონომიკაში თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების დამყარებისათვის ხელის შეწყობა იყო.

კაპიტალის გატანა ორი ფორმით ხდება:

- როგორც **მეწარმეობრივი კაპიტალისა** (ეს არის დაბანდებები მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და ეკონომიკის სხვა დარგებში);
- როგორც **სასესხო კაპიტალისა** (ეს არის სესხები სახელმწიფოებს, სხვა ქვეყნის ქალაქებს, ბანკებს, კომპანიებს შორის).

მეწარმეობრივი ფორმით კაპიტალის გატანაც ორ ნაწილად იყოფა: 1) **პირდაპირი კაპიტალდაბანდებები** უწინარესად სამრეწველო და მატერიალური წარმოების სხვა დარგების, აგრეთვე სავაჭრო და საბანკო კომპანიების აქციებში, რაც ინვესტორს ამ კომპანიების მთლიანად განკარგვის ან კონტროლის საშუალებას აძლევს (ამისათვის, როგორც წესი, აღწევენ 50%-ზე მეტი აქციის, ანუ აქციების საკონტროლო პაკეტის, ფლობას); 2) **პორტფელური დაბანდებები**, რაც კაპიტალის დამბანდებელს ფორმალურად ასეთ მთლიან უფლებებს არ აძლევს. კაპიტალის პირდაპირი დაბანდება არ არის რაღაც დროით შეზღუდული, აქ ინვესტორი თვითონ განაგებს თავის კაპიტალს მისი დაბანდების მთელ პერიოდში.

მესაკუთრის მიერ კაპიტალის ქვეყნის გარეთ პირდაპირ დაბანდებასთან ერთად (რასაც პირველ რიგში გიგანტური ტრანსნაციონალური კომპანიები აწარმოებენ), ფართოდ არის გავრცელებული კაპიტალის გასესხება — საერთაშორისო კრედიტი. **საერთაშორისო კრედიტი** არის ერთი ქვეყნის (მისი სამეურნეო სუბიექტების, ზოგჯერ კი სახელმწიფოს) ფულად-სასაქონლო რესურსების მეორე ქვეყნისათვის (მისი სამეურნეო სუბიექტებისათვის) სესხის სახით დროებით სარგებლობაში გადაცემა სასესხო პროცენტის გადახდის პირობით. კრედიტის გაცე-

[1] სწორედ ამან განაპირობა უპირველესად ის მდგომარეობა, რომ XX საუკუნის ბოლო ათეული წლები ხასიათდებოდა მსოფლიოს ქვეყნებს შორის სოციალურ-ეკონომიკური დიფერენცირების გაღრმავებით. 80-იანი წლების ბოლოს მოსახლეობის ერთ სულზე ეეპ-ის მოცულობა ყველაზე დაბალი განვითარების ქვეყნებში (40 სახელმწიფოზე მეტი 400 მილიონი მოსახლეობით) 4-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში, და 50-ჯერ ნაკლები განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით.

მის (აღების) პირობები აღინიშნება კრედიტორს (გამსესხებელს) და დებიტორს (მსესხებელს) შორის დადებულ ხელშეკრულებაში.

გასესხების ვადის მიხედვით არსებობს მოკლევადიანი (ერთ წლამდე), საშუალოვადიანი (ერთზე მეტიდან ხუთ წლამდე) და გრძელვადიანი (ხუთ წელზე მეტი ვადით) კრედიტი. იმის მიხედვით, თუ ვის მიერ ხდება რესურსების გასესხება, **არსებობს კერძო (ეს თავისთავად იყოფა საბანკო და საფირმო კრედიტებად) და სამთავრობო (სახელმწიფო) საერთაშორისო კრედიტი, აგრეთვე კრედიტი, რომელსაც გასცემენ რეგიონალური თუ საერთაშორისო ორგანიზაციები.**

სამთავრობო კრედიტს გასცემენ სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებები; ასეთი კრედიტის პირობები ჩვეულებრივად კერძო კრედიტზე უფრო შეღავათიანია (დაბალი პროცენტი, ზოგ შემთხვევაში საერთოდ უპროცენტო, ხენგრძლივი ვადა, შეიძლება იყოს სუბსიდია-ჩუქებაც კი). **საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციები კრედიტს გასცემენ უპირატესად საერთაშორისო სავალუტო ფონდის და რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (მსოფლიო ბანკის) მეშვეობით, რომლებიც არა მარტო კრედიტის გამცემად, არამედ მნიშვნელოვანწილად მთელი საერთაშორისო კრედიტის კოორდინატორებად გამოდიან. საერთაშორისო კრედიტი, როგორც წესი, მიზნობრივია და გაიცემა გარკვეული საქონლის შესაძენად, ეკონომიკური განვითარების კონკრეტული ღონისძიებების და პროგრამების შესასრულებლად.**

კაპიტალის მეწარმეობრივად გატანისას ფასიანი ქაღალდები (აქციები) დივიდენდებს იძლევა, სესხად გატანისას კი (ობლიგაციების საშუალებით) პროცენტს.

უცხოური კაპიტალი, თუ მისი ფუნქციონირება ცივილიზებულ მეწარმეობრივ საწყისებზეა დამყარებული, სერიოზული შემოქმედებითი ძალაა, რომლის მოზიდვას დღეს ფაქტობრივად ყველა ქვეყანა ესწრაფვის.

საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები

შრომის საერთაშორისო დანაწილება, ქვეყნებისა და მათ სამეურნეო სუბიექტებს შორის სხვადასხვა სახის ეკონომიკური ურთიერთობების არსებობა განაპირობებს საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების და მათთან დაკავშირებულ სახელმწოფოებრივ თუ სახელმწიფოთაშორისო სავალუტო პოლიტიკის და სავალუტო სისტემების არსებობას.

ისტორიულად ცნობილია სამი **მსოფლიო სავალუტო სისტემა.** კაპიტალიზმის პირობებშიც თავიდან საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს ადრინდელივით პრაქტიკულად პირდაპირ ოქრო ემსახურებოდა — მე-19 საუკუნეში სტიქიურად ჩამოყალიბდა **პირველი სავალუტო სისტემა ოქროს სტანდარტის საფუძველზე** (კაპიტალიზმის დროს მსოფლიო ბაზრის შექმნამ ოქრო მსოფლიო ფულად აქცია), რომელმაც მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე გაძლო. ამ სისტემის ძირითადი შინაარსი ის იყო, რომ ნებისმიერი ქაღალდის ფული თავისუფლად იცვლებოდა ოქროზე მასზე არსებული ოფიციალური კურსით. ოქრო ასრულებდა მსოფლიო საყოველთაო საგადასახდელო საშუალების როლს და ბრუნავდა სახელმწიფოებს შორის.

მეორე სისტემა ჩამოყალიბდა ოქროს ვალუტის საფუძველზე XX საუკუნის 30-იან წლებში; იურიდიული გაფორმება მან 1944 წელს მიიღო **ბრენტონ-ვუდსის კონფერენციაზე. აქ შექმნილი სავალუტო სისტემის შესაბამისად საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მომსახურებაში მთავარი როლი დაკისრებული ჰქონდა ამერიკულ დოლარს, რომელიც ვალუტებს შორის ურთიერთობებში შუამავლის როლს ასრულებდა, თვითონ კი ფაქტობრივად ოქროს იყო მიბმული.** ე.ი. ეს სისტემა რეალურად ოქროს დოლარის სისტემა იყო. დოლარის ოქროთი უზრუნველყოფა კანონით იყო დადგენილი —1968 წლამდე ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ბანკები ვალდებული იყვნენ ჰქონოდათ ოქროს მარაგი მიმოქცევაში გამოშვებული ბანკნოტების არა ნაკლებ 25%-ისა. ამასთან, ოქროს სტანდარტისაგან განსხვავებით, ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემაში მიმოქცევაში მყოფი ქაღალდის ფულის პირდაპირ ოქროზე გაცვლა უკვე არ ხდებოდა.

XX საუკუნის 70-იან წლებში ოქროს ვალუტის სტანდარტის სისტემამ შეწყვიტა ფუნქციონირება — აშშ-მა უარი თქვეს ოფიციალური ფასით დოლარის ოქროზე გაცვლაზე და მიმოქცევაში არსებული ქაღალდის ფულის უზრუნველსაყოფად ოქროს აუცილებელი მარაგის არსებობაზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაწილე ქვეყნებმა 1976 წელს ქალაქ კინგსტონში (იამაიკა) შეათანხმეს ამჟამად არსებული ახალი (**მესამე**) **მსოფლიო სავალუტო სისტემის** ძირითადი პრინციპები. მათში მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამიერიდან ეროვნულმა ვალუტებმა დაკარგა როგორც პირდაპირი, ისე ირიბი (სხვა ვალუტის მეშვეობით) კავშირი ოქროსთან. გამოდის, რომ **ამჟამად ოქრო უკვე არ ასრულებს საყოველთაო საგადახდელო საშუალების როლს**, ის უკვე ამოვარდა თავისუფალი სახელმწიფოთაშორისო ბრუნვიდან: კერძო ბანკები მას თავისუფლად ყიდულობენ ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე შექმნილ ფასებში. ამასთან, მიუხედავად შემცირებისა, დღესაც ჩვეულებრივად მაღალია ოქროს მარაგი (**სავალუტო რეზერვი**), რომელიც გააჩნიათ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო საფინანსო-სავალუტო ორგანიზაციებს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ოქრო კვლავინდებურად წარმოადგენს განსაკუთრებულ საქონელს, სასურველ ლიკვიდურ აქტივს, რომელიც ადვილად იყიდება მყარ ვალუტაზე. ამიტომ მართლზომიერი იქნება აღნიშვნა, რომ ის დღესაც ღირებულების იდეალური საზომია, დღესაც განძეულის დაგროვების ბრწყინვალე საშუალებაა, მნიშვნელოვანწილად მსოფლიო ფულია.

დღევანდელ საერთაშორისო სავალუტო სისტემაში, შეიძლება ითქვას, ორგანულად გაერთიანებულია ეროვნული და მსოფლიო სავალუტო სისტემები.

ეროვნული სავალუტო სისტემის ორგანიზაციის ელემენტებია:

- ეროვნული ვალუტა;
- კონვერტირებადი ვალუტის რეზერვები (ამ ფუნქციის შესრულების თვალსაზრისით, ასეთი ვალუტა მნიშვნელოვანწილად კვლავინდებურად ოქროს ვალუტაა);
- ვალუტის პარიტეტი და სავალუტო კურსის ფორმირების მექანიზმი;
- საგარეო ანგარიშსწორების წესები;
- სავალუტო ურთიერთობების მარეგულირებელი ეროვნული ინსტიტუტების სტატუსი;
- ეროვნული სავალუტო ბაზრის და ოქროს ბაზრის ფუნქციონირების რეჟიმი.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისათვის აუცილებელია, რომ ეროვნული სავალუტო სისტემის ზემოჩამოთვლილი ელემენტები და ფუნქციონირების წესები შეჯერებულ იქნეს მსოფლიო სავალუტო სისტემის ფუნქციონირების მოთხოვნებთან (ეს შეჯერება სახელმწიფოებრივი შეთანხმებებით ხდება). მასში მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო სავალუტო ფონდი ასრულებს, რომელშიც მონაწილეობა, გასაგებია, გარკვეულწილად ზღუდავს ქვეყნების მიერ დამოუკიდებელი სავალუტო პოლიტიკის გატარებას.

მსოფლიო სავალუტო სისტემის (როგორც საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების ორგანიზაციის ფორმის) ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტებია:

- კოლექტიური და ეროვნული სარეზერვო ვალუტები;
- საერთაშორისო ლიკვიდური აქტივების არსებობა, მათი სტრუქტურა;
- ვალუტის კურსის და სავალუტო პარიტეტების მექანიზმი;
- ვალუტების ურთიერთგაცვლის პირობები;
- სავალუტო შეზღუდვები;
- საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციათა სტატუსი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი

საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო (და საერთოდ ეკონომიკური) ურთიერთობების წარმართვა-კოორდინირებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **საერთაშორისო სავალუტო ფონდს. ეს სამთავრობათაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციაა, რომელიც ფუნქციონირებს გაეროს ეგიდით და აკონტროლებს საეართაშორისო სავალუტო სისტემას, არეგულირებს მონაწილე სახელმწიფოებს შორის სავალუტო ურთიერთობებს და აძლევს მათ მოკლევადიან საკრედიტო რესურსებს საგადასახდელო ბალანსის უწონასწორობასთან დაკავშირებული სავალუტო დაბრკოლებების დროს.** ამასთან მის საქმიანობაში ფართოდ არის წარ-

მოდგენილი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კოორდინაცია — რეგულირება; ფონდი აქტიურად მონაწილეობს (მ.შ. საკრედიტო და ტექნიკური დახმარების გაწევით) განვითარებადი და მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი სხვა ქვეყნების ეკონომიკური აღორძინების, მათში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განმტკიცების უზრუნველყოფის საქმეში.

1970 წლიდან **სავალუტო ფონდი უშვებს საერთაშორისო საგადასახდელო და სარეზერვო საშუალებებს** — ნასესხობის (სესხის აღების) სპეციალურ უფლებებს (ინგლისურად **SDR – Special drawing rights**). ეს საერთაშორისო საანგარიშო ერთეულია, მსოფლიო საკრედიტო ფულის თავისებური ნაირსახეობაა. SDR არსებობს როგორც სავალუტო ფონდში სპეციალურ ანგარიშებზე საკრედიტო ჩანაწერები (და არა როგორც ნაღდი ფულის ნიშანი) და გამოიყენება ფონდის წევრი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს შორის ანგარიშსწორებაში. SDR-ის ღირებულება იანგარიშება ე.წ. **„სავალუტო კალათის"** საფუძველზე.[1]

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ფუნქციონირება დაიწყო 1947 წლის მარტიდან როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებულმა ორგანომ. ამას საფუძვლად დაედო ბრეტონ-ვუდსში გამართული გაეროს სავალუტო-საფინანსო კონფერენციის (1944 წ.) მიერ მიღებული შეთანხმება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კაპიტალი იქმნება წევრი სახელმწიფოების შენატანებიდან, გამომდინარე ცალკეული ქვეყნებისათვის დადგენილი კვოტიდან (კვოტა კი განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალისა და მსოფლიო ეკონომიკაში მისი ადგილის შესაბამისად); კვოტების გადასინჯვა ხდება არა უგვიანეს 5 წლისა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდში თავიდან 49 წევრი იყო, ამჟამად კი მასში 150-ზე მეტი ქვეყანა შედის. მისი უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო, რომელშიც თითოეული ქვეყნიდან ერთი წევრი (მმართველი) და ერთი მისი მოადგილეა წარმოდგენილი. ფონდის ყოველ წევრ ქვეყანას აქვს 250 ხმა პლუს ერთი ხმა მისი კვოტის ყოველ 100 000 აშშ დოლარზე. არსებობს აგრეთვე ამა თუ იმ ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო ფონდის ასოცირებულ წევრად მიღების პრაქტიკა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთავარი ოფისი (კანტორა) ვაშინგტონშია.

მსოფლიო ბანკი

მნიშვნელოვანი საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებაა აგრეთვე **რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი**, რომელსაც შემოკლებით **მსოფლიო ბანკს** უწოდებენ. მსოფლიო ბანკი შეიქმნა იგივე ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად. მისი სათაო ოფისიც ვაშინგტონშია, სადაც განლაგებულია აგრეთვე აღმოსავლეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკის, აზიის, ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების რეგიონალური ბიუროები. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკს 20 ქვეყანაში ჰყავს მუდმივი მისიები, რომლებიც ემორჩილება შესაბამის რეგიონალურ ბიუროებს. მსოფლიო ბანკის წევრი ერთდროულად უნდა იყოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი.

შეთანხმების შესაბამისად, თავიდან რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს ხელი უნდა შეეწყო აღდგენითი სამუშაოებისათვის იმ ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკა დაზიანდა მეორე მსოფლიო ომის დროს, გაეწია მათთვის ფინანსური დახმარება. ამჟამად კი მისი საქმიანობის სფერო მკვეთრად გაფართოებულია.

---

[1] *ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებმა 1970 წელს შექმნეს ევროპის სავალუტო სისტემა და ევროპული ვალუტის ერთეული ეკიუ (ინგლ. ECU – Europian currency unit) — პირობითი სავალუტო ერთეული, გაანგარიშებული წევრი ქვეყნების ვალუტების „კალათის" ბაზაზე. ეროვნული ვალუტები მტკიცედ იყო მიბმული ეკიუ-სთან: მათი კურსის გადახრა ეკიუს კურსისაგან დაიშვებოდა მხოლოდ პლუს-მინუს 2,5%-ის ფარგლებში. პერსპექტივაში გაერთიანების სავალუტო კავშირი უნდა გამხდარიყო და გახდა ერთიან სამეურნეო კომპლექსში შემავალი ქვეყნებისათვის ერთიანი ფულადი ერთეული — ასეთი ერთიანი ფული „ევრო" მართლაც შემოღებული იქნა 1999 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისი ქვეყნების ვალუტები გაუქმდა, თავისი ფულადი ერთეული შეინარჩუნა დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც ამჟამად საერთოდ გადის ევროგაერთიანებიდან.*

თავი 3. ვალუტა და ვალუტის კურსი

ვალუტა ამა თუ იმ ქვეყნის ფულადი ერთეულია, მისი საგადასახდელო საშუალებაა. ამერიკის შეერთებული შტატების ვალუტას, როგორც ვიცით, დოლარი ეწოდება, ევროკავშირისას — ევრო, დიდი ბრიტანეთისას — ფუნტი სტერლინგი, რუსეთისას — რუბლი, საქართველოსას — ლარი და ა.შ. ვალუტას ეძახიან აგრეთვე საზღვარგარეთის ფულის ნიშნებს, სხვა საკრედიტო და საგადასახდელო დოკუმენტებს (თამასუქი, ჩეკი და სხვა) საზღვარგარეთულ ფულად ერთეულებში, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო ანგარიშსწორებაში.

ვალუტა მტკიცეა, თუ ის მყარია საკუთარი ნომინალის, ოქროს, ასევე სხვა ვალუტების მიმართ, უზრუნველყოფილია ოქროთი თუ სხვა ლიკვიდური ფასეულობით ან გამაგრებულია სახელმწიფოსადმი ნდობით. **ვალუტა მყარი და კონვერტირებადია, როდესაც ის გარკვეული კურსით შეუფერხებლად იცვლება სხვა ვალუტაზე. ვალუტა შეიძლება იყოს ნაწილობრივ კონვერტირებადი, როდესაც მისი შეუფერხებელი გაცვლა ხდება მხოლოდ არარეზიდენტებისათვის (უცხოელებისათვის). არაკონვერტირებად ვალუტას ჩაკეტილ ვალუტასაც ეძახიან.** მყარი ეკონომიკური ურთიერთობების ქვეყნებმა შეიძლება შექმნან სავალუტო ზონა; მასში შემავალი ქვეყნები სავალუტო ანგარიშსწორებისას უპირატესობას მიანიჭებენ ზონაში შემავალი ერთი ქვეყნის ვალუტას ან შეთანხმდებიან ახალი ვალუტის გამოშვებასა და ერთობლივად გამოყენებაზე, ხოლო სხვა გარე სახელმწიფოების ვალუტისათვის წესდება შეზღუდვები.


ვალუტის კურსი არის ქვეყნის ფულადი ერთეულის ფასი სავალუტო ბაზარზე, გამოხატული მეორე ქვეყნის ფულად ერთეულში, ანუ ის ფასი, რომელსაც ამ ვალუტით იხდიან უცხოური ვალუტის ერთეულზე. მაგალითად, თუ დოლარის კურსი ჩვენ ვალუტასთან მიმართებით 2 ლარია, ეს ნიშნავს, რომ ერთ დოლარზე 2 ლარი უნდა გადავიხადოთ. მაშასადამე, ვალუტის კურსი არის შეფარდება, რომლის შესაბამისად ერთი ქვეყნის ვალუტა იცვლება მეორე ქვეყნის ვალუტაზე. როგორც ყველა დანარჩენი საქონლის ფასს, ვალუტის ფასსაც (მის კურსს) მასზე მოთხოვნა და მიწოდება განსაზღვრავს. ამ კურსის განმაპირობებელია, ერთი მხრივ, გასაყიდად გამოტანილი ვალუტის მოცულობა და ის, თუ რას ითხოვენ (რას ელოდებიან) მის საფასურად გამყიდველები (ვალუტის მიწოდება), და, მეორე მხრივ, რამდენი ვალუტის შეძენა სურთ მყიდველებს და რის გადახდა შეუძლიათ მათ, რის გადახდაზე არიან ისინი თანახმა (ვალუტაზე მოთხოვნა). თუ მოთხოვნა მიწოდებაზე მეტია, მისი გაცვლის კურსი იზრდება. უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის მოცულობას განაპირობებს უცხოურ საქონელ-მოსახურებაზე ქვეყანაში არსებული მოთხოვნილება, აგრეთვე ტურისტების ხარჯები, სხვადასხვა გადახდები, რომლებიც უნდა აწარმოოს ქვეყანამ საზღვარგარეთ, და ა.შ. ვალუტის მიწოდებას კი განაპირობებს ქვეყნის ექსპორტის მოცულობა, სესხები, რომლებსაც ქვეყანა იღებს, და ა.შ.

ქვეყნებს შორის სავალუტო ურთიერთობები ამჟამად ე.წ. **მცურავ კურსს** ეყრდნობა, რომლის საფუძვლად იყენებენ სავალუტო ბაზრებზე მოთხოვნასა და მიწოდების საფუძველზე წარმოქმნილ ვალუტების გაცვლის კურსს. ამ შემთხვევაში ქვეყნები დამოუკიდებლად (ან კოლექტიურად) ცვლიან თვიანთი ვალუტების კურსს უბრალო საკანონმდებლო აქტით. ვალუტის მყიდველობით უნარს კი პერიოდულად განსაზღვრავენ, როგორც წესი, „სავალუტო კალათის“ საფუძველზე, როცა მას უფარდებენ ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ვალუტების შეწონილ კურსს.

ვალუტაზე მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედება შეიძლება ისეთივე გრაფიკზე განვიხილოთ, როგორც ეს გავაკეთეთ ჩვეულებრივ საქონელზე (იხილეთ შემდეგ გვერდზე **ნახ. 7.1.**).

მოყვანილი გრაფიკი სხვა ანალოგიურებისაგან იმით განსხვავდება, რომ ვალუტის ფასს ვალუტის კურსი (სხვა ვალუტაზე გაცვლის შეფარდება) ეწოდება, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე მიწოდებასა და მოთხოვნას შორის შეფარდება გვიჩვენებს სავალუტო კურსის წონასწორობის დონეს.

ვალუტის მიწოდება-მოთხოვნაზე და მის კურსზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს (მათ შორის ეროვნული შემოსავალი და წარმოების დანახარჯების დონე, ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთის დონე, მსოფლიო ბაზარზე ვალუტისადმი არსებული ნდობა და სხვა.), ერთ-ერთი მათგანი კი ინფლაციაა (შეიძლება, ინფლაციის მოლოდინიც): რაც უფრო მეტია მოცემულ ქვეყანაში



ნახ. 7.1. ვალუტის მიწოდება და ვალუტაზე მოთხოვნა. ვალუტის კურსი მიანიშნებს, თუ როგორ შეეფარდება ერთმანეთს ვალუტაზე მოთხოვნა და მისი მიწოდება, აგრეთვე იმას, თუ როგორი ნონასნორობის ფასი ჩამოყალიბდა ბაზარზე.

სხვა ქვეყანასთან შედარებით ფასების ზრდა, მით უფრო უფასურდება მისი ვალუტა და, სხვა თანაბარ პირობებში, მით ნაკლები ფასი ექნება მას ვალუტის ბაზარზე. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მდგომარეობა, რომელიც ხშირად პირველ ფაქტორთან ურთიერთკავშირშია: **რაც უფრო მაღალია ინფლაცია ქვეყანაში, მით უფრო ძვირი ხდება მისი საქონელი მსოფლიო ბაზარზე და მით უფრო რთულდება ვალუტის მოცემული კურსის პირობებში ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის დარეგულირება.**

იმ ქვეყნების ვალუტაზე, რომლებსაც მეტი საქონელი გააქვთ, ვიდრე შემოაქვთ, და ამის წყალობით აქტიური საგადასახდელო ბალანსი აქვთ, როგორც წესი, დიდი მოთხოვნაა სხვა ქვეყნებში, რომლებსაც ეს ვალუტა მოცემულ ქვეყანაში საქონლის შესაძენად სჭირდებათ. ამასთან ქვეყნები, რომლებსაც პასიური საგადასახდელო ბალანსი აქვთ (დეფიციტი), იძულებული არიან იმპორტული საქონლის ღირებულების ასანაზღაურებლად შეიძინონ ბევრი უცხოური ვალუტა.

ეს იმას ნიშნავს, რომ დაბალი ინფლაციისა და საგარეო ვაჭრობაში დადებითი სალდოს მქონე ქვეყნებს ჩვეულებრივად უფრო მყარი ვალუტა აქვთ, მაშინ როდესაც მაღალი ინფლაციისა და დეფიციტური საგარეო ვაჭრობის ქვეყნების ვალუტები სუსტია.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ეს კავშირი ბოლო დროს შედარებით ნაკლებ განმსაზღვრელი ხდება. საქმე ისაა, რომ ვალუტებით ვაჭრობა და საერთოდ საზღვრებზე კაპიტალის მოძრაობა ამჟამად უფრო ინტენსიურად იზრდება, ვიდრე სუფთა საგარეო ვაჭრობა. ეს მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობასთან, რომელიც ძალზე განვითარდა. ისინი ფართოდ მიმართავენ ვალუტებით ვაჭრობას და მდიდრდებიან მათი კურსების ცვლილებებზე თამაშით. ამიტომ არის, რომ ვალუტით მოვაჭრეები ყოველთვის ცდილობენ გადაიყვანონ თავიანთი სახსრები არამყარი ვალუტებიდან მყარ ვალუტებზე, მით უმეტეს, რომ ეს ამჟამად ტექნიკურად მეტად ადვილად კეთდება.

ამავდროულად დღეს ფართოდ არის აღიარებული, რომ სავალუტო კურსებთან აბსოლუტურად თავისუფალი თამაში კარგის მომტანი არ არის საერთაშორისო ეკონომიკური კონიუნქტურისათვის. ამიტომ ბოლო წლებში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები ერთმანეთის მიმართ მყარი სავალუტო კურსის პოლიტიკას უფრო მისდევენ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ **ვალუტის კურსის ცვლილება მტკივნეულად და წინააღმდეგობრივად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე და მის სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტებზე.** ლიტერატურაში საინტერესო შემთხვევა მოჰყავთ: თუ რუსეთში 1993 წლის გაზაფხულზე სერიოზული შიშის გრძნობით აკვირდებოდნენ მანეთის (რუბლის) კურსის დაჩქარებულ დაცემას, იაპონიაში

იმავე გაზაფხულზე კატასტროფად აღიქვამდნენ იენის კურსის მატებას. საქმე ისაა, რომ ვალუტის კურსის ზრდა, რომელიც აიაფებს იმპორტს, მხოლოდ მომხმარებელს აწყობს. ექსპორტზე ორიენტირებული მწარმოებლისათვის კი, როგორც წესი (თუ ის იმპორტულ რესურსზებზე არ მუშაობს), ეს საზიანოა, ვინაიდან ვალუტის კურსის მატება აძვირებს საექსპორტო საქონელს. გაანგარიშებულია, რომ აშშ დოლარის კურსის მხოლოდ ერთი იაპონური იენით დაცემა (ე.ი. იენის კურსის შესაბამისი მატება) საავტომობილო კორპორაცია „ტოიოტას" 6 მლრდ. იენა უჯდება.

მცურავ კურსზე დაყრდნობილი საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების (სავალუტო-საკრედიტო მექანიზმის) საფუძველს დღესდღეობით კვლავინდებურად დოლარი წარმოადგენს, დოლარი ასრულებს ძირითადი საკრედიტო-საგადასახადელო საშუალების ფუნქციას და დღესაც ფაქტობრივად ყველა ქვეყნისათვის მთავარი სარეზერვო ვალუტაა.

თავი 4. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ბალანსი

საქართველოს დღეს დამოუკიდებელი ეკონომიკური ურთიერთობები აქვს გარე სამყაროსთან. ამიტომ სპეციალურ ლიტერატურაში და ეკონომიკური საკითხებისადმი მიძღვნილ ჩვეულებრივ პუბლიკაციებში ხშირად ვხვდებით ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა „საანგარიშსწორებო ბალანსი", „საგადასახდელო ბალანსი", „სავაჭრო ბალანსი" და სხვა. ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგები ბალანსური მეთოდით აისახება, ხოლო ზემომოყვანილი ცნებები ამ ურთიერთკავშირების რეზულტატის ასახვის კატეგორიებია. განვიხილოთ ისინი.

საანგარიშსწორებო ბალანსი

საანგარიშსწორებო ბალანსი არის ქვეყნის იმ მოთხოვნების და ვალდებულებების შეფარდება, რომელიც წარმოიქმნა მისი სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური თუ სხვა კავშირურთიერთობების შედეგად გარკვეულ პერიოდში (მაგალითად, წლის განმავლობაში) ან გარკვეული თარიღისათვის. საანგარიშსწორებო ბალანსი მოიცავს ყველა მოთხოვნას და ვალდებულებას ფულად გამოხატულებაში, მიუხედავად იმისა, თუ როდის უნდა შედგეს მათი დაფარვა (გადახდა), და ამით განსხვავდება საგადასახდელო ბალანსისაგან, რომელიც მხოლოდ მოცემულ პერიოდში მომხდარ გადახდებს შეიცავს (მის თაობაზე საუბარი წინ გვაქვს).

გარკვეული პერიოდის (ასევე გარკვეული თარიღისათვის) საანგარიშსწორებო ბალანსში შედის:

- სავაჭრო ბალანსი (საქონლის ექსპორტი და იმპორტი);
- ოქროსა და ვალუტის გატანა და შემოტანა;
- მომსახურების ბალანსი (დაზღვევა, საკომისიო და სხვა);
- ტურისტების საზღვაგარეთ ხარჯები და შემოსავალი უცხოური ტურიზმისაგან;
- შემოსავალი საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციებისაგან და მათზე გაწეული ხარჯები;
- სამთავრობო შემოსავალი და სამთავრობო ხარჯები საზღვარგარეთ და სხვა.

საანგარიშსწორებო ბალანსის ზემოჩამოთვლილი მუხლები საგადასახდელო ბალანსშიც შეიტანება იმ განსხვავებით, რომ პირველში საქონლის ექსპორტისა და იმპორტის, აგრეთვე მომსახურების ღირებულება აღირიცხება იმის მიუხედავად, მათი მიწოდება — მოწოდება კრედიტად მოხდა თუ ანაზღაურებული იქნა.

საანგარიშსწორებო ბალანსის აქტიური სალდო (ე.ი. მოცემულ პერიოდში მოთხოვნების ვალდებულებებზე მატება) გვიჩვენებს, თუ რა თანხით მეტი კრედიტი გასცა და ინვესტიციები აწარმოვა მოცემულმა ქვეყანამ საზღვარგარეთ (სუფთა სალდო) ან რა მოცულობით მეტი დაფარა (გადაიხადა) უცხოური ვალდებულებები (ვალი); პასიური სალდო (ე.ი. ვალდებულებების მოთხოვნაზე მატება) კი იმაზე მიგვანიშნებს, თუ რა მოცულობით მეტი კრედიტი და

უცხოური ინვესტიციები მიიღო მოცემულმა ქვეყანამ (სუფთა სალდო) ან რამდენით მეტი თანხა დაფარეს (აუნაზღაურეს) მისმა მოვალეებმა. ე.ი. საანგარიშსწორებო ბალანსის სალდო იმის მაჩვენებელია, მოცემული ქვეყანა განსახილველ პერიოდში კრედიტორი იყო თუ მოვალე (დებიტორი) და რა თანხით. მაშასადამე, გარკვეული პერიოდის საანგარიშსწორებო ბალანსი გვიჩვენებს მოცემული ქვეყნის ვალისა და მოთხოვნების ცვლილებებს აღნიშნული დროის ფარგლებში.

საანგარიშსწორებო ბალანსი გარკვეული თარიღისათვის კი არის ამ თარიღისათვის (ვთქვათ, წლის ბოლოსათვის) მოცემული ქვეყნის ყველა ვალის (ვალდებულების) და მოთხოვნის შეფარდება იმის მიუხედავად, თუ როდის წარმოიქმნა ისინი. აქციები, ობლიგაციები, თამასუქები, მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები უცხოურ ბანკებში, უძრავი ქონება, ინვესტიციები, ყველა მოთხოვნა, რომელიც მოცემულ ქვეყანას საზღვარგარეთ ან უცხოური ქვეყნების და მათი სამეურნეო სუბიექტების მიმართ გააჩნია, ამ ქვეყნის აქტივია გარკვეული თარიღისათვის; ამავდროულად უცხოური სუბიექტისადმი ყველა ვალდებულება, მათი ყველა ინვესტიცია მოცემულ ქვეყანაში — ბალანსის პასივია.

ასე რომ გარკვეული თარიღისათვის ქვეყანას შეიძლება აქტიური საანგარიშსწორებო ბალანსი ჰქონდეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ თარიღის წინა პერიოდში (ვთქვათ, წინა წელს) ბალანსი პასიური იყო.

საგადასახდელო ბალანსი

ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საგადასახდელო ბალანსი, ანუ მიმდინარე ოპერაციების ბალანსი. **საგადასახდელო ბალანსი არის გარკვეულ პერიოდში (წელი, კვარტალი, თვე) ქვეყნის მიერ საზღვარგარეთიდან მიღებული და საზღვარგარეთ გადახდილი თანხების შეფარდება.** თუ ქვეყანამ უცხოეთიდან მეტი გადახდები მიიღო, ვიდრე თვითონ აწარმოვა საზღვარგარეთ, სალდო აქტიურია, წინააღმდეგ შემთხვევაში — პასიური.

საგადასახდელო ბალანსში, როგორც წესი, შეიტანება შემდეგი გადახდები და შემოსავლები (შემოსულობანი):

- საგარეო ვაჭრობის ოპერაციებით;
- დაზღვევის და სხვა მიმართულებით;
- საზღვარგარეთ კაპიტალდაბანდებებზე შემოსავლის და უცხოურ ინვესტიციებზე დივიდენდის და პროცენტის განაღდებით;
- საზღვარგარეთ ტურისტების, დიპლომატების, სავაჭრო წარმომადგენლების ხარჯების დაფარვა (გადახდა) და შესაბამისი შემოსავალი უცხოელი სუბიექტებისაგან;
- სხვადასხვა არასავაჭრო გზავნილების გადახდა და შემოსულობანი (მაგალითად, ქვეყნის საზღვარგარეთ მომუშავე მოქალაქეების გზავნილები, საქველმოქმედო ხასიათის გზავნილები და სხვა);
- თანხები, რომლებიც გადაირიცხება საზღვარგარეთ კრედიტის (სესხის) გაცემისას, და თანხები, რომლებიც სხვა ქვეყნებიდან შემოდის როგორც კრედიტი (სესხი).

ბოლო მუხლს **კაპიტალის მოძრაობის ბალანსს** უწოდებენ, დანარჩენები **მიმდინარე საგადასახდელო ბალანსში** შედის.

საანგარიშსწორებო ბალანსისაგან განსხვავებით, საგადასახდელო ბალანსი შეიცავს მხოლოდ მოცემულ პერიოდში მომხდარ გადახდებს და მასში არ შედის გადაუხდელი (აუნაზღაურებელი) მოთხოვნები და ვალდებულებები.

საგადასახდელო ბალანსის აქტიური და პასიური ხასიათი ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური (მ.შ. სავალუტო) მდგომარეობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. მის პასიურ ხასიათს შეიძლება ფულის გაუფასურება მოჰყვეს, თუ ქვეყანას არა აქვს საშუალება დაფაროს ის თავისუფლად კონვერტირებადი სარეზერვო ვალუტით.

სავაჭრო ბალანსი

სავაჭრო ბალანსი არის გარკვეულ პერიოდში ქვეყნის მიერ გატანილი (ექსპორტი) და ქვეყანაში შემოტანილი (იმპორტი) საქონლის ფასების შეფარდება. თუ გატანილი საქონლის ღირებულება სჭარბობს შემოტანილის ღირებულებას, სავაჭრო ბალანსი აქტიურია, თუ შემოტანა გატანაზე მეტია, ბალანსი პასიურია; თუ მათ შორის ტოლობას აქვს ადგილი, იქმნება ე.წ. ნეტო-ბალანსი.

პასიური სავაჭრო ბალანსის მქონე ქვეყანა იძულებულია მისი დეფიციტი გადაფაროს საგადასახდელო ბალანსის სხვა შემოსულობებით (საზღვარგარეთ კაპიტალდაბანდებებზე მიღებული პროცენტებით და დივიდენდებით, უცხოური კაპიტალის სესხად აღებით, სავალუტო რეზერვის გამოყენებით და სხვა.); სავაჭრო ბალანსის მდგომარეობა მნიშვნელოვნად ახასიათებს მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, აქ შექმნილი საქონლის ხარისხსა და კონკურენტუნარიანობას.

სავაჭრო ბალანსი ასახავს იმ საექსპორტო საქონლის და საიმპორტო საქონლის ღირებულების შეფარდებას, რომლებმაც ქვეყნის საზღვარი საანგარიშგებო პერიოდში გადაკვეთა. თუ საქონელი კრედიტად გაიყიდა და მისი ანაზღაურების ვადა არ ემთხვევა მის მიერ საზღვრის გადაკვეთის პერიოდს, ამ შემთხვევაში მიღებული თუ გაცემული კრედიტები ზრდის მოცემული ქვეყნის საანგარიშსწორებო ბალანსის აქტივს და პასივს; საგადასახდელო ბალანსში ეს თანხა ასახვას არ პოულობს.

თავი 5. საგარეო- ეკონომიკური ურთიერთობების შედეგების გაუმჯობესების გზები

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შედეგებს, სავაჭრო ბალანსში გამოიხატება ეს, საგადასახდელოში თუ საანგარიშსწორებოში, დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისათვის, მისი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. ამიტომ ნებისმიერი ქვეყანა ესწრაფვის გააუმჯობესოს ეს შედეგები, შეამციროს ამ ურთიერთობების ბალანსის უარყოფითი სალდო და გაზარდოს დადებითი.

შევჩერდეთ საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესების ზოგიერთ საშუალებაზე.

1. რაკი საგადასახდელო ბალანსის უარყოფით სალდოს ხშირად და უპირატესად იმპორტის ექსპორტზე მატება განაპირობებს, შეიძლება დაიბადოს იმპორტის შემცირების ღონისძიებების გატარების სურვილი. ასეთია, მაგალითად, ბაჟი. **ბაჟი არის სპეციალური გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო აწესებს საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე.** ეს იმისთვის კეთდება, რომ იმპორტული საქონელი უფრო ძვირი გახდეს მომხმარებლისათვის და ამით სამამულო მწარმოებელს გაუუმჯობესდეს ბაზარში კონკურენციის პირობები (რომ მომხმარებელმა პირი იმპორტის ანალოგიური სამამულო საქონლისკენ იბრუნოს, ხოლო იმპორტი შემცირდეს). ამავდროულად ეს ერთგვარად ასტიმულირებს ექსპორტს და არის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი.

   არსებობს იმპორტის ასეთი ხელოვნური შეზღუდვის სხვა საშუალებებიც. შეიძლება, მაგალითად, სახელმწიფომ კანონით შემოიღოს **იმპორტზე სპეციალური კვოტები** ან სპეციალური წესები, რომლებიც გააძვირებს უცხოურ საქონელს (მაგალითად, ლიცენზიები, სანიტარული დანაწესი, ხარისხის გარკვეული მკაცრი ნორმები, რომლებიც სამამულო საქონელზე არ ვრცელდება). ასეთ ღონისძიებებს **„არატარიფიცირებულ შეზღუდვებს“** უწოდებენ (**ტარიფი** ბაჟის უფრო ძველი სახელია). ე.ი. არატარიფიცირებული შეზღუდვები იმპორტის ყველანაირი შეზღუდვის ცნებაა, გარდა ბაჟისა. მთლიანად იმპორტისაგან ქვეყნის ეკონომიკის ან მისი გარკვეული დარგების ასეთ ხელოვნურად შემოღებულ სახელმწიფოებრივ დაცვას **პროტექციონიზმი**[1] ეწოდება.

[1] **პროტექციონიზმი** (ლათ. Protectio) — საფარველი.

საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში პროტექციონიზმს ადრე ფართოდ მიმართავდა თითქმის ყველა ქვეყანა, მაგრამ დღეს პროტექციონისტული პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად უპერსპექტივოდ არის მიჩნეული, ვინაიდან მთელ რიგ პრობლემას ქმნის. ჯერ ერთი, თუ ქვეყანა თავისი ბაზრის დაცვისათვის იმპორტზე შეზღუდვებს შემოიღებს, მისი ექსპორტისადმიც სხვა ქვეყნები ანალოგიურ ზომებს გამოიყენებენ; ეს კი გამოიწვევს შესაბამის დარგებში წარმოების შეკვეცას, უმუშევრობის გაზრდას. თუ ეს პროცესი გაგრძელდა და გაღრმავდა, შეიძლება „საბაჟო ომში" გადაიზარდოს (როგორც ეს XX საუკუნის 30-იან წლებში მოხდა) და მთლიანად ყველა ქვეყნისათვის საზიანო შედეგებით დამთავრდეს.

მეორე პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ **პროტექციონისტული პოლიტიკა აძვირებს წარმოებას, იწვევს ფასების ზრდას, ამცირებს მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას** (ამ შემთხვევაში მომხმარებელი სამამულო საქონელზეც იმაზე მეტ ფასს იხდის, ვიდრე ეს იქნებოდა ამ შეზღუდვების გარეშე). გარდა ამისა, **თავისუფალი იმპორტი სამამულო მეწარმეების მონოპოლიური ტენდენციების მიმართ ქმედითი საწინააღმდეგო ღონისძიებაა.**

ამიტომ არის, რომ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები ერთობლივად წინ აღუდგნენ პროტექციონიზმს, ახორციელებენ თავისებურ „საბაჟო განიარაღებას" და ხელი მოაწერეს პროტექციონისტული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ მთელ რიგ ხელშეკრულებებს, უპირველეს ყოვლისა, გენერალურ შეთანხმებას ტარიფებზე და ვაჭრობაზე.

გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე (ამჟამად **მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია — მსო**) არის შეთანხმება ვაჭრობასა და სავაჭრო პოლიტიკაზე, რომელიც დადებული იქნა 1947 წელს ჟენევაში 23 ქვეყნის მიერ (ამჟამად მასში 100-ზე მეტი ქვეყანა, მ.შ. საქართველოც, მონაწილეობს). შეთანხმება ითვალისწინებს მსო-ს მონაწილე ქვეყნების ურთიერთინტერესებს სხვადასხვა ზომების მიღებით (საბაჟო შეღავათები, ბარიერების მოხსნა და მისთ.) და ხელს უწყობს თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას. შეთანხმების მონაწილე ქვეყნები (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნები) ვალდებული არიან იხელმძღვანელონ ვაჭრობაში ზოგიერთი ძირითადი წესებით: ერთმანეთთან ურთიერთობებში უხელსაყრელესი პირობების რეჟიმის დამყარება; იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვების გაუქმება, თუ ეს არ არის განპირობებული გართულებებით საგადასახდელო ბალანსში; ახალი პრეფერენციების (სავაჭრო შეღავათების) დაწესების აკრძალვა; სადავო საკითხების ურთიერთკონსულტაციების გზით მოგვარება და სხვ.

ასე რომ (გავიმეორებთ) ბაჟი და სხვა პროტექციონისტული ღონისძიებები საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებები როდია. მათ შედეგად ეცემა ეკონომიკის ეფექტიანობა, მცირდება წარმოება და მოხმარება. ლიტერატურაში ასეთი ცნებაც გამოიყენება: **პროტექციონიზმის ღირებულება** *(იხ. მაკმილანის ლექსიკონი).*

2. საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესების შემდეგი საშუალებაა მოხმარების (მ.შ. იმპორტის) პირდაპირი საერთო შეზღუდვა — საერთო შეზღუდვითი (რესტრიქციის) პოლიტიკის შემოღება. **რესტრიქციული ეკონომიკური პოლიტიკა** (წარმოების შეკავება, ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის კრედიტების გაცემის გაძვირება-შეზღუდვა), ეს კი (ამასაც გავიმეორებთ), ამცირებს მთლიანობაში ქვეყნის მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობას; ამავდროულად მცირდება იმპორტის შეძენის შესაძლებლობებიც. მაშასადამე, რესტრიქციული პოლიტიკა აუმჯობესებს საგადასახდელო ბალანსს; ამასთან მას, ერთობლივი მოთხოვნის შემცირების გამო, როგორც წესი, თან ახლავს უმუშევრობის ზრდის სერიოზული რისკი. ეს არის „შინაგან" და „საგარეო" ბალანსებს შორის „მიზნების კონფლიქტის"

შედეგი: წარმოების კონიუნქტურის შეკავებამ შეიძლება ერთგვარად გააუმჯობესოს „საგარეო" ბალანსი, მაგრამ ეს „შინაგანი" ბალანსის ხარჯზე მოხდება.

როგორი დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესების ორი ზემოდასახელებული საშუალების განხილვის შედეგად?

თუ ქვეყანას სურს მაქსიმალურად მიიღოს თავისუფალი საგარეო ვაჭრობის უპირატესობები და უზრუნველყოს სამუშაო ძალის სრული დასაქმება, მან უპირველესად ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე უნდა აიღოს გეზი. თუ ეს არ მოხდა და ქვეყნის ნაწარმის ხარისხი დაბალია, ხელისუფლება იძულებული ხდება მიმართოს პროტექციონიზმს ან შეკავების პოლიტიკას. მაგრამ ორივე შემთხვევაში ხალხის კეთილდღეობა უარესდება: პროტექციონიზმი იწვევს წარმოების ეფექტიანობის დაცემას, მომხმარებლები კი იძულებული არიან აანაზღაურონ საქონელი მომატებული ფასებით; მეორე შემთხვევაში (შეკავება) ეცემა მოსახლეობის მყიდველობითი უნარი და იზრდება უმუშევრობა.

მაღალი კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერა და უზრუნველყოფა ნიშნავს იმდენად კარგი და იაფი ნაწარმის გამოშვებას, რომ მისი საექსპორტო ნაწილის ზრდა „თავისთავად" გაართმევს თავს იმპორტის ანაზღაურებას და უცხოურ კრედიტებზე პროცენტების გადახდას; პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება ასეთ შემთხვევაში საჭირო არ იქნება. მაშასადამე, სამამულო ნაწარმის მაღალი კონკურენტუნარიანობა არის შინაგანი და გარე ბალანსების მიზნების კონფლიქტის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება; ის ამავდროულად ეკონომიკის მთლიანად უდეფიციტო საგადასახდელო ბალანსით და უმუშევრობის გარეშე განვითარების ფუძემდებლური პირობაა.

თუ ქვეყანას არ ძალუძს გამოუშვას მაღალხარისხიანი საქონელი, რომელიც გაუძლებდა უცხოეთის ფირმების ნაწარმის კონკურენციას, ის შეეცდება თავისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ფასების პოლიტიკით უზრუნველყოს. ის მოინდომებს აგრეთვე სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით შეინარჩუნოს საექსპორტო ფასები ან კიდევაც შეამციროს ისინი. ამ შემთხვევაში უარესდება ვაჭრობის პირობები: ქვეყანა იძულებული ხდება სულ უფრო და უფრო მეტი საქონელი (მ.შ. ხშირად ნედლეული) გაიტანოს საზღვარგარეთ, რომ დააგროვოს იმპორტის ასანაზღაურებელი სახსრები, ე.ი. საგადასახდელო ბალანსის წესრიგში შენარჩუნების მიზნით სულ უფრო მეტი ეროვნული რესურსი გაედინება საზღვარგარეთ.

ასე რომ კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოების უზრუნველყოფა გაცილებით უფრო სწორი, მიზანშეწონილი და სასარგებლოა, ვიდრე ფასების (და, შესაბამისად, ხელფასების) შემცირება. **მაღალხარისხიანი საქონლის წარმოების უზრუნველყოფისათვის ქვეყანა მოწინავე პოზიციებზე უნდა იყოს ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიის დანერგვისა და ახალი პროდუქციის ათვისების საქმეში. აქედან კი შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება:**

როგორც წესი, არ არის სწორი რესურსების (სამუშაო ძალის და კაპიტალის) ისეთ დარგებში დაკონსერვება, რომლებიც გამოდევნილია საგარეო ვაჭრობიდან საერთაშორისო კონკურენციის შედეგად, როგორ „ტრადიციულადაც" არ უნდა ესახებოდეს ქვეყანას ისინი სამამულო წარმოების პოზიციებიდან გამომდინარე; პირიქით, საგარეო ვაჭრობის მოთხოვნების გათვალისწინებით საჭიროა სტრუქტურული გარდაქმნების და რესურსების ძველი, უპერსპექტივო დარგებიდან ახალ, პერსპექტიულ სტრუქტურებში გადანაცვლების სტიმულირება.

ამასთან ერთად, აუცილებელია ქვეყანას ყოველთვის ჰქონდეს და ის ახორციელებდეს წარმოების მოგებიანობის გაზრდისა და მოსახლეობის (სამუშაო ძალის) განათლების დონის ამაღლების გრძელვადიან პოლიტიკას, რომელიც შედგენილი იქნება საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში პოზიციების განმტკიცების უახლესი მოთხოვნების გათვალისწინებით.

3. საგადასახდელო ბალანსის რეგულირების მეთოდია აგრეთვე ეროვნული ვალუტის კურსის შემცირება, რომელშიც გაერთიანებულია როგორც შინაგანი მოთხოვნის, ისე საექსპორტო ფასების შემცირება. მაგრამ ამ საშუალებას საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესების მიზნით ამჟამად ცივილიზებული ქვეყნები პრაქტიკულად არ მიმართავენ. პირიქით, როგორც ზემოთ ითქვა, განვითარებული ქვეყნები ცდილობენ საერთაშორისო ეკონომიკური კონიუნქტურის სტაბილიზაციის მიზნით ხელი შეუწყონ ვალუტების მდგრადობას, არ დაუშვან მათი კურსის მკვეთრი ცვლილებები და ამაში მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო სავალუტო ფონდი ასრულებს. თუ მაინც მოხდა რომელიმე ვალუტის კურსის მეტისმეტი ცვლილება (როგორც ეს, მაგალითად, რუსეთის რუბლს მოუვიდა 1994 წლის ოქტომბერში, როდესაც მისი კურსი „შავ სამშაბათად" წოდებულ დღეს ერთბაშად 1,5-ჯერ დაეცა), ეს, როგორც წესი, შედეგია ზოგიერთი კომერციული სტრუქტურის მიზანმიმართული ქმედობისა კურსების სხვაობაზე თამაშით გამდიდრების მიზნით.

თავი 6. საგარეო ურთიერთობების ჩოღი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

საბაზრო პრინციპებზე ფუნქციონირების თითქმის 25 წლის განმავლობაში (1991-2015 წ.წ.) საქართველოს სახალხო მეურნეობა ფაქტობრივად პერმანენტულ კრიზისში იმყოფებოდა — სხვაგვარად ვერ შეფასდება ეკონომიკის ერთი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ფუნქციონირება, როდესაც ქვეყანაში მთლიანი შინა პროდუქტის მოცულობამ 2015 წელს 1990 წლის შესაბამისი მოცულობის მხოლოდ 85 პროცენტი შეადგინა.

ასეთ ჩავარდნას ბევრი მიზეზი განაპირობებდა და მათი ჩამოთვლა, გაანალიზება და მოსაზრებების დასაბუთება მეტად შორს წაგვიყვანს. თემატური თვალსაზრისით ის აჯობებს, რომ ამ თავში ძირითადი ყურადღება ეკონომიკის მძიმე მდგომარეობაში ყოფნის, ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან მიზეზზე, საქართველოს გარე სამყაროსთან სამეურნეო ურთიერთობების მდგომარეობაზე, მათ შორის სსრკ-ის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან ეკონომიკური კავშირების უმართებულო გაწყვეტა — მოშლაზე, ასევე მთლიანობაში სამეურნეო გადაწყვეტილებების ერთგვარად არამართლზომიერ პოლიტიზებაზე გავამახვილოთ.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად ხელისუფლებების ცვლილებისა, ჩვენს ქვეყანაში აბსოლუტური ჭეშმარიტების რანგის მოსაზრებად იყო მიჩნეული, რომ საქართველოს განვითარების ვექტორი (მ.შ. ეკონომიკის !) არის დასავლური. და ეს მაშინ, როცა **ვექტორომანიას ეკონომიკისათვის არაფერი კარგი არ მოაქვს: ეკონომიკის სამეურნეო სუბიექტების ვექტორს (თუ ამ ცნების ქვეშ ვგულისხმობთ საქმიანობის ტერიტორიულ-სივრცობრივ მიმართულებას) განაპირობებს (უნდა განაპირობებდეს) საქმიანობის შედეგი — მოგების მიღება, და არა რაღაც პოლიტიკური პოზიციიდან აკვიატებული მოსაზრებები.**

საერთოდ პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირი ძალზე მნიშვნელოვანი თეორიულ-პრაქტიკული საკითხია, მაგრამ ის ერთგვარად (კონცეფციური თვალსაზრისით) გადაწყვეტილია: ეკონომიკა, ეკონომიკური დემოკრატია, **ეკონომიკური თავისუფლება** ბაზისური, ე.ი. პოლიტიკური მოვლენების განმაპირობებელი პარამეტრებია, თუმცა უკუზემოქმედებაც ძალზე მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ ეკონომიკის მართვის საქმიანობაში ხელი უნდა შეუწყოს მის განვითარებას, შექმნას ამის უზრუნველმყოფი გარემო, მათ შორის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობებში.

რა მდგომარეობა იყო საქართველოს ეკონომიკაში გასული საუკუნის 80-90-იან წლებში და როგორ წარიმართა პროცესები?

საქართველო თითქმის ორასი წლის განმავლობაში რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა. ოქტომბრის რევოლუციის (1917 წ.) წინ რუსეთის იმპერიაში უკვე მნიშვნელოვნად განვითარებული ერთიანი ბაზარი არსებობდა, რომელშიც მეტ-ნაკლებად ინტეგრი-

რებული იყო მისი განაპირა რეგიონებიც. ამასთან ინტეგრირების დონის არსებული მეტობა ან ნაკლებობა იმას კი არ ნიშნავდა, რომ ქვეყნის რომელიმე განაპირა მხარეს აქტიური სამეურნეო კავშირები ჰქონდა გარე ეკონომიკურ სივრცესთან. არა, ერთიან ბაზარში ფუნქციონირების ნაკლები ინტენსივობის მიზეზი, როგორც წესი, თავად ამ რეგიონის შედარებით დაბალი ეკონომიკური განვითარება იყო. ამ მხრივ XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის ჩქარი განვითარების ტემპების შედეგად საქართველოს ეკონომიკა, იმპერიის ზოგიერთ სხვა განაპირა რეგიონთან შედარებით, უფრო ინტეგრირებული აღმოჩნდა ქვეყნის საერთო ბაზარში. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, სახელმწიფოს თითქოსდა ფედერაციულ პრინციპზე აგების მიუხედავად, მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკების ერთმანეთთან ურთიერთკავშირი არა მარტო არ შენელებულა, არამედ უფრო ინტენსიური გახდა და განმტკიცდა. ამას განაპირობებდა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები.

ხანგრძლივი ერთიანი ფუნქციონირების შედეგად რესპუბლიკებს შორის ყალიბდებოდა და ჩამოყალიბდა ობიექტური განვითარების კანონზომიერი მოთხოვნებიდან გამომდინარე შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. მთლიანად სსრ კავშირის ეკონომიკა ვითარდებოდა როგორც ერთობლივი კომპლექსი. ეს კი, ეკონომიკური თვალსაზრისით, ყველა შემადგენელი ნაწილისათვის და მთლიანად ქვეყნისათვის სასარგებლო იყო, ვინაიდან ამა თუ იმ საქონლის წარმოების ორგანიზაცია იქ ხდებოდა (იქ ეწყობოდა) ძირითადად, სადაც წარმოების ხარჯები მთელი ეკონომიკური სივრცისთვის შედარებით დაბალი იყო. მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკები ამ ერთობლივი კომპლექსის ქვეკომპლექსებს წარმოადგენდა, რომლებიც, მიუხედავად გარკვეული ავტონომიური ფუნქციონირებისა, ერთიანი ორგანიზმის შემადგენელი ნაწილი იყო და არა საკუთარ თავზე შეკრული მექანიზმი, რომელიც უმტკივნეულოდ შეიძლება ჩამოშორდეს მთელს. რესპუბლიკებში კვლავწარმოებით პროცესს პრაქტიკულად უშუალო (დამოუკიდებელი) კავშირი არ ჰქონდა მსოფლიო მეურნეობასთან. ამასთან ურთიერთობებს სსრ კავშირის შიგნითაც არ გააჩნდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ელასტიკურობა. ეკონომიკური კავშირები კი მეტად მყარი და უცვლელი იყო, დიდ საწარმოებს ურთიერთობები ხშირად სხვა რესპუბლიკებში მყოფ მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან ჰქონდათ.

იმავდროულად ერთიანი ეკონომიკური კომპლექსის განვითარების ობიექტურ ხასიათს მუდმივად თან ახლდა სუბიექტური წარმოშობის მეტად მძლავრი საშუალებები, რომლებიც მნიშვნელოვნად აკორექტირებდა და ამახინჯებდა ამ მოვლენებს. ჯერ ერთი, თვით ეკონომიკური კავშირების დამყარება-განვითარების განმსაზღვრელი კრიტერიუმები (უპირველეს ყოვლისა, ადმინისტრაციული მეთოდით დაწესებული ფასები და აქედან გამომდინარე სხვა ღირებულებითი ბერკეტები) სუბიექტური ბუნებისა იყო და რეგიონების (ასევე საერთოდ ქვეყნის) განვითარებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს ხშირად არასწორად წარმოაჩენდა; ამის შესაბამისად კი ყალიბდებოდა როგორც მთლიანად ეკონომიკის, ისე რეგიონების (რესპუბლიკების) განვითარების გარკვეულწილად არაეფექტიანი სტრუქტურები. მეორე, რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარებისათვის მიმართული გადაწყვეტილებები ერთდროულად ძლიერ შეზავებული და დატვირთული იყო მისი დონის გამოთანაბრების და ერთიანი სახელმწიფოს ძლიერების უზრუნველყოფის იდეით; დემოკრატიის არარსებობისა და მართვის ავტორიტარული სისტემის პირობებში ეს ორივე იდეა ზოგჯერ ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებების მიღებით მთავრდებოდა. მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ ნ. ხრუშჩოვის ხელისუფლებაში ყოფნის დროს სოფლის მეურნეობის „სწრაფი განვითარების მიზნით“ მთელ ქვეყანაში სიმინდის კულტურის გავრცელების პოლიტიკის დაჟინებით გატარება, აგრეთვე 1985-1986 წლების ანტიალკოჰოლური კამპანია, რომლებმაც უდიდესი ზარალი მიაყენა ქვეყანას.

ასე რომ ბევრი უშუალო კავშირ-ურთიერთობა ეკონომიკური აუცილებლობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ ადმინისტრაციული წესით ყალიბდებოდა; საერთოდაც ეკონომიკურ კავშირებს თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის ფორმა კი არ ჰქონდა, არამედ ადმინისტრაციული მიმაგრება-მიწოდებისა. ეს ამ კავშირების თითქოსდა საერთო სისუსტის, ადვილად გასაწყვეტ-შესაცვლელის შთაბეჭდილებას ქმნიდა, მაშინ როდესაც სინამდვილეში ისინი ისეთი მყარი

ეკონომიკური მექანიზმების ჯაჭვებით იყო გადანასკვულ-გადახლართული, რომ მათ გაწყვეტას და ერთიანი ორგანიზმის წარმატებით ფუნქციონირებად დამოუკიდებელ შემადგენელ ნაწილებად ერთბაშად დაშლის მცდელობას არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა ამ ნაწილების მძიმე დაზიანება. კავშირების „საიმედოობას“ სერიოზულად ამაგრებდა აგრეთვე რესპუბლიკების ეკონომიკების იმ დაბალ დონეზე გამოთანაბრება, რასაც მართლაც წარმატებით მიაღწია იძულებით წარმართვადმა მეურნეობრივმა სისტემამ (ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს ბალტიისპირეთის ქვეყნები წარმოადგენდნენ) და რაც ფაქტობრივად არარეალურს ხდიდა დანარჩენების მისწრაფებას, რომ მოკლე პერიოდში სწორუფლებიან პარტნიორებად ჩართულიყვნენ მსოფლიო სამეურნეო კავშირებში.

მოვიყვანთ ზოგიერთ მონაცემს, რომელიც, ვფიქრობთ, ყოფილ სსრ კავშირში რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების მეტად მჭიდრო ხასიათზე და ჩვენ მიერ ზემოგამოთქმული მოსაზრების მართლზომიერებაზე მიგვანიშნებს.

ცხრილი 1. კუთრი წონა პროდუქციის რესპუბლიკათაშორისი გატანისა წარმოებაში და შემოტანისა მოხმარებაში ყოფილ სსრ კავშირში

რესპუბლიკები	გატანა	შემოტანა
რუსეთი	6,2	6,5
უკრაინა	13,6	12,6
ბელორუსია	24,6	20,9
უზბეკეთი	12,7	20,2
ყაზახეთი	12,2	22,7
საქართველო	21,2	21,9
აზერბაიჯანი	30,3	21,7
ლიტვა	22,5	23,6
მოლდავეთი	27,0	24,1
ლატვია	28,4	28,7
ყირგიზეთი	25,4	27,7
ტაჯიკეთი	19,2	26,1
სომხეთი	34,2	23,1
თურქმენეთი	20,0	23,4
ესტონეთი	22,9	23,8

როგორც ცხრილიდან ჩანს, პრაქტიკულად ყველა რესპუბლიკაში, გარდა რუსეთის ფედერაციისა, მაღალი იყო პროდუქციის კუთრი წონა, რომელიც გასატანად იწარმოებოდა ან შემოიტანებოდა მოხმარებისათვის. იმასაც ვხედავთ, რომ საქართველო რესპუბლიკებს შორის საერთო ეკონომიკურ კომპლექსში დაახლოებით საშუალოდ ინტეგრირებული იყო. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ პროდუქციის გატანა-შემოტანაში 20%-ზე მეტი (მაღალი) კუთრი წონა ძალზე მყარი ინტეგრაციის მაჩვენებლად არის აღიარებული. მისი ერთბაშად მოშლა, გასაგები იყო, გამანადგურებლად იმოქმედებდა რესპუბლიკების ეკონომიკის მდგომარეობაზე. საინტერესოა, რომ ეკონომისტებმა მათემატიკურადაც (ციფრობრივად) კი გაიანგარიშეს, თუ როგორ ზეგავლენას მოახდენდა რესპუბლიკებში პროდუქციის წარმოებაზე საგარეო კავშირების (სხვა

რესპუბლიკებთან ეკონომიკური ურთიერთობების) ფაქტობრივი მოშლა. ამ გაანგარიშებების შესაბამისად, საგარეო კავშირების ერთი პროცენტული პუნქტით შეცვლა (შემცირება) გამოიწვევდა მთლიანი შინა პროდუქტის ცვლილებას (შემცირებას): საქართველოში — 0,79%-ით, რუსეთში — 0,38%-ით, ყაზახეთში — 0,66%-ით, აზერბაიჯანში — 0,73%-ით და ა.შ.[1].დაახლოებით ასეთი შედეგები მიიღეს შესაბამისმა რესპუბლიკებმა კავშირების ერთბაშად მნიშვნელოვნად გაწყვეტის შედეგად 1995 წლისათვის.

80-იანი წლების დასასრულისათვის სსრ კავშირში არსებულმა იძულებით წარმართვადმა ეკონომიკურმა სისტემამ ფაქტობრივად კრახი განიცადა. ამან კიდევ უფრო გაამწვავა ქვეყანაში დაწყებული ავტორიტარული სახელმწიფოს დაშლის პროცესი, დაასტიმულა ცენტრიდანული ძალები და გააააქტიურა რადიკალური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მთელ რიგ რესპუბლიკებში.

1991 წლის ბოლოსთვის სსრ კავშირმა მთლიანად შეწყვიტა არსებობა როგორც ერთიანმა სახელმწიფომ.

ამასთან ამ პოლიტიკურ პროცესს თან სდევდა (საქართველოში კი გარკვეულწილად წინ უსწრებდა) ეკონომიკური კავშირების მნიშვნელოვანწილად ხელოვნური მსხვრევა და მთლიანად სახალხო მეურნეობის მოშლა. საგულისხმოა, რომ ბევრს ეს პოლიტიკური სუვერენიტეტის მისაღწევ სასარგებლო ღონისძიებად მიაჩნდა და ასტიმულებდა, ხელს უწყობდა მას. სწორედ პოლიტიკური (სახელმწიფოებრივი) დამოუკიდებლობის მიღწევა-განმტკიცების ამოცანების ასეთმა არასწორმა გაგებამ განაპირობა, ვფიქრობთ, თეორიულად გააზრებული, პრაქტიკულად დასაბუთებული და საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერული თეზის უგულებელყოფა ეკონომიკისა და პოლიტიკის შეფარდების თაობაზე და პირველის მეორისადმი არამართლზომიერი დამორჩილება. სუვერენული სახელმწიფოების მიერ ობიექტური რეალიის ასეთი ვოლუნტარისტული უგულებელყოფის საფუძველზე „აწყობილმა" ეკონომიკურმა საქმიანობამ კი მნიშვნელოვანწილად ხელოვნურად (შეგნებულად) მოშალა ძლიერ ინტეგრირებული ერთიანი ეკონომიკური კომპლექსი და ამით მის თითქმის ყველა ახლადჩამოყალიბებულ სახელმწიფოს უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური ზიანი მიაყენა.

მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეზე ეკონომიკა ფაქტობრივად პოლიტიკის მძევალი გახდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო საქართველოში დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკონომიკური წესრიგის (და არა მარტო ეკონომიკურის) ჩამოყალიბება-ფუნქციონირებაში ასეთმა ნეგატიურმა გამოვლენამ უკიდურესად გამოკვეთილი ხასიათი მიიღო; ქვეყანა უმძიმეს კრიზისში არმოჩნდა. საქართველოს ისედაც გარკვეულწილად დაუბალანსებელი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები სრულიად ჩამოიშალა, საგადასახდელო ბალანსმა კი მკვეთრად დეფიციტური ხასიათი მიიღო, სახელმწიფოს საგარეო ვალმა, განვითარებადი ქვეყნებისათვის მთლიან შინა პროდუქტთან მიმართებაში დასაშვები მაქსიმუმის ზღვარს (40%) გადააბიჯა. ამასთან ეს ურთიერთობები დღესაც მნიშვნელოვანწილად მოუგვარებელ-მოუწესრიგებელია. უფრო მეტიც, **საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას არ გადაუდგამს სერიოზული ნაბიჯები ყოფილ ტრადიციულ სამეურნეო პარტნიორებთან ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა-განვითარებისათვის,** რის შედეგადაც, თუ 1995 წელს საქართველოს მთელი ექსპორტის 63,1% დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა, 2014 წელს ის 51,2%-მდე შემცირდა; ჩვენი ქვეყნის იმპორტშიც ამ ქვეყნებთან ურთიერთობებს ასეთივე გამოკვეთილი ტენდენცია ახასიათებს (კუთრი წონის კლება 33%-დან 24,7%-მდე); საერთო სავაჭრო ბრუნვაშიც იგივე ტენდენციაა გამოკვეთილი (კუთრი წონის შემცირება 8,9 პროცენტული პუნქტით).

ზემოხსენებული გვაძლევს უფლებას **დავასკვნათ,** ***რომ საქართველოს ეკონომიკის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანის, მისი სტაბილური განვითარების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს საგარეო-ეკონომიკური პოლი-***

[1] Мацнев Д. А., За стратегию экономического реализма в межреспубликанских отношениях. – "Российский экономический журнал", 1990, №10, გვ. 17.

ტიკა ბოლომდე განთავისუფლდეს პოლიტიკური ვექტორომანიის გავლენიდან და ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ ქვეყნის ეკონომიკურ სუბიექტებს საშუალება ჰქონდეთ გააკეთონ სამეურნეო საქმიანობის არჩევანი ეკონომიკური და არა პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე. ასევე გახსნილი უნდა იყოს ჩვენი ქვეყანა ინვესტიციების აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან, დასავლეთიდან თუ ჩრდილოეთიდან შემოდინებისათვის.

სავარაუდოდ, ამ თემაში გამოთქმული მოსაზრებები და შემოთავაზებული წინადადება არ მოეწონება ზოგიერთ, განსაკუთრებით სხვადასხვანაირი ფობიებით დასნეულებულ ადამიანებს, რომელთა ინტერესს, ეტყობა, ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა და ხალხის კეთილდღეობის საკითხები არ წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიშველიოთ (უფრო სწორად, გავიმეოროთ) ამერიკელი სოციოლოგი-ეკონომისტის **ჯონ გელბრაითის** სიტყვები იმის თაობაზე, რომ *„ნამდვილი ეკონომისტი არ შეიძლება იყოს პოპულარული პიროვნება საზოგადოებაში, ვინაიდან ის მარტო იმას უნდა ამბობდეს და სთავაზობდეს, რის გაკეთებაც აუცილებელია ეკონომიკის განვითარებისათვის, და არა იმას, რისი მოსმენა-შემოთავაზება ურჩევნიათ გარშემომყოფთ“.*

დამატებითი კითხვის მასალა

ფ. ბასტიას წერილი პარლამენტარებისადმი

ერთხელ ცნობილმა ფრანგმა ეკონომისტმა **ფრედერიკ ბასტიამ** (1801-1850), რომელიც საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკაში პროტექციონიზმის პრინციპული წინააღმდეგი იყო, პარლამენტის დეპუტატების სახელზე გასაგზავნი სარკაზმით სავსე ასეთი პეტიცია შექმნა, რომელიც თითქოსდა დაწერილია სანთლის, ლამპების, შანდლის, ქუჩის ფარნების, სანთლისათვის საჭირო ქონის და სხვა ისეთი საქონლის წარმოების მესვეურთა მიერ, ვისაც საქმე აქვს განათებასთან (პეტიციის ტექსტი მოგვყავს შემოკლებით):

„ბატონებო! თქვენ სწორ გზაზე დგახართ. თქვენ უარყოფთ აბსტრაქტულ თეორიებს და ცოტა მნიშვნელობას ანიჭებთ სიიაფეს და სიუხვეს. თქვენი მთავარი საზრუნავია მწარმოებლის ინტერესები. თქვენ ცდილობთ გაანთავისუფლოთ ის უცხოური კონკურენციისაგან და შეინარჩუნოთ ეროვნული ბაზარი ეროვნული მრეწველობისათვის...

...ჩვენ ვიტანჯებით უცხოელი მეტოქის აუტანელი კონკურენციისაგან, რომელსაც (მეტოქეს), როგორც ჩვენ ვთვლით, სინათლის წარმოების გაცილებით უფრო მოგებიანი პირობები აქვს, ვიდრე ჩვენ. მან მთლიანად გაავსო სინათლით ჩვენი ეროვნული ბაზარი ზღაპრულად დაბალ ფასებში. როგორც კი ის გამოჩნდება, ჩვენი ვაჭრობა კვდება — ყველა მომხმარებელი მას მიმართავს; შედეგად ამისა, სამამულო მრეწველობის დარგი, რომელსაც უთვალავი განშტოება აქვს, მყისვე კნინდება. ეს კონკურენტი სხვა არავინაა თუ არა... მზე.

გემუდარებით: გამოეცით კანონი, რომელიც დაავალდებულებდა ყველას დახურონ ფანჯრები, შემინული სახურავები, მანსარდების ფანჯრები და ილუმინატორები გარე და შინაგანი დარაბებით, ფარდებით, შტორებით, ამოქოლონ აგრეთვე ყველა ხვრელი, ჭუჭრუტანა, ნაპრალი და ღრეჩო, რომელიც გამოიყენება მზის სინათლის სახლებში შესაღწევად და ზიანის მომტანია ქების ღირსი ნაწარმისათვის, რომლითაც ვემსახურებოდით (ჩვენ ასე გვეგონა) ქვეყანას — ქვეყანას, რომელმაც მადლობის ნიშნად არ უნდა მიგვატოვოს ამ უთანასწორო ბრძოლაში.

თუ თქვენ დახურავთ ბუნებრივი სინათლის მიღების რაც შეიძლება მეტ საშუალებას და შექმნით ხელოვნურ სინათლეზე მოთხოვნას, რომელ ფრანგ მეწარმეს არ შთააგონებს ეს?

თუ სანთლების გამოსაშვებად მეტი ქონი მოიხმარება, მაშინ მეტი პირუტყვი და ცხვარი იქნება; ამის შედეგად მომრავლდება ხელოვნური საძოვრები, ხორცი, მატყლი, ტყავი, რაც მთავარია, ნაკელი, რომელიც მთელი სასოფლო-სამეურნეო სიმდიდრის საფუძველი და ფუნდამენტია.

იგივე შენიშვნა ეხება ნაოსნობას. ათასობით გემი გაემგზავრება ვეშაპთსანადირო სარეწაოზე; მოკლე დროში ჩვენ ისეთი ფლოტი გვეყოლება, რომელიც შეძლებს საფრანგეთის ღირსების დაცვას. ეს კი იქნება ნამდვილი ჯილდო ჩვენი, სანთლის და მისთ. მწარმოებელ, ქვემორე ხელის მომწერ მთხოვნელთა პატრიოტული მისწრაფებებისათვის.

გთხოვთ, ბატონებო, დაფიქრდეთ და თქვენ დარწმუნდებით, რომ, ალბათ, არ მოიძებნება არც ერთი ფრანგი, ქვანახშირის მდიდარი მეწარმეებისაგან დაწყებული ასანთის ყველაზე მოკრძალებული გამყიდველით დამთვრებული, ვისი ხვედრიც არ იქნება შემსუბუქებული ამ პეტიციის წარმატებებით“.

კითხვები და სასწავლო დავალებები

1. შრომის საერთაშორისო დანაწილების და სპეციალიზაციის განვითარება-გაღრმავების ერთ-ერთ მთავარ საწინააღმდეგო არგუმენტად ზოგჯერ მოჰყავთ მოსაზრება, რომ ამან შეიძლება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა დააქვეითოს. როგორ შეაფასებთ ამ მოსაზრებას (რა საწინააღმდეგო არგუმენტების მოტანა შეგიძლიათ)? თუ ამ დებულების წინააღმდეგი ხართ, დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.
2. რატომ არის ინფლაციის დროს მოსახლეობისათვის მოგებიანი დანაზოგების უცხოურ ვალუტაში გადაყვანა? როგორ ფიქრობთ, შეიძლება ინფლაცია სასარგებლო იყოს მთლიანად ქვეყნისათვის და, თუ შეიძლება, რა პირობებში?
3. „ყველა საქონლის ერთ ქვეყანაში წარმოების შედარებითი მარგებლობა არ შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე მეორე ქვეყანაში, თუნდაც პირველ ქვეყანას გააჩნდეს ბრწყინვალე ბუნებრივი რესურსები, კაპიტალის უდიდესი მოცულობა, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა, ნიჭიერი ინჟინრები და მენეჯერები, ხოლო მეორე ამ ყველაფრით ღარიბი იყოს“.
   ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას? როგორ მიგაჩნიათ, აქვს თუ არა ამ შემთხვევაში აზრი ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს, მდიდარი ქვეყნიდან ღარიბ ქვეყანაში კაპიტალის გატანას და იქ რომელიმე წარმოების ორგანიზებას?
4. რას ნიშნავს ვალუტის გადიდებული (მომატებული) კურსი? როგორ მიგაჩნიათ:
   ა) თუ მოსახლეობა ფიქრობს, რომ რომელიმე ვალუტის ოფიციალური კურსი რეალურთან შედარებით გადიდებულია (ან შემცირებულია), როგორ შეუძლიათ ადამიანებს გამოიყენონ ეს თავიანთ სასარგებლოდ?
   ბ) რა მოხდება, თუ ისინი შეცდნენ ვალუტის კურსის შეფასებაში?
5. ზოგ შემთხვევაში ქვეყნის ხელისუფლება საგადასახდელო ბალანსის, აგრეთვე უმუშევრობის შემცირების მიზნით მიმართავს იმპორტის შეზღუდვის პოლიტიკას.
   მიგაჩნიათ ეს სწორ გადაწყვეტილებად? თუ ეს სწორია, რატომ არ შეიძლება, რომ ჩრდილოეთის რომელიმე ქვეყანამ შეწყვიტოს, ვთქვათ, ყავის შემოტანა და მისი წარმოება ადგილზევე მოაწყოს ამისათვის შესაბამისი სათბურების და სხვა აუცილებელი პირობების შექმნით (დღევანდელი ტექნოლოგიები პრინციპში ამის საშუალებას იძლევა)? ამით ხომ საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი შემცირდება და უამრავი სამუშაო ადგილი გაჩნდება? რაშია აქ საქმე? მსჯელობის დროს გამოიყენეთ ეფექტიანობის შეფასების ალტერნატიული მეთოდი (ეფექტიანობას ასაბუთებენ წარმოებული და არწარმოებული, „შენირული“ ფასეულობების შეფარდებით).
6. დავუშვათ, რომ საქართველოს 2015 წელს სავაჭრო და მთლიანად საგადასახდელო ბალანსი დადებითი ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, შეიძლება ასეთ შემთხვევაში საანგარიშსწორებო ბალანსის წლის დასაწყისში არსებული დეფიციტი გაიზარდოს წლის ბოლოსათვის?
7. დაახასიათეთ საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი ფორმები.
8. დაახასიათეთ ისტორიულად ცნობილი სავალუტო სისტემები.
9. თქვენი აზრით, როგორ შეიცვალა მე-20 საუკუნეში კაპიტალის გატანის ტენდენციები და რატომ?
10. რა მიზეზები განაპირობებს ვალუტის კურსის ცვლილებებს?
11. დაახასიათეთ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ბალანსები.
12. როგორ შეიძლება, თქვენი აზრით, გაუმჯობესდეს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შედეგები?
13. როგორ დაახასიათებთ საქართველოს დღევანდელ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს?

სავარჯიშო ტესტები

შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი

1. საგარეო ვაჭრობა სარგებლიანია:

1) განვითარებული ქვეყნებისათვის;
2) განვითარებადი ქვეყნებისათვის.
3) საგარეო ვაჭრობა სასარგებლოა მასში მონაწილე ყველა სუბიექტისათვის.
4) სამივე პასუხი მცდარია: საგარეო ვაჭრობა არ შეიძლება შეფასდეს „სარგებლიანობის" პოზიციიდან, ის უბრალოდ მეტი სიკეთის მოხმარებას უზრუნველყოფს.

2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმებია:

1) კაპიტალის გატანა-შემოტანა;
2) ქვეყნებს შორის მოსახლეობის მიგრაცია;
3) საგარეო ვაჭრობა;
4) დიპლომატიური ურთიერთობები.

3. ვალუტის ფასს განაპირობებს:

1) ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპების ცვლილება;
2) ქვეყანაში უმუშევრობის დონე;
3) ამ ვალუტაზე მოთხოვნა და მისი მიწოდება;
4) ვალუტის ოქროს შედგენილობა.

4. საანგარიშსწორებო ბალანსში შედის:

1) სამთავრობო შემოსავალი და ხარჯები საზღვარგარეთ;
2) საქონლის ექსპორტი და იმპორტი;
3) ტურისტების (ქვეყნის მოქალაქეების) მიერ საზღვარგარეთ გაწეული ხარჯები და უცხოური ტურიზმისაგან მიღებული შემოსავალი;
4) ოქროს და ვალუტის გატანა-შემოტანა.

5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შედეგების გაუმჯობესების უპირობო საშუალებებია:

1) იმპორტის მოცულობის საბაჟო პოლიტიკის გამკაცრებით შემცირება;
2) მოხმარების შემცირება და იმპორტის პირდაპირი ადმინისტრაციული შეკვეცა;
3) ეროვნული ვალუტის კურსის შემცირება ექსპორტის აქტივიზაციისათვის;
4) ისეთი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის (ინსტიტუციური, ტექნოლოგიური, ინოვაციური) შემუშავება-გატარება, რომელიც აამაღლებს სამამულო საქონლის კონკურენტუნარიანობას საგარეო ბაზრებზე.

6. ქვეყნის ვალუტის კურსი არის:

1) ამ ვალუტის ფასი, გამოხატული უცხოური (სხვა ქვეყნის) ვალუტით;
2) შეფარდება, რომლის შესაბამისად ერთი ქვეყნის ვალუტა იცვლება მეორე ქვეყნის ვალუტაზე.
3) ამ ვალუტის ოქროს შედგენილობა;
4) ამ ვალუტაზე მოთხოვნისა და მისი მიწოდების მაჩვენებელი.

7. 1) საგარეო ვაჭრობაში შეფარდებითი უპირატესობის დებულების გამოყენების სარგებლიანობის მართლზომიერების თეზა დაამუშავა კლასიკური ეკონომიკური თეორიის მამამთავარმა ადამ სმითმა.

   2) ერთმნიშვნელოვნად შეიძლება იმის მტკიცება, რომ ქვეყნიდან კაპიტალის გატანა საზიანოა მისი ეკონომიკის განვითარებისათვის.

   3) დღესდღეობით (ბოლო ათეულ წლებში) აშშ-დან კაპიტალის გატანა მკვეთრად აღემატება კაპიტალის შემოტანას;

   4) უცხოური კაპიტალი, როგორც წესი, შემოქმედებითი ძალაა, რომლის მოზიდვას დღეს ფაქტობრივად ყველა ქვეყანა ესწრაფვის.

ტესტების პასუხები

I ნაწილი

თემა 1.

№1 1), 3);
№2 1), 3);
№3 3), 4);
№4 2);
№5 2), 4);
№6 1);
№7 1), 2), 3);
№8 1), 3);
№9 2), 3), 4);
№10 2).

თემა 2.

№1 1);
№2 1), 2), 4);
№3 1), 3);
№4 1), 2);
№5 1), 2), 3);
№6 2);
№7 1), 3);
№8 1);
№9 2);
№10 1), 3);
№11 2), 3).

თემა 3.

№1 3);
№2 1);
№3 3);
№4 1);
№5 2);
№6 2);
№7 2);
№8 3), 4);
№9 1);
№10 2);
№11 4);
№12 1), 2), 3);
№13 2)

თემა 4.

№1 1), 2), 3);
№2 1), 2), 3), 4);
№3 2);
№4 3);
№5 1), 2), 3), 4);
№6 1), 2);
№7 1);
№8 3);
№9 2), 3), 4);
№10 2), 3);
№11 1);
№12 1), 2), 3);
№13 1).

თემა 5.

№1 2);
№2 1);
№3 1);
№4 2), 4);
№5 3);
№6 1), 2), 4);
№7 1), 2), 3);
№8 3);
№9 2);
№10 1), 3), 4);
№11 2), 3);
№12 1), 2), 3);
№13 2);
№14 1).

თემა 6.

№1 1);
№2 2);
№3 2), 3);
№4 1), 2);
№5 1), 2);
№6 1), 3);
№7 1), 2), 3);
№8 2);
№9 1), 2), 3);
№10 2);
№11 2);
№12 1);
№13 1), 2);
№14 1), 2);
№15 1), 2), 3), 4);
№16 2);
№17 3);
№18 1), 2);
№19 2);
№20 1), 2);
№21 2);
№22 1), 2), 3);
№23 2), 4).

თემა 7.

№1 1), 2);
№2 4);
№3 2).

II ნაწილი

თემა 1.

№1 1), 3), 4);
№2 2);
№3 1), 4);
№4 3), 4);
№5 1), 2), 3);
№6 1);
№7 1), 2), 3);
№8 1), 2), 3);
№9 3);
№10 2), 3);
№11 4);
№12 1);
№13 4);
№14 2), 3);
№15 1), 2), 3);
№16 1);
№17 1), 2);
№18 1), 2), 4);
№19 4);
№20 2);
№21 1), 3);
№22 1).

თემა 2.

№1 3);
№2 4);
№3 1), 2), 3), 4);
№4 1), 3);
№5 2), 4);
№6 2);
№7 1).

თემა 3.

№1 2), 3), 4);
№2 1);
№3 1), 2), 3);
№4 2);
№5 1), 3);
№6 1), 2), 3).

თემა 4.

№1 1), 2), 4);
№2 2), 3);
№3 1), 2), 3), 4);
№4 1), 2);
№5 1), 4);
№6 2), 3).

თემა 5.

№1 1), 2);
№2 1), 3), 4);
№3 4);
№4 2), 3), 4);
№5 3);
№6 2), 4);
№7 2), 4);
№8 2), 3), 4);
№9 1), 3), 4).

თემა 6.

№1 1), 3);
№2 2), 3);
№3 1), 3);
№4 1), 2), 3);
№5 1), 4);
№6 1), 4);
№7 1), 4).

თემა 7.

№1 1), 2), 3);
№2 1), 3);
№3 3);
№4 1), 2), 3);
№5 4);
№6 1), 2);
№7 3), 4).

ლექსიკონის მაგიერ: ტერმინები, კატეგორიები და სხვ.

აბსოლუტური (ეკონომიკური) რენტა — გვ.: 137-138
აბსტრაქცია — — გვ.: 23
ადამიანთა მოთხოვნილებების პირამიდა — გვ.: 13-14
ადამიანის განვითარების ინდექსი — გვ.: 12
ადამიანური კაპიტალი — გვ.: 219-221
აზროვნების ეკონომიკური ხასიათი — გვ.: 173
აინშტაინი, ალბერტ — გვ.: 25; 172
ალოკაციური (ეკონომიკური) ეფექტიანობა — გვ.: 105-106
ალტერნატიული ხარჯები (დაკარგული შესაძლებლობების ხარჯები) — გვ.: 17; 35
ამორტიზაცია — გვ.: 119-120
ანაბარი (დეპოზიტი) — გვ.: 284-286
ანტიმონოპოლიური პოლიტიკა — გვ.: 111
ანტიციკლური პოლიტიკა — გვ.: 322
არაპირდაპირი გადასახადები — გვ.: 261
არასრულყოფილი ბაზარი — გვ.: 107
არატარიფიცირებული შეზღუდვები — გვ.:342
არაფასობრივი პარამეტრების ზემოქმედება წონასწორობაზე — გვ.: 68-70
არჩევანის პრობლემა — გვ.: 16; 36
ასიმეტრიული ინფორმაცია — გვ.: 246
აუცილებელი რეზერვების ნორმა — გვ.: 288
აქტივი — გვ.: 283
აქცია — გვ.: 280
აქციზი — გვ.: 261

ბაზარი („კოლექტიური გონება“) — გვ.: 18; 148-149
ბაზრის კონიუნქტურა — გვ.: 234
ბაზრის ნაკლოვანებები (უკმარისობა, მტყუნება) — გვ.: 152-154; 245-247
ბაზრის (საბაზრო) მექანიზმები — გვ.: 18
ბაზრის რეგულირება — გვ.: 70-73
ბაზრის წონასწორობა — გვ.: 178
ბაზრის წონასწორობისაკენ მისწრაფება — გვ.: 63
ბანკების როლი ეკონომიკაში — გვ.: 301-302
ბანკი — გვ.: 298
ბანკნოტი — გვ.: 284
ბაჟი — გვ.: 342
ბარტერული გარიგება — გვ.: 150
ბასტია, ფრედერიკ. — გვ.: 350
ბეგარა (გადასახადი) — გვ.: 151; 261
ბეკერი, ჯერი — გვ.: 14
ბემ-ბავერკი, ოიგენ ფონ — გვ.: 49-51
ბემ-ბავერკის ფასწარმოქმნის მოდელი — გვ.: 50-51
ბიზნესი, ბიზნესმენი (მეწარმეობა, მეწარმე) — გვ.: 83-85
ბიუკენენი, ჯეიმს — გვ.: 256
ბიუჯეტის დეფიციტი — გვ.: 204; 261
ბიუჯეტის პროფიციტი — გვ.: 204; 261
ბიუჯეტი (სახელმწიფო ბიუჯეტი) — გვ.: 260
ბლაუგი, მ. — გვ.: 139
ბუნებრივი უმუშევრობა — გვ.: 129
ბუღალტრული მოგება — გვ.: 85
ბუღალტრული ხარჯები — გვ.: 85

გადასახადი (ბეგარა) — გვ.: 151; 261
გადანყვეტილების ეფექტიანობის საერთო-ეკონომიკური გაანგარიშება — გვ.: 45
გამორიცხვის შეუძლებლობის თვისება — გვ.: 246
განათლება (ცოდნა-განათლება) — გვ.: 218-222
განსაკარგავი შემოსავალი — გვ.: 188
გაფართოების ექსპანსიონისტური პოლიტიკა — გვ.: 312
გაცვლის განტოლება — გვ.: 288
გეგმიანი (დაძალებით წარმართვადი) ეკონომიკა — გვ.: 154-161
გელბრაითი, ჯონ — გვ.: 349
გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე (მსო) — გვ.: 343
გიფენის ფენომენი — გვ.: 74-75
გოსენის მეორე კანონი — გვ.: 50
გოსენის პირველი კანონი — გვ.: 50
გრაფიკი — გვ.: 23

დაგეგმვის სარგებლიანობა — გვ.: 160
დაკარგული შესაძლებლობების დანახარჯები — გვ.: 35
დაკრედიტების პრინციპები — გვ.: 299
დამატებული ღირებულება — გვ.: 84
დანაზოგი და ინვესტიციები — გვ.: 215-218
დანახარჯების ინფლაცია — გვ.: 291
დაუბრუნებელი დანაკარგი — გვ.: 111
დაძალებით წარმართვადი (გეგმიანი) ეკონომიკა — გვ.: 154-161
დაჩქარებული ამორტიზაციის პოლიტიკა — გვ.: 260
დედა ტერეზა — გვ.: 163
დევალვაცია — გვ.: 294
დემპინგი — გვ.: 72
დენისონი, ედვარდ — გვ.: 219
დენომინაცია — გვ.: 294
დეპოზიტი (ანაბარი) — გვ.:284-286
დეფიციტი — გვ.: 64
დეფლატორი — გვ.: 186
დეფლაცია — გვ.: 293

დეფოლტი — გვ.: 261
დიალექტიკა, დიალექტიკური მეთოდი — გვ.: 22
დივიდენდი — გვ.: 58
დილემა (ორ ეკონომიკურ სისტემას შორის არჩევანის) — გვ.: 160
„დიპლომომანია" — გვ.: 225
დირექტიული დაგეგმვა — გვ.: 155-160
დირიჟისტული მენტალიტეტი — გვ.: 224
დისკონტირება — გვ.: 135-136
დიფერენციული რენტა — გვ.: 138-139
დოტაცია — გვ.: 73
დროითი მჯობინება (სიკეთის დღევანდელი და ხვალინდელი შეფასება) — გვ.: 134

ეგზოგენური ცვლადი — გვ.: 174
ეკონომიკა — გვ.: 13
ეკონომიკის პრინციპები — გვ.: 16-19
ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და ჩარევის ინტენსივობა — გვ.: 253-258
ეკონომიკის სუბიექტები — გვ.: 57
ეკონომიკის ციკლური განვითარება და სახელმწიფო ქმედობა — გვ.: 319-322
ეკონომიკური ადამიანი (ომო ეცონომიცს) — გვ.: 15; 37
ეკონომიკური (ალოკაციური) ეფექტიანობა — გვ.: 105
ეკონომიკური და პოლიტიკური დემოკრატია — გვ.: 250-255
ეკონომიკური ზრდა — გვ.: 171; 216
ეკონომიკური თავისუფლება — გვ.: 250
ეკონომიკური თეორია — გვ.: 13-15
ეკონომიკური თეორიის საგანი — გვ.: 15
ეკონომიკური თეორიის მეთოდები — გვ.: 22
ეკონომიკური თეორიის ფუნქციები — გვ.: 22
ეკონომიკური ლიბერალიზმი — გვ.: 89
ეკონომიკური მექანიზმები (საბაზრო მექანიზმები) — გვ.: 18
ეკონომიკური მოგება — გვ.: 85; 232
ეკონომიკური მოდელი — გვ.: 174-177
ეკონომიკური პოლიტიკა (სახელმწიფოს) — გვ.: 245
ეკონომიკური რაციონალურობა — გვ.: 14
ეკონომიკური რენტა — გვ.: 106
ეკონომიკური რესურსები (წარმოების ფაქტორები) — გვ.: 31-32; 119; 198
ეკონომიკური სამართლიანობა — გვ.: 233-234
ეკონომიკური სტატისტიკა — გვ.: 173
ელასტიკურობა (მოთხოვნის, მიწოდების) — გვ.: 60; 65-68; 178-179; 312
ენდოგენური ცვლადი — გვ.: 174
ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ) — გვ.: 180-188
ერთობლივი ეროვნული პროდუქტის აღრიცხვის ნაკლოვანებები — გვ.: 184-185
ერთობლივი ეროვნული პროდუქტის დეფლატორი — გვ.: 186
ერთობლივი ეროვნული პროდუქტის პირობითად დარიცხვა — გვ.: 183-184
ერთობლივი ეროვნული პროდუქტის შემოსავლის და ხარჯის კომპონენტები. — გვ.: 186-188
ერთობლივი ინვესტიციები — გვ.: 217
ერთობლივი მიწოდება — გვ.: 171; 309
ერთობლივი მოთხოვნა (მოხმარება) — გვ.: 171; 309
ეროვნულ ანგარიშთა იგივეობა — გვ.: 200
ეროვნულ ანგარიშთა სისტემა — გვ.: 179
ეროვნული დანაზოგი — გვ.: 206
ეროვნული სავალუტო სისტემის ორგანიზაციის ელემენტები — გვ.: 336
ეროვნული (სახელმწიფო) ვალი — გვ.: 261
ეროვნული შემოსავალი — გვ.: 188
ეროვნული შემოსავლის გადანაწილება — გვ.: 235-237
ეროვნული შემოსავლის განაწილება — გვ.: 88-90; 227-233
ეროვნული შემოსავლის განაწილების სამართლიანობა — გვ.: 83; 233-235
ერჰარდი, ლუდვიგ — გვ.: 257
ეფექტიანი მოთხოვნა — გვ.: 326
ეფექტიანი ხელფასის თეორიები — გვ.: 273
ეფექტიანობა — გვ.: 35-36
ეფექტიანობის მაკროეკონომიკური გაანგარიშება — გვ.: 44
ექსპლუატაცია — გვ.: 56
ექსპორტი — გვ.: 332
ექსტერნალიები — გვ.: 82; 153; 246

ვალრასი, ლეონ — გვ.: 38; 74; 310
ვალუტა, ვალუტის კურსი — გვ.: 171; 338-340
ვაჟა-ფშაველა — გვ.: 306
ვაჭრობა — გვ.: 18
ვებლენი, ტორსტეინ — გვ.: 38
ვიზერი, ფრიდრიხ ფონ — გვ.: 46

ზედმეტი ღირებულება — გვ.: 97
ზომბარტი, ვ. — გვ.: 84
ზღვრული დანახარჯები — გვ.: 40
ზღვრული სარგებლიანობა — გვ.: 40; 49
ზღვრული (მარგინალური) სიდიდეები ეკონომიკაში — გვ.: 38; 40-43; 46-48
ზღვრული მწარმოებლურობა — გვ.: 46-48

თავისუფალი (სრულყოფილი) კონკურენცია — გვ.: 105; 149-150
თამასუქი — გვ.: 280
თარგეტირება — გვ.: 297

იდენტიფიცირების პრობლემა — გვ.: 213-215
იმპორტი — გვ.: 332
იმპორტის კვოტა — გვ.: 342
ინდიკატიური დაგეგმვა — გვ.: 160; 255
ინვესტიცია — გვ.: 85; 215
ინვესტიცია „ადამიანურ კაპიტალში" — გვ.: 85; 219
ინვესტიციების განდევნა — გვ.: 209-211
ინოვაცია — გვ.: 85
ინსტიტუციონალიზმი — გვ.: 38-39
ინტერნალიები — გვ.: 19; 154
ინფლაცია — გვ.: 171; 289
ინფლაციაზე ზემოქმედების რეცეპტი — გვ.: 318
ინფლაციის სახეები — გვ.: 292
ინფლაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები — გვ.: 289-290
ინფლაციური გარღვევა — გვ.: 316
ინფლაციური ფსიქოლოგია — გვ.: 291
ინფორმაცია გეგმურ ეკონომიკაში — გვ.: 156-158
იპოთეკური სესხი — გვ.: 203
ირიბი დაფინანსების არხები — გვ.: 280

კაპიტალზე მოთხოვნა — გვ.: 131
კაპიტალი — გვ.: 32; 129; 199
კაპიტალის გატანა — გვ.: 333-335
კაპიტალის ზღვრული პროდუქტი — გვ.: 87
კაპიტალის მიწოდება — გვ.: 133
კაპიტალის მოძრაობის ბალანსი — გვ.: 341
კაპიტალის სუფთა მწარმოებლურობა (პროცენტის ბუნებრივი ნორმა) — გვ.: 130-131
კაპიტალის ცვეთა — გვ.: 119
კეთილდღეობა (კეთილდღეობის დონე) — გვ.: 12
კეინსი, ჯონ მეინარდ. — გვ.: 26; 255; 285; 312-313; 324-327
კეინსური ანალიზის გადაუწყვეტელი პრობლემები — გვ.: 323
კენედი, რობერტ — გვ.: 240
კენედი, ჯონ — გვ.: 221
კერძო საკუთრება — გვ.: 242; 244
კვაზირენტა — გვ.: 140
კლარკი, ჯონ ბეიტსი — გვ.: 46-48
კლასიკოსები მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე — გვ.: 310-311
კლებადი ზღვრული პროდუქტი — გვ.: 87; 229
კლებადი მწარმოებლურობა (უკუგება, ეფექტიანობა) — გვ.: 33-34
კლებადი საქმიანი აქტივობის ეკონომიკა — გვ.: 217
კოლექტიური მოხმარების საქონელი — გვ.: 153
კომერციული ბანკი — გვ.: 299
კონკურენცია — გვ.: 242-245
კონკურენციის არასრულყოფილება-მონოპოლიზმი — გვ.: 106-110
კონკურენციის არასრულყოფილება-მონოპოლისტური კონკურენცია — გვ.: 111-115
კონკურენციული ბაზარი — გვ.: 101
კონკურენციული ფირმა — გვ.: 228
კოუზი, რონალდ — გვ.: 82
კრედიტი — გვ.: 299
კუპონი — გვ.: 298

ლასპაირესის ინდექსი — გვ.: 190
ლაფერი, არტურ (ლაფერის მრუდი) — გვ.: 254
ლიბერტანიალები — გვ.: 255
ლითონის ფული — გვ.: 284
ლიკვიდურობის მჯობინება — გვ.: 327
ლოდინის უმუშევრობა — გვ.: 270-274

მაკროეკონომიკა (მაკროეკონომიკის საგანი) — გვ.: 170-173
მაკროეკონომიკური პოლიტიკა — გვ.: 249
მაკროეკონომიკური წონასწორობა — გვ.: 171; 178
მაკროეკონომიკური წრებრუნვა — გვ.: 58
მარაგები — გვ.: 57-59; 181
მარგინალური ანალიზი — გვ.: 38
მარგინალური (ზღვრული) სიდიდეები — გვ.: 40
მარტინი, უილიამ მაკ ჩესნი — გვ.: 306
მარქსი, კარლ — გვ.: 97
მარშალი, ალფრედ — გვ.: 65; 74
მასლოუ, აბრაჰამ — გვ.: 13
მასშტაბიდან უცვლელი, ზრდადი და კლებადი ეფექტი — გვ.: 91-94; 199-200
მაქსიმალური სარგებლიანობის მიღწევის რეცეპტი — გვ.: 43
მენგერი, კარლ — გვ.: 38
მეწარმე, მეწარმეობა (ბიზნესი, ბიზნესმენობა) — გვ.: 32; 83-85
მეწარმეობრივი უნარი — გვ.: 32
მზარდი ეკონომიკა — გვ.: 217
მთლიანი (სრული) დასაქმება — გვ.: 128; 316
მთლიანი შინა პროდუქტი (მშპ) — გვ.: 180-188
მიკროეკონომიკა — გვ.: 170
მიკროეკოენომიკის მნიშვნელობა მაკროეკონომიკაში — გვ.: 177-179
მიკროეკონომიკური პოლიტიკა — გვ.: 249
მილი, ჯონ სტიუარტ — გვ.: 148; 173
მიწა (როგორც წარმოების ფაქტორი) — გვ.: 136
მიწათმფლობელობა, მიწათსარგებლობა — გვ.: 137
მიწის ბაზარი — გვ.: 136-141

მიწის რენტა — გვ.: 137-140
მიწის ფასი — გვ.: 140-141
მიწოდება (საქონელ-მომსახურების) — გვ.: 59-60
მიწოდების გადამეტება — გვ.: 63
მოგება — გვ.: 59; 85
მოდელი — გვ.: 174
მოთხოვნა და მოთხოვნილება — გვ.: 59-60
მოთხოვნილების განუსაზღვრელობა და ცვალებადობა — გვ.: 30
მოთხოვნის გადამეტება — გვ.: 64
მოთხოვნის და მიწოდების კანონი — გვ.: 24
მოთხოვნის ელასტიკურობა — გვ.: 65
მოთხოვნის ინფლაცია — გვ.: 291
მოკლევადიანი და გრძელვადიანი ელასტიკურობა — გვ.: 67
მომხმარებელთა და მწარმოებელთა ნამეტი — გვ.: 105-106
მონეტარიზმი (მონეტარისტები) — გვ.: 255; 296
მონეტარული პოლიტიკა — გვ.: 295-297
მონოპოლია — გვ.: 107
მონოპოლიზმი – ბაზრის არასრულყოფილება — გვ.: 106-111
მონოპოლისტური კონკურენცია–ბაზრის არასრულყოფილება — გვ.: 111-115
მონოპოლიური (მონოპოლისტური) მოგება — გვ.: 111
მონოპოლისტური კონკურენცია — გვ.: 112; 174
მონოპსონია — გვ.: 107
მორი, თომას — გვ.: 154
მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება — გვ.: 201
მსოფლიო ბანკი — გვ.: 337
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსო) — გვ.: 343
მუდმივი (უცვლელი) ხარჯები — გვ.: 90
მულტიპლიკატორის ეფექტი — გვ.: 317
მყიდველობითი უნარის ინიექციები — გვ.: 320
მწარმოებელთა ნამეტი — გვ.: 106

ნაკადები — გვ.: 57-59; 181
ნომინალური ეეპ — გვ.: 186
ნულიფიკაცია — გვ.: 293

ობლიგაცია — გვ.: 280
ოლიგოპოლია — გვ.: 112
ოპერაციები ღია ბაზარზე — გვ.: 288
ოჟეგოვი, სერგეი ივანის ძე — გვ.: 89
ოუკენის კანონი — გვ.: 191

პააშეს ინდექსი — გვ.: 190
პარეტო, ვოლფრედო — გვ.: 89; 131
პირდაპირი დაფინანსების არხები — გვ.: 279
პლანკი, მაქს — გვ.: 26
პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრატია — გვ.: 250-255
პროტექციონისტული პოლიტიკა — გვ.: 342-343
პროფკავშირები — გვ.: 271-272
პროცენტი (საპროცენტო განაკვეთი) — გვ.: 134-136; 203
პროცენტის ნომინალური განაკვეთი — გვ.: 203
პროცენტის რეალური განაკვეთი — გვ.: 203
პროცენტი როგორც ავტონომიური მონეტარული ფენომენი — გვ.:313; 327
პროცენტის ბუნებრივი ნორმა (კაპიტალის მწარმოებლურობა) — გვ.: 130-131

რასელ, ბერტრან — გვ.: 26
რაციონალური არჩევანი (რაციონალურობა) — გვ.: 37; 41-42
რეალური ეეპ (მშპ) — გვ.: 186
რეალური ხელფასი — გვ.: 179
რეგულირებადი ვალუტის თეორია — გვ.: 295
რეგულირების ალტერნატივა — გვ.: 73
რევალვაცია — გვ.: 294
რენტა — გვ.: 137
რესტრიქციული ეკონომიკური პოლიტიკა — გვ.: 318; 343
რესურსების იშვიათობის კანონი — გვ.: 32
რესურსების შეზღუდულობა — გვ.: 35-36
რიკარდო, დევიდ — გვ.: 331
რობინსონი, ჯოან — გვ.: 112
როუზი, ჯონ — გვ.: 89

საამორტიზაციო ანარიცხები — გვ.: 120
საანგარიშსწორებო ბალანსი — გვ.: 340
სააქციო საზოგადოება — გვ.: 82; 302
საბაზრო ეკონომიკა — გვ.: 244
საბაზრო მექანიზმები — გვ.: 244
საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა — გვ.: 208-209
საბოლოო მოხმარების საქონელი — გვ.: 183
საბრუნავი კაპიტალი — გვ.: 119
საგადასახადო პოლიტიკა — გვ.: 260
საგადასახდელო ბალანსი — გვ.: 341
საგარეო ვალი — გვ.: 261
საგარეო ვაჭრობა — გვ.: 332-333
საგარეო ურთიერთობების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში — გვ.: 345-349
საემისიო (ცენტრალური) ბანკი — გვ.: 249
საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია — გვ.: 331
საერთაშორისო კრედიტი — გვ.: 334
საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები — გვ.: 335-336
საერთაშორისო სავალუტო ფონდი — გვ.: 336-337

საგაჭრო ბალანსი — გვ.: 342
საზეგანაკვეთო სამუშაო — გვ.: 42
საზოგადოებრივი არჩევანის თეორია — გვ.: 256
საზოგადოებრივი მენტალიტეტი და ეკონომიკური ზრდა — გვ.: 222-226
საინვესტიციო ბანკი — გვ.: 301
საინვესტიციო მოთხოვნა (ფუნქცია) — გვ.: 202
საკრედიტო სისტემა — გვ.: 299
სამომხმარებლო კალათა — გვ.: 188
სამომხმარებლო ფასების ინდექსი — გვ.: 188
სამრეწველო სტრატეგიის სკოლა — გვ.: 255
სამუელსონი, პოლ — გვ.: 25; 126; 134; 321
სამუშაო დრო — გვ.: 119
სამუშაო ძალა — გვ.: 191
საოჯახო მეურნეობა — გვ.: 79
საპროცენტო განაკვეთი (პროცენტი) — გვ.: 133-136; 202; 206-208
სარგებლიანობის კლების კანონი — გვ.: 49
სარეზერვო მოთხოვნები — გვ.: 300
სასაქონლო წარმოება — გვ.: 242
სასოწარკვეთილი მუშაკები — გვ.: 275
საფინანსო ბაზრები — გვ.: 279
საფინანსო ვალდებულებები — გვ.: 278
საფინანსო პოლიტიკის ბიუჯეტური მეთოდი — გვ.: 260
საფინანსო პოლიტიკის საგადასახადო მეთოდი — გვ.: 260
საფონდო ბირჟა — გვ.: 301
საქონლის ბაზარი — გვ.: 58
საწარმოო ფონდი — გვ.: 187
საწარმოო ფუნქცია — გვ.: 85-88; 109; 199
საწარმოო შესაძლებლობების მრუდი — გვ.: 33-36
საწარმოო ხარჯები — გვ.: 90-91
სახელმწიფო ბიუჯეტი — გვ.: 260
სახელმწიფო არასაკმარისობა — გვ.: 248-253
სახელმწიფო დანაზოგი — გვ.: 207
სახელმწიფო ვალი — გვ.: 261
სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა — გვ.: 245
სახელმწიფო სექტორი — გვ.: 249
სახელმწიფოს ფუნქციები ეკონომიკაში — გვ.: 248-253
სახელმწიფო ფინანსები — გვ.: 236; 258-261
სახელმწიფო შემოსავლის და ხარჯების ზემოქმედება ეკონომიკაზე — გვ.: 320-322
სახელმწიფო ხარჯები (შესყიდვები) — გვ.: 203-204
სახმარი ღირებულება — გვ.: 185
სეი, ჟან ბატისტ — გვ.: 46; 325
სენიორაჟი — გვ.: 289
სერტიფიკატი — გვ.: 286
სიკეთის დღევანდელი და ხვალინდელი შეფასება (დროითი მჯობინება) — გვ.: 134
სილატაკის ინდექსი — გვ.: 265
სმითი, ადამ — გვ.: 148-150
სპეციალური ბანკი — გვ.: 301
სრული (მთლიანი) დასაქმება — გვ.: 266
სრულყოფილი (თავისუფალი) კონკურენცია — გვ.: 101-105
სტაგფლაცია — გვ.: 323
სტალინი, იოსებ ბესარიონის ძე — გვ.: 221
სტიმულები — გვ.: 18
სტოკჰოლმის სკოლის წარმომადგენლები — გვ.: 312
სტრუქტურული ძვრები ეკონომიკაში და უმუშევრობა — გვ.: 268
სუბვენცია, სუბსიდია — გვ.: 73

ტეტჩერი, მარგარეთ — გვ.: 52
ტექნიკური ეფექტიანობა — გვ.: 105
ტინბერგენი, იან — გვ.: 250
ტრანსაქციური დეპოზიტები. — გვ.: 284
ტრანსაქციური ხარჯები — გვ.: 82
ტრანსფერტი — გვ.: 236
ტრასტი — გვ.: 301

უაილდი, ოსკარ — გვ.: 45
ულინი, ბერტილ — გვ.: 332
უმუშევრობა (ბუნებრივი) — გვ.: 268
უმუშევრობა ლოდინის — გვ.: 270-274
უმუშევრობაზე (ციკლურზე) ზემოქმედების რეცეპტი — გვ.: 317
უმუშევრობა ფრიქციული — გვ.: 268-270
უმუშევრობა ციკლური — გვ.: 270-274; 316
უმუშევრობის (ციკლურის) გარღვევა — გვ.: 316
უმუშევრობის (ბუნებრივის) დონე — გვ.: 266
უმუშევრობის გაზომვა და მისი დონე — გვ.: 190
უმუშევრობის (ბუნებრივის) სპეციფიკური მაჩვენებლები — გვ.: 274-275
უტოპია — გვ.: 154
„უხილავი ხელი" — გვ.: 328

ფასების ინდექსი (დეფლატორი) — გვ.: 188
ფასეულობა (ღირებულება) — გვ.: 17; 30; 48
ფასი — გვ.: 59; 149
ფასიანი ქაღალდები — გვ.: 261
ფასის ეფექტი — გვ.: 63; 108
ფასის მიმმართველი ფუნქცია — გვ.: 243
ფასობრივი მექანიზმი — გვ.: 59
ფინანსები — გვ.: 259
ფირმა — გვ.: 80-83
ფირმის ეფექტიანი მასშტაბის განსაზღვრა — გვ.: 90-95
ფირმის თეორია — გვ.: 82

ფისკალური პოლიტიკა — გვ.: 204
ფიშერის გაცვლის განტოლება — გვ.: 288
ფრიდმენი, მილტონ — გვ.: 147; 303-304
ფრიქციული უმუშევრობა — გვ.: 268-270
ფულადი სახსრების წრებრუნვა ეკონომიკაში — გვ.: 197-198
ფული — გვ.: 280-283
ფული როგორც „ბაზრის ენა" — გვ.: 278
ფულის ემისია — გვ.: 289
ფულის მასის ზრდის მუდმივი წესი (თარგეტირება) — გვ.: 297
ფულის მიმოქცევის სიჩქარე — გვ.: 287
ფულის რევალვაცია — გვ.: 294
ფულის რეფორმები — გვ.: 292-293
ფულის ფუნქციები — გვ.: 280-283
ფუნქციური მიდგომა ფულთან დამოკიდებულებაში — გვ.: 283

ქაღალდის ფული — გვ.: 284

ღირებულება (ფასეულობა) — გვ.: 17; 30; 48

შედარებითი (შეფარდებითი) უპირატესობის თეორია — გვ.: 331
შეკავების რესტრიქციული პოლიტიკა — გვ.: 318; 343
შემნახველი ბანკი — გვ.: 301
შემოსავლის ეფექტი — გვ.: 126-127
შემოსავლის ვერტიკალური განაწილება — გვ.: 235
შემოსავლის ფუნქციური განაწილება — გვ.: 233-235
შენაცვლების ეფექტი — გვ.: 126-127
შერეული ეკონომიკა — გვ.: 161
შენონილი ფასები — გვ.: 189
შრომა — გვ.: 31; 119; 198
შრომის ანაზღაურების განსხვავებების მიზეზები — გვ.: 129
შრომის ბაზარი (შრომის ბირჟა) — გვ.: 124-129
შრომის დანაწილება — გვ.: 14
შრომის ეფექტიანი ანაზღაურების თეორიები — გვ.: 273
შრომის ექსპლუატაცია — გვ.: 97
შრომის ზღვრული პროდუქტი — გვ.: 86; 229
შრომის ინტენსივობა — გვ.: 119
შრომის კაპიტალშეიარაღება — გვ.: 219
შრომის მწარმოებლურობა (ნაყოფიერება) — გვ.: 119
შრომის საერთაშორისო დანაწილება — გვ.: 330
შონფილდი, ე. — გვ.: 258
შოუ, ბერნარდ — გვ.: 239; 305
შუმპეტერი, იოზეფ ალოიზ — გვ.: 74; 238

ჩეკი — გვ.: 284
ჩემბერლინი, ედვარდ — გვ.: 112
ჩერჩილი, უინსტონ — გვ.: 161
ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლა — გვ.: 296
ჩიქობავა, არნოლდ — გვ.: 89
„ჩრდილოვანი ეკონომიკა (ბაზარი)" — გვ.: 72; 159

ცენტრალური (საემისიო) ბანკი — გვ.: 299
ცვალებადი ხარჯები — გვ.: 90
ცვეთა (საამორტიზაციო ფონდი) — გვ.: 119
ციკლური უმუშევრობა — გვ.: 315-316
ცოდნა-განათლება და ეკონომიკური ზრდა — გვ.: 218-221

ძირითადი კაპიტალი — გვ.: 119
ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი — გვ.: 313

წარმოების ეფექტიანი მასშტაბი — გვ.: 115
წარმოების მაქსიმალური ეფექტიანობა — გვ.: 35
წარმოების უმცირესი დანახარჯების კრიტერიუმი — გვ.: 46
წარმოების ფაქტორების ურთიერთჩანაცვლება — გვ.: 120
წარმოების ფაქტორების ფასი — გვ.: 227
წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნის წარმოებული (არაპირდაპირი) ხასიათი — გვ.: 124; 136
წარმოების ფაქტორები (ეკონომიკური რესურსები) — გვ.: 119-120; 129; 136; 198-199
წონასწორობა კაპიტალის ბაზარზე — გვ.: 133
წონასწორობა მიწის ბაზარზე — გვ.: 137
წონასწორობა საერთო-ეკონომიკურ ბაზარზე — გვ.: 205
წონასწორობა შრომის ბაზარზე — გვ.: 128
წონასწორობის ფასი — გვ.: 62

ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების ზღვრული ხარჯები — გვ.: 132
ხელფასის პოლიტიკა — გვ.: 235

ჯევონსი, უილიამ სტენლი — გვ.: 38

ჰაიეკი, ფრიდრიხ ფონ — გვ.: 150
ჰაროდი, როი — გვ.: 251
ჰეგელი, გ.ვ. — გვ.: 97
ჰოლანდიური ტიტომანია — გვ.: 75

„Homo economic" („ეკონომიკური ადამიანი") — გვ.: 15; 37
„Laissez faire"-ის („წავიდეს თავისით") პოლიტიკა — გვ.: 150
„Ceteris paribus"-ის („სხვა თანაბარ პრობებში") პრინციპი — გვ.: 24

სახელმძღვანელოს მომზადებისას გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა

1. ვ.ბასარია, რ.ბასარია - გადასახადი: სიკეთე თუ უკეთურება? თბილისი, 2003.
2. რ.ბასარია, ი. მესხია - ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. თბილისი, 1996.
3. ეკონომიკური ლექსიკონი აკად. ა. სილაგაძის რედაქტორობით - თბილისი, 2001.
4. გრ. თოდუა, რ. გოგოხია, რ.ქუტიძე - ეკონომიკის პრინციპები (ლექციების კურსი): მიკროეკონომიკა; მაკროეკონომიკა - თბილისი, 2008.
5. ულრიხ ფელი, პეტერ ობერენდერი. მიკროეკონომიკის საფუძვლები. - თბილისი, 1998.
6. Австрийская школа в экономической науке. Менгер. К., Бём-Баверк Е., Визер Ф. – М., 1992.
7. Гэлбрейт Дж. Экономическая теория и цели общества – М., 1976.
8. Доллан, Эдвин Дж. Макроэкономика. – С. Петербург.1994.
9. Кейнс, Дж. М. Общая теория занятости, процента и денег ("Избранные произведения").- М., 1993
10. Кэмпбелл Р. Макконнелл, Стэнли Брю. Экономикс: т.1 и т.2. – М. 1992.
11. Кларк Дж. Б. Распределение богатства – М., 1992.
12. Коулэ Р. Фирма, рынок и право – М., 1993.
13. Ламперт Х. Социальная рыночная экономика. Германский путь. М., 1993.
14. Липсиц И. Экономика без тайн – М., 1993.
15. Мэнкью Грегори Н. Макроэкономика – М., 1994.
16. Мэнкью Грегори Н. Принципы экономикс. – Питер,2003.
17. Робинсон Дж. Экономическая теория несовершенной конкуренции – М., 1986.
18. Самуэльсон П. Экономика: том 1 и том 2. – М., 1992.
19. Словарь современной экономической теории Макмиллана. – М., 1997.
20. Смит А. Исследования о природе и причинах богатства – М., 1962.
21. Чемберлин Э. Теория монополистической конкуренции - М., 1959.
22. Й. Шумпетер. Капитализм, социализм и демократия. – М., 1995.
23. Хейне П. Образ экономического мышления. – М., 1991.
24. Эклунд К. Эффективная экономика. Шведская модель – М., 1991.
25. Эрхад Л. Благосостояние для всех. – М., 1991.